

სამხედრო კრისტიან ფრიდრიხ  
ჰანემანი

# სამედიცინო ხელოვნების ორგანონი

(ჰომეოპათიის ძირითადი პრინციპები)

სამხედრო ჰანემანის მიერ მომზადებული  
VI გამოცემა

თარგმნა ნიკოლოზ გუჯაბიძემ

პირველი ქართული გამოცემა

თ ბ ი ლ ი ს ი

2006წ

მკურნალობის კომეოპათიური მეთოდის შემქმნელი, სამუელ კრისტიან ფრიდრიხ ჰანემანი თავის ნაწარმოებში ასაბუთებს მის მიერ აღმოჩენილი მეთოდის უპირატესობას, მკაფიოდ და თანმიმდევრულად გადმოგვცემს კომეოპათიის თეორიულ საფუძვლებს, გვიხსნის ავადმყოფის გამოკვლევის მეთოდოლოგიის პრინციპებს, სამკურნალო ნივთიერებების თვისებების შესწავლის გზებს და მათი გამოყენების შესაძლებლობებს დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მკურნალობისას.

განკუთვნილია როგორც პრაქტიკოს ექიმთა ფართო წრისათვის, ასევე სამედიცინო გამოკვლევებით დაკავებული მეცნიერებისთვის, სტუდენტებისა და მათთვის ვისაც მედიცინა აინტერესებს.

იგი დაეხმარება ექიმებს უფრო ბუნებრივად შეხედონ მედიცინას, ბევრი რამ გადააფასონ და მნიშვნელოვნად გაზარდონ თავისი შესაძლებლობები. იმედი მაქვს, რომ ჰანემანის ეს გენიალური ნაშრომი მალე მრავალი ქართველი ექიმის სამაგიდო წიგნად იქცევა, ხოლო თუ კომეოპათიის შესწავლას გადაწყვეტენ, ამ ნაშრომის გამოყენება აუცილებელი იქნება.

დარწმუნებული ვარ, რომ სამედიცინო ხელოვნების ორგანონი მალე მრავალი ქართველი ექიმის სამაგიდო წიგნად ექცევა.

© რედაქტორი ნ. გუჯაბიძე

© გამომცემლობა “საქართველოს მაცნე”

ISBN 99940-43-39-0

The organon of the German Doctor S.Hahnemann constitutes a monumental work in medicine that I believe will be more and more appreciated in the New Millenium that we have entered recently.

It is a “must” for everyone who wants to study homeopathy in a serious manner.

George Vithoulkas  
Alternative Nobel Prize, 1996  
Director, International Academy of Classical Homeopathy, Greece

გერმანელი ექიმის ს. ჰანემანის „ორგანონი“ მედიცინის მონუმენტალური ნაშრომია. იმედი მაქვს, რომ ის სულ უფრო და უფრო მეტად დაფასდება ახალ ათასწლეულში, რომელშიც ახლახან შევაბიჯეთ.

ის აუცილებელია ყველასათვის ვინც ჰომეოპათიის სერიოზულ შესწავლას აპირებს.

ჯორჯ ვიტულკასი  
1996 წლის ალტერნატიული ნობელის პრემიის  
ლაურეატი.  
კლასიკური ჰომეოპათიის საერთაშორისო აკადემიის  
დირექტორი, საბერძნეთი



## პირველი ქართული გამოცემის წინასიტყვაობა

სამუელ კრისტიან ფრიდრიხ ჰანემანი მედიცინის ისტორიაში შევიდა როგორც უდიდესი ექსპერიმენტატორი, კლინიცისტი და რეფორმატორი. მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ჰიპოკრატეს, გალენისა და პარაცელსის გვერდით.

ჰომეოპათიის იდეა კლასიკური მედიცინის ფუძემდებელს, ჰიპოკრატეს ეკუთვნის, რომელმაც სამკურნალო ხელოვნება ორ ნაწილად გაყო დაავადებისადმი მიდგომის მიხედვით – ალოპათიად და ჰომეოპათიად.

ჰომეოპათია ეს არის მწყობრი, კარგად აპრობირებული სამკურნალო სისტემა, რომელიც მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენაზე მისი ვიტალიტეტის და კომპენსატორული მექანიზმების ამოქმედების გზით, პოტენცირებული ნივთიერებების მეშვეობით.

ალოპათიამ სწრაფად ჰპოვა განვითარება, რადგან ის დაავადებასთან ბრძოლისკენაა მიმართული. დღეს ის გაბატონებული მედიცინაა და ოფიციალური, ანუ კლასიკურის სახელითაა ცნობილი, თუმცა ჰიპოკრატეს სწავლებისგან ძალიან შორს დგას.

ჰომეოპათია პირიქით დღემდე მკაცრად იცავს ჰიპოკრატეს ყველა პოსტულატს. ეფუძნება რა დაავადებასთან მსგავსების (Similia) პრინციპს, მიმართულია ადამიანის განკურნებისკენ მისი სასიცოცხლო ძალისა და იმუნიტეტის გაძლიერების გზით, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება წამლის მინიმალური რაოდენობით, უხეში ჩარევის გარეშე, ბუნებრივი ჰომეოსტაზისა და დარღვეული წონასწორობის აღდგენა.

ჰომეოპათია ორიენტირებულია პაციენტის განკურნებაზე და არა მხოლოდ ცალკეული სიმპტომის შემსუბუქებაზე. ჰომეოპათიაში ნებისმიერი დაავადება ფსიქოსომატურ ჭრილში განიხილება, პიროვნების ფსიქოლოგიური, ფიზიკური და

სოციალური ინდივიდუალობის გათვალისწინებით.

ადამიანი სრულყოფილი თვითმარეგულირებელი სისტემაა, რომელსაც გასაოცარი კომპენსატორული მექანიზმები გააჩნია. სწორედ მათი ამოქმედება და ორგანიზმში მიმდინარე პროცესების სწორი მართვაა მკურნალობის ხელოვნება, რომელიც ჰიპოკრატემ შესთავაზა კაცობრიობას, ხოლო ჰანემანმა სრულყო და “სამკურნალო ხელოვნების ორგანონის” სახით დაგვიტოვა.

ჰომეოპათიამ სირთულის გამო საუკუნეების მანძილზე ფართო გავრცელება ვერ პოვა და ალბათ სამუდამოდ ჩრდილში დარჩებოდა, რომ არა ჰანემანის მიერ პოტენცირების პრინციპის აღმოჩენა, რომელსაც ბევრი მეცნიერი ეპოქალურს უწოდებს და თავისი მნიშვნელობით აინშტაინის თეორიასა და ატომის აღმოჩენას უტოლებს.

ჰანემანის გენიამ ორი საუკუნით გაუსწრო მეცნიერების განვითარებას, პრაქტიკამ – თეორიას, კლინიკურმა ექსპერიმენტმა – ლაბორატორიულს. დიდხანს რჩებოდა აუხსნელი პოტენცირებული ნივთიერების მოქმედების პრინციპები და მექანიზმები, რაც უნდობლობასა და ნიჰელიზმის საფუძველს იძლეოდა. ჰომეოპათიის გარშემო ბურუსი სუფევდა. დაუჯერებელი იყო, რომ წამლებს, რომლებიც აქტიურ ნივთიერებას არ შეიცავენ, სამკურნალო ეფექტი შეიძლება გააჩნდეთ. დღეს, ფუნდამენტური მეცნიერებათა მიღწევების შუქში, როცა გაიშიფრა წყლის სტრუქტურა და მისი თვისებები, აღმოჩენილ იქნა ენერგეტიკული ელექტრომაგნიტური და ლეფტონური ველები, განვითარდა ინფორმაციული მედიცინა, ჰომეოპათიური წამლების მოქმედება ეჭვს აღარ იწვევს. ჰომეოპათია მეცნიერების ავანგარდში აღმოჩნდა. გასაოცარი მხოლოდ ისაა, როგორ შესძლო მე-18 საუკუნეში გერმანელმა ექიმმა ჰანემანმა პოტენცირების პრინციპის მიგნება?!...

თითქოსდა უმარტივესი ტექნოლოგიის – ტირტურაცი-

ის, მრავალჯერადი განზავებისა და პოტენცირების გზით მან შექმნა წამლის მომზადების სრულიად ახალი, ორიგინალური მეთოდი, რომელიც ნებისმიერი ნივთიერებების (მათ შორის ინერტულის) სამკურნალო თვისებების გამოვლენის საშუალებას იძლევა. საკუთარ თავზე და მიმდევრებზე ჩატარებული ათასობით ექსპერიმენტის საფუძველზე ჰანემანმა კაცობრიობა თვისობრივად ახალი სამკურნალო საშუალებების მთელი არსენალით შეაიარადა. ეს წამლები თავისი ზემოქმედებით ცოცხალ ორგანიზმზე, განსხვავდებიან ყველა წამლისაგან და სრულიად სხვა კანონზომიერებებს ექვემდებარებიან. სწორედ ამ წამლების გავლენას ადამიანზე მათი ურთიერთქმედების თავისებურებების შესწავლასა და ანალიზს მიუძღვნა ჰანემანმა მთელი სიცოცხლე, რის შედეგადაც შექმნა ჰომეოპათიური მკურნალობის მეთოდი. ის თუ როგორ უნდა ვმართოთ (და შევაფასოთ) ეს პროცესები ზედმიწევნით არის აღწერილი მის ტრაქტატში “სამკურნალო ხელოვნების ორგანონი.” ეს არის ჰომეოპათიური მკურნალობის კანონთა კრებული, პრაქტიკულად ჰომეოპათიური წამლების გამოყენების მეთოდოლოგია, მათთვის, ვინც ადამიანის განკურნებას ისახავს მიზნად.

პოტენცირების პრინციპის აღმოჩენისა და ჰომეოპათიური მეთოდის შექმნის გარდა ჰანემანს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მიგნება აქვს. ქრონიკულ დაავადებებთან მუშაობისას, მათი განკურნების გზების ძიების პროცესში მან “მიაზმების” მწკობრი თეორია შექმნა, რაც პრაქტიკულად გენეტიკურ პრედისპოზიციას ნიშნავს. ამ თემას მან სპეციალური წიგნი მიუძღვნა, სადც განიხილავს ამ პრობლემებს და მათი თავიდან აცილების გზებს. ნაწილობრივ მიაზმების თეორიამ „ორგანონშიც“ ჰპოვა ასახვა.

“ორგანონი” ყველა ჰომეოპათის სამაგიდო წიგნია. წარმოდგენილია იყო ჰომეოპათი და არ იცოდევ ჰომეოპათიის კანონები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ამ მეთოდის

გამოყენება. ეოველდლიურ პრაქტიკაში ექიმი აწყდება სირ-  
თულეებს, რომლებზე პასუხის მისაღებად ისეე და ისეე  
“ორგანონს” უბრუნდება, სადაც პოულობს გამოსავალს  
ნებისმიერი ჩიხიდან.

წიგნი პარაგრაფებადაა დაყოფილი და მარტივი ჭეშ-  
მარიტებების სახითაა მოწოდებული. მაგრამ ეს მხოლოდ  
ერთი შეხედვით. სინამდვილეში ის სავსეა ურთულესი პარა-  
დიგმებითა და ქვეტექსტებით, რომელთა ინტერპრეტირებას  
ცდილობენ მსოფლიოს საუკეთესო ჰომეოპათები.

სუბსტანციის უსასრულოდ მცირე დოზამდე განზა-  
ვებისა და პოტენცირების მეშვეობით ხდება ნივთიერებების  
სამკურნალო თვისებების გააქტიურება, რაც იძლევა საშუ-  
ალებას ბუნებაში არსებული ნებისმიერი ნივთიერება წამ-  
ლად იქნეს გამოყენებული. მათ ჰომეოპათიური წამლები  
ეწოდა. ისინი ჩვეულებრივი ალოპათიური წამლებისაგან  
რადიკალურად განსხვავდება როგორც თვისობრივად, ასევე  
ფარმაკოდინამიკით და მოქმედების მექანიზმებით. ამიტომ  
მათი განხილვა, გამოყენება და შეფასება ალოპათიური  
მედიცინისა და ფარმაკოლოგიური ლოგიკით შეუძლებელია.  
ისინი სულ სხვა კანონებს ექვემდებარებიან. გამოყენები-  
სათვის აუცილებელია პოტენცირებულ ნივთიერებათა მიკ-  
როდოზების და ორგანიზმის უნაზესი სტრუქტურების ურთ-  
იერთქმედების ცოდნა და ყველა ნიუანსის გათვალისწინება.  
ეფექტურობა მთლიანად არის დამოკიდებული ექიმის ცოდ-  
ნასა და ჰომეოპათიის კანონების ზედმიწევნით შესრულება-  
ზე. ჰომეოპათობა გარდა მეთოდის ღრმა ცოდნისა დიდ დაკ-  
ვირვებულობას, ნებისყოფას და პაციენტისადმი სიყვარულს  
მოითხოვს. ამ დარგის შესწავლას წლები და კარგი სკოლა  
სჭირდება. სამწუხაროდ, ბოლო ხანებში ჰომეოპათიის გა-  
მარტივების მიზნით, არაერთი ცრუ სწავლება და მიმდინ-  
არეობა შეიქმნა, რაც დარგის პროფანაციას იწვევს. საქა-  
რთველოში ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ არ არსებობდა



ქართულენოვანი ლიტერატურა, არ არსებობდა სერიოზული სკოლაც. ჰომეოპათიის შესწავლის საშუალება მას შემდეგ გაჩნდა, რაც საქართველოში დაარსდა ჰომეოპათიის აკადემია, რომელიც ევროკავშირის წევრია და სპეციალისტებს ევროსტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად ამზადებს. ამ აკადემიის საპატიო რექტორია ალტერნატიური ნობელის პრემიის ლაურეატი პროფესორი ჯორჯ ვიტულკასი. სწორედ ვიტულკასის სახელს უკავშირდება ჰომეოპათიის რენესანსი. მან შესძლო დაენახეებინა მსოფლიოსათვის ჰომეოპათიის გასაოცარი შესაძლებლობები და ჰანემანის სწავლება თანამედროვეობისათვის მიესადაგებინა. მან კაცობრიობას “ჯანმრთელობისა და სნეულების ახალი მოდელი” წარუდგინა, რამაც დარგს დიდი პოპულარობა, ხოლო ჯორჯ ვიტულკასს ალტერნატიული ნობელის პრემია და “ჰომეოპათიის მეტრის” წოდება, მის მიერ დაარსებულ კლასიკური ჰომეოპათიის საერთაშორისო აკადემიას კი “ჰომეოპათიის სორბონის” სახელი მოუტანა. მისი ფილიალები ბევრ ქვეყანაში არსებობს, მათ შორის საქართველოშიც. სწავლება ქართულად მიმდინარეობს, თუმცა ლიტერატურა უცხო ენოვანია, რაც ბუნებრივია ბევრ სირთულეს გვიქმნის, განსაკუთრებით ორგანონის შესწავლისას. წიგნის ქართულენოვანი გამოცემა გაუადვილებს ამოცანას ამ რთული პროფესიის დაუფლების მსურველთ.

ორგანონის გაცნობა საინტერესო იქნება მოსახლეობის ფართო მასებისათვის. აქ ისინი იპოვიან პასუხს ბევრ კითხვაზე, რაც დაეხმარებათ ახლებურად შეხედონ საკუთარ ჯანმრთელობას და განკურნების პროცესს, მიხედნენ რომ წამალი მხოლოდ იარაღია მოაზროვნე ექიმის ხელში; გააცნობიერებენ თუ რაოდენ დიდია ექიმის როლი მკურნალობის პროცესში.

ვიმედოვნებ, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოხდება ჰომეოპათიის გამიჯვნა იმ მიმართულებებისაგან, რომლებ-

თანაც ხშირად აიგივებენ: ფიტოთერაპიის, ტრადიციული მედიცინის, ანტროფოსოფიის და ჰომოტოქსიკოლოგიისაგან.

ორგანიზაციის ავტორმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა ჭეშმარიტი განკურნების პრინციპები და გვასვენა თუ რაოდენ ფაქიზია მკურნალობის პროცესი, რომ ამისათვის სულაც არ ყოფილა საჭირო წამლების დიდი რაოდენობა და რომ უსასრულოდ მცირე ჰომეოპათიური დოზებიც კი საკმარისია.

ორგანიზაციაში კარგად არის ახსნილი თუ რატომ არ არის დასაშვები რამდენიმე პოტენციურებული ნივთიერების ერთდროულად დანიშვნა და აღწერილია ორგანიზაციის რეაქციები ასეთ წამლებზე.

ორგანიზაციის თარგმნა ძალიან საპახუსისმგებლო საქმეა, რომელზეც უცხოეთში მთელი ინსტიტუტები მუშაობენ. შემთხვევითი როდია, რომ ამ ფუნდამენტური ნაშრომის ქართულად თარგმნის მისია იკისრა ჰომეოპათთა საერთაშორისო ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა ნიკოლოზ გუჯაბიძემ, რომელმაც ჯორჯ ვიტულკასის კლასიკური ჰომეოპათიის საერთაშორისო აკადემია დაამთავრა. აკადემიისა და ჰომეოპათიური საზოგადოებრიობის სახელით, მინდა მას მადლობა გადავუხადო, ჩვენი აკადემიის პრორექტორს ამ დიდი ღვაწლისათვის. ვიმედოვნებ, რომ ეს წიგნი გახდება სწორედ ის ქვაკუთხედი, რომელიც შეცვლის ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას ჰომეოპათიისადმი და დაეხმარება ამ დარგს სათანადო ადგილის დამკვიდრებაში.

ჰომეოპათიის აკადემიის რექტორი  
საქართველოს ჰომეოპათთა კავშირის თავმჯდომარე  
მედიცინის დოქტორი თინათინ თოფურია

## მთარგმნელის წინაწიტყვარობა

ძვირფასო მკითხველო! თქვენ შესაძლებლობა გექ-  
ლევით ქართულ ენაზე გაეცნოთ დიდებული გერმანელი ექი-  
მის სამუელ კრისტიან ფრიდრიხ ჰანემანის (1755-1843წწ.) „სა-  
მედიცინო ხელოვნების ორგანონს“, რომელიც ჰომეოპათიის  
ფუნდამენტური ნაშრომია. ის ავტორმა თავისი ხანგრძლივი  
და ნაყოფიერი სიცოცხლის მანძილზე ხუთჯერ გამოსცა.  
ყოველ შემდგომ გამოცემაში დამატებები და შესწორებები  
შეჰქონდა. წინამდებარე ნაშრომი ითარგმნა მის მიერ სა-  
ბოლოოდ გააზრებული და გადაამუშავებულ მეექვსე გამო-  
ცემიდან, რომელიც მან სიცოცხლის ბოლო წლებში (1842წ)  
შექმნა, თუმცა ეს უკანასკნელი ავტორის ანდერძით პირვე-  
ლად მხოლოდ 80 წლის შემდეგ (1921 წელს), გამოიცა.

სიმბოლურია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართულ ენაზე  
წიგნის გამოცემა ანალოგიურმა მიზეზმა გამოიწვია, რამაც  
მისი შექმნა. ეს არის დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება  
თანამედროვე მედიცინის მიმართ, როგორც ექიმების, ასევე  
პაციენტების მხრიდან. თუკი ჰანემანის დროს ამის მიზეზი  
მედიცინის დაბალი დონე და მისი ბარბაროსული მეთოდები  
იყო, დღეს პირიქით, ეს მიზეზი სამედიცინო, უფრო ზუსტად  
ფარმაკოლოგიური ინდუსტრიის განუზომელი ზრდითაა  
გამოწვეული. მედიცინამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია, მა-  
გრამ უმძლავრესმა ფარმაკოლოგიურმა პრეპარატებმა დიდ  
სიკეთესთან ერთად უდიდესი უარყოფითი თანამოვლენებიც  
მოგვიტანა.

მინდა მკითხველს შევახსენო, გაითვალისწინოს ნაშ-  
რომის შექმნის დრო. ეს ის პერიოდია, როცა ჯენერმა ვაქცი-  
ნაცია დანერგა, ეს ის დროა, როცა ლუი პასტერი მიკრო-  
ბიოლოგიას უყრიდა საფუძვლებს და ინფექციური დაავადე-  
ბების ეტიოლოგია ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო დად-

\* პირველი გამოცემა 1810 წელს. შემდგომი გამოცემები შესაბამისად: 1819, 1824, 1829, 1833 წლებში. (მთარგმნელის შენიშვნა)

გენილი. ხოლო სტეტოსკოპის გამოყენება პატივცემულმა ავტომამ, მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს დაიწყო. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ დაკვირვებული მკითხველი დადებითად შეაფასებს ნაშრომს და იგრძნობს მის გენიალურობას. ადვილად მიხვდება, რამდენად აქტუალურია იგი დღეს და ჩასწვდება ბუნების იმ კანონების ჭეშმარიტებას, რაზეც საუბრობს ავტორი და რასაც ჰომეოპათია ეფუძნება.

მკითხველს მინდა მოვუწოდო, გაგებით შეხედეს ავტორის ხმამაღალ განცხადებას, რომ ჰომეოპათია მკურნალობის ერთადერთი ეფექტური მეთოდია ყველა არაქირურგიული დაავადებებისას. მედიკამენტების გამოყენების ყველა სხვა მეთოდი მავნეა და საჭირო არ არის. ბუნებრივია, ჰომეოპათიის უდიდესი მნიშვნელობის შეცნობის შედეგად გაჩენილი მისი, როგორც პირველად მომჩინის უდიდესი ენთუზიაზმი, რამაც ასეთი გადაჭარბებული შეფასება გამოიწვია.

მედიცინაში ჩემი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მომუშავე, უკვე საკმაოდ გამოცდილმა ექიმმა-ტოქსიკოლოგმა ჰომეოპათიის შესწავლა დავიწყე, რაც შეუძლებელია მოცემული ნაშრომის გამოყენების გარეშე. სერიოზულმა წარმატებებმა და მედიცინის (პათოლოგიური პროცესების, განსაკუთრებით მკურნალობის გზების) განსხვავებულმა ხედვამ სურვილი გამიჩინა არაერთხელ გადაკითხული „სამედიცინო ხელოვნების ორგანონი“ ქართულ ენაზე მეთარგმნა.

ბუნებრივია, დროის ამ არც თუ ისე მცირე მონაკვეთში, სალიტერატურო ენამ და სამედიცინო ტერმინოლოგიამ ცვლილებები განიცადა. დროის კანონზომიერებებს და ჰანემანის გენიალურობის მაქსიმალურად გადმოსაცემად ავტორის წერის სტილი თარგმანში მთლიანად შენარჩუნებულია, ამიტომ მკითხველს შეიძლება მისი ზოგიერთი პარაგრაფი რთული ეჩვენოს, მაგრამ როგორც აღვნიშნე, ეს ჰანემანის სტილია.

*ნიკოლოზ გუჯაბიძე*

## სამუშაო კრისტიან ფრიდრიხ ჰანემანი (1755-1843) (მოკლე ბიოგრაფია)

სამუშაო კრისტიან ფრიდრიხ ჰანემანი დაიბადა გერმანიაში, ქალაქ მეისენში (საქსონია) 1755 წლის 10 აპრილს. მამამისი, კრისტიან გოტფრიდ ჰანემანი, მხატვარი იყო და ფაიფურის ნაწარმის მოხატვით ირსენდა თავს. ჰანემანი ბავშობიდან აკვირდებოდა მამის მიერ დახატულ ყვავილებს. რომელთა შესწავლაში დიდი ნიჭი გამოავლინა. ასევე მას უცხო ენების შესწავლის გასაოცარი უნარიც ჰქონდა. იგი ცხრა ენას ფლობდა (ინგლისური, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ლათინური, ძველი ბერძნული, არაბული, ძველი ებრაული) და უკვე უნივერსიტეტში სწავლის დროს, ხელმოკლე ოჯახის შვილი, თავს უცხო ენების სწავლებით ირსენდა, ხოლო შემდგომში წარმატებით ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას.

საშუალო განათლების მიღების შემდეგ მედიცინის შესწავლა ლეიფციგის უნივერსიტეტში დაიწყო 1775 წელს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ შეწყვიტა იქ არსებული სწავლების დონის გამო. მედიცინის შესწავლა 1777 წელს ვენის უნივერსიტეტში განაახლა, თუმცა ხელმოკლეობის გამო, ამ პერიოდში, უნივერსიტეტის რექტორის დოქტორ ფონ ქუორინის რეკომენდაციით ტრანსილვანიის გუბერნატორის, სამუშაო ფონ ბრუკენტალის პირად ექიმად მოუხდა მუშაობა ჰერმანშტადში (დღევანდელი სიბიუ, რუმინეთი), რისთვისაც სწავლა მცირე ხნით შეწყვიტა. აქ ის პირადი ექიმის გარდა ბიბლიოთეკარის და მუზეუმის ხელმძღვანელის მოვალეობასაც ასრულებდა. ფონ ბრუკენტალის პირადი ბიბლიოთეკა ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპაში, სადაც ჭაბუკ ჰანემანს საშუალება ჰქონდა უძველეს სამედიცინო ხელნაწერებს დედანში გაცნობოდა.

1779 წლის აგვისტოში მან ექიმის დიპლომი ერლან-

გენის უნივერსიტეტში დაიცვა\* და საქსონიის ქალაქ მანსფელდში დაიწყო მუშაობა (1780-83წ). თუმცა მედიცინის შესაძლებლობებით უკმაყოფილომ პრაქტიკა მიატოვა და მთარგმნელობით საქმიანობაზე გადაერთო. ამავ დროს ის ქიმიას, მინერალოგიას, ასტრონომიას, ბოტანიკასა და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსაც სწავლობდა.

1781 წელს იოანა ჰენრიეტა კუხლერზე დაქორწინდა. მათ 11 შვილი ჰყავდათ.

1784 წლიდან დრეზდენში გადასახლდა. მიუხედავად დაუღალავი შრომისა და საუკეთესო თარჯიმნის სახელისა, მის მზარდ ოჯახს ფინანსურად ძალიან გაუჭირდა. სამაგიეროდ ამ საქმიანობით მან ცოდნა (ძირითადად სამეცნიერო, სამედიცინო ტექსტებს თარგმნიდა და კომენტარებსაც უკეთებდა) მნიშვნელოვნად გაიღრმავა.

სწორედ 1790 წელს, შოტლანდიელი ექიმის უილიამ კულენის „მატერია მედიკას“ თარგმნის დროს მიაქცია ყურადღება, რომ ავტორის განმარტებით, ქინაქინა მაღარისაგან განკურნებას იწვევს თავისი სიმწარისა და კუჭზე მასტიმულირებელი მოქმედების გამო.

უაღრესად მახვილი გონების მქონე ჰანემანმა დააფიქსირა, რომ ასეთი თვისებების მქონე ბევრი წამალი არსებობს, მაგრამ ისინი მაღარიაზე არანაირად არ მოქმედებენ. ამიტომ მან ქინაქინის ჯანმრთელ ადამიანებზე გამოცდა გადაწყვიტა და ცდის ჩატარება თავის თავზე დაიწყო. ყოველ დღე 2 ჯერ იღებდა ორ-ორ დრაქმა\*\* ქინაქინას და მალე მას მაღარიას ანალოგიური სიმპტომები განუვითარდა. ამან დაუდასტურა ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ მკურნალობა შეიძლება ორი გზით: წამლებით, რომლებიც დაავადების საწინააღმდეგო სიმპტომებს იწვევენ (*Contraria contrariis curentur*) და წამლებით, რომლებ-

\* იმ დროს ევროპაში სამედიცინო საუნივერსიტეტო სწავლება ორწლიანი იყო (მთარგმნელის შენიშვნა)

\*\* დრაქმა 3,8 გრამი (მთარგმნელის შენიშვნა)

ბიც დაავადების მსგავს სიმპტომებს (Similia similibus curentur) იწვევენ. ამით შთაგონებულმა ჰანემანმა, როგორც ჭეშმარიტმა მეცნიერმა, ექსპერიმენტები გააგრძელა და სამედიცინო პრაქტიკაც განაახლა, თუმცა მათი განზოგადება და თეორიული დასაბუთება ნაშრომში „ესე ახალი პრინციპების შესახებ“ (Essay on a New Principle), მიხლოდ 1796 წელს გამოაქვეყნა, რაც ჰომეოპათიის დაბადების თარიღად ითვლება.

ამ ნაშრომში პირველად დაასაბუთა მკურნალობის მეთოდი მსგავსების პრინციპზე დაყრდნობით – მსგავსი იკურნება მსგავსით და მას ჰომეოპათია (ბერძნულად Homeo – მსგავსი და Pathos – დაავადება) უწოდა.

ამ პრინციპის მიხედვით დაავადება შეიძლება განიკურნოს იმ ნივთიერების მცირე დოზით, რომლის დიდი დოზაც თვითონ იწვევს აღნიშნული დაავადების მსგავს სიმპტომებს.

თავის თავზე, ოჯახის წევრებზე, მეგობრებსა და მოხალისეებზე ჩატარებული მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტების დაგროვების, გადამიუშავებისა და გაანალიზების შემდეგ მან ფუნდამენტური ნაშრომი Materia Medica Pura (1811-1821წ. 6 ტომად) შექმნა, რომელშიც 106 მედიკამენტის მოქმედებაა აღწერილი (66 უშუალოდ თავის თავზე გამოსცადა).

თუმცა მანამდე, 1810 წელს მან „რაციონალური მედიცინის ორგანონი“ გამოსცა, რომელშიც ჰომეოპათიის ძირი-

\* წინამდებარე ნაშრომის I გამოცემა. სიტყვა ორგანონი მან ბეკონის Novum Organum – „ახალი ორგანო“, ანუ „ახალი ინსტრუმენტი“ (მასში აღწერილია აზროვნების ახალი მეთოდი, რომელმაც სამეცნიერო კვლევის შედეგად შემეცნების არნახულ გავრცელებას უნდა მიგვიყვანოს), მიხედვით შეარჩია, რომელიც თავის მხრივ არისტოტელეს დაესესხა, რომლის ნაშრომები ლოგიკის შესახებ შეკრებილი იყო ერთად და „ორგანონი“ ერქვა. ჰანემანს პრეტენზია ჰქონდა იგივე გაეკეთებინა მედიცინაში, რაც ბეკონს მეცნიერებაში – განვითარება ექსპერიმენტისთვის დაეფუძნებინა. მან სამედიცინო ლოგიკა, როგორც აზროვნების ხელშეწყობა, რომელიც ექიმებს საშუალებას მიცემდა ყველაზე უკეთესად დახმარებოდნენ პაციენტს, თავის „სამედიცინო ხელოვნების ორგანოში“ მოაქცია (მთარგმნელის შენიშვნა).

თად პრინციპებს (მსგავსების პრინციპი, წამლის მცირე დოზა და მომზადების პოტენციურების წესი, წამლის ინდივიდუალური შერწყვა, ერთ ჯერზე მხოლოდ ერთი წამლის ერთი დოზის მიცემა, წამლების შესწავლა ჯანმრთელ ინდივიდებზე ექსპერიმენტის გზით) ასაბუთებს და მედიცინის ძველი სკოლის მიერ გამოყენებულ მეთოდებს ადარებს.

თავისი ეფექტურობის (მაგალითად, ქოლერის ეპიდემიის დროს ჰომეოპათიური მკურნალობით გაჯანსაღება 97% იყო მაშინ, როცა ჩვეულებრივი მკურნალობით – 47%) გამო, მკურნალობის ჰომეოპათიური მეთოდი სწრაფად გავრცელდა და მთელ მსოფლიოში ჰანემანს უამრავი მოსწავლე და მიმდევარი გამოუჩნდა.

თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის და დაუღალავე მოღვაწეობის განმავლობაში მრავალი სამეცნიერო ნაშრომი შექმნა. მათ შორის მთავარი მაინც „სამედიცინო ხელოვნების ორგანონია“, რომელიც 5-ჯერ გამოსცა შესწორებებით და დამატებებით, ხოლო მეექვსე (წინამდებარე) ვარიანტი გამოსაცემად მოამზადა.

ასევე აღსანიშნავია მისი ნაშრომი „ქრონიკული დაავადებები“ (1828 წ.), რომელშიც მიაზმების თეორია განავითარა და ქრონიკული დაავადებების მკურნალობა ახალ დონეზე აჰყავს.

1834 წელს ის მეორეჯერ (ამ დროს ოთხი წლის დაქვრივებული იყო) დაქორწინდა ფრანგ ქალბატონ მელონი დ'ურვილ გოიეზე, რომელიც ერთგული მეგობრის და თანაშემწის როლში მოველინა და მასთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. აქ, უკვე სახელგანთქმულმა და უდიდესი გამოცდილების ექიმმა სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობა გააგრძელა. 1842 წელს კიდევ ერთხელ

\* მიაზმი ბერძნულად დაბინძურებას ნიშნავს. ამ ტერმინში ის მიმკვიდრეობით მიდრეკილებებს მოიზრებდა, გენეტიკის, როგორც მეცნიერების განუხანაძვე დიდხნით ადრე. (მთარგნმელის შენიშვნა)



გადახედა თავის „სამედიცინო ხელოვნების ორგანონს“ და მეექვსედ გამოსაცემად მოამზადა.

გარდაიცვალა პარიზში 1843 წლის 2 ივლისს.

დაკრძალულია პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, სადაც მრავალი გამოსენილი ადამიანი განისვენებს.

*ნიკოლოზ გუჯაბიძე*

ჰომეოპათთა საერთაშორისო სამედიცინო ლიგის  
ვიცე-პრეზიდენტი

ვ.პი(ო)რიკეს ინგლისურენოვანი გამოცემის  
წინასიტყვაობა

ჰანემანის მიერ პუბლიკაციისთვის მომზადებული „ორგანონის“ მეექვსე გამოცემა, ბოლო, 1833 წლის მე-ხუთე გერმანული გამოცემის ხელნაწერი შენიშვნებით სავსე ეგზემპლარია. პარიზში აქტიური პრაქტიკის წლებში, ოთხმოცდაექვსი წლის ასაკში, მან თავისი ნაშრომის საგულდაგულო რევიზია დაამთავრა, ყურადღებით გადახედა თითოეულ პარაგრაფს, შეიტანა შესწორებები, შენიშვნები და დამატები გააკეთა.

ჰანემანმა თვითონ ამცნო ზოგიერთ მეგობარს თავისი შესანიშნავი ნაშრომის ახალი გამოცემისათვის მომზადების შესახებ. ამის თაობაზე შეგვიძლია მის წერილებში წავიკითხოთ. კერძოდ, მისი ყველაზე უფრო ადლოიანი მიმდევრისა და უახლოესი მეგობრის, ბენინჰაუსენისადმი პარიზიდან გაგზავნილ წერილში ჰანემანი წერს: „მე ვმუშაობ „ორგანონის“ მეექვსე გამოცემაზე და რამდენიმე საათს ვუთმობ ყოველ კვირა დღეს და ოთხშაბათობით, მთელი სხვა დრო მიდის ჩემს სახლში მოსული ავადმყოფების მკურნალობაზე“. 1842 წლის 20 თებერვალს, თავისი გამომცემელი ბატონი შაუბისადმი პარიზიდან დიუსელდორფში გაგზავნილ წერილში ის წერს: „ახლა, თვრამეტი თვის მუშაობის შემდეგ, დავამთავრე სრულყოფილებასთან ყველაზე უფრო ახლოს მყოფი ჩემი „ორგანონის“ მეექვსე გამოცემა.“ შემდეგ სურვილს გამოთქვამს წიგნი საუკეთესო ქაღალდზე, სრულიად ახალი შრიფტით მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოიცეს; მოკლედ, უნდოდა, რომ ის საუკეთესო ყოფილიყო. გამომცემელმა პატივცემული ავტორის სურვილები მთლიანად შეასრულა.

ყველა შენიშვნა, ცვლილება და დამატება საგულდა-

გულოდ ვთარგმნე ჩემს ხელთ არსებული ხელნაწერიდან. ჰანემანმა თვითონ შეასრულა ის თავისი, გამოხატულად წვრილი, გარკვეული ხელწერით, რომელიც ამ წლების განმავლობაში საუცხოოდა შენახული და დღესაც ისევე გარკვევით იკითხება, როგორც დაწერისას. წიგნის იმ ვრცელი ნაწილების თარგმნის დროს, რომელშიც მას შესწორება არ შეუტანია, დოქტორი დაჯეონის შესანიშნავად შესრულებული მეხუთე გამოცემა გამოვიყენე, რომელიც სრულყოფილი ინგლისურითა და ჰანემანის სპეციფიკური სტილის დაცვით გამოირჩევა.

ქვემოთ მოყვანილია ამ ბოლო გამოცემაში შეტანილი ზოგიერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილება.

მეთერთმეტე პარაგრაფის ვრცელ შენიშვნაში ჰანემანი მნიშვნელოვან საკითხს – დინამიკური ზემოქმედებას განიხილავს, ხოლო 22-ე და 29-ე პარაგრაფებში ასახულია მისი უკანასკნელი შეხედულებები სასიცოცხლო პრინციპზე. წინა გამოცემაში გამოყენებული ტერმინი „სასიცოცხლო ძალა“ ჰანემანმა ახალ ვარიანტში „სასიცოცხლო პრინციპით“ შეცვალა.

პარაგრაფები 52-დან 56-ის ჩათვლით უცვლელადაა გადაწერილი, ხოლო 64-74-ე პარაგრაფებს ვრცელი შენიშვნები აქვს დამატებული. 148-ე პარაგრაფი პრაქტიკულად ხელმეორედაა დაწერილი და დაავადების წარმოშობას ეძღვნება. მასში უარყოფილია *Materia pecans* [აუადმყოფობის გამომწვევი მატერია], როგორც მთავარი ეტიოლოგიური ფაქტორი.

უდიდესი მნიშვნელობა აქვთ 246-248-ე პარაგრაფებს, რადგანაც ისინი ქრონიკული დაავადებების დროს წამალთა დოზირებას ეხება. აქ იგი უარს ამბობს ერთი დოზის დაწინაშე და გვირჩევს დოზის გამეორებას, თუმცა უკვე სხვა პოტენციებში. 269-272-ე პარაგრაფებში ძირითადად მისი უკანასკნელი შეხედულებების მიხედვით ჰომეოპათი-

ური წამლების მომზადების ახალი ტექნიკაა განხილული.

შედგენილი წამლების დანიშვნის მარადიული პრობლემა სრულად და საბოლოოდაა გადაჭრილი 273-ე პარაგრაფში და ამ მეთოდის მცდარობის ყოველგვარ ეჭვს აბათილებს.

მთლიანად ახალი და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია 282-ე პარაგრაფის შენიშვნა. აქ მისი რეკომენდაციები ფსორით, სიფილისით და სიკოზით განსაზღვრული ქრონიკული დაავადებების მკურნალობის შესახებ, აბსოლუტურად განსხვავდება წინა გამოცემებში მოცემული მითითებებისაგან. ახლა მკურნალობის დაწყებას უკვე მათთვის სპეციფიკური წამლების დიდი დოზით გვირჩევს, დინამიზაციის უფრო მაღალ ხარისხზე თანდათან გადასვლით. მახვილწვეტიანი კონდილომების მკურნალობის დროს აუცილებლად მიაჩნია ადგილობრივი მკურნალობა წამლის შინაგან მიღებასთან ერთად.

წარმოდგენილი წიგნი ჰანემანის მიერ პირველ და შემდგომ გამოცემებში გადმოცემული პრინციპების განვითარების საბოლოო სიტყვად გვევლინება. მასში ახსნილი და გაფართოებულია ავტორის მრავალი წარმოდგენა იმ მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც დააგროვა თავისი სამედიცინო მოღვაწეობის ბოლო წლებისათვის როგორც მწვავე, ისე ქრონიკული დაავადებების მკურნალობის დიდი პრაქტიკის საფუძველზე. ისტორიულად მეექვსე გამოცემა ძალიან საინტერესო და უდიდესი მნიშვნელობის წიგნია, რადგან იგი აგვირგვინებს სამედიცინო ხელოვნების არსში ჰანემანის საკვირველ ფილოსოფიურ განჭკვრეტას. ჰანემანის „ორგანონი“ სამედიცინო ფილოსოფიის უმაღლესი მიღწევაა, რომლის პრაქტიკული ინტერპრეტაცია ჭეშმარიტად ნათელს მოჰყენს მკურნალობის კანონს და მისი დახმარებით ექიმებს თერაპიის ახალი სამყაროსკენ გაუძღვება.

ჰანემანის ერუდირებულმა და გულმოდგინე მოწაფემ

დოქტორმა ჯეიმს კრაუსმა ბოსტონიდან, პატივი დაგვდო ამ გამოცემისათვის შესავალი დაეწერა. მინდა მაგლიერება გამოვხატო მის მიმართ როგორც შესავლისათვის, ასევე სხვა მნიშვნელოვანი დახმარებისათვის.

უილიამ ბიორიკე  
სან-ფრანცისკო, დეკემბერი 1921 წელი.

## შესავალი

დოქტორი ბიორიკეს მიერ თარგმნილი  
ჰანემანის „ორგანონის“ მეექვსე გამოცემისთვის

ჰანემანის „სამედიცინო ხელოვნების ორგანონის“ დაჯეონის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული მეხუთე გამოცემის თარგმანის ხარისხი, უზადოდ იქნა შენარჩუნებული დოქტორ უილიამ ბიორიკეს გერმანული მეექვსე გამოცემის ინგლისურენოვან ვარიანტში. დოქტორი ბიორიკეს წინაშე კაცობრიობა ორმაგადაა დავალებული, ჰანემანის ბოლო, შესწორებული და შევსებული ვარიანტის ხელნაწერის შესაძლო დაკარგვისაგან გადარჩენისა და მისი საუცხოო ერთ თარგმნის გამო. ჰანემანის ამ ხელნაწერს ორჯერ ჰქონდა დაკარგვის საშიშროება. პირველად – საფრანგეთ-პრუსიის ომში (1870-71წლებში) პარიზის ალყის დროს და მეორედ – ვესტფალიის გაჩანაგებისას მსოფლიო ომში\* 1914-18 წლებში. დოქტორმა ბიორიკემ ჰანემანის უკანასკნელი სამედიცინო ხელნაწერის სამედიცინო საზოგადოებისადმი წარდგენაში მთავარი როლი ითამაშა.

ყველაფერი, ოდესმე ჰანემანის მიერ დაწერილი, მედიცინისათვის ისტორიულ ინტერესს წარმოადგენს. მიუხედავად წინასწარ ცუდი აზრის მქონე, შემგუებელი და უვიცი ეგრეთ წოდებული მედიცინის ისტორიკოსების ყველა მცდელობისა, დაამცირონ მისი მნიშვნელობა, ჰანემანი პრაქტიკული მედიცინის ისტორიაში ოთხი ეპოქალური ფიგურადან ერთ-ერთად რჩება. **ჰიპოკრატე – დამკვირვებელი**, შემოიღო კლინიკური დაკვირვების ხელოვნება, როგორც დაავადების დიაგნოსტიკის აუცილებელი საფუძველი; **გალენი – გამავრცელებელი**, თავისი ძლევამოსილი ავტორიტეტით

\* II მსოფლიო ომამდე I მსოფლიო ომს ერქვა მსოფლიო ომი. (მთარგმნელის შენიშვნა)

ჰიპოკრატეს მოძღვრება მთელ სამედიცინო სამყაროზე განავრცო; პარაცელსი – კრიტიკოსი, სამედიცინო პრაქტიკაში შემოიღო ქიმიური და ფიზიკური ანალიზი; ჰანემანი – ექსპერიმენტატორი, აღმოაჩინა როგორც დაავადებების დიაგნოსტიკის სიმპრომატიკური წყარო, ასევე თერაპიული საშუალებები, რითაც სამედიცინო პრაქტიკა მეცნიერული გახდა.

სამეცნიერო სამედიცინო პრაქტიკაში ადამიანისათვის დამახასიათებელი ნებისმიერი ადგილობრივი, პლასტიკური ან ტოქსიკური დაავადებით გატანჯულ თითოეულ პაციენტს ვიკვლევთ დაავადების სიმპტომების და ნიშნების, ყველა ავადმყოფური ცვლილების გამოვლენის მიზნით, რათა დავადგინოთ დიაგნოზი და თერაპიული საშუალება, აგრეთვე გავაკეთოთ დაავადების პროგნოზი. დაკვირვების საფუძველზე ვიკვლევთ პათოლოგიურ მოვლენებს და მათ ფიზიოლოგიურს ვადარებთ, დიაგნოსტიკური ინტერპრეტაციის, პროგნოზული წინასწარმეტყველებისა და თერაპიული ზემოქმედების აღმოჩენის მიზნით. არსებული პათოლოგიური მდგომარეობის შედარებით მის მსგავს პათოლოგიურ მდგომარეობებთან ესვამთ დიაგნოზს. ვადგენთ ანატომიურ ნაწილს, რომელშიც დაავადება ლოკალიზდება, ვაქვლენთ დაზიანებულ ორგანოს, მის ყველაზე უფრო მეტად დაზიანებულ ნაწილს და ამით ვპასუხობთ შეკითხვაზე – „სად?“. განვსაზღვრავთ ფიზიოლოგიურ პროცესს, ანუ გამოვავლენთ ანთებას, გამონაჟონს, დეგენერაციას, ნეკროსს, ატროფიას, ჰიპერტროფიას, აპლაზიას, ჰიპერპლაზიას და ამით ვპასუხობთ შეკითხვაზე – „რა?“. ვადგენთ ეტიოლოგიურ ფაქტორსაც ანუ განვითარების თავისებურებებს, ტრავმატიზაციას, ინფიცირებას, აგზნებას და ამით ვპასუხობთ შეკითხვაზე – „როგორ?“ და ბოლოს თერაპიულ ზემოქმედებას ვადგენთ, ანუ განვსაზღვრავთ წამალს განსაკურნავად ან დროებით შესამსუბუქებლად, ასევე გასაჯან-

სადებლად მიმართულ პროფილაქტიკურ მკურნალობას.

განვითარების მანკის, ცდომის, კვების დარღვევის, ტრავმის, ორგანიზმში უცხო სხეულის მოხვედრის, პოსტ-ტრავმატული და ინფექციური ანთების, ახალწარმონაქმნის მკურნალობა ხორციელდება წამლების, ქირურგიული ან ჰიგიენური საშუალებების გამოყენებით ან სამივე საშუალების მეშვეობით ერთდროულად. ქირურგიას შეუძლია მოიცილოს ან შეასუსტოს ანატომიური დეფექტები, წანაზარდები და სიმახინჯეები. საკვებს, წყალს, ჰაერს, სითბოს და სიცივეს, მასაჟსა და შთაგონებას, ისევე როგორც ჯირკვლებიდან გამონაწურს, ენდოკრინული სისტემის ფუნქციის უკმარისობის საკომპენსაციოდ ან ვაქცინებს ანტისხეულების წარმოქმნის სასტიმულაციოდ, ან შრატს ანტისხეულებით უზრუნველსაყოფად, შეუძლიათ განკურნონ ან შეასუსტონ სიჭარბე, უკმარისობა ან ფიზიოლოგიური პროცესების გაუკუღმართება, შეუძლიათ აღადგინონ მათი ჯანსაღი მიმდინარეობა.

წამლისმიერ თერაპიას შეუძლია განკურნოს ან შეამსუბუქოს ეტიოლოგიური ფაქტორების ჭარბი, გაუკუღმართებული ან არასაკმარისი ზემოქმედება, რომელიც არ იკურნება ან შეუძლებელია განიკურნოს, აგრეთვე არ მსუბუქდება და არ შეიძლება შემსუბუქდეს ქირურგიული, ჰიგიენური და კვაზიჰიგიენური გზებით.

შეუძლებელია გამოვავლინოთ ყველა წინამორბედი ეტიოლოგიური ზემოქმედება, რომლებიც შემდგომში დაავადებას განაპირობებენ. უფრო იოლია გამოვაცხადოთ *Tolle causam* [მოაშორე მიზეზი], ვიდრე ამ ლოზუნგის პრაქტიკაში რეალიზება. როგორ შეგვიძლია წამლისმიერი საშუალებებით მოვიცილოთ ან შევასუსტოთ მათი გამოვლინება? სწორედ ამ შეკითხვაზე ისტორიაში პირველად ჰანემანმა უპასუხა, როცა თქვა: „მოაცილეთ გამოვლინებები და თქვენ მოიცილებთ დაავადებას“, *Cessat effectus cessat causa*. ემპირუ-



ლი მედიცინა მარჩიელობს, რეკომენდაციას უწევს, ცდის, ეწინააღმდეგება სწორ გადაწყვეტილებას და ცდება, ცდება და კვლავ თავს ესხმის. სამეცნიერო მედიცინა არ მკითხაობს, იგი ისევე, როგორც ყოველი სხვა მეცნიერება, გამოვლინებებს, შეგრძნებებსა და მოძრაობებს, შესაბამის გამოვლინებებს, შეგრძნებებსა და მოძრაობებს ადარებს. მხოლოდ თაღლითი მედიკოსები ამბობენ აუგს შედარების მეთოდზე, როგორც არამეცნიერულზე. ყოველივე, რაც მეცნიერულად შეგვიძლია გავაკეთოთ და რაც ადამიანთა შესაძლებლობებში დევს – დაკვირვება და კლასიფიცირება, შედარება და დასკვნების გაკეთებაა. ჰანემანი ამბობს, რომ წამლები მათ ჭეშმარიტ ეფექტზე დაყრდნობით უნდა გამოვიყენოთ. რამდენადაც შეუძლებელია დაავადების ყველა წინამორბედი ეტიოლოგიური ფაქტორების ცოდნა, იმდენად ცნობილ ავადმყოფურ გამოვლინებებს უნდა ვუმკურნალოთ იმ წამლებით, რომელთა თვისებებიც დაავადგინეთ და ვიცით. ავადმყოფურ გამოვლინებებს იმ წამლებით ვხსნით, რომლებსაც შესაბამისი გამოვლინებები აქვთ. თუკი ავადმყოფური გამოვლინებები in toto ქრება, ჩვენ სრულ განკურნებას ვაღწევთ, ხოლო როცა ავადმყოფური გამოვლინებები ნაწილობრივ ქრება, მაშინ – დროებით გაუმჯობესებას. ავადმყოფური და წამლისმიერი გამოვლენის მეცნიერულ შედარებას, დიაგნოსტიკური დასკვნებისკენ მივყავართ და მეცნიერულ მედიცინას შესაძლებლად აქცევს.

1790 წელს ჰანემანმა ქინაქინაზე თავისი სახელგანთქმული ცდა ჩაატარა. მას შემდეგ, 1839 წლამდე კი, ე.ი. დაახლოებით ორმოცდაათი წლის განმავლობაში, კიდევ ოთხმოცდაცხრამეტი წამალი შეისწავლა (ჯანმრთელ ადამიანებზე ცდების ჩატარებით) და მათი ადამიანის სხეულზე ზემოქმედების შესახებ თავისი დაკვირვებების შედეგებზე ჩანაწერები დატოვა. ეს ჩანაწერები, გამოქვეყნებული ნაშრომებში: „Fragmenta de Viribus Medicamentorum Positivis”

[„ფრაგმენტები წამლების შემოქმედების ძალაზე“], „Materia Medica Pura“ და „ქრონიკული დაავადებები“, ჰანემანამდე და მის შემდეგაც კი, მედიცინის ისტორიის ანალებში ერთი მკვლევარის მიერ ოდესმე ჩატარებული წამლისმიერი შემოქმედების გამოკვლევის ყველაზე უფრო საგულდაგულო და ნაყოფიერი გამოკვლევების ანალიზს წარმოადგენს.

ჰანემანი ყველა პარამეტრის მიხედვით წუნდაუდებელი ექსპერიმენტატორი იყო. ის დღეში ორჯერ იღებდა ორ-ორ დრაქმა ქინაქინას. მას შემცივნებისა და ცხელების პაროქსიზმები უვითარდებოდა. სამედიცინო პრაქტიკაშიც შემცივნების და ცხელების ასეთ პაროქსიზმებს ის ქინაქინის საშუალებით წარმატებით მკურნალობდა. უკვე შეუძლებელი იყო იმის მტკიცება, რომ ქინაქინა არჩენს შემცივნებისა და ცხელების პაროქსიზმებს იმიტომ, რომ არის მწარე ან მთრიმლავი ნივთიერება\*.

ნათლად გამოვლინდა ჭეშმარიტი დასკვნა: ქინაქინა განკურნავს შემცივნების და ცხელებისა პაროქსიზმებს იმიტომ, რომ იგი თავად იწვევს შემცივნებისა და ცხელების პაროქსიზმებს. ფარმაკოლოგიური საშუალებების მეთოდური შესწავლის აუცილებლობა აშკარა გახდა. ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ ჰანემანს ექსპერიმენტები არა თავის თავზე, არამედ ძაღლებზე, კატებზე ან თაგვებზე უნდა ჩატარებინა, ჯერ კიდევ არ იცნობენ სამეცნიერო ლოგიკას. დაავადება ვლინდება არამარტო გრძნობათა ორგანოებით აღქმადი ობიექტური ნიშნებით, არამედ სიტყვებით გადმოცემადი სუბიექტური სიმპტომებით. შეუძლია კი ადამიანს, რომელიც ექსპერიმენტებს ატარებს, ჩაიწეროს კატების, ძაღლების ან თაგვების სუბიექტური შეგრძნებები, როცა არც კატებს, არც ძაღლებს და არც თაგვებს არ შეუძლიათ გადმოსცენ თავი-

\* რითაც შოტლანდიელი ექიმი უილიამ კულენი ქინაქინის მოქმედების ეფექტს ხსნიდა თავის „მატერია მედიკაში“. სწორედ ამ წიგნის თარღმნის შემდეგ დაიწყო ჰანემანმა ქინაქინის მოქმედების თავის თავზე შესწავლა.

სი სუბიექტური შეგრძნებები? არ არსებობს ორი ადამიანი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობით აბსოლუტურად ერთნაირია. ნუთუ ძაღლები, კატები, ვირთხები ან თაგვები უფრო ჰგვანან ადამიანებს, ვიდრე თვითონ ადამიანები ერთმანეთს?

ექსპერიმენტატორ-რუტენიორი ანუ ეგრეთ წოდებული ექსპერიმენტატორი, ცდებს ისე ატარებს, თითქოს ეს თვითმიზანი იყოს. აი, მიზეზი, რის გამოც მრავალმა საზოგადო და კერძო კვლევითმა ლაბორატორიამ შედეგი ვერ მოგვცა. ექსპერიმენტატორი ექსპერიმენტატორობს, მაგრამ არ იცის რისთვის. ზნეობრივი გამართლება შესაძლოა იყოს იმაში, რომ ის ამაში ფულს იღებს, მაგრამ სად არის მეცნიერული გამართლება? ჰანემანს ჰქონდა თავისი ექსპერიმენტების მეცნიერული გამართლება. აი მიზეზი, რომლის გამოც ისინი უნაყოფო არ იყო.

ცდები დაკვირვების მიზნით მისი შემდგომი ინდუქციისათვის, ან ინდუქციური დასკვნების დასადასტურებლად ტარდება. ექსპერიმენტირება – ანალიზი, დედუქცია, ანალიტიკური დედუქციაა. ბუნების ობიექტების თვისებებზე, ადამიანებზე, წამლებზე დედუქციურ დასკვნებს სხვა თვისებებთან შედარებით ვაკეთებთ. ჩვენ ვაკვირდებით განსხვავებას. დაკვირვება შედარებას, აწონ-დაწონას, განსხვავების შეფასებას გულისხმობს. ვადარებთ შესაბამისობის მიხედვით, ხოლო კლასიფიცირებას ვახდენთ მსგავსებით. კლასიფიცირება სინთეზია, ინდუქცია კი სინთეზური ინდუქციაა. ვახდენთ კლასიფიცირებას და განვიხილავთ შემდგომი რეფლექსიისათვის, მოსაფიქრებლად და შესაფასებლად. ვურჩევთ აუცილებელ ფორმულირებებს. შემდგომი შემოწმებისათვის ჰიპოთეზების ფორმულირებას ვახდენთ. ექსპერიმენტების, ანალიტიკური დედუქციის საშუალებით ჩამოყალიბებულ მეცნიერულ დასკვნებს, მეცნიერული დედუქციის შედეგებს ვამოწმებთ.

ჰანემანი ექსპერიმენტებს დაკვირვებისათვის ატარებდა. მან საკუთარ თავზე ჩატარებული ექსპერიმენტებით დაადგინა, რომ ქინაქინას ქერქის სიმპტომური ეფექტი ხანგანულებითი ცხელების სიმპტომური ეფექტის მსგავსია, რასაც ის სხვა ადამიანებში ქინაქინას ქერქის დახმარებით არჩენდა. ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ ჯანმრთელ ადამიანში მიღებული ქინაქინა ხანგანულებითი ცხელების ნიშნებს, ობიექტურ სიმპტომებსა და შეგრძნებებს, სუბიექტურ სიმპტომებს არ გამოიწვევს? ჰანემანმა ჯანმრთელობის მდგომარეობასა (როცა ის წამალს არ იღებდა) და ავადმყოფურ მდგომარეობას შორის (როცა წამალს იღებდა) განსხვავება გამოავლინა. ის უნაყოფო დამკვირვებელი არ ყოფილა. აღქმამ გაგებამდე მიგვიყვანა. ჰანემანმა გაიაზრა ქსოვილებთან წამლების სიმპტომური ნათესაობა, წამლებისა და ქსოვილების სიმპტომთა მსგავსება, როგორც არსებითად მნიშვნელოვანი კანონზომიერება წამლით განკურნებად დაავადებათა მედიკამენტური მკურნალობისათვის. თუკი ოდესმე მეცნიერული დაკვირვებების საფუძველზე მკაცრი მეცნიერული დასკვნა გაკეთებულა, ეს ჰანემანის დასკვნაა წამალთა და ქსოვილთა სიმპტომების მსგავსების შესახებ, რომელსაც მან ჰომეოპათია დაარქვა და მის ასახსნელად 1810 წელს „სამედიცინო ხელოვნების ორგანონი“ დაწერა, რომელიც თანამიმდევრულად განაახლა 1819, 1824, 1829, 1833 წლებში. საბოლოოდ შეავსო და შეასწორა 1833 წლის ვარიანტი და 1842 წელს ბოლო მეექვსე გამოცემა მოამზადა.

ის ცდებოდა? მისი კონცეფცია ნაადრევი იყო? ჰანემანი არ განეკუთვნებოდა იმ ევრეთ წოდებულ მეცნიერთა რიგს, ვინც თავის აღქმულ ფაქტებს აგროვებს და კატალოგიზაციას უკეთებს, თუმცა ამ დროს არაუმეტეს მეცნიერულ წარმოსახვას ავლენს ვიდრე ბიბლიოთეკის კატალოგთა შემდგენელი ან გადასახადთა ამკრეფი. მეცნიერება – ანალიტიკური გამოკვლევების შედეგების სინთეზური გან-

ზოგადების შედეგად მიღებული უკვე დადასტურებული ან მომავალში დადასტურებადი ცოდნაა. აღქმის საფუძველზე სამეცნიერო გაგებისათვის პერცეპციის არც ისე ბევრი ობიექტია საჭირო. ცდებოდა კი პითაგორა, როცა ის დასკვნას აკეთებდა დედამიწის სფეროსებური ფორმის შესახებ, იქედან გამომდინარე, რომ ჯერ ხედავდა პორრიზონტის მხრიდან მომავალი გემის ანძასა და აფრებს და არა კორპუსს? იყო კი მისი კონცეფცია ნაადრევი, ცრუ, რის შედეგადაც პრაქტიკულად ორიათასი წლის განმავლობაში, არისტოტელეს გარდა, ყველა იმ აზრის იყო, რომ დედამიწა ბრტყელია და ამიტომ, თითქმის ორიათასი წელი გახდა საჭირო, რათა კოლუმბს დაეწყო და მაგელანს დაესრულებინა ცურვა მსოფლიოს გარშემო?

ჰანემანი ხედავდა, რომ მის დასკვნაში შეცდომა არ იყო. ის თავად იყო თავის თავის კოლუმბიც და მაგელანიც. ჰანემანი თვითონ მკურნალობდა პაციენტებს, რომლებიც წამლით მკურნალობას ექვემდებარებოდნენ და სხვა ექიმებს ასწავლიდა სიმპტომთა მსგავსების გააზრებელი მეთოდის საფუძველზე ასეთი პაციენტების მკურნალობას. 1797 წელს მან გამოიყენა *veratrum album* კოლიკის სამკურნალოდ, *nux vomica* - ასთმის სამკურნალოდ და კურნავდა თავის მრავალრიცხოვან პაციენტებს როგორც კენინგსლუტერში დროებით ყოფნისას, ისე პარიზში ცხოვრების მანძილზე, წამლისმიერი სამეცნიერო თერაპიის ძირითადი მეთოდის, სიმპტომთა მსგავსების მეთოდის დახმარებით. მისი დადასტურებები ჭეშმარიტად მეცნიერული იყო. ამაში დაეჭვებული სინამდვილეში არ ეჭვიანობს, რადგან დაეჭვების მიზეზი არ გააჩნია; არ იცის, რაში მდგომარეობს მისი დაეჭვება. ჰანემანის მტკიცებულებანი არწმუნებს მას, ვისაც მეცნიერული მსჯელობისათვის საკმარისად სრულყოფილი ჭკუა აქვს, ვინც თავის სრულყოფილ გონებას დღევანდელ კერპებს არ სწირავს, ვინც მეცნიერული დაკვირვებების ჰანე-

მანისეულ ანალიზს სათანადოდ აღიქვამს. ნებისმიერი სხვა მეთოდი, გარდა მეთოდისა, რომლის მიხედვითც ჯანმრთელ მდგომარეობაში დღეში ორჯერ ორ-ორი დრაქმა ქინაქინა უნდა მივიღოთ, რათა დაავადასტუროთ ან უარყოთ ჰანემანის აღმოჩენა, ქინაქინას სიმპტომების და ხანგანელებითი ცხელების მსგავსების შესახებ, სამეცნიერო ექსპერიმენტს არ წარმოადგენს. ნებისმიერი სხვა მეთოდი, გარდა მეთოდისა, რომლის შესაბამისადაც ხანგანელებითი ცხელებით დაავადებულ პაციენტებს უნდა დაენიშნოთ ქინაქინა უფრო მცირე დოზით, ვიდრე საჭიროა ჯანმრთელ ადამიანებში ხანგანელებითი ცხელების სიმპტომების მსგავსი სიმპტომების გამოსაწევად, არ არის სამეცნიერო ექსპერიმენტული შემოწმება ჰანემანის დასკვნებისა იმის შესახებ, რომ სიმპტომთა მსგავსების მეთოდი დაავადებათა მართლაც განმკურნავი მეთოდია. ის, ვინც სხვა მეთოდებს იყენებს, საყრდენად არისტოფანის ბაყაყის თათებიც კი არ გააჩნია. პასტერმა, როცა გაიგო, რომ ჯენერის მიერ მოწოდებული, ნაკლებად ძლიერი, ძროხის ყვავილის აცრა უფრო მძიმე, ნატურალური ყვავილის განვითარებას თავიდან გვაცილებს, გამოიტანა დასკვნა კონკრეტული დაავადებების გამომწვევი და თავისი გამოვლინებებით უფრო მსუბუქი აცრებით ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკური მკურნალობის შესაძლებლობის შესახებ. როგორ დაავადასტურა პასტერმა თავისი დასკვნა? ამისათვის მან გარკვეული რაოდენობის ცხვრების ნაწილს ჩაუტარა ვაქცინაცია ციმბირის წყლულის გამომწვევების მცირე დოზით, ხოლო შემდეგ ყველა ცხოველს შეუყვანა მისი დიდი, ციმბირის წყლულის განვითარებისთვის საკმარისი დოზა; ყველა ადრე ვაქცინირებული ცხვარი ცოცხალი დარჩა, ხოლო არავაქცინირებულები ციმბირის წყლულისაგან დაიხოცნენ. პასტერი, როგორც უფრო ადრეული და დიადი ჰანემანი, მეცნიერული და არა მოჩვენებითი ექსპერიმენტატორი იყო.

სამეცნიერო სამედიცინო ექსპერიმენტების ერა დაწყებულია ჰანემანის და არა სხვა ვინმეს მიერ. სულის სიღრმეზე მეცნიერი, ჰანემანი ექსპერიმენტებს მეცნიერული დაკვირვებებისთვის ატარებდა. ცოცხალი და ძლიერი აზროვნების პატრონმა თავისი დაკვირვებებიდან მეცნიერული დასკვნები გააკეთა. შემოწმებებისას უკომპრომისო, დაუსრულებლად ასაბუთებდა პაციენტებზე თავის დასკვნებს და სიმპტომთა მსგავსების მეთოდი სამუდამოდ აქცია მეცნიერული თერაპიის ცენტრალურ სამკურნალო მეთოდად. აი, უკვე ას წელზე მეტია ექიმები შეგნებულად თუ შეუგნებლად მისდევენ ამ მეთოდს. შედეგები ჰანემანის აზრს ადასტურებენ. არ არსებობს იმაზე დიდი მიღწევა, ვიდრე აღმოვაჩინოთ მეცნიერული ჭეშმარიტება და მის მიმღებ და განმავითარებელ შემდგომ თაობებს გადაეცეთ. ჰანემანის „სამედიცინო ხელოვნების ორგანონი“ გამოდის სიმპტომთა მსგავსების მეთოდის, როგორც პათოლოგიური და თერაპიული დიაგნოსტიკის ექსპერიმენტალური საფუძვლის, როგორც სამეცნიერო მედიცინის echte Heilweg [გაჯანსაღების ჭეშმარიტი გზა] სახელმძღვანელო.

ჯეიმს კრაუსი  
მედიცინის დოქტორი  
ბოსტონი, 30 სექტემბერი 1921 წ.

## ავტორის წინასიტყვაობა მეექვსე გამოცემისადმი\*

იმისათვის, რათა მედიცინის ძველი სკოლის (ალ-ოპათიის) მკურნალობის მეთოდზე ზოგადი წარმოდგენა გვექონდეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ზოგჯერ სისხლის სიჭარბეს (არასოდეს არარსებულ პლეტორას) გულისხმობს, ზოგჯერ კი ავადმყოფობის გამომწვევე მატერიას და სხვა მწვავე პროცესებს; ამიტომ, სიცოცხლისათვის ასეთი აუცილებელი სისხლის გამოშვებას იყენებს და მთელი ძალით ცდილობს ან გაწმინდოს წარმოსახვითი ავადმყოფობის გამომწვევი მატერია, ან სხვა საშუალებებით (პირსასაქმებელი, საფაღარათო, ნერწყვმდენი, შარდმდენი, გამწოვი სალბუნები, დრენაჟები, ფონტანელები და ა.შ.) განდევნოს ის, იმ ფუჭი იმედით, რომ ამით დაავადება შესუსტდება და მატერიალურად ამოიძირკება; ამის მაგივრად პაციენტის ტანჯვა ძლიერდება და ამ მანკიერი ზომების შედეგად ორგანიზმი განკურნებისთვის აუცილებელ ძალას და სითხეებს კარგავს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში თავს ესხმის ადამიანის სხეულს ძლიერმოქმედი წამლების დიდი, ხშირადგანმეორებადი და ცვლადი დოზებით, რომელთა მდგრადი, ხშირად საშიში ეფექტების შესახებ მან არაფერი იცის. თითქოს ერთ რეცეპტში განზრახ, კიდევ უფრო აურდაურევს რამდენიმე უცნობ ნივთიერებას, რომელთა ხანგრძლივი გამოყენება ადამიანის სხეულში ახალახალ და



ხშირად მოურჩენელ წამლისმიერ დაავადებებს იწვევს.\*

ავადმყოფის<sup>1</sup> ნდობის შესანარჩუნებლად ყოველთვის, როცა ეს შესაძლებელია, ის იყენებს საშუალებებს, რომელთა საწინააღმდეგო მოქმედების დახმარებით (contraria contrariis) მაშინვე, თუძცა ხანმოკლე დროით, თრგუნავენ და მაღავენ ავადმყოფურ სიმპტომებს (პალიატიური საშუალებები), მაგრამ ვერ იცილებენ სიმპტომთა (დაავადების) აღმოცენების მიზეზებს, მხოლოდ აძლიერებენ და ამწვავენ მათ. გარეგან დაზიანებებს გამონაკლისის გარეშე ადგილობრივად, დამოუკიდებლად არსებულად თვლის და უსაფუძვლოდ ჰგონია, რომ კურნავს მათ, იცილებს რა ამ დაზიანებებს გარეგანი საშუალებებით ისე, რომ შინაგან დაზიანებას აიძულებს სხეულის რომელიმე სხვა, უფრო მნიშვნელოვან ნაწილში იჩინოს თავი. როცა ძველმა სკოლამ არ იცის, კიდევ რა შეიძლება იღონოს იმ დაავადების დროს, რომელიც მკურნალობას არ ემორჩილება ან მკურნალობისას მწვაედება, ის ცვლილებების გამომწვევი საშუალებებით მის სხვა ფორმაში (თვითონაც არ იცის რაში) გადაყვანას ცდილობს სიცოცხლის დამანგრეველი კალომელით, სულემითა და ვერცხლისწყლის სხვა პრეპარატების დიდ დოზებით.

\* თავის ხელნაწერ ეგზემპლიარში პანემანმა ფრანგულად შემდეგი შენიშვნა გააკეთა. ჩვეულებრივმა მედიცინამ (ალოპათიამ) არანაირი მკურნალობა არ იცის, მაენე ნივთიერების მოცილების გარდა, რომელსაც ეტიოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობა მიეწერება. სისხლი უმოწყალოდ იფლანგება არარსებული პლეტორის მოსაცილებლად დაუნიანებელი სისხლის გამოშვებით, წურბლების და კოტოშების დასმით, დასურვით. მაშინ, როცა ქალებში მენსტრუაცია მდე რამდენიმე დღით ადრე განვითარებული ჰემმარიტი სისხლსავსეობა, რომელიც სისხლის შეგუბებაში მდგომარეობს და მისი დაკარგვა შესაძინე შედეგებს არ იწვევს, სავარაუდო პლეტორის დროს სიცოცხლისათვის დამანგრეველია. ჩვეულებრივი მედიცინა მიისწრაფის მოაშოროს კუჭის შიგთავსი და პირწმინდად გაწმინდოს ნაწლავები ნივთიერებებისაგან, რომლებსაც დაავადების გამომწვევის უნარი მიეწერებათ.

*1. გამოცდილი ალოპათი იმავე მიზნით დიდი სიამოვნებით იგონებს დაავადებათა სახელებს, ყველაზე ხშირად ბერძნულს, რათა შთააგონოს პაციენტი, რომ დიდი ხანია კარგად იცნობს ამ დაავადებას და მის მკურნალობაში ყველაზე უფრო გამოცდილ ადამიანად გვევლინება.*

თითქოს ძველი სამედიცინო სკოლის (ალოპათიის) უზნეო ღონისძიებანი მიმართულია იქეთ, რათა დაავადებათა უმრავლესობა მოურჩენლად აქციოს, უეცრობის გამო ისინი ქრონიკულში გადაიყვანოს და უკვე გამოფიტულ პაციენტს მუდმივად ასუსტებს და აწამებს ახალი, დამანგრეველი წამლისმიერი დაავადების დამატებით. როცა ეს მავნე პრაქტიკა ჩვეულებად და ჯანსაღი აზრისათვის ხელშეუხებლად იქცა, მაშინ ყოველივე ზემოდაღწერილი ძალიან გამარტივდა.

მიუხედავად ამისა, ძველი სკოლის ექიმს შეუძლია ყველა ამ მავნე პროცედურას ახსნა მოუძებნოს, თუმცა მხოლოდ მისი წიგნებისა და მასწავლებლების ან ძველი სკოლის ამა თუ იმ აღიარებული ექიმის ავტორიტეტის შორს მიმავალ დასკვნებს ეფუძნება. ამგვარად, მკურნალობის ყველაზე უფრო არაბუნებრივი და უაზრო მეთოდებიც კი გამართლებას და დაცვას იძენენ, თუნდაც მათი საშინელი შედეგები საწინააღმდეგოს ადასტურებდეს. მხოლოდ ძველი სკოლის ხანგრძლივი პრაქტიკის მქონე ექიმი თანდათან, მრავალი წლის ბოროტების შემდეგ გაიცნობიერებს თავისი ეგრეთ წოდებული ხელოვნების მავნეობას და თვით ყველაზე სერიოზულ დაავადებებსაც კი მარწყვის სიროპში შერეული მრავალძარღვას წვენზე უფრო ძლიერი საშუალებებით უკვე აღარ მკურნალობს (ანუ არაფრით არ მკურნალობს), ასე პაციენტთა მხოლოდ მინიმალურ რაოდენობას დაღუპავს.

ეს არაეფექტური მკურნალობა, თავისი შეხედულები-სამებრ მრავალი ასწლეულის განმავლობაში სრულიად განუყოფლად განაგებს პაციენტების სიცოცხლესა და სიკვდილს და ათჯერ უფრო მეტ ადამიანს მოუსწრაფა სი-

ცოცხლე, ვიდრე ყველაზე სისხლისმღვრელმა ომებმა, მილიონობით პაციენტი უფრო ავადმყოფად და უბედურად აქცია, ვიდრე საწყისი დაავადების დროს იყვნენ, სწორედ ეს გახლავთ ალოპათია. „სამედიცინო ხელოვნების ორგანონის“ წინა გამოცემის შესავალში მედიცინის ეს სისტემა დეტალურად იქნა განხილული. ამჯერად, მე მხოლოდ ჩემს მიერ აღმოჩენილ და ამჟამად რამდენადმე გაუმჯობესებულ მის საწინააღმდეგო, ჭეშმარიტ საექიმო ხელოვნებაზე შევჩერდები. შეგვიძლია ძველი დროის გაჯანსაღების ყველაზე საოცარი მაგალითები მოვიყვანოთ, რომლებიც შემთხვევით აღმოჩენილ და მაშინ გაბატონებული თერაპიული მეთოდების საწინააღმდეგოდ მოქმედ ჰომეოპათიურ წამლებს უნდა უმაღლოდნენ.

რაც შეეხება უკანასკნელ სისტემას (ჰომეოპათიას), ის ახლახან განხილულისაგან მთლიანად განსხვავდება. მას იოლად შეუძლია დაარწმუნოს ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანი, რომ დაავადების მიზეზი არის არა რომელიმე ავადმყოფობის გამომწვევი ნივთიერება, არამედ ადამიანის სხეულის მაცოცხლებელი სულიერი ძალის (სასიცოცხლო პრინციპის) მხოლოდ და მხოლოდ სულიერი (დინამიკური) დაზიანება. ჰომეოპათიამ იცის, რომ გაჯანსაღება შესაძლოა მხოლოდ სწორად შერჩეულ და დანიშნულ შინაგან წამლზე სასიცოცხლო ძალის რეაქციით იყოს განპირობებული, გაჯანსაღების სიჩქარე და საიმედოობა კი ავადმყოფის დარჩენილი სასიცოცხლო ძალების პროპორციულია. ამიტომ ჰომეოპათია **გაურბის ყველაფერს, რაც ავადმყოფს თუნდაც უმნიშვნელოდ ასუსტებს<sup>2</sup>** და რამდენადაც ეს შესაძლებელია – იმას, რომ ტკივილი მიაყენოს, რადგანაც ტკივილი ჯანს აცლის ავადმყოფს და ამიტომ მკურნალობისათვის **მხოლოდ** იმ წამლებს იყენებს, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლისა და დარღვევის (დინამიკურად) ძალა მან **დანამდვილებით** იცის და მათგან ირჩევს ერთად-

ერთს, რომლის პათოგენურ ძალას (წამლისმიერი დაავადება რომელსაც ის დიდ დოზებში იწვევს) თავისი მსგავსების (Similia Similibus) მეშვეობით ბუნებრივი დაავადების განკურნება შეუძლია და მას მარტივ ფორმაში ნიშნავს, მხოლოდ იშვიათი და მცირე დოზებით, იმდენად მცირეთი, რომ ტკივილს და სისუსტეს არ იწვევს და შედეგის მისაღწევად ანუ დაავადების აღმოსაფხვრელად, სრულიად საკმარისია; ეს პაციენტის უმცირესი ვნების, დასუსტების ან ტანჯვის გარეშე მიიღწევა. ბუნებრივი დაავადება განიდევნება, პაციენტი ძალებს უკვე გაჯანსაღების დასაწყისშივე იძენს და განიკურნება. თითქოს, ეს იოლად ხდება, მაგრამ სინამდვილეში მრავალ ძალისხმევასა და დაფიქრებას საჭიროებს. თუმცა ისინი უქმად არ იკარგებიან, რადგანაც პაციენტი სრულყოფილი ჯანმრთელობის მდგომარეობას მოკლე დროის განმავლობაში, ტანჯვის გარეშე აღწევს, ამიტომ ჰომეოპათია გადამრჩენელი და ღეთის კურთხეული საქმეა.

2. ჰომეოპათია არც ერთ წვეთ სისხლს არ ღვრის, არც პირსასაქმებელ, საფადართო და ოფლმდენ საშუალებებს იყენებს, გარეგან დაზიანებებს გარეგანი საშუალებებით არ მკურნალობს, არ დაუნიშნავს ცხელ ან უცნობ მინერალურ აბაზანებს, ან წამლისმიერ ოყნებს, არ იყენებს ესპანურას (Cantharis), მდოგვის საფენებს, ღრენაუს ან ფონტანელებს, არ ალაგზნებს ნერწყვისდენას, აბზინდას სიგარეტით ან გავარვარებული რკინით ძვლამდე არ მოწვავს და არ იყენებს ახლახან ჩამოთვლილი საშუალებების მსგავსს, არამედ ექიმი თავისი საკუთარი ხელით აძლევს საკუთარ, მარტივ, არაშედგენილ პრეპარატს, რომლის თვისებებიც მან შეუცდომლად იცის, არ ახშობს ტკივილებს ოპიუმით და ა.შ.

ამგვარად ჰომეოპათია, ისე როგორც მის საფუძველში ჩადებული თავისი პრინციპებისა და პრაქტიკის მქონე დოქტრინა, უცვლელ, სრულიად მარტივ სამედიცინო სისტემად გვევლინება და სწორად გაგების შემთხვევაში დასრულებულად (და ამიტომ სამკურნალო საქმეში მისაღებად)

ჩაითვლება. ყველაფერი, რაც თეორიაში და პრაქტიკაში აბსოლუტურად ნათელია, თავისთავად აშკარა უნდა იყოს, ხოლო ჰომეოპათიისადმი, ისეთი საპირისპირო, როგორც ღამე დღისადმი, მავნე რუტინიურობისკენ მიდრეკილმა ძველი სკოლის ყველა ექიმმა ჰომეოპათის საპატიო სახელის საფარქვეშ თავი უნდა დაანებოს თავისი ხელოვნების ქებას.

სამუელ ჰანემანი  
ექტენი, 28 მარტი 1833წ.  
დადასტურებულია პარიზში, 184....\*

---

\* ხელნაწერში ჰანემანიმა ზუსტი თარიღი არ მიუთითა. შესაძლოა ეს იმ მომენტისთვის გადადო, როცა წიგნი გამომცემლის ხელში მოხვდებოდა, თუმცა დოქტორი პეილი თელის, რომ ის შესაძლოა 1842 წლის თებერვლით დათარიღდეს, რადგანაც კერძოდ ეს თარიღია მითითებული მაღამ ჰანემანის მიერ გაკეთებულ ხელნაწერ ასლში.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შემთხვევითი (ჰომეოპათიური) განკურნების მაგალითები.

არასამედიცინო განათლების მქონე პირებმაც ასევე შეამჩნიეს, რომ ეფექტური მხოლოდ მოქმედების მსგავსებაზე დაფუძნებული მკურნალობაა.

ძველი დროის ზოგიერთ ექიმსაც კი ჰქონდა წინათგრძნობა მკურნალობის ამ უბადლო მეთოდის არსებობის შესახებ.

ორბანონის ტექსტი

§ 1,2. ექიმის ერთადერთი დანიშნულებაა უმკურნალოს სწრაფად, დამზოგავად, საბოლოოდ.

შენიშვნა – არ შექმნას თეორიული სისტემები, არ შეეცადოს მოვლენების ახსნას.

§ 3,4. მან უნდა გამოავლინოს, თუ რა უნდა დაექვემდებაროს მკურნალობას და იცოდეს სხვადასხვა წამლის სამკურნალო თვისებები, იმისათვის რათა შეეძლოს შეარჩიოს უკანასკნელები პირველებისთვის და ასევე უნდა ესმოდეს, როგორ შეინარჩუნოს ადამიანთა ჯანმრთელობა.

§ 5. გამომწვევი და ფუნდამენტური მიზეზების, აგრეთვე მკურნალობისადმი სხვა დამხმარე გარემოებების გათვალისწინება.

§ 6. ექიმისთვის დაავადება მხოლოდ სიმპტომთა ერთობლიობისაგან შედგება.

შენიშვნა – ძველი სკოლა ამოდ ცდილობს დაავადების შინაგანი ბუნება (prima causa) აღმოაჩინოს.

§ 7. ამ გარემოებათა გათვალისწინებით (§5) დაავადების განკურნების შესაღწევად ექიმისათვის აუცილებუ-

ლია მხოლოდ სიმპტომთა ჯამის აღმოფხვრა.

შენიშვნა 1. – დაავადების გამომწვევი და შემანარჩუნებელი აშკარა მიზეზი უნდა აღმოიფხვრას.

შენიშვნა 2. – უნდა უარყოთ ერთადერთი სიმპტომის აღმოსაფხვრელად მიმართული მკურნალობის სიმპტომატური პალიატიური მეთოდი.

§ 8. სიმპტომების აღმოფხვრისას შინაგანი დაავადება ყოველთვის განიკურნება.

შენიშვნა – ამასაც ასევე ჯიუტად უარყოფს ძველი სკოლა.

§ 9. ჯანმრთელ მდგომარეობაში სასიცოცხლო ძალა (თვითმართვადი სასიცოცხლო ძალა) აცოცხლებს ორგანიზმს და მასში ჰარმონიას ინარჩუნებს.

§ 10. ამ მაცოცხლებელი სულიერი ძალის გარეშე ორგანიზმი მკვდარია.

§ 11. დაავადების შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ სასიცოცხლო ძალა ზიანდება, რომელიც თავის ტანჯვას (შინაგანი ცვლილებების) ორგანიზმის არანორმალური შეგრძნებებითა და გამონაყოფებით გამოავლენს.

შენიშვნა – „დინამიკური ზემოქმედების“ ცნების ახსნა.

§ 12. მკურნალობის შედეგად ყველა სიმპტომის მოხსნის შემდეგ სასიცოცხლო ძალის დაზიანება გაქრება, სხვანაირად რომ ვთქვათ, შინაგანი და გარეგანი ავადმყოფური მდგომარეობა ასევე მთლიანად აღმოიფხვრება.

შენიშვნა – განკურნებისთვის აუცილებელი არ არის იმის ცოდნა, თუ როგორ იწვევს სასიცოცხლო ძალა სიმპტომებს.

§ 13. აბსურდულია იმის წარმოდგენა, რომ ქირურგიულის გარდა, ყველა დაავადება, რაღაც განსაკუთრებული, ორგანიზმისაგან ცალკე არსებულება. ამან აქცია ალოპათია ასე მანერად.

§ 14. ავადმყოფური ბუნების ყველა ცვლილება, რომელიც მკურნალობას ექვემდებარება, ექიმს თავის არსებობის შესახებ დაავადების სიმპტომებით აძლევს ნიშანს.

§ 15. ამიტომ, სასიცოცხლო ძალის დაზიანება და დაავადების სიმპტომები განუყოფელია, ეს ერთი და იგივეა.

§ 16. ჩვენი სულიერი სასიცოცხლო ძალა მხოლოდ პათოგენური აგენტების სულიერი ზემოქმედებით ავადდება და ჯანმრთელობის აღდგენაც მხოლოდ წამალთა სულიერ (დინამიკურ) ზემოქმედებას შეუძლია.

§ 17. ამიტომ, ექიმისთვის აუცილებელია მხოლოდ დაავადების ყველა ნიშნის აღმოფხვრა და ამით ის დაავადებას მთლიანად მოიცვილებს.

შენიშვნა – 1,2 – საილუსტრაციო მაგალითები.

§ 18. სიმპტომთა ერთობლიობა წამალთა შერწყვაში ერთადერთი ჩვენება, ერთადერთ ორიენტირია.

§ 19. დაავადების დროს ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლა (დაავადების სიმპტომები) წამლებით შეუძლებელი გახდებოდა, მათ რომ ადამიანის ჯანმრთელობაში ცვლილებების გამოწვევის უნარი არ ჰქონდეთ.

§ 20. წამალთა მიერ ჯანმრთელობის ცვლილებების გამოწვევის უნარის დადგენა მხოლოდ ადამიანებზე (ჯანმრთელ) მათი მოქმედების შესწავლითაა შესაძლებელი.

§ 21. წამალთა მიერ ჯანმრთელ ინდივიდუუმებში გამოწვეული ავადმყოფური სიმპტომები მათი სამკურნალო თვისებების შესწავლის ერთადერთ წყაროა.

§ 22. ცდას რომ ეჩვენებინა, რომ დაავადებები ყველაზე უფრო საიმედოდ და საბოლოოდ მსგავსი სიმპტომების გამოწვევის უნარის მქონე წამლებით იკურნება, მაშინ მკურნალობისათვის მსგავსი სიმპტომების მქონე წამლები უნდა ამოგვერჩია; მაგრამ, ცდას რომ ეჩვენებინა, რომ დაავადებები ყველაზე უფრო საიმედოდ და საბოლოოდ



**საწინააღმდეგო წამლისმიერი სიმპტომების გამოწვევის უნარის მქონე წამლებით იკურნება, მაშინ მკურნალობისათვის საწინააღმდეგო სიმპტომების გამომწვევი წამლები უნდა შეგვეყრნია.**

შენიშვნა – წამლების გამოყენება, რომელთა სიმპტომებს ჭეშმარიტი (პათოლოგიური) დაავადების სიმპტომებთან კავშირი არა აქვს და სხეულზე სრულიად განსხვავებული სახით მოქმედებენ, დამახასიათებელია **ალოპათიური** მეთოდისთვის, რაც აუცილებელია უკუვაგდოთ.

§ 23. საწინააღმდეგო წამლისმიერი სიმპტომების დახმარებით (**ალოპათიური მკურნალობის**) ქრონიკული ავადმყოფური სიმპტომების მორჩენა შეუძლებელია.

§ 24,25. მკურნალობის სხვა, დარწმენილი მეთოდი, **ჰომეოპათიური**, მსგავსი სიმპტომების მქონე წამლების დახმარებით, ერთადერთია, რომლის მსხნელი მოქმედება ცდით დასტურდება.

§ 26. ეს ბუნების თერაპიულ კანონს ემყარება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალი ორგანიზმის უფრო სუსტი დინამიკური დაზიანება აუცილებლად ქრება მსგავსი და უფრო ძლიერი, მაგრამ თავისი ბუნებით განსხვავებული ზემოქმედებით.

შენიშვნა – ეს დებულება მისაღებია როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური დაავადებების მიმართ.

§ 27. ამიტომ, წამალთა სამკურნალო თვისებები მისი დაავადების მსგავსი სიმპტომებით განისაზღვრება.

§ 28, 29. ბუნების თერაპიული კანონის ახსნის მცდელობა.

§ 30-33. ადამიანის სხეული გაცილებით უფრო მიდრეკილია ჯანმრთელობის მდგომარეობის შემცველი წამლისმიერი ძალების ზემოქმედებას დაემორჩილოს, ვიდრე ბუნებრივი დაავადებებისას.

§ 34-35. ჰომეოპათიური თერაპიული კანონის საიმე-

დობა ხანგრძლივი დაავადების ჰომეოპათიური მკურნალობის ყველა შემთხვევის თანმხლები უცილობელი წარმატებით დასტურდება, აგრეთვე იმით, რომ ერთდროულად ადამიანის სხეულის დამაზიანებელი ორი ბუნებრივი დაავადება ერთმანეთს არასოდეს არ განკურნავს, თუკი ისინი ერთმანეთის მსგავსი არ არიან.

§ 36. I. მანამდე აღმოცენებული დაავადება, თუკი არანაკლებ ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მისგან განსხვავებული ახალი, ის პაციენტს ამ უკანასკნელის განვითარებისაგან იცავს.

§ 37. არაჰომეოპათიური მკურნალობისას, თუკი ის არც ისე ინტენსიურია, ქრონიკული დაავადება უცვლელი სახით რჩება.

§ 38. II. თუ ახალი, უფრო ძლიერი დაავადება უკვე ავადმყოფ ადამიანს შეეყრება, ის თავისი მიმდინარეობისას მანამდე არსებულ არამსგავს დაავადებას მხოლოდ დათრგუნავს, მაგრამ არასოდეს არ განკურნავს მას.

§ 39. ზუსტად ასევე, ინტენსიური ალოპათიური მკურნალობა ქრონიკულ დაავადებას არ განკურნავს, არამედ მხოლოდ თრგუნავს მას ძლიერმოქმედი, დაავადების სიმპტომთა მსგავსი სიმპტომების გამოწვევის უნარის არმქონე წამლის მოქმედების მთელი დროის განმავლობაში; როგორც კი მისი მოქმედება შეწყდება, ქრონიკული დაავადება წინანდელი ან უფრო მეტი ძალით განახლდება.

§ 40. III. თუ ადამიანის სხეულზე ხანგრძლივი ზემოქმედების შემდეგ, ახალი დაავადება, ძველ, მის არამსგავსს უერთდება, ვითარდება ორმაგი (რთული) დაავადება; არც ერთი არამსგავსი დაავადება არ განკურნავს მეორეს ან ერთმანეთს.

§ 41. გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე ეს ბუნებაში ხდება, შეუფერებელი (ალოპათიური) ძლიერმოქმედი წამლების ხანგრძლივი გამოყენებით გამოწვეული ხელოვნური

დაავადება, წინა, ბუნებრივ არამსგავსს (და ამიტომ მისგან განუკურნებელ) შეერევა და ამის შედეგად ქრონიკული ავადმყოფი უკვე ორი დაავადებისგან გაიტანჯება.

§ 42. ერთმანეთის გამართულებელი ყოველი დაავადებიდან თითოეული, თავისი არამსგავსების გამო, ორგანიზმში მის შესაბამის ადგილს იკავებს.

§ 43,44. მაგრამ, სრულიად სხვაგვარად გვაქვს საქმე უფრო ძლიერი დაავადების შეერთებისას ორგანიზმში უკვე არსებულ და მის მსგავს დაავადებასთან; ამ შემთხვევაში პირველი განკურნავს უკანასკნელს (არსებულს).

§ 45. ამ მოვლენის ახსნა.

§ 46. სხვა მსგავსი, მაგრამ უფრო ძლიერი დაავადებების შემთხვევითი შერწყმით ქრონიკული დაავადებების განკურნების მაგალითები.

§ 47–49. დაავადებათა ბუნებრივი თანხვედრის შემთხვევაში, მათგან მხოლოდ ერთი ავლენს მსგავს სიმპტომებს და შეუძლია მოიცილოს და განკურნოს სხვა; არამსგავს დაავადებას არასოდეს არ შეუძლია ამის გაკეთება; ამ შემთხვევებმა ექიმს უნდა ასწავლოს თუ რომელი სახის წამლით შეიძლება უშეცდომოდ მკურნალობა; ამის კეთება მას მხოლოდ ჰომეოპათიური საშუალებებით შეუძლია.

§ 50. სხვა დაავადების ჰომეოპათიური გაუმჯობესებისათვის ბუნებას მხოლოდ რამდენიმე დაავადება აქვს და ეს სამკურნალო აგენტები მრავალი მიზეზის გამო საკმაოდ მოუხერხებლებია.

§ 51. მეორე მხრივ, ექიმს მათზე არსებითად აღმატებულ საშუალებათა ამოუწურავი არსენალი გააჩნია.

§ 52. არსებობს მკურნალობის მხოლოდ ორი, დიამეტრალურად საწინააღმდეგო მეთოდი: ჰომეოპათიური და ალოპათიური. ისინი დაახლოებას ან გაერთიანებას ვერასოდეს ვერ შეძლებენ.

§ 53. ჰომეოპათიური მეთოდი ბუნების უცილობელ

კანონს ეფუძნება და თავის უპირატესობას თავად ადასტურებს.

§ 54. ალოპათიური მეთოდი არსებითად განსხვავებული, ერთმანეთის შემცვლელ მრავალ სისტემაში ვლინდება, რომელთაგან თითოეული თავს მკურნალობის რაციონალურ მეთოდს უწოდებს. ამ მეთოდის მიმდევრები დაავადებებში მხოლოდ მათ მიერ სხვადასხვა სახით კლასიფიცირებულ ავადმყოფობის გამომწვევ ნივთიერებებს ხედავდნენ და ვარაუდებსა და რთულ რეცეპტებზე დაფუძნებული Materia Medica შექმნეს.

§ 55, 56. მკურნალობის თავის მავნე მეთოდში ალოპათებს პალიატიური საშუალებების გარდა არაფერი გაანინიათ, რომელთა დახმარებით ჯერ კიდევ შეიძლება პაციენტთა ნდობის შენარჩუნება.

შენიშვნა – იზოპათია.

§ 57. ანტიპატიური ანუ ენანტიოპათიური, ან პალიატიური მეთოდით დაავადების ცალკეულ სიმპტომების საწინააღმდეგოდ მოქმედ საშუალებებით მკურნალობის (Contraria contrariis) მაგალითები.

§ 58. ანტიპათიური მკურნალობა არასრულყოფილია უბრალოდ არა იმის გამო, რომ მხოლოდ ცალკეული, ერთი სიმპტომის წინააღმდეგაა მიმართული, არამედ იმის გამოც, რომ ხანმოკლე მოჩვენებითი გაუმჯობესების შემდეგ ქრონიკული დაავადების გამწვავებას იწვევს.

შენიშვნა – ნათქვამის დამადასტურებელი სხვადასხვა ავტორების დამოწმება.

§ 59. მკურნალობის ზოგიერთი ანტიპათიური მეთოდის მავნე შედეგები.

§ 60. პალიატიური საშუალების ყოველი განმეორებითი დანიშვნისას დოზის გადიდება ქრონიკული დაავადების განკურნებას ხელს არასოდეს არ უწყობს, პირიქით მხოლოდ დიდი ვნება მოაქვს.

§ 61. ყოველივე ამის საფუძველზე ექიმები უნდა მიმხედარიყვნენ საწინააღმდეგოს – მკურნალობის ერთადერთი სასარგებლო მეთოდის, სახელდობრ ჰომეოპათიის პრაქტიკულ მნიშვნელობას.

§ 62. პალიატიური საშუალებების მავნე მოქმედებისა და ჰომეოპათიური წამლების გამოყენების ეფექტურობის მიზეზი.

§ 63. განისაზღვრება თითოეული წამლით გამოწვეულ პირველად მოქმედებასა და რეაქციას, ანუ ცოცხალი ორგანიზმის მიერ (სასიცოცხლო ძალით) თანდათანობით განვითარებულ მეორეულ მოქმედებას შორის განსხვავებით.

§ 64. პირველადი და მეორეული მოქმედების ახსნა.

§ 65. ორივეს მაგალითები.

§ 66. წამალთა უმცირესი ჰომეოპათიური დოზის გამოყენებისას სასიცოცხლო ძალის მეორეული მოქმედება ჯანმრთელი მდგომარეობისათვის დამახასიათებელი ჰარმონიის აღდგენაში გამოვლინდება.

§ 67. ეს ჭეშმარიტება ჰომეოპათიური მეთოდის სიკეთეს და ანტიპათიური (პალიატიური) მეთოდის გაუკუღმართებულ ხასიათს ხსნის.

შენიშვნა – შემთხვევები, როცა მხოლოდ წამალთა ანტიპათიური გამოყენებაა შესაძლებელი.

§ 68. როგორ დასტურდება ამ ჭეშმარიტებებით ჰომეოპათიური მკურნალობის ეფექტურობა?

§ 69. როგორ დასტურდება ანტიპათიური მკურნალობის მავნე ხასიათი ამ ჭეშმარიტებებით.

შენიშვნა 1. – ადამიანის სენსორიუმში საწინააღმდეგო შეგრძნებები ერთმანეთს არ ანეიტრალებენ; მათ არ შეუძლიათ ისეთი ურთიერთმოქმედება, როგორც ურთიერთმოქმედებენ საწინააღმდეგო თვისებების ნივთიერებები ქიმიურ პროცესებში.

შენიშვნა 2. – ილუსტრირებული მაგალითები.

§ 70. მედიცინის ჰომეოპათიური სისტემის მოკლე შინაარსი.

§ 71. სამი საკითხი, რომელთა გადაწყვეტა განკურნებისათვის აუცილებელია. ესენია: 1) დაავადების შესწავლა; 2) წამალთა მოქმედების შესწავლა; 3) მათი მართებულად გამოყენება.

§ 72. მწვავე და ქრონიკული დაავადებების ზოგადი მიმოხილვა.

§ 73. ცალკეული ინდივიდუუმების დამაავადებელი მწვავე სნეულებანი, სპორადიული, ეპიდემიური, მწვავე მიაზმები.

§ 74. ყველაზე მძიმე ქრონიკული დაავადებები ისინია, რომელთა წარმოქმნაც ექიმ ალოპათების უცოდინრობითაა განპირობებული. ყველაზე უფრო გამომფიტავია ბრუსოს ალოპათიური მკურნალობა.

§ 75. ეს დაავადებები ყველაზე ძნელად მოსარჩენია.

§ 76. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სასიცოცხლო ძალა ჯერ კიდევ საკმაოდ მძლავრია, ეს ხელოვნური დაზიანება შესაძლოა აღმოიფხვრას, ხშირად მხოლოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ და იმ პირობით, რომ საწყისი დაავადება ამავდროულად ჰომეოპათიურად იქნა მორჩენილი.

§ 77. არასწორად ქრონიკულად მიჩნეული დაავადებები.

§ 78. საკუთრივ ქრონიკული დაავადებები; ყველა მათგანი ქრონიკული მიაზმებით არის განპირობებული.

§ 79. სიფილისი და სიკოზი.

§ 80, 81. ფსორა; ის სიფილისურისა და სიკოზურის გარდა, ყველა ჭეშმარიტი ქრონიკული დაავადების წყაროა.

შენიშვნა – დაავადებების დასახელება ჩვეულებრივ პათოლოგიაში.

§ 82. ამ ქრონიკული მიაზმებისთვის, განსაკუთრებით კი ფსორისთვის, ყველაზე სპეციფიკურ წამლებს შორის გამორჩეული გულმოდგინებით უნდა შეირჩეს ქრონიკული

დაავადების ყოველი ცალკეული შემთხვევის სამკურნალო საშუალება.

§ 83. ყველაფერი აუცილებელი დაავადების სურათის გასაგებად.

§ 84–99. რჩევები ექიმებს დაავადების გამოკვლევისა და შემდგომი დაკვირვებისათვის.

§ 100–102. ეპიდემიური დაავადებების გამოკვლევის თავისებურებანი.

§ 103. მსგავსი მეთოდით უნდა იქნეს გამოკვლეული ქრონიკული დაავადებების ფუნდამენტური (არასიფილისური) მიზეზი და მაშინ ფსორის ფართო და მთლიანი სურათი გამოვლინდება.

§ 104. მკურნალობის დროს დაავადებათა სურათის შესწავლისას ჩანაწერების წარმოების სარგებლიანობა მკურნალობის პროცესის გასავეითარებლად.

შენიშვნა – როგორ ატარებენ ძველი სკოლის ექიმები ავადმყოფური მდგომარეობის გამოკვლევას.

§ 105–114. წინასწარი გარემოებანი, რომლებსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ ჯანმრთელ ინდივიდუუმზე წამლის წმინდა მოქმედების შესწავლის დაწყების წინ. პირველადი მოქმედება. მეორეული მოქმედება.

§ 115. წამალთა შენაცვლებითი მოქმედება.

§ 116,117. იდიოსინკრაზია.

§ 118,119. თითოეული წამლის მოქმედება განსხვავდება ნებისმიერი სხვა საშუალების მოქმედებისაგან.

შენიშვნა – არ შეიძლება არსებობდეს არანაირი შემცველი.

§ 120. ამიტომ, თითოეული წამალი საგულდაგულოდ უნდა იქნეს გამოცდილი მათთვის დამახასიათებელი ეფექტების შესწავლის მიზნით.

§ 121–140. ქმედებანი სხვა ადამიანებზე წამლის გამოცდისას.

§ 141. ყველაზე უკეთესია გამოცდა, რომელსაც ჯანმრთელი ექიმი თავის თავზე ატარებს.

§ 142. წამალთა ჭეშმარიტი მოქმედების შესწავლა ძნელია მათი ავადმყოფებზე დანიშვნისას.

§ 143—145. ჭეშმარიტი Materia Medica შესაძლოა მხოლოდ ჯანმრთელ ადამიანებზე წამალთა რეალური მოქმედების ასეთი შესწავლის შედეგად შეიქმნას.

§ 146. წამალთა ყველაზე უფრო შესაფერისი გამოყენება მათი ჭეშმარიტი მოქმედებებით განისაზღვრება.

§ 147. ყველაზე უფრო სასარგებლო და სპეციფიკურ წამლად ჰომეოპათიურად ყველაზე შესაბამისი წამალი გვევლინება.

§ 148. იმის შესაძლო ახსნა, თუ როგორ მიიღწევა ჰომეოპათიური განკურნება.

§ 149. სწრაფად განვითარებადი დაავადებების ჰომეოპათიური განკურნება სწრაფად მიიღწევა; ქრონიკული დაავადებების მკურნალობა პროპორციულად მეტ დროს მოითხოვს.

§ 150. მსუბუქი დაავადებები.

§ 151. სერიოზული დაავადებები არაერთი სიმპტომით ხასიათდება.

§ 152. მკაფიოდ გამოხატული მრავალი სიმპტომის მქონე დაავადებებისთვის ჰომეოპათიური საშუალებები შესაძლოა ყველაზე უფრო ზუსტად შეირჩეს.

§ 153. ძირითადად რომელ სიმპტომებს უნდა მივაქციოთ ყურადღება წამლების შერჩევის დროს?

§ 154. მაქსიმალურად ჰომეოპათიური წამალი უმცირესი გართულებებით კურნავს.

§ 155. მიზეზი, რომლის გამოც მსგავს განკურნებას გართულებები არ ახასიათებს.

§ 156. ამ წესისგან უმნიშვნელო გამონაკლისის მიზეზი.



§ 157–160. საწყისი დაავადების ზედმიწევნით მსგავს, მაგრამ რამდენადმე ძლიერ წამლისმიერ დაავადებას, ასევე ჰომეოპათიური გამწვავება ეწოდება.

§ 161. ქრონიკული (ფსორული) დაავადებების დროს (ფსორის საწინააღმდეგო) ჰომეოპათიური წამლებით გამოწვეული ჰომეოპათიური გამწვავებები ხანდახან რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდება.

§ 162–171. მკურნალობის წესები იმ შემთხვევებში, როცა ცნობილ წამალთა მარაგი სრულყოფილი ჰომეოპათიური საშუალების შესარჩევად ძალიან მცირეა.

§ 172–184. მკურნალობის წესები მცირერიცხოვანი სიმპტომებისას: ცალმხრივი დაავადებები.

§ 185–203. ადგილობრივი სიმპტომების მქონე დაავადებების მკურნალობა; მათი გარეგანი მკურნალობა ყოველთვის მაგნებელია.

§ 204–205. ქრონიკულ დაავადებებს (რომლებიც არ არიან გამოწვეული და შენარჩუნებულნი მხოლოდ ცხოვრების არასწორი წესით) სწორად მიკუთნებული ყველა დაზიანება და დაავადება, მხოლოდ შინაგანად უნდა იქნეს ნამკურნალევი იმ მიაზმის შესაბამისი ჰომეოპათიური წამლებით, რომელსაც არსებული დაავადება ეფუძნება.

§ 206. დაავადების საფუძველი, მარტივი ან მყორით (მესამეთიც კი) გართულებული მიაზმის წინასწარი გამოკვლევა.

§ 207. უკვე ჩატარებული მკურნალობის გამოკვლევა – განხილვა.

§ 208,209. ქრონიკული დაავადების ავადმყოფური სურათის ასახსნელად აუცილებელი სხვა წინასწარი გამოკვლევები.

§ 210–230. ეგრეთ წოდებული ფსიქიკური და ემოციური დარღვევების მკურნალობა.

§231,232. ხანგამოშეებითი ან მონაცვლეობითი დაა-

ვადებები.

§ 233,234. პერიოდული ხანგამოშვებითი დაავადებები.

§ 235–244. ხანგანელებითი ცხელებები.

§ 245–251. საშუალებათა (მედიკამენტების) გამოყენების მეთოდი.

შენიშვნა – დოზების გამეორება მომდევნო დაკვირვებების შესაბამისად.

§ 252–256. გაუმჯობესების დაწყების ნიშნები.

§ 257, 258. საყვარელი წამლებით მცდარი გატაცება და სხვების გაუმართლებელი უგულველყოფა.

§ 259–261. რეჟიმი ქრონიკული დაავადებების დროს.

შენიშვნა – მანე ჩვევები.

§ 262,263. დიეტა მწვავე დაავადებების დროს.

§ 264–266. ყველაზე უფრო მძლავრი, ჭეშმარიტი წამლის შერჩევა.

შენიშვნა – ზოგიერთი ნივთიერების ცვლილება კულინარიული დამუშავების დროს.

§ 267. ნედლი მცენარეებისგან ყველაზე ძლიერი და თავისი თვისებების ყველაზე ხანგრძლივად შენარჩუნების უნარის მქონე წამლების მომზადება.

§ 268. მშრალი მცენარეული ნივთიერებები.

შენიშვნა – ფხენილების მომზადება ხანგრძლივად შესანახად.

§ 269–271. წამლისმიერი ნივთიერებების სამკურნალო ძალის მაქსიმალურ ხარისხში გასავითარებლად ჰომეოპათიაში გამოყენებული წამლის ნედლეულის დამუშავების მეთოდი.

§ 272–274. მხოლოდ ერთადერთი მარტივი წამალი უნდა დაენიშნოს პაციენტს ერთ ჯერზე.

§ 275–283. ჰომეოპათიურად გამოსაყენებელი დოზების ძალა – როგორ შეიძლება მათი გაძლიერება ან შესუსტება. ხედმიწვევით დიდი დოზების საფრთხე.

§ 284. სხეულის რომელი ნაწილია მეტად თუ ნაკლებად წამლების მოქმედებას დაქვემდებარებული?

§ 285. წამლების გარეგანი გამოყენება. მინერალური აბაზანები.

§ 286. ელექტროობა. გალვანიზმი.

§ 287. მინერალური მაგნიტი.

§ 288,289. ცხოველური მაგნეტიზმი. მესმერიზმი.

§ 290. მასაჟი.

§ 291. წყალი. აბაზანები, როგორც წამლისმიერი აგენტები მათ ტემპერატურის მიხედვით.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ალოპათიური და პალიატიური მკურნალობის თერაპიული სისტემები, რომლებსაც აქამდე იყენებდა ძველი სამედიცინო სკოლა

ადამიანთა მოდემის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში ცალკეული პირები ან მათი ჯგუფები, სხვადასხვა ფიზიკური ან ზნეობრივი მიზეზებით გამოწვეული დაავადებებით ავადდებოდნენ. პირველყოფილ ერაში წამალთა მრავალფეროვნება საჭირო არ იყო, რადგან მარტივი ცხოვრების წესის დროს დაავადებათა მხოლოდ მცირერიცხოვანი ნაირესახეობების განვითარება იყო შესაძლებელი. შემდგომში ცივილიზაციის, სახელმწიფოების გაჩენისა და განვითარების პარალელურად, დაავადებათა რიცხვი და შესაბამისად სამკურნალწამლო საშუალებებზე მოთხოვნა გაიზარდა. მას შემდეგ (პიპოკრატეს შემდეგ, ანუ 2500 წლის განმავლობაში) ადამიანები დაავადებათა სულ უფრო მზარდი რიცხვის მკურნალობას ეწეოდნენ და თავისი ფაციფუცით პატივმოყვარე მსჯელობის ჩიხში მოხვედრილებს, განსჯისა და ვარაუდის გზით სურდათ ამისათვის (მკურნალობისათვის) საჭირო საშუალებების მოძებნის მეთოდის მიგნება. ავადმყოფობათა ბუნებისა და მათი საწინააღმდეგო საშუალებების შესახებ ურიცხვი და სხვადასხვა სახის თეორია გაჩნდა. თეორიულმა შეხედულებებმა ეგრეთ წოდებული სისტემების ზრდა მოგვცა, რომელთაგან თითოეული ყველა დანარჩენს და ხანდახან თავის თავსაც კი ეწინააღმდეგებოდა. ამ გონებამახვილური თეორიებიდან თითოეულს, თავისი უსაზღვრო სიბრძნით მკითხველი აღტაცებაში მოჰყავდა და მათი შემქმნელისკენ ურიცხვ მიმდევარს იზიდავდა. ისინი ასმაგად ავითარებდნენ უსიცოცხლო სოფისტიკის მდგომარეობას, მაგრამ არც ერთ მათგანს ის ოდნავადაც არ ეხ-

მარებოდა უკეთეს მკურნალობაში და ბოლოს ახალი სისტემა ხშირად დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდა პირველს, უკუაგდებდა მას, რათა ხანმოკლე პოპულარობა მოეპოვებინა. მით უფრო, რომ არც ერთი მათგანი ბუნების და გამოცდილების თანმედერი არ იყო; ისინი უბრალოდ მარჯვე გონების მიერ საექვო ვარაუდების საფუძველზე მოწნული თეორიული მსჯელობანი იყვნენ. ბუნებასთან შეუსაბამობის და ზერელეობიდან გამომდინარე, მხოლოდ ცარიელი დისკუტებისათვის გამოდგებოდნენ და ავადმყოფის საწოლთან არანაირი პრაქტიკული სარგებლის მოტანა არ შეეძლოთ.

ამ თეორიულ სისტემებთან ერთდროულად, მაგრამ მათგან სრულიად დამოუკიდებლად, შეუსწავლელი წამლის ნარევეებით დაავადებათა თვითნებურად გამოყოფილი ფორმების სამკურნალოდ მიმართული თერაპიული მეთოდი აღმოცენდა. ის ბუნების მინიშნებებსა და გამოცდილებას სრულიად ეწინააღმდეგებოდა, რაღაც მატერიალური ცვლილებების მოსაცილებლად იყო მიმართული და ამიტომ მკურნალობის შედეგები, როგორც მოსალოდნელია, არა-დამაკმაყოფილებელი იყო. აი, რას წარმოადგენდა ძველი მედიცინა ანუ – ალოპათია.

არ ვაკნინებ მედიცინის დამხმარე მეცნიერებების: ფიზიკისა და ქიმიის, ბუნებისმეტყველებისა და მისი სხვადასხვა დარგების, ასევე უშუალოდ ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებების: ანთროპოლოგიის, ფიზიოლოგიის, ანატომიის და ა.შ. განვითარებაში ექიმთა მიერ შეტანილ წვლილს. ვაპირებ განვიხილო მედიცინის მხოლოდ პრაქტიკული მხარე, უშუალოდ მკურნალობის ხელოვნება, იმისათვის, რათა ვანვიწი, თუ რამდენად არასრულყოფილი იყო იგი დღემდე. სულაც არ მინდა რეცეპტურული ცნობარებით, რომელთა პუბლიკაციებიც გრძელდება, რაც ადასტურებს, რომ სამწუხაროდ მათ კვლავ იყენებენ, ჩატარებული ადამიანის ძვირფასი სიცოცხლის მექანიკური და რუტინული

მკურნალობის განხილვა. მას, როგორც მკურნალთა უმდ-  
აბლესი კლასის საძაგელ მეთოდს, განხილვის გარეშე  
ვტოვებ. მხოლოდ სამედიცინო ხელოვნებაზე ვსაუბრობ,  
რომელიც თავისი სიძველით ამაყობს და სჯერა, რომ მეც-  
ნიერული ხასიათი აქვს და პრაქტიკას დღემდე აგრძელებს.

ძველი სკოლის მიმდევრები პატივმოყვრულად თვლი-  
დნენ, რომ <<რაციონალური მედიცინის>> წარმომადგენლის  
ტიტულის პრეტენდენტები მხოლოდ ისინი იყვნენ, რამდენა-  
დაც მხოლოდ ისინი ცდილობდნენ ეპოვნათ და აღმოეფხ-  
ვრათ დაავადების მიზეზი და დაავადების დროს თვით  
ბუნების მიერ გამოყენებულ მეთოდს იყენებდნენ.

<<Tolle causam!>> – აცხადებდნენ ისინი მუდმივად, მა-  
გრამ ამ ცარიელი სიტყვების იქით არ მიდიოდნენ. მათ მხო-  
ლოდ წარმოედგინათ, რომ დაავადების მიზეზის აღმოჩენა  
შეეძლოთ; სინამდვილეში მას ვერ პოულობდნენ, რადგანაც  
ის შეუგრძნობადია და ამიტომ მისი აღმოჩენა შეუძლებე-  
ლია. რამდენადაც დაავადებათა დიდ უმრავლესობას დინ-  
ამიკური (სულიერი) წარმოშობა და ბუნება აქვთ, იმდენად  
მათი მიზეზები გრძნობათა ორგანოებისთვის მიუწვდომე-  
ლია. ამგვარად, მხოლოდ მათი წარმოსახვა გერჩებოდა,  
რომელიც ნორმალური უსიცოცხლო სხეულის (ანატომიის)  
და დაავადების გამო გარდაცვლილ ადამიანთა შესაბამის  
ნაწილთა და ორგანოთა ხილული ცვლილებების (პათოლო-  
გიური ანატომიის) შედარების საფუძველზე ხდებოდა, ასევე  
ჯანმრთელი სხეულის ფუნქციური ფენომენების (ფიზიოლო-  
გიის) და ურიცხვი დაავადების (პათოლოგია, სემიოტიკა)  
დროს მათი უსასრულო ცვლილებების შედარებით მიღე-  
ბული შესაბამისი დასკვნების მიხედვით იმაზე, თუ როგორ  
ირღვევა ადამიანის შინაგან ყოფიერებაში უხილავი პროცე-  
სები – წარმოსახვის ბუნდოვანი პროდუქტი, რომელსაც თეო-  
რიული მედიცინა prima causa morbid-ად<sup>1</sup> თვლიდა. ამგვარად,  
ის ერთდროულად დაავადების უშუალო მიზეზად, დაა-

ვადების შინაგან არსად, თვით დაავადებად გვევლინებოდა, თუმცა ჯანსაღი აზრი გვასწავლის, მოვლენის ან შემთხვევის მიზეზი არ შეიძლება იმავდროულად თვით მოვლენა ან შემთხვევა იყოს. როგორ შეეძლოთ მათ თავის მოტყუების გარეშე, ეს შეუგრძნობადი შინაგანი არსი მკურნალობას დასაქვემდებარებელ ობიექტად ჩათვალით და გამოეწერათ წამლები, რომელთა სამკურნალო ძალა უმეტეს შემთხვევაში მათთვის აგრეთვე უცნობი იყო და ეს უცნობი წამლები ეგრეთ წოდებულ რეცეპტებში ერთმანეთშიც კი შეერიათ?

1. უფრო ბუნებრივი და ჯანსაღ აზრთან თანმდევი იქნებოდა დაავადების საწყის მიზეზად *causa morbi* ჩაგვეთვალა და მისი აღმოჩენა გვეცადა, რათა ამით შესაძლებლობა მოგვეცემოდა წარმატებით გამოგვეყენებინა მკურნალობის მეთოდი, რომლის სარგებლიანობა ამავე ეტიოლოგიის დაავადებების მკურნალობისას უკვე დემონსტრირებული იყო. მაგალითად, ვერცხლისწყალი სასარგებლოა არაჰიგიენური კოიტიუსის შემდეგ სასქესო ასოს თავზე განვითარებული წყლულის მკურნალობისას, ისევე, როგორც ვენერული შანკრის წინამორბედ შემთხვევებში. მათ რომ აღმოვინათ, რომ ყველა დანარჩენი (არავენერული) ქრონიკული დაავადების მიზეზი ამა თუ იმ პერიოდში ქავილის მიაზმით (ფსორა) გამოვლენილი ინფექციაა და თითოეული შემთხვევის თავისებურებებისათვის სათანადო ყურადღება მიექციათ, შესაძლებელი იქნებოდა ყველა და მათგან თითოეულის მორჩენა და სრული უფლება ექნებოდათ განეცხადებინათ, რომ ქრონიკული დაავადებების მკურნალობის დროს მხედველობაში აქვთ მხოლოდ ხელმისაწვდომი და სასარგებლო *causa morborum chronikum (non-venereorum)* და ამის საფუძველზე შეუძლიათ მსგავს დაავადებებს საუკეთესო შედეგებით უმკურნალონ. თუმცა წინა საუკუნეების განმავლობაში უნარონი აღმოჩნდნენ, განეკურნათ მილიონობით ქრონიკული ავადმყოფი, რამდენადაც არ ესმოდათ, რომ მათი წარმოშობა დაკავშირებულია ფსორის მიაზმთან (ის აღმოჩენილი და სათანადო მკურნალობით უზრუნველყოფილი იქნა მხოლოდ პომეოპათიურ პრაქტიკაში). მიუხედავად ამისა, ტრადახობენ, რომ მხოლოდ მათი მკურნალობაა მიმართული დაავადებათა *prima causa*-ზე და რაციონალურ მკურნალობას

მხოლოდ ისინი ეწევიან. ამ დროს მათ ქრონიკული დაავადებების ფსორულ წარმოშობასე უმცირესი წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ და ამიტომ სრულიად დაიბნენ მათ მკურნალობაში.

მაგრამ, ეს გრანდიოზული ამოცანა, კონკრეტულად, დაავადების შინაგანი უხილავი მიზეზის a priori აღმოჩენა, ძველი სკოლის ექიმების, უკიდურეს შემთხვევაში მათი ყველაზე გამჭრიახი ნაწილის მიერ იმის განსაზღვრებად იქცეოდა, რაც აშკარა სიმპტომების საფუძველზე შეგვეძლო დაავადების სავარაუდო ზოგად მახასიათებლად<sup>2</sup> ჩაგვეთვალა. ამგვარად, ისინი ცდილობდნენ გამოეველინათ აღენიშნებოდა თუ არა სპაზმი ან გამოფიტვა, დამბლა, ცხელება, ანთება, გამკვრივება, ამა თუ იმ ნაწილის დაცობა, სისხლის მიდინება (პლეტორა), სხეულის სითხეებში ჟანგბადის, ნახშირბადის, წყალბადის ან აზოტის დეფიციტი თუ სიჭარბე, არტერიული, ვენური ან კაპილარული სისტემების აგზნება ან მოდუნება, მგრძნობელობის, გაღიზიანებადობის ან კვლავწარმოების ფუნქციების თანაფარდობათა ცვლილებები? – ვარაუდები, რომლებიც ძველი სკოლის ექიმების მიერ ეტიოლოგიურ ჩვენებათა რანგში იყო აყვანილი და მათ როგორც მედიცინის ერთადერთ შესაძლო რაციონალურ მარცვალს განიხილავდნენ; მაგრამ, რომლებიც ძლიერ მაცდუნებელი და ჰიპოტეტიური დაშვებები იყვნენ იმისათვის, რომ პრაქტიკაში თუნდაც ოდნავ გამოსადეგნი ყოფილიყვნენ. შესაფერისი წამლის კარგად დასაბუთებული წარმოდგენებიც კი პრაქტიკული დადასტურების გარეშე რჩებოდა, ისინი მხოლოდ ეპირფერებოდნენ მეცნიერ-თეორეტიკოსთა პატივმოყვარეობას, მაგრამ ჩვეულებრივ, ჩიხში შეჰყავდათ პრაქტიკაში გამოყენების მცდელობისას და მათი ავტორების განდიდებას უფრო ემსახურებოდნენ, ვიდრე სამკურნალო ჩვენებების პატიოსან ძიებას.



2. ყოველი ექიმი, ვინც წამალს დაავადების ამ საერთო მახასიათებლის შესაბამისად არჩევს, როგორი პრეტენზიაც არ უნდა აქონდეს კომპოპათის სახელზე, ყოველთვის ალოპათად დარჩება, რამდენადაც კომპოპათია წარმოუდგენელია საგულდაგულო ინდივიდუალის ხაცის გარეშე.

და რა ხშირად გვხვდება, მაგალითად, სპაზმისა და დამბლის თანხვედრა ორგანიზმის ერთ ნაწილში და ერთდროულად ანთება მეორე ნაწილში!

ან მეორე მხრივ, რის საფუძველზე უნდა ვექებოთ შესაფერისი წამალი ეგრეთ წოდებული დაავადების ზოგადი მახასიათებლისათვის? მათგან ისინი, რომლებსაც გარკვეული სარგებელი მოჰქონდათ, შეუძლებელია ყოფილიყო სხვა, თუ არა სპეციფიკური წამალი, ანუ ისეთი, რომლის მოქმედებაც დაავადების გამომწვევი გამდიზიანებლის კომოგენტიკური აღმონინდებოდა<sup>3</sup>. მიუხედავად ამისა, ძველი სკოლის მიერ მათი, როგორც უკიდურესად მავნების გამოყენება, იკიცხებოდა და იკრძალებოდა<sup>4</sup>, რადგანაც დაავადებებზე დაკვირვებები გვიჩვენებდნენ, რომ ასეთი წამლების დიდი დოზები სიცოცხლისთვის საშიშია კომპოპათიური გადიზიანების მიმართ მგრძნობელობის უკიდურესი გაძლიერების გამო. ძველი სკოლა ნაკლებ ან ძალიან მცირე დოზებზე არასოდეს არ ფიქრობდა. აშკარად ამიტომ, კომოგენტიკური ან სპეციფიკური საშუალებებით პირდაპირი მკურნალობის (ყველაზე ბუნებრივი) არანაირი მცდელობა არა მარტო არ ყოფილა, არამედ არც შეიძლება ყოფილიყო, რადგანაც უმეტესი წამლების მოქმედება დღემდე უცნობია. თუმცა ცნობილიც რომ ყოფილიყო, სათანადო წამლის შერჩევა მაინც შეუძლებელი იქნებოდა დაავადებათა ბუნების შესახებ იმ დროს გაბატონებული ძლიერ ზოგადი წარმოდგენის გამო.

### 3. კომპოპათიური

4. <<როცა ცდა კომპოპათიურად მოქმედი წამლების სამკურნალო ძალებს გვიჩვენებდა, რომელთა ეფექტის ახსნა არ

შეუძლოთ, მაშინ ახსნის ამ სიძნელეების ასაცილებლად მათ მოქმედებას **სპეციფიკური** უწოდეს და შემდგომ გამოკვლევებს ამ არაფრისმთქმელი სიტყვით ახრნობდნენ. მით უფრო, რომ პომოგენეტიკური აღმზნები წამლები, სპეციფიკური (პომეოპათიური) საშუალებები, აქამდე დიდი ხნით ადრე იყო აკრძალული, როგორც ძალიან მაკნე 'ხემოქმედების მქონენი>>. - რაუ, <<მკურნალობის პომეოპათიური მეთოდის მნიშვნელობის შესახებ>>. ჰეიდელბერგი, 1824, გვ.101-102.

მით უფრო, რაკი ვარაუდობდა, რომ ჯანსაღი აზრის მოთხოვნას უფრო შეესაბამება მკურნალობის არა შემოვლითი, არამედ თუკი ეს შესაძლებელია, პირდაპირი გზის მოძებნა, მედიცინის ძველი სკოლა თვლიდა (თავის წარმოსახვაში), რომ დაავადებათა მკურნალობა უშუალოდ მათი **მატერიალური მიზეზების მოცილებით** შეიძლება. ჩვეულებრივი სკოლის ექიმებისათვის დაავადებათა შესწავლისას, მათზე შეხედულებების ფორმირებისას და არანაკლებად, სამკურნალო ჩვენებების ძიებისას, შეუძლებელი იყო მატერიალისტურ შეხედულებებზე უარი ეთქვათ და სულიერ-სხეულებრივი ორგანიზმი იმდენად მძლავრად ეღიარებინათ, რომ დაავადებებად წოდებული მისი მგრძობელობითი და ფუნქციური ცვლილებები, თუ ყოველთვის არა, ძირითადადად, შესაძლოა გამოწვეულია მხოლოდ დინამიკური (სულიერი) ხემოქმედებით და არანაირი სხვა მიზეზით.

ძველი სკოლა დაავადებით განპირობებულ ყველა მატერიალურ ცვლილებას, ანთების დროს წარმოქმნილ ყველა ანომალურ ნივთიერებას, აგრეთვე ყველა გამონაყოფს, მხოლოდ დაავადების მიზეზად ან უკიდურეს შემთხვევაში, ორგანიზმზე მათი უკუქმედების გამო, ტანჯვის ხელშემწყობ ნივთიერებებად თვლიდა. ეს უკანასკნელი აზრი დღემდე ბატონობს.

ამიტომ, ისინი დაავადების სავარაუდო მატერიალური მიზეზის აღმოფხვრის გზით ეტიოლოგიურ მკურნალობაზე ოცნებობდნენ. აქედან მოდის ღებინების გამოწვევის

მათი ძალისხმევა ნაღვლის მოსაცილებლად ნაღვლის ცხელებების დროს; პირსასაქმებელი საშუალებების გამოყენება ეგრეთ წოდებული კუჭის გაღიზიანების დროს<sup>5</sup>; სასაქმებლებით გლისტებისა და ლორწოს საგულდაგულო გამოდევნა ტკივილით, მგლის მადითა და მუცლის გაღიდებით გატანჯულ ფერმკრთალ ბავშვებში<sup>6</sup>. ამითივე ხსნიან ვენესექციასაც სისხლდენების<sup>7</sup> დროს; განსაკუთრებით ხშირი სისხლის გამოშვება<sup>8</sup> მათი მთავარი საშუალებაა ანთებებისას, რომლებთან შეხვედრასაც სხეულის დაავადებით დაზიანებულ ყოველ ნაწილში ელოდებიან და ცნობილი „სისხლსმოწყურებული“ პარიზელი ექიმის მაგალითის მიხედვით (როგორც ცხვრის ფარა მიჰყვება ყასბის ზარს სასაკლაოზე) ხშირად იძულებული არიან ფატალური რაოდენობის წურბლების გამოყენებით მოაშორონ. ფიქრობენ, რომ ამ ქმედებით ეტიოლოგიურ ჩვენებებს მიჰყვებიან და რაციონალურ მკურნალობას ახორციელებენ. უფრო მეტიც, ძველი სკოლის მიმდევრები პოლიპების გადაკვანძვისას, ადგილობრივი გამღიზიანებელი საშუალებების დახმარებით გამოწვეული „ცივი“ ჯირკვლოვანი სიმსივნეების ამოჭრის ან გაკვეთისას, სტეატომების ამოკვეთის, ანევრიზმების და საცრემლე ან ანალური ფისტულების ოპერირებისას, სარძევე ჯირკვლების სკიროზული სიმსივნეების დანით ამოჭრისას, ვარაუდობენ, რომ პაციენტს რადიკალურად კურნავენ და მათი მკურნალობა უშუალოდ დაავადების წინააღმდეგ არის მიმართული. აგრეთვე ფიქრობენ, რომ დაზიანების მოცილებით, დაავადებას ამარცხებენ და რაციონალურ ეტიოლოგიურ მკურნალობას ახორციელებენ, როცა განმდევნ საშუალებებს იყენებენ, ძველ მცოცავ წყლულებს ფეხებზე ისეთი მთრთიმლავი ნივთიერების გამოყენებით აშრობენ, როგორიცაა ტყვიის, სპილენძის ან თუთიის ოქსიდი (ერთდროულად დამატებით ყოველთვის საფადარათობებს უნიშნავენ, რაც ორგანიზმს მხოლოდ ასუსტებს და არ მო-

ქმედებს იმ დისკრაზიაზე, რომელიც დაავადებას უდევს საფუძვლად), მოწვავენ შანკრებს და კონდილომებს, კანის ქავილს გოგირდის მალამოებით, ტყვიის, ვერცხლისწყლის ან თუთიის ოქსიდით აშორებენ, ოფთალმიას ტყვიის ან თუთიის ხსნარით თრგუნავენ, კიდურებში განვითარებულ ტკივილებს ოპოდელდოკებით, აქროლადი მალამოებით, სინგურის ან ქარვის შებოლებით ახშობენ, მაგრამ **როგორია შედეგი?** ასეთი მკურნალობის შედეგად ადრე თუ გვიან აუცილებლად ვითარდება ექიმების მიერ სხვა დაავადებებად მიჩნეული, მეტასტაზური დაზიანებები, რომლებიც ყოველთვის უფრო ავთვისებიანია, ვიდრე საწყისი დაავადებები და სრულიად საკმარისი იმისათვის, რათა ძველი სკოლის მიმდევრების მცდარობა გვაჩვენონ და რომლებსაც შეეძლოთ და უნდა აეხილათ თვალი დაავადების სიდრმისეულ არამატერიალურ ბუნებაზე, მის დინამიკურ (სულიერ) მიზეზზე, რომელიც მხოლოდ დინამიკური საშუალებებით შეიძლება იქნეს დაძლეული.

5. გაფუჭებული საკვების გემოს მქონე მუდმივი საზიზღარი ბოყინით მიმდინარე კუჭის მოულოდნელი აშლილობის დროს, რომელსაც ხშირად თან სდევს სელიერი დაცემა, ხელის მტეუნებისა და ტერფების გაციება და ა.შ., ჩვეულებრივი ექიმები თავიანთ ძალისხმევას კუჭის შიგთავსის წინააღმდეგ მიმართავენ, რომელსაც ძლიერი პირსასაქმებლებით მთლიანად აძევენ. ეს მიზანი ქუსულათი, იპეკაკუანასთან ერთად ან მის გარეშე მიიღწევა. ხდება კი პაციენტი ამ პროცედურისთანავე ჯანმრთელი, გამოცოცხლებული და მხიარული? ო, არა! კუჭის ასეთი აშლილობა როგორც წესი გამოწვეულია **დინამიკური** და ფსიქიკური მიზეზებით (დარდი, შიში, გულის დაწყევტა), შემცივნებით, საკვების მიღებისთანავე გონებრივი ან ფიზიკური (ხშირად საკმაოდ სომიერი), გადაძაბვით. ამ ორ წამალს, აგრეთვე მათ მიერ გამოწვეულ მძაფრ ღებინებას დინამიკური მოშლილობის თავიდან აცილება არ შეუძლია. უფრო მეტიც, ქუსულა და იპეკაკუანა, თავისი პათოგენური ეფექტების გამო, პაციენტის მდგომარეობის შემდგომ გაუარესებას, ნადელის

გამოყოფის დარღვევას იწვევენ. ამგვარად, ავადმყოფი, თუკი ის ძალიან ძლიერი არ არის, მიუხედავად კუჭის შიგთავსის სრული მოცილებისა, კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში გაიტანჯება ამ, ეგრეთ წოდებული კაუსალური მკურნალობის შედეგად. თუკი ავადმყოფი ძლიერმოქმედი და ყოველთვის მავნე პირსასაქმებელი საშუალების მიღების მაგივრად პულსატილას მაღალპოტენციურებულ წვენი დასველებულ, მღოგვის მარცვლისხელა შაქრის ბურთულას უსუნებს, მაშინ, როგორც მისი ჯანმრთელობის მოშლის ზოგადი, ასევე ადგილობრივი დარღვევები კუჭის მხრიდან უცილობლად აღმოიფხვრება და ორ საათში ის სრულიად გაჯანსაღდება. თუკი ბოყინი კვლავ განმეორდა, მას არ ექნება სუნი და გემო, ანუ კუჭის შიგთავსი აღარ იქნება ისეთი მყრალი და საკვების შემდგომ მიღებას სრულიად გაჯანსაღებული და ძალებით სავსე პაციენტი ჩვეულებრივი მადით დაელოდება. ეს არის ჭეშმარიტი ეტიოლოგიური მკურნალობა, ხოლო აღრე აღწერილი ასეთად მხოლოდ ექიმთა წარმოსახვაში გვევლინება და ავადმყოფისათვის მავნეა.

ძნელად მოსანელებელი საკვების ჭარბად მიღების შემთხვევებშიც კი პირსასაქმებელი საშუალებები არასოდეს არ გვეჭირდება. ასეთ შემთხვევებში ბუნება თვითონ არის შემძლე, რომ გულისრევის, სისუსტის, სპონტანური ღებინების ან სასისა და ხახის მექანიკური გაღიზიანების გზით საყლაპავიდან მოიშოროს იგი. ამით პირსასაქმებელი საშუალებების დამატებითი წამლისმიერი ეფექტის თავიდან აცილება ხდება; მცირე რაოდენობით ყავა ნაწლავებში იმის შემდგომ გადაადგილებას აჩქარებს, რაც ჯერ კიდევ კუჭში დარჩა.

თუმცა, თუკი კუჭის გადატვირთვის ასეთ შემთხვევებში ღებინება შეუძლებელია მისი კუნთების პარეზის გამო და ეპიგასტრიუმის არეში უძლიერესი ტკივილები ჩნდება, მაშინ პირსასაქმებელი საშუალებები მხოლოდ ნაწლავების საბედისწერო ანთებას გამოიწვევს; მცირე დოზით მაგარი ყავის ხშირი გამოკრება კი კუჭის დაქვეითებულ გაღიზიანებადობას და შიგთავსის ღებინებით ან განავალთან ერთად მოცილების უნარს აღადგენს. ამ შემთხვევაში ამგვარი ეგრეთ წოდებული კაუსალური მკურნალობა უადგილო აღმოჩნდება.

ასევე უსარგებლოა პირსასაქმებელი საშუალებებით კუჭის მყავის მოცილება. ღებინება ხშირია ქრონიკულ ავადმყოფებში, რადგანაც ავადმყოფთა შესამჩნევი ტანჯვის გზით, იქამდე მი-

ყუარათ, რომ მიუხედავად კუჭის მუჯის მოცილებისა, ერთ ან რამდენიმე დღეში იგივე ბოკინი კიდევ უფრო დიდი ძალით განაჩლდება. ამავე დროს, ეს მუჯა თაეისთავად მოისპობა დინამიკური მიზეზის მოცილების შემდეგ მაღალპოტენციურ-ბული გოგირდმუჯავს მცირე დოზის მიცემით, კიდევ უფრო უკეთესად (ხშირი რეციდივების დროს) კი – ანტიფსორული წამლების მინიმალური დოზების დანიშნით. მისი სიმპტომები კონკრეტული შემთხვევის სხვა სიმპტომების მსგავსია. აღწერილთან ახლოსაა ძველი სკოლის ექიმების მიერ ჩატარებული ეგრეთ წოდებული კაუხალური მკურნალობის სხვა შემთხვევებიც, რომლებიც მათთვის მძიმე და პაციენტებისათვის საშიში, მომქანცველი პროცედურების დახმარებით, დინამიკური დარღვევების მატერიალურ პროდუქტებს აცილებდნენ. ამავე დროს, თუკი დაავადების დინამიკურ მიზეზს გამოავლენდნენ და მას და მის პროდუქტებს კომეოპათიურად მოიცილებდნენ, მაშინ ამით ისინი რაციონალურ განკურნებას განახორციელებდნენ.

6. მხოლოდ და მხოლოდ ფსორულ მიაზმზე დამოკიდებული და ამოსაღებინებელი და სასაქმებელი საშუალებების გარეშე, დამზოგავი (დინამიკური) ფსორის საწინააღმდეგო საშუალებებით ადვილად განკურნებადი მდგომარეობანი.

7. იმისდა მიუხედავად, რომ თითქმის ყველა ავადმყოფური სისხლდენა სასიცოცხლო ძალის (ჯანმრთელობის მდგომარეობა) დინამიკური მოშლილობით განისაზღვრება, ძველი სკოლის ექიმები მას სისხლის სიჭარბედ თელიან და არ შეუძლიათ თავი შეიკვონ ამ ჭარბი სასიცოცხლო სითხის მოცილებისაგან – სისხლის გამოშვებისაგან. ამ პროცედურის აშკარა მავნე შედეგები, ისეთები, როგორცაა ავადმყოფის ძალების გამოფიტვა, ტიფოზური სტატუსის განვითარების ტენდენცია ან სინამდვილეში მისი განვითარება, დაავადების ავთისებიაწეობას მიეწერება, რომელთა დაძლევას ამის შემდეგ ისინი ხშირად ვეღარ ახერხებენ. ერთი სიტყვით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი არ გაჯანსაღდება, წარმოიდგენენ, რომ მკურნალობა მათი აქსიომის *causam tolle* სრული შესაბამისობით ხორციელდება და მათ, როგორც ისინი წეულებრივ ამბობენ, შედეგის მიუხედავად, რაც შეეძლოთ ყველაფრი გააკეთეს პაციენტისათვის დახმარების აღმოსაწინად.

8. თუმიცა საეარაუდოა, რომ ცოცხალი ადამიანის სხეულისათვის წვეთი სისხლიც კი არასოდეს არ არის ზედმეტი. ძველი სკოლის ექიმები სისხლის წარმოსახვით ზედმეტობას

სისხლდენის და ანთების ძირითად მატერიალურ მიზეზად მიიჩნევენ, რომელიც ვენესექციით, კოტრშებით და წურბლებით უნდა მოიცილონ. ამას რაციონალურ მკურნალობად, კაუზალურ თერაპიად თვლიან. ზოგადი ანთებითი ცხელების ან მწვავე პლევრიტიას ისინი მიიჩნევენ, რომ სისხლის კოაგულირებადი ლიმფა – სისხლის კოლტის ნათელი ფენა – *materia peccans*-ად გვევლინება, რომლის მოცილებადაც, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ისინი განმეორებითი ვენესექციის განახლებით ცდილობენ, იმის მიუხედავად, რომ ყოველ მომდევნო შემთხვევაში ის უფრო სქელი და ბლანტი ხდება. თუკი ანთებითი ცხელება არ სუსტდება, თავისი მცდელობით, მოიცილონ ეს ნათელი ფენა ანუ წარმოსახვითი პლეტორა, ისინი პრაქტიკულად სასიკვდილო სისხლის დაკარგვას იწვევენ. ვერც კი წარმოიდგენენ, რომ ანთებითი სისხლი მხოლოდ მწვავე ცხელების, ავადმყოფური, არამატერიალური (დინამიკური) ანთებითი გაღიზიანების პროდუქტია, ეს უკანასკნელი სისხლძარღვოვანი სისტემის ფუნქციონირების გამოხატული დარღვევის ერთადერთ მიზეზად გვევლინება და შესაძლოა პომოგენეტიკური (ჰომეოპათიური) წამლის მინიმალური დოზით, მაგალითად, **აკონიტის** ნაყენის დეციმილიონი განსაყვების ხსნარში დასველებული პატარა ბურთულით და მცენარეული მუკებიდან თავის შეკაევებით აღმოიფხვრას, ისე, რომ ყველაზე მძიმე პლევრის-მიერი ცხელება და ყველა მისთვის მახასიათებელი საგანგაშო სიმპტომი განიკურნება ყოველგვარი, მცირე სისხლის გამოშვებებისა და რომელიმე სიცხის დამწვევი საშუალებების გარეშე, რამდენიმე, ამ შემთხვევაში ოცდაოთხი საათის განმავლობაში (შესამოწმებლად გამოშვებულ მცირე რაოდენობის ვენურ სისხლში სისხლის კოლტის ნათელი ნაწილის ნაკვალევიც კი არ აღმოჩნდება). ამავე დროს, მსგავსად დააეადებული სხვა პაციენტი, რომელსაც ძველი სკოლის რაციონალური პრინციპებით მკურნალობდნენ, ცოცხალი თუ გადარჩა და განმეორებითი სისხლის გამოშვებისა და ენით აუწერელი ტანჯვის თუ მკურნალობის შემდეგ საბოლოოდ მოცვლილი არ იქნა (როგორც ეს ხდება) მუცლის ტიფით, ლეიკოფლეგმაზიით ან ფილტვის გლეჩით, მაშინ ხშირად დიდი დრო სჭირდება თავისი ღონემიხდილი სხეულის ფეხზე დასაყენებლად.

ნებისმიერი, ვისაც მწვავე პლევრიტის განვითარების წინამორბედ შემცივნებამდე ერთი საათით ადრე პაციენტის მშვიდი მაჯა გაუსინჯავს, თავის გაკვირვებას ვერ შეიკავებს,

როცა ორი საათის შემდეგ, ცხელების სტადიის დასაწყისში, ეტყვიან, რომ ავადმყოფი უკიდურესი სისხლსაესეობის გამო სასწრაფოდ საჭიროებს განმეორებით სისხლის გამოშვებას. ბუნებრივია, მისი გაკვირვება, თუ რა ჯადოსნურმა ძალამ „ნაასხა“ სისხლის ეს ფუნქტები, ამ ორი საათის წინ ასე მშვიდად პულსირებად სისხლძარღვებში? თუმცა ავადმყოფის სისხლძარღვებში ცირკულირებადი სისხლი ამ ორი საათის განმავლობაში ერთი დრაჰმითაც არ მომატებულა!

ამიტომ, მწვავე ცხელებასთან მებრძოლი ალოპათი ეენ-ესექციის დახმარებით ავადმყოფის სისხლძარღვებიდან მის ჭარბ სისხლს კი არ უშვებს (რამდენადაც უკანასკნელი შეუძლებელია ზედმეტი იყოს), არამედ სტაცებს იმას, რაც სიცოცხლისა და გაჯანსაღებისათვის აუცილებელია – სისხლისა და სასიცოცხლო ძალის ნორმალურ რაოდენობას, რითაც უდიდეს დანაკარგს იწვევს, რომლის აღდგენაც არც ერთ ექიმს არ შეუძლია! ექიმი ამოდ წარმოიდგენს, რომ მკურნალობს მისი (არასწორად გაგებული) აქსიომის შესაბამისად *causam tolle*-ს მაშინ, როცა *causa morbi*, ამ შემთხვევაში არ შეიძლება სისხლის სიჭარბე იყოს, რომელიც უბრალოდ არ არსებობს, არამედ ერთადერთ ჭეშმარიტ *causa morbi*-ად სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფური დინამიკური ანთებითი გაღიზიანება გვევლინება, რაც ანთებითი ცხელების და ყოველი მსგავსი შემთხვევის სწრაფი და უცილობელი განკურნებით დასტურდება და აკონიტის წვენის ერთი ან ორი წარმოუდგენლად მცირე დოზის (რომელიც პომეოპათიურად იცილებს ამ გაღიზიანებას) მიცემით მიიღწევა.

ძველი სკოლა მსგავს შეცდომას უშვებს, როცა ბრუსოს მანიაკალურ იდეებს მიჰყვება და ლოკალური ანთებების მკურნალობისას ადგილობრივ სისხლის გამოშვებას იყენებს, განსაკუთრებით კი, წერბლების დიდ რაოდენობის საშუალებით. ასეთი მკურნალობის დროს განვითარებული დროებითი საწყისი შემსუბუქება შორსაა იმისაგან, რომ სწრაფი და სრულყოფილი გაჯანსაღებით დაგვირგვინდეს. პირიქით, ორგანოების (ხშირად მთელი სხეულის) სისუსტე და ავადმყოფური მდგომარეობა ამგვარი მკურნალობის შედეგაც რჩება, რაც ადგილობრივი პლეტორით ლოკალური ანთების ახსნის მცდარობას აშკარად ადასტურებს და რამდენად სავალალოა ამ სისხლის გამოშვების შედეგები? ამავე დროს ეს წმინდა დინამიკური, ადგილობრივი, ანთებითი გაღიზიანება შესაძლოა



საწრაფად და უცილობლად აღმოიფხვრას აკონიტის ასეთივე მცირე დოზით ან, გარემოებათა შესაბამისად – ბელადონით. ამით დაავადება მთლიანად განადგურებდება და პაციენტი გაუმართლებელი სისხლის გამოშვების გარეშე განიკურნება.

მედიცინის ტრადიციული სკოლის ჩვეული წარმოდგენა ბოლო დრომდე ავადმყოფობის წარმომშობ ნივთიერებასთან იყო დაკავშირებული, რომლის მოცილებაც სისხლისა და ლიმფური სადინრებიდან, კანის გზით ოფლის სახით, შარდის ან ნერწყვის გამოყოფით, ნახველით ტრაქეის და ბრონქების ჯირკვლებიდან, ღებინებით და განავლით კუჭიდან და ნაწლავებიდან იმისათვის უნდა მოხდეს, რათა ორგანიზმი მატერიალური მიზეზისაგან გაათავისუფლოს და ამ გზით რადიკალური ეტიოლოგიური მკურნალობა განხორციელდეს.

მათი აზრით ავადმყოფი ადამიანის კანზე ჭრილობების მიყენებით და სხეულის ჩირქოვანი წყლულებით დაფარვით, ორგანიზმს უცხო ნივთიერებების გამოყოფაში ვეხმარებით. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ამ გზით ავადმყოფობის გამომწვევ მატერიას (materia peccans) ავადმყოფი (ყოველთვის მხოლოდ დინამიკური) სხეულიდან იმის მსგავსად გამოდევნიდნენ, როგორც კასრიდან ჭუჭყიან წყალს უშვებენ. ამავე მიზნით, ისინი კანს მუდმივად აღიზიანებდნენ ესპანურათი (Cantharis) და მაჯლავერით, მაგრამ სინამდვილეში ეს სასტიკი და არაბუნებრივი ზომები ორგანიზმს მხოლოდ ასუსტებდნენ და განკურნებას აძნელებდნენ.

ჩემი ვარაუდით, ადამიანური სისუსტიდან გამომდინარე, უფრო მოხერხებული იყო ავადმყოფობების დროს რაღაც დაავადების გამომწვევი ნივთიერების არსებობა გვევარაუდა, რომლის შესახებ გონებას კონკრეტული წარმოდგენის ჩამოყალიბება შეეძლო (მით უფრო, რომ პაციენტები სიამოვნებით იღებდნენ ამ იდეებს), რადგანაც ამ შემთხვევაში პრაქტიკოს ექიმს თავის შეწუხება მხოლოდ

იმაზე დასჭირდებოდა, რომ ორგანიზმი საკმარისი რაოდენობის წამლებით უზრუნველყო სხეულის სითხეების და სისხლის გასაწმენდად, დიურეზისა და ოფლის გამოყოფის სტიმულაციისთვის, ამოხველების გასაუმჯობესებლად და კუჭ-ნაწლავის გასაწმენდად. ამ საგანში, *Materia medica*-ში დიოსკურიდიდან დაწყებული ბოლოდროინდელ ტრაქტატებამდე, ინდივიდუალური წამლების სპეციფიკურ და თავისებურ მოქმედებაზე არაფერი არ არის ნათქვამი; პირიქით, სხვადასხვა დაავადების მკურნალობისას მათი სავარაუდო სარგებლიანობიდან გამომდინარე, კეთდება დასკვნები, არიან თუ არა ისინი შარდმდენი, ოფლმდენი, ამოსახველებელი ან თვითური გაწმენდის მასტიმულირებელი საშუალებები, განსაკუთრებით კი – პირსასაქმებლები ან სასაქმებლები. ეს იმიტაა განპირობებული, რომ პრაქტიკოსი ექიმების ყველა სწრაფვა და ძალისხმევა ყოველთვის ძირითადად იქით იყო მიმართული, რომ ავადმყოფობის გამომწვევი მატერიალური სუბსტანცია და სხვადასხვა (წარმოსახვითი) მწვავე მიზეზები, რომლებიც დაავადებათა გამომწვევად ითვლებოდა, ორგანიზმიდან განედევნათ.

მიუხედავად ამისა, ყოველივე ეს მხოლოდ თერაპიის მოხერხებულობისათვის მახვილგონივრულად მოფიქრებული ცარიელი ოცნებები, დაუსაბუთებელი ვარაუდები და ჰიპოტეზებია. ვარაუდობდნენ, რომ გაჯანსაღების უიოლესი გზა ავადმყოფობის გამომწვევი მატერიალური აგენტის განედევნაა (*si modo esent!*).

თუმცა, დაავადებათა შინაგანი ბუნება და განკურნების კანონები არ შეიძლება შეიცვალოს არც ამ ფანტაზიების შესაბამისად, არც პრაქტიკოსი ექიმების საამებლად; დაავადებები არ შეიძლება ბრიყვულ, უსაფუძვლო ჰიპოთეზებს შეესაბამებოდნენ. ასევე არ შეიძლება, რომ ისინი ჩვენი სულიერი სასიცოცხლო პრინციპის, შეგრძნებებისა და ცხოველქმედების დინამიკური მოშლილობანი,

ასე ვთქვათ, ჩვენი ჯანმრთელობის არამატერიალური (სულიერი) დარღვევები არ იყვნენ.

დაავადებათა მიზეზები არ შეიძლება მატერიალური იყოს, რადგანაც უცხო ნივთიერების<sup>9</sup> მინიმალური რაოდენობა, რამდენად ინერტულადაც არ უნდა გვეჩვენებოდნენ ისინი, სისხლძარღვთა სისტემაში მოხვედრისას სასიცოცხლო ძალის მიერ დაუყოვნებლივ განიდევნება ისე, როგორც შხამი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სიკვდილი მოჰყვება. როცა თუნდაც ციცქნა ხიწვი შეადწევს სხეულის მგრძობიარე ნაწილში, ამ დროს ორგანიზმში ყველგან არსებული სასიცოცხლო პრინციპი მანამ არ დამშვიდდება, სანამ მას ტკივილის, ცხელების, დაჩირქების ან განგრენის საშუალებით არ განდევნის. ნუთუ შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ოცი წლის ხანგრძლივობის კანის დაავადების შემთხვევაში ეს დაუღალავი, აქტიური სასიცოცხლო პრინციპი მშვიდად მოითმენს სხეულის სიდრმეებში პათოლოგიურ ჰერპესულ, სკროფულოზულ, პოდაგრულ და ა.შ. უცხო ნივთიერებას? ნუთუ რომელიმე თეორეტიკოსს თავისი თვალით უნახავს ეს ავადმყოფობისმბადი მატერია, რომ თერაპიული სისტემების აგებისას მასზე ასე დარწმუნებით იმსჯელოს? ნუთუ მათგან რომელიმემ შეძლო განსახილველად წარმოედგინა პოდაგრის ნივთიერება ან საყმაწვილოს შხამი?

9. სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დადგა, ვენაში მცირე რაოდენობის სუფთა წყლის შეყვანით (იხ. მულენი, ციტირებული ბერნის მიერ <<სამეფო საზოგადოების ისტორიაში>>).

სისხლძარღვში შეყვანილმა ატმოსფერულმა ჰაერმა სიკვდილი გამოიწვია (იხ. J.M. Voigt, *Magazin Für den neuesten Zustand der Naturkunde*, I, III, p.25).

სიცოცხლისათვის ვენაში შეყვანილი ინერტული ნივთიერებებიც კი საშიშია (იხ. Autenreith, *Physiologic*, II, და § 784).

თუნდაც კანზე ან ჭრილობაში მოხვედრილმა უცხო ნივთიერებამ დასნებოვნება გამოიწვიოს (როგორც ამას

ხშირად ვხვდებით პათოლოგიის შესახებ ნაშრომებში), ვინ შეძლებს დაამტკიცოს, რომ ამ ნივთიერების რაღაც ნაწილმა სხეულის სითხეში შეაღწია ან აბსორბირებული იქნა?<sup>10</sup> გენიტალიების ყველაზე უფრო საგულდაგულო და დაუყოვნებელი ჩაბანა ორგანიზმს ვენერული დაავადებით დასნებოვნებისაგან ვერ გადაარჩენს. ყვავილით დაავადებულის ამონასუნთქი ჰაერის რამდენიმე ჩასუნთქვაც კი საკმარისია ჯანმრთელ ბავშვში ამ საშინელი სენის გამოსაწვევად.

10. რვა წლის გლაზგოელ გოგონას, რომელსაც ცოვიანმა ძაღლმა უკბინა, დაუყოვნებლივ გაუკეთდა ოპერაცია ქირურგის მიერ. მიუხედავად ნაებენი ადგილის სრული მოცილებისა, გოგონა ცოფით დაავადდა და ორ დღეში დაიღუპა (Med. Comment. of Edinb., Dec. 2. II, 1793).

რა რაოდენობის ნივთიერება უნდა ყოფილიყო აბსორბირებული სხეულის სითხეების მიერ იმისათვის, რომ პირველ შემთხვევაში ქრონიკული დისკრაზია (სიფილისი), რომელიც მკურნალობის გარეშე მხოლოდ ავადმყოფის სიკვდილის შემთხვევაში მთავრდება ან მეორე შემთხვევაში – ყვავილი, ეს პრაქტიკულად ტოტალური დაჩირქებით<sup>11</sup> მიმდინარე და სიკვდილამდე სწრაფად მიმყვანი დაავადება გამოეწვია? შესაძლოა კი, რომ ასეთ და მსგავს შემთხვევებში ავადმყოფობის გამომწვევი ნივთიერებების სისხლში შეღწევის იდეას დაეუჭიროთ მხარი? ავადმყოფის ოთახში დაწერილი წერილი, ადრესატს ხშირად დიდ მანძილზე გადასცემს გადამდებ დაავადებას.\* შესაძლოა კი, ამასთან დაკავშირებით მივიღოთ დებულება სხეულის სითხეებში მატერიალური ავადმყოფობის გამომწვევი აგენტების შეღწევის შესახებ? რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ყველა ამ

\* ეს ის დროა, როცა ლუი პასტერი მიკრობიოლოგიას უყრიდა საფუძვლებს და ინფექციური დაავადებების ეტიოლოგია საბოლოოდ არ იყო დადგენილი. (მთარგმნელის შენიშვან)

მტკიცებულებიდან? რამდენად ხშირად ხდება, რომ შეურაცხყოფა იწვევს საშიშ ნაღვლოვან ცხელებას, სიკვდილის ცრუმორწმუნე წინასწარმეტყველება – თვით სიკვდილს ნაწინასწარნამეტყველვე დროში, მოულოდნელი სამწუხარო ან სასიხარულო ამბავი – მომენტალურ სიკვდილს? სად არის ამ შემთხვევებში ავადმყოფობის გამომწვევი ნივთიერება, რომელიც სხეულში აღწევს, იწვევს და ხელს უწყობს დაავადებას, ხოლო მისი მოცილების გარეშე კი, რადიკალური განკურნება შეუძლებელია?

11. იმისათვის, რათა დაავადებების დროს ხშირად არსებული სახიზლარი ხრწნადი მატერიისა და მერალი გამონაყოფების დიდი რაოდენობა აეხსნათ, აგრეთვე შევძლოთ მათი, როგორც დაავადების გამომწვევე და ხელის შემწყობ მატერიალურ სუბსტანციებად წარმოდგენა, თუმცა ინფექციის განვითარების დროს არაფერ შესაგრძნობს მიაზმის სახით, არაფერ მატერიალურს არ შეუძლია შეადწიოს სხეულში, მიემართეთ პიპოთუხას იმის თაობაზე, რომ ინფექციის (გამომწვევი) ნივთიერება, რამდენადაც მკირე არ უნდა იყოს იგი, სხეულში როგორც სითხეების ხრწნისა და მათი მსგავსი დაავადების გამომწვევე ფერმენტად გადაქცეველი ფერმენტი მოქმედებს, რომელიც მუდმივად ხელს უწყობს და აძლიერებს დაავადებას. მაგრამ რომელი ყოვლისშემძლე და ყველგან შემღწევი გამწმენდი ნაკადით შეძლებთ გაასუფთაოთ ადამიანის სხეულის სითხეები ამ მუდმივად განახლებადი ფერმენტისგან, ამ წარმოსახვითი ავადმყოფობის წარმოქმნელი მასისაგან და ყოველივე ეს შეასრულოთ იმდენად სრულყოფილად, რომ არ დატოვოთ პათოგენური ფერმენტის უმცირესი ნაწილაკიც კი, რომელიც, პიპოთუხის შესაბამისად, სრულიად საკმარისია იმისათვის, რათა კვლავ გამოიწვიოს სითხეების ხრწნა და ავადმყოფობის გამომწვევი ნივთიერების წარმოქმნა? ეს რომ ასე ყოფილიყო, ცხადია თქვენი მეთოდებით დაავადებათა მკურნალობა შეუძლებელი იქნებოდა! ნახეთ, ჭეშმარიტების საფუძველს მოკლებული ყველა პიპოთუხა, რამდენადაც გამოშვონებლური უნარით არ უნდა იყოს შედგენილი, სრულიად აბსურდული აღმოჩნდება! ყველაზე უფრო ფესვგადგმული სიფილისი შესაძლოა განიკურნოს ფსორის მოცილების შემდეგ,

რომელიც ხშირად რთულდება ერთი ან ორი დეცილიონჯერ განზაგებული ვერცხლისწყლის ხსნარის მცირე დოზით, რის შედეგად სამუდამოდ (დინამიკურად) ნადგურდება და სხეულის სითხეებიდან იღვენება ეს გადამდები სენი.

თავისდა სამარცხვინოდ, ავადმყოფობის გამომწვევე ნივთიერებებზე ამ მოუქნელი თეორიის ფუძემდებლებს ქა-რაფშუტულად გამორჩათ და ვერ შეძლეს სიცოცხლის სუ-ლიერი ბუნების, დაავადების გამომწვევი მიზეზების სული-ერი, დინამიკური ძალების შეფასება, ამიტომაც იმდენად დეგრადირდნენ, რომ ჩვეულებრივი ექიმები მენაგვენი გახ-დნენ, რომლებიც თავისი ძალისხმევით ავადმყოფი ორგა-ნიზმიდან არარსებული ავადმყოფის გამომწვევი ნივთიერე-ბების გამოდევნას ცდილობენ. ისინი არათუ არ მკურნალო-ბენ, არამედ სიცოცხლეს უმოკლებენ პაციენტებს.

ბოლოს და ბოლოს დაავადებების დროს გამოყოფილი მყრალი, საზიზღარი ნივთიერებები არიან კი მათი გამომ-წვევი და ხელშემწყობი ფაქტორები?<sup>12</sup> ხომ არ არიან ისინი უფრო თვით დაავადების ანუ დინამიკურად დაზიანებული და დარღვეული სიცოცხლის გამონაყოფი პროდუქტები?

12. ეს რომ ასე ყოფილიყო, ყველაზე უფრო ძველი, ქრონ-იკული სურდოს მორჩენა შესაძლებელი გახდებოდა ცხვირის საგულდაგულო მოხოცვით და მისი შიგთავსის გამოდევნით.

დაავადებათა წარმოშობისა და არსის ამ ცრუ და მატერიალისტური წარმოდგენებისას გასაკვირი არაა, რომ როგორც ყველაზე ბნელი, ასევე გამოჩენილი ექიმების ყვე-ლა გონივრული სამედიცინო სისტემების ავტორთა საუკუ-ნოვანი ძალისხმევა, დაავადების გამომწვევი წარმოსახვითი ნივთიერებების მოსაცილებლად იყო მიმართული. ყველაზე ხშირი დანიშნულება ავადმყოფობის გამომწვევი ნივთიერების ამოძრავებას და ორგანიზმიდან ნერწყვდენის, ამოხველების, ოფლდენის და დიურეზის გზით მის გამოდევნას ითვალ-

ისწინებდა. სისხლის გაწმენდას დაავადების გამომწვევი არასოდეს არ არსებული ნივთიერებებისაგან ბალახების და ფესვების სხვადასხვა ძნელსაღწერი ნახარშების საშუალებით ცდილობდნენ; დაავადების გამომწვევის მექანიკურ მოშორებას – ფონტანელების, კანზე ხელოვნური ჭრილობების, რომლებიდანაც მუდმივი გამონადენები ნარჩუნდებოდა, ესპანურათი (Cantharis) და მაჯლავერით. ითვლებოდა, რომ ფონტანელებიდან ძირითადად *materia peccans*, ანუ დაავადების გამომწვევი ნივთიერება გამოიყოფოდა, როგორც ისინი მას უწოდებდნენ. იმავე მიზნით ასევე სასაქმებლებს იყენებდნენ, რომლებსაც მათი დიდი მნიშვნელობის ხაზგასასმელად გამხსნელებსა და საფაღარათოებს უწოდებდნენ. საშუალებათა მთელი ეს არსენალი იმ მტრული ავადმყოფობის გამომწვევი ნივთიერების გასადევნად გამოიყენებოდა, რომელიც სინამდვილეში ადამიანის ორგანიზმში არსებული სულიერი პრინციპის წყალობით დაავადებას არასოდეს არ იწვევდა, რომ დაავადებები სხვა არაფერია, თუ არა თავის შეგრძნებებში და ფუნქციებში შეცვლილი სიცოცხლის სულიერი, დინამიკური მოშლა.

ამგვარად უდავოა, რომ არც ერთი დაავადება კუჭში სრულიად მოუნელებადი ან გამღიზიანებელი ნივთიერებების, სხეულის სხვა ღრუებში ან სივრცეებში უცხო სხეულების მოხვედრის, ასევე უცხო სხეულებით კანის დაზიანებისა და ა.შ. შემთხვევების გარდა, არ შეიძლება გამოწვეული იქნეს მატერიალური მიზეზებით. პირიქით, ყველა დაავადება ყოველთვის და აუცილებლად ჯანმრთელობის სპეციფიკური, ჭეშმარიტად დინამიკური მოშლის შედეგია. ამიტომ, როგორ უაზრობად მოეჩვენება ყოველ საღად მოაზროვნე ადამიანს წარმოსახვითი მატერიალური მიზეზის გამოდევნის<sup>13</sup> მეთოდი, რამდენადაც მისი გამოყენებით კაცობრიობის მთავარი დაავადებების, განსაკუთრებით კი ქრონიკულების

მკურნალობის დროს, დრაკონული მავნებლობის გარდა, კარგი არაფერი არ მიიღწევა!

13. ეგრეთ წოდებული გლისტური დაავადებების დროს აუცილებლად მიგვაჩნია მათი მოცილება სასაქმებლით. მაგრამ ეს აუცილებლობა მოხვედრებითია. რამდენიმე ჭია შესაძლოა აღმოუჩინოთ ზოგიერთ ბავშვს, ბევრს ასკარიდები ჰყავს, მაგრამ მათი არსებობა ყოველთვის ცხოვრების არაჯანსაღ წესთან შერწყმული კონსტიტუციის (ფსორული) 'სოგადი დაბინძურებით განისაზღვრება. გამოასწორეთ პირველი, მოარჩინეთ პომოპოთიურად, რაც ამ ასაკში განსაკუთრებით ადვილია და არც ერთი ჭია არ დარჩება. ასე განკურნებული ბავშვი შემდგომში გლისტებით არასოდეს დაავადდება; მაშინ, როცა სასაქმებლებით მკურნალობის შემდეგ, აბზინდის თესლის ჩართვის მიუხედავად, გლისტები კვლავ და თანაც უფრო დიდი რაოდენობით გამოჩნდებიან.

<<კი მაგრამ, რას იტყვით ლენტისებური ჭიების შესახებ – თითქოს ვილაკის ხმა მახსენებდეს – მთელი ძალისხმევა ადამიანთა მოდგმის სატანჯველად შექმნილი ამ ურჩხულების განსადევნად უნდა იქნეს მიმართული>>.

ღიახ, ხანდახან ისინი განიღვენებიან, მაგრამ რა ტანჯვის და შემდგომში სიცოცხლისათვის რაოდენ საშიში შედეგების ფასად! არ მსურს ჩემს სინდისზე იყოს ლენტისებური ჭიების საწინააღმდეგოდ მიმართული საშინლად ძლიერმოქმედი საფადარათოებისადმი მსხვერპლად მიტანილი არც მრავალი ასეული ადამიანის სიცოცხლე, არც მათი მრავალწლიანი ავადმყოფური მდგომარეობა, რომლებიც სიკვდილის პირამდე მიმყვან ასეთ მკურნალობას გადაურჩნენ. რაოდენ ხშირად გეხვდება, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარე, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ყოველი ასეთი დამანგრეველი პროცედურის შემდეგ, მხეცი არ განიდევნება და თუ განიდევნა, მალე ისევ ჩნდება.

და თუკი არ არსებობს ჭიების დახოცვის ყველა მგავსი მძეინვარე, სასტიკი და საშიში მანიპულაციის უმცირესი აუცილებლობაც კი?

ლენტისებური ჭიების სხვადასხვა ტიპის აღმოჩენა ყოველთვის ხდება ფსორულ მიაზმთან ერთობლივად და ყოველთვის ქრება მისი მორჩენის შემდეგ. მაგრამ, სანამ მკურნალობა



დასრულდებოდეს, ისინი ჯერ კიდევ სრულიად მშვიდად ცოცხლობენ არა საკუთრივ ნაწლავებში, არამედ საჭმლის ნარჩენებში, როგორც თავის ბუნებრივ გარემოში, ექსკრემენტებში კვებისათვის ყოველივე აუცილებელს პოულობენ და ნაწლავთა შიდა კედლებს ეხებიან უკვე როგორც სრულიად უსაფრთხო-ნი, პაციენტი კი ამ დროს სიცოცხლით ტკებდა. თუმცა, თუკი მას ნებისმიერი მწვავე დაავადება დაემართება, მაშინ ნაწლავთა შიგთავსი ამ ცხოველისთვის აუტანელი ხდება, ის იწყებს კლაკნას, ეხება ნაწლავთა მგრძობიარე კედლებს და აღიზიანებს მათ, იწყებს დამახასიათებელ სპაზმურ ჰვალს (კოლიკას) და ავადმყოფის ტანჯვას შესამჩნევად აძლიერებს. ისე როგორც საშეილისნოში ნაყოფი მოუსვენრად ტრიალებს და ბორგავს მხოლოდ დედის დაავადების შემთხვევაში; ხოლო როცა დედა ჯანმრთელია, ის მშვიდად დაცურავს თავის ბუნებრივ სითხეში და დედას არანაირ ტანჯვას არ აყენებს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ლენტისებური ჭიებით გატანჯული პაციენტის ავადმყოფური სიმპტომები, ჩვეულებრივ, სწრაფად უმჯობესდება მთის ჩადუნას ფესვის (პომეოპათიური) უმცირესი დოზებით; ამ სახით პარაზიტი ცხოველის მოუსვენრობით გამოწვეული დაავადება, დროებით ქრება; ლენტისებრი ჭია თავს უკეთესად გრძნობს და შეუმჩნევლად ცხოვრობს ნაწლავთა გამონაყოფებში, არ იწყებს ავადმყოფის ტანჯვას და არ აღიზიანებს მის ნაწლავებს, სანამ, ფსორის საწინააღმდეგო მკურნალობა საკმარისად წინ არ წაიწევს. ფსორის ამოძირკვის შემდეგ, ჭია აღმოაჩენს, რომ ნაწლავის შიგთავსი მისი კვებისათვის მიუღებელია და ყოველგვარი გამწმენდი (სასაქმებელი) წამლების გარეშე პაციენტის უკვე განკურნებული სხეულიდან თავისთავად ქრება.

ერთი სიტყვით, დაავადებების დროს წარმოქმნილი სიბინძურეები და ნარჩენი პროდუქტები უდავოდ სხვა არაფერია, თუ არა ორგანიზმის დაავადების შედეგი. ისინი საკმარისად ინტენსიურად გამოიყოფიან (ძალიან ხშირად მეტისმეტად ინტენსიურადაც), გაწმენდის ხელოვნების ყოველგვარი დახმარების გარეშე და ისევ და ისევ წარმოიქმნებიან დაავადების მიმდინარეობის მთელი დროის განმავლობაში. ჭეშმარიტი ექიმები ამ ნივთიერებებს აფასებენ როგორც

დაავადებათა სიმპტომებს. ისინი გვეხმარებიან დაავადების არსის გამოვლენასა და მისი დაზუსტებული სურათის შედგენაში, მაშასადამე, მსგავსი სიმპტომების წარმომქმნელი წამლმიერი აგენტის დახმარებით დაავადების მკურნალობაში.

თუმცა ძველი სკოლის თანამედროვე წარმომადგენლებს არ სურთ ითვლებოდეს, თითქოს მათი მკურნალობა დაავადების გამომწვევი მატერიალური მიზეზების მოცილებისკენაა მიმართული. ისინი ამტკიცებენ, რომ მათი სხვადასხვაგვარი გამწმენდი პროცესები ყურადღების გადამტანი საშუალებით მკურნალობის მეთოდია და ამით ბუნებას ბაძვენ, რომელიც ავადმყოფის დასახმარებლად თავის ძალისხმევას ცხელების დროს ოფლდენით და დიურეზის გაძლიერებით, პლევრიტისას – ცხვირიდან სისხლდენით და შემდგომში ლორწოვანი ნახველის გამოდევნით, სხვა დაავადებებისას – ღებინებით, ფაღარათით და ანუსიდან სისხლისდენით, სახსრების ტკივილისას – ფეხებზე ჩირქოვანი წყლულებით, ყელის მწვავე ტკივილისას – ნერწყვისდენით, ანდა პირველადი კერიდან დაშორებით მეტასტაზირებით ან აბსცესების ფორმირებით ავლენენ.

ამგვარად, ისინი თვლიან, რომ ყველაზე კარგია ბუნებისადმი მიბაძვა, ასევე მკურნალობის შემოვლითი გზები,<sup>14</sup> რასაც თავის თავს მინდობილი ავადმყოფურად შეცვლილი სასიცოცხლო ძალა იყენებს. ისინი პირველადი კერიდან დაშორებულ და დაზიანებულ ქსოვილებთან არავითარი საერთოს მქონე ორგანოებზე უფრო ძლიერ ჰეტეროგენულ გამდიზიანებულ ნივთიერებებს ადებენ, ამით გამონადენებს იწვევენ და ჩვეულებრივ, მათ დაავადების მოსაცილებლად ინარჩუნებენ და ავითარებენ.

*14. იმის მაგივრად, რომ სწრაფად, ავადმყოფის ძალების გამოფიტვისა და საორჭოფო ქმედებების გარეშე ჩააქრონ დაავადება სხეულის უშუალოდ დაზიანებულ კერაზე მოქმე-*

დი ჰომეოპათიური, დინამიკური წამლით, რასაც ჰომეოპათია აკეთებს.

ეს, ეგრეთ წოდებული ყურადღების გადატანა, იყო და რჩება ძველი სამედიცინო სკოლის პირითად მეთოდად.

თვითგანკურნების ბუნებრივი მეთოდების იმიტირებით, ცდილობენ დაავადებისაგან ყველაზე ნაკლებად დაზიანებულ და ამიტომაც წამლისმიერი დაავადების მიმართ ყველაზე მგრძობიარე ქსოვილებს იძულებითი მეთოდებით თავს მოახვიონ ახალი სიმპტომები, რომლებიც მოწოდებულნი არიან მოიცილონ<sup>15</sup> პირველადი დაავადება გამონაყოფებისა და მსგავსი კრიზისების გამოწვევით, რათა ბუნებრივი სამკურნალო ძალების<sup>16</sup> შემოქმედებით თანდათანობით ლითიურ გაჯანსაღებას შეუწყონ ხელი.

*15. თითქოს შესაძლებელია, რომ რაღაც არამატერიალური მოცილებული იქნეს! ამგვარად, ამ შემთხვევაშიც ავადმყოფობის გამომწვევი ნივთიერების სუბსტანციაზე ფიქრობენ, თუმცა არასყულებრივად მკირვ, მაგრამ ალბათ მაინც არსებულზე.*

*16. მხოლოდ ყველაზე უფრო მსუბუქ და მწვავე დაავადებებს აქვთ მორჩენის ტენდენცია, ბუნებრივი მიმდინარეობის ეადის გაყლის შემდეგ, როგორც ამბობენ გაწოვის გზით. მიუხედავად იმისა, იქნა თუ არა გამოყენებული აგრესიული ალოპათიური წამლები, სასიცოცხლო ძალა კვლავ შეიძენს ჯანმრთელობის მდგომარეობის აღდგენისა და დარღვეული ფუნქციების გამოსწორების უნარს. მაგრამ, აღამიანთა მოდგმის დაავადებათა უდიდესი ნაწილის მიძიე, მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროს, თავის თავს მინდობილი ბუნება, ისე როგორც მედიცინის ძველი სკოლა. ერთნაირად უძლეურნი არიან. ამ დაავადებების დროს არც სასიცოცხლო ძალას, რომელიც ცდილობს თავის თავს დაეხმაროს, არც მისი იმიტირების მცდელობის მქონე ალოპათიას ღიზისის გამოწვევა არ შეუძლიათ და უფრო ხშირად მხოლოდ დაავადების დროებით ნახშობას აღწევენ. ამ დროს მტერი ძალებს იკრებს, რათა ადრე თუ გვიან უფრო მეტი სიმწვავეით განაახლოს თავისი შეტევები.*

ისინი ამას ოფლმდენი და შარდმდენი საშუალებებით, სისხლის გამოშვებით და ფონტანელებით, ყველაზე ხშირად კი გამღიზიანებელი (ეს მათი საყვარელი მეთოდია) წამლებით აღწევენ, რომლებიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტს თავისი პირსასაქმებელი ან საფადართო ეფექტით ასუფთავებენ. ამ უკანასკნელებს ისინი „გამხსნელებს“ უწოდებენ<sup>17</sup>.

*17. ეს გამოთქმა გამოხატავს ავადმყოფობის გამომწვევ სუბსტანციას, რაც მათი ვარაუდით და წარმოდგენით უნდა გაიხსნას და განიღუფოს.*

ყურადღების გადამტანი მკურნალობის დასახმარებლად ისინი საწინააღმდეგოდ მოქმედი გამაღიზიანებელი ნივთიერებების გამოყენების მსგავს მეთოდს მიმართავენ: ცხვრის ტყავს შიშველ სხეულზე, ფეხის აბაზანებს, პირსასაქმებლებს; ასევე ცდილობდნენ შიმშილით ემკურნალათ, რათა კუჭში „მშიერი“ ტკივილები გამოეწვიათ (შიმშილით მკურნალობა), სხეულის ახლო ან მოშორებულ ნაწილებში ტკივილის, ანთებისა და დაჩირქების გამომწვევ ნივთიერებებს, პირშუშხას ან მდოგვის საფენებს, ესპანურას (Cantharis), დასამწიფებელ სალბუნებს მაჯალვერით, ფონტანელებს, ქუჩულას შემცველ მალამოებს, ბამბის ქაღალდით ან გახურბული რკინით მოწვას, ნემსების ჩხვლეტას და ა.შ. იყენებდნენ. ეს მეთოდი ასევე ბუნებისადმი მიბაძვად ითვლებოდა, რომელიც (ბუნება) თავის თავს მინდობილი, ამაროც ცდილობს მორჩინოს დინამიკური (ქრონიკული დაავადების დროს) დაავადება, სხეულის მოშორებულ ნაწილებში ტკივილის, მეტასტაზის, აბსცესის, გამონაყარისა და ჩირქოვანი წყლულების გამოწვევის გზით.

აშკარაა, რომ ექიმებს სამედიცინო საქმის გამარტივების მცდელობისას, არა რაციონალური საფუძველი, არამედ ბრმა მიმბაძველობა ხელმძღვანელობდა და ყურადღების გადამტან და გამღიზიანებელ მეთოდებზე და-

მეარეული ძველი სკოლა. მკურნალობის იმ უსარგებლო, ტრავმულ და ირიბ საშუალებებამდე მიიყვანა, რომლებსაც მხლოდ დაავადების ხანმოკლე დროით შესუსტების ან მათი უფრო მძიმე სატანჯველით შეცვლის არეფექტურ და მავნე პრაქტიკამდე მივყავართ. რა თქმა უნდა, მოქმედების ასეთ დამანგრეველ სახეს, არ შეიძლება მკურნალობა ეწოდოს.

ისინი ბრმად მიჰყვებოდნენ უხეში ინსტიქტური ბუნების მაგალითს, რომლის ძალისხმევაც ძლივს<sup>18</sup> თუ ეყოფა მწვავე დაავადებათა უმსუბუქესი ფორმების მკურნალობასაც კი; უბრალოდ თვითშენარჩუნების უაზრო ძალებს ბაძავდნენ, რომლებიც დაავადებების დროს ბუნებრივ დინებას მინდობილნი, მთლიანად ორგანული კანონებით ანუ ბრმად და უაზროდ მოქმედებდნენ. ბაძავდნენ ბუნებას, რომელსაც არ შეუძლია დახელოვნებული ქირურგის მსგავსად განკურნოს ჭრილობა მისი კიდეების შეერთებით, ერთმანეთს მიუახლოვოს და შეუერთოს დაშორებული და ახალი ზედმეტი ძელოვანი ნივთიერების წარმომქმნელი მოტეხილი ძვლის ნაწილები, ლიგატურა დაადოს დაზიანებულ არტერიას, არამედ პირიქით, თავისი ძალისხმევით სასიკვდილო სისხლდენას უწყობს ხელს. მან არ იცის, როგორ ჩაასწოროს ამოვარდნილი მხარი და ჩასწორებისადმი ხელშემშლელ შესიებას იწვევს; ცდილობს მოიცილოს უცხო სხეული თვალის ფერადი გარსიდან, ეს კი თვალს მთლიანად არღვევს დაჩირქებით; თიაქრის ჩაჭედვისას მისი მთელი ძალისხმევა ნაწლავების განგრენითა და სიკვდილით მთავრდება; დინამიკური დაავადებების დროს ბუნების ძალისხმევით განპირობებულ მეტასტაზირებას ავადმყოფის გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობამდე მივყავართ. უფრო მეტიც, ჩვენი ორგანიზმის **ეს ირაციონალური სასიცოცხლო ძალა, უდავოდ მიწიერი არსებობის უდიდეს ბოროტებად, ურიცხვი დაავადების გამჩალებელ ნაპერწკლად გვევლინება.** ასობით და ათასობით წლის განმავლობაში კაცობრიობის მტანჯვე-

ლი ქრონიკული მიაზმები: ფსორა, სიკოზი და სიფილისი, რომელთაგან რომელიმე არა თუ არ შეიძლება ორგანიზმიდან განიდევნოს მის მიერ, არამედ თუნდაც ცოტათი შემცირდეს. პირიქით, ის მათ ნებას აძლევს, რომ ორგანიზმში ბუუტავდნენ და რომლებიც ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ ბოლოს და ბოლოს ტანჯულს თვალებსაც უხუჭავენ.

18. ჩვეულებრივ მედიცინაში ითვლებოდა, რომ დაავადებებისაგან ორგანიზმის გასათავისუფლად ბუნების ძალისხმევა, იმ შემთხვევებში, როცა წამლები არ გამოიყენებოდა, შესაძლოა მისაბაძად საუკეთესო მოდელი ყოფილიყო. მაგრამ, ეს უდიდესი შეცდომაა. სასიცოცხლო ძალის მწვავე დაავადებებისაგან განთავისუფლების უბადრუკი და არასრულყოფილი ძალისხმევა ისეთი სანახაობაა, რომ ჩვენს თანაგრძნობას იწვევს და ჩვენს რაციონალური აზროვნებას რეალური მკურნალობით მის მიერ გამოწვეული ტანჯვის შეწყვეტისაკენ მთელი ძალით მიმართავს. თუკი ბუნებას არ შეუძლია უკვე არსებული დაავადება პომეოპათიურად განკურნოს ახალი, მსგავსი დაავადების გამოწვევით (§§ 43-46), რაც მისი ძალებისათვის იშვიათადაა შესაძლებელი (§ 50) და თუკი ორგანიზმმა სხვისი დახმარების გარეშე უნდა დაძლიოს კელაე წარმოქმნილი დაავადება (ქრონიკული მიაზმების შემთხვევებში მისი წინააღმდეგობის ძალებს პრაქტიკულად არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ), ჩვენ მხოლოდ ბუნების ავადმყოფურ, ხშირად საშიშ ძალისხმევას ვხედავთ, რათა ნებისმიერ ფასად გადააჩინოს ინდივიდი უში, რასაც ხშირად მიწიერი არსებობის შეწყვეტამდე, სიკვდილამდე მიყვართ.

რამდენად ცოტა ვიცით ჩვენ, მოკვლავებმა ჯანმრთელი ორგანიზმის შიგნით მიმდინარე პროცესებზე, რაც დაფარული უნდა იყოს ჩვენგან, ისე, როგორც გახსნილი შემოქმედისა და მაცხოვრის თვალისათვის, იმდენად ნაკლებად შეგვიძლია გავერკვიოთ სიცოცხლის ბუნებრივი მიმდინარეობის დარღვევის ან დაავადებათა დროს ჩვენი ორგანიზმის შიგნით მიმდინარე პროცესებში. დაავადებების დროს შინაგანი პროცესები მხოლოდ ხილული ცვლილებებით, ჩივილებითა და იმ სიმპტომებით გამოვლინდება, რომელთა საშუალებითაც ორგანიზმი შინაგან დარღვევებს გამოხატავს. ამგვარად, ჩვენ არასოდეს არ შეგვიძლია განვსაზღვროთ რომელი სიმპტომია გამოწვეული

პათოლოგიური აგენტის პირველადი მოქმედებით და რომელი – თვითგანკურნებისკენ მიმართული სასიცოცხლო ძალის რეაქციით. ეს ნეკროსი თვალში მთელი შინაგანი დაავადების გარეგანი ანარეკლია, ისინი ერთმანეთში ირევა, რამდენადაც თავის თავს მიხედობილი ბუნების ტანჯვის შესაწყვეტად მიმართული უნაყოფო ძალისხმევა, თავად იწვევს მთელი ორგანიზმისათვის ახალ სატანჯველს. ამგვარად, სწრაფად მიმდინარე დაავადებების ბოლოს ნეკროზებრივ, ბუნების მიერ გამოწვეული ეგრეთ წოდებული კრიზისების დროსაც კი, გაცილებით მეტია ტანჯვა, ვიდრე ევექტური დახმარება.

**რას და როგორ** აკეთებს ბუნება ამ ეგრეთ წოდებული კრიზისებისას, ჩვენთვის ისევე საიდუმლოდ რჩება, როგორც ორგანიზმში მიმდინარე ყველა შინაგანი პროცესი. სრულიად ნათელია, რომ ყოველი ასეთი ძალისხმევა დაზიანებული სხეულის დიდ ან მცირე ნაწილს არღვევს და სხვა დანარჩენის გადასარჩენად სწირავს მას. სასიცოცხლო ძალის მიერ მწვავე დაავადების მოსარჩენად დამოუკიდებლად მიმართული ეს ქმედება, მხოლოდ ორგანული სიცოცხლის კანონების შესაბამისად ხორციელდება, გონებითა და ინტელექტით არ იმართება და სხვა არაფერია თუ არა ალოპათიის სახესხვაობა. დაავადების აღმოსაფხვრელად, პირველადად დაზიანებული ორგანოს დახმარების მიზნით, კრიზისის საშუალებით ექსკრეტორული ორგანოების დამატებითი, ხშირად ზედმეტი აქტიურობა სტიმულირდება, გამოიწვევა ღებინება, ფაღარათი, დიურეზი, ოფლდენა, აბსცედირება და სხვა, იმისათვის, რათა მოშორებით მდებარე სხეულის ნაწილების გაღიზიანებით ყურადღება გადავიტანოთ პირველადად დაზიანებული ორგანოდან. ამ დროს თითქოსდა ეხედავთ, თუ როგორ თავისუფლდება დინამიკურად დაზიანებული ნერვული ძალა ამ მატერიალური პროდუქტებისაგან.

ბუნებას, რომელსაც დახმარება არ ძალუძს, მხოლოდ ორგანიზმის ნაწილის რღვევით და მსხვერპლად მიტანით შეუძლია პაციენტის გადარჩენა მწვავე დაავადებისაგან და თუ სიკვდილი არ დადგება, თუმცა ნელა და არასრულყოფილად. მაგრამ მაინც აღადგენს სიცოცხლის ჰარმონიას – ჯანმრთელობას.

ზემოთ თქმულს დამაჯერებლად ადასტურებს სპონტანურად განკურნების შემდეგ ღარჩენილი დაავადება, გადატანილ ორგანოთა და თვით მთელი სხეულის გამოხატული სისუსტე,

გამოფიტვა და სხვ.

მოკლედ რომ ვთქვათ, თვითგანკურნებისკენ მიმართული ბუნების ყოველი ძალისხმევა მხოლოდ ტანჯვაა და თავის თავში ისეთს არაფერს შეიცავს, რისთვისაც მას შეეძლო მიებაძა, თუ დაავადებათა განკურნება მართლაც ოსტატურად უნდოდა.

როგორ შეეძლოთ ძველი სკოლის ექიმებს რაციონალურის სახელი მიეთვისებინათ ისეთ მნიშვნელოვან საქმეში როგორც მკურნალობაა, რომელსაც ამდენი გონება, განსჯა და აზროვნების ჭეშმარიტება სჭირდება, თავის მასწავლებლად ირაციონალური სასიცოცხლო ძალა აერჩიათ და ბრმად მიჰყოლოდნენ მას თვითმკურნალობის უაზრო, ირიბ და ბობოქარ პროცესებში? მათ ის წარმოიდგინეს, როგორც მკურნალობის იდეალური მეთოდი non plus ultra (არც მეტი, არც ნაკლები), მაშინ როცა უზენაესის უდიდესი საჩუქარი – გონება და ცრურწმენისაგან თავისუფალი აზროვნება – ტანჯული კაცობრიობისთვის გაცილებით უფრო ეფექტური და გადამრჩენელი დახმარების აღმოსაჩინად მოგვეცა.

უხეში, უაზრო და შეუგნებელი სასიცოცხლო ენერჯიის ყურადღების მიმქცევი და გამაღიზიანებელი მეთოდების ბრმად მიბაძვით, ძველი სკოლის ექიმები თავის საშუალებებს ორგანიზმის დაუზიანებელ ორგანოებსა და ნაწილებზე მიმართავენ, მათში სასტიკ ტკივილებს იწვევენ, უფრო ხშირად კი მათ გაწმენდას აიძულებენ, სანამ ორგანიზმის ძალები და სითხეები არ ამოიწურება. მათი მიზანია ავადმყოფური ძალები პირველადი კერიდან, ხელოვნურად დაზიანებული ნაწილებისაკენ მიმართონ და ამით, ბუნებრივი დაავადება ირიბი გზებით მოარჩინონ. ისინი ცდილობენ ამას ჯანმრთელ ნაწილებში გამოწვეული ხელოვნური, არსებითად უფრო ინტენსიური და სრულიად სხვა ბუნების მქონე დაავადების დახმარებით, შესაბამისად შემოვლითი გზით და მნიშვნელოვანი გამოფიტვის, ხშირად კი ავადმყოფთა სასტიკი ტანჯვის ფასად<sup>19</sup> მიაღწიონ.



19. ქრონიკული დაავადებების მკურნალობის დროს ყოველდღიური გამოცდილება ამ მანქანის საევალო შედეგის დემონსტრაციას ახდენს. ყველაფერი მიიღწევა, განკურნების გარდა. ვინ გარისკავს გამარჯვებაზე ისაუბროს მაშინ, როცა მოწინააღმდეგეზე ხელნართული ბრძოლით ფრონტალურ შეტევაზე გადასვლის მაგიერ, რომელიც მას გაანადგურებს და დაუყოვნებლივ ალკეოს მტრის შემდგომი შემოტევის მცდელობას, ღანრულად ემოქმედებთ მის ზურგს უკან, ვიყენებთ ყოველნაირ აკრძალულ ხერხს, ვსაბოტო მისი მომარაგების წყაროებს, ყველაფერს ვწვათ მის გარშემო დიდ მანძილზე? ასეთი მოქმედებით, ბოლოს და ბოლოს ჩვენ მას წინააღმდეგობის გასაწევ სიმამაცეს მოვეუსაბოტო, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწევთ, რადგანაც მტერი განადგურებისაგან ჯერ კიდევ შორსაა, ჯერ კიდევ ადვილზეა და თავს უფრო გაბოროტებული წამოაყოფს, როგორც კი მომარაგების წყაროები განახლდება. ვიმეორებ, მტერი განადგურებისაგან შორსაა, ხოლო საცოდავი, უდანაშაულო ქვეყანა ამ შემოვლითი მანევრებით იმდენად დაზარალდა, რომ თავის ძალებს დიდხანს ვერ აღიდგენს. მსგავსი სახით მოქმედებს ალოპათია ქრონიკული დაავადებების მკურნალობის დროს, როცა დაავადების პირველადი კერიდან მოშორებულ, სხეულის დაუზიანებელ ნაწილებზე არაპირდაპირი შეტევებით განკურნების მაგიერად ორგანიზმს აზიანებს. ასეთია ამ ტრავმული ღონისძიებების შედეგები!

დაავადება, თუკი ის მწვავეა, სხეულის ჯანმრთელი ნაწილების ხელოვნური დაზიანების დროსაც კი (ალოპათიური მკურნალობა), შესაძლოა მოკლე დროში ბუნებრივად გაქრეს. ამ ბობოქარ საექიმო საქმიანობაში განკურნების საპატიო სახელს არაფერი არ იმსახურებს, რადგან მას პირველადად დაზიანებულ ქსოვილებზე პირდაპირი, დაუყოვნებელი და შესაბამისი მოქმედება არ გააჩნია. სინამდვილეში მწვავე დაავადება, ჩვეულებრივ, ამ ინტენსიური თავდასხმების გარეშე თავისთავად იკურნება, უფრო სწრაფად, ნაკლები გართულებებით და ძალების ნაკლები დანაკარგით. მაგრამ, ვერც უხეში ბუნებრივი ძალები. ვერც მათი ალოპათიური მიბაძვა დინამიკურ (ჰომეოპათიურ) მკურნალობას

ვერ შეედრება, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმის ძალებს, პირდაპირ და სწრაფად სპობს დაავადებას.

დაავადებათა გაცილებით მეტ რიცხვში, მხედველობაში მაქვს ქრონიკული დაავადებები, ძველი სკოლის ეს ბობოქარი, გამომფიტავი, არაპირდაპირი მკურნალობა უმცირეს სარგებელსაც კი ვერ იძლევა. ისინი მხოლოდ რამდენიმე დღით ხსნიან ამა თუ იმ შემავსებელ სიმპტომს, რომელიც ხელმეორედ გამოჩნდება, როგორც კი ორგანიზმი გამოყენებულ გამაღიზიანებელს შეეჩვევა, ხოლო ანტაგონისტური ტკივილებით<sup>20</sup> და შეუფერებელი გაწმენდით გამოწვეული სასიცოცხლო ძალის შესუსტების გამო დაავადება ახალი ძალით დაბრუნდება.

20. რა შედეგებამდე უნდა მიგვიყვანოს ამ აყროლებულმა ხელოვნურმა წელულებმა, რომლებმაც დრენაჟის მოდური სახელი მიიღეს? სანამ ისინი ტკივილს იწვევენ პირველი ერთი ან ორი კვირის განმავლობაში, ანტაგონისტური ზემოქმედების მოხებით, მათ ჯერ კიდევ შეუძლიათ დაავადების მიმდინარეობის დამუხრუჭება. შემდგომში, როცა ორგანიზმი ტკივილებს შეეჩვევა, ისინი ავადმყოფს მხოლოდ გამოფიტავენ და ქრონიკული დაავადების სიმძიმეს გაზრდიან. ან მეცხრამეტე საუკუნეში ვინმე წარმოიდგენს, რომ ისინი *materia peccans*-ის გამოსადეგნი საშუალებებია? ეს ალბათ მოხდებოდა კიდევ, თუკი შესაძლებელი იქნებოდა!

იმ დროს, როცა ძველი სკოლის ექიმები უხეშ, უაზრო ბუნებას ბაძავენ და პრაქტიკაში წმინდა ჰიპოთეტიური ფასეულობის, მათი შეხედულებით ყველაზე უფრო აზრიან (ნიშნავდნენ რაღაც წარმოსახვითი ჩვენებებით), ყურადღების გადამტან საშუალებებს იყენებენ, სხვები, უფრო დიდი მიზნების მქონენი, ცდილობენ დაეხმარონ სასიცოცხლო ძალას გამოიწვიოს გაწმენდა და დაავადების დროს არსებული ანტაგონისტური მეტასტაზების მოშორება. ისინი ცდილობენ დახმარების ხელი გაუწოდონ და ამ მავნე სა-

შუალებებით აძლიერებენ რა გაწმენდას და ყურადღების გადატანას, *duce natura* (ბუნების მიბაძვით) მოქმედებენ და სრული უფლება აქვთ *minister nature* (ბუნების მსახური) ტიტულის პრეტენდენტები იყვნენ.

რადგან, ბუნებრივი ძალებით გამოწვეული გაწმენდა ხშირად წინ უსწრებს შემაწუხებელი სიმპტომების, ძლიერი ტკივილების, დამბლის, სპაზმებისა და სხვების დროებით შემსუბუქებას, ძველმა სკოლამ ეს შემსუბუქებები დაავადებათა მკურნალობის ჭეშმარიტ მეთოდად მიიჩნია და ამგვარი გაწმენდის ხელის შეწყობა და გაძლიერებაც კი დაიწყო. მათ ვერ შენიშნეს, რომ ქრონიკული დაავადებების დროს ბუნებას მინდობილი ყველა ეს გაწმენდა და გამონაყოფები (ფსევდოკრიზისი), მხოლოდ პალიატიურ, დროებით გაუმჯობესებას იძლევა და მკურნალობაში რეალური წვლილი არ შეაქვს, პირიქით, საწყის შინაგან დისკრაზიას უფრო აძლიერებს. არავის არ უნახავს საბოლოოდ განკურნებული ქრონიკული ავადმყოფი არც უხეში ბუნების ასეთი ძალისხმევით და არც გაწმენდით განკურნებული ქრონიკული დაავადება. პირიქით, საწყისი დისკრაზია შესამჩნევად ძლიერდება ყოველი მომდევნო შემთხვევისას, სულ უფრო და უფრო ხანმოკლე რემისიის შემდეგ; მიმდინარე გაწმენდების მიუხედავად გამწვავება თანდათანობით უფრო ხშირი და სასტიკი ხდება<sup>21</sup>. ამგვარად, ადამიანის შინაგანი ქრონიკული დაავადებით გამოწვეული სიმპტომებისას, რომლებიც სიცოცხლეს შეწყვეტით ემუქრება, თავის თავს მინდობილი ბუნება თავს ვერ ეხმარება, მხოლოდ ადგილობრივ გარეგან სიმპტომებს იწვევს, რათა საშიშროება სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ორგანოებიდან ნაკლებსაჭირო ქსოვილებსაკენ მიმართოს (მეტასტაზირება). ენერგიული, მაგრამ უაზრო, უგონო და მფლანგველი სასიცოცხლო ძალის ამქმედებებს ყველაფრამდე შეუძლია მიგვიყვანოს, ჭეშმარიტი გაუმჯობესების ან გაჯანსაღების გარდა. სასიცოცხლო

სითხეებისა და ძალების მნიშვნელოვანი ნაწილის ფასად, თანაც მხოლოდ პალიატიურად, ცოტა ხნით შეუძლია ჩაახშოს საშიში შინაგანი პროცესები, მაგრამ საწყის დაავადებას ოდნავადაც ვერ შეამცირებს. უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ გადაავადებს ფატალურ გამოსავალს, რომელიც ჭეშმარიტი ჰომეოპათიური მკურნალობის არარსებობისას აუცილებლად დადგება.

21. ასევე არაეფექტურია ხელოვნურად გამოწვეული გაწმენდა.

ძველი სკოლის ალოპათებმა ეს ძალისხმევა არა მარტო მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეაფასეს, არამედ მათზე სრულიად მცდარი წარმოდგენაც კი შექმნეს. ისინი შეცდომით მიიჩნიეს ჭეშმარიტად სამკურნალოდ, ცდილობდნენ მათ გაძლიერებას და ხელშეწყობას. არასწორად წარმოიდგინეს, რომ შეძლებენ წარმატების მიღწევას, მთელი დაავადების ამოძირკვასა და რადიკალურად განკურნებას. ქრონიკული დაავადებისას, თუკი წარმოვიდგენთ, რომ სასიცოცხლო ძალამ შემაწუხებელი შინაგანი სიმპტომი ჩაახშო, იმით, რომ მაგალითად, კანზე რომელიმე სახის სველი გამონაყარი გამოიწვია, მაშინ უხეში ბუნებრივი ძალის (minister nature) მსახური, სველ გამონაყარზე ესპანურას (Cantharis) ან ქუჩულას იყენებდა, იმისათვის, რომ Duce natura-მ გამოყოფა გააძლიეროს და ამით ბუნებრივი ძალების მიზანს, განკურნებას მიუახლოვდეს (ავადმყოფობის გამომწვევი ნივთიერების ორგანიზმიდან გამოტანის გზით?). თუმცა, თუკი წამლის ეფექტი ზედმეტად ძლიერი იყო, ეგზემა უკვე დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა, ხოლო ორგანიზმის რეაქტიულობა საკმარისად გაიზარდა, ის ტანჯვას და გარეგან სიმპტომებს საწყისი დაავადების უმცირესი შესუსტების გარეშე მნიშვნელოვნად აძლიერებდა, იწვევდა უძილობას და ფიტავდა მის ძალებს (ზოგჯერ ავთვისებიანი წითელი

ქარის ტიპის ანთებასაც იწვევდა). თუკი ადგილობრივ (ახალწარმოქმნილ) სიმპტომებზე შემოქმედება ზომიერი ინტენსივობით ხასიათდებოდა, მაშინ, არასწორად შერჩეული გარეგანი ჰომეოპათიური საშუალების გამოყენებით ბუნების მიერ უფრო საშიში შინაგანი დაავადების შესამსუბუქებლად კანზე გაჩენილ ადგილობრივ სიმპტომს ახშობდა. ადგილობრივი სიმპტომის ეს ანარეკლი სასიცოცხლო ძალას აიძულებდა ტანჯვა გაძლიერებული ფორმით სხვა, უფრო მნიშვნელოვან ორგანიზმებზე გადაეცანა. ჩახშობილი ადგილობრივი დაავადების მაგივრად პაციენტი ავადდებოდა საშიში ოფთალმიით, სიყრუით, კუჭის სპაზმებით, ეპილექსიური კრუნჩხვებით, ასთმით, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლით, ფსიქიატრიული დარღვევებით და ა.შ.<sup>22</sup>

*22. ალოპათების მიერ ადგილობრივი სიმპტომების ასეთი გარდასახვის ბუნებრივი შედეგები განიხილება როგორც სრულიად სხვა ბუნების ახალი დაავადებები.*

როცა ავადმყოფურად შეცვლილი ბუნებრივი ძალა სისხლს უკანა ტანის ან სწორი ნაწლავის ვენებისკენ მიმართავდა (შინაგანი ბუასილი), მაშინ სამკურნალო ძალისხმევაში სასიცოცხლო ძალის დახმარების იმავე მცდარი იდეის მიმდევარი minister nature წურბლებს იყენებდა, ხშირად ძალიან დიდი რაოდენობით, რათა სისხლისთვის გამოსვლის საშუალება მიეცა და ხანმოკლე, ხშირად ოდნავ შესამჩნევ გაუმჯობესებასაც აღწევდა. მაგრამ, ამ გზით ორგანიზმს ასუსტებდა და შემდგომში იმავე ადგილებში სისხლის კიდევ უფრო მეტ მიდინებას იწვევდა, საწყისი დაავადების უმცირესი შესუსტების გარეშე.

თითქმის ყოველთვის, როცა ავადმყოფის სასიცოცხლო ძალა საშიში შინაგანი დაავადების სიმძიმის შემცირებას სისხლიანი ღებინებით, ხველითა და სხვა გზით ცდილობდა, ძველი სკოლის ექიმი, duca natura, ბუნებას მისი აზ-

რით ამ გადამრსენი ღონისძიებების გაძლიერებაში ეხმარებოდა და სისხლის მასიურ გამოშვებას მიმართავდა, რაც უცილობლად მრავალ ახალ გართულებას და ორგანიზმის შესამჩნევ დასუსტებას იწვევდა.

ქრონიკული გულისრევის დროს ბუნების ძალისხმევის გააქტიურების მიზნით, ძლიერი ამოსაღებინებელი საშუალებებით ის კუჭის შიგთავსის უხვ გამოდევნას იწვევდა. ამ დროს სასარგებლო ეფექტი არასოდეს არ მიიღწეოდა, საძაგელი, საშიში და საბედისწერო შედეგები კი ხშირად ვითარდებოდა.

შინაგანი ტანჯვის შესასუსტებლად სასიცოცხლო ძალა ზოგჯერ გარეგანი ჯირკვლების უმტკივნეულო გადიდებას იწვევს და ექიმი, მსახურის მოგონილი ნიღბით, ყოველნაირი შესაძლო შემათობებელი კომპრესითა და საფენით ცდილობს ბუნების ეს ძალისხმევა განავითაროს.

ამით ჯირკვლების ანთებას იწვევს, რათა ფორმირების შემდეგ აბსცესი გახსნას და ავადმყოფობის გამომწვევი ნივთიერება (?) გამოადინოს. გამოცდილებამ უკვე მრავალჯერ დაგვიდასტურა, რომ ამ საშუალებებით პრაქტიკულად ყოველთვის მხოლოდ დაავადების გახანგრძლივება აღინიშნება.

შეამჩნია რა, რომ ქრონიკული დაავადების მძიმე სიმპტომების შემსუბუქება ხშირად ღამის სპონტანური ოფლის ან ხშირი თხიერი განავლის შემდეგ ხდება, მან წარმოიდგინა, რომ ბუნების (*duce natura*) მითითებებს უნდა მისდინოს და ისინი ხანგრძლივი ოფლმდენი მკურნალობის კურსის ან მსუბუქი საფადართო საშუალებების ხანგრძლივად, წლობით დანიშვნით განავითაროს. ის ვარაუდობდა, რომ ამით ბუნების ძალისხმევას დაეხმარებოდა (ორგანიზმის უგუნურ სასიცოცხლო ძალას), რომელსაც ის მთლიანი ქრონიკული დაავადების მოსარჩენად მიმართულად თვლიდა და ამგვარად, ავადმყოფის ტანჯვისგან განთავისუფლებას სწრაფად და აუცილებლად მიაღწევდა (ავადმყოფობის გა-

მომწვევი ნივთიერებები?).

მაგრამ, ამით ის სრულიად საწინააღმდეგო შედეგს – საწყისი დაავადების გამწვავებას იღებდა.

ამ მიკერძოებული, დაუსაბუთებელი თეორიის შესაბამისად, ძველი სკოლის ექიმები ავადმყოფი სასიცოცხლო ძალის ძალისხმევის ხელშეწყობას<sup>23</sup> და ამით გაწმენდისა და ყურადღების მიქცევის გაძლიერებას აგრძელებდნენ. ამას სასურველ შედეგებამდე არასოდეს არ მიყავართ, პირიქით, ყოველთვის კატასტროფულ შედეგებს იწვევენ. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ გაწმენდის ყველა ადგილობრივი სიმპტომი და საწყისი ქრონიკული სატანჯველის შესამსუბუქებლად, თავის თავს მინდობილი სასიცოცხლო ძალის მიერ გამოწვეული ყურადღების გადატანის მოხვედრებითი მცდელობა, სინამდვილეში თვითონ სატანჯველი – მთლიანი დაავადების სიმპტომებია. ყველა სიმპტომისათვის ერთადერთი და მხოლოდ ერთი ეფექტური წამალი, თანაც ყველაზე უფრო პირდაპირ მოქმედი, მსგავსების საფუძველზე შერჩეული ჰომეოპათიური საშუალებაა.

23. ძველი სკოლა ხშირად თავს სრულიად საწინააღმდეგოს ნებას აძლევს. მაშინ, როცა სასიცოცხლო ძალის მიერ შინაგანი დაავადების შესუსტების ძალისხმევა სხეულის ზედაპირზე შეგრძნებებითა და ადგილობრივი სიმპტომებით ზედმეტად შემაწმენდილი ხდება, მათ სიმპტომთა ამაცილებელი და გამძვინვარების საშუალებებით ახშობენ; ისინი ქრონიკულ ტკივილებს, უძილობას და შეუპოვარ ფაღარათს ოპიუმის საშიში დოზით ამცირებენ, ღებინებას – შეუხეხა მარილის ხსნარით, ტერფების ძლიერ სუნს – ფეხების ცივი აბაზანებით და მორთიმლავი ნივთიერებებით, კანზე გამოწყობენ – თუთიის და ტყვიის პრეპარატებით; საშვილოსნოდან სისხლდენას – ძმრის ინექციებით, სახის ოფლს – შაბით, ღამის პოლუციას – ქაფურით, სახისა და სხეულის ხშირ სისხლსაგესობას (აღებს) – გვარჯილით, მკენარეული მუავეებითა და გოგირდ-მუავეათი, ცხვირიდან სისხლდენას – მორთიმლავ ნივთიერებებში დასველებული ძენძის ტამპონებით ნესტოების დახშობით;

სერიოზული შინაგანი დაავადების შემსუბუქების მიზნით სასიცოცხლო ძალის გაკლენით წარმოშობილ სველ და ჩირქოვან წელულებს – ტყვიის ან თუთიის ოქსიდებით და ა.შ. ამას სავალალო შედეგები მოსდეს, რასაც ათასობით შემთხვევის გამოკვლილება გვჩვენებს.

სიტყვიერად და ნაშრომებში, მკურნალობის თავიანთ მეთოდს ძველი სკოლის ექიმები ტრაბახით, რაციონალურად მოიხსენიებენ. დაავადების მიზეზებს იმისათვის იკვლევენ, რათა ყოველთვის რადიკალურ განკურნებას მიაღწიონ. მაგრამ სინამდვილეში მათ მიერ ჩატარებული მკურნალობა მხოლოდ იზოლირებული სიმპტომებისკენაა მიმართული და პაციენტისთვის ყოველთვის მავნე შედეგები სდევს თან.

რამდენადაც ყოველივე, რასაც უხეში ბუნება, მწვავე და განსაკუთრებით ქრონიკული დაავადებების დროს თავისთავის დასახმარებლად ახორციელებს, უკიდურესად არასრულყოფილი ზომებია და ხშირად ნამდვილ დაავადებადაც გვევლინება, იმდენად აშკარაა, რომ ამ არასრულფასოვანი და ავადმყოფური პროცესების ხელოვნურმა გაძლიერებამ კიდევ უფრო მეტი ზიანი უნდა მოგვიტანოს. მას არ შეუძლია თვითგანკურნების ბუნებრივ პროცესებს დაეხმაროს მწვავე დაავადებების დროსაც კი, როგორც საექიმო ხელოვნებას არ შეუძლია იმ დაფარული გზებით იმოძრაოს, რომელსაც სასიცოცხლო ძალა თავისი კრიზისის გადასალახავად იყენებს, ძლიერმოქმედი საშუალებებით მათ გამოწვევას მისი დახმარების გარეშე ცდილობს. ისინი ნაკლებად ეფექტური, თანაც ორგანიზმში ბუნებრივი პროცესების უფრო ძლიერი დამრღვევები და შემასუსტებლები არიან, ვიდრე ინსტიტუტური სასიცოცხლო ძალა. ალოპათიას ბუნებრივი ყურადღების გადატანითა და კრიზისებით მიღწეული არასრული გაუმჯობესების გამეორებაც კი არ შეუძლია. მთელ მის ძალისხმევას არ ძალუძს თუნდაც იმ მცირე გაუმჯობესებამდე მიგვიყვანოს, რისი მიღწევაც მხოლოდ თავისთავს მინდობილ სასიცოცხლო ძალას შეუძლია.



მაგალითად, ქრონიკული თავის ტკივილების შეტევების შესამსუბუქებლად, სკარიფიკატორული ინსტრუმენტებით ცდილობდნენ ცხვირიდან სისხლდენის გამოწვევას, იმის მსგავსად რაც ზოგჯერ ბუნებრივად ხდება. ამ ღონისძიებებს შეეძლო უხვი სისხლდენა გამოეწვია და ავადმყოფი დაესუსტებინა. სასურველი ეფექტი ან არ გვექონდა, ან არსებითად მცირე იყო იმასთან შედარებით, რასაც ინსტიტუტური სასიცოცხლო ძალა სხვა დროს სისხლის რამდენიმე წვეთის გამოშვებით მიაღწევდა.

რისხვით, შიშით, მყესების დაჭიმვით ან გაციებით გამოწვეული მოულოდნელი ავადობის დროს აქტიური სასიცოცხლო ძალის მიერ გამოწვეული ეგრეთ წოდებული კრიტიკული ოფლი ან ფადართი, უკიდურეს შემთხვევაში ხანმოკლე მწვავე დაავადების შესამსუბუქებლად გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე ყველა ოფლმდენი და სასაქმებელი საშუალებები ფარმაკოპედიან, რომლებიც, როგორც ყოველდღიური გამოცდილება გვიჩვენებს, პაციენტის მდგომარეობას მხოლოდ აუარესებენ.

თუმცა სასიცოცხლო ძალა, რომელსაც მოქმედება მხოლოდ ჩვენი ორგანიზმის ფიზიკური კონსტიტუციის შესაბამისად შეუძლია და ცოდნითა და აზროვნებით არ ხელმძღვანელობს, ადამიანს იმისათვის კი არ მიეცა, რომ იგი ჯანმრთელობის მდგომარეობის სამწუხარო გადახრების განსაკურნავი აგენტის საუკეთესო შესაძლო ვარიანტად ჩაეთვალოს; მით უფრო არ შეიძლება ექიმებმა თავიანთი სასტიკი, უდავოდ უფრო ნაკლებშესაფერი საშუალებებით, ვიდრე ბუნებას გააჩნია, მონურად მისდიონ მის არასრულყოფილ ავადმყოფურ მცდელობებს (განთავისუფლდნენ დაავადებისაგან). ამით ისინი თავს იცავენ მსჯელობებთან, მტკიცებულებათა ძებნასა და აზრის გამომუშავებასთან დაკავშირებული ძალისხმევისაგან, რაც აუცილებელია ხელოვნებათა შორის საუკეთესოს – მკურნალობის ხელოვნების პრაქტი-

კული გამოყენების მისაღწევად. ამის მაგივრად, ბუნების სტიქიურ და საექვო ძალისხმევაზე მიბაძვის თავიანთ ამაზრზენ მცდელობებს, უსაფუძვლოდ უწოდებენ მკურნალობის ხელოვნებას, მკურნალობის რაციონალურ ხელოვნებას!

რომელი ჭკუათმყოფელი ადამიანი მიბაძავს გაჯანსაღების დამოუკიდებელ მცდელობაში ორგანიზმის ძალისხმევას? ეს მცდელობები თვით დაავადებებია, ხოლო სასიცოცხლო ძალა – ხილული დაავადების გენერატორი. აქედან გარდაუვლად გამომდინარეობს, რომ ამ მცდელობებისადმი ყველა ხელოვნურმა მიბაძვამ, ისევე, როგორც მათმა სახშობამ ან უნდა გააძლიეროს, ან ძლიერ დაამახინჯოს დაავადება. ალოპათია აკეთებს როგორც ერთს, ისე მეორეს. აი, მისი დამღუპველი ქმედება, რომელსაც მედიდურად მკურნალობის ხელოვნებას, მკურნალობის რაციონალურ ხელოვნებას უწოდებენ!

არა! ადამიანის ეს თანდაყოლილი ფაქიზი ძალა ჯანმრთელ მდგომარეობაში სასიცოცხლო ფუნქციების მართვისთვისაა განკუთვნილი. ის თანაბრად გეხვდება ორგანიზმის ყველა ნაწილში, ახასიათებს როგორც მგრძობიარე, ასევე ეფექტორულ ნერვულ ბოჭკოებს და დაუღალავად უწყობს ხელს ორგანიზმის ყველა ორგანოს ნორმალურ ფუნქციონირებას. ის თვითგაჯანსაღებისთვის არ შექმნილა და არ შეიძლება მკურნალობის ხელოვნებაში მისაბაძი მაგალითი იყოს. არა! მკურნალობის ჭეშმარიტი ხელოვნება – ადამიანური ინტელექტის უმაღლესი ძალების, აზრის ის სამუშაოა, რომელიც ცრურწმენისაგან თავისუფალი განსჯის საფუძველზე ირჩევს და განსაზღვრავს ინსტიქტურ, ირაციონალურ და უგუნურ, მაგრამ აქტიურ ავტომატურ სასიცოცხლო ძალაზე ზემოქმედების პრინციპებს, იმ შემთხვევებში, როცა დაავადება მას აიძულებს დამახინჯებულად იფუნქციონიროს. (კარგად) შერჩეული ჰომეოპათიური წამლით გამოწვეული მსგავსი მოქმედების მეოხებით იგი უფრო

ძლიერ წამლისმიერ დაავადებას იწვევს, ისე, რომ ბუნებრივ დაავადებას სასიცოცხლო ძალაზე მოქმედება აღარ შეუძლია. ბუნებრივი დაავადებისაგან გათავისუფლებული ეს უკანასკნელი, უკვე მხოლოდ რამდენადმე უფრო ძლიერი წამლისმიერი დაავადების პირისპირ რჩება, მთელ თავის ენერგიას მისკენ მიმართავს და მალე დაძლევს კიდევც. ეს იმიტომ ხდება, რომ გათავისუფლებული სასიცოცხლო ძალა კვლავ იძენს ჯანმრთელი ორგანიზმის ნორმალური ცხოველქმედების აღდგენის, — „სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების“ უნარს და ამ ცვლილებების მისაღწევად მტკივნეულ და დამასუსტებელ ზემოქმედებებს არ ექვემდებარება. ჰომეოპათია გვასწავლის როგორ მივაღწიოთ ამას.

ძველი სკოლის ზემოთ აღწერილი მეთოდებით ნამკურნალევი მრავალი ადამიანი გათავისუფლდა თავისი დაავადებებისგან, მაგრამ არა იმათგან, რომლებიც ქრონიკულები (არავენერულები) არიან. ისინი მხოლოდ ნაკლებად მძიმე მწვავე დაავადებებისაგან განიკურნებოდნენ, თანაც ისეთი შემოვლითი და მძიმე გზებით, რომ შეუძლებელი იყო მკურნალობის შედეგებისათვის კეთილშობილი ხელოვნებით მიღწეული გაჯანსაღება გვეწოდებინა. არც ისე საშიშ მწვავე დაავადებებს აჩერებდნენ ვენასექციებით ან ერთ-ერთი წამყვანი სიმპტომის დათრგუნვით ენტეროპათიური პალიატიური საშუალებების (contraria contraries) ან გამღიზიანებელი და ყურადღების გადამტანი (ანტაგონისტური და ყურადღების გადამტანი) წამლების დაუზიანებელ ადგილებზე მიდებით, იმდენ ხანს, სანამ ამ ხანმოკლე დაავადებების არსებობის ბუნებრივი დრო არ გაივლიდა. შესაბამისად, ისინი ირიბი მეთოდები იყენენ და ძალებისა და სითხეების დაკარგვას ისე აშკარად უკავშირებოდნენ, რომ ასეთი მკურნალობის შემთხვევებში აღდგენის უფრო მნიშვნელოვანი ზომების მიღება თავად ბუნებას უხდებო-

და; სიცოცხლის დამცველ ძალებს ბუნებრივი მწვავე დაავადების მოცილების გარდა არასწორი მკურნალობის შედეგების გადალახვაც უწევდა. ამგვარად, იმ შემთხვევებში, რომლებიც დიდ საშიშროებასთან არ იყო დაკავშირებული, თავისი ძალებით შეეძლო თანდათანობით აღედგინა ფუნქციათა ნორმალური თანაფარდობა, მაგრამ ხშირად შემოვლითი, არასრულყოფილი და მტკივნეული გზებით.

ძნელია იმ ეჭვებისაგან გათავისუფლება, რომ ძველი სკოლის ჩარევით გაჯანსაღების ბუნებრივი პროცესები ჩქარდებოდა და ძლიერდებოდა, რამდენადაც ამ უკანასკნელს სხვანაირად მოქმედება არ შეეძლო, იმ შემოვლითი გზების და თავისი ყურადღების გადამტანი და გამაღიზიანებელი მეთოდების გარდა, რითაც სასიცოცხლო ძალის არსებითად მეტ დაზიანებას და გამოფიტვას იწვევდა.

ძველ სკოლას მკურნალობის კიდევ ერთი მეთოდი აქვს, რომელსაც ორგანიზმის **მასტიმულირებელი და გამაძლიერებელი** ჰქვია<sup>24</sup> (excitantia, nervina, tonica, confortantia, roborantia-ს დახმარებით). საინტერესოა, როგორ შეუძლია მას ამ მეთოდით ტრიაბახი?!

24. *მკაცრად თუ განუსაზღვრავთ ეს ენანტიოპათიური მეთოდია და მე მას კიდევ დაეუბრუნდები „ორგანონის“ ტექსტში (§ 59).*

მსუბუქი რეინული ან აღმგზნები ტოკაის ღვინის დანიშვნით განა ოდესმე მიულწევიათ ქრონიკული დაავადებებით ასე ხშირად გამოწვეული და შენარჩუნებული ფიზიკური სისუსტის მოსპობა? ასეთი მკურნალობით ძალები სულ უფრო და უფრო იფიტება, რამდენადაც სისუსტის წყარო – ქრონიკული დაავადება, ამით არ განიკურნება, ხოლო ხელოვნურ აგზნებას შემდგომში ყოველთვის მოჰყვება სასიცოცხლო ძალის რეაქციის შემცირება.

განა შეუძლიათ ასე არასწორად გაგებულ, თავისი

მოქმედებით ამდენად სხვადასხვა და სრულიად განსხვავებული დაავადებების გამომწვევ ქინაქინას ქერქს ან მის Amara-ს ასეთ შემთხვევებში ძალების აღდგენა? განა ეს მცენარეული სუბსტანციები, ისევე როგორც რკინის პრეპარატები, რომლებსაც ყოველთვის მატონიზირებელსა და გამამაგრებლებს უწოდებენ, თავისი პათოგენური ეფექტებით, ძველ დაავადებას ხშირად ახალ ტანჯვას არ უმატებენ, ხანგრძლივი და უცნობი დაავადებებით განპირობებულ სისუსტის შემცირების გარეშე?

განა ვინეს ეგრეთ წოდებული unguenta nervina-ს ან რაიმე სხვა სპირტიანი საფენებით ან ბალზამებით თუნდაც უმნიშვნელოდ შეუმცირებია ხელის ან ფეხის დამბლის დასაწყისის ხანგრძლივობა, რაც ხშირად ქრონიკული დისკრაზიის შედეგია, თვით დისკრაზიის მკურნალობის გარეშე? და ელექტრულ ან გალვანურ განმუხტვებს ასეთ შემთხვევებში განა ოდესმე სხვა შედეგამდე, თუ არა თანდათანობით დამბლის საბოლოო განვითარებით, დაზიანებულ კიდურში ნერვული და კუნთური რეაქტიულობის გაქრობით გამოხატულ გაუარესებამდე არ მივყავდით? <sup>25</sup>

25. სმენადაქვეითებულ პაციენტებში სმენის გაუმჯობესება შესაძლებელი გახდა გალვანური ბატარეის ზომიერი განმუხტვებით ივერელი აფთიაქარის მეთოდით. მაგრამ, გაუმჯობესება მხოლოდ რამდენიმე საათს გრძელდებოდა – შემდგომში ზომიერი განმუხტვა თავის ძალას კარგავდა. შედეგების მისაღწევად იგი განმუხტვის ძალას ზრდიდა, სანამ ის თავის ეფექტს კვლავ არ კარგავდა. უფრო ძლიერი განმუხტვა პაციენტის სმენას ხანმოკლე დროით აუმჯობესებდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მას მთლიანად აყრუებდა.

განა სრულ იმპოტენციას არ იწვევდა განთქმული excitantia და aphrodisiaca – ამბრა, ესპანურას (Canthais) ნაყენი, ტრუფელი, ჯანჯაფილი, დარიჩინი და ვანილი – იმ შემთხვევებში, როცა ისინი თანდათანობით კლებადი სქესო-

ბრივი ძალის აღსადგენად გამოიყენებოდა (რომლის შემცირებაც ყოველთვის განისაზღვრება უზინარი ქრონიკული მიაზმით)?

როგორ შეიძლება საკუთარ თავს დამსახურებად ჩაუთვალოთ ხანმოკლე აღზნება, როცა შედეგი, რაც პალიატიური მოქმედების კანონებით მას აუცილებლად უნდა მოჰყვეს, პირდაპირ საწინააღმდეგო მდგომარეობა და დაავადების უკურნებლად გადაქცევაა?

მწვავე დაავადებების დროს Excitantia და roborantia-ს მოკრძალებულ შედეგს ქრონიკული დაავადებების მკურნალობისას (ძველი სკოლის მეთოდებით) მათი გამოყენებით მიღებული ზიანი ათასჯერ გადააჭარბებს.

როცა ძველი სკოლის ექიმებმა არ იციან, ქრონიკული დაავადებების დროს რა უნდა აკეთონ, ბრმად მკურნალობენ ეგრეთ წოდებული ცვლილებების გამომწვევი წამლებით (alternatia); მათ შორის მთავარი ადგილი საშინელ mercurialia-ს (კალომელი, სულემა, გოგირდის რუხი მალამო) უჭირავს, რომლებიც ძველი სკოლის ექიმების ნებით (არავენერული დაავადებების დროს!) იმდენად დიდ დოზებში და ისე ხანგრძლივად ინიშნებიან, რომ თავისი დამანგრეველი მოქმედებით ავადმყოფის ძალებს ბოლოს და ბოლოს სრულიად ფიტავენ. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად ტოქსიკური ლითონების არასწორი დანიშვნით ეს ექიმები დიდ, თუმცა მავნე და ჯანმრთელობის დამანგრეველ შედეგებს იწვევენ. როცა ძველი სკოლის ექიმები ყველა სახის ეპიდემიური ხანგანელებითი ცხელებისას, რომელიც ხშირად ქვეყნის დიდ ნაწილს მოიცავს, ქინაქინის ქერქის (რომელიც, როგორც ჰომეოპათიური სიცხის დამწვევი, სპეციფიკურია მხოლოდ ფსორით გართულებული ჭეშმარიტი ჭაობის ცხელებისათვის) დიდ დოზას ნიშნავენ, ამით თავის სიბრყვეს ააშკარავენ, რადგანაც ეს დაავადებები თავის ხასიათს თითქმის ყოველ წელს იცვლიან და ამიტომ, თითქ-

მის ყოველთვის სხვა ჰომეოპათიურ წამლებს საჭიროებენ. ამ უკანასკნელთა ერთი ან რამდენიმე უმცირესი დოზის მიღების შემდეგ ისინი ყოველთვის შეიძლება განიკურნონ რამდენიმე დღეში. რამდენადაც ეპიდემიური ცხელება პერიოდული გამწვავებით (typhus) ხასიათდება, ხოლო ძველი სკოლის წარმომადგენლები ხანგანელებით ცხელებებში მათი typhus-ის გარდა ვერაფერს ხედავენ და არა თუ არ იციან, არც უნდათ იცოდნენ ქინაქინის გარდა სხვა სიცხის დამწვევები, რადგანაც ამ რუტინიორებს წარმოუდგენიათ, რომ შეუძლიათ ნაახშონ ეპიდემიური ხანგანელებითი ცხელების typhus ქინის ან მისი ძვირფასი ალკალოიდის – ქინაქინის (ნაკლებად გონიერი, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში უფრო რაციონალური სასიცოცხლო ძალა ამ გამწვავებების გადავადებას ხშირად თვეების განმავლობაში ახერხებს) ვებერთელა დოზით. თუმცა მისი ცხელების პერიოდულობის (typhus) ამგვარად ნახშობის შემდეგ მოტყუებული პაციენტი აუცილებლად უფრო ცუდად ხდება, ვიდრე თვით ცხელების დროს: წონაში იკლებს, უჩნდება ქოშინი, სპაზმები ნეკნებს ქვეშ, ნაწლავთა აშლილობა, მადის დაქვეითება, უძილობა, სისუსტე, დათრგუნულობა, გამოხატული შეშუპება ფეხებზე, მუცელზე, სახესა და ხელებზეც კი. საავადმყოფოდან გაწერილი როგორც განკურნებული, ის ძლივს დალასლასებს. ჰომეოპათიურ მკურნალობას, ჯანმრთელობის აღდგენის ამ ერთადერთ მეთოდს კი, ხშირად მრავალი წელი სჭირდება, რათა სიკვდილისაგან იხსნას ასე დაზიანებული (განკურნებული?), ხელოვნურად გამოფიტული პაციენტი. ძველი სკოლის ექიმები ბედნიერები არიან, როცა ვალერიანის დახმარებით ტიფოზური ცხელების დროს შესაძლო სტუპოროზული მდგომარეობიდან ავადმყოფი რამოდენიმე საათით აქტიურ მდგომარეობაში გადაჰყავთ. ამ შემთხვევაში ვალერიანა ანტიპათიურად მოქმედებს და მისი ეფექტი ხანმოკლეა. გააქტიურების ხელმეორედ გამოსაწვევად

ვალერიანის მზარდი დოზებია საჭირო და ძალიან მალე მაქსიმალური დოზაც კი სასურველ შედეგს ვეღარ იძლევა. რამდენადაც ეს პალიატიური საშუალება თავის პირველადი მოქმედებით სტიმულატორია, იმდენად სასიცოცხლო ძალა მისი მოქმედების შედეგების გავლენით პარალიზდება და ძველი სკოლის ასეთი რაციონალური მკურნალობის შემდეგ პაციენტს მალე უდავოდ სიკვდილი ემუქრება; მის თავიდან აცილებას ვერაფერ შეძლებს. მიუხედავად ამისა, ამ რუტინული ხელოვნების მიმდევრებს ჯერ კიდევ არ შეუძლიათ გაიგონ, რომ აღნიშნული გზით თავის ავადმყოფებს თითქმის აუცილებლად ხოცავენ და სიკვდილს დაავადების ავთვისებიანობას მიაწერენ.

ქრონიკული პაციენტებისათვის კიდევ უფრო საშინელი შედეგების გამომწვევ პალიატიურ საშუალებად გვევლინება *digitalis purpurea*. ძველი სკოლის ექიმებს მიაჩნიათ, რომ სათითურას საშუალებით ბრწყინვალე შედეგებს აღწევენ, რადგან მისი გამოყენებისას ქრონიკული ავადმყოფის აჩქარებულ (მხოლოდ და მხოლოდ სიმპტომურად!) პულსს ანელებენ. მართლაც, ეს საშინელი საშუალება აჩქარებული, აღგზნებული გულისცემის სიხშირეს პირველი დოზის მიცემისას რამდენიმე საათით შედმიწვევით ამცირებს; შემდგომში კი პულსი უფრო ჩქარი ხდება, ვიდრე მანამაღე იყო. იმისათვის, რათა ხელმეორედ რამდენადმე შევამციროთ პულსის სიხშირე, დოზას ზრდიან და ის მოქმედებს, მაგრამ უკვე ნაკლები დროით. საბოლოოდ პულსზე მოქმედება პალიატიური საშუალების დიდ დოზასაც აღარ შეუძლია, რომელიც სათითურას მეორეულ მოქმედებას უკვე აღარ ემორჩილება და გაცილებით უფრო აჩქარებული ხდება, ვიდრე წამლის გამოყენებამდე. მისი დათვლა უკვე შეუძლებელია. ძილი, მადა და ძალები დაკარგულია – სიკვდილი უცილობელი; ვერც ერთი ადამიანი ვერ გადაიტანს ასეთ მკურნალობას



და თავიდან ვერ აიცილებს ამ არაგანმკურნავე „შეშლილობის“ მსხვერპლად ქცევას! <sup>26</sup>

26. მიუხედავად ამისა, ძველი სკოლის ბელადი პუფელანდი (იხ. *Die Homöopathie*, გვ.22.), მსგავს შემთხვევებში ღიჯიტალისის გამოყენებას ღიჯი კმაყოფილებით ასხამს ხოტბას. შემდეგი სიტყვებით: „არავის არ შეუძლია უარყოს“ (გამოცდილება ამას უეჭველად ადასტურებს), „რომ სისხლის მიმოქცევის ზედმეტი სინქარე შესაძლოა დიჯიტალისის საშუალებით აღმოიფხვრას (?)“. საბოლოოდ აღმოიფხვრას? და ენანტიოპათიური საშუალების „გმირული“ დოზებით? საწყალი პუფელანდი!

ასეთი იყო მკურნალობა, რასაც ალოპათები იყენებდნენ. მიუხედავად ამისა, ავადმყოფები იძულებულები იყვნენ ამ სამწუხარო აუცილებლობას დამორჩილებოდნენ, რადგანაც არ შეეძლოთ უკეთესი დახმარების მიღება სხვა ალოპათებისაგან, რომელთა ცოდნის წყაროც შეცდომაში შემყვანი იგივე წიგნები იყო.

ქრონიკული (არავენერული) დაავადებების ძირითადი მიზეზები, აგრეთვე მათი წამლები, ამ ექიმებისათვის უცნობი იყო. ისინი მხოლოდ თვითკმაყოფილად ტრახახობდნენ მიზეზობრივი მკურნალობით და თავისი დასმული დიაგნოზებით, რომლებიც დაავადების წარმოშობისკენ იყო მიმართული<sup>27</sup>. როგორ შეეძლოთ მათ ურიცხვი ქრონიკული დაავადებების განკურნების იმედი ჰქონოდათ თავისი ირიბი საშუალებებით, რომლებიც მხოლოდ უგუნური სასიცოცხლო ძალის (რომელიც არასოდეს არ იყო განკუთვნილი ამ მიზნისთვის) ავადმყოფური მიბაძვაა?

27. რის შეგუებასაც ამაოდ ცდილობს პუფელანდი თავის პამფლეტში „*Die Homöopathie*“, (გვერდი 20) თავისი ძველი ფსევდოხელოვნებისადმი. რადგანაც ცნობილია, რომ 2500 წლიანმა ალოპათიამ ხემი წიგნის გამოცემამდე („ქრონიკული დაავადებები“) ყველაზე უფრო ხანგრძლივად მიმდინარე დაა-

ვადებების (ფსორა) შესახებ არაფერი არ იცოდა, შეეძლო კი მას მიენიშნებინა ამ დაავადების ჭეშმარიტი წყარო (Genesis)?

დაავადებათა სავარაუდო ხასიათს ისინი მათ მიზეზად თვლიდნენ და თავის მკურნალობას, რომელსაც მიზეზობრივის პრეტენზია ჰქონდა, სპაზმების, ანთების (პლეტორის), ცხელების, ზოგადი ან ადგილობრივი სისუსტის, ლორწოს, დაჩირქების, დაცობის და ა.შ. წინააღმდეგ მიმართავდნენ. მოცილებას ისინი ანტისპაზმური, ანთების საწინააღმდეგო, მატონიზირებელი, მასტიმულირებელი, გამხსნეელი, ყურადღების გადამტანი, გამწმენდი და ანტაგონისტური (რომელთა შესახებ მათ მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა ჰქონდათ) საშუალებებით ცდილობდნენ.

თუმიცა, ასეთი ზოგადი ჩვენებების საფუძველზე, ჭეშმარიტად სასარგებლო წამლის პოვნა შეუძლებელია, მით უფრო ძველი სკოლის ფარმაკოპეაში, რომელიც, როგორც მე უკვე ვწერდი<sup>28</sup>, ვარაუდებისა და დასკვნების, ab usu in morbis სიცრუისა და ტყუილის ნარევეა დაფუძნებული.

28. იხილეთ ესე „Materia Medica Pura-ს“ პირველ ტომში („წმინდა წამალთმცოდნეობა“, ინგლისური გამოცემა), „მატერია მედიკას ზოგადი წყაროები“.

ასეთივე აჩქარებით ებრძოდნენ ისინი უფრო ჰიპოტეტიურ ეგრეთ წოდებულ ჩვენებებსაც: სხეულის სითხეებში ჟანგბადის, აზოტის, ნახშირბადის ან წყალბადის დეფიციტს ან სიჭარბეს, მგრძობელობის, ალგუნებადობის მომატებას ან მოკლებას, არტერიული, ვენური ან კაპილარული სისტემების მოშლას, ასთენიას და ა.შ., რადგან, ასეთ გამჭვირვალე ობიექტებზე სამოქმედო არც ერთი წამალი არ იცოდნენ. ეს იყო მკურნალობის მეთოდი, რომელსაც ავადმყოფებისთვის არავითარი სარგებელი არ მოჰქონდა.

თუმიცა ჭეშმარიტ მკურნალობასთან ყოველგვარი მს-

გავსება ჯერ კიდევ ადრეულ დროში დაიკარა იმ პრაქტიკის გამო, რომელიც წესადაც კი იყო მიღებული: მხედველობაში მაქვს სხვადასხვა სამკურნალწამლო ნივთიერების ერთ დანიშნულებაში შერევა. მათი ჭეშმარიტი მოქმედება გამონაკლისის გარეშე პრაქტიკულად უცნობი და სრულიად სხვადასხვაგვარია. წამალთაგან ერთი (მისი მოქმედების სფერო უცნობი იყო), როგორც ძირითადი (basis), პირველადგილს იკავებდა და იმის დასათრგუნად იყო განკუთვნილი, რაც ექიმთა მიერ დაავადების წამყვან მახასიათებლად იყო მიჩნეული; მას რომელიმე სხვა სიმპტომის მოსაშორებლად ან პირველი საშუალების ეფექტის გასაძლიერებლად (adjuvants) რამე სხვა საშუალება (მისი წამლისმიერი მოქმედებაც ასევე შეუსწავლელი იყო) ემატებოდა; მათ გარდა, კიდევ სხვა საშუალებებს (მათი წამლისმიერი ძალები ასევე ცნობილი არ იყო) იყენებდნენ, რომლებიც მაკორეგირებლად (corrigens) ითვლებოდნენ; ყველას ერთად ურევდნენ და რომელიმე სამედიცინო სიროფში ან გამოხდილ წყალში ხსნიდნენ. თავის წარმოსახვაში ისინი ვარაუდობდნენ, რომ თითოეული ინგრედიენტი ავადმყოფ სხეულში თავის დანიშნულებას შეასრულებდა და ნარევის სხვა კომპონენტების ზემოქმედებას არ დაექვემდებარებოდა, რასაც, რა თქმა უნდა, არ უნდა ველოდოთ, თუკი ჯანსაღ აზრს არ დავუპირისპირდებით. ერთი ინგრედიენტი ამა თუ იმ დონით აჩერებდა მეორის მოქმედებას ან მას და სხვა კომპონენტებს სხვა, ისეთ მოქმედებას ანიჭებდა, რასაც წინასწარ ვერ ვივარაუდებდით. ასე რომ, შეუძლებელი იყო მოსალოდნელი შედეგის მიღების იმედი გვექონოდა. ამ დროს ხშირად ახალი ავადმყოფური დარღვევა ვითარდებოდა, რაც ექიმებს წინასწარგანჭვრეტილი არ ჰქონდათ და არც შეეძლოთ ჰქონოდათ მათი ცვლილებების გამო; მისი გამორჩევა სხვა აშკარა სიმპტომებს შორის ძნელდებოდა და ნარევის ხანგრძლივი გამოყენების შემდეგ მუდმივი ხდებოდა. ამგვარად,

ხელოვნური დაავადება საწყის დაავადებას ემატებოდა, არ-  
თულებდა და ამწვავებდა მას. თუკი დანიშნულება იშვიათად  
ეძლეოდა ან მისი მოქმედება ერთი ან მეტი, სხვა ინგრედი-  
ენტის შემცველი, ხშირი მონაცვლეობით მიცემული დანიშ-  
ნულებით ითრგუნებოდა, მაშინ ერთადერთი, რაც შეიძლება  
მომხდარიყო, ძალების შემდგომი გამოფიტვა იყო, რამდენა-  
დაც ამგვარად დანიშნულ საშუალებებს საწყის დაავადე-  
ბებთან არ ჰქონდათ და არც შეიძლება ჰქონოდათ უშუა-  
ლო პათოლოგიური კავშირი და დაზიანებულ ორგანოებზე  
ყველაზე ნაკლებად მოქმედებდნენ.

ერთ რეცეპტში გაერთიანებული რამდენიმე წამლის  
ნარევი, მაშინაც კი, თუ თითოელის მოქმედება ორგანიზმზე  
ზუსტად არის ცნობილი (მით უფრო, თუკი ასეთი დანიშ-  
ნულების შემდგენლებმა მათი მოქმედების მეათასედიც კი  
არ იციან), ვიმეორებ, მიუხედავად მათი მოქმედების მნიშ-  
ვნელოვანი განსხვავებისა, რამდენიმე, ხშირად საკმაოდ  
რთული ბუნების სრულიად შეუსწავლელი ინგრედიენტის,  
ასეთი გაუგებარი ნარევის დიდი დოზით ხშირი მიცემა,  
რაღაც დასახული, გარკვეული სამკურნალო ეფექტის მის-  
აღებად, თითოეული საღად მოაზროვნე და მიუკერძოვებელი  
ადამიანისათვის სრულიად გაუგებარია<sup>29</sup>.

29. წამლისმიერი ნარევების აბსურდულობა ძველი  
სკოლის ექიმებისთვისაც კი გასაგებია. მიუხედავად ამისა, თა-  
ვისი რწმენის საწინააღმდეგოდ, მკურნალობის ამ უსულგულო  
მეთოდის გამოყენებას აგრძელებენ. მარკუს ჰერცი (Hufeland's  
Jurnal, II, გვ.33) თავისი სინდისის ქეჯნას ასეთი სიტყვით გად-  
მოგვცემს: „თუკი ჩვენ ანთების მორჩენა გვინდა, გვარჯილას,  
ნიშადურს ან მცენარეული მუკებიდან ერთ-ერთს კი არ ვიყ-  
ენებთ, არამედ, ჩვეულებრივ ერთმანეთში რამდენიმე, ხშირად  
კი ძალიან ბევრ ევრეთ წოდებულ ანთების საწინააღმდეგო  
საშუალებას ვურევთ, ან მათ ერთი მეორის მიყოლებით დროის  
მცირე მონაკვეთებში ეუნიშნავთ. როცა გვჭირდება დანიშნულების  
მოცილება, მიზნის მისაღწევად არ ვჯერდებით ერთ-ერთი  
ჩვენთვის ცნობილი ანტისეპტიკის დიდ დოზას, ისეთისა, რო-

გორიცაა ქინაქინის ხის ქერქი, მინერალური მკავეები, არნიკა და ა.შ.; არამედ რამდენიმე მათგანის ერთად დანიშვნას ვარსებობს და მათი ერთობლივი მოქმედების იმედი გვაქვს. ან, როცა დარწმუნებული არა ვართ იმაში, რომ თითოეული წამლის მოქმედება ყველაზე უფრო ესადაგება კონკრეტულ შემთხვევას, ერთმანეთში ვურევთ დიდი რაოდენობის სხვადასხვა ნივთიერებას და ერთ-ერთი მათგანის მიერ სასურველი ეფექტის მიღწევას პრაქტიკულად შემთხვევას მივანდობთ. ამიტომ იშვიათად ვაღწევთ ოფლდენას, სისხლის გაწმენდას (?), დაცობის გადალახვას (?), ამოხველების გაუმჯობესებას, ე.ი. ორგანიზმის გაწმენდას *primae viae* [უმოკლესი გზით] ერთი საშუალების მეშვეობით; ასეთ შემთხვევებში ჩვენი დანიშნულებები ძალიან რთულია და მარტივი და ნათელი თითქმის არასოდეს არ არის. შესაბამისად, დანიშნულებაში ჩართულ თითოეულ ცალკეულ ნივთიერებაზე ჩვენი დაკვირვებაც, ასეთი არასოდეს არ არის. თავდაჯერების მისაღწევად მეცნიერულად ვანიჭებთ გარკვეულ რანგს თითოეული წამლის ადგილს რეცეპტში. ერთ მათგანს, რომლის ეფექტსაც რთული რეცეპტის ძირითად მოქმედებას მივაწერთ, **ძირითადის (basis)** სახელი ერქმევა, სხვებს **დამხმარებს და ხელშემწყობს (adjuvantia)**, მაკორეგირებლებს (*corregentia*) და ა.შ. ვუწოდებთ. თუმცა ნათელია, რომ ეს კლასიფიკაცია პრაქტიკულად ხელოვნურია, **დამხმარე და ხელშემწყობი საშუალებები ისევე ბევრს ნიშნავს რთული ნაერთის ერთიანი მოქმედებისათვის, როგორც მთავარი ინგრედიენტი.** თუმცა არასაკმარისი სტანდარტიზაციის გამო, თითოეულის მონაწილეობის განსაზღვრა საერთო შედეგის მიღწევაში არ შეგვიძლია. მსგავსი სახით **მაკორეგირებელი** საშუალების გავლენა სხვა ინგრედიენტების ეფექტურობაზე არ შეიძლება სრულიად განურჩეველი იყოს. ისინი მათ მოქმედებას უნდა აძლიერებდნენ ან ასუსტებდნენ ან მას სრულიად სხვა მიმართულებას აძლევდნენ. ამიტომ, ცვლილებებს, რომელთა მიღწევას ვცდილობთ ასეთი რთული ნაერთების დანიშნით, ჩვენ ყოველთვის ყველა ინგრედიენტის ერთდროული მოქმედების შედეგად უნდა ვთვლიდეთ და ასეთი მოქმედებისაგან არასოდეს არ შეგვიძლია ჭეშმარიტი ინფორმაცია მივიღოთ რეცეპტის შემადგენელი თითოეული ცალკეული საშუალების ეფექტურობის შესახებ. სინამდვილეში ჩვენი ცოდნა ყოველივე იმის შესახებ, რაც აუცილებელია ვიცოდეთ წამლების და შერევისას მათ შორის ურთიერთმოქმედების ასეულობით სხვადასხვა

მეთოდზე, ძლიერ მცირე იმისათვის, რომ მათ დავეყრდნოთ, რათა შესაძლებელი იყოს დარწმუნებით ვილაპარაკოთ ყველა, თვით თითქოს უმნიშვნელო ნივთიერების მოქმედების ხარისხისა და მაშტაბის შესახებ, სხვა წამლებთან ერთად მისი ნარკვის სახით ადამიანის ორგანიზმში შეყვანისას.

შედგები, ბუნებრივია, მოლოდინს არ ამართლებდნენ. ასეთი მკურნალობის შედეგები, რა თქმა უნდა გეჰქონდა, მაგრამ ყოველთვის არასასურველი ხასიათის, არა მხოლოდ უსარგებლო, არამედ მავნე და დამანგრეველიც კი.

მინდოდა მენახა ვინმე, ვინც გაბედავდა მკურნალობა ეწოდებინა ავადმყოფ ორგანიზმზე ასეთი დანიშნულებებით ჩატარებულ ამ არაშორსმჭკრეტელური თავდასხმებისათვის!

არ შეიძლება განკურნებას ველოდოთ, როცა ავადმყოფს სასიკვდილოდ ვფიქვავთ, secundum artem. მისი მიღწევა მხოლოდ სიცოცხლო ძალის ნარჩენებზე სხეულის ნორმალური ფუნქციების აღსადგენად შესაბამისი წამლის დანიშნით შეიძლება. მით უმეტეს ძველმა სკოლამ არ იცის, კიდევ რა შეიძლება გაკეთდეს ქრონიკული დაავადებების დროს, გარდა იმისა, რომ გავტანჯოთ ავადმყოფები წამლებით, რომლებსაც მხოლოდ მათი გამოფიტვა, მათი ძალებისა და სასიცოცხლო წველების გაფანტვა და სიცოცხლის შემოკლება შეუძლიათ! შეიძლება კი, მკვლელობას გადარჩენა ვუწოდოთ? იმსახურებს კი სხვა სახედს, თუ არა მავნე (ვაისამკურნალო) ხელოვნებას? იგი მოქმედებს, lege artis, ყველაზე უფრო ნაკლებ მისაღები მეთოდით და პირდაპირ (ყოველთვის მიზანმიმართულად) იმის საწინააღმდეგოდ, რაც უნდა ყოფილიყო. შესაძლოა თუ არა ეს რეკომენდებულ იქნეს? განა შეიძლება ამის კიდევ მოთმენა?

ბოლო დროს, ძველი სკოლის ექიმებმა ავადმყოფი თანამოძმეების მიმართ სისასტიკეში თავის თავს გაუსწრეს. ეს ცხადია ყოველი მიუკერძოვებელი დამკვირვებლისთვის

და ძველი სკოლის ზოგიერთი წარმომადგენლისთვისაც კი, რომლებმაც (როგორც კრიუგერ ჰანსენმა) სინდისის ქეჯნის გამო მთელი სამყაროს წინაშე მოინანიეს.

ეს შესაფერი დრო იყო ბრძენი და გულკეთილი შემოქმედისა და მაცხოვრისათვის რათა ამ სისაძაგლეებისათვის ბოლო მოეღო, შეეწყვიტა ტანჯვა და ჩვენთვის ყოველივე ამის სრულიად საწინააღმდეგო ხელოვნება ეჩვენებინა, რომელიც არ გაფლანგავდა სასიცოცხლო წვენებს და სიოხეებს პირსასაქმებლებით, მრავალწლიანი გამწმენდი ოყნებით, თბილი აბაზანებით, ოფლისა და ნერწყვდენის გაძლიერებით; ასევე არ დადერიდა ადამიანის სისხლს, არ გააწვალედა და არ დაასუსტებდა მტკივნეული საღბუნებით და მკურნალობის მაგივრად, ამ გზით ჩვეულებრივ დაავადებებს განუკურნებლად არ გადააქცევდა მათზე უცნობი თვისებების მქონე, შეუფერებელი, მაგრამ ძლიერმოქმედი საშუალებების ხანგრძლივი გამოყენების შედეგად გამოწვეული ახალი ქრონიკული წამლისმიერი დაავადებების დამატებით; იგი ცხენს ფორნის უკანა მხრიდან არ შეაბამდა, თავისი საყვარელი აქსიომის *contraria contraries curentur*-ის შესაბამისად ძლიერი პალიატიური საშუალებების დანიშვნით; ერთი სიტყვით, რომელიც ავადმყოფებს დახმარებას აღმოუჩენდა და უსულგულო რუტინიორების მსგავსად სიკვდილისთვის კი არ მოამზადებდა მათ, არამედ პირიქით, ავადმყოფთა ძალებს შეძლებისდაგვარად დაზოგავდა, სწრაფად და მსუბუქად მოახდენდა ჭეშმარიტ და საბოლოო განკურნებას, ჯანმრთელობის აღდგინას მათი შესწავლილი თვისებების მიხედვით, ბუნების შესაბამისი (*similia similibus curentur*), ერთადერთი თერაპიული კანონის საფუძველზე საგულდაგულოდ შერჩეული მარტივი წამლის უმცირესი დოზის გამოყენებით. ეს ყველაზე შესაფერისი დრო იქნებოდა იმისათვის, რათა უზენაესს ჰომეოპათიის აღმოჩენის ნება დაერთო.

დაკვირვებით, განსჯითა და გამოცდილებით აღმოვა-

ჩინე. რომ ძველი ალოპათიური მეთოდის საწინააღმდეგოდ ჭეშმარიტი, სრულყოფილი მკურნალობა ამ პრინციპის შესაბამისად ხორციელდება: დაავადების ყოველი შემთხვევის ადვილად, სწრაფად, უცილობლად და საბოლოოდ მოსარჩენად უნდა შეირჩეს წამალი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს იმის მსგავსი (ομοιοσ παθος) სიმპტომები, რაც უნდა განეკურნოს!

მკურნალობის ჰომეოპათიურ მეთოდს აქამდე არავინ არ ასწავლიდა და პრაქტიკაში არავინ იყენებდა. თუმცა, თუკი ის ჭეშმარიტებაა, რისი დასაბუთებაც შემიძლია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ათასწლეულების განმავლობაში გაუცნობიერებელი იყო, უცილობლად ყოველთვის გამოიყენებოდა, <sup>30</sup> რისი უდავო მაგალითები უნდა ველოდოთ, რომ ალბათ კიდევ იქნება აღმოჩენილი.

*30. ჭეშმარიტება ისეთივე მარადიულია, როგორც ყოლისმცოდნე და დიდსულოვანი ღმერთი. ადამიანის თვალისაგან ის შესაძლოა დიდხანს იყოს დაფარული, სანამ ბედისწერისგან დანიშნული დღე არ დადგება და მაშინ მისი სხივების დაუძლეველი ნაკადი ცრუმორწმუნეობის დრუბლებს გაფანტავს, რომელიც კაშკაშა და აუწერელი შუქით გაანათებს კაცობრიობის საკეთილდღეოდ და მედიცინის ახალი ერის დადგომას გვაუწყებს.*

ფაქტები ასეთია. ყველა დროში როცა პაციენტები, რომლებიც მართლაც სწრაფად, საბოლოოდ და აშკარად განიკურნენ წამლებით და არა უბრალოდ გამოჯანმრთელდნენ გარემოებათა ბედნიერი თანხვედრის გამო, მწვავე დაავადების ბუნებრივი შეწყვეტით, ან იმის მეოხებით, რომ ორგანიზმის ძალებმა თანდათან დაძლიეს ანტაგონისტური და ალოპათიური მკურნალობა, რამდენადაც განკურნება, რომელიც უშუალოდ მიზანს აღწევს, არსებითად განსხვავდება შემოვლითი გზებით მიღწეული გაჯანსაღებისაგან, ასეთი პაციენტები მხოლოდ და მხოლოდ იმ წამლის (ჰო-



მეოპათიური) მეშვეობით განიკურნებოდნენ (თუმცა ექიმები ამას ვერ აღიქვამდნენ), რომელსაც მსგავსი ავადმყოფური მდგომარეობის გამოწვევა შეეძლოთ.

წამალთა ნარევებით მიღწეული ჭეშმარიტი განკურნების შემთხვევებშიც კი, რაც ძალიან იშვიათია, შესაძლოა იმის აღმოჩენა, რომ ძირითად მოქმედ წამალს ყოველთვის ჰომეოპათიური ხასიათი ჰქონდა.

ეს განსაკუთრებით აშკარად ჩანს იმ შემთხვევებში, როცა ექიმები, ჩვეულებრივ, მრავალკომპონენტიანი წამლის დანიშვნის მაგიერ, განკურნებას ერთი რომელიმე მარტივი წამლით აღწევენ. აქ ვხედავთ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რომ ეს ყოველთვის იმ წამლების დახმარებით ხდებოდა, რომლებსაც თვითონ შეეძლოთ ამ დაავადების მსგავსი დაზიანებების გამოწვევა, თუმცა ამას ვერ აცნობიერებდნენ, უბრალოდ მოქმედებდნენ და თავისი სკოლის საწინააღმდეგო რჩევებს ივიწყებდნენ. ისინი იმის სრულიად საწინააღმდეგო მოქმედების წამლებს ნიშნავდნენ, რაც ტრადიციული მდგომის შემთხვევაში უნდა დაენიშნათ და ავადმყოფთა სწრაფ განკურნებას მხოლოდ ამის გამო აღწევდნენ.

როცა ძველი სკოლის ექიმებისათვის ცნობილი ხდებოდა სპეციფიკური წამლები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მუდმივი ხასიათის დაავადებების განკურნება არა მათი გამოკვლევებით, არამედ ჩვეულებრივი ადამიანების გამოცდილების დამსახურებით, მაგალითად, როგორც ვერცხლისწყლით იმ ვენერული დაავადებების მკურნალობისას, რომლებსაც შანკრის არსებობა ახასიათებთ, ან არნიკით დაუეუილობის, ან ქინაქინის ქერქით მალარიის, ან ქავილის ახალი შემთხვევების გოგირდით მკურნალობისას და ა.შ. თუკი ამ შემთხვევებს გამოვრიცხავთ, აღმოჩნდება, რომ ქრონიკული დაავადების ძველი სკოლის მიერ ჩატარებული ყველა სხვა მკურნალობა პრაქტიკულად გამონაკლისის გარეშე ისედაც გაწამებული ავადმყოფის დასუსტებასა და

ტანჯვას იწვევს და დაავადების გამწვავებისა და ავადმყოფის მდგომარეობის დამძიმებისკენ მიყვავართ. უქიმი კი, ამ დროს ავადმყოფის დამღუპველი გამოფიტვის მიუხედავად, საკუთარი ღირსების დემონსტრაციას ახდენს.

ცდისა და შეცდომების მეთოდით ისინი ზოგჯერ ჰომეოპათიური მკურნალობის მეთოდს შეეჯახებოდნენ<sup>31</sup>, მაგრამ არ შეეძლოთ ამოეცნოთ ბუნების კანონი, რომლის მიხედვითაც ხორციელდებოდა და კიდევაც უნდა განხორციელებულიყო მკურნალობა.

31. როგორც ისინი თვლიან, შეუძლიათ კანქვეშიდან მოიშორონ შემცივნების შემდეგ აქ ჩარხენილი ოფლის წარმომქმნელი მატერია, კატარალური ცხელების შემცივნების სტადიაში ანწლის ყვაეილის ნაყენის დანიშნით. ამ უკანასკნელს ასეთი ცხელების სწრაფი და ეფექტური განკურნების უნარი ოფლდენის გამოწვევის გარეშე თავისი მსგავსი (ჰომეოპათიური) მოქმედების წყალობით აქვს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი უქიმი ნაყენის მცირე დოზას დანიშნავს და მას არაფერს არ დაუმატებს. მკერივ, მწვავე შესიებებს, რომლებშიც მწვავედ მიმდინარე ანთებითი პროცესები დასირქებას ხელს უშლის და აუტანელ ტკივილს იწვევს, ისინი ცხელ საფენებს აფენენ, რომლებსაც ხშირად ანახლებენ, რის შედეგადაც (იხილეთ!) ანთება და ტკივილი სწრაფად მცირდება და ასევე სწრაფად ფორმირდება პალპაციით მგრძნობიარე და ადვილად შესამჩნევი მოყვითალო ფერის მქონე აბსცესი. ამ დროს ისინი ვარაუდობენ, რომ მკერივი შესიება დარბილდა საფენების ნესტით, სინამდვილეში კი ზედმეტი ანთება ჰომეოპათიურად იქნა დათრგუნული, ძირითადად კი ამ საფენების კიდევ უფრო დიდი სითბოთი, ისე, რომ დასირქების განვითარება საბოლოოდ გახდა შესაძლებელი. რატომ არის, რომ ოფთალმიის დროს წარმატებით გამოიყენებენ წმინდა ივას ბაღ'სამს, რომლის მთავარი ინგრედიენტიც ვერცხლისწყლის წითელი ოქსიდია? თუკი მას შეუძლია რამე გამოიწვიოს, ეს თვალების ათებაა. ან და როგორ შეუძლო ოხრახუშის წვენის მცირე რაოდენობას პატარა ბავშვებში შარდზე გასვლის ძლიერ შემაწუხებელი, ხშირად არაეფექტური მოთხოვნისას (არც თუ ისე იშვიათი), ასევე ჩვეულებრივი გონორეის დროს შარდზე გასვლის ხშირი,

მტკივნეული და უშედეგო მოთხოვნისას, ამ მკვნიარის ახალ-გამოწურულ წვენს აშკარა დახმარება, თუ მას ჯანმრთელ ადამიანებში მოშარდვის ასეთივე მტკივნეული და უშედეგო მოთხოვნების გამოწვევისა და შესაბამისად მათი პომეოპათიურად განკურნების უნარი არ ექნებოდა? ბრონქებსა და სასაში სეკრეციის მეფეთრი გაძლიერების უნარის მქონე საპონელას ფესვების დახმარებით წარმატებით მკურნალობდნენ ეგრეთ წოდებულ ლორწოვან ანგინას და საბინას ფოთლებით, რომლებსაც მეტრორაგიის გამოწვევა შეეძლიათ საშიელოსნოდან სისხლდენის ზოგიერთ სახეს ახშობდნენ. ნაწლავთა გაუვალობის შემთხვევების, მათ შორის თიაქრის ჩაჭედვისას, მრავალი ექიმი აღნიშნავდა, რომ თავისი კუჭისშემკვერელი თვისებებით ცნობილი ოპიუმის მცირე დოზა საუკეთესო და ყველაზე უფრო შესაფერისი წამალი იყო. ამ დროს ისინი შორს იყვნენ იმ აზრისგან, რომ ეს შემთხვევები განკურნების პომეოპათიური მეთოდის შედეგია. სასის არავენერული წარმოშობის მცირე ზომის წყლულებს ისინი ვერცხლისწყლით მკურნალობდნენ, რომლებიც ამ მდგომარეობისადმი პომეოპათიურად გვევლინება, ფაღარათის ზოგიერთ სახეს საფაღარათო რეჟანდის მცირე დოზით აჩერებდნენ, წყლის შიშს მსგავსი მდგომარეობის გამოწვევი ბელადონით მკურნალობდნენ და თითქოსდა ჯადოქრობით გამოჰყავდათ პაციენტები საშიში კომატოზური მდგომარეობებიდან მწვავე ცხელებების დროს გამათბობელი, გამაბრუნებელი ეფექტის მქონე ოპიუმის მცირე დოზებით. ამასთან, ისინი უარყოფდნენ და ისეთი გააფთრებით ავიწროებდნენ პომეოპათიას, როგორიც შესაძლოა მხოლოდ სრულყოფილების უნარის არმქონე გულებში არაწმინდა სინდისის კარნახით აღმოცენდეს.

ამიტომ, ადამიანთა საკეთილდღეოდ ზედმიწევნით მნიშვნელოვანია გავიგოთ, რა ხდებოდა სინამდვილეში განკურნების ამ ძალიან იშვიათ და უნიკალურ შემთხვევებში. პასუხს, რომელსაც ჩვენ ამ კითხვაზე მივიღებთ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს განკურნებები სხვანაირად არასოდეს არ მიიღწეოდა, თუ არა პომეოპათიური წამლის დანიშვნით, ანუ იმ წამლის დანიშვნით, რომელსაც იმის მსგავსი დაავადების გამოწვევის უნარი აქვს, რომელიც

უნდა განგვეკურნა. სწრაფი და უცილობელი განკურნება, შემთხვევით დანიშნული წამლებით, ხშირად ადრე არსებული სისტემებისა და მეთოდების საწინააღმდეგოდ (ექიმები ხშირად ვერ აცნობიერებდნენ იმას, თუ რას აკეთებდნენ) ხდებოდა და ამგვარად, თავისდა უნებურად პრაქტიკულად ადასტურებდნენ ერთადერთი სწორი თერაპიული კანონის, ბუნების თანმყდური ჰომეოპათიური კანონის აუცილებლობას, რომლის შესასწავლად, მიუხედავად მისი დამადასტურებელი უამრავი მაგალითისა და ურიცხვი მინიშნებისა, გასული ეპოქის ექიმები, ისე როგორც სამედიცინო ცრურწმენით დაბრმავებული ამ პროფესიის ყველა წარმომადგენელი თავს არ იწუხებდა.

სამედიცინო პროფესიასთან საერთოს არმქონე, მაგრამ დაკვირვების უნარიანი ადამიანების მიერ სახლში ჩატარებული მკურნალობის დროსაც კი, მრავალჯერ დადასტურებულა, რომ მკურნალობის ჰომეოპათიური მეთოდი პრაქტიკაში გამოყენებისას ყველაზე უფრო ზუსტი, რადიკალური და სანდოა.

კიდურების ახალი მოყინულობის დროს კანზე გაყინულ, მჟავე კომბოსტოს აფენენ ან თოვლით დასუფლვას იყენებენ<sup>32</sup>.

32. *სწორედ საოჯახო მედიცინის პრაქტიკის ასეთ მაგალითებზე დააფუძნა ბატონმა მლუქსმა ეგრეთ წოდებული იდენტური საშუალებებით მკურნალობის მეთოდი, რომელსაც ის იზოპათიას უწოდებს და სოგიერთმა ექსცენტრულმა პიროვნებამ უკვე მოასწრო მისი თერაპიული მკურნალობის მწვერვალად (non plus ultra) აღიარება, თუმცა არ იცოდნენ თუ როგორ მივიდნენ აქამდე.*

მაგრამ, თუ შემოთავაზებულ მაგალითებს ყურადღებით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ისინი ამ შეხედულებებს არ ამართლებენ. წმინდა ფიზიკური ძალები ადამიანის ორგანიზმზე თავისი შემოქმედების ხასიათით განსხვავებიან ღინამიკური წამლისმიერი ძალებისაგან.

გარემომცველი პერის ან წყლის, საკმლის ან სასმლის

სითბო ან სიცივე ჯანმრთელი ორგანიზმისათვის **თავისთავად** საშიშროებას არ წარმოადგენს (**როგორც სიცხე და სიცივე**); სითბოსა და სიცივის მონაცვლეობა არსებითად საჭიროა ჯანმრთელი ცხოველების ხელშემწყობად. აქედან გამომდინარე, ისინი თავისთავად წამლები არ არიან. ამიტომ, სითბო და სიცივე ადამიანის სხეულის დაზიანებისას მოქმედებს როგორც სამკურნალო აგენტი არა თავისი არსიდან გამომდინარე (ანუ არა როგორც სითბო და სიცივე *per se*, არა როგორც თავისთავად პათოგენური ფაქტორი, როგორადაც წამლების - რევანდის, ქინაქინისა და ა.შ. თუნდაც უმცირესი დოზები გვევლინება), არამედ მხოლოდ თავისი დიდი ან მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, ანუ მათი გაცხელების ხარისხის ან ტემპერატურის დაქვეითების მიხედვით. ისევე, როგორც (რათა მაგალითი უშუალოდ საკუთრივ ფიზიკური ძალების მოქმედების სფეროდან ავიღოთ) ტყვიის დიდი ნაჭერი მტკივნეულად დაუქუავს ჩემს ხელს არა ტყვიის შინაგანი ბუნების გამო, ანუ არა იმის გამო, რომ ის ტყვიაა; და ტყვიის პატარა ფირფიტა არ მოგვიტანს არანაირ ვნებას, არამედ ეს ხდება რაოდენობიდან, მისი დიდი წონიდან გამომდინარე.

საოჯახო მედიცინის საშუალებების წარმატებით გამოყენების ამ მაგალითებში, ასე აღმოვაჩინეთ, რომ დადებითი შედეგები არა კიდურების მოყინვის გამომწვევ ტემპერატურაზე ხანგრძლივი დროით გაჩერებით მიიღწეოდა, რაც **იზოპათიური მეურნალობა** (ის მხოლოდ კიდურის სიკვდილამდე მიგვიყვანდა) იქნებოდა, არამედ ისეთი ტემპერატურეს გამოყენებით, რომელიც მხოლოდ მიახლოებული (**ჰომეოპათია**) იქნებოდა მოყინვის გამომწვევ ტემპერატურასთან, თანაც თუ მას თანდათან კომფორტულ ტემპერატურამდე ავწევდით. ასე რომ, ოთახში, მოყინულ ხელზე დაფენილი გაყინული კომბოსტოს ფოთლები, თანდათანობით თბებოდა ფარენჰეიტის<sup>32-33</sup> გრადუსიდან ოთახის ტემპერატურამდე, ანუ 55 გრადუსამდე და ამგვარად კიდური ფიზიკური ჰომეოპათიის დახმარებით განიკურნებოდა.

ანალოგიურად, დამდულრული ხელი არ შეიძლება **იზოპათიურად** მდულარე წყლით განიკურნოს. ეს მხოლოდ რამდენადმე დაბალი ტემპერატურის გამოყენებით არის შესაძ-

\* ფარენჰაიტის შკალა - შემოიღო გრემანელმა ფიზიკოსმა დ.ფარენჰაიტმა, რომელსაც წყლის გაყინვის ტემპერატურა 32 გრადუსია, დულილის - 212. მათ შორის კი 180 გრადუსი, ე.ი.  $T_c = 5/9 (T_f - 32)$ . (მთარგმნელის შენიშვნა)

ღებელი; მაგალითად, ხელის ჩაწეებით სითხიან ჭურჭელში, რომლის ტემპერატურაც 160 გრადუსია (ფარენგეიტით) და მისი ოთახის ტემპერატურამდე თანდათანობით გაცივებით, რაც დამდურულ ნაწილს ჰომეოპათიურად აღდგენის საშუალებას მისცემს. ყინულოვანი წყლის საშუალებით ვერ გავაღებთ კარტოფილს ან ვაშლს, ამ მიზნებისთვის გამოსადგება წყალი, რომლის ტემპერატურაც მხოლოდ გაყინვის ტემპერატურასთან ახლოსაა.

მაგალითად (რათა გავაგრძელოთ ფიზიკური ზემოქმედების მაგალითები), შუბლის არეში მყარი სხეულის დარტყმის შედეგად განვითარებული ტკივილი და შესიება სწრაფად მცირდება ჰომეოპათიურად, თუკი დაუუვილ ადგილს გარკვეული დროის განმავლობაში თავიდან ძლიერ დავაწეებით ღიდი თითის შემადგენელი ადგილით და თანდათანობით შევამცირებთ ხეწოლას, მაგრამ ხეწოლა თავიდანვე უნდა იყოს დარტყმის ძალაზე ნაკლები, უფრო ძლიერი მხოლოდ იზოპათიურად გააძლიერებს ტანჯვას.

წიგნში მოყვანილი ცივი აბაზანით იზოპათიური განკურნების მაგალითები: სიცივით გამოწვეული კუნთების სპაზმი ადამიანში და სპინალური დამბლა ძაღლში, შეცდომით მიეკუთვნება იზოპათიას. ის, რასაც გაცივებით გამოწვეული ტანჯვა უწოდეს, ჩვეულებრივ, სიცივეს უკავშირდება და ხშირად უვითარდებათ განწყობილ სუბიექტებს სიოს (რომელიც შესაძლოა ცივიც არ იყოს) მობერვის დროსაც კი. უფრო მეტიც, ცივი აბაზანის ცოცხალ ორგანიზმზე მრავალმხრივი ზემოქმედება, ჯანმრთელ და ავადმყოფურ მდგომარეობაში, არ შეიძლება ამ უბრალო ფორმულამდე დავიყვანოთ იმისათვის, რომ ამდენად პრეტენზიული სისტემა გავამართლოთ! ხოლო ამ წიგნში აღწერილი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ გველის ნაკბენი უცილობლად უნდა განიკურნოს გველის ნაკბენით, ძველი დროის ზღაპრებად უნდა ჩაითვალოს იქამდე, სანამ ეს შიშველი განცხადებები არაორაზროვნად არ დადასტურდება (ვდებით და დაკვირვებებით, რაც ალბათ არასოდეს არ მოხდება. და ბოლოს, წიგნის ავტორის მითითება იმაზე, რომ ცოფით დაავადებული ადამიანი, როგორც ამბობენ (რუსეთში) განიკურნა ცოფიანი ძაღლის ნერწყვით, მითუმეტეს, რომ ეს „ამბობენ“ ვერასოდეს ვერ აიძულებს საღად მოაზროვნე ექიმს გაიმეოროს ასეთი საშიში ექსპერიმენტი, ან ფართო გამოყენებისათვის ამდენად საშიში და საეჭვო, ეგრეთ წოდებული იზოპა-

თიური სისტემა დაამუშაოს, როგორც ეს გააკეთეს (უპატოსნო ავტორმა პამფლეტში „გადამდები დაავადებების იზოპათიური მკურნალობა“, Leipzig, Kollmann, არამედ) მისმა ექსცენტრულმა მიმდევრებმა, განსაკუთრებით კი დოქტორმა გროსმა (v. Alg.hom. Ztg., II გვ. 72), რომელიც თავის იზოპათიას განადიდებს (*aequalia aequalibus*) როგორც ერთადერთ ჭეშმარიტ თერაპიულ მეთოდს. ის ვერაფერს ვერ ხედავს *similia similibus curentur*-ის წესში და მას ზემოთქმულის გამო დაუნანებლად და საკმაოდ უმადურად ექცევა, რადგანაც მთელი თავისი დიდებითა და წარმატებით მთლიანად *similia similibus*-ისგან არის დაეალებული.

გამოცდილი მზარეული დამდურულ ხელს ცეცხლიდან გარკვეულ მანძილზე დაიჭერს და ტკივილის თავდაპირველი გაძლიერების არ შეეშინდება, რადგანაც იცის, რომ ამგვარად ხანმოკლე დროში, ხშირად რამდენიმე წუთში, დამწვარი ზედაპირის შეხორცება და ჯანმრთელი, უმტკივნეულო კანის წარმოქმნა მოხდება.<sup>33</sup>

33. ფერნელიუსი (Therap., lib. VI, Tavi 20) დამწვარი ზედაპირის ცეცხლთან მიახლოებას, რაც ტკივილის შემცირების საშუალებას იძლევა, დამწვრობის მკურნალობის საუკეთესო საშუალებად თვლის. ჯონ პანტერი („სისხლზე, ანთებაზე და სხვა“, გვ. 218) დამწვრობის მკურნალობისას ცივი წყლის გამოყენების მნიშვნელოვან მავნებლობაზე მიუთითებს და დამწვარი ადგილის ცეცხლთან შეყოვნებას გადამწვევტ უპირატესობას ანიჭებს. ის იმ ტრადიციული დოქტრინით არ ხელმძღვანელობს, რომელიც ანთებისას ცივ აპლიკაციებს ნიშნავს (*contraria contraries*), არამედ – დაკვირვების მონაცემებით, რომელიც გეასწავლის, რომ მსგავსი სითბოს გამოყენება (*similia similibus*) ყველაზე უფრო უებარია.

სხვა სპეციალობების განათლებული წარმომადგენლები, მაგალითად, მოლაქული პროდუქციის მწარმოებლები, ცხელი ლაქით მიღებული დამწვრობისას, დაზიანებულ ადგილას მიიღებენ ნივთიერებებს, რომლებიც მსგავს შეგრობებას, ისეთივე წვას იწვევენ, მაგალითად, როგორიცაა

ძლიერ გაცხელებული ღვინის სპირტი<sup>34</sup>, ან სკიპიდრის ზეთი<sup>35</sup> და ამ გზით რამდენიმე საათში განიკურნებიან. მათ კარგად იცინან, რომ გამაგრებელი მაღამოები მრავალი თვის განმავლობაშიც კი ვერ განკურნავს, ხოლო ცივი წყალი<sup>36</sup> კი მხოლოდ მავნებლობის მომტანია.

34. სიდენჰამი (*pera, gv. 271 [edit. Syd. Soc., gv. 601]*) ამბობს: დამწვრობისას ღვინის სპირტის საფენების ხშირი ხმარება ყველა სხვა წამალზე უკეთესია. ბენჯამინ ბელი აგრეთვე („ქირურგიის სისტემა“, მესამე გამოცემა, 1789 წელი) აღიარებს, რომ გამოცდილება მხოლოდ ჰომეოპათიური მკურნალობის ეფექტურობას გვიჩვენებს. ის ამბობს: „ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ასეთი ხასიათის ნებისმიერი დამწვრობისას მაგარი ბრენდი ან რომელიმე სხვა სპირტიანი სასმელი იქნება. ის ტკივილს თავიდან თითქოს წამიერად აძლიერებს (იხ.ქვემოთ §157), რომელიც მალე გაივლის და დამწიდების სასიამოვნო გრძნობით შეიცვლება. ის ყველაზე უფრო ეფექტურია მაშინ, როცა დამწვარ ზედაპირს მასში მთლიანად ჩაუშვებენ. როცა ეს შეუძლებელია, მაშინ დამწვარი ზედაპირი მუდმივად უნდა დაენამოთ სპირტში დასველებული სელის ნაჭრებით“. შემიძლია დაეუმატო, რომ გაცხელებული და მართლაც ძლიერ გაცხელებული სპირტის მოქმედება გაცილებით უფრო სწრაფი და ეფექტურია, რადგან გაცხელებული ის გაცილებით უფრო ჰომეოპათიური ხდება. და ნებისმიერი ცდა ამას ამტკიცებს ყველაზე უფრო საკვირველი სახით.

35. ელჟარდ კენტიში ნახშირის მადაროების მუშებს მკურნალობს, რომლებსაც მადაროს გზის აფეთქების გამო ხშირად აქვთ საშინელი დამწვრობები. ის საუკეთესო წამლად ყველაზე უფრო ფართო და მძიმე დამწვრობის დროსაც კი გაცხელებული სკიპიდრისა და სპირტის აპლიკაციებს იყენებს („მეორე ესსე დამწვრობებზე“ 1798). სხვა არანაირი მკურნალობა არ შეიძლება უფრო ჰომეოპათიური და უფრო ეფექტური იყოს.

თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე ამას ადასტურებს პატივცემული და გამოცდილი გაისტერიც (*Institut. Chirurg., t.I gv..33*) და სკიპიდრის ზეთის, სპირტისა და უბრალო ცხელი აპლიკაციების გამოყენებას გვირჩევს,



თანაც იმდენად ძლიერ გაცხელებულისას, რომ მისი გაძლება თითქმის შეუძლებელი იყოს.

თუმცა, საბედნიეროდ, დამწვარ ზედაპირზე წვისა და სიცხის შეგრძნების გამოწვევის უნარის მქონე წამლების საფენების გამოყენების უპირატესობა, (შესაბამისად პომეოპათიურის) პალიატიურ გამაცივებელ საშუალებზე განსაკუთრებით ნათლად დასტურდება წმინდა ექსპერიმენტით ერთი და იმავე სხეულზე არსებულ ირი ერთნაირი სიმძიმის დამწვრობაზე ამ ირი საწინააღმდეგო მეთოდის ეფექტურობის შედარებით.

ბენჯამინ ბელმა (Kuhn's Phys. Med. Jurnal, Leipzig, 1801 ianvari, gv. 428) იმ შემთხვევაში, როცა ქალბატონმა ორივე ხელი დაიმდურა, ერთი სკიპიდრის ზეთით დაფარა, მეორე კი ცივ წყალში ჩაუშვა. პირველზე ჭრილობა უკვე ნახევარ საათში შეხორცდა, მეორე კი ექვსი საათი სტკიოდა, წყლიდან ამოღების შემდეგ ტკივილი გაცილებით გაძლიერდა და მოსარჩენად არსებითად მეტი დრო დასჭირდა.

ჯონ ანდერსონი (Kentish, op.cit. gv.43) გამდნარი ქონით დაიმდურულ ქალბატონსაც ასე მკურნალობდა. „მისი დამდურული, ძალიან წითელი და უაღრესად მტკივნეული სახე დამწვრობის მიღებიდან რამდენიმე წუთში სკიპიდრის ზეთით დამუშავდა, ხელები კი თავისი გადაწყვეტილებით მან ცივ წყალში ჩაუშვა, რადგან ასე მათ მორჩენას რამდენიმე საათში იმედოვნებდა. შვიდ საათში მისი სახე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა და ტკივილმაც გაუარა. ის გაუჩერებლად ცვლიდა ცივ წყალს, რომელშიც ხელები ჰქონდა ჩაშვებული. წყლიდან მათი ყოველი ამოღების დროს ტკივილის გაძლიერებას აღნიშნავდა და სინამდვილეში ანთებაც გაძლიერდა. მეორე დილას მე გავიგე, რომ ის მთელი ღამე ხელების ძლიერი ტკივილით იტანჯებოდა, ანთება კი იდაყვებს სევით გავრცელდა, რამდენიმე დიდი ბუშტულა ჩამოყალიბდა და წინამხრები და მტევნები სქელმა ფუფხებმა დაფარა. მხოლოდ ამის შემდეგ იქნა გამოყენებული თბილი

საფუნები. სახე სრულიად უმტკივნეულო იყო, ხოლო ხელების მკურნალობა დამარბილებული აპლიკაციებით კიდევ ორი კვირა გაგრძელდა”.

ამ მაგალითებში ყველა დაინახავს უკვე დრომოჭმული სამედიცინო სკოლის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებაზე (*contraria contraries*)! დაფუძნებულ მეთოდთან შედარებით მსგავსი მკურნალობის უპირატესობის (ჰომეოპათიური) საბოლოო დადასტურებას.

36. ჯონ ჰანტერი (*loc. Cit.*) ერთადერთი არ არის, რომელიც ცივი წყლით დამწვრობის მკურნალობის არსებით მავნებლობაზე მიუთითებს. ფაბრიციუსი კელდონიდან (*De Combustionibus libelus. Basil, 1607, Tavi 5, gv. 11*) ამტკიცებს, რომ დამწვრობისას ცივი წყალი არახეულებრივად მავნეა და ყველაზე უფრო სერიოზული გართულებების საშიშროებას ქმნის; ის ანთებას, დაჩირქებას და ზოგჯერ ნეკროსსაც კი იწვევს.

მოხუცი, გამოცდილი მუშაკი ცივ წყალს არ მიეკარება (*contraria contraries*), როცა სიცხეში მუშაობისას თავს გადახურებამდე მიიყვანს, არამედ მცირე რაოდენობით შემათბოებელ სითხეს – ბრენდის ყლუპს დაღვეს, მაშინაც კი, როცა მისი გამოყენება არ სწევია. ჭეშმარიტების მასწავლებელმა – გამოცდილებამ, მას ამ ჰომეოპათიური პროცედურის, რომელიც სიცხეს და დაღლილობას სწრაფად ხსნის, უპირატესობა და ეფექტურობა აჩვენა<sup>37</sup>.

37. ციმერმანი (*Uber die Erfahrung, II, gv.318*) გემაცნობს, რომ ცხელი ქვეყნის მცხოვრებლები იმავე მეთოდს იყენებენ და გადახურებისას მცირე რაოდენობით სპირტიანის მიღებით საუკეთესო შედეგებს აღწევენ.

პერიოდულად გამოჩნდებოდნენ ექიმები, რომლებიც გაუბედავად ვარაუდობდნენ, რომ ავადმყოფურ პროცესებს

წამლები არსენენ ანალოგიური ავადმყოფური სიმპტომების გამოწვევის უნარის გამო<sup>38</sup>.

38. მე არ მომეავს შესაბამისი ციტატები ავტორთა თხზულებებიდან. რომლებიც მკურნალობის პომეოპათიურ მეთოდს წინასწარ მხოლოდ ცდების მონაცემების საფუძველზე გრძნობდნენ. მაშინ, როცა ის მკვიდრად არის დაფუძნებული თავის საკუთარ ღირსებებზე. თუმცა, მინდოდა თავიდან ამეცილებინა იდეის საკუთარ თავსე მიწერის მიზნით ამ ნაშრომთა დაფარვასთან დაკავშირებული ბრალდებები.

მაგალითად (*Περι τοπων των κατ αυθπασιον*) [იმ საგანთა შესახებ, რომლებსაც კავშირი აქვთ ადამიანთან]<sup>39</sup>, წიგნის ავტორს, რომელიც იმ ნაშრომებს ეყრდნობა, რომლებსაც ჰიპოკრატეს მიაწერენ, ეკუთვნის შემდეგი შესანიშნავი სიტყვები: *δια τα όμοια νοισοσ γινεται, και δια τα όμοια προσπερομενα εκ νοσειστων ύγαινονται - δια το εμεειν εμετοσ πανεται* [დაავადება მომდინარეობს მსგავსი ნივთიერებიდან და ადამიანები მსგავსი ნივთიერებების დანიშვნით განიკურნებიან – ღებინება წყდება პირსასაქმწებლებით].

39. *Basil. Froben, 1538, gv.72*

შემდგომი პერიოდის ექიმები აგრეთვე გრძნობდნენ პომეოპათიური მეთოდის ჭეშმარიტებას და ამის შესახებ წერდნენ. ასე მაგალითად, ბაულდუკი<sup>40</sup> ხედებოდა, რომ დი-სენტერიის დროს რევანდის ეფექტურობა მისი საფაღარათო თვისებებით აიხსნება.

40. *Memoris de l'Academie Royale, 1710.*

დეტარდინგი<sup>41</sup> ხედებოდა, რომ სენის ფოთლების ნახარში ამსუბუქებს კოლიკას მოზრდილებში, რადგან უნარი აქვს გამოიწვიოს იგივე კოლიკა ჯანმრთელებში.

41. *Eph. Nat. Cur., cent, X, obs. 76.*

ბერტოლონი<sup>42</sup> აღიარებს, რომ ელექტრობა ამცირებს და ხსნის ისეთ ტკივილებს, რომლებიც ძალიან ჰგავს მისგან გამოწვეულს.

42. *Medicin, Electrisitat., II gv. 15, 282.*

ტაური<sup>43</sup> ადასტურებს, რომ დადებით ელექტრობას პულსის აჩქარების უნარი აქვს, თუმცა მისი ავადმყოფური გახშირებისას ამცირებს გულისცემის სიხშირეს.

43. *Memoir de l'Academie de Caen.*

ფონ შტერკი<sup>44</sup> შემდეგს ვარაუდობს: „თუკი ღემა ჯანმრთელი ადამიანების გონებრივ შესაძლებლობებს აზიანებს და მათში მანიას იწვევს, შეშლილობის დროს ხომ არ უნდა შევეცადოთ, რომ ფსიქიკაზე ასე დრამატულად ზემოქმედების მისი უნარი გონების აღსადგენად გამოვიყენოთ?“

44. *Libell. De Stram., gv.8*

დანიელმა სამხედრო ექიმმა შტალმა<sup>45</sup> ამის მიმართ თავისი მრწამსი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატა: „წესი, რომელიც მედიცინაში ჩვეულებრივ მიღებულია, მკურნალობს საწინააღმდეგოდ მოქმედი საშუალებებით (*Contraria contraries*) სრულიად მცდარად და საწინააღმდეგოდ იმისა, რაც უნდა იყოს; მე, პირიქით დავრწმუნდი, რომ დაავადებები დაიძლევა და განიკურნება მსგავსი დაზიანების გამომწვევი საშუალებებით (*similia similibus*) – დამწერობას ცეცხლთან (სითბოთი) უნდა ვუმკურნალოთ, მოყინული კიდურები – თოვლის და ყინულოვანი წყლის დადებით, ანთებასა და დაჟეჟილობას –

სუფთა სპირტით; მსგავსი სახით ვმკურნალობდი კუჭის წვე-  
ნის მომატებულ მუავიანობას გოგირდმუავას ძალიან მცირე  
დოზით და საუკეთესო შედეგები მივიღე იმ შემთხვევებში,  
როცა აბსორბირებადი ნივთიერებების დიდი რაოდენობა  
სრულიად უშედეგოდ იყო გამოყენებული”.

45. Jo.Hammellii, „*Commentatio de Arthritide tam tartarea,  
quam scorbutica, seu podagra et scorbuto*”, *Budingae 1738, VIII, gv.*  
40-42.

რა ახლოს იყვნენ ისინი დიადი ჭეშმარიტების გაგე-  
ბასთან! თუმცა გარდამავალ აზრთან ერთად ყოველთვის  
ხელიდან უსხლტებოდათ და მოძველებული, მაგრამ აქა-  
მდე პრაქტიკაში მყოფი სამედიცინო სისტემის ჭეშმარიტ  
და უდავო სისტემაზე შეცვლის შანსი, რეალიზაციისათვის  
დღემდე ძალაში რჩებოდა.

# სამედიცინო ხელოვნების ორბანონი

## § 1

ექიმის მაღალი და ერთადერთი დანიშნულებაა დაუბრუნოს ავადმყოფს ჯანმრთელობა ანუ უმკურნალოს მას, რასაც ჩვეულებრივ ამ პროცესს უწოდებენ.

1. მისი ამოცანა სასიცოცხლო პროცესის შინაგანი არსისა და ორგანიზმის უხილავ სიღრმეებში დაავადების წარმოშობის შესახებ ცარიელი, სპეკულაციური ვარაუდებით ნაქსოვი ვერცთ წოდებული სისტემების შექმნა არ უნდა იყოს (რაზეც ბევრი ამბიციური და პატივმოყვარე ექიმი ფანტავს თავის დროსა და ტალანტს). ექიმის ამოცანა ასევე არ შეიძლება იყოს ავადმყოფობათა გამოვლენისა და მათი სავარაუდო მიზეზების (რომლებიც ჩვენთვის სამუდამოდ უცნობი უნდა იყოს) უთვალავი ახსნა-განმარტების მოგონება და მაშინ როცა შეჭირვებული საზოგადოება ამოდ ითხოვს შევლას, არ შეუძლია თავის ვარაუდებს აბსურდული, ბუნდოვანი, აბსტრაქტული გამოთქმებით უეცრების წარმოსახვაზე ზემოქმედებისათვის ზემოეცნიერული სახე მისცეს. ჩვენ ასეთი ფანტაზიების საკმარისზე მეტი რაოდენობა გვაქვს (რომლებსაც თეორიული მედიცინის სახელი აქვთ მინიჭებული და რომელთათვისაც სულ ახალ-ახალი საპროფესორო კათედრები იხსნება) და ახლა სწორედ ის დრო მოვიდა, როცა ვინც თავის თავს ექიმს უწოდებს, ბოლოს და ბოლოს ცარიელი სიტყვებით გატანჯული მოსახლეობის მოტყუებას თავი უნდა დაანებოს და ამის მაგივრად მოქმედება დაიწყოს, ე.ი. რეალურად დაეხმაროს და უმკურნალოს.

## § 2

მკურნალობის იდეალია ჯანმრთელობის სწრაფად, მსუბუქად და საბოლოოდ აღდგენა ანუ აღვილად გასაგები პრინციპების საფუძველზე უმოკლესი, ყველაზე უფრო საიმედო და უსაფრთხო გზით დაავადების მოღიანად მოშორება და განადგურება.

## § 3

თუ ექიმს ნათლად აქვს წარმოდგენილი, რას უნდა უმკურნალოს დაავადების დროს, ან უკეთ რომ ვთქვათ დაავადების ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში (დაავადების ცოდნა, ჩვენება), თუ კარგად ესმის, რა არის წამლებში სამკურნალო თვისებების მქონე, ანუ უფრო სწორად თითოეულ წამალში (წამლისმიერი თვისებების ცოდნა) და თუ, ნათლად განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად იცის როგორ გამოიყენოს ის, რაც წამლის სამკურნალო თვისებებად გვევლინება, იმის მოსარჩენად, რაც პაციენტში უდავოდ ავადმყოფურია, ჯანმრთელობის აღდგენას მიაღწიოს ისეთი წამლის გამოყენებით, რომელიც თავისი მოქმედებით საუკეთესოდ ესადაგება დაავადების მოცემული შემთხვევას (ნაჩვენები წამლის დასამზადებელი საშუალების, მასალის შერჩევა), ასევე – მისი ზუსტად მომზადება და საჭირო რაოდენობა (ზუსტი დოზა) და მათი განმეორების სათანადო პერიოდები და ბოლოს, თუ მან დაავადების ყველა შემთხვევაში იცის წინააღმდეგობები, რომლებიც გაჯანსაღებას ხელს უშლიან და გათვითცნობიერებულია იმაში, თუ როგორ აიცილოს ისინი ისე, რომ გაჯანსაღება საბოლოო იყოს, მაშინ მან იცის, როგორ უმკურნალოს გონიერად და რაციონალურად და სამკურნალო ხელოვნების ჭეშმარიტ პრაქტიკოსად გვევლინება.

§ 4

იმავენაირად გვეკლინება ის ჯანმრთელობის მცველად, თუ მან იცის ჯანმრთელობის მოშლისა და სიკვდილის მიზეზები და იცის, როგორ დაიცვას მათგან ჯანმრთელი ადამიანები.

§ 5

მკურნალობის საქმეში ექიმს მწვავე დაავადების ყველაზე უფრო სავარაუდო გამომწვევი მიზეზის, ასევე ქრონიკული დაავადების განვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტების ცოდნა სჭირდება, რადგანაც ის დაავადების იმ ფუნდამენტური მიზეზების დადგენაში ეხმარება, რომლებიც ჩვეულებრივ ქრონიკულ მიაზმთან არიან დაკავშირებული. ამ გამოკვლევების დროს აუცილებელია პაციენტის კონსტიტუციის (განსაკუთრებით ქრონიკული დაავადებების დროს), მისი სულიერი და ინტელექტური სფეროს, ცოდნის, ჩვევების, ცხოვრების წესის, ოჯახური და საზოგადოებრივი ურთიერთობების, ასაკის, სასქესო ფუნქციებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინება.

§ 6

ტრანსცედენტალური ცდით დაუდასტურებელი სპეკულაციების ამოებაში კარგად გათვითცნობიერებული წინასწარ ცუდი აზრის არმქონე დამკვირვებელი, რაც არ უნდა გამჭრიახი იყოს, ყოველი ინდივიდუალური დაავადების დროს სულისა და სხეულის იმ ცვლილებების გარდა არაფერს არ ითვალისწინებს (ავადმყოფური გამოვლინებები, მოვლენები, სიმპტომები), რომელთა აღქმაც შესაძლებელია გრძნობათა ორგანოებით; ანუ პაციენტში ის მხოლოდ ჯანმრთელობის



მდგომარეობის იმ ცვლილებებს აღნიშნავს, რომელსაც თვითონ ავადმყოფი შეიგრძნობს, აღნიშნავენ გარშემომყოფები და ექიმი. ყველა ეს შეგრძნებადი ნიშანი მთელი თავისი მახასიათებლებით მთლიანობაში დაავადებას წარმოადგენს, ე.ი. ისინი ერთად დაავადების ერთადერთ შესაძლებელ და ჭეშმარიტ სურათს<sup>2</sup> ქმნიან.

2. ამიტომ, არ მესმის, როგორ შეუძლიათ ექიმებს ავადმყოფის საწოლთან ივარაუდონ, რომ სიმპტომთა საგულდაგულო ანალიზზე, როგორც მკურნალობის ერთადერთ ორიენტირზე უარის თქმის შემდეგ, სამკურნალო ჩვენებების მიგნებას ორგანიზმის უცნობ და დახურულ სივრცეებში უნდა ეცადონ და ამ დროს ქედმაღლურად და უაზროდ აცხადებენ პრეტენზიას, რომ სიმპტომების უგულვებელყოფით მართლაც პოულობენ ორგანიზმის შიგნით ცვლილებებს და წამლებით (უცნობი!) მათი მოხსნა შეუძლიათ. ასევე ამტკიცებენ, რომ რადიკალური და რაციონალური მხოლოდ ასეთ მკურნალობას შეიძლება ეწოდოს.

ვანა ის, რასაც დაავადება გრძნობათა ორგანიზმისათვის მისაწვდომი პათოლოგიური სიმპტომებით გამოავლენს, ექიმისთვის თვით ამ დაავადებას არ წარმოადგენს? მითუმეტეს, რომ ექიმი ვერასოდეს შეძლებს სასიცოცხლო ძალა, დაავადების გამომწვევი სულიერი არსი დაინახოს. მისთვის არც ისე აუცილებელია მისი დანახვა, პათოლოგიურ გამოვლინებებზე სწორი წარმოდგენა რომ შეიქმნას და ამით დაავადების მორსეჩნის შესაძლებლობა მიიღოს. კიდევ რისი აღმოსენა უნდა მედიცინის ძველ სკოლას ორგანიზმის დახურულ სიღრმეებში როგორც *prima causa morbi*, უგულვებელყოფს და ამავედროულად ქედმაღლურად ეყურებს დაავადების იმ აშკარა და შესაგრძნობ სიმპტომებს, როგორც მკურნალობის შემოქმედების ობიექტს, რომლებიც ასე აშკარად წარმოგვიდგებიან და თავს გვთავაზობენ? ამ სიმპტომების გარდა, კიდევ რის შორსნას აპრებენ ისინი?

§ 7

დაავადების შემთხვევაში, როცა აშკარა გამომწვევი ან ხელშემწყობი მიზეზი (causa occasionalis), რომელიც მოცილებული უნდა იქნეს, არ არსებობს და ავადმყოფური სიმპტომების გარდა ვერაფერს ვხედავთ, მაშინ (ყურადღება უნდა მივაქციოთ დამატებით გარემოებებს და მიახმის არსებობის შესაძლებლობას, §5) მათი შემცირების საშუალება (წამალი) მხოლოდ სიმპტომებმა უნდა განსაზღვროს, მეტიც, დაავადების შინაგანი არსის გარეგანი სურათის ანუ სასიცოცხლო ძალის დაზიანების სიმპტომთა ჯამი მთავარი და ერთადერთი საშუალება უნდა იყოს, რომლითაც დაავადებას შეუძლია ნიშანი მოგვცეს მისთვის აუცილებელი წამლის შესარჩევად და შესაბამისი წამლის არჩევანის გამსაზღვრელ ერთადერთ გარემოებად გვევლინება, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, სიმპტომთა<sup>4</sup> ჯამი მთავარი და ერთადერთი გარემოება უნდა იყოს, რასაც ექიმი ყოველი დაავადების შემთხვევაში უნდა ითვალისწინებდეს და თავისი ხელოვნების დახმარებით მოაშოროს ისინი, რათა დაავადება განიკურნოს და ის ჯანმრთელობად ტრანსფორმირდეს.

3. *ზედმეტი იმაზე საუბარი, რომ ყოველი ვინიერი ექიმი, უპირველეს ყოვლისა მის მოშორებას შეეცდება, თუკი იგი საერთოდ არსებობს; ასეთ შემთხვევაში სიმპტომები თავისთავად გაქრება. ოთახიდან გაიტანს მძაფრი სუნის მქონე ყვავილებს, რომლებიც გულის წახელას და ისტერიულ ჩივილებს იწვევენ; რქოვანადან მოაშორებს უცხო სხეულს, რომელიც თვალის ანთებას იწვევს; შეასუსტებს და უფრო მისაღებით შეცვლის მჭიდროდ დადებულ ნახევებს, რომელმაც შეიძლება დაჭრილი კიდეურის დანეკროსებად მიგვიყვანოს; გამოყოფს და გადაკვანძავს გადაჭრილ არტერიას და ამით შოკის განვითარებას აიცილებს; პირსასაქმებელი საშუალებებით შეეცდება ჩაელაპული ბელადონას ნაყოფის მოცილებას; მოაშორებს ორგანიზმის ამა თუ იმ დრეში მოხვედრილ უცხო სხეულს (ცხვირი, საელაპავი, ყური, შარდსადენი მილი, სწორი ნაწლავი, საშო); დაფშენის კენჭს შარდის ბუშტში; ჩაჭრის ახ-*

აღშობილის შეხორცებულ უკანა ტანს და ა.შ.

4. ძველი სკოლის ექიმები ყოველთვის ფიქრობდნენ გადაელახათ და შესაძლებლობის შემთხვევაში წამლებით საეხშოთ მრავალი ავადმყოფური სიმპტომებიდან ერთადერთი, რადგან დახმარების სხვა გზა არ იცოდნენ. ამ ცალმხრივმა ღონისძიებებმა, რომლებსაც სიმპტომურ მკურნალობას უწოდებდნენ, სამართლიანად დაიმსახურეს საყოველთაო სისული, იმიტომ, რომ არა თუ რაიმე სასარგებლო შედეგს არ იძლეოდნენ, არამედ ბევრი ზიანი მოჰქონდათ. ცალკეული სიმპტომი ისევე წარმოადგენს მთლიან დაავადებას, როგორც ფეხი – ადამიანს. ეს ღონისძიებები მით უმეტეს დასავლობი იყო, რადგან ასეთ ცალკეულ სიმპტომებს ანტაგონისტური საშუალებებით მკურნალობდნენ (მით უმეტეს, რომ მხოლოდ ენანტიოპათიური და პალიატიური მეთოდით) და უმნიშვნელო გაუმჯობესებას გამოხატული გამწვავება მოჰყვებოდა.

## § 8

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ და ვერც ერთი ცდა მსოფლიოში ვერ დაადასტურებს იმას, რომ დაავადების ყველა სიმპტომისა და მისი აღქმის ფენომენტა მთელი კომპლექსის მოშორების შემდეგ, ჯანმრთელობის გარდა სხვა რამე დაგვრჩეს, ანუ შინაგანი ორგანოების ავადმყოფური ცვლილებები შესაძლებელია არ აღმოიფხვრას.

5. თუკი ნამდვილი ექიმის მიერ ავადმყოფი ისე განიკურნება, რომ არა თუ არანაირი პათოლოგიური სიმპტომი, არაძედ დაავადების კვალიც კი არ რჩება და ჯანმრთელობის ყველა მაჩასიათებელი საბოლოოდ აღდგება, მაშინ ასეთ შემთხვევაში განა შესაძლებელია ვამტკიცოთ (ისე, რომ ჯანსაღ აზრთან შეუწინარებელ წინააღმდეგობაში არ მოვიდეთ), რომ ამ ინდივიდუუმის სხეულის ყველა პრობლემა ორგანიზმის სიღრმეებში რჩება? მიუხედავად ამისა, ძველი სკოლის მამამთავარი პუფენლანდი ამას შემდეგი სიტყვებით ამტკიცებს: „ომეოპათიას შეუძლია მოაშოროს სიმპტომები, მაგრამ დაავადება რჩება“ (იხ. Homöopathie p.27,1,19). აცხადებს იგი ნაწილობრივ პო-

მეოპათიის კაცობრიობაზე სასიკეთო მიღწევების გამო შერცხეუნილი, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ დაავადების არსს ჯერ კიდევ მთლიანად მატერიალისტურად წარმოსახავს, რასაც ჯერ კიდევ ვერ აღიქვამს როგორც ავადმყოფურად დასიანებული სასიცოცხლო ძალის მიერ დინამიკურად შეცვლილ ორგანიზმის ჯანმრთელობის მდგომარეობას. პირიქით, ის დაავადებას წარმოიდგენს როგორც რაღაც მატერიალურს და ფიქრობს, რომ მკურნალობის დამთავრების შემდეგ მას შეუძლია ორგანიზმის ხილრბეში დარჩეს და ერთხელაც, აევაეებული ჯანმრთელობის ფონზე, მხოლოდ თავისი სიამოვნებისათვის, მთელი თავისი მატერიალური ბრწყინვალეებით გარეთ გამოიჭრას! რამდენად აღმაშფოთებელია ძველი სამედიცინო სკოლის ჯერ კიდევ ასეთი სიბრმავე! გასაკვირი არ არის, რომ მას მხოლოდ საცოდავი პაციენტის გამოწმენდით და გამოფხბკით დაკავებული თერაპიული სისტემის შექმნა შეუძლია.

## § 9

ჯანმრთელობის მდგომარეობაში ადამიანის სულიერი სასიცოცხლო ძალა (თვითმართვადი) არის ძრავა, რომელიც აცოცხლებს მატერიალურ სხეულს (ორგანიზმს), მართავეს მას განუსაზღვრელი ძალით, შეგრძნებების და სასიცოცხლო გამონაყოფების მხრივ საოცარ ჰარმონიულ ცხოველმყოფელობას ინარჩუნებს, ისე, რომ ჩვენს მარადიულ, გონებით დაჯილდოებულ სულს არსებობის უმაღლესი მიზნებისათვის ამ ცოცხალი, ჯანმრთელი ინსტრუმენტის თავისუფლად განკარგვა შეუძლია.

## § 10

მატერიალურ ორგანიზმს, რომელსაც სასიცოცხლო ძალა წართმეული აქვს, არც შეგრძნებების, არც მოქმედების, არც თვითშენარჩუნების უნარი არა აქვს<sup>6</sup>; ის შეგრძნებებს და სასიცოცხლო ქმედებებს მხოლოდ და მხოლოდ არამატე-

რიალური არსით ასრულებს (სასიცოცხლო პრინციპი), რომელიც განაპირობებს მატერიალური ორგანიზმის სიცოცხლეს ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის მდგომარეობაში.

6. ის შეკვარია და მხოლოდ გარე სამყაროს ფიზიკური კანონების შემოქმედებას ექვემდებარება; ის ირღვევა და კვლავ შემადგენელ ქიმიურ ნაწილებად იშლება.

## § 11

როცა ადამიანი ავად ხდება, ეს სულიერი, თავისთავად (ავტონმატურად) მოქმედი სასიცოცხლო ძალა, რომელიც მთელ მის ორგანიზმს მოიცავს, თავიდან მხოლოდ ავადმყოფური, სიცოხლისათვის მტრული აგენტის დინამიკური შემოქმედებით ზიანდება (*materia peccans!*); მხოლოდ არანორმალურ მდგომარეობამდე მიყვანილ სასიცოცხლო პრინციპს შეუძლია ორგანიზმში უსიამოვნო შეგრძნებები გამოიწვიოს და ცხოველქმედების პროცესების დარღვევასთან მიგვიყვანოს, რასაც ჩვენ ავადმყოფობას ვუწოდებთ; რადგანაც ეს ძალა თავისთავად უხილავია და მხოლოდ ორგანიზმზე მისი შემოქმედებით აღიქმება, მისი ავადმყოფური შემოქმედების აღმოჩენა ყურადღებიანი ექიმისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ ორგანიზმის ნაწილების შეგრძნებებითა და გამონაყოფებით, ე.ი. ავადმყოფური სიმპტომებით ხდება და სხვა არანაირი მეთოდით არ შეიძლება იქნეს ამოცნობილი.

7. რა არის დინამიკური შემოქმედება – დინამიკური ძალა? დედამიწა, ფარული უხილავი ენერჯის მეშვეობით, მთვარეს აიძულებს მის გარშემო იმოძრაოს და ყოველი ოცდარვა დღისა და რამდენიმე საათის განმავლობაში შემოუაროს მას. მთვარე კი თავის მხრივ, მკაცრად განსაზღვრულ დროს (მისი მატებისა და კლების ცნობილი განსხვავებების გათვალისწინებით) ჩრდილოეთის ზღვებში მიტყვევებსა და მოქცევენს იწვევს. ცხადია, ყოველივე ეს ისეთი მატერიალური აგენტებით

ან მექანიკური მექანიზმებით არ ხორციელდება, როგორცაც ადამიანი ნვეულებრივ თავის ქმედებებში იყენებს. გარშემო ჩვენ მრავალ მსგავს მოვლენას ვხედავთ. ისინი გამოიწვეულია ერთი ნივთიერების მეორეზე ზემოქმედებით, რომელთა დროსაც მიზუსსა და შედეგს შორის შესაგრძნობი კავშირის აღმონენა არ ხერხდება. მხოლოდ განათლებულ, დედუქციასა და შედარებაში გაწაფულ ადამიანს შეუძლია თავის თავისთვის რაღაც ზემოგრძნობიარე კონცეფციის ფორმულირება, ეს საკმარისია მექანიკური და მატერიალისტური ახსნებისგან თავის შესაკავებლად. ის ასეთ ეფექტებს დინამიკურს უწოდებს, რომლებიც არსებითად მხოლოდ ნივთიერებათა აბსოლუტური, სპეციფიკური, წმინდა ენერგიით და ამ ენერგიით მათი ერთმანეთზე ზემოქმედებითაა განპირობებული.

მაგალითად, ავადმყოფურ ფაქტორის დინამიკური მოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე, ისევე, როგორც წამლების ჯანმრთელობის აღმდგენი დინამიკური ზემოქმედება სასიცოცხლო პრინციპზე, სხვა არაფერია თუ არა ინფექცია, ე.ი. არავითარ შემთხვევაში რაიმე მატერიალური ან მექანიკური. იმის დანახვა, თუ როგორ იზიდავს მაგნიტის ერთ-ერთი პოლუსი ფოლადს ან რკინას, შესაძლებელია, მაგრამ როგორ ხერხდება ეს – არა. მაგნიტის ეს უხილავი, სპეციფიკური, არამატერიალური ენერგია რკინის მისაზიდად რაიმე დამატებით მექანიკურ (მატერიალურ) მოწყობილობას, კავეებს ან ბურკეტებს არ საჭიროებს. მაგნიტი თავისკენ იზიდავს რკინის ნამცეცებს და ფოლადის ნემსზე არამატერიალური. უხილავი, გონებაჭკრეტიით, მისთვის დამახასიათებელი ენერგიით, ანუ დინამიკურად მოქმედებს და მაგნიტური ენერგია მას (ფოლადის ნემსს) ასევე უხილავად (დინამიკურად) აღწევს. ფოლადის ნემსი თვითონაც მაგნიტდება მაგნიტიდან განსაზღვრულ მანძილზეც კი, ანუ მასთან შეხების გარეშე და სხვა ფოლადის ნემსებსაც ამაგნიტებს, გადასცემს მათ (დინამიკურად) მაგნიტური მადნის ნაჭრიდან მიღებულ იმავე (მაგნიტურ) თვისებებს. ზუსტად ასეა ყვაილით ან წითელათი დაავადებული ბავშვიც, ის არ ეხება სხვა ბავშვს, მაგრამ უხილავად (დინამიკურად) გადასცემს მას ყვაილს ან წითელას, ე.ი. გარკვეულ მანძილზე იმის გარეშე ახსებოვნებს, რომ რაღაც მატერიალური გადავიდეს მისგან დაინფიცირებულზე. მსგავსად გადაცემა პატარას ყვაილი ან წითელა, ზუსტად ისე, როგორც მაგნიტი გადასცემს ფოლადის ნემსს მაგნიტურ თვისებებს. ანალოგიუ-

რად უნდა შეფასდეს ადამიანზე წამლის მოქმედებაც. წამლად გამოყენებული თითოეულ ნივთიერებას, უნარი აქვს თავისი საკუთარი სპეციფიკური ენერგიით ადამიანის მდგომარეობა შეცვალოს, დინამიკური, სულიერი, მგრძობიარე ნერვული ბოჭკოებით აღქმადი სულიერი, ორგანიზმის ფუნქციების მმართველ სასიცოცხლო პრინციპზე ზემოქმედებით. მატერიალური სუბსტანციების, რომლებსაც ჩვენ წამლებს ვუწოდებთ, სამკურნალო ეფექტები მხოლოდ ჯანმრთელი სიცოცხლის ცვლილებათა გამოწვევის უნარით განისაზღვრება. მხოლოდ ამ სულიერ, დინამიკურ სასიცოცხლო პრინციპზეა დამოკიდებული წამლების ჯანმრთელობის მდგომარეობის, მათი სულიერი (დინამიკური) ზემოქმედების შეცვლის უნარი. ზუსტად ისე, როგორც მაგნიტის პოლუსს (როგორც თავისებური სახის ინფექცია) შეუძლია შორიანხლოს მოთავსებულ ფოლადის ნემსს მიანიჭოს მხოლოდ მაგნიტური და არა რაიმე სხვა (მაგალითად, სიმტკიცე, ჰქედვადობა და სხვა მსგავსი) თვისება, ასევე ყოველი სამკურნალწამლო ნივთიერება თავისებური ინფიცირების საშუალებით ადამიანის ჯანმრთელობას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სახით ცვლის და სხვა წამლის მსგავს მოქმედებას არ იწვევს. ამას ის ზუსტად ისე აკეთებს, როგორც ყვაელით დაავადებული ბავშვი მეორე პატარას გადასცემს ყვაელს და არა რომელიმე სხვა დაავადებას, მაგალითად წითელას. ეს წამლები ჩვენს ჯანმრთელობაზე თავისი მატერიალური ნაწილაკების გადაცემის გარეშე, ე.ი. დინამიკურად, ინფექციების მსგავსად მოქმედებენ. წამლის დიდ დოზებთან შედარებით არსებითად მეტი, სამკურნალო ენერგია მუდგენდება კარგად დინამიზირებული უმცირესი დოზის გამოყენების დროს, რომელიც, გამოთვლების თანახმად, იმდენად მკირე რაოდენობის მატერიალურ ნივთიერებას შეიცავს, რომ მისი აღქმა თავისი სიმცირის გამო საუკეთესო მათემატიკური გონებითაც კი ძალიან ძნელია. ამიტომ ამ უმცირეს დოზებს შეუძლია შეიცავდნენ მხოლოდ სუფთა, თავისუფლად განვითარებულ, სულიერ წამლისმიერ ენერგიას და ასეთ გამოხატულ შედეგებს მხოლოდ და მხოლოდ დინამიკურად იძლეოდნენ, რისი მიღწევაც უხეში სამკურნალო ნივთიერებების დიდი დოზებით არასოდეს არ შეიძლება.

სამკურნალო ენერგიის არსებობა არ შეიძლება დაკავშირებული იყოს არც ძლიერ დინამიზირებული წამლის ატომებთან, არც მათი ზედაპირის აგებულების ფიზიკურ ან მათემა-

ტიკურ თავისუფლებებთან (რისი საშუალებებითაც ბევრი ამოდ ცდილობს დინამიზაციის დროს ენერჯის მატების ახსნას, რადგან ამ დროს ზედმიწევნით მატერიალისტურ აზროვნებას ეყრდნობა). ყველაზე უფრო სავარაუდოა, რომ წამალთა ხსნარებში ან მათში დახვედრებულ ბურთულაში გახსნილი, განთავისუფლებული სამკურნალო ძალაა მოქცეული, რომელიც დინამიკურად მოქმედებს მთელი ორგანიზმის ნერვულ ბოჭკოებთან კონტაქტის დროს (არ გადასცემს მათ, არაფერ მატერიალურს, რაც არ უნდა მნიშვნელოვნად იყოს გახსნილი წამალი) და ეს მოქმედება მით უფრო გამოხატულია, რაც უფრო მეტად თავდახსნილი და თავისუფალი ხდება ენერჯია მატერიალური ხუნდებიდან დინამიზაციის პროცესში.

მრავალი ნათელი გონებით სახელგანთქმულ ჩვენს საუკუნეში, იმ მოვლენებზე რომელთა ახსნაც შეუძლებელია ყოველდღიური დაკვირვებების საფუძველზე, ნუთუ შეუძლებელია, დინამიკური ენერჯის, როგორც რაღაც არამატერიალურის არსებობის დაშვება? ნუთუ იმ შემთხვევაში, როცა ვინმეს ღებინების მოთხოვნა უნდება რაიმე გულისამრევის დანახვისას, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მის კეჭში გულისამრევი ანტიპერისტალტიკის გამოწვევი მატერიალური ნივთიერება მოხვდა? ხომ არ არის აღნიშნული გულისამრევი ფაქტორი წარმოსახვაზე უბრალოდ დინამიკური სიმომქმედება? და როცა ვინმე ხელს სწევს, ნუთუ ეს რაიმე ხილული მატერიალური საშუალების (ბერკეტის) დახმარებით ხდება? შესაძლოა უბრალოდ მისი ნების სულიერი, დინამიკური ენერჯია აიძულებს ხელს აიწიოს?

## § 12

მხოლოდ ავადმყოფურად შეცვლილი სასიცოცხლო ენერჯია იწვევს დაავადებას<sup>8</sup> ისე, რომ ჩვენი გრძნობებისთვის აღსაქმელი (მისაწვდომი) პათოლოგიური გამოვლინებები, იმავე დროს შინაგან ცვლილებებსაც, ანუ შინაგანი ძრავის ყველა ავადმყოფურ დარღვევას ასახავს; ერთი სიტყვით, ისინი დაავადებას მთლიანად წარმოაჩენენ; ისევე, როგორც მკურნალობის დროს ყველა პათოლოგიური ცვლილებისა



და გამოვლინების (რომლებიც განსხვავდებიან ჯანმრთელი ორგანიზმის გამოვლინებებისგან) გაქრობა, უცილობლად იწვევს და მას აუცილებლად მოსდევს სასიცოცხლო ძალის ერთიანობის აღდგენა, შესაბამისად – მთელი ორგანიზმისთვის ჯანმრთელობის დაბრუნება.

*8. ექიმისთვის არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს იმის ცოდნას, თუ როგორ აიძულებს სასიცოცხლო ძალა ორგანიზმს გამოაგლინოს ესა თუ ის პათოლოგიური ფენომენი, ანუ როგორ იწვევს დაავადებას. ეს მისთვის მარადიულად უცნობი ღარჩება. ღმერთმა ექიმის გრძნობებისთვის ხილული გახადა მხოლოდ ის, რისი ცოდნაც დაავადებების შესახებ აუცილებელი და სრულიად საკმარისია მათ სამკურნალოდ.*

### § 13

ამიტომ, ალოპათები დაავადებას (თუკი ის ქირურგიული არ არის), განმარტავენ როგორც სასიცოცხლო ერთიანობისაგან, ორგანიზმისა და მისი მაცოცხლებელი ძალისაგან გამოყოფილს და მის სიღრმეებში დამალულს, რომელიც რაც არ უნდა ფაქიზი ბუნებისა იყოს, არის ქიმერა. მისი წარმოდგენა მხოლოდ მატერიალისტურად მოაზროვნე გონებას შეუძლია და ეს წარმოდგენები გაბატონებულ სამედიცინო სისტემას ათასწლეულების განმავლობაში იმ მანერე იდეებს აწვდიდნენ, რომლებმაც ის მართლაც მანერე (არაგანმკურნავე) ხელოვნებად აქცია.

### § 14

ადამიანში არ არის არაფერი პათოლოგიური და არც ხილული ავადმყოფური გამოვლინებები რასაც მკურნალობა სჭირდება, იმათ გარდა, რომლებიც ყურადღებიან ექიმს ავადმყოფური ნიშნებით და სიმპტომების სახით ევლინება

– ფაქტი, სრულ შესაბამისობაშია ადამიანთა სიცოცხლის ყოველისმცოდნე მესიის უსაზღვრო სიკეთესთან.

## § 15

ავადმყოფურად დაზიანებული სულიერი ძრავის (სასიცოცხლო ძალის) ცვლილება, რომელიც ჩვენს სხეულს ფარული სიღრმეებიდან აცოცხლებს და მის მიერ გამოწვეული გარეგნულად გამოსახული სიმპტომების ერთობლიობა, რომლებიც არსებულ დაავადებას წარმოაჩენს, ერთი და იგივეა. სინამდვილეში ორგანიზმი სიცოცხლის მატერიალური ინსტრუმენტია, მაგრამ მისი წარმოდგენა შეუძლებელია ინსტიქტურად აღქმადი და მოქმედი ძრავის მაცოცხლებელი ზემოქმედების გარეშე, ისევე, როგორც სასიცოცხლო ძალა წარმოდგენელია ორგანიზმის გარეშე, შესაბამისად ისინი ერთი მთლიანობაა, თუმცა მათი გაგება რომ უფრო მოსახერხებელი გახდეს, ჩვენს წარმოსახვაში შესაძლოა მათი განცალკევება.

## § 16

ჩვენს სასიცოცხლო ძალას, როგორც სულიერ ძრავს, არანაირი სახით არ შეიძლება შეუტიოს და შეცვალოს, სასიცოცხლო ჰარმონიის დამრღვევმა არანაირმა მავნე გარეგანმა ძალამ გარდა სულიერისა (დინამიკურისა), ისევე, როგორც ყველა მსგავსი პათოლოგიური ცვლილება (დაავადება) არანაირად არ შეიძლება დაძლიოს ექიმმა სულიერი (არსებითად დინამიკური), სულიერ სასიცოცხლო ძალაზე მოქმედი შესაბამისი ცვლილებების გამომწვევი წამლების, რომელიც მათ ორგანიზმში ყველგან არსებული შეგრძნების უნარის მქონე ნერვების საშუალებით აღიქვამს, გამოყენების გარდა. ასე, რომ მხოლოდ სასიცოცხლო ძალაზე

დინამიკური მოქმედების უნარის მქონე წამლებს შეუძლიათ აღადგინონ და მართლაც აღადგენენ ჯანმრთელობას და სასიცოცხლო ჰარმონიას, მას შემდეგ, რაც ყურადღებიანი და დაკვირვებული ექიმისათვის პაციენტის ჯანმრთელობის ჩვენი გრძნობათა ორგანოებით ამოცნობადი ცვლილებები (სიმპტომთა ერთობლიობა) დაავადებას იმდენად სრულად წარმოაჩენენ, რამდენადაც საჭიროა, რომ მას მისი განკურნების საშუალება მისცენ.

9. ყველაზე სერიოზული დაავადებები შეიძლება გამოწვეული იყოს სასიცოცხლო ძალაზე წარმოსახვის საკმარისი მოქმედებით და განიკურნოს იმავე გზით.

## § 17

შემდეგ, რამდენადაც დაავადების ყველა შეგრძნებადი მახასიათებლისა და სიმპტომის აღმომფხვრელი მკურნალობისას, სასიცოცხლო პრინციპის ის შინაგანი ცვლილებები, რომლებიც დაავადებას განაპირობებენ და შესაბამისად მთლიანად დაავადებაც<sup>10</sup> აღმოიფხვრება, იმდენად ექიმმა მხოლოდ უნდა მოაშოროს ყველა სიმპტომი, რათა ამავე დროს მოსპოს შინაგანი ცვლილებები, ანუ სასიცოცხლო ძალის პათოლოგიური მოშლილობა, ე.ი. დაავადება მთელ მის მთლიანობაში, თვით დაავადება<sup>11</sup>. როცა დაავადება ნადგურდება და ჯანმრთელობა აღდგება, ამით თავისი ჭეშმარიტი დანიშნულების შეგნების მქონე ექიმის უმაღლესი და ერთადერთი მიზანი მიიღწევა. უკანასკნელი არა მეცნიერების მსგავს ლაყბობაში, არამედ გაჭირვებულიისათვის დახმარების აღმოჩენაში მდგომარეობს.

10. მშფოთვარე ძილი, ცრუმორწმუნე ფანტაზია, სიკვდილის შავბნელი წინათგრძნობა გარკვეულ დღესა და საათს, პროგრესირებადი დაავადების დასაწყისის ყველა ნიშანს,

სიკვდილის მოახლოებას და საბოლოოდ ნაწინასწარმეყეველებ დროს თვით სიკვდილსაც კი ხშირად იწვევს, რაც არ შეიძლება იმავდროული შინაგანი ცვლილებების განვითარების (გარეგანი გამოვლინებების შესაბამისად) გარეშე მოხდეს; ასეთ შემთხვევებში სიკვდილის მოახლოების მანვენებელი ყველა პათოლოგიური ნიშანი, იდენტური მიზეზის გამო ხშირად ქრებოდა, როცა ეშმაკური ფანდებით ან დარწმუნებით შესაძლებელი ხდებოდა დამღუპველი წინათგრძობის გაფანტვა და დაავადების კეთილ გამოსავალში დარწმუნება. ამ დროს ჯანმრთელობა მომენტალურად აღდგება, რაც არ შეიძლება მოხდეს ასეთი ზნეობრივი წამლის დახმარებით სიკვდილის საშიშროების როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ცვლილებების აღმოფხვრის გარეშე.

11. მხოლოდ ეს, ანუ ექიმისთვის იმის ჩვენება, რა უნდა მოეიშორათ დაავადების მოსასპობად და ჯანმრთელობის აღსადგენად, შეეძლო კაცობრიობის გადამრჩენელ ღმერთს, რათა თავისი სიბრძნე და ღიღსულოვნება გამოემჟღავნებინა ადამიანთა მოდგმის დაავადებების მკურნალობის საქმეში. მაგრამ რა უნდა გვეფიქრა მის სიბრძნესა და ღიღსულოვნებზე, თუკი ის საიდუმლოების ბურუსით დაფარავდა ყოველივე იმას, რაც დაავადების დროს მკურნალობას ექვემდებარება (როგორც ამას ამტიცებს გაბატონებული სამედიცინო სკოლა, რომელიც მიიჩნევს, რომ მას აქვს მოვლენების შინაგან ბუნებაში ზემგრძობელობითი შეღწევადობის უნარი) და ყველაფერს ორგანიზმის ფარულ წიაღში ჩაკეტავდა, რითაც დაავადების შესახებ ზუსტ ცოდნასა და შესაბამისად მის მკურნალობას ადამიანისთვის შეუძლებელს გახდიდა?

## § 18

იმ უდავო ჭეშმარიტებიდან, რომ მხოლოდ ყველა სიმპტომისა და თანმხლები მოდალობის ჯამი (§5) ასახავს დაავადების დროს დახმარების მოთხოვნას, უცილობლად გამომდინარეობს, რომ ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში სიმპტომთა ერთობლიობა და დაავადების მიმდინარეო-

ბა უნდა იყოს წამლის შერჩევის ერთადერთი მაჩვენებელი, ერთადერთი ორიენტირი.

§ 19

შემდგომში, რამდენადაც ავადმყოფობა არაფერია ჯანმრთელი ინდივიდის მდგომარეობაში ავადმყოფური ნიშნებით გამოვლენილი ცვლილებების გარდა, ხოლო განკურნება შესაძლებელია მხოლოდ ავადმყოფი ინდივიდის მდგომარეობის ჯანმრთელ მდგომარეობაზე შეცვლით, აშკარაა, წამალი ვერასოდეს ვერ შეძლებდა დაავადების მორჩენას, შეგრძნებებსა და ფუნქციებზე დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობის შეცვლის უნარი რომ არ ჰქონდეს; სინამდვილეში მათი სამკურნალო ძალა განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლის უნარით.

§ 20

წამლის შინაგან ბუნებაში დამალული, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილებათა გამოწვევის უნარის მქონე ამ სულიერ ძალას, ვერასოდეს ვერ აღმოვაჩინებთ მხოლოდ გონების დაძაბვით, მასზე ნათელი წარმოდგენა შეძლება შეგვექმნას მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მისი მოქმედების გამოვლინების გულმოდგინე შესწავლით.

§ 21

შემდგომში, რადგანაც უდავოა, რომ თავისთავად წამალთა სამკურნალო პრინციპი არ არის აღქმადი და რამ-

დენადაც ყველაზე კეთილსინდისიერი დამკვირვებლებისთვისაც კი წამლებზე წმინდა ექსპერიმენტების ჩატარების დროს შეუძლებელია სხვა რაიმეს აღმოჩენა, რაც მათ წარმოაჩენს როგორც წამლებს, გარდა მათი უნარისა, გამოიწვიონ გარკვეული ცვლილებები და სხვადასხვა პათოლოგიური სიმპტომები, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაში და განსაკუთრებით კი **ჯანმრთელი ინდივიდის** სხეულში, რამდენადაც იმ შემთხვევებში, როცა ფარმაკოლოგიური პრეპარატები მოქმედებენ როგორც წამლები, მათ არ შეუძლიათ მოქმედებაში შეიყვანონ თავისი სამკურნალო ძალები არანაირად, გარადა უნარისა, შეცვალონ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა, იწვევენ რა მისთვის დამახასიათებელ სიმპტომებს; და ამიტომ, იმის დადგენისას, თუ რა დაავადების გამომწვევი და ამავე დროს როგორი სამკურნალო ძალა აქვს თითოეულ ცალკეულ წამალს, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ჯანმრთელ სხეულში მათ მიერ გამოწვეულ პათოლოგიურ გამოვლინებებს, როგორც მათთვის დამახასიათებელი სამკურნალო ძალის აღმოჩენის ერთადერთ შესაძლო მეთოდს დავუყრდნოთ.

## § 22

მაგრამ როგორც არაფერი, რაც ჯანმრთელობის აღდგენისას მკურნალობას ექვემდებარება, იმ სიმპტომთა და ნიშანთა ერთობლიობის გარდა, რომლებიც დაავადების დროს ვლინდნება, წამლებს არ შეუძლიათ გამოავლინონ არანაირი სამკურნალო ეფექტი, ისევე როგორც ჯანმრთელ ადამიანებში პათოლოგიური სიმპტომები გამოიწვიონ და მოაშორონ ისინი ავადმყოფებს; აქედან გამომდინარეობს, ჯერ ერთი, ფარმაკოლოგიურ პრეპარატებს წამლებად გადაქცევა მხოლოდ იმის გამო შეუძლიათ, რომ გარკვეულ ხელოვნურ ავადმყოფურ მდგომარეობას იწვევენ, უფრო ზუსტად სამ-

კურნალწამლო ნიეთიერებები ხსნიან და ანადგურებენ უკვე არსებულს, ანუ ბუნებრივ ავადმყოფურ მდგომარეობას, რომლის მორჩენაც გვინდა. ასევე დაავადების სიმპტომთა ერთობლიობის სამკურნალოდ ისეთი წამალი უნდა მოვიყვანოთ, რომელიც (ექსპერიმენტური მონაცემების შესაბამისად, აშორებს თუ არა ის ავადმყოფურ სიმპტომებს ყველაზე უფრო სწრაფად, უცილობლად, უდავოდ და საბოლოოდ და თუ აღადგენს ჯანმრთელობას, მსგავსი თუ საწინააღმდეგო წამლისმიერი სიმპტომებით<sup>12</sup>) ცნობილია როგორც მსგავსი ან საწინააღმდეგო სიმპტომების გამოწვევის უდიდესი ტენდენციის მქონე.

12. ამ ორის გარდა წამლის გამოყენების სხვა შესაძლო მეთოდი **ალოპათიურია**, რომლის დროსაც ისეთი წამლები გამოიყენება, რომლებსაც უშუალო პათოლოგიური ურთიერთობა ავადმყოფურ მდგომარეობასთან არა აქვთ. ისინი არ არიან არც მსგავსნი, არც საწინააღმდეგო, არამედ დაავადების სიმპტომების მიმართ მთლიანად პეტეროგენულებია. როგორც უკვე განვიხილეთ, ექიმი, რომელიც ამ მეთოდს იყენებს, ავადმყოფის სიცოცხლისთან უპასუხისმგებლოდ თამაშობს, როცა ვარაუდის საფუძველზე საშიშ, ძლიერმოქმედ წამლებს იყენებს, რომელთა მოქმედების მექანიზმი უცნობია, ნიშნავს მათ დიდი და ხშირი დოზებით. ასევე, ამ მეთოდის მავნებლობა განპირობებულია მტკივნეული ოპერაციებით, რომლებიც დაავადების სხეულის სხვა ნაწილებისკენ განრიდებისაკენ არიან მიმართულნი; ავადმყოფის სასიცოცხლო ძალის და სითხეების გაფანტვისკენ სასაქმებელი და პირსასაქმებელი საშუალებებით, ნერწყვის და ოფლისდენის გაძლიერებისკენ, მაგრამ ის განსაკუთრებით საშიშია სისხლის გაფლანგვის გამო. მეურნალობის გაბატონებულ, რეტინულ სისტემაში ეს ყველაფერი ბრმად და დაუნდობლად გამოიყენება, ავადმყოფ ბუნებასთან მისი თვითგანკურნების მცდელობასთან მიბაძვის საფუძველზე და იმის შეუცნობლად, თუ რა უაზრობაა ავადმყოფური ბუნების იმიტირებისკენ მისწრაფება, ამ ძლიერ არასრულყოფილი და უადგილო მცდელობისკენ ბიძგება, რასაც ჩვენს ორგანიზმში ჩანერგილი უგუნური სასიცოცხლო ენერჯია ინსტიქტურად ცდილობს. ეს მცდელობანი უგუნურია, რადგან სასიცოცხ-

ლო ენერგია ბრწყინვალედ არის შეგუებული და მოწოდებულია სიცოცხლის პარმონიული განვითარებისათვის და არა დაავადებების სამკურნალოდ. ავადმყოფური აგენტებით დაზიანებულ ჩვენს სასიცოცხლო პრინციპს შეუძლია მხოლოდ თავისი დათრგუნული მდგომარეობა გამოაეღინოს, რომელიც გამოწვეულია სასიცოცხლო გამონაყოფების რეგულარულობის დარღვევით. ამ სიმპტომებს გონიერი ექიმი დახმარების შესახებ ვედრებად აღიქვამს. თუ დახმარების აღმოჩენა არ ხდება, თავის გადარჩენას ის დაავადების გაძლიერებით, ჩვეულებრივ, ინტენსიური გამონადენებით ცდილობს და მათი შესაძლო შედეგები, ხშირად უდიდესი მსხვერპლი და სიცოცხლის განადგურებაც კი არ ადარდებს.

ავადმყოფურად დათრგუნულ სასიცოცხლო ძალას დაავადებათა სამკურნალოდ ძალიან მცირე შესაძლებლობები აქვს და მისი მცდელობა მისაბაძი არ არის, რამდენადაც მის მიერ ორგანიზმში გამოწვეული ყველა ცვლილება თვითონაა დაავადება. რომელი გონიერი ექიმი ისურვებს მიბაძოს მას, თუკი ისე უნდა დაავადების მორჩენა, რომ თვით ავადმყოფი მსხვერპლად არ მიიტანოს.

## § 23

მიუხედავად ამისა, ყველაზე კარგად ჩატარებული ექსპერიმენტები და ყველაზე საგულდაგულო გამოკვლევები გვარწმუნებენ, რომ ხანგრძლივად არსებული სიმპტომების მოშორება და განადგურება საეჭვოა წამალთა საწინააღმდეგო სიმპტომებით (ანტიპათიური, ენანტიოპათიური ან პალათიური მეთოდებით), პირიქით, დროებითი და მოწვევებითი შემსუბუქების შემდეგ უფრო მომატებული და მძიმე გამოვლინებები (იხ. § 58-62, და 69) კვლავ იჩენენ თავს.



## § 24

ამიტომ, დაავადებების მკურნალობისას წამლების გამოყენების არც ერთ მეთოდს, კომეოპათიურის გარდა, წარმატება არ მოაქვს. მისი გამოყენებისას, ყოველი ცალკეული დაავადების სიმპტომთა ერთობლიობისთვის ვეძებთ წამალს, რომელსაც ყველა სხვა წამალთან შედარებით მეტი (რომელთა პათოგენური ეფექტები ცნობილია ჯანმრთელ ინდივიდუმებზე გამოცდებიდან) უნარი აქვს, გამოიწვიოს იმ დაავადების ყველაზე უფრო მსგავსი ხელოვნური ავადმყოფური მდგომარეობა, რომლის განკურნებაც გვინდა.

## § 25

კარგად ჩატარებული ექსპერიმენტი<sup>13</sup> – მკურნალობის ხელოვნების ერთადერთი და შეუცდომელი მსაჯული, ყველაზე საგულდაგულო შესწავლისას გვიჩვენებს, რომ ქმედითია წამალი, რომელიც ჯანმრთელი ადამიანის სხეულზე მოქმედებისას ამჟღავნებს უნარს, გამოიწვიოს მაქსიმალურად მათი მსგავსი სიმპტომები, რომლებიც მკურნალობას დაქვემდებარებული დაავადების დროს გვხვდება, რომელიც შესაფერისი პოტენციისა და დოზის დანიშვნის შემთხვევაში, სწრაფად, რადიკალურად და საბოლოოდ იშორებს ამ ავადმყოფური მდგომარეობის სიმპტომთა ერთობლიობას, ე.ი. (§6-16) მთელ დაავადებას და მას ჯანმრთელობის მდგომარეობით ცვლის. ცდა აგრეთვე გვიჩვენებს, რომ ყველა წამალი არჩენს იმ დაავადებას, რომელთა სიმპტომები ყველაზე მეტად მსგავსია მათ საკუთართან; და მათგან არც ერთს არ ტოვებს მოურჩენელს.

13. მხედველობაში არ მაქვს ის გამოცდილება, რითაც ამაყობენ ძველი სკოლის ექიმები, იმ მრავალრიცხოვანი დაავადებების, რომლებიც არასოდეს ყურადღებით არ შეუსწავ-

ლიათ. საწინააღმდეგო რთული რეცეპტების შესადგენად დახარჯული მრავალი წლის დასაბუღი შრომის შემდეგ, მაგრამ რომლებიც როგორც თავისი სკოლის თეორიების ერთგულნი, თვლიან. რომ უკვე აღწერილია სისტემატიური პათოლოგიის ნაშრომებში, რომლებშიც ნაგარაუდევია, რომ შესაძლოა გამოვავლინოთ რაიმე წარმოსახვითი ავადმყოფობისმბადი ნივთიერება ან რაიმე სხვა ჰიპოტეტიური ანომალია. ავადმყოფურ გამოვლინებებში ეს ექიმები ყოველთვის რაღაცას ხედავენ, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ კონკრეტულად რას და უცნობ ობიექტზე მრავალი ძალის შემოქმედების შედეგებს იღებდნენ, ანუ ისეთ შედეგებს, რომელთა ახსნაც მხოლოდ ღმერთს თუ შეუძლო. ამ შედეგებს სწავლება და ექიმთა გამოცდილების გამდიდრება არ შეუძლო. ასეთი გამოცდილების ორმოცდაათი წელი შესაძლოა კალეიდოსკოპში ორმოცდაათი წლის ყურებას შევადაროთ, სადაც უცნობი შედეგილი ობიექტები ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე ენაცვლება ერთმანეთს!

## § 26

ეს განისაზღვრება ზოგჯერ ბუნდოვნად ნაგარაუდევნი, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე გაუცნობიერებელი ბუნების შემდეგი ჰომეოპათიური კანონით და რომლითაც სრულად არის დავალებული აქამდე არსებული ყოველი ჭეშმარიტი გაჯანსაღება.

უფრო სუსტი დინამიკური დაზიანება ცოცხალ ორგანიზმში სამუდამოდ ისპობა უფრო ძლიერით, თუ უკანასკნელი (თავისი ბუნებით განსხვავებული) თავის გამოვლინებებით პირველისადმი ზედმიწევნით მსგავსია.

14. ამ სახით განიკურნება როგორც სომატური, ისე ფსიქიური დაავადებები. რატომ ვეღარ ხედავს დამკვირვებელი დილას, ალიონზე, კაშკაშა მანათობელ იუპიტერს? მხედველობის ნერვზე ამოძავეალი მზის, მსგავსი, მაგრამ უფრო ძლიერი კაშკაშა სინათლის შემოქმედების გამო! როგორ შეიძლება დავამშვიდოთ ცუდსუნიან გარემოში აღვზნებული ენოსვის ნერვი? ენოსვაზე მსგავსი, მაგრამ უფრო ძლიერი შემოქმედების

გამომწვევი ბურნუთის გამოყენებით. არც მუსიკას, არც შაქრიან ფუნთუშებს, არც გრძნობათა სხვა ორგანოებზე მოქმედ საშუალებებს არ შეუძლიათ მოსკონ ცუდი სუნით გამოწვეული შეგრძნებები. როგორ შეუძლიათ ჯარისკაცებს ჩაახშონ მწკრივში გატარებულის საწყალობელი კენესა? დოღების ბრახუნით შეზავებული ფლეიტის გამჭოლი ხმით. როგორ ახშობენ მოწინააღმდეგის ქვეშევების ქუხილით გამოწვეულ შიშის გრძნობას? დაფდაფების ბრახუნით! რადგანაც არც ერთი და არც მეორე მიზანი არ მიიღწევა უნიფორმის ბრჭყეილით ან დისციპლინისკენ მოწოდებით. მსგავსი სახით სევედა და დარდი ცნობიერებიდან განიდევნება სხვა ადამიანის უფრო ძლიერი, თუნდაც მოგონილი უბედურების გაგებით. ზედმეტი სიხარულის უსიამოვნო შედეგები აღმოიფხვრება ყავის დაღევიით, რომელსაც თავად შეუძლია ზედმეტად სასიხარულო განწყობილების გამოწვევა. ისეთი ერი, როგორც გერმანელია, ასწლეულების განმავლობაში სულ უფრო ღრმად და ღრმად იძირებოდნენ ბატონყმობის მომსპობ, უსულო აპათიაში. დასაუღლელ დამპყრობლებს იხინი ჯერ კიდევ უფრო ღრმად უნდა ჩაეფლოთ ტალახში ისე, რომ მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუსაძლისი გამხდარიყო, რათა თავმდაბლური თვითშეფასება გადაელახათ. მხოლოდ მაშინ გაიღვიძებს მათი ადამიანური თავმოყვარეობა და პირველად წამოწვეს თავს როგორც გერმანელი ერი.

§ 27

ამიტომ, წამალთა სამკურნალო ძალა დაავადების მსგავსი, მაგრამ (§12-26) უფრო ძლიერი სიმპტომებით განისაზღვრება. ასე, რომ დაავადების ყოველი ცალკეული შემთხვევა ყველაზე უფრო საიმედოდ, რადიკალურად, სწრაფად და საბოლოოდ ნადგურდება და იდევნება მხოლოდ ამ დაავადების სიმპტომთა ერთობლიობის ყველაზე უფრო მსგავსი და სრული, ამასთანავე უფრო ძლიერის გამოწვევის უნარის მქონე წამლით.

§ 28

მკურნალობის ეს ბუნებრივი კანონი მთელ მსოფლიოში ყოველ წმინდა ექსპერიმენტში, ყველა მართებული დაკვირვებისას ვლინდება და შესაბამისად, მისი არსებობის ფაქტი დადგენილია. დიდი მნიშვნელობა არა აქვს, იმის მეცნიერულ ახსნას თუ როგორ ხდება ყოველივე ეს და ამის ახსნის მცდელობას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. თუმცა ჩემი აზრით ეს შეხედულება ყველაზე უფრო სავარაუდოა, რადგანაც ცდიდან აღებულ წყაროებს ეყრდნობა.

§ 29

რადგანაც ყოველი დაავადება (გარდა მთლიანად ქირურგიულია) მხოლოდ სასიცოცხლო ენერჯის (სასიცოცხლო პრინციპის) განსაკუთრებული, ავადმყოფური, დინამიკური გადახრაა, რომელიც შეგრძნებებსა და ცვლილებებში მუდმივდება, ამიტომ ყოველი ჰომეოპათიური განკურნებისას, ბუნებრივი დაავადებისაგან დინამიკურად დაზიანებული ეს სასიცოცხლო პრინციპი ზუსტად შერჩეული წამლის პოტენციით გამოწვეული რამდენადმე უფრო ძლიერი, ხელოვნური ავადმყოფური გამოვლინებების მსგავსი სიმპტომებით ითრგუნება. ამის გამო ბუნებრივი (უფრო სუსტი) დინამიკური დაავადების სიმპტომები სუსტდება და ქრება. ეს ავადმყოფური გამოვლინებები უკვე აღარ არსებობს სასიცოცხლო პრინციპისათვის, რომელიც ამ დროს დაკავებულია და იმართება უფრო ძლიერი ხელოვნური დაავადებით. ხელოვნური დაავადება მალე კარგავს თავის ძალას და პაციენტი განიკურნება. ამ სახით გათავისუფლებულ სასიცოცხლო ძრავს, კვლავ შეუძლია შეინარჩუნოს სიცოცხლე ჯანმრთელ მდგომარეობაში. ეს პროცესი ყველაზე უფრო სავარაუდოა და მისი მხარდამჭერი ჰიპოთეზა შემდეგ დებულებებს ეფუძნება.

## § 30

ჯანმრთელი ადამიანის სხეული წამლების ზემოქმედებას გაცილებით მეტად ექვემდებარება (ნაწილობრივ იმიტომ, რომ დოზას ჩვენი შეხედულებისამებრ ვარეგულირებთ), ვიდრე ბუნებრივი პათოლოგიების ზემოქმედებებს, რადგანაც ბუნებრივი დაავადებები განიკურნება და დაიძლევა შესაფერისი წამლებით<sup>15</sup>.

15. ხელოვნური ავადმყოფური ძალების, რომლებსაც წამლებს ეუწოდებთ, ხანმოკლე მოქმედება, მიუხედავად მათი სიძლიერისა, სასიცოცხლო ძალისათვის შესაძლებელს ხდის უფრო სწრაფად გადალახოს იგი ნაკლებად ძლიერ ბუნებრივ დაავადებებთან შედარებით. უკანასკნელები, მხოლოდ თავისი ხანგრძლიობის გამო, რაც ჩვეულებრივ მთელი სიცოცხლე გრძელდება (ფსორა, სიფილისი, სიკოზი), არასოდეს არ შეიძლება დამარცხდეს და განიდევნოს მხოლოდ სასიცოცხლო ძალის მიერ, სანამ ექიმი ამ უკანასკნელზე არ იმოქმედებს უფრო ძლიერი, მაგრამ ძალიან მსგავსი აგენტით – პომეოპათიური წამლით. მრავალწლიანი დაავადებების განკურნება (§ 46) ყვავილის ან წითელას შერწყმით (რომელთაგან თითოეული თავისი განვითარების ციკლს მხოლოდ რამდენიმე კვირაში ამთავრებს) თავისი არსით ძალიან მსგავსი მოვლენაა.

## § 31

მტრული ძალები, ხშირად ფსიქიკური და ფიზიკური, რომლებსაც ავადმყოფურ, მავნე აგენტებს უწოდებენ და რომელთა ზემოქმედებასაც ჩვენი მიწიერი არსებობა ექვემდებარება, ადამიანის ჯანმრთელობის ავადმყოფური დარღვევის უცილობლად გამომწვევ ძალებს<sup>16</sup> არ ფლობენ. მაგრამ ჩვენ შეიძლება მათი ზემოქმედებით დავავადდეთ და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამოყვანილ ორგანიზმში, არანორმალური შეგრძნებები და გამონაყოფები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუკი ის მათ ზემოქმედებას საკმაო

ხანს განიცდიდა და მათ მიმართ საკმარისად მგრძობიარეა, შესაბამისად მათ არ შეუძლიათ დაავადების გამოწვევა ყველა ადამიანსა და ყველა შემთხვევაში.

16. როცა დაავადებებს ადამიანის ჯანმრთელობის მოშლილობას ვუწოდებ, შორს ვარ მისწრაფებიდან, რომ ამით დაავადების როგორც ზოგადი, ასევე თითოეული კონკრეტული შემთხვევის შინაგანი ბუნების ზეფიზიკური განმარტება გაეკეთო. მინდოდა მხოლოდ აღმენიშნა, რომ როგორც ამის დამტკიცება შეიძლება, დაავადება არ არის და არ შეიძლება იყოს სხეულის მატერიალური სუბსტანციის მექანიკური ან ქიმიური დაზიანება და არც მატერიალურ ავადმყოფობის გამომწვევ ნივთიერებაზე დამოკიდებული, არამედ სიცოცხლის მხოლოდ სულიერი, დინამიკური დარღვევაა.

## § 32

მაგრამ, სრულიად საწინააღმდეგოდ გვაქვს საქმე ხელოვნური ავადმყოფობის გამომწვევ აგენტებთან, რომლებსაც წამლებს ვუწოდებთ. ყოველი ჭეშმარიტი წამალი ყველა შემთხვევაში, ყველა გარემოებაში, ყველა ადამიანზე მოქმედებს და მათში თავის განსაკუთრებულ სიმპტომებს (აშკარად შეგრძნებადს, თუ დოზა საკმარისად დიდია) იწვევს. ნათელია, რომ ყოველი ცოცხალი ადამიანის ორგანიზმი მათ ზემოქმედებას ექვემდებარება და წამლისმიერი დაავადება ყოველთვის და აბსოლუტურად (უცილობლად) უვითარდება; რაც, როგორც ზემოთ ითქვა, ბუნებრივი დაავადებების დროს არასოდეს არ შეიძლება მოხდეს.

## § 33

ამ ფაქტის შესაბამისად, გამოცდილება<sup>17</sup> უცილობლად მიუთითებს, რომ ცოცხალი ადამიანის ორგანიზმი მიდრეკი-

ლი და განწყობილია წამლების ძალის მავნე ზემოქმედებისაკენ გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ავადმყოფობის გამომწვევი მავნე აგენტებისა და ინფექციური მიაზმებისაზე, ანუ სხვანაირად, ის უჩვენებს, რომ დაავადების გამომწვევ მავნე აგენტებს უნარი აქვთ ადამიანის ჯანმრთელობა ავადმყოფურად მოშალონ, მაგრამ მათი ზემოქმედება დამოკიდებული და განპირობებულია (ხშირად მნიშვნელოვნად); მაშინ როცა წამლისმიერ აგენტებს პირველზე გაცილებით ძლიერი აბსოლუტური და უცილობელი ზემოქმედება აქვთ.

*17. ამის დამადასტურებლად ითვლება შემდეგი გასაოცარი ფაქტი. 1801 წლამდე სიდენჰამის გლუვი ქუნთრუშა რომელიც პერიოდულად ვრცელდებოდა ეპიდემიების სახით გამონაკლისის გარეშე ასნებოვნებდა ყველა იმ ბავშს, რომლებიც მას წინა ეპიდემიის დროს გადაურჩნენ. ასეთი ეპიდემიის დროს, რომლის თვითმხილველიც მე კენიგსლიუტერში ვიყავი, ყველა ბავშვმა, ვინც ბელადონას მცირე დოზა დროულად მიიღო, ეს უკიდურესად გადამდები დაავადება თავიდან აიცილა. თუ წამალს შეუძლია გარშემო მობობოქრე დაავადებისგან დაგვიცვას (თავიდან აგვაშოროს), ეს ნიშნავს, რომ მას სასიცოცხლო ძალაზე ზემოქმედების გამოხატულად ძლიერი უნარი გააჩნია.*

### § 34

მიუხედავად ამისა, წამლებით გამოწვეული ხელოვნური დაავადებების დიდი ძალა, მათ მიერ ბუნებრივ დაავადებათა განკურნვის უნარის ერთადერთი ახსნა არ არის. იმისათვის, რომ გაჯანსაღებამდე მიგვიყვანონ, პირველ რიგში აუცილებელია, უნარი ჰქონდეთ, ადამიანის ორგანიზმში რამდენადაც შესაძლებელია იმის მსგავსი ხელოვნური დაავადება გამოიწვიონ, რასაც ვემკურნალობთ. დიდი ძალის მქონე დაავადებას, ინსტიქტური სასიცოცხლო პრინციპის ავადმყოფური მდგომარეობა, რომელსაც თავისთავად არც მოგერიების, არც დამახსოვრების უნარი არა აქვს, განსა-

კუთრებულად მსგავს მდგომარეობაში გადაჰყავს. ის არამარტო ჩრდილავს, არამედ თრგუნავს და ამითი ბუნებრივი დაავადებით გამოწვეულ დარღვევას ანადგურებს. ეს იმდენად მართალია, რომ არც ერთი უკვე არსებული დაავადება არ შეიძლება მორჩენილ იქნეს თვით ბუნების მიერაც კი, ახალი არამსგავსი დაავადების დამატების გზით, რამდენადაც ძლიერი არ უნდა იყოს იგი. ასევე მცირეა მისი მორჩენის შანსი ექიმების მიერ დანიშნული წამლით, რომელსაც ჯანმრთელ სხეულში მსგავსი ავადმყოფური მდგომარეობის გამოწვევა არ შეუძლია.

### § 35

ამ დებულებათა საილუსტრაციოდ მოვალენი ვართ სამი განსხვავებული შემთხვევა განვიხილოთ: პირველი – ერთ ადამიანში ორი არამსგავსი დაავადების ბუნებრივად შემთხვევითი თანხვედრა, მეორე – შეუფერებელი ალოპათიური წამლებით ჩვეულებრივი მკურნალობა, ანუ წამლებით, რომლებსაც არ შეუძლიათ იმ დაავადების მსგავსი ხელოვნური ავადმყოფური მდგომარეობის გამოწვევა, რომელსაც ვმკურნალობთ, იმ დროს, როცა თვითონ ბუნებასაც კი არ შეუძლია უკვე არსებული არამსგავსი დაავადება არაჰომეოპათიური საშუალებით მოიცილოს, რა ძალისაც არ უნდა იყოს იგი და მესამე – როცა ნებისმიერი დაავადების მკურნალობის დროს თვით უძლიერესი არაჰომეოპათიური წამლების გამოყენებაც კი ასევე ნაკლებად ეფექტურია.

### § 36

I. თუ ორი თანაბარი ძალის არამსგავსი დაავადება ადამიანში ერთდროულად ვითარდება, ან განსაკუთრებით მაშინ, თუ მანამდე არსებული უფრო ძლიერი აღმოჩნდება,



ამ დროს ახალი დაავადება ორგანიზმიდან განიდევნება და მის დაზიანებას არ გამოიწვევს. მძიმე ქრონიკული სნეულე-ბით დაავადებული ადამიანი საშუალო სიმძიმის შემოდგომის დიზენტერიით ან სხვა რომელიმე გადამდები დაავადებით არ დაინფიცირდება. ლევანტური შავი ჭირი, როგორც ლარი წერს<sup>18</sup>, არ გამოვლინდება იქ სადაც სურავანდი ჭარბობს და ეგზემიანი პაციენტები იმით არ აავადდებიან. ჯენერი მიუთითებს, რომ რაქიტი ხელს უშლის ვაქცინაციის მოქმედებას. ფონ პილდენბრანდის თანახმად, ფილტვის ტუბერ-კულიოზიანები არ არიან ეპიდემიური ცხელების მიმდებნი, თუკი ეს უკანასკნელი ძლიერ გადამდები არ აღმოჩნდება.

18. <<Memories et Observation>> Deservations de l'Egypte, I ტომში.

§ 37

**ჩვეულებრივი მკურნალობის დროს** ძველი ქრონიკუ-ლი დაავადება მოურჩენელი და შეუცვლელი რჩება, თუ მკურნალობა ხორციელდება **ალოპათიური** მეთოდით ანუ წამლებით, რომლებსაც ჯანმრთელ ინდივიდუუმში დაა-ვადების მსგავსი ცვლილებების გამოწვევა არ შეუძლიათ; ეს იმ შემთხვევებშიც კი ხდება, როცა მკურნალობა წლო-ბით გრძელდება და გამოყენებული წამლები ჯანმრთელო-ბისათვის არც ისე დამანგრეველებია<sup>19</sup>. ყოველივე ეს პრაქტი-კაში ყოველდღიურად დასტურდება და დამატებით ილუს-ტრაციებს არ საჭიროებს.

19. დაავადებათა ძლიერმოქმედი ალოპათიური წამლებით მკურნალობის დროს, მათ ადგილას მკურნალობას უფრო ძნე-ლად დაქვემდებარებადი და სიცოცხლისათვის უფრო საშიში დაავადებები აღმოცენდება.

II. შემთხვევა, როცა ახალი არამსგავსი დაავადება უფრო ძლიერია. ამ დროს დაავადება, რომლითაც აქამდე პაციენტი იტანჯებოდა, უფრო ძლიერის ზეწოლის შემდეგ, როგორც უფრო სუსტი დაითრგუნება და მანამდე განიდევნება, სანამ უკანასკნელი თავისი განვითარების ციკლს არ დაასრულებს ან არ განიკურნება. მაშინ ძველი, მოურჩენელი დაავადება ხელმეორედ გამოვლინდება. ტულპიუსმა<sup>20</sup> შენიშნა, რომ ორ ბავშვს, რომლებსაც ერთ-ერთი სახის ეპილეფსია ჰქონდათ, გულყრები შეუწყდათ, როცა ისინი სირსველით (tinea) დაავადდნენ. მაგრამ, როგორც კი თავზე გამონაყარი გაუქრათ, გულყრები ძველი სიხშირით განახლდა. შიოპფი<sup>21</sup> აღნიშნავდა, თუ როგორ გაივლის ქავილი სურავანდის დროს, მაგრამ მისი დამთავრების შემდეგ ხელახლა გამოვლინდება. ზუსტად ასევე, ფილტვის ტუბერკულოზი დროებით წყვეტდა თავის განვითარებას პარტახტიანი ტიფით დაავადებისას და კვლავ განახლებდა მიმდინარეობას უკანასკნელის დამთავრების შემდეგ<sup>22</sup>. თუ ტუბერკულოზურ ავადმყოფს მანია უვითარდება, ამით ტუბერკულოზის ყველა სიმპტომის მოხსნა ხდება, მაგრამ როცა მანია გაივლის, ტუბერკულოზი მაშინვე ბრუნდება და ფატალური<sup>23</sup> აღმოჩნდება. წითელას და ყვავილის ეპიდემიების თანხვედრის დროს, ორივეთი ერთი ბავშვის დასნებოვნებისას უკვე განვითარებული წითელა ითრგუნება მოგვიანებით თანდართული ყვავილით და თავისი განვითარების ციკლის დასრულება ყვავილის მორჩენამდე აღარ შეუძლია. თუმცა, ხშირად ხდება, რომ აცრილი ყვავილიც კი, როგორც ამას მანგე<sup>24</sup> აკვირდებოდა, ოთხი დღით დაითრგუნა წითელას ზედდების გამო და თავისი განვითარების ციკლი უკანასკნელის აქერცვლის პერიოდის დადგომის შემდეგ დაასრულა. იმ შემთხვევებშიც კი, როცა ყვავილზე აცრა ექვსი დღის წინ გაკეთდა, წითელა აცრის ადგილას ანთებას ერთ დონეზე

ანერებს და ყვაილი მანამდე არ ვითარდება, სანამ წითელა თავისი განვითარების ჩვეულ შვიდდღიან ციკლს<sup>25</sup> არ დაასრულებს. წითელას ეპიდემიის დროს ბევრი ინფიცირდება ყვაილზე აცრიდან მეოთხე ან მეხუთე დღეს და წითელა ხელს უშლის უკანასკნელის განვითარებას თავისი საკუთარი კურსის დამთავრებამდე, რის შემდეგაც ყვაილი ყოველთვის გამოვლინდება და თავისი განვითარების ჩვეულ ციკლს<sup>26</sup> გაივლის. სიდენჰამის<sup>27</sup> ტეშმარიტი, გლუვი, წითელი ქარის მსგავსი ქუნთრუშა ანგინით, ძროხის ყვაილის გამონაყართ ითრგუნება მეოთხე დღეს და ამ უკანასკნელის კურსის დამთავრებამდე აღარ განახლდება. მაგრამ სხვა შემთხვევაში, როცა ორივე დაავადება თანაბარი ძალის აღმონდა, ძროხის ყვაილი მერვე დღეს სიდენჰამის ტეშმარიტი, გლუვი ქუნთრუშის ზედდებით დაითრგუნა და მისი წითელი კერა ქუნთრუშის დამთავრებამდე გაქრა. ამის შემდეგ ძროხის ყვაილმა თავისი მიმდინარეობა დაუყოვნებლივ განაახლა და იგი ჩვეულებრივი სახით<sup>28</sup> დაამთავრა. წითელამ ძროხის ყვაილის განვითარება უკანასკნელის მიმდინარეობის მერვე დღეს დათრგუნა, პრაქტიკულად დაავადების პიკის დროს ისევე წითელა განვითარდა; მან ძროხის ყვაილის შემდგომი განვითარება შეაჩერა და უკანასკნელს არ შეეძლო თავისი განვითარების ციკლი კანის აქერცვლამდე დაესრულებინა. ასე, რომ დაავადების მეთექვსმეტე დღეს, კორტუმის<sup>29</sup> დაკვირვებით, ავადმყოფი ისე გამოიყურებოდა, როგორც მეთათზე.

წითელას დაწყების შემდეგაც კი ძროხის აცრა ძალაში შედის, მაგრამ დაავადება თავის ჩვეულებრივ განვითარებას წითელას გაქრობამდე არ ამთავრებს, რასაც კორტუმიც<sup>30</sup> აკვირდებოდა.

მე თვითონ მინახავს, რომ ყბაყურა (angina parotidea) დაუყოვნებლივ გაქრა, როგორც კი ძროხის ყვაილის აცრა ძალაში შევიდა და მაქსიმუმს მიაღწია; მხოლოდ უკანასკნე-

ლის დამთავრებისა და მისი წითელი კერის გაქრობის შემდეგ, ეს ცხელების თანხლებითა და სპეციფიკური მიაზმით გამოწვეული ყურისახლო და ყბისქვეშა ჯირკვლების შესიება აღდგა და თავისი განვითარების ჩვეული შვიდდღიანი ციკლი დაასრულა.

ასე ხდება ყველა არამსგეს დაავადებებში; უფრო ძლიერი თრგუნავს უფრო სუსტს (როცა ისინი არ ართულებენ ერთი მეორეს, რაც იშვიათად ხდება მწვავე დაავადებების დროს), მაგრამ არასოდეს ერთი არ მოარჩენს მეორეს.

20. *Obs., lib. I. obs. 8*

21. *B Hufeland's Journal, XV, 2.*

22. შევალიე, „*Neusten Annalen*”

23. „*Mania phthisi superveniens eam cum omnibus suis phacnomenis aufert, verum mox redit phthisis et occidit, abeunte mania.*” [ჭლექის მაქსიმალური განვითარებისას აღმოცენებული მანია, აღმოფხვრის მას და მის მის ყველა სიმპტომს, მაგრამ მანიის დამთავრების შემდეგ ჭლექი კვლავ ბრუნდება და საბედისწერო ხდება]. *Reil Memorab.* ასც. III, V, გვ. 171.

24. *Edinb. Med. Comment., pt. I, 1.*

25. ჯონ ჰანტერი, „*ვენერული დაავადებების შესახებ*”,

გვ. 5

26. რეინი, *Edinb. Med. Comment., III, გვ. 480*

27. ვაიტერინგის და პლენციზის მიერ ძალიან ზუსტად აღწერილი, მაგრამ პურპურისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული და ხშირად ქუნთრუშად წოდებული. ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავებული ეს ორი დაავადება თავისი სიმპტომებით მხოლოდ ბოლო წლებში მოგვაგონებენ ერთმანეთს.

28. ჯენერი *Medicinishe Annalen, Aug., 1800, გვ. 747*

29. პუფლანდი *Jurnal der praktischen Arzneikunde, XX, 3,*

გვ. 50.

30. იქვე.

## § 39

ჩვეულებრივი სამედიცინო სკოლის მიმდევრები ყოველივე ამას მრავალი საუკუნის განმავლობაში აკვირდებოდნენ. ისინი ხედავდნენ, რომ ბუნებას თვითონ არ ძალუძს დაავადება მეორე, თუნდაც გაცილებით ძლიერი დაავადებით განკურნოს, თუკი ახალი დაავადება ადამიანის სხეულში უკვე არსებულის არამსგავსია. რა უნდა ვიფიქროთ ამის შემდეგ მათზე, თუკი ისინი, ამის მიუხედავად, ქრონიკული დაავადებების მკურნალობას ალოპათიური წამლებით აგრძელებენ, ე.ი. წამლებითა და მათი ნარევებით, რომლებსაც ღმერთმა უწყის, რა ავადმყოფური მდგომარეობის გამოწვევა შეუძლიათ, მაგრამ მხოლოდ არა იმ დაავადების მსგავსისა, რომელსაც ვმკურნალობთ? და თუკი ექიმები ბუნებას ჯერ კიდევ ყურადღებით არ დაკვირვებიათ, მკურნალობის უბადრუკ შედეგებს მაინც უნდა მიეთითებინა, რომ ისინი მცდარი გზით მიდიან. ნუთუ ქრონიკული დაავადების აგრესიული ბუნების მქონე ალოპათიური წამლებით მკურნალობისას ისინი ვერ ხედავდნენ, რომ ამითი მხოლოდ უკვე არსებულის არამსგავს ხელოვნურ დაავადებას ქმნიდნენ, რომელიც მხოლოდ დროებით აჩერებს და თრგუნავს ძირითადად, რომელიც ყოველთვის ბრუნდება, როგორც კი ავადმყოფი ძალების გამოფიტვის გამო მის სიცოცხლეზე ალოპათიურ შეტევას ვეღარ უძლებს. ასე, ქავილიანი გამონაყარი უცილობლად და ძალიან სწრაფად წმენდს კანს ძლიერი სასაქმებლის ხშირი მიღების დანიშვნის შემდეგ, მაგრამ როგორც კი ავადმყოფი სასაქმებლის მიღებით გამოწვეულ ნაწლავთა ხელოვნურ (არამსგავს) დაავადებას ვეღარ აიტანს, მაშინ ძველი გამონაყარი ან აღდგება, ან შინაგანი ფსორის მძიმე სიმპტომები ვითარდება და შეუსუსტებელი ძირითადი დაავადების გარდა, პაციენტის ტანჯვას საკვების მოუნელებლობით და ნაწლავთა გამომდევნი ძალის უკმარისობით გამოწვეული ჩივილებიც დაემატება. მაშასადამე, თუ

ჩვეულებრივი ექიმები, ქრონიკული დაავადებების ამოძიკვის მიზნით, კანზე ქმნიან და ხელს უწყობენ ხელოვნურ წყლულებსა და დრენაჟებს, მაშინ მიზანს **შეზღვევს** ვერ მიაღწევენ და ამ გზით დაავადებას **შეზღვევს** ვერ მოაჩვენებენ, რამდენადაც შინაგანი დაზიანებისათვის კანის ეს ხელოვნური წყლულები სრულიად უცხო და ალოპათიურია; მაგრამ, რამდენადაც ცალკეული ქსოვილებით გამოწვეული გაღიზიანება, უკიდურეს შემთხვევაში ზოგჯერ უფრო ძლიერი (**არამსგავსი**) აღმოჩნდება ვიდრე უკვე არსებული დაავადება, იმდენად უკანასკნელი ხანდახან რამდენადმე სუსტდება და ითრგუნება ერთი ან ორი კვირით. მაგრამ ის **მხოლოდ ითრგუნება**, თანაც არც ისე ხანგრძლივად, ხოლო ამ დროს პაციენტის ძალები განუხრელად მცირდება. დათრგუნული ეპილეფსია, როგორც პეკლინი<sup>1</sup> და სხვა ავტორები მოწმობენ, თუკი ისინი მრავალწლიან მკურნალობას ხელოვნური დრენაჟებით იწყებენ, აუცილებლად უფრო მძიმე ფორმით ბრუნდება. მაგრამ არც საფადარათოები ქავილის დროს, არც ხელოვნური დრენაჟი ეპილეფსიის დროს, არ შეიძლება იყოს უფრო ჰეტეროგენული და არამსგავსი დამაზიანებელი აგენტი, არ შეიძლება იყოს უფრო ალოპათიური, მკურნალობის უფრო გამომფიტავი მეთოდი, ვიდრე სხვა უთვალავი უსახელო და ურიცხვი სახის დაავადების სამკურნალოდ გამოყენებული ჩვეულებრივ პრაქტიკაში უცნობი ინგრედიენტებისაგან შედგენილი, მათი ჩვეული დანიშნულება. ისინი აგრეთვე ფიტავენ ავადმყოფს, მხოლოდ ხანმოკლე დროით თრგუნავენ ან აჩერებენ დაავადებას და მათი მორჩენა არ შეუძლიათ, ხოლო ხანგრძლივი გამოყენებისას ძველ დაავადებას ყოველთვის ახალს უმატებენ.

## § 40

III. შემთხვევა, როცა ორგანიზმზე ხანგრძლივი ზემოქმედების შემდეგ, ახალი დაავადება, ბოლოს და ბოლოს ძველ, არამსგავს დაავადებას უერთდება და მასთან ერთად კომპლექსურ დაავადებას წარმოქმნის. თითოეული მათგანი ორგანიზმში თავის ადგილს იკავებს, ე.ი. ყველაზე უფრო მგრძობიარე ორგანოებსა და მათ მიმდებარე უბნებს და დანარჩენს მეორე არამსგავს დაავადებას უთმობს. სიფილისური პაციენტი ასე შეიძლება ფსორული გახდეს და vice versa. ასე, რომ ორ არამსგავს დაავადებას ერთმანეთის არც მოშორება, არც განკურება არ შეუძლია. დასაწყისში, ფსორული გამონაყარის გამოჩენისას, ვენერული სიმპტომები მინელდება და ჩერდება, მაგრამ დროთა განმავლობაში (რამდენადაც სიფილისი, უკიდურეს შემთხვევაში, ფსორაზე არანაკლები ძალისაა) ისინი ერთდებიან<sup>32</sup>, ანუ მათთვის შესაბამის ორგანოებს დაავადებაში ითრევენ; ამით დაავადება მიიმდება და მკურნალობას კიდევ უფრო ძნელად ექვემდებარება.

როცა ერთმანეთს ორი არამსგავსი მწვავე დაავადება ხვდება, მაგალითად, ყვავილი და წითელა, ჩვეულებრივ, როგორც ზემოთ ითქვა, ერთი თრგუნავს მეორეს. მიუხედავად ამისა, მსგავსი მძიმე დაავადებების ეპიდემიის დროს იშვიათი იყო შემთხვევები, როცა ორი არამსგავსი დაავადება ერთდროულად ასნებოვნებდა ერთ ადამიანს ისე, რომ მათი სიმპტომები ერთიანდებოდა თუნდაც ხანმოკლე დროით. ეპიდემიის, რომლის მიმდინარეობისას ერთდროულად გვხვდებოდა წითელა და ყვავილი, პ.რასსელმა<sup>33</sup>, სამასიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში (რომლებშიც ეს დაავადებები იშორებდნენ ან თრგუნავდნენ ერთმანეთს და წითელა ვითარდებოდა ყვავილის დაწყებიდან ოც დღეში, ხოლო ყვავილი – წითელას მეჩვიდმეტე ან მეთვრამეტე დღეზე. მაშასადამე ადრე დაწყებული დაავადება ასრულებდა თა-

ვისი განვითარების ჩვეულ ციკლს) ნახა ეს ორი არამსგავსი დაავადება ერთდროულად ერთ ადამიანში. რენი<sup>34</sup> ადასტურებს წითელასა და ყვავილის თანხვედრას ორ ადამიანში. ჯ.მორისი<sup>35</sup> მთელი თავისი პრაქტიკის განმავლობაში ორ ასეთ შემთხვევას შეხვდა. მსგავსი შემთხვევები აღწერილია ეტმიულერიისა და ზოგიერთ სხვა ნაშრომებში.

ცენკერმა ნახა, თუ როგორ ასრულებდა თავის ჩვეულებრივ ციკლს ყვავილი წითელასთან და პურპურასთან თანხვედრისას.

ჯენერი აკვირდებოდა, როგორ გაიარა ყვავილმა თავისი უცვლელი კურსი სიფილისის ვერცხლისწყლით მკურნალობის დროს.

32. გულდასმით ჩატარებული ექსპერიმენტებისა და რთული დაავადებების ანალიზის შემდეგ მივედი მყარ აზრამდე, რომ ორი დაავადების ჭეშმარიტი გაერთიანება შეუძლებელია, ასეთ შემთხვევაში ერთი დაავადება ორგანიზმში მეორის გვერდით, თითოეული მისთვის ყველაზე შესაფერ ადგილას არსებობს. მათი სრული მორჩენა შესაძლებელია ვერცხლისწყლის საუკეთესო პრეპარატების დანიშნით ფსორისათვის სპეციფიკურ წამლებთან გონივრული მონაცვლეობით, თითოეულ შემთხვევაში ყველაზე უფრო მისაღები ფორმითა და დოზით.

33. *ib.* Transactions of a Society for the Improvement of Med. and Chir. Knowledge, II

34. *Edinb. Med. Comment.*, III გვ. 480

35. *B Med. and Phys. Journ.* - ში, 1805

36. *Opera*, II გვ. 1, თავი 10.

37. *Hufeland's Jurnal*, XVII-ში.

## § 41

გაცილებით ხშირად, ვიდრე ერთ ადამიანში ბუნებრივი დაავადებების შერწყმა და მათი ურთიერთგართულება, არასწორი წამლისმიერი მკურნალობისას (ალოპათიური მეთოდი) არასათანადო წამლების ხანგრძლივი გამოყენებით



გამოწვეული ავადმყოფური გართულებები გვხვდება. ასეთ შემთხვევაში, მკურნალობას დაქვემდებარებულ ბუნებრივ დაავადებას, არასათანადო წამლების მუდმივი გამოყენების გამო, ახალი, ამ ნივთიერების ბუნების შესაბამისი, ხშირად უფრო ხანგრძლივი ავადმყოფური მდგომარეობა ემატება. ისინი ძველ არამისგავს დაავადებას (რომლების მორჩინაც მათ ვერ შეძლეს მსგავსების საფუძველზე ე.ი. ჰომეოპათიურად) თანდათან ერთვიან და ართულებენ, ახალს უმატებენ და ამით პაციენტს უკვე არა ერთი, არამედ ორი დაავადების წინაშე აყენებენ, მის მდგომარეობას არსებითად ამძიმებენ და მკურნალობას ძალიან ძნელს, ხშირად თითქმის შეუძლებელს ხდიან. მრავალი შემთხვევა, რომელთა შესახებ რჩევასაც ითხოვენ სამედიცინო ჟურნალებში, აგრეთვე სამედიცინო ნაშრომებში აღწერილი ბევრი შემთხვევა ნათქვამის ჭეშმარიტებას ადასტურებს. აღწერილი სიტუაციების მსგავსია კონდილომატოზური გონორეით განპირობებული და განსაკუთრებით კი ფსორით ან დისკრაზიით გართულებული შანკრით მიმდინარე ვენერული დაავადების ის ხშირი შემთხვევებიც, რომლებიც არა მარტო არ განიკურნება არასათანადო ვერცხლისწყლის პრეპარატების ხშირი და ხანგრძლივი დანიშვნით, არამედ თავის ადგილს იკავებს ორგანიზმში, ამ დროისთვის თანდათან განვითარებული ვერცხლისწყლის ინტოქსიკაციის<sup>38</sup> სახით და მასთან ერთად რთული დაავადების საშინელ მონსტრს წარმოქმნის (შენიღბული ვენერული დაავადების საერთო სახელით), რომელიც თუკი განიკურნა, მხოლოდ უდიდესი სიძნელეებით.

38. რამდენადაც ვერცხლისწყალს, ავადმყოფურ სიმპტომებთან ერთად, რომლებთან მსგავსების გამო ჰომეოპათიურად შეუძლია ვენერული დაავადება განკურნოს, ბევრი სხვა, სიფილისის არამსგავსი სიმპტომი აქვს, მაგალითად, ძვლების შესიება და დაწყლულება, რომლებიც ვერცხლისწყლის დიდი დოზებით დანიშვნისას, ხშირად სხეულის რღვევას იწვევს, განსაკუთრებით კი ფსორით გართულებულ შემთხვევებში.

§ 42

როგორც უკვე ვთქვით, ზოგიერთ შემთხვევაში თვითონ ბუნება უშვებს, ერთი და იმავე ადამიანში ორი (სამიჯკი) ბუნებრივი დაავადების არსებობას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გართულება მხოლოდ ორი **არამსგავსი** დაავადების თანხვედრის დროს ხდება, რომლებიც ბუნების მარადიული კანონების თანახმად არ განდევნიან, არ სპობენ და არ განკურნავენ ერთმანეთს, არამედ თითქოს ორივე (ან სამივე) ორგანიზმში განცალკევებულად აგრძელებს არსებობას, მათ მიმართ მგრძნობიარე სხეულის ნაწილებისა და ორგანოებზე თავიანთ ზემოქმედებას ინარჩუნებენ და ხშირად თავისი არამსგავსი ბუნების გამო, სიცოცხლისათვის არსებით საშიშროებას არ ქმნიან.

§ 43

სრულიად საწინააღმდეგოა ორგანიზმში **ორი მსგავსი** დაავადების შერწყმის შედეგი, ანუ ახალი, მსგავსი და უფრო ძლიერი დაავადების უკვე არსებულ დაავადებასთან შეერთება. ამ შემთხვევაში ვხედავთ, თუ როგორ შეიძლება ბუნების ძალებით გაჯანსაღება და იმის აშკარა გაკვეთილებს ვიღებთ, როგორ უნდა განახორციელოს ადამიანმა მკურნალობა.

§ 44

ორი **მსგავსი** დაავადებიდან არც ერთს არ შეუძლია მეორის არც **ჩახშობა** (რისი შესაძლებლობაც არამსგავსი დაავადებებისათვის ნაჩვენები იყო პირველი მაგალითით), არც **დროებით შეჩერება** (როგორც აღწერილი იყო არამსგავსი დაავადებების მეორე მაგალითიში) ისე, რომ ძველმა

თავისი მიმდინარეობა ახლის დამთავრების შემდეგ განაახლოს. ორ მსგავს დაავადებას ასევე არ შეუძლია (რაც აღწერილი იყო არამსგავსი დაავადებების მესამე მაგალითში) ერთი და იმავე ორგანიზმში ერთად იარსებოს ან ერთად წარმოქმნას გაორმაგებული რთული დაავადება.

§ 45

პირიქით! თავისი არსით განსხვავებული (იხ. აგრეთვე § 26 შენიშვნა), მაგრამ მათ მიერ გამოწვეული ტანჯვისა და სიმპტომების გამოვლინებებით უკიდურესად მსგავსი ორი დაავადება, ერთმანეთს ყოველთვის ანადგურებს, როცა არ უნდა შეხვდნენ ორგანიზმში. უფრო ძლიერი დაავადება უფრო სუსტს იმ მარტივი მიზეზის გამო სპობს, რომ ორგანიზმზე ზემოქმედების დროს სხეულის ზუსტად იმ ნაწილებს აზიანებს, რასაც მანამდე არსებული ნაკლებად ძლიერი დაავადება. უკანასკნელი ამის გამო ითრგუნება და მისთვის დამახასიათებელი ეფექტების<sup>39</sup> გამოწვევას წყვეტს. სხვა სიტყვებით, ახალი, მსგავსი და უფრო ძლიერი ზემოქმედება იწყებს პაციენტის შეგრძნებების განსაზღვრას და ამით საციცოცხლო პრინციპი, ამ ზემოქმედების სპეციფიკურობის გამო, უფრო სუსტის, დათრგუნული და უკვე არარსებული დაავადების მიმართ უგრძნობი ხდება, რადგანაც ის არასოდეს მატერიალური არ არის, არამედ მხოლოდ დინამიკური სულიერი მოშლილობაა. შესაბამისად, სასიცოცხლო პრინციპი დაზიანებული აღმოჩნდება ახალი, მსგავსი პათოგენური ზემოქმედებით, მაგრამ ისიც მხოლოდ დროებით.

39. ზუსტად ისე, როგორც ლამპის ალის შუქი გაქრება ჩვენი ბედურიდან, თვალში უფრო ძლიერის, მზის სხივის მოხვედრისთანავე.

შესაძლებელია იმ დაავადებათა მრავალი მაგალითის მოყვანა, რომლებიც ბუნების კანონების შესაბამისად, მათზე მეორე, მსგავსი სიმპტომებით გამოვლენილი დაავადების თანდართვით განიკურნა. მაგრამ ეს არ არის აუცილებელი, რამდენადაც ჩვენი მიზანია, რომ რაღაც განსაზღვრულსა და უდავოზე ვისაუბროთ, ყურადღება შევანეროთ მხოლოდ და მხოლოდ იმ რამდენიმე დაავადებაზე, რომელთაგან თითოეული გამოყოფილია ნოზოლოგიურ ერთეულად, გამოიწვევა კონკრეტული მიაზმით და თავისი დასახელება აქვს.

მათ შორის გამორჩეული მდგომარეობა ყვავილს უჭირავს, რომელიც თავისი მრავალი საშიში სიმპტომით გარშემო ყველას შიშის ზარს სცემს. მან მოაშორა და მოარჩინა მსგავსი სიმპტომებით გამოვლენილი ბევრი დაავადება.

რა ხშირად იწვევს ყვავილი მძიმე ოფთალმიას, რომელსაც ზოგჯერ სიბრმავემდეც კი მიყვავართ! და აი ნახეთ(!), დეზოტომ<sup>10</sup> აცრა ის და საბოლოოდ მოარჩინა ქრონიკული ოფთალმია და ლეროიმ<sup>11</sup> ზუსტად ასეთი განკურნების შემთხვევის დემონსტრირება მოახდინა.

მანვე, კლეინის შეტყობინებით<sup>12</sup>, მთლიანად მოარჩინა მუნის დათრგუნვით გამოწვეული უკვე ორი წლის განმავლობაში არსებული სიბრმავე.

რა ხშირად იწვევს ყვავილი სიყრუეს და ქოშინს! ორივე ეს ქრონიკული დაავადება, ჯ.ფ.კლოსის დაკვირვებით, მან განკურნა და ამით თავის მაქსიმუმს მიაღწია.

ყვავილის ხშირი სიმპტომია სათესლე ჯირკვლების შესიება, არცთუ იშვიათად ძალიან ძლიერი. ზუსტად ამის გათვალისწინებით, გამოვლინების მსგავსების წყალობით მან შეძლო, როგორც ამას კლეინი<sup>14</sup> აკვირდებოდა, მარცხენა სათესლე ჯირკვლის დაუქუვის შემდეგ გაჩენილი სიმ-

სივნის მორჩენა. კიდევ ერთმა დამკვირვებელმა<sup>45</sup> აღწერა სათესლე ჯირკელის მსგავსი სიმსივნის მორჩენა.

ყვავილის მტანჯველ სიმპტომებს შორის არის იმის მსგავსი ნაწლავთა მდგომარეობა, როგორც დიზენტერიის დროს ვითარდება და ყვავილმა, როგორც მსგავსმა პათოგენურმა ფაქტორმა, ფრ. ენდელტის<sup>46</sup> დაკვირვებით, დიზენტერიის დაავადების შემთხვევა განკურნა.

აცრის შემდეგ განვითარებული ყვავილი, თავისი დიდი ძალის და მნიშვნელოვანი მსგავსების გამო, კომეოპათიურად მთლიანად სპობს ძროხის ყვავილის სიმპტომებს და მას განვითარების საშუალებას არ აძლევს. მაგრამ, ამავე დროს თავისი განვითარების მაქსიმუმს მიღწეული, გამოხატული მსგავსების გამო, ძროხის ყვავილი მნიშვნელოვნად ასუსტებს მის შემდეგ განვითარებულ ყვავილს და ამცირებს მის სიმძიმეს<sup>47</sup>, ამას მოწმობს მიური<sup>48</sup> და მრავალი სხვაც.

აცრილი ძროხის ყვავილის სითხე, დამცავი ნივთიერების გარდა, სხვა დამასნებოვნებელ ნივთიერებასაც შეიცავს, რომელიც იწვევს კანზე ვრცელ გამონაყარს, პატარა მშრალ (იშვიათად დიდსა და ჩირქოვან) კვანძებს გარშემო წითელი წრით, ხშირად წითელი მრგვალი ლაქით, თანდართულს ძალიან ძლიერი ქავილით. ისინი არც თუ ისე იშვიათად ვლინდებიან ძროხის ყვავილის წითელი რგოლის გამოჩენამდე რამდენიმე დღით ადრე, მაგრამ გაცილებით უფრო ხშირად მათ შემდეგ რამდენიმე დღეში და შემდეგ კანზე პატარა წითელ ლაქებს ტოვებენ. მრავალი დამკვირვებელი მიუთითებს<sup>49</sup>, რომ ამ, დამატებითი მიაზმის მსგავსების გამო, ძროხის ყვავილი მთლიანად და საბოლოოდ განკურნავს მსგავს, ხშირად უკვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებულ და მტანჯველ კანის გამონაყარს ბავშვებში.

ძროხის ყვავილმა, რომლის სპეციფიკური სიმპტომია ხელის შესიება<sup>50</sup>, მორჩინა შესიებული და ნახევრად დადამბლავებული ხელი<sup>51</sup>.

უმცროსი ჰარდეჯის<sup>52</sup> დაკვირვებებით, წითელი წრის წარმოქმნის პერიოდში გაჩენილმა ძროხის ყვავილის თანმხლებმა ცხელებამ ჰომეოპათიურად მოარჩინა ხანგანელებითი ცხელების ორი შემთხვევა. ეს დაკვირვებები ადასტურებენ ჯ.ჰანტერის<sup>53</sup> მიერ მანამდე აღნიშნულს – ადამიანში ორი ცხელების (მსგავსი დაავადებების) ერთდროული არსებობის შეუძლებლობის ფაქტს.

ცხელებისა და ხველის მახასიათებლებით წითელა ძალიან ჰგავს ყივანახველას. ამიტომ ბოსკვილონიმ<sup>54</sup> აღნიშნა, რომ როცა ეპიდემიების დროს ორივე ეს დაავადება გავრცელდა, წითელათი დაავადებული მრავალი ბავშვი ყივანახველით არ დაავადდა. წითელა ყოველ მათგანს დაიცავდა ყივანახველასაგან ყველა შემდგომ ეპიდემიაში, რომ ყივანახველა არ ყოფილიყო წითელას მხოლოდ ნაწილობრივ მსგავსი (ე.ი. მთლიანად მსგავსი ყოფილიყო), ანუ მას რომ ჰქონოდა სიმპტომი – წითელასათვის დამახასიათებელი გამონაყარი კანზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, რადგანაც მას ის არ გააჩნია, წითელას მხოლოდ ბავშვთა მასიური ინფიცირების თავიდან აცილება შეუძლია, ისიც მხოლოდ ეპიდემიათა ერთდროული გავრცელებისას.

თუკი წითელა თანხვედება დაავადებას, რომელსაც აქვს მისი წამყვანი სიმპტომი – გამონაყარი, მაშინ მას უცილობლად შეუძლია მოაშოროს და ჰომეოპათიურად მოარჩინოს<sup>55</sup> ეს უკანასკნელი. ჰორტუმის<sup>56</sup> დაკვირვებით ქრონიკული პერპესული გამონაყარი მთლიანად და საბოლოოდ (ჰომეოპათიურად) განიკურნა წითელას განვითარების შედეგად. ექვსი წლის განმავლობაში ამინდის ყოველ ცვლილე-

\* მთლიანად მსგავსების შემთხვევაში წითელა იქნებოდა ყივანახველა და პირიქით. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დაიცავდნენ ისინი ერთმანეთს მომავალი ეპიდემიის დროს. ეს ასეც არის, გადატანის შემდეგ წითელა გვიცავს წითელასაგან, ხოლო ყივანახველა ყივანახველასაგან. (მთარგმნელის შენიშვნა).

ბაზე წვის არაჩვეულებრივი გაუარესებით მიმდინარე სახის, ყელის და ხელების მილიარულმა გამონაყარმა, წითელათი დაინფიცირების შემდეგ კანის ზედაპირზე შესიების ფორმა მიიღო, ხოლო წითელას დასრულების შემდეგ ეგზანთემა განიკურნა და მეტი აღარ დაბრუნებულა<sup>57</sup>.

40. *Traité de l'inoculation*, გვ.189
41. *heilkunde für Mütter* გვ. 384.
42. *Interpres clinicus*, გვ. 293.
43. *Neue Heilart der Kinderpocken. Ulm, 1769*, გვ. 68, და *Spec-im., obs. 18.*
44. *Op.cit.*
45. *Nov.Act.Nat.Cur.*, ტომი I, obs. 22.
46. *Nachricht von dem Krankeninstitut zu Erlangen, 1783.*
47. თითქოს და ამით შეგვიძლია ავხსნათ ის შესანიშნავი ფაქტი, რომ ჯენერის მიერ მოწოდებული ძროხის ყვაეილის აცრის საყოველთაო გაერცელების შემდეგ, ადამიანის ყვაეილმა შეწყვიტა ისე ფართოდ გამოვლენა, რაც 40-45 წლის წინ, როცა ქალაქში, რომელიც ამ დამღუპველ ეპიდემიას გადაიტანდა, ბავშვების ნახევარი და სამი მეოთხედიც კი იღუპებოდა.
48. *ეულიანი Über die Kuhpockenimpfung, aus dem Engl., mit Zusatzern G.P. Mühry, Jöttinfcn, 1808.*
49. განსაკუთრებით კლავირი, პიურელი და დეზმორმე *Bulletin des Sciences Médicales, Publié par les membres du comité central de la Soc. du Médecime du Département de L'Eure, 1808;*
50. ბალჰორნი *Hufeland's Journal*, ტომი X, გვ. 2.
51. სტივენსონი დუნკანის „*Annals of Medicine*“-ში, *lustr. II, ტომი I ნაწილი 2, 9.*
52. *Hufeland's Jurnal, XXIII*
53. *ენერულ დაავადებებზე, ნაწილი მეოთხე.*
54. *კულენი, „პრაქტიკული მედიცინის ელემენტები“*, ნაწილი 2, 1, 3, თავი VII
55. ან უკიდურეს შემთხვევაში ეს სიმპტომები იხსნებოდა.
56. *Hufeland's Jurnal, XX, 3, გვ.50.*
57. *Pay, Uber d. Werth. Des hom. Heilv., Heidelb., 1824, გვ. 85.*

§ 47

ზემოთ აღწერილის გარდა, არაფერს არ შეუძლია უფრო ნათლად და გასაგებად ასწავლოს ექიმს, თუ რომელი ხელოვნური პათოლოგიური აგენტი (წამალი) უნდა აირჩიოს იმისთვის, რათა პაციენტი უცილობლად, სწრაფად და საბოლოოდ განკურნოს ბუნებრივი პროცესების შესაბამისად.

§ 48

როგორც ზემოთ ვნახეთ, არც ბუნების ძალისხმევას, არც ექიმის ხელოვნებას, არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლია მოიშოროს არსებული დაზიანება ან დაავადება არამსგავსი პათოლოგიური აგენტის საშუალებით, რამდენადაც ძლიერი არ უნდა იყოს ის. ამ მიზანს შეიძლება მივაღწიოთ ამ დრომდე უცნობი, ბუნების მარად უცვლელი კანონის შესაბამისად, მხოლოდ და მხოლოდ მსგავსი და რამდენადმე ძლიერი სიმპტომების ფაქტორის დახმარებით.

§ 49

ამ სახის ჭეშმარიტი, ბუნებრივი ჰომეოპათიური განკურნების გაცილებით მეტი შემთხვევის შესახებ შევიტყობდით, ერთი მხრივ დამკვირვებლები რომ მათდამი უფრო მეტი ყურადღებით იყვნენ და მეორე მხრივ – ბუნებაში სასარგებლო ჰომეოპათიური დავადებების ასეთი ნაკლებობა რომ არ იყოს.



## § 50

თვით ძლევა მოსილ ბუნებას, როგორც უკვე ვნახეთ, ცოტა რამ თუ აქვს ხელთ ჰომეოპათიური მკურნალობის ინსტრუმენტის სახით, გარდა მუდმივი ხასიათის გადამდები დაავადებებისა (მუნი, წითელა, ყვავილი)<sup>58</sup>. ეს პათოლოგიური აგენტები<sup>59</sup>, როცა წამლის როლში არიან, სიცოცხლისთვის უფრო საშიში ხდებიან, ვიდრე ის დაავადებები, რომლებიც მათ უნდა მოარჩინონ, ან ისეთები (მუნი), რომლებიც მას შემდეგ რაც განკურნებას გამოიწვევს, თავის მხრივ თვითონ ხდება სამკურნალო და ამოსაძირკვი. ორივე გარემოება მათ ჰომეოპათიურ წამლად გამოყენებას აძნელებს და საეჭვოდ და საშიშად აქცევს. და რამდენად უმნიშვნელოა დაავადებათა რიცხვი რომლებისთვისაც მსგავსების პრინციპით მოქმედი წამლები მოქცეულია წითელაში, ყვავილსა და მუნში, იმ დაავადებებს შორის რომლებსაც ადამიანთა მოდგმა ექვემდებარება! ამგვარად ბუნებრივი გზით მხოლოდ მცირე სახის დაავადებათა განკურნება შეიძლება ამ მეტად საეჭვო და სახიფათო ჰომეოპათიური საშუალებებით. მათი გამოყენებით მკურნალობა საფრთხესთან და დიდ სიძნელეებთან კიდევ იმიტომაც დაკავშირებული, რომ წამლის დოზების მსგავსად, მათი დოზების შემცირება გარემოებათა შესაბამისად საჭიროების დროს შეუძლებელია. პაციენტი კი, ქრონიკული ბუნების ანალოგიური დაავადების ზემოქმედებისას, ავადდება საშიში, ხანგრძლივი და თავის მხრივ მკურნალობის საჭიროების მქონე დაავადებით: ყვავილით, წითელათი (ან მუნით). მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია ბედნიერი თანხედრით მიღწეულ ზოგიერთ საკვირველ ჰომეოპათიურ განკურნებაზე მივუთითოთ, საიდანაც ვხედავთ, რამდენად ბევრი უდავო მტკიცებულებაა მათში გამოვლენილ ბუნების ერთადერთ სამკურნალო კანონში: **უმკურნალე სიმპტომების მსგავსების საფუძველზე!**

58. და ძროხის ყვაეილის ლიმფაში არსებული ეგ ზან-  
თემატური გადამდები პრინციპი.

59. და სახელდობრ, ყვაეილი და წითელა

## § 51

ეს ფაქტები ყოველი გონიერი ადამიანისთვის აღნიშ-  
ნულ თერაპიულ პრინციპს აშკარას ხდის და ისინი სრულიად  
საკმარისია ამისათვის. მაგრამ, მეორე მხრიდან შეხედეთ რა  
უპირატესობას ფლობს გონიერი ადამიანი არაგონიერ ბუნე-  
ბაზე მის (ბუნების) შემთხვევით მოქმედებებში. მსოფლიოში  
გავრცელებული სამკურნალო ნივთიერებებიდან რამდენი  
ათასით მეტი ჰომეოპათიური პათოლოგიური აგენტი გააჩ-  
ნია ადამიანს თავის განკარგულებაში (ბუნებრივად არსე-  
ბულ ჰომეოპათიურ განკურნებებთან შედარებით) გატან-  
ჯულ თანამოძმეთა დასახმარებლად! მათ შორისაა ყველა  
შესაძლო დაავადების გამომწვევი ფაქტორი, ყველა (უთვა-  
ლავი) შესაძლო თუ წარმოუდგენელი ბუნებრივი დაავადება,  
რომელთა დროს მათ ჰომეოპათიური დახმარების აღმოჩენა  
შეუძლიათ, პათოგენური აგენტები (სამკურნალწამლო ნივ-  
თიერებები), რომელთა ძალასაც, მათი სამკურნალო ზემო-  
ქმედების დამთავრების შემდეგ სასიცოცხლო ძალა გადა-  
ლახავს, სპონტანურად ქრება და მუნის მსგავსად, მათ მო-  
საშორებლად დამატებითი მკურნალობა საჭირო აღარაა,  
ხელოვნური პათოლოგიური აგენტები, რომელთა გახსნა,  
გაყოფა და პოტენცირება ექიმს უსასრულობამდე შეუძლია  
და მათი დოზა შესაძლებელია შემცირდეს იმდენად, რომ  
ბუნებრივი დაავადება, რომლის მოსარჩენადაც ის არის  
გათვალისწინებული მასზე მხოლოდ ოდნავ ძლიერი იყოს.  
ამგვარად, ამ შეუდარებელი მეთოდით მკურნალობის დროს  
ორგანიზმზე გააფთრებული თავდასხმები აუცილებელი არ  
არის, თვით ყველაზე ძველი დაავადებების ამოსაფესვადაც

კი. მკურნალობის ამ მეთოდის გამოყენებისას მტანჯავი ბუნებრივი დაავადებიდან სასურველ სტაბილური ჯანმრთელობის მდგომარეობაში გადასვლა რბილად, შეუმჩნეველად და მიუხედავად ამისა სწრაფად ხდება.

### § 52

არსებობს მკურნალობის მხოლოდ ორი მთავარი მეთოდი: პირველი, მხოლოდ ბუნებაზე ყურადღებით დაკვირვებაზე, საგულდაგულო ექსპერიმენტებსა და გულისყურით ჩატარებულ ცდებზეა დამყარებული – ჰომეოპათიური და მეორე, რომელიც ყოველივე ამას არ იყენებს – ჰეტეროპათიური ანუ ალოპათიური. ყოველი მათგანი მეორეს გამორიცხავს და მხოლოდ ის, ვინც არც ერთ მათგანს არ იცნობს, შეიძლება დაიბნეს და იფიქროს, თითქოს შესაძლოა, რომ ისინი ოდესმე დაახლოვდნენ ან გარეთიანდენ კიდევ. ისინი სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, როცა ავადმყოფის ნებით ორივე მეთოდს მონაცვლეობით გამოიყენებენ და ამით მძიმე დანაშაულს ჩაიდენენ ღვთაებრივი ჰომეოპათიის წინაშე.

### § 53

ჰემმარიტი გულმონწყალე გაჯანსაღება მხოლოდ ჰომეოპათიური მეთოდის შესაბამისად ხორციელდება, რომელიც, როგორც ადრე გამოვალინეთ (§7-25) ცდისა და დედუქციის საშუალებით, უდავოდ, მკურნალობის ჰემმარიტი მეთოდია, რომლის ხელოვნებაც საშუალებას გვაძლევს ყველაზე სწრაფად, სანდოდ და შეუქცევლად მივადწიოთ განკურნებას, რადგანაც ბუნების მარადიულ უდავო კანონზეა დამყარებული.

ჰემმარიტი ჰომეოპათიური სამკურნალო ხელოვნება

ერთადერთი სანდო მეთოდია, მხოლოდ ისაა მისაღები ადამიანური ხელოვნებისათვის და განკურნების ერთადერთი პიდაპირი გზაა, ისევე, როგორც არ შეიძლება ორ მოცემულ წერტილს შორის იყოს ერთ სწორ ხაზზე მეტი.

§ 54

საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა სისტემებს შორის მთავარი, ალოპათიური მეთოდი, დაავადებების წინააღმდეგ მრავალ საშუალებას იყენებს, თუმცა ჩვეულებრივ, შეუფერებელს (alloea). ამ ცვალებადი და ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული სისტემებიდან, რომლებიც დროდადრო ერთმანეთს ცვლიდნენ, თითოეული თავის თავს რაციონალური მედიცინის საამაყო სახელს<sup>60</sup> ანიჭებდა.

ყოველი ასეთი სისტემის შემქმნელი ქედმაღლურად ვარაუდობდა, რომ შეეძლო სიცოცხლის შინაგან არსში შედწევა, როგორც ჯანმრთელ ისე ავადმყოფურ მდგომარეობაში, ნათლად ამოეცნო გამოვლინებები და შესაბამისად დაედგინა, რომელი ავადმყოფობის გამომწვევი მატერია<sup>61</sup> უნდა მოშორდეს ავადმყოფს სხეულიდან; იცოდა, როგორ გამოეღვენოთ ის, რათა ორგანიზმს ჯანმრთელობა დაეუბრუნოთ და შეეძლო ყოველივე ეს უსაფუძლო და შემთხვევით ვარაუდებზე დაყრდნობით ეკეთებინა, იმის მაგივრად, რომ კეთილსინდისიერად დასესხებოდა ბუნებას და წინასწარი ცუდი აზრის გარეშე ყური დაეგდო გამოცდილების ხმისთვის. დაავადებები პრაქტიკულად ყოველთვის ერთი და იმავე სახით განახლებად მდგომარეობებად ითვლებოდნენ, ანუ მათი განახლება ყოველთვის ერთნაირად ხდებოდა. სისტემათა უმეტესობა დაავადებათა წარმოსახვით სურათს სახელს ასე არქმევდა და ყველა თავისებურ კლასიფიკაციას უკეთებდა მათ. წამლებს მიაწერდნენ თვისებებს, რომელთა შემწეობითაც, როგორც ვარაუდობდნენ, შეეძლოთ ამ არა-

ნორმალური მდგომარეობის მორჩენა (ამიტომაც არსებობს *Materia medica*-ს ურიცხვი სხვადასხვა გამოცემა)<sup>62</sup>.

60. თითქოს და მეცნიერების მტკიცებით, რომელიც ბუნებაზე დაკვირვებას, წმინდა ექსპერიმენტებსა და ცდებს უფიქნება, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ცარიელ სპეკულაციასა და სქოლასტიკურ შექებას.

61. უახლოეს წარსულამდე ვერაინ შეიძლო შეემჩნია ავადმყოფური აგენტების დინამიკური მოქმედება (§11-ის შენიშვნა) რათაც წამლის სიცოცხლეზე მოქმედება გვევლინება. ამიტომ ვარაუდობდნენ, რომ დაავადების დროს მეურნალობას ექვემდებარება რაღაც მატერიალური, რაც ორგანიზმიდან უნდა განიდევნოს.

62. თვითკმაყოფილების გრძნობას მრავალი სხვადასხვა წამლის ეგრეთ წოდებულ დანიშნულებებში შერევით და მათი ხშირი და დიდი დოზის დანიშვნით იკმაყოფილებენ. ამ გზით ადამიანის ძვირფასი და მგრძობიარე სიცოცხლე მედიცინის დამამახინჯებელი ექიმების ხელში ვარდება. ყოველივე ეს განსაკუთრებით სამართლიანია, ხელოვნური დრენაჟების, ვენესექციების, საფადართო, პირსასაქმებელი საშუალებების, საღებუნების, ფონტანელებისა და მოწვის მიმართ.

## § 55

თუმცა, ფართო საზოგადოებამ სწრაფად გაიაზრა, რომ ნებისმიერი ასეთი სისტემის გულმოდგინე გამოყენებისას ავადმყოფის ტანჯვა აუცილებლად ძლიერდება და მძიმდება. ალოპათებს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ მიატოვებდნენ პაციენტები, ემპირიულად აღმოჩენილი წამლებით გამოწვეული პალიატიური გაუმჯობესებები რომ არა, რომლებიც ტანჯვას თითქმის მომენტალურად ამცირებენ. მათი მოქმედება პაციენტებისთვის აშკარაა და ექიმების მიმართ რწმენის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

§ 56

გალენის მიერ ჩვიდმეტი საუკუნის წინ შემოღებული „*Contraria contrariis*” პალიატიური (ანტიპათიური, ენ-ანტიოპათიური) მეთოდის დახმარებით, ექიმებმა შეძლეს დღემდე შეენარჩუნებინათ პაციენტების ნდობა, რომლებსაც მდგომარეობის თითქმის მომენტალური შემსუბუქებით ატყუებდნენ. თუმცა შემდგომ ენახავთ, რამდენად უსარგებლო და მავნებელიც კი (ხანგრძლივად მიმდინარე დაავადებებში) იყო ამ მეთოდის საფუძვლები. ეს (პალიატიური) რა თქმა უნდა, ერთადერთია ალოპათების მიერ გამოყენებული მეთოდებიდან, რომელსაც აშკარა ურთიერთობა აქვს დასახელებული ბუნებრივი დაავადების ჩივილების ნაწილთან, მაგრამ რა ურთიერთობა? სინამდვილეში ეს ის ურთიერთობაა (ჰემმარიტის პირდაპირ საწინააღმდეგო), რასაც ყოველნაირად უნდა ვერიდოთ, თუ არ გვინდა ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტის მოტყუება ან მათი მასხრად აგდება.

63. დაავადების დროს წამლების გამოყენების მესამე მეთოდის დამუშავებას **იზოპათიის** დახმარებით ცდილობდნენ ანუ დაავადებების მკურნალობას იმავე პათოლოგიური აგენტებით, რომლებიც მას იწვევს. მაშინაც კი, როცა ასეთი პათოლოგიური აგენტის პოვნა შესაძლებელი იყო, მისი მაღალპოტენციურებული სახით და შესაბამისად შეცვლილ მდგომარეობაში დანიშნვისას, განკურნება მხოლოდ **მსგავსის წინააღმდეგ მსგავსის** გამოყენებით მიიღწეოდა.

განკურნების მცდელობა იმავე დაავადების გამომწვევი აგენტებით (*per Idem*), საღ აზრს და კაცობრიობის მთელ გამოცდილებას ეწინააღმდეგება. იზოპათიის პირველი მიმდევრები ალბათ იმ სარგებელზე ფიქრობდნენ, რაც ძროხის ყვავილის ვაქცინაციამ აცრილ ადამიანებს მოუტანა, რომელიც იცავდა და წინასწარ ჰკურნავდა მათ ნამდვილი ყვავილისაგან. მაგრამ ძროხის ყვავილი და ნამდვილი ყვავილი მხოლოდ მსგავსი დაავადებებია და არავითარ შემთხვევაში – ერთი და იგივე. ისინი მრავალი მახასიათებლით განსხვავდებიან; კონკრეტულად, ძროხის ყვავილის უფრო მსუბუქი და სწრაფი მიმდი-

ნარეობით, განსაკუთრებით კი იმით, რომ ის არასოდეს არ შეიძლება გადაეცეს სხვა ადამიანს მხოლოდ მასთან ახლოს ყოფნის (შეხების გარეშე) შედეგად. საყოველთაო ვაქცინაციამ ბოლო მოუღო ყვავილის საშინელ და საშიშ ეპიდემიებს და ეს კეთილშობილი საქმე იმდენად აშკარაა, რომ ახლანდელმა თაობამ მთლიანად დაკარგა წარმოდგენა უწინდელ საყოველთაო ეპიდემიებზე.

უფრო მეტიც, უდავოა, თუკი შემდგომშიც იმავე გზას გავეყვებით, ცხოველთა ზოგიერთი სპეციფიკური დაავადებიდან რომლებიც ადამიანთა ზოგიერთ უმთავრეს დაავადებას ძალიან ჰგავს, შესაძლებელია გამოვეყოთ ამ უკანასკნელთათვის სამკურნალწამლო ნივთიერებები და ამით პომეოპათიური საშუალებების არსენალი წარმატებით გავზარდოთ.

მაგრამ, ადამიანის პათოლოგიური აგენტის გამოყენება (ფსორინუმი, რომელიც მიიღება მუნიანი ავადმყოფისგან), იმავე დაავადების წინააღმდეგ წარმოადგენს – ?

ამით, დაავადების დამძიმებისა და ახალი უბედურებების გარდა არაფერი გამოვა.

## § 57

ანტიპათიური მეთოდის პრაქტიკაში გამოყენებისას, ჩვეულებრივი ექიმი იმ მრავლი სიმპტომიდან, რომელთაც ყურადღების გარეშე ტოვებს, ერთ-ერთის საწინააღმდეგო ისეთ საშუალებას ნიშნავს, რომლის შესახებაც ცნობილია, რომ ის იმ სიმპტომის საწინააღმდეგო სიმპტომს იწვევს, რომელიც სავარაუდოდ უნდა დაითრგუნოს და ამის საფუძველზე სწრაფ (პალიატიურ) გაუმჯობესებას ელის. ნებისმიერი ტკივილის შესამცირებლად ის ოპიუმის დიდ დოზას ნიშნავს, რადგანაც ეს საშუალება მგრძნობელობას სწრაფად აჩლუნგებს; იმავე წამალს უნიშნავს სხვადასხვა სახის ფადარათის დროს, რადგანაც ის ნაწლავთა პერისტალტიკას სწრაფად აჩერებს და მისი მგრძნობელობის დაქვეითებას იწვევს; იმავეს ნიშნავს უძილობის დროს, რადგანაც

\* მდედანშიც ასეა (მთარაგმნელის შენიშვნა)

ოპიუმი სწრაფად იწვევს გაბრუებას და კომატოზურ ძილს; პაციენტს, რომელიც შეკრულობისგან იტანჯება, საფაღარათოს უნიშნავს; ურჩევს დამწვარი ხელი გააჩეროს ცივ წყალში, რომელიც ტემპერატურათა სხვაობის გამო, მყისიერად, თითქოს ჯადოქრობით ხსნის მწველ ტკივილებს; ის შემცივნებასა და სასიცოცხლო ენერჯის უკმარისობაზე მომჩივან პაციენტს ცხელ აბაზანას ურჩევს, რომელიც მაშინვე შეათბობს მას; ხანგრძლივი სისუსტით შეწუხებულს, ღვინის დაღევას აძალებს, რამდენადაც ამით ავადმყოფი მომენტალურად ცოცხლდება და მხნევედება; მსგავსი სახით სხვა საწინააღმდეგო (ანტიპათიურ) სამკურნალწამლო საშუალებებსაც იყენებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აქ ჩამოთვლილზე მხოლოდ ცოტათი მეტი აქვს, რადგანაც ჩვეულებრივი სამედიცინო სკოლისათვის მხოლოდ მცირე რაოდენობის ნივთიერებათა სპეციფიკური (პირველადი) მოქმედებაა ცნობილი.

## § 58

ამ მეთოდს ზედმიწევნით არასრულყოფილ სიმპტომურ მკურნალობამდე (იხ. §7-ის შენიშვნა) მივყავართ, რომლის დროსაც ექიმი დაავადებას ცალმხრივად განიხილავს, ყურადღებას ერთეულ სიმპტომზე და შესაბამისად მთელის მხოლოდ მცირე ნაწილზე მიმართავს. ნათელია, ამ გზით ვერ შევძლებთ ავადმყოფოთათვის ამდენად სასურველი დახმარების აღმოჩენას, სიმპტომთა მთელი ერთობლიობის მიმართ. მაშინაც კი, თუ აღნიშნული მეთოდის შეფასების დროს, ეს გარემოებანი მეორეხარისხოვნად იქნა მიჩნეული, მაინც აუცილებელია დავინტერესდეთ, ყოფილა კი თუნდაც ერთი შემთხვევა, როცა წამალთა ასეთი ანტიპატიური გამოყენება ქრონიკული ან ხანგრძლივი დაავადების დროს სასარგებლო იყო და დროებითი გაუმჯობესების (შემსუბ-



უქების) შემდეგ პალიატირად დათრგუნული სიმპტომის, მთლიანი დაავადების კიდევ უფრო ძლიერი გამწვავება არ გამოუწვევია? ყოველი ეურადღებოანი დამკვირვებელი დაგვეთანხმება, რომ ნებისმიერი დაავადების თითოეულ შემთხვევაში გამონაკლისის გარეშე, ხანმოკლე ანტიპათიურ გაუმჯობესებას გაუარესება მოჰყვება. მიუხედავად ამისა, განსწავლული ექიმები შეესვივნენ შემდგომი გაუარესების სხვაგვარ ახსნას, რასაც საწყისი დაავადების ავთვისებიანობას მიაწერდნენ, ახალგამოვლენილად მიაჩნდათ ან საერთოდ ახალი დაავადების გაჩენით ხსნიდნენ<sup>64</sup>.

64. მიუხედავად იმისა, რომ ექიმები საუელდაგულო დაკვირვებას აქამდე ძალიან მცირე მნიშვნელობას ანიჭებდნენ, გამწვავებები, რომლებიც პალიატირ მკურნალობას აუცილდებლად მოსდევს, შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ამის გასაოცარი მაგალითი შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ჯორჯ შულცთან მის *Diss. qua corporis humani momentaneorum alterationum specimina quaedam expenduntur* (დისერტაცია, რომელიც აღწერს ხანმოკლე ავადმყოფური ცვლილებების კონკრეტულ შემთხვევებს ადამიანის სხეულში), პაღე, 1741, § 28. ვილისი აღწერს რაღაც მსგავსს (*Pharm.rat.*, § 7, cap. 1.p.298): <<Opiata dolores atrocissimos plerumque sedant atque indolentiam procurant, camque – aliquamdiu et pro stato quodam tempore continent, quo spatio elapso dolores mox recrudescunt et brevi ad solitam ferociam augentur>> (<<ოპიატები ნეულებრივ აწენარებენ ყველაზე უფრო ძლიერ ტკივილებს, იწვევენ უგრძობლობას და ინარჩუნებენ მას გარკვეული დროის განმავლობაში. როცა ეს პერიოდი მთავრდება, ტკივილი მალე კვლავ იფეთქებს და მოკლე დროში წინანდელ ინტენსიობას აღწევს>>).

აგრეთვე 295 გვერდზე: <<Extractis opii viribus illico reduent tormina, nec atrocitatem suam remittunt, nisi dum ab eodem pharmaco rursus incantantur (<<როცა ოპიუმის ძალა იწურება, ჭვალი დაუფრთხვებლივ ბრუნდება არანაკლები ძალით და გრძელდება მანამ, სანამ კვლავ არ დაამდება იმავე წამლით>>). მსგავსი სახით ჯ.პანტერი (<<ვენერულ დაავადებებს>>, გვ.13) წერს, რომ ღვინო და საგულე სტიმულატორები, დახუსტკებული ავადმყოფისთვის დანიშნისას გულის მოქსელება აძლიერებს, თუმცა

ჰემარიტ ძალას მას არ აძლევს, ასე რომ, სხეულის ენერგია მცირდება აღმგზნები ეფექტის შემოქმედების პროპორციულად; ასეთი მკურნალობით არაფერი არ მიიღწევა, ძალიან ბევრი კი შეიძლება დაიკარგოს.

## § 59

ქრონიკული დაავადებების მნიშვნელოვანი სიმპტომები არასოდეს შემსუბუქებულან ამ პალიატიური ანტაგონისტური საშუალებებით ისე, რომ რამდენიმე საათის შემდეგ საწინააღმდეგო მდგომარეობა, რეციდივი ან დაავადების საგრძნობი გამწვავება არ გამოეწვიათ. დღისით მუდმივი ძილიანობის დროს ექიმი ნიშნავდა ყავას, რომელიც თავიდან გამოცოხლებას იწვევდა, ხოლო როცა მისი მოქმედება თავდებოდა, ძილიანობა ძლიერდებოდა; ღამე ხშირი გაღვიძებების დროს სხვა სიმპტომების მიუხედავად, ნიშნავდა ოპიუმს საღამო საათებში, რომელიც თავისი პირველადი მოქმედებით ღამის ღრმა, გამაბრუებელ ძილს იწვევს, მაგრამ შემდგომ ღამეებში პაციენტი კიდევ უფრო მეტად იტანჯება უძილობით, ვიდრე მკურნალობამდე; ქრონიკულ ფაღარათს, ყურადღებას არ აქცევდა რა სხვა სიმპტომებს, იმავე ოპიუმს უპირისპირებდა, რომლის პირველადი მოქმედება ნაწლავებს აღუნებს, მაგრამ ფაღარათის დროებით შეჩერებას მისი გაძლიერება მოჰყვებოდა; ყველა სახის მძაფრი და ხშირად განმეორებადი ტკივილები მას შეეძლო ჩაეხშო ოპიუმით, მაგრამ მხოლოდ მცირე დროით, ისინი ყოველთვის ბრუნდებოდნენ გაზრდილი, ხშირად აუტანელი ინტენსივობით ან გაცილებით უფრო მძიმე დაზიანებებით იცვლებოდნენ; ღამის ხანგრძლივი ხველის დროს ექიმს არ შეეძლო ოპიუმზე უკეთესი საშუალების დანიშვნა, რომლის პირველადი მოქმედება მიმართულია ნებისმიერი გამღიზიანებლის დათრგუნვისაკენ; ხველა შესაძლებელია დაითრგუნოს პირველ ღამეს, მაგრამ შემდგომში ის უფრო

სასტიკი ხდება. თუკი ხველას ისევ და ისევ ახშობდნენ პალიატიური საშუალების მხარდი დოზით, მაშინ მას ერთვოდა ცხელება და ღამის ოფლი; შარდის შეკავებამდე მიმყვანი შარდის ბუშტის სისუსტის დროს ნიშნავდნენ შარდის გამოყოფის მასტიმულირებელ ესპანურას (Cantharis), რომლითაც თავიდან, რა თქმა უნდა, შარდის გამოყოფა ძლიერდებოდა, მაგრამ შემდგომში შარდის ბუშტი სულ უფრო და უფრო ნაკლებად აგზნებადი და შეკუმშვადი ხდებოდა და აუცილებლად ვითარდებოდა მისი დამბლა; ქრონიკული ყაბზობის განკურნებას ვარაუდობდნენ თავისი პირველადი მოქმედებით დეფეკაციის გამახშირებელი საფადართო საშუალებების დიდი დოზებით, მაგრამ მეორეული მოქმედებისას ყაბზობა მხოლოდ ძლიერდებოდა; ჩვეულებრივი ექიმი სისუსტის აღმოფხვრას ღვინით ცდილობდა, რომელსაც მასტიმულირებელი ეფექტი მხოლოდ პირველადი მოქმედებისას აქვს, ხოლო მეორეული მოქმედება უფრო მეტად დამასუსტებელია; ცხარე ნივთიერებებითა და სანელებლებით ის ცდილობდა ქრონიკულად დასუსტებული და „ცივი“ კუჭის ძალების გაზრდას, მაგრამ ამ, მხოლოდ პირველადად ზემოქმედების დროს მოქმედი მასტიმულირებელი პალიატიური საშუალებების მეორეული მოქმედებისას კუჭი კიდევ უფრო ნაკლებაქტიური ხდებოდა; სასიცოცხლო სითბოს ქრონიკული უკმარისობის დროს შემცივნება უცილობლად იხსნება ცხელი აბაზანით, მაგრამ მეორეული მოქმედებისას პაციენტი კიდევ უფრო სუსტი, ცივი და მცივანა ხდება, ვიდრე მანამდე იყო; სხეულის მძიმე დამწვრობის ადგილებზე ცივი საფენების დადებისას მაშინვე იგრძნობოდა გაუმჯობესება, მაგრამ შემდგომში ტკივილები წარმოუდგენელად მწვავედებოდა, ხოლო ანთება კიდევ უფრო ძლიერდებოდა და ვრცელდებოდა (იხ. შესავალი); ლორწოს გამოყოფის გამაძლიერებელი ცემინების გამომწვევი საშუალებებით ვარაუდობდნენ სურდოსა და ცხვირის ხანგრძლივი დახშობის

მკურნალობას, მაგრამ ექიმის ყურადღების მიღმა რჩებოდა ის, რომ ამ ანტაგონისტური საშუალებებით (თავისი მეორეული მოქმედების დროს) დაავადება უფრო მწვავედ ბოდა და ცხვირი კიდევ უფრო იხშობოდა; თავისი პირველადი ეფექტით კუნთოვანი მოქმედების შესამჩნევად მასტიმულირებელი ელექტრობის დახმარებით, სწრაფად აღწევდნენ უკვე თითქმის მთლიანად დადამბლავებული კიდურების აქტივაციას, მაგრამ ასეთი მკურნალობის შედეგი (მეორეული მოქმედება) კუნთოვანი გაღიზიანებადობის მთლიანი გაქრობა და სრული დამბლა იყო; ვენესექციით ცდილობდნენ თავში სისხლის მიწოდების სიჭარბის აღმოფხვრას, მაგრამ მას ყოველთვის მოსდევდა კიდევ უფრო მეტი სისხლსავესებობა; ჩვეულებრივი სამედიცინო სკოლის პრაქტიკოსებმა ტიფის მრავალი სახეობის დროს განვითარებულ გონების დაბინდვასთან შერწყმული სხეულისა და გონებრივი ძალების პარალიტიური გაშტერების სამკურნალოდ ვალერიანაზე უკეთესი არაფერი იცოდნენ, რადგან ის გამაცოცხლებელი და მოძრაობის უნარის გამომწვევი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საშუალებაა; თუმცა თავისი უმეცრების გამო, მათ არ იცოდნენ, რომ ეს ვალერიანის პირველადი ეფექტია და მისი დასრულების შემდეგ, მეორეული (ანტაგონისტური) მოქმედებისას ორგანიზმი კიდევ უფრო ღრმა სტუპორსა და უძრაობაში ჩაეშვება, ანუ სულიერი და სხეულის დამბლის (სიკვდილის) მდგომარეობაში; ისინი ვერ ხედავდნენ, რომ ის დაავადებები, რომლებსაც ყველაზე ხშირად ახშობდნენ ვალერიანით, რომელიც ამ დროს საწინააღმდეგოდ მოქმედ ანტიპათიურ საშუალებას წარმოადგენდა, პრაქტიკულად აუცილებლად საბედისწეროდ მთავრდებოდა. ძველი სკოლის ექიმი გახარებულია, როცა შეუძლია რამდენიმე საათით შეამციროს კახექსიური პაციენტის სუსტი, აჩქარებული პულსი სუფთა სათითურას პირველივე დოზით (რომელიც თავისი პირველადი მოქმედებით პულსს ანელებს);

მაგრამ მალე პულსის სიხშირე აღდგება, განმეორებითი და მზარდი დოზები პულსის სიხშირეს უკვე სულ უფრო ნაკლებად ანელებს და მალე საერთოდ წყვეტს მასზე მოქმედებას. სინამდვილეში კი, მეორეული მოქმედებისას, პულსის დათვლა უკვე შეუძლებელია, ძილი, მადა და ძალები იკარგება და ამას მალე, პრაქტიკულად აუცილებლად, ზოგჯერ სიგიჟის ფონზე, სიკვდილი მოსდევს. მოკლედ, რამდენად ხშირად, მწვავედება დაავადებები და მძიმდება კიდევ ასეთი ანტაგონისტური (ანტიპათიური) საშუალებების მეორეული მოქმედებით. ძველი სკოლა თავისი ცრუ თეორიებით ამას ვერ იცნობიერებს, მაგრამ საშინელი მაგალითების გამოცდილება ჩვენს სწავლებას აგრძელებს.

65. იხ. *ჰუფელანდი, პამფლეტი <<Die Homöopathie>>*, გვ.20.

## § 60

წამლების ანტიპათიურად გამოყენებისას წარმოქმნილი გართულებების დროს, რასაც სრულიად ბუნებრივია, უნდა მოველოდეთ, ჩვეულებრივი ექიმები ვარაუდობენ, რომ წამლის უფრო დიდი დოზით დანიშნით გამოწვეული, ყოველი ახალი გამწვაების გადალახვას შეძლებენ, თუმცა ამ დროს მიღწეული გაუმჯობესება<sup>66</sup> იმდენად უმნიშვნელოა, რომ პალიატიური საშუალებების მუდმივად მზარდი დოზების დანიშნის აუცილებლობა მხოლოდ იზრდება; უცილობლად ვითარდება ან სხვა, უფრო სერიოზული დაავადება, ან უკვე არსებული უკუზრნებელი, სიცოცხლისთვის საშიში და შესაძლოა სასიკვდილოც კი ხდება. ხანგრძლივი და შესამჩნევი განკურნება კი არასოდეს არ მიიღწევა.

66. ამა თუ იმ ჩივილის გამო ავადმყოფებისათვის დანიშნული ნებისმიერი პალიატიური საშუალება, ყოველთვის (რო-

გორც ეს მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს) არსებული ტანჯვის გაძლიერებას იწვევს და ძველი ექიმები იძულებულნი იყვნენ პალიატიური საშუალებები მზარდი დოზებით დაენიშნათ, რათა საწყისი გაუმჯობესების თუნდაც ოდნავ მიმგავსებული ეფექტი მიეღოთ. მაგრამ ეს დაავადების რამდენადმე ხანგრძლივი და უფრო მწვავე რეციდივის თავიდან ასაცილებლად საკმარისი არასოდეს არ ყოფილა. თუმცა ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინ ბრუსო, ერთ რეცეპტში სხვადასხვა ნივთიერების უაზრო შერევის წინააღმდეგ გამოვიდა და ამით საფრანგეთში ამ პრაქტიკის ბატონობას (რისთვისაც კაცობრიობა მისი მაღლიერია) ბოლო მოუდო, შემოიღო ეგრეთ წოდებული ფილოსოფიური სისტემა (მან ამ დროისათვის უკვე არსებულ მკურნალობის პომეოპათიურ მეთოდს ყურადღება არ მიაქცია), რომელიც აღამიანთა მოდგმის ყველა დაავადების დროს გამოსაყენებელი, გამოვლენის თანდათანობით შემცირებისა და ტანჯვის საბოლოო ამოძირკვისკენ მიმართული, მაგრამ ამ დროისათვის ექიმთა არსენალში არსებული პალიატიური საშუალებების გამოყენებით განუხორციელებელი მკურნალობის მეთოდი იყო.

რაკი არ შეეძლო დაავადებების განკურნება დამზოგავი და უსაფრთხო წამლების დახმარებით, ბრუსომ ავადმყოფთა სასიცოცხლო ძალისა და თვით სიცოცხლის ფასად მათი ტანჯვის მინიმუმამდე დაყვანის უფრო იოლი გზა – მკურნალობის მეთოდი იპოვა, რომელიც სამწუხაროდ, მის თანამედროვეებს მისაღები ეჩვენათ. დაავადებები ვლინდება მით უფრო მკაფიოდ და ტკივილებიც უფრო ინტენსიურია, რაც მეტი ძალების შენარჩუნება შეძლო პაციენტმა მისი მიმდინარეობის დროს. ის კენესის, ჩივის, ყვირის და დასახმარებლად სულ უფრო მზარდი ხმით უხმობს, ისე, რომ ექიმს, რაც არ უნდა ჩქარობდეს დახმარების აღმოჩენას, არ შეუძლია სათანადოდ სწრაფად გააკეთოს ეს. ბრუსოს მხოლოდ სასიცოცხლო ძალის დათრგუნვა სჭირდებოდა, თანდათანობით სულ უფრო და უფრო მეტად ამცირებდა მას და აი პაციენტი ექვემდებარებოდა ახალ და ახალ სისხლის გამოშვებას, სულ უფრო მეტი და მეტი წურბელა და სისხლისმწოველი ქილა წოვდა მის სასიცოცხლო წველებს (რამდენადაც ავადმყოფის ტანჯვაში უდანაშაულო და აუნაზღაურებელი სისხლი ითვლებოდა თითქმის ყველა დაავადების ძირითად მიზეზად). იმავე პროპორციით კარგავდა პაციენტი ტკივილის აღსაქმელად და ჯესტებით ან ინტენსიური ჩივილებით

თავისი მდგომარეობის გაუარესების გამოსახატავად საჭირო ძალებს. ძალების შესუსტებასთან ერთად ავადმყოფი უუნდებოდა, რასაც გარშემომყოფნი მდგომარეობის გაუმჯობესების დასტურად აფასებდნენ და ტანჯვის (სპაზმების, ტკივილის, მოხრობის, შიშების) განახლებისას იმავეს გასამეორებლად ემზადებოდნენ, რაც ადრე მათ ასე შესანიშნავად გამოსდიოდათ – პაციენტის დამშვიდება და სწრაფი გაუმჯობესების იმედის მიცემა. ხანგრძლივი დაავადების დროს, სანამ ავადმყოფი თუნდაც რაღაც ძალას ინარჩუნებდა, მას საკვების მიღებას უკრძალავდნენ, უნიშნავდნენ „მშიერ ღიეტას“ იმისათვის, რათა ამით კიდევ უფრო წარმატებით დაეთრგუნათ სასიცოცხლო ძალა და მასთან ერთად – მოუსვენრობაც. დასუსტებულ პაციენტს მეტი ძალა აღარ ჰქონდა წურბლების, ჩირქმდენი საღებუნების, თბილი აბაზანებისა და მსგავსი საშუალებების შემდგომი გამოყენების წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატავად. სასიცოცხლო ენერჯიის გამოძფიტავი ამ ღონისძიებების ხშირად გამეორების შემდეგ, სიკვდილი ღებებოდა უკვე გონებადაკარგული ავადმყოფისთვის შეუმჩნეველად, ხოლო სისხლის გამოშვებითა და თბილი აბაზანებით შესუსტებული მისი უკანასკნელი ტანჯვის მხილველ ნათესავეებს, არ შეეძლოთ ეგრძნოთ მისი დადგომა და უკიდურესად გაოგნებულნი იყვნენ, როცა ავადმყოფი ჩუმად გადადიოდა მარადიულ ძილში.

<<მაგრამ ღმერთმა იცის: ავადმყოფის მკურნალობა არ იყო სასტიკი, რამდენადაც პატარა ლანცეტის ჩხვლეტა პრაქტიკულად უმტკივნეულოა, გუმირაბიკის ხსნარს (დე უურმეს წყალი, პრაქტიკულად ერთადერთი წამალი, რომელსაც იყენებდა ბრუსო) სასიამოვნო გემო ჰქონდა და რაიმე შესამჩნევ უსიამოვნო ზემოქმედებას არ იწვევდა, წურბლების კბენა თითქმის უმტკივნეულოა, ექიმის სისხლის გამოშვებას ახდენდა ჩუმად და შეუმჩნეველად, თბილ აბაზანებს შეეძლოთ მხოლოდ და მხოლოდ დამამშვიდებელი ზემოქმედება გამოეწვიათ. აქედან გამომდინარე, დაავადებას უკვე დასაწყისიდან ფატალური ხასიათი ჰქონდა. ასე რომ, მიუხედავად ექიმის ძალისხმევისა, ავადმყოფის მიერ ცოდვილი დედამიწის დატოვება გარდაუვალი იყო>> – დაახლოებით ასეთი სიტყვებით ამშვიდებენ ერთმანეთს ძვირფასი გარდაცვლილის ნათესავეები და განსაკუთრებით მემკვიდრეები.

ექიმები ევროპასა და მთელ მსოფლიოში ამ წესის თანახმად იყენებდნენ ყველა დაავადების მკურნალობის მო-

**სახერხებელ მეთოდს**, რადგანაც ის ფიქრის (ეველაზე მიმიე სამუშაო დედამიწაზე) საჭიროებისაგან ათავისუფლებდათ. ისინი მხოლოდ იმაზე უნდა ზრუნავდნენ, რომ სინდისის ქეჯნა შეასუსტონ და თავი იმითი დაიმშვიდონ, რომ ეს სისტემა მათ არ დაუშუშავებიათ, რომ ბრუსოს ათასობით სხვა მიმდევარი იმავეს აკეთებდა და საერთოდ, როგორც მეტრი ასწავლიდათ, ამქვეყნად ეველა მოკვდავია. საუბედუროდ მრავალი ათასი ექიმი ამგვარად ასცდა ჭეშმარიტ გ'ხას და დაკავებული იყო იმით, რომ იმ ავადმყოფების, რომლებიც კიდევ შეიძლება მორჩენილიყვნენ, სისხლის თბილ ნაკადულებს ღვრიდნენ (ცივი გულებით) და რადგან ბრუსოს მეთოდს იყენებდნენ, თანდათანობით მილიონობით ადამიანი გამოასალეს სიცოცხლეს. მათმა რაოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ნაპოლეონის ომებში დაღუპულთა რიცხვს. იყო კი **ღმერთის ნება**, რომ ბრუსოს სისტემა რომელიც სამედიცინო საშუალებებით ანგრევდა ჯერ კიდევ მოსარჩენი ავადმყოფების სიცოცხლეს, წინ უძღოდა ჰომეოპათიის გამონენას და ამით მთელ სამყაროს აუხილა თვალები ჰომეოპათიაზე – მკურნალობის ერთადერთ ჭეშმარიტ მეცნიერებასა და ხელოვნებაზე, რომლის დახმარებითაც ეველა განკურნებადი პაციენტი ჯანმრთელობას და ახალ სიცოცხლეს შეიძენს, თუკი ეს, ხელოვნების დარგთა შორის უძნელესი, დაუღალავი და დაკვირვებული ექიმის მიერ უნაკლოდ და კეთილსინდისიერად გამოიყენება.

§ 61

ექიმებს წამლების ანტაგონისტური გამოყენების საეალალო შედეგების გაცნობიერება რომ შეეძლოთ, მაშინ დიდი ხნის წინ მივიდოდნენ იმ დიად ჭეშმარიტებამდე, რომ რადიკალური სამკურნალო ხელოვნება დაავადების სიმპტომების ანტიპათიური მკურნალობის აბსოლუტურად საწინააღმდეგო პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს და მიხვდებოდნენ, რომ დაავადების სიმპტომებზე წამლის ანტაგონისტურ ზემოქმედებას (წამლების ანტიპათიური გამოყენება) მხოლოდ დროებითი შემსუბუქება და მისი დამთავრების



შემდეგ უცილობელი გამწვავება მოსდევს. ამის საწინააღმდეგოდ, სიმპტომთა მსგავსების შესაბამისად, წამლების პომეოპათიური გამოყენება საბოლოო და სრულ განკურნებას უნდა იწვევდეს, თუკი ამ დროს, წამლების ჩვეულებრივი დიდი დოზის მაგიერ მათი უმცირესი დოზა დაინიშნება. მაგრამ არც ანტიპათიური მკურნალობის შედეგად განვითარებულ აშკარა გამწვავებებს, არც იმას, რომ არც ერთ ექიმს არასოდეს არ მიუღწევია რამდენადმე მძიმე ან ხანგრძლივად მიმდინარე დაავადების საბოლოო განკურნებისათვის, თუკი მისი დანიშნულების ინგრედიენტი შემთხვევით პომეოპათიური არ იყო, არც იმ გარემოებებმა, რომ ოდესმე ბუნებრივად მომხდარი ყველა განკურნება (§46) განპირობებული იყო ძველ დაავადებაზე ახლის და გამოვლინებებით მსგავსის თანდართვით, მრავალი ათასწლეულის მანძილზე ვერ შეძლეს ესწავლებინათ მათთვის ის ჭეშმარიტება, მხოლოდ რომლის ცოდნასაც შეუძლია ავადმყოფის კეთილდღეობამდე მიყვანა.

§ 62

მაგრამ ის, რითაც პალიატიური ანტიპათიური მკურნალობის დამღუპველი შედეგები და მისი საწინააღმდეგო მკურნალობის ეფექტურობა განისაზღვრება, შემდეგ (არსებულ) მრავალრიცხოვან ფაქტებზე დაკვირვებით აიხსნება. მიუხედავად მათი სიცხადისა, შეგრძნებადობისა და საექიმო ხელოვნებისათვის უსასრულოდ დიდი მნიშვნელობისა, ჩემამდე ისინი არავის გაუცნობიერებია.

§ 63

სასიცოცხლო ძალაზე მოქმედი თითოეული ფაქტორი, თითოეული წამალი, მეტად თუ ნაკლებად არღვევს მას

და ადამიანის ჯანმრთელობის განსაზღვრულ ცვლილებებს იწვევს, მცირე ან დიდი დროის განმავლობაში. ამას **პირველადი მოქმედება** ჰქვია. მიუხედავად იმისა, რომ ის წამლისა და სასიცოცხლო ძალის ერთობლივი მოქმედების შედეგია, ძირითადად მაინც პირველით არის განპირობებული. ჩვენი სასიცოცხლო ძალა ცდილობს მის შემოქმედებას საკუთარი ენერგია დაუპირისპიროს. ეს საპასუხო მოქმედება უკვე ჩვენი სიცოცხლის დამცავ ძალას ახასიათებს და მისი ავტომატური რეაქციაა, რომელსაც **მეორეული მოქმედება** ანუ **უკუქმედება** ჰქვია.

## § 64

შემდგომ მაგალითებში ნაჩვენები იქნება, რომ ჩვენს ჯანმრთელ სხეულზე ხელოვნური პათოლოგიური აგენტების (წამლების) პირველადი მოქმედების დროს, სასიცოცხლო ძალა, როგორც ჩანს მხოლოდ პასიურ (მიმღებ) როლს ასრულებს და იძულებულია გარეგან ხელოვნურ ძალას ნება დართოს მასზე შემოქმედება მოახდინოს და ამით ჯანმრთელობის ცვლილებები გამოიწვიოს. შემდგომში იგი კვლავ იღვიძებს და თავისი ენერგიის შესაბამისად იწვევს (ა) მასზე განხორციელებული შემოქმედების (**პირველადი მოქმედების**) დიამეტრულად საწინააღმდეგო ჯანმრთელობის მდგომარეობას, მით უფრო ძლიერს, რაც უფრო ძლიერი იყო ხელოვნური პათოლოგიური ან წამლისმიერი აგენტის შემოქმედება (**პირველადი მოქმედება**), თუკი ასეთი ბუნებაში არსებობს (**უკუქმედება, მეორეული მოქმედება**); ან (ბ) თუკი ბუნებაში არ არსებობს პირველადი მოქმედების დიამეტრულად საწინააღმდეგო მდგომარეობა, ის მხოლოდ ცდილობს მისი შედეგები, ანუ თავისი უფრო ჭარბი ძალებით გარეგანი (წამლისმიერი) შემოქმედებით განპირობებული დარღვევები

მოიშოროს და ნორმალური მდგომარეობა (მეორეული მოქმედება, სამკურნალო მოქმედება) აღიდგინოს.

## § 65

პირველი შემთხვევის (ა) მაგალითები ყველასათვის ცნობილია. ცხელ წყალში ჩაშვებული ხელი, თავიდან მეორეზე გაცილებით თბილი (პირველადი მოქმედება) ხდება, მაგრამ თუ მას ამოვიღებთ ცხელი წყლიდან და საგულდაგულოდ გავიმშრალებთ, მალე უფრო გაცივდება, ვიდრე მეორე და ასეთ მდგომარეობაში (მეორეული მოქმედება) ხანგრძლივად დარჩება. ინტენსიური ვარჯიშით შემთბარი (პირველადი მოქმედება) ადამიანი შემდგომში კანკალს და მობუზვას იწყებს (მეორეული მოქმედება). წინა დღეს ღვინის ჭარბად დაღვევის შედეგად (პირველადი მოქმედება) „შემთბარ“ ადამიანს მეორე დღეს ჰაერის ყოველი ჩასუნთქვა ზედმეტად ცივად მოეჩვენება (ორგანიზმის უკუქმედება, მეორეული მოქმედება). ცივ წყალში ხანგრძლივად მოთავსების შემდეგ ხელი თავიდან გაცილებით ფერმკრთალი და ცივია მეორეზე (პირველადი მოქმედება), მაგრამ წყლიდან ამოღებული და გამშრალებული, ის მეორეზე არა მარტო თბილი, არამედ ცხელი, წითელი და ანთებითი ხდება (მეორეული მოქმედება, სასიცოცხლო ძალის რეაქცია). ფინჯანი ყავის შემდეგ ზედმეტი გამოცოცხლება (პირველადი მოქმედება) ხანგრძლივი სიზანტითა და ძილიანობით (მეორეული მოქმედება) იცვლება, თუკი მათ მცირე ხნით კვლავ ყავის ახალი ფინჯნით (პალიატიური საშუალება) არ მოვიცილებთ. ოპიუმით გამოწვეული ღრმა, გაბრუებულ ძილში გატარებული ღამის შემდეგ (პირველადი მოქმედება) ავადმყოფი კვლავ უძილობით (რეაქცია, მეორეული მოქმედება) გაიტანჯება. ოპიუმით გამოწვეულ ყაბზობას (პირველადი მოქმედება) ფაღარათი (მეორეული მოქმედება) მოჰყვება, ხოლო

ნაწლავების გამალიზიანებელი საშუალებებით გამოწვეულ ფაღარათის შემდეგ ყაბზობა ვითარდება, რომელიც რამდენიმე დღე (მეორეული მოქმედება) გრძელდება. ზუსტად ასევე, დიდი დოზით ადამიანის ჯანმრთელობაში ცვლილების გამომწვევი წამლის პირველადი ზემოქმედების შემდეგ, ყოველთვის ვითარდება ჩვენი სასიცოცხლო ძალით გამოწვეული, მისთვის სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობა, თუკი როგორც უკვე ადრე იქნა მითითებული, ასეთი რამ ბუნებაში საერთოდ არსებობს.

## § 66

რთული არ არის გავიგოთ, რომ აშკარა ანტაგონისტური მეორეული მოქმედება ჯანმრთელ ადამიანზე არ იქნება შესამჩნევი მანვე აგენტების მინიმალური, ჰომეოპათიური დოზების მოქმედების დროს. სათანადოდ ყურადღებიანი დამკვირვებლისათვის თითოეულის მცირე დოზა, რა თქმა უნდა, შესამჩნევ პირველად მოქმედებას გამოიწვევს, მაგრამ ცოცხალი ორგანიზმი მხოლოდ ისეთ რეაქციას (მეორეული მოქმედება) ავითარებს, რომელიც მხოლოდ ნორმალური მდგომარეობის აღსადგენადაა აუცილებელი.

## § 67

ეს უდავო ჭეშმარიტებანი რომლებიც ბუნებაში სპონტანურად და ექსპერიმენტებში გვხვდებიან, ჰომეოპათიური წამლების სასიკეთო მოქმედებას ხსნიან, იმავდროულად ანტაგონისტური საშუალებებით დაავადებების მკურნალობის ანტიპათიური და პალიატიური მკურნალობის მახინჯ ხასიათს<sup>67</sup> გვაჩვენებენ.

*67. მხოლოდ ყველაზე უფრო გადაუდებელ შემთხვევებში, როცა სასიკედილო საფრთხის და მოახლოებული სიკვდილის*

გამო პომეოპათიური საშუალებების მოქმედების გამოსაყენებლად დრო საკმარისი არ არის (არა თუ საათები, არამედ მეოთხედი საათი ან რამდენიმე წუთიც კი), მანამდე ჯანმრთელებს ადამიანებში მოულოდნელი უბედური შემთხვევების დროს, მაგალითად, მოხრჩობისას განვითარებული ასფიქსიისას დროს სიცოცხლის ნაკედომის, მეხის დაცემის, მოყინვის ან წყალში დახრჩობის და ყველა მსგავს შემთხვევაში, წინასწარი ღონისძიების სახით მისაღები და გონიერულია გაღიზიანებადობისა და მგრძობელობის (ფიზიკური სიცოცხლე) სტიმულირება პალიატიური საშუალებებით: სუსტი ელექტრული ზემოქმედებით ან მაგალითად, მაგარი ყავის ოყნებით, მასტიმულირებელი სუნით ან თბილი სახვევებით ტემპერატურის თანდათანობითი მატებით და ა.შ. როგორც კი მასტიმულირებელი ღონისძიების ეფექტი გამოვლინდება, მაშინვე, ისე როგორც ადრე, სასიცოცხლო ორგანოების ჯანმრთელი მოქმედება იწყება, რამდენადაც ადარ იქნება დაავადება, რომელიც მკურნალობას ექვემდებარება და სასიცოცხლო ძალის მხოლოდ შესუსტებული გამოვლინებები რჩება. აღნიშნული კატეგორიის საშუალებებს მიეკუთვნება სხვადასხვა მოწამელის დროს გამოყენებული ანტიდოტები: ტუტეები მინერალური მჟავებისთვის, გოგირდისთვის, მეტალეებისთვის, ყავა და ქაფური (და იპეკაკუანა) ოპიუმისათვის და ა.შ.

პომეოპათიური წამლების შერჩევის მკდარობაზე არ შეიძლება დასკვნების გაკეთება მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ

\* და მიუხედავად ამისა, ახალი სექტა, რომელიც ორივე სისტემას ერთმანეთში ურევს, მოუწოდებს (თუმცა ამაოდ) ყურადღება მიაქციონ ამ დაკვირვებას, იმისათვის, რომ აღნიშნული გამოჩაყლისის ყველგან აღმოჩენის მცდელობა ყველა დაავადებისათვის საერთო წესად აქციონ, რათა მათთვის მოხერხებული ალოპათიური პალიატიური წამლების და მასთან ერთად ყველა სხვა ალოპათიური ნაყარწყარის გამოყენება გაამართლონ. ყოველივე ეს მხოლოდ იმისათვის სტირდებათ, რომ თავიდან აიცილონ ის პასუხისმგებლობა და სამუშაო, რაც დაავადების თითოეული შემთხვევისთვის პომეოპათიური წამლების შერჩევას ახლავს და უწვადებლად მიიღონ შესაძლებლობა თავს პომეოპათები უწოდონ, მაშინ, როცა სინამდვილეში მათ არ განეკუთვნებიან. მაგრამ მათი ხელოვნება კომპრომიტირებულია, ის მათ მიერ ნიმუშად აღებული სისტემისგან არაფრით განიხრევა.

მისი რომელიმე სიმპტომი ანტიდოტურია დაავადების რომელიმე სუსტად გამოხატული და ნაკლებად მნიშვნელოვანი სიმპტომისთვის. საკმარისია ის, რომ დაავადების სხვა, უფრო ძლიერი, მკაფიოდ გამოხატული (დამახასიათებელი) სპეციფიკური სიმპტომები იმავე წამლით იფარებოდეს და მას ამ მსგავსების საფუძველზე შეესაბამებოდეს. სხვა სიტყვებით, ავადმყოფური სიმპტომები გადაიღობოდეს, ნადგურდებოდეს და ქრებოდეს. რამდენიმე საწინააღმდეგო სიმპტომი აგრეთვე თავისთავად გაქრება ამ დროს წამლის მოქმედების ვადის დამთავრებასთან ერთად და გაჯანსაღებას არ გადაავადებს.

## § 68

**ჰომეოპათიური** განკურნების გამოცდილება გვასწავლის, რომ ამ მეთოდის დროს გამოყენებული წამლების უნივერსალურ მცირე დოზების შემოქმედება (§275–287), მსგავსი ბუნებრივი სიმპტომების გადასალახავად და სასიცოცხლო პრინციპზე შემოქმედების შესაჩერებლად საკმარისია მათი სიმპტომების მსგავსების გამო. უდავოა, რომ ბუნებრივი დაავადების მოსპობის შემდეგ ორგანიზმში მხოლოდ გარკვეული ძალის წამლისმიერი დაავადება რჩება, რომელიც დოზის სიმცირის გამო იმდენად მსუბუქი და ხანმოკლეა და თავისთავად იმდენად სწრაფად ქრება, რომ ჯანმრთელობის ძველი მდგომარეობის აღსადგენად სასიცოცხლო ძალას ამ უმნიშვნელო ხელოვნური დარღვევის წინააღმდეგ მიმართული არავითარი რამდენადმე მნიშვნელოვანი რეაქციის გამოწვევა არ სჭირდება, ანუ ეს შემოქმედება საკმარისი იქნება სრული გამოჯანმრთელების მისაღწევად, რისთვისაც წინამორბედი ავადმყოფური დარღვევის ჩახშობის შემდეგ, მხოლოდ უმნიშვნელო ძალისხმევა (§ 64, ბ) იქნება საჭირო.

## § 69

სრულიად საწინააღმდეგო ხდება ანტიპათიური (პალიატიური) მეთოდით მკურნალობის დროს. წამლისმიერი სიმპტომი, რომელსაც ექიმი ავადმყოფურ სიმპტომს (მაგალითად, ოპიუმის პირველადი მოქმედებით გამოწვეული უგრძობლობა და გაბრუება მწვავე ტკივილებს უპირისპირდება) უპირისპირებს, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელისთვის უცხოდ, ალოპათიურად არ გვევლინება. წამლისმიერ და ავადმყოფურ სიმპტომებს შორის აშკარა ურთიერთობა არსებობს და ეს ურთიერთობა სრულიად საწინააღმდეგო იმისა, რაც სინამდვილეში უნდა გვექონდეს. ამ თანაფარდობიდან სრულიად შეუძლებელს მოელოან, სახელდობრ იმას, რომ ავადმყოფური სიმპტომი საწინააღმდეგო წამლისმიერი სიმპტომით მოისპობა. ეჭვი არ არის, რომ ანტიპათიურად შერჩეული წამალი ორგანიზმის იმავე დაზიანებულ წერტილზე მოქმედებს, რაზეც ჰომეოპათიური, შერჩეული იმ სიმპტომთა მსგავსების საფუძველზე, რომლებსაც ისინი იწვევენ. მაგრამ, პირველი საწინააღმდეგო ავადმყოფურ სიმპტომს მხოლოდ ნაწილობრივ გადაფარავს და მხოლოდ თავისი წინააღმდეგობის ძალის გამო უმნიშვნელო დროით ხდის მას სასიცოცხლო პრინციპისთვის შეუმჩნეველს. ასე რომ, ანტაგონისტური პალიატიური საშუალების მოქმედების პირველ პერიოდში სასიცოცხლო ძალა არც ერთის არანაირ უსიამოვნო ეფექტს (არც ავადმყოფურ და არც წამლისმიერ სიმპტომებს) არ შეიგრძნობს, რამდენადაც როგორც ჩანს, ორივემ ერთმანეთი გამორიცხა და დინამიკურად გაანეიტრალა (მაგალითად, ოპიუმის გამაბრუებელი ძალა ტკივილსაც იმავეს უშვება). პირველ წუთებში სასიცოცხლო ძალა თავს მშვენივრად გრძნობს და ვერ ამჩნევს ვერც ოპიუმის გამაბრუებელ ეფექტს და ვერც ტკივილებს. მაგრამ, რამდენადაც ანტაგონისტურ წამლისმიერ სიმპტომს არ შეუძლია (ისე როგორც ჰომეოპათიური მკურნალობი-

სას) სასიცოცხლო პრინციპის შეგრძნებებიდან გამოაძევოს ორგანიზმში არსებული ავადმყოფური დარღვევები, როგორც მსგავს და უფრო ძლიერ ხელოვნურ დაავადებას, ამიტომ ჰომეოპათიური საშუალების მსგავსად, არ შეუძლია მსგავსი ხელოვნური დაავადებით სასიცოცხლო პრინციპზე იმოქმედოს ისე, რომ პირველადი ბუნებრივი ავადმყოფური მოშლის ადგილი დაიკავოს, რადგანაც პალიატიურმა წამალმა, როგორც, ავადმყოფური პროცესისაგან მთლიანად განსხვავებულმა და მისდამი სრულიად საწინააღმდეგომ, ეს უკანასკნელი ორგანიზმიდან ვერ უნდა განდევნოს. ის, როგორც ზემოთ ითქვა, დასაწყისში დინამიკური ნეიტრალიზაციის<sup>68</sup> მსგავსად, მას სასიცოცხლო ძალისათვის შეუგრძნობლად აქცევს. მაგრამ მისი მოქმედება ისე, როგორც ყველა წამლისმიერი დაავადების დროს, მალე სპონტანურად ქრება და საწყის დაავადებას არა მარტო შეუცვლელ მდგომარეობაში ტოვებს, არამედ (ის, როგორც ყველა პალიატიური საშუალება, ავადმყოფური სიმპტომის მოსაშორებლად დიდ დოზებში უნდა დაინიშნოს) სასიცოცხლო ძალას აიძულებს წამლის ზემოქმედების საწინააღმდეგო (§63-64) და შესაბამისად ბუნებრივი დაავადებით გამოწვეული, ორგანიზმში ჯერ კიდევ არსებული, მოუშორებელი დარღვევის, დაავადების ანალოგიური მდგომარეობა თავიდან მოიცილოს. უკანასკნელი, სასიცოცხლო ძალის დამატებითი ზემოქმედების შედეგად (რეაქცია პალიატიურ საშუალებაზე), აუცილებლად ძლიერდება<sup>69</sup>. ავადმყოფური სიმპტომი (დაავადების ეს იზოლირებული ნაწილი) შესაბამისად მწვავედება პალიატიური საშუალების მოქმედების პერიოდის დამთავრების შემდეგ და პალიატიური წამლის ზემოქმედების პროპორციული ძალით იმატებს. ამის შესაბამისად, ტკივილის მოსახსნელად ოპიუმის რაც უფრო დიდი დოზა დაინიშნება (რათა დაერჩეთ ჩვენი მაგალითის ჩარჩოებში), მით



უფრო ძლიერი იქნება ის (ტკივილები) მისი (ოპიუმის) მოქმედების დამთავრების შემდეგ<sup>70</sup>.

68. ცოცხალ ადამიანში შეუძლებელია მივალწიოთ საწინააღმდეგო და ანტაგონისტური შეგრძნებების იმის მსგავს ნეიტრალიზაციას, რაც აღინიშნება ქიმიურ ლაბორატორიაში, საწინააღმდეგო თვისებების ნივთიერებებს შორის, როცა, მაგალითად, გოგირდმჟავა და კალიუმი შერევისას წარმოქმნის სრულიად სხვა ნივთიერებას, ნეიტრალურ მარილს, რომელიც აღარ არის არც მჟავა და არც ტუტე და აღარ იშლება გაცხელებითაც კი. ასეთი შერევა და საგულდაგულო კომბინირება აბსოლუტურად ნეიტრალური და ინერტული ნივთიერების შექმნის მიზნით, როგორც უკვე ითქვა, წარმატებით არასოდეს დასრულდება ზემოქმედების დინამიკური ხასიათის გამო, ჩვენ მიძლებ ორგანოებზე მისი ანტაგონისტური არსიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევებში მხოლოდ ნეიტრალიზაციისა და ერთმანეთის გამორიცხვის მსგავსი რამ ხდება (ისიც მხოლოდ დასაწყისში), რადგანაც ანტაგონისტურ შეგრძნებებს ერთმანეთის საბოლოო მოშორება არ შეუძლიათ. მგლოვიარეთა ცრემლები მხოლოდ მცირე დროით შეიძლება დაშრეს კომიკური წარმოდგენებით; ხუმრობები მალე მიეცემა დაეიწყებას და ცრემლები ახალი ძალით დაიწყებს დენას.

69. ეს ნათელი მდგომარეობა არასწორად აღიქმებოდა და ბევრი ამტკიცებდა, რომ „პალიატიურ საშუალებას მისი მეორეული მოქმედების დროს, უნარი აქვს არსებული დაავადების მსგავსი სიმპტომების მქონე დაავადება ისეთივე წარმატებით განკურნოს, როგორც კომეოპათიურ საშუალებას – თავისი პირველადი მოქმედებით“. თუმცა არ ითვალისწინებდნენ იმას, რომ მეორეული მოქმედება განპირობებულია არა წამლებით, არამედ მხოლოდ ორგანიზმის ანტაგონისტურად მოქმედი სასიცოცხლო ძალით; ამიტომ პალიატიური საშუალების გამოყენებაზე სასიცოცხლო ძალის რეაქციით განპირობებული მეორეული მოქმედება დაავადებათა სიმპტომების მსგავს მდგომარეობად გვევლინება, რომელსაც პალიატიური საშუალება ამოუძირკვავად ტოვებს და იგი კიდევ უფრო ძლიერდება პალიატიურ საშუალებაზე სასიცოცხლო რეაქციის მეშვეობით.

70. ზუსტად ისე, როგორც ბნელ მიწისქვეშეთში ტყვე ძნელად არწევს მასთან ახლოს მყოფ საგნებსაც კი, ალკო-

პოლის შემოქმედების ქვეშ, უბედური, უცრად დაინახავს განათებულ კამერას ყველაზე უფრო დამამშვიდებელი ფერებში, მაგრამ როგორც კი ალკოჰოლის მოქმედება მთავრდება, ის კვლავ უკუნეთში იძირება, რომელიც მით უფრო ბნელია, რაც უფრო ნათელი იყო წინა გამონათება და მით უფრო გაუჭირდება მას გაარჩიოს გარშემოყოფი საგნები.

## § 70

ზემოთ თქმულიდან არ შეიძლება არ გაკეთდეს შემდეგი დასკვნები: ჯანმრთელობის მდგომარეობაში ყველა ჭეშმარიტად ავადმყოფური ცვლილება და ყველაფერი ავადმყოფური, რისი აღმოჩენაც დაავადებების დროს ექიმს შეუძლია, მხოლოდ ავადმყოფის ტანჯვა და მისი ჯანმრთელობის შესაგრძობი ცვლილებებია, ანუ მხოლოდ იმ სიმპტომთა ერთობლიობაა, რომელთა მეშვეობითაც დაავადება მის მოსარჩენად აუცილებელ წამალს ითხოვს. მეორე მხრივ, ნებისმიერი მასზე მიწერილი შინაგანი, მიზეზი იდუმალი მახასიათებელი ან წარმოსახვითი პათოგენური ნივთიერება სხვა არფერია ფუჭი ოცნებების ნაყოფის გარდა.

ჯანმრთელობის დარღვევები, რასაც ჩვენ დაავადებებს ვუწოდებთ, შეიძლება აღმოიფხვრას ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მხოლოდ წამლებით გამოწვეული სხვა შემოქმედებით. შესაბამისად, მათი სამკურნალო ძალა შესაძლებელია ეყრდნობოდეს მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობის შეცვლის, ანუ სპეციფიკური ავადმყოფური სიმპტომების გამოწვევის უნარს. ეს სამკურნალო ძალა ყველაზე უფრო მკაფიოდ წარმოინდება ჯანმრთელ ადამიანებზე მათი გამოცდის დროს.

მთელი გამოცდილება გვასწავლის, რომ ბუნებრივი დაავადება არასოდეს განიკურნება წამლებით, რომლებიც ჯანმრთელ ადამიანში იმისაგან განსხვავებულ ავადმყოფურ მდგომარეობას იწვევენ (არამსგავს ავადმყოფურ სიმპ-

ტომებს), რომლებიც (მკურნალობას დაქვემდებარებადი დაავადების) მკურნალობისას (ამიტომ ისინი არასოდეს არ შეიძლება ალოპათიურად იქნენ მორჩენილნი) აღმოცენდებიან; და ბუნებაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ უკვე წარმოქმნილი დაავადება მეორის, არამსგავსის თანდართვით მორჩენილიყოს, რამდენადაც ძლიერი არ უნდა იყოს ეს ახალი დაავადება.

უფრო მეტიც, მთელი გამოცდილება ადასტურებს, რომ ხანგრძლივად მიმდინარე დაავადების განკურნება შეუძლებელია ისეთი წამლით, რომელსაც ჯანმრთელ ადამიანში ისეთი ხელოვნური ავადმყოფური სიმპტომის გამოწვევა შეუძლია, რომელიც იმ დაავადების, ერთერთი სიმპტომის ანტაგონისტურია, რომელსაც უნდა ვმკურნალოთ. პირიქით, მხოლოდ დროებითი გაუმჯობესება მიიღწევა, რომელსაც ყოველთვის გამწვავება მოსდევს. ე.ი. ამგვარი ანტაგონისტური და მხოლოდ პალიატიური მკურნალობა ხანგრძლივი, მძიმე დაავადებების დროს აბსოლუტურად არაუფექტურია.

მკურნალობის მესამე და ერთადერთი შესაძლო მეთოდი (ჰომეოპათიური), რომლის დროსაც, წამალი ბუნებრივი დაავადების სიმპტომთა ერთობლიობის შესაბამისად და ისეთი დოზით ინიშნება, რომელსაც ჯანმრთელ ადამიანში მაქსიმალურად მსგავსი სიმპტომების გამოიწვევა შეუძლია. ეს ერთადერთი ეფექტური სამკურნალო მეთოდია, რამდენადაც დაავადებები, სხვა არაფერია, თუ არა საციცოხლო ძალის დინამიკური დაზიანება და ამ მეთოდით ისინი ყველაზე უფრო მსუბუქად, სრულყოფილად და საბოლოოდ აღმოიფხვრებიან და ნადგურდებიან. ეს სასიცოცხლო პრინციპზე ჰომეოპათიური წამლის მსგავსი და უფრო ძლიერი დამაზიანებელი ზემოქმედებით მიიღწევა. მოქმედების ამავე მეთოდს ვხვდებით თვით ბუნების მიერ წარმოდგენილ განკურნების მაგალითებში, როცა ძველ დაავადებას ახალი, მისი მსგავსი დაავადება უერთდება და სწრაფად და საბოლოოდ განკურნავს.

§ 71

რადგანაც ეჭვს უკვე აღარ იწვევს, რომ დაავადებები სხვა არაფერია იმ სიმპტომთა ერთობლიობის გარდა, რომლებიც მხოლოდ იმ წამლებით მკურნალობას ემორჩილებიან, რომლებსაც შეუძლიათ ხელოვნურად გამოიწვიონ ანალოგიური ავადმყოფური სიმპტომები (და ყოველი ჭეშმარიტი გაჯანსაღება ამაში მდგომარეობს), ამიტომ მკურნალობისათვის აუცილებელია პასუხი გავცეთ შემდეგ შეკითხვებს:

- I. როგორ უნდა განსაზღვროს ექიმმა ის, რისი ცოდნაა აუცილებელი დაავადებათა სამკურნალოდ?
- II. როგორ შეუძლია მოიპოვოს ბუნებრივი დაავადებების სამკურნალო ინსტრუმენტების ან წამალთა ავადმყოფობის გამომწვევ ძალების შესახებ ცოდნა?
- III. ამ ხელოვნური პათოლოგიური აგენტების (წამლების) გამოყენების რომელი მეთოდია ყველაზე მეტად ვარგისი ბუნებრივი დაავადებების სამკურნალოდ?

§ 72

პირველი პუნქტის შესახებ წინასწარი ზოგადი ვარაუდი შეიძლება შემდეგი იყოს: დაავადებები, რომლებსაც ეჭვმდებარება ადამიანი, შეიძლება იყოს ან სწრაფად მიმდინარე პათოლოგიური პროცესი, რაშიც დაზიანებული სასიცოცხლო ძალა მონაწილეობს და მეტად თუ ნაკლებად სწრაფად დამთავრების ტენდენცია აქვს, მაგრამ დროის თვალსაზრისით ყოველთვის ხანმოკლეა და მწვავე დაავადებები ჰქვია, ან ხასიათდებოდნენ იმით, რომ ნელნელა, ხშირად შეუმჩნეველად იწყებიან, დინამიკურად აზიანებენ ცოცხალ ორგანიზმს, თითოეული მხოლოდ მისთვის დამ-

ახასიათებელი სახით და თანდათანობით ჯანმრთელობიდან ისეთ გადახრას იწვევენ, რომ სასიცოცხლო ძალად წოდებული ავტომატური სასიცოცხლო ენერგია, რომლის ფუნქციაც ჯანმრთელობის შენარჩუნებაა, მათ წინააღმდეგობის მხოლოდ არასრულყოფილ, არასათანადო და უსარგებლო მცდელობებს უპირისპირებს, მათი დამოუკიდებლად გადალახვის უნარი არა აქვს, იძულებულია იტანჯოს (მათი გავრცელების გამო) და პროგრესირებადი პათოლოგიური ცვლილებები განიცადოს მანამდე, ვიდრე დროთა განმავლობაში ორგანიზმი მთლიანად არ დაირღვევა; ამ დაავადებებს **ქრონიკულს** უწოდებენ. მათ ქრონიკული მიაზმით გამოწვეული დინამიკური დაზიანებები იწვევს.

§ 73

რაც შეეხება მწვავე დაავადებებს, მათ შეუძლიათ ცალკეული ადამიანების დაზიანება, **გამომწვევი მიზეზები** კი ამ დროს იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ მავნე ზემოქმედებას განიცდის თითოეული ადამიანი უფრო მეტად. ზედმეტი ან არასაკმარისი კვება, ძლიერი სულიერი განცდა, ცხოვრების თავაშეებული წესი, ფიზიკური გადაძაბვა, ფსიქიკური გაღიზიანება, ემოციები, ფიზიკური ზემოქმედებები: გადაციება ან გადახურება და სხვა მათი მსგავსი შესაძლებელია მწვავე ცხელებითი დაავადებების მიზეზები იყვნენ. სინამდვილეში ისინი ფარული ფსორის დროებითი გამწვავებებია, რომელიც პასიურ მდგომარეობაში სპონტანურად ბრუნდება, იმ შემთხვევაში თუ მწვავე დაავადებები არც ისე მძიმეა ან მათ ჩავახშობთ. მწვავე დაავადებებს შორის შესაძლებელია ისეთებიც იყოს, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე ადამიანს აავადებენ (**სპორადიულად**) მეტეოროლოგიური, ტელურული ან სხვა მავნე ფაქტორების ზემოქმედების გამო, რომელთა მიმართ ერთდროული მიმღე-

ბლობა შესაძლებელია აღენიშნებოდეს მხოლოდ ადამიანთა მცირე ნაწილს. ამ დაავადებათა მსგავსია ისინი, რომელთა დროს მრავალი ადამიანი აავადდება და აღენიშნება მსგავსი ჩივილები და სიმპტომები ერთი და იმავე მიზეზის გამო (ეპიდემიურად). ასეთი დაავადებები, ჩვეულებრივ ინფექციურები (გადამდები) ხდებიან, თუკი ადამიანთა შემჭიდროებულ მასებში ვრცელდებიან. ასე იწყება ცხელებები<sup>71</sup>, რომლებიც ყოველი შემთხვევის დროს სპეციფიკურია, ყოველ ინფიცირებულ ადამიანში იდენტური წარმოშობის გამო ბიძგს აძლევს მსგავს პათოლოგიურ პროცესებს და საკმაოდ სწრაფად თავდება ავადმყოფის თავისთავად გაჯანსაღებით ან სიკვდილით. არც ისე იშვიათად მათი მიზეზია შიმშილი, გაჭირვება ომის დროს, წყალდიდობა. ზოგჯერ ისინი განპირობებულია სპეციფიკური მწვავე მიაზმებით და იფეთქებენ ზემოთ აღწერილის მსგავს პირობებში, რეციდივების დროს აქვთ მსგავსი გამოვლინებები (ისინი ცნობილია შესაბამისი დასახელებებით) და შეუძლიათ ადამიანთა დაავადება, მაგრამ სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ, როგორცაა მაგალითად, ყვავილი, წითელა, ყივანახველა, სიდენჰამის ქუნთრუშა<sup>72</sup>, ყბაყურა და ა.შ., ან ხშირი რეციდივები ახასიათებთ, თავისი ძირითადი გამოვლინებების შენარსუნებით. უკანასკნელებს განეკუთნება ლევანტური შავი ჭირი, საზღვარ სანაპიროების ყვითელი ცხელება, აზიური ქოლერა და სხვა.

71. ჰომეოპათი, არ ითვალისწინებს ჩვეულებრივი სკოლის მიკერძოებულ დასკვნებს (იორჩევს რა მსგავსი ცხელებების რამოდენიმე დასახელებას, რომელთა გარდა, ძლევამოსილ ბუნებას თითქოს სხვა არაფერი შეუქმნია იმისათვის, რათა ძველი სკოლის წარმომადგენლებს ნება დართოს უმკურნალონ ამ დაავადებებს რაღაც უცვლელი მეთოდით), აგრეთვე არ აღიარებს მორეციდივე ცხელების, ნაღვლისმიერი ცხელების, ტიფოზური ცხელების, გლისტური ცხელების, ნერვული ცხელების ან ლორწოვანი ცხელების დასახელებებს და

თითოეულ მათგანს შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინებით მკურნალობს.

72. 1801 წლის შემდეგ ჩვენთან, დასავლეთიდან შემოსული *purpura miliaris*-ის ერთ-ერთი ნაირსახეობა, ექიმებმა შეცდომით ქუნთრუშად მიიჩნიეს; მიუხედავად იმისა, რომ მათი სიმპტომები აბსოლუტურად განსხვავდებოდა, უკანასკნელის პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება იყო ბელადონა, ხოლო პირველისა – აკონიტი. პირველი დაავადება, ჩვეულებრივ სპორადიული, მეორე კი აუცილებლად ეპიდემიური იყო. შემდგომ წლებში თითქოს ორი დაავადება შეერთდა და წარმოქმნა განსაკუთრებული სახის ცხელება გამოჩაყართ, რომლისთვისაც არც პირველი, არც მეორე საშუალება არ შეიძლება გვემართად პომეოპათიური იყოს.

§ 74

ქრონიკულ დაავადებებზე საუბრისას, არ შეგვიძლია დავივიწყოთ ძლიერმოქმედი, საშიში წამლების დიდი და მუდმივად მზარდი დოზით (ალოპათიური მკურნალობით) გამოწვეული დაავადებები, რომლებიც ხშირად გვხვდება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კალომელის, გოგირდოვანი ვერცხლისწყლის, ვერცხლის ნიტრატის, იოდისა და მისი ნაერთების, ოპიუმის, ქინაქინის ხის ქერქის და ქინინის, სათითურას, სასაქმებლების, ციანიდმჟავას, გოგირდისა და გოგირდმჟავას მრავალწლიანი მიღება<sup>3)</sup>, სისხლის გამოშვება გამფლანგავი ნაკადებით, წურბლები, გარეგანი ხელოვნური დრენაჟები, საფენები და სხვა. ყოველივე ეს სასიცოცხლო ენერგიას დაუნდობლად ფიტავს და თანდათან ასუსტებს (თითოეული ნივთიერება მისთვის დამახასიათებელი სახით) ადამიანს. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ მტრული და დამანგრეველი ზემოქმედებების გადასალახავად სასიცოცხლო ძალამ ორგანიზმში ნამდვილი გადატრიალება უნდა მოახდინოს, რომელიმე ნაწილს მგრძნობელობა და გაღიზიანებადობა წაართვას ანდა პირიქით, უმაღლეს დონემდე ალაგზნოს,

გამოიწვიოს შეკუმშვა ან გაფართოება, მოდუნება, გამკვრივება ან გარკვეული ორგანოების დესტრუქცია და მანიკური ორგანული ცვლილებების წარმოქმნა ორგანიზმის შინაგანი თუ გარეგანი ნაწილების ამა თუ იმ უბანში იმისათვის, რათა ამ მუდმივად განახლებადი მტრული, დამანგრეველი ძალების<sup>74</sup> თავდასხმებით გამოწვეული მოსპობისაგან მთელი ორგანიზმი იხსნას.

73. პლეტორის ერთადერთი შესაძლო შემთხვევა ბუნებაში შეიძლება ვნახოთ ჯანმრთელი ქალის მაგალითზე მენსტრუალური ციკლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, როცა ის გამოვლინდება საშვილოსნოში და მკერდში გარკვეული სისაგისის შეგრძნებით, ანთების ყოველგვარი ნიშნების გარეშე.

74. დაავადებათა მკურნალობის ყველა მეთოდს შორის, რისი წარმოდგენაც ხევენ წარმოსახვას შეუძლია, არ მოიძებნება უფრო ალოპათიური, ირაციონალური და ნაკლებად სასარგებლო, ვიდრე ბრუსსოს მეთოდი, ან გამოძფიტაევი მკურნალობა ვენესექციისა და „მშიერი“ დიეტის საშუალებით, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში დედამიწის სფეროს უდიდეს ნაწილზე გაერცვლდა. მასში ვერცერთი გონიერი ადამიანი ვერაფერს დაინახავს სამედიცინოს ან სასარგებლოს, იმ დროს, როცა ჭეშმარიტ წამლებს, მათი ბრმად შერჩევისა და დანიშენისასაც კი, ზოგჯერ სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, იმის წყალობით, რომ დაავადების კონკრეტულ შემთხვევაში ისინი შესაძლოა შემთხვევით ჰომეოპათიურები აღმოჩნდნენ. ვენესექციიდან კი საღად მოაზროვნე ადამიანი არ შეიძლება მოელოდეს არაფერს, სასიცოცხლო ძალების შემცირებისა და სიცოცხლის შემოკლების გარდა. სავსებით უსაფუძვლოა შეცდომაში შემყვანი განმარტება, რომ სინამდვილეში ყველა დაავადება ადგილობრივი ანთებითაა გამოწვეული. ჭეშმარიტი ადგილობრივი ანთების დროსაც კი ყველაზე სანდო და სწრაფი მკურნალობა ისეთი წამლის დანიშნაა, რომელსაც უნარი აქვს დინამიკურად და უმცირესი დანაკარგების გარეშე ანთებითი პროცესის საფუძველი, არტერიული გაღიზიანება აღმოფხვრას. სისხლის გამოშვებას ადგილობრივად, დაზიანებული ნაწილებიდანაც კი, მხოლოდ უკვე არსებული ანთების გაძლიერება შეუძლია. ზუსტად ასევე ყოველთვის შეუფერებელი და ყოვე-



ელთვის მომაკედინებელია ანთებითი ცხელების დროს ვენიდან მრავალი ფუნტი სისხლის გამოშვება, იმ დროს, როცა შესაფერიხი წამალი სასიცოცხლო სითხეების და ძალების დაკარგვის გარეშე, რამდენიმე საათში მოაშორებს არტერიის აღვზნებას, რომელიც მანამდე მშვიდად მოძრავი სისხლის ბობოქარ მოძრაობას იწვევს. ამდენად, მნიშვნელოვანი რაოდენობის სისხლის დანაკარგი, ცხადია, ვერ აღდგება დარჩენილი ცხოვრების მანძილზე, უზენაესის მიერ სისხლის წარმოსაქმნელად შექმნილი ორგანოები, აღნიშნული პროცედურებისაგან ძლიერ დასუსტდება და საჭირო რაოდენობის სისხლის გამოშუშავება რომც შეძლოს, იგი ძველებურად ხარისხიანი უკვე აღარ იქნება. ამიტომ, რამდენად დაუჯერებელია წარმოსახვითი პლეტორის ეს შესანიშნავი, სწრაფი განვითარება, ამასთან არაბუნებრივია მისი განკურნება სისხლის ხშირი გამოშუშებით, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ საათის წინ ამ აღვზნებული პაციენტის (ცხელების და შემცივნების სტადიის განვითარებამდე) პულსი თანაბარი და მშვიდი იყო. არც ერთ ადამიანს, არც ერთ ავადმყოფს არა აქვს ზედმეტი რაოდენობის სისხლი ან ჭარბი ძალები. პირიქით, ყოველი ავადმყოფი კარგავს ძალას, სხვანაირად სასიცოცხლო ძალა დაავადების განვითარების თავიდან აცილებას შეძლებდა. ამიტომ უაზრობა და სისასტიკეა ავადმყოფის გამოფიტვის გადრმავება სასიცოცხლო ენერჯიის შემასუსტებელი ამ ყველაზე ძლიერი, რისი წარმოდგენაც კი შეგვიძლია, საშუალების გამოყენებით. ეს მომაკედინებელი და მავნე მეთოდი, უაზროდ და სასტიკადაა დაფუძნებული სრულიად უსაფუძვლო და აბსურდულ ვარაუდებზე. ამის ნაცვლად უნდა ვესწრაფვოდეთ დაავადების გამოსდევნას, რომელიც ყოველთვის გვევლინება დინამიკურად და შესაძლებელია დინამიკური ზემოქმედებით აღმოიფხვრას.

## § 75

ადამიანის ჯანმრთელობაზე ამ არაგანმკურნავი ალოპათიური ხელოვნების თავდასხმებს (განსაკუთრებით ბოლო დროს) ქრონიკული დაავადებები ყველაზე ძნელად განკურნებად მდგომარეობაში გადაჰყავთ. სამწუხაროდ, მოვალე ვარ აგრეთვე აღვნიშნო, რომ ასეთი დაავადების

მნიშვნელოვანი განვითარების შემდეგ, პრაქტიკულად შეუძლებელია შევარჩიოთ ან მოვძებნოთ მისი სამკურნალო რომელიმე საშუალება.

## § 76

**გულმოწყალე უფალმა ღმერთმა** ჰომეოპათიით, როგორც ბუნებრივი დაავადებების სამკურნალო საშუალებით დაგვასახუქრა. ადამიანის ორგანიზმის გარედან და შიგნიდან გამომფიტავი და დამანგრეველი მავნე წამლების და დამღუპავი მკურნალობის გამოყენების შემდეგ, ცრუ ხელოვნებაში ხშირად წლობით მიმდინარე ვარჯიშის შედეგად<sup>75</sup> წარმოქმნილი დაავადებები თვით სასიცოცხლო ძალით უნდა განიკურნონ (ამ დროს უნდა მიეცეს შესაფერისი საშუალება, ყოველივე ამის უკან დაფარული შესაძლო ქრონიკული მიაზმის აღმოსაფხვრელად), თუკი ის ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოფიტული ამ ბოროტი მოქმედებებით და შეუძლია რამდენიმე წელი მიუძღვნას ამ მიზნის მიღწევას თავის თავისთვის ზიანის მიუყენებლად. არაგანმკურნავი ალოპათიური ხელოვნების მიერ ასე ხშირად გამოწვეული ურიცხვი პათოლოგიური მდგომარეობების სამკურნალოდ ადამიანისთვის ხელმისაწვდომი სხვა საექიმო ხელოვნება არ არსებობს და არც შეიძლება არსებოდეს.

75. თუ ბოლოს და ბოლოს ასეთი მკურნალობის შემდეგ ავადმყოფი იღუპება, ჩვეულებრივ, სიკვდილის შემდგომ გაკვეთაზე ალოპათი დამწუხრებულ ნათესავეებთან ღემონსტრირებას უკეთებს იმ შინაგან ორგანულ ცვლილებებს, რომლებიც მისი ფსევდოხელოვნების წყალობით ჩამოყალიბდნენ, მაგრამ მათ ის დიდი ხელოვნებით წარმოაჩენს საწყისი მოურჩენელი დაავადებების ნიშნებად (იხ. ჩემი წიგნი *Die Allopathie, ein Wort der Warnung an Kranke jeder Art, Leipzig, bei Baumgartner* ინგლისურ ენაზე ნათარგმნია წიგნში „*Lesser Writings*“). ეს დამაბნეველი ჩანაწერები, პათოლოგიური ანატომიის ილუსტრირებული ნაშ-

რომები, ასეთი საცოდავი და მოუქნელი მუშაობის შედეგია. გლეხები და ქალაქელი ღარიბი ავადმყოფები, რომლებიც მკურნალობის მანე მეთოდების მქონე უხეირო ექიმების დახმარების გარეშე გარდაიცვალნენ, როგორც წესი პათოლოგ-ანატომიურ გაკვეთას არ ექვემდებარებიან. გაკვეთასზე მსგავსი გადახრები და დეფორმაციები მათ სხეულში არ გვექნებოდა. ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს შესანიშნავი ილუსტრაციებიდან, აგრეთვე პატიოსანი ავტორებისგან და მსგავსი წიგნების შემდგენლებიდან გავიგოთ დაავადებათა შესახებ მიღებული ხილული ინფორმაციის ჭეშმარიტი ფასი.

## § 77

ქრონიკულების რანგს შეცდომით მიაწერენ დაავადებებს, რომლებიც ისეთ ადამიანებს ემართებათ, ვინც თავის თავს ნებაყოფილობით უქვემდებარებს სრულიად მოსახსნელ დამღუპველ ზემოქმედებებს, ისინი ვისაც მანე საკვებისა და სასმელის ბოროტად გამოყენების ჩვევა ან ჯანმრთელობის გამოძფიტავი ყოველგვარი გადაჭარბებისკენ აქვთ მიდრეკილება; ასევე სიცოცხლისათვის აუცილებელი ნივთებისგან ხანგრძლივ თავშეკავება, არაჯანსაღ, განსაკუთრებით ჭაობიან ადგილებში, სარდაფში ან სხვა დახშულ სათავსოებში ცხოვრება, გონების ან სხეულის გადაძაბვა, მუდმივ ზრუნვაში ცხოვრება და სხვა მრავალი ისეთი მდგომარეობა, რომელსაც ადამიანი თვითონ დაიტეხს თავს და თუ მათ ორგანიზმში დაფარული ქრონიკული მიაზმი არ უწყობს ხელს, თავისთავად სწრაფად გაქრება ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისას და ამიტომ, მათი ქრონიკულ დაავადებად მიჩნევა არ შეიძლება.

§ 78

ჭეშმარიტად ბუნებრივ ქრონიკულ დაავადებებს უწოდებენ მათ, რომლებიც ქრონიკული მიაზმის შედეგად ვითარდებიან, თავის თავს არიან მინდობილი, არ ნელდებიან სპეციალურად მათთვის ნაწვენები წამლების გამოყენებით, ყოველთვის ძლიერდებიან და მიძიმდებიან, მიუხედავად გონებისა და სხეულისთვის საჭირო პირობების შექმნისა და სიცოცხლის ბოლომდე სულ უფრო და უფრო ტანჯავენ პაციენტს. საექიმო პრაქტიკის სავალალო შეცდომებით გამოწვეული (§74) დაავადებების გარდა, ისინი ადამიანთა მოდგმის უდიდესი უბედურებებია, რადგანაც ყველაზე ძლიერი კონსტიტუცია, საუკეთესო ცხოვრების წესი და ყველაზე მძლავრი სასიცოცხლო ძალაც კი მათ აღმოსაფხვრელად საკმარისი არ არის<sup>76</sup>.

76. სიჭაბუკის ყვაეილოვან წლებში, რეგულური მენსტრუაციის დაწყებისას, სულისა და სხეულისათვის განსაკუთრებით სასიკეთო ცხოვრების წესის დროს ისინი ხშირად მრავალი წლის განმავლობაში ამოუცნობი რჩებიან. დაავადებული ნათესავეებისა და ნაცნობების ყურადღებას სრულყოფილი ჯანმრთელობით იქცევენ და ინფიცირება ან მშობლებისგან მიღებული მემკვიდრული დაავადება სრულიად შეუმჩნეველია. მაგრამ შემდგომში, არასასურველი მოვლენებისა და სასიცოცხლო გარემოებების ზემოქმედების შემდეგ, ისინი აუცილებლად გამოვლინდებიან და მათი განვითარება მით უფრო სწრაფი და მით უფრო სერიოზული იქნება, რამდენადაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდება დამასუსტებელი ვნებების, განგაშისა და ზრუნვის, განსაკუთრებით კი, შეუსაბამო სამედიცინო მკურნალობის ზემოქმედებით გამოწვეული სასიცოცხლო პრინციპის დაზიანება.

§ 79

აქამდე მხოლოდ სიფილისი იყო ნაწილობრივ აღიარებული, ასეთ ქრონიკულ მიაზმურ დაავადებად, რადგანაც

მკურნალობის გარეშე ის მხოლოდ ავადმყოფის სიცოცხლის დამთავრებასთან ერთად წყდებოდა. სიკოზიც (კონდილომატოზური დაავადება) ვერ განიკურნება სასიცოცხლო ძალით სათანადო წამლისმიერი მკურნალობის გარეშე; მას არ მიიხნევენ თავისებურ, მიაზმურ დაავადებად, რადაც უცილობლად გვევლინება. ექიმებს კი მიაჩნიათ, რომ მას კანის წანაზარდების დარღვევით არჩენენ და ამ დროს არსებულ დისკრაზიას ყურადღებას არ აქცევენ.

§ 80

ახლა ხან ზემოთ ჩამოთვლილ ორ მიაზმზე უთვალავჯერ უფრო მნიშვნელოვანი და ფასეულია ფსორის ქრონიკული მიაზმი. ის ისევე, როგორც პირველი ორი, რომლებიც მათთვის დამახასიათებელ დისკრაზიებს ავლენენ, ერთი ვენერული შანკრით, მეორე კი მთელ სხეულში ყვავილოვანი კომბოსტოს მსგავსი წანაზარდებით, თავისი გაერცვლების დასასრულს კანზე სპეციფიკური გამონაყარით, ზოგჯერ მხოლოდ რამდენიმე ბუშტულით გვამცნობს, რომლებსაც აუტანელი ჩხვლეტა და ქავილი (აგრეთვე სპეციფიკური სუნი) ახლავს თან. საზარელი შინაგანი ქრონიკული მიაზმი, ფსორა, ყველა სხვა, მე ვიტყვდი, დაავადების ურიცხვი<sup>77</sup> ფორმის: ნერვული სისუსტის, ისტერიის, იპოქონდრიის, მანის, მელანქოლიის, გონებასუსტობის, სიგიჟის, ეპილეფსიისა და ნებისმიერი სახის კრუნჩხვების, ძვლების დაზიანების (rachitis), სქოლიოზისა და კიფოზის, კარიესის, კიბოს, სოკოს, ახალწარმონაქმნების, სიყვითლის, ციანოზის, წყალმანკის, ამენორეის, კუჭიდან, ცხვირიდან, ფილტვებიდან, შარდის ბუშტიდან ან საშვილოსნოდან სისხლდენის, ასთმისა და ფილტვებში კავერნოზული პროცესის, იმპოტენციის და უნაყოფობის, შაკიკის, სიყრუის, სიბრმავის, საშარდე ორგანოებში ქვების, დამბლის, გრძნობათა ორგა-

ნოების დეფექტების, ათასი სახის ტკივილისა და ა.შ., რომლებიც პათოლოგიური მდგომარეობების სისტემატიზაციის შესახებ ნაშრომებში ფიგურირებენ, როგორც თავისებური, დამოუკიდებელი დაავადებები, ერთადერთ რეალურ ფუნდამენტალურ მიზეზად გვევლინება.

77. თორმეტი წელი გავატარე არასეულებრივად მრავალფეროვან ქრონიკულ დაავადებათა მიზეზების კვლევაში, იმ დიადი ჭეშმარიტების გასარკვევად და დამაჯერებელი ფაქტებით დასასაბუთებლად, რომელიც ძველი და თანამედროვე მედიკურებისათვის უცნობი რჩება და ასევე, ძირითადი (ფსორის საწინააღმდეგო) საშუალებების ძიებაში, რომლებიც ყველა ერთად დაავადებათა ათასთავიანი მონსტრის თითქმის თანაბარ მეტოქედ გვევლინება, მის სხვადასხვა ვარიანტებსა და ფორმებში. ჩემი დაკვირვებები ამის თაობაზე წიგნში <<ქრონიკული დაავადებები>> (4 ტომი Dresden, Arnold, II გამოცემა, Düsseldorf Schaub) გამოვაქვეყნე. ამ ცოდნის შექმნამდე, შემეძლო მესწავლებინა მხოლოდ ის, თუ როგორ ეუმკურნალოთ ურიცხვ ქრონიკულ დაავადებებს როგორც იზოლირებულსა და განსაკუთრებულს იმ სამკურნალწამლო ნივთიერებებით, რომლებიც ამ დროის-თვის უკვე გამოცდილი იყო ჯანმრთელ ადამიანებზე. ამიტომაც ჩემი მიმდევრები ქრონიკული დაავადებების ყოველ შემთხვევას მათი სიმპტომების ერთობლიობის შესაბამისად, როგორც იდიოპათიურ დაავადებას მკურნალობდნენ და ამ დროს ხშირად შესანიშნავ შედეგებს აღწევდნენ. გატანჯული კაცობრიობა აღტაცებულია ახალი სამკურნალო ხელოვნების მიერ შეგროვილი სამკურნალწამლო საშუალებების დაუმრეტელი საგანსურით. ახლა კი, სიხარულის მიზეზი კიდევ უფრო არსებითი გახდა, რადგანაც შესამჩნევად მივუახლოვდით სასურველ მიზანს და ეს დაკავშირებულია ფსორით განპირობებული ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ ცოტა ხნის წინ აღმოჩენილ და გაცილებით უფრო სპეციფიკურ პომეოპათიურ საშუალებებთან, მათი მომზადების და გამოყენების წესების დაბეჭდვასთან და გამოქვეყნებასთან. ამ საშუალებებიდან ჭეშმარიტ ექიმებს უკვე შეუძლიათ ისეთი სამკურნალო ნივთიერებების ამორჩევა, რომელთა წამლისმიერი სიმპტომები ყველაზე უფრო (პომეოპათიურად) შეესაბამება ქრონიკულ დაავადებას,

რომელსაც მკურნალობენ. ამ მიაზმის უფრო შესაფერისი (ფსორის საწინააღმდეგო) წამლის გამოყენებით, ექიმი უკეთესად დაეხმარება პაციენტს და თითქმის ყოველთვის სრულ განკურნებას მიაღწევს.

§ 81

ის ფაქტი, რომ ამ არაჩვეულებრივად ძველმა ინფექციურმა აგენტმა, ასეულობით თაობის არსებობის განმავლობაში მილიონობით ადამიანის ორგანიზმში გაიარა და ამით თანდათანობით არაჩვეულებრივად განვითარდა, საშუალებას გვაძლევს იმ უთვალავ ავადმყოფურ მდგომარეობაში, რასაც ადამიანთა მოდგმა ექვემდებარება, ასე თუ ისე ავხსნათ მათი გამოვლენის ამჟამინდელი უნარი, მითუმეტეს, თუ ქრონიკული დაავადებების (ფსორის მეორეული სიმპტომების) გაჩენის ხელშემწყობ ასეთ მრავალრიცხოვან გარემოებებს გავითვალისწინებთ<sup>78</sup>, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანთა სხეულის თანდაყოლილი კონსტიტუციის უსაზღვრო მრავალფეროვნებაზე. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს ის, რომ ამდენად განსხვავებულ, მაგრამ ფსორით ინფიცირებულ ადამიანებზე შინაგანად და გარეგანად ზოგჯერ მუდმივად მოქმედი, ამდენი მრავალრიცხოვანი მავნე ფაქტორის ზემოქმედების შედეგად ურიცხვი დეფექტი, დაზიანება და დარღვევა ვითარდება, აქამდე ისინი ძველ ნაშრომებში<sup>79</sup> განიხილებოდნენ როგორც საკუთარი დასახელების მქონე დამოუკიდებელი პათოლოგიები.

78. ფსორის ქრონიკულ დაავადებაში გადასვლაზე მამოდიფიცირებლად მოქმედი, ამ მიზეზებიდან ზოგიერთი, ზოგჯერ პავეით ან საცხოვრებელი ადგილის სპეციფიკური ფიზიკური მახასიათებლებით, ზოგჯერ სიყმაწვილეში გონებისა და სხეულის ზედმეტად მრავალფეროვანი ვარჯიშით (რაც თავის დროზე შესაძლოა უგულვებელყოფილი იყო, როგორც მეორეხარისხისოვანი, ან ზედმეტი ვარჯიშის სახით – ბოროტად

გამოყენებული). ზოგჯერ ზედმეტი შრომით, ან ცხოვრების ისეთი გარემოებების უკიდურესობებით, როგორცაა რეკიმი და დიეტა, უნებები, ეველაზე სხვადასხვა ჩვევებითა და ჩვეულებებით განისაზღვრება.

79. რამდენადაც ეს ნაშრომები ბევრ უზუსტობას და ორმაგი აზრის მატარებელ დასახელებებს შეიცავს, თითოეული მათგანი სრულიად სხვადასხვა, ხშირად მხოლოდ ცალკეული სიმპტომებით ერთმანეთის მსგავს პათოლოგიურ მდგომარეობებს აერთიანებს, როგორცაა, მაგალითად, ჭაობის ცხელება, სიყვითლე, წყალმანკი, ჭლეჩი, ლეიკორეა (თეთრად შლა), ბუასილი, რემეტიზმი, აპოპლექსია, ისტერია, იპოქონდრია, მელანქოლია, მანია, ყბაყურა, დამბლა და ა.შ. რომლებსაც აღწერენ როგორც მუდმივ და უცვლელი სახის დაავადებებს და მათ თავისი დასახელებების (ლიავნოზის) შესაბამისად გარკვეული სქემის მიხედვით მკურნალობდნენ! როგორ შეუძლია ასეთი სახელის მინიჭებას წამლით მკურნალობის იდენტიურობა გაამართლოს? თუკი მკურნალობა ყოველი შემთხვევის დროს ერთნაირი არ უნდა იყოს, მაშინ რა სარგებელია იდენტურ დასახელებებში, რომლებიც იდენტურ მკურნალობას განსაზღვრავენ? <<Nihil sane in artem medicam pestiferum magis unquam irrepit malum, quam generalia quaedam nomina morbis imponere iisque aptare velle generalem quondam medicinam>> [<<სინამდვილეში სამკურნალო ხელოვნებაში არ იყო არაფერი უფრო დამლუპველი, ვიდრე დაავადებათა ზოგადი დასახელებების დადგენა და მათ საკურნალოდ გარკვეული წამლის გამოყენების სურვილი>>] – ამბობს გაკეში, აღამიანი ისეთივე გამჭოლავი, რამდენადაც პარტისაცემი, თავისი წესიერების გამო (Op.phys. med., ტომის). მსგავსი რამ აწუხებს ფრიტცესაც (ანალები, I გვ. 80) იმიტომ, რომ „არსებითად სხვადასხვაგვარი დაავადებები აღინიშნება ერთი და იმავე დასახელებით“. იმ ინფექციურ დაავადებებსაც კი, რომელთა ეპიდემიები უდავოდ შესაძლებელია **იზოლირებულად მიმდინარეობდეს** და ჯერ კიდევ ჩვენთვის უცნობი სპეციფიკური ინფექციური აგენტების საშუალებით ვრცელდებოდეს, ძველი სამედიცინო სკოლა ზუსტად ისე აღნიშნავს სპეციფიკური დასახელებებით, თითქოს ისინი კარგად ცნობილი, უცვლელი, ყოველთვის ერთი და იმავე ფორმით მიმდინარე დაავადებები იყოს, ისეთები. როგორც **ჰოსპიტალური ცხელება, ციხის ცხელება, ბანაკის ცხელება, ჩირქოვანი ცხელება, ნაღვლისმიერი ცხელება, ნერვული ცხელება, ლორ-**



**წოვანი ცხელება**, თუმცა ასეთი ცხელებების თითოეული ეპიდემია ყოველთვის ელინდება, როგორც სხვა ახალი დაავადება, რომელიც მიმდინარეობის თავისებურების, წამყვანი სიმპტომებისა და ყველა გამოვლინებით იმ სახით წარმოგვიდგება, თითქოს ადრე არასოდეს შეგვხვედრია. თითოეული მათგანი, რა სახელიც არ უნდა ერქვას, სხვებისაგან იმდენად მნიშვნელოვნად განსხვავდება, რომ ჩვენს ყველა მწკობრ ლოგიკურ წარმოდგენას არღვევს იმაზე, თუ რა საშუალება უნდა იქნეს დანიშნული ერთმანეთისაგან ამდენად განსხვავებული, თუმცა პათოლოგიის შესახებ ნაშრომებში ერთი სახელით მოხსენიებული დაავადებების მკურნალობის დროს და უხვევენ მათი ამ დასახელებების მიხედვით მკურნალობის შეუძლებლობას. ამას მხოლოდ მიუკერძოებელი სიდენაში ხედებოდა (*Obs. med. cap. II De morb. epid*) და დაუინებით მოითხოვდა არ განეხილათ ნებისმიერი ეპიდემიური დაავადება როგორც უკვე ადრე არსებული და არ ემკურნალათ მისთვის ისე, როგორც წინამორბედისთვის, გამომდინარე მხოლოდ წარსულის წარმატებული მკურნალობიდან, რადგანაც ისინი ყოველთვის ასე მრავალრიცხოვანი და ერთმანეთისაგან განსხვავებულია: <<*Nihil quiequam (opinor) anamum universac qua patet medicinae pomoeria perlustrantem, tanta admiratione percellet, quam discolor illa et sui plahe dissimlis morborum Epidemicorum facies; non tam qua varias ejusdem anni tempestates, quam qua discrapapatens diversorum ab invicem annorum constiutions referunt, abiisque dependent. Quae tam aperta praedictorum morborum diversitas tum propriis ac sibi pequiliaribus symptomatic, tum etiam medendi ratione, quam hi ab illis disparem prorsus sibi vendicant, satis illucescit. Ex quibus constat morbus hosce, ut ut externa quadantenus specie, er simptomatis aliqot utrisque pariter supervenientibus convenire, Paulo incautioribus videantur, re tamen ipsa (si bene adverteris animum), alienae admodum esse indolis, et distare ut aere lupines>>.*

[„არაფერი ისე არ აოცებს და აკვირებს მედიცინის შემსწავლელის გონებას, როგორც სხვადასხვა ეპიდემიური დაავადების მრავალფეროვნება და განსხვავებაულობა. ამ დაავადებათა აშკარა განსხვავება საკმაოდ ნათელი ხდება, როგორც მათი საკუთარი მახასიათებლებით, ასევე მკურნალობის მეთოდების შედეგებით, რომლებიც ერთიმეორისგან განსხვავებულობით აღნიშნული სხვადასხვაობის დემონსტრირებას ახდენენ. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ინფექციური დაავადება გარეგანი გამოვლინებებით შესაძლოა

მსგავსი მოგვეჩვენოს, სინამდვილეში, თუკი მათ უფრო ყურადღებით შევისწავლით, თავისი არსით ერთი მეორისაგან ისევე განსხვავებული აღმოჩნდება, როგორც ნამდვილი ფული ყალბისაგან”].

ყოველივე ამის გამო ცხადია, რომ დაავადებათა არასწორი და უსარგებლო დასახელებები ჭეშმარიტი ექიმის მუშაობაზე არანაირ ზეგავლენას არ უნდა ახდენდეს; მასზე ვისაც ესმის, რომ დაავადებაზე საკუთარი აზრი უნდა შექმნას და უმკურნალოს არა დასახელებების და მსგავსი სიმპტომების, არამედ თითოეული ინდივიდუალური შემთხვევის, თითოეული ცალკეული პაციენტის მდგომარეობის თავისებური ნიშნების ერთობლიობის მიხედვით, რომ მისი მოვალეობაა აეადმყოფის მდგომარეობის საგულდაგულო გამოკვლევა და არაერთარ შემთხვევაში მასზე პიპოტეზური მსჯელობა.

მიუხედავად ამისა, თუ დაავადებათა დასახელების გამოყენება ზოგჯერ აუცილებლად მიგვანჩნია, რათა აეადმყოფის მდგომარეობა ჩვეულებრივი ადამიანებისათვის გასაგები ენით რამდენიმე სიტყვით აღვწეროთ, ისინი უნდა გამოვიყენოთ როგორც ზოგადი დასახელებები, მაგალითად აეადმყოფს აქვს წმინდა ვიტეს ცეკვის სახესხვაობა, წყალმანკის სახესხვაობა, პარტახტიანი ტიფის სახესხვაობა, ჭაობის ცხელების სახესხვაობა, მაგრამ (რათა მაშინვე აღვკვეთოთ ასეთი დასახელებების გამო წარმოშობილი მცდარი მსჯელობა) არასოდეს არ უნდა ვთქვათ, რომ აეადმყოფს აქვს სახელდობრ წმინდა ვიტეს ცეკვა, სახელდობრ პარტახტიანი ტიფი, სახელდობრ წყალმანკი, სახელდობრ მაღარია, რადგანაც ასეთი და მსგავსი დასახელებების მქონე „უცვლელი, „გაყინული“ დაავადებები არ არსებობენ.

## § 82

ქრონიკული დაავადებების ამ მძლავრი წყაროს, ისევე, როგორც ფსორის საწინააღმდეგო წამლების აღმოჩენით, მედიცინა მკურნალობას დაქვემდებარებული უმეტესი დაავადებების ბუნების შეცნობას კიდევ რამდენიმე ნაბიჯით მიუახლოვდა. მიუხედავად ამისა, დაავადების ყოველი შემთხვევის ჩვენებების ძიებისას, რომლის სამკურნალოდაც ის

არის მოწოდებული, ექიმი-ჰომეოპათი მოვალეა ყურადღებით გამოავლინოს ყველა სარწმუნო სიმპტომი და მახასიათებელი და ამ აღმოჩენის შემდეგ მისი მოვალეობის მნიშვნელობა არ შემცირებულა, რადგანაც არც ერთი ჭეშმარიტი გაჯანსაღება არ შეიძლება მოხდეს დაავადების თითოეული შემთხვევის მკაცრად ინდივიდუალური მკურნალობის გარეშე (ინდივიდუალისაცია). ქრონიკული დაავადების დროს გამოკვლევა მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მწვავე დაავადებათა სიმპტომები მაშინვე ახდენენ ჩვენზე მძლავრ ზემოქმედებას, ზოგადი მგრძობელობისათვის სწრაფად ხდებიან აღსაქმელი და ამიტომ, რამდენადაც პრაქტიკულად ყველაფერი თავისთავად ნათელია, გაცილებით ნაკლები შეკითხვები<sup>80</sup> და დრო გვჭირდება, რათა დაავადების შესახებ წარმოდგენა შეგვექმნას. წლების განმავლობაში თანდათანობით განვითარებული ქრონიკული დაავადებების დროს კი, სარწმუნო სიმპტომების გამოვლენა გაცილებით უფრო რთულია.

*80. რამდენადაც მწვავე დაავადებების შემთხვევებში სიმპტომების შესწავლის შემდგომი მიმართულებანი მხოლოდ ნაწილობრივ არიან მისაღები.*

### § 83

**დაავადების შემთხვევის შესწავლის** ის ინდივიდუალ-იზირებული სქემა რომელსაც ქვემოთ მხოლოდ ზოგადად მოვიყვან, ექიმს მხედველობაში უნდა ჰქონდეს, როგორც ერთადერთი მისაღები ყოველ კერძო შემთხვევაში. ის მისგან **არაფერს** არ ითხოვს, **ჯანსაღი აზრის, ცრურწმენისაგან თავისუფლების**, დაკვირვებისას ყურადღების და დაავადების ზუსტი სურათის აღდგენის გარდა.

§ 84

ავადმყოფი დაწვრილებით ყველა თავისი გასაჭირის ისტორიას; მისი გარშემომყოფნი ყვებიან, თუ რა ჩივილები გაუგიათ, როგორ იქცეოდა, რა ცვლილებები შეამჩნიეს მის მდგომარეობაში; ექიმი უყურებს, უსმენს და გრძნობათა სხვა ორგანოებით აღიქვამს, რა შეიცვალა ან რა არის არაჩვეულებრივი პაციენტის მდგომარეობაში. იმავე სიტყვებით, აკურატულად იწერს ყველაფერს, რასაც პაციენტი ან მისი მეგობრები ყვებიან. ყურადღებით უსმენს, ღუმს და ყველაფრის მოყოლის საშუალებას აძლევს, არ აწყვეტინებს<sup>81</sup> სანამ თავისთავად სხვა თემაზე არ გადავლენ. დასაწყისშივე ექიმი აფრთხილებს მათ არ იჩქარონ, რათა საშუალება ჰქონდეს მონათხრობიდან ყველაზე მთავარი ჩაიწეროს.

*81. ყოველი შეკითხვა მთხრობელის ფიქრების მიმართულებას წყვეტს და ყველაფერი რისი მოყოლაც მას თავიდან უნდოდა უკვე აღარ იქნება გადმოცემული იმავე სიტყვებით.*

§ 85

ავადმყოფის ან მისი მეგობრების მიერ აღნიშნულ ყოველ ახალ გარემოებას, ექიმი ახალი ხაზიდან იწერს, ასე რომ სიმპტომები ცალ-ცალკე, ერთმანეთის ქვეშ იწერება. ასე მას შეუძლია შეუძლია ნებისმიერი მათგანის აღწერა განავრცოს, თუ პირველ მონათხრობს შემდგომში ახალი წვრილმანები დაემტება.

§ 86

როცა პაციენტი დაამთავრებს იმის მოყოლას, რაც მას უნდოდა, ექიმი მოვალეა ყოველი კერძო სიმპტომის შესახებ უფრო ზუსტი მონაცემები შეკრიბოს და ეს შემდგომში იმდენად

კეთდება: ის ერთიმეორის მიყოლებით ხელახლა კითხულობს ყველა შეკრებილ სიმპტომს და ყოველი მათგანისთვის შემდეგ დეტალებს აზუსტებს: „მაგალითად, როდის განჩნდა ეს სიმპტომი? ეს მოხდა გამოყენებული წამლის მიღებამდე, მისი მიღებისას, თუ მხოლოდ მისი მიღების დამთავრებიდან რამდენიმე დღეში? როგორია ტკივილების ხასიათი და კერძოდ, როგორი შეგრძნებები აქვს მოცემულ ადგილში? ზუსტად სად არის მტკივნეული ადგილი? წარმოიქმნება თუ არა ტკივილი თავისთავად, შეტვევისმაგვარია თუ არა და როდის აღინიშნება? ან შესაძლოა ის ხანგრძლივია შესუსტების პერიოდების გარეშე? რამდენ ხანს გრძელდება? დღე-ღამის რომელ პერიოდში და სხეულის რომელ მდგომარეობაშია ავადმყოფი უკეთესად, უარესად, ან ძალიან ცუდად? ზუსტად რა სახის იყო, თუ კი აღვწერთ უბრალო სიტყვებით, ესა თუ ის მოვლენა თუ გარემოება?

## § 87

ამგვარი მონათხრობით თითოეული პუნქტის შესახებ ექიმი უფრო ზუსტ ინფორმაციას იღებს, მაგრამ შეკითხვები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუსვას იმგვარად, რომ პასუხები წინასწარ განსაზღვროს<sup>82</sup>, ანუ პაციენტი იძულებული გახადოს, რომ მან მხოლოდ „დიახ“ ან „არა“ უპასუხოს. დაბნეული პაციენტი დაეთანხმება ან უარყოფს ტყუილს, ნახევრადსიმართლეს, ან არც ისე ზუსტად გადმოცემულ მდგომარეობებს, სიზარმაცის გამო ან იმის სურვილით, რომ თავის ექიმს ასიამოვნოს. ეს დაავადების შესახებ არასწორი წარმოდგენის შექმნასთან და მკურნალობის არასწორი წამლის არჩევასთან მიგვიყვანს.

82. მაგალითად, ექიმმა არ უნდა პკითხოს: „ქონდა თუ არა ადგილი ამა თუ იმ გარემოებას“. მან არასოდეს არ უნდა გააკეთოს ასეთ მინიშნებები, რადგანაც ამით ავადმყოფი შეც-

დოქაში შეჰყავს და იმისაკენ უბიძგებს, რომ თავისი სიმპტომების შესახებ არასწორი ან დამახინჯებული პასუხი მისცეს.

### § 88

თუკი ამ თავისუფალ მონათხრობში არ იქნება ნათქვამი ფსიქიკის, სხეულისა და მათი მოქმედების მრავალი ასპექტის შესახებ, მაშინ ექიმმა უნდა სთხოვოს პაციენტს ამ ორგანოებისა და მათი ფუნქციონირების, ასევე მისი ფსიქიური მდგომარეობისა და განწყობის შესახებ<sup>83</sup> მონათხრობის შევსება. ამ დროს ექიმმა სრულიად ზოგადი შეკითხვები უნდა დასვას, რათა მოვლენების დეტალები და წერილმანები მთხრობელებმა თვითონ აღწერონ.

83. მაგალითად, როგორია განაეალი?! როგორ გამოიყოფა შარდი, როგორია დღის და ღამის ძილი, როგორია გუნება-განწყობა და მახსოვრობა? როგორ არის გამოხატული წყურვილი, როგორი გემო აქვს პირში, რომელ სასმელს და საჭმელს აძლევს უპირატესობას და რომელი იწვევს ზიზღს? ყველა საკვებს მისთვის დამახასიათებელი გემო აქვს, თუ თავისებური გემო გააჩნია? როგორია გუნება-განწყობა ჭამისა და სმის შემდეგ? შეუძლია თუ არა რამე თქვას თავის, კიდურების ან მუცლის შესახებ?

### § 89

როცა ავადმყოფი (რადგანც ძირითადად მისგან მოველით ავადმყოფური შეგრძნებების აღწერას, თუკი საქმე სიმულაციასთან არ გვაქვს) ექიმის შეკითხვების საპასუხოდ საკუთარი ნებით დაავადების შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად საჭირო ყველა დეტალს მოგვითხრობს, ექიმს შეუძლია და უნდა (თუკი ის

გრძნობს, რომ მიღებული ცნობები არასაკმარისია) მისცეს უფრო ზუსტი, უფრო სპეციალური შეკითხვები<sup>84</sup>.

84. მაგალითად, <<რამდენად ხშირია კუჭის მოქმედება? ზუსტად როგორია გამონაყოფები? მოთეთრო გამონადენი შედგება განაელის თუ ლორწოსაგან? განიცდის თუ არა ტკივილს დეფეკაციის დროს? როგორია ტკივილები, მათი ზუსტი ხასიათი და ლოკალიზაცია? როგორია პირნალები მასა? ხომ არ აქვს პირში გახრწნილის, მწარე, მჟავე ან რაიმე სხვა უსიამოვნო გემო? ის შეიგრძნობა ჭამის დროს, მანამდე თუ მას შემდეგ? დღის რომელ დროს არის გამოხატული განსაკუთრებით ძლიერ? როგორი ელფერი აქვს ბოყინს? იმღვრევა თუ არა შარდი როცა გავაჩერებთ, თუ თავიდანვე მღვრევა? როგორია შარდი გამოყოფისას? როგორია ნალექის ფერი? როგორ სძინავს ღამე, ხომ არ ტირის, ხომ არ კენესის, ხომ არ წამოიყვირებს, ხომ არ ლაპარაკობს, ხომ არ ბორგავს? ხომ არ ხერინავს ჩასუნთქვის ან ამოსუნთქვის დროს? მხოლოდ ზურგზე წვეს, თუ სხვა რომელიმე მხარეზეც, მთლიანად იხურავს, თუ შეუძლია რომელიმე ნაწილის დაუფარებელი დატოვება? ადვილად ეღვიძება, თუ ძალიან ღრმად სძინავს? როგორ გრძნობს თავს გაღვიძებისას? რა სიხშირით ჩნდება ესა თუ ის სიმპტომი? რა იწვევს მის გაჩენას თითოეულ შემთხვევაში? აღმოცენდება ჯდომის, წოლის, დგომის თუ მოძრაობის დროს? ან მხოლოდ ცარიელ კუჭზე, დილას, მხოლოდ საღამოს, თუ მხოლოდ ჭამის შემდეგ და საერთოდ, როდის ჩნდება ის ჩვეულებრივ? როდის აღენიშნება შემცივნება? იყო ეს უბრალოდ შეგრძნება, თუ სხეულის ზედაპირი მართლა გაცივდა? თუ დიახ, სხეულის რომელ ნაწილში? შემცივნების დროს ხომ არ იყო სხეული შეხებით თბილი? იყო თუ არა ეს უბრალოდ სიცხის შეგრძნება კანკალის გარეშე, ან სიცხე სახის შეწითლების გარეშე? სხეულის რომელი ნაწილები იყო ცხელი შეხებისას? თუ იყო ჩივილები მხოლოდ სიცხის შეგრძნებაზე სხეულის გაცხელების გარეშე? რამდენ ხანს გრძელდებოდა შემცივნების და ცხელების სტადია? როდის შეიგრძნობოდა წყურვილი? შემცივნებისას, ცხელებისას, თუ მათ დაწყებამდე? ან, შესაძლოა, მათ შემდეგ? რამდენად იყო გამოხატული წყურვილი და რომელი სასმელი სურდა? როდის გაოფლიანდა? ცხელების დასაწყის თუ ბოლო სტადიაში? სიცხის შემდეგ რამდენ საათში? ძილისა თუ სიფხიზლის დროს? რამდენად

უხვი იყო ოფლი? ცივი იყო აუ თბილი? როგორი სუნნი ჰქონდა? რას უწოდებდა შემცვივნების დროს? ან მანამდე? და რას ცხელების დროს? და რას მას შემდეგ? რას – ოფლიანობის დროს ან მას შემდეგ? >>

ქალებში აუცილებელია გავითვალისწინოთ მენსტრუაციული და სხვა გამონადენების ხასიათი.

## § 90

ამ მონაცემების ჩაწერით ექიმი აფიქსირებს ყველაფერს, რაც პაციენტში აღმოაჩინა<sup>85</sup> და არკვევს, გამოვლენილი ნიშნებიდან რომელი ჰქონდა მას დაავადების დაწყებამდე.

85. მაგალითად, როგორ იქცევა პაციენტი მიღების დროს, ხომ არ არის მოღუშული, ბუზღუნა, ჩქარი, ფაცი-ფუცა, უიმედო, მოწყენილი ან ოპტიმისტური, მშვიდი და ა.შ. ხომ არ აღენიშნებოდა ძილიანობა და ხომ არ იყო მისი ფსიქიკური აქტიობა დაქვეითებული რაიმე მიზეზით? ხომ არ ლაპარაკობდა ნახლენილი ხმით ან დაბალ ტონალობაში, დაუნაწევრებლად ან კიდევ რაღაც სხვანაირად? როგორი იყო მისი სახის, თვალებისა და კანის ფერი მთლიანობაში? რამდენად იგრძნობოდა სიცოცხლე და ძალა მის თვალებში? როგორი იყო მისი ენის, სუნთქვის, სმენის მდგომარეობა, ხომ არ ჰქონდა პირიდან სუნი? გუგები გაფართოებული ან შევიწროებული? რა სიხშირით და როგორ რეაგირებენ გუგები სიბნელესა და სინათლესზე? როგორი იყო პულსი? მუცლის მდგომარეობა? რამდენად ტენიანი ან მშრალი, ცივი ან ცხელი იყო შეხებით მისი კანი სხეულის ამა თუ იმ ნაწილში, ან მთლიანობაში? იწვა თუ არა გადაღლებული თავით, ნახევრად თუ მთლიანად პირლია, ხელები თავთან აქვს, სურგზე თუ რომელიმე სხვა მდგომარეობაში? რა ძალისხმევად უღირდა ადგომა? და ნებისმიერი სხვა რამ, რასაც როგორც არანეულებრივს და განსაკუთრებულს, ექიმის გაცემა შეეძლო.



## § 91

ავადმყოფის ჩივილები და სიმპტომები მკურნალობის ყოველი შემდგომი კურსის დროს დაავადების ჭეშმარიტ სურათს უკვე აღარ გვიჩვენებს. მხოლოდ იმ სიმპტომებსა და ჩივილებს, რომლებიც ავადმყოფი წამლების მიღების დაწყებამდე ჰქონდა, ან ისინი რომლებიც რჩებოდა რამდენიმე დღე მათი მოხსნის შემდეგ, შეუძლიათ დაავადების საწყის ფორმაზე ჭეშმარიტი, საფუძვლიანი წარმოდგენა მოგვცენ. სწორედ ამ სიმპტომებს უნდა ითვალისწინებდეს ექიმი პირველ რიგში. თუ დაავადება ქრონიკულია და პაციენტი სხვა წამლებს უშუალოდ ექიმთან მისვლამდე იღებდა, მაშინ ექიმმა საქმისათვის სასარგებლოდ იგი რამდენიმე დღით მისთვის ჩვეული მკურნალობის გარეშე უნდა დატოვოს ან ხანმოკლე დროით დაუნიშნოს რაიმე არაწამლისმიერი მკურნალობა და დროებით გადადოს ავადმყოფური სიმპტომების უფრო ყურადღებით შესწავლა, რათა საშუალება ჰქონდეს ამოიცნოს ძველი დაზიანების სიმპტომები (უცვლელი სახით) და დაავადების სანდო სურათი შექმნას.

## § 92

თუმცა, თუ დაავადება სწრაფად ვითარდება და საშიში ხასიათისაა, ექიმი არსებული ავადმყოფური მდგომარეობის შესწავლას უნდა დასჯერდეს, თუნდაც ის წამლების მოქმედებით იყოს შეცვლილი. იმ შემთხვევაში, თუ მას არ შეუძლია გამოარკვიოს მკურნალობის დაწყებამდე არსებული სიმპტომები, უკიდურეს შემთხვევაში უნდა შექმნას დაავადების არსებული სურათი ანუ მთლიანი დაავადება, ჩამოყალიბებული წამლისმიერი და ბუნებრივი დაავადებების შერწყმით, რომელიც არასათანადო წამლის გამოყენების გამო, ჩვეულებრივ, საწყის დაავადებაზე გაცილებით უფრო სერიოზული და საშიშია და ამიტომ სწრაფ და ეფექტიურ

დახმარებას მოითხოვს. ასეთი სახის მოქმედების დროს ექიმი დაავადების სრულ სურათს შექმნის და შეძლებს მის დაძლევას შესაფერისი კომპოპათიური საშუალებით და ავადმყოფი მიღებული მავნე წამლების მსხვერპლად ქცევას თავიდან აიცილებს.

### § 93

თუკი ახალი ან ქრონიკული დაავადება აშკარა მიზეზის შედეგად აღმოცენდა, მაშინ ავადმყოფი ან მისი მეგობრები კერძო საუბრისას მის შესახებ თავისით ან დელიკატური გამოკითხვის შემდეგ იტყვიან<sup>86</sup>.

86. ეს შეიძლება სამარცხეინო ხასიათის ნებისმიერი მიზეზი იყოს, რისი აღიარება არც პაციენტს და არც მის მეგობრებს, უკიდურეს შემთხვევაში შეგნებულად მაინც არ სურთ და ექიმი მათ გამოაშკარავებას ოსტატური გამოკითხვით ან სხვა სახით მიღებული ცნობებით უნდა შეეცადოს, მაგალითად, მოწამლა ან თვითმკვლელობის მცდელობა, ონანიზმი, ჩვეულებრივი გარყვნილება თუ მისი მახინჯი ფორმები, ღვინის, ლიქიორის, პუნშისა და სხვა მაგარი სასმელების ან ყავის ჭარბად გამოყენება, ზედმეტი ჭამა ან ჯანმრთელობისათვის რომელიმე მავნე საკვების ბოროტად გამოყენება, ვენერული დაავადებით ან მუხით დასნებოვნება, უიღბლო სიყვარული, ეჭვიანობა, ოჯახური უსიამოვნებები, სასრუნავი, ოჯახში არსებული რაიმე უბედურებით გამოწვეული დარდი, უსამართლო მოქცევა, შელახული სიამაყე, ფინანსური პრობლემები, ცრურწმენით გამოწვეული შიში, შიმშილი ან ინტიმური ორგანოების რაიმე ნაკლოვანება (გაგლეჯა, გამოუარდნა) და ა.შ.

### § 94

ავადმყოფის მდგომარეობის გამოკვლევისას ქრონიკული დაავადებების დროს ექიმმა უნდა გაითვალისწინოს

და საგულდაგულოდ შეისწავლოს კერძო გარემოებები: პაციენტის ჩვეული საქმიანობა, მისი ცხოვრების წესი, დიეტა, ურთიერთობები ოჯახში და სხვ., რათა დაადგინოს, ხომ არ არის რომელიმე მათგანი დაავადების გამომწვევი ან მისი ხელშემწყობი. ასეთი გარემოების აღმოფხვრა გაჯანსაღებას ხელს შეუწყობს<sup>87</sup>.

87. ქალთა ქრონიკული დაავადებებისას აუცილებელია ყურადღება მიექცეოდ ორსულობას, უნაყოფობას, სქესობრივ გრძნობებს, მოლოგიზებას, უნებლიე აბორტს, ძუძუთი კეებას და მენსტრუალურ ციკლს. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა გავერკვეთ იწყება თუ არა მენსტრუაცია ნორმალურთან შედარებით ძალიან ადრე ან გვიან, რამდენ დღეს გრძელდება, წვეტილია თუ მუდმივი, უხვია თუ არა, რამდენად მუქია მათი ფერი, ხომ არ არის თეთრად შლა თვიურის წინ ან შემდეგ, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სხეულის და ფსიქიკურ მოშლილობას, რაც წინ უძღვის მენსტრუაციას, თან ახლავს ან ჩნდება მისი დამთავრების შემდეგ; თუკი არის თეთრად შლა, მაშინ როგორია, როგორი შეგრძნებები სდევს მას თან, როგორია ტკივილის ხასიათი, რა პირობებში და რა სიტუაციებში გამოვლინდება იგი.

## § 95

ქრონიკული დაავადებების დროს, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი, ისე სხვა შესაძლო ნიშნების შესწავლა, მაქსიმალურად საგულდაგულოდ უნდა მოხდეს. საჭიროა ყურადღება მიექცეს თითოეული შემთხვევის უწვრილმანეს თავისებურებებსაც კი. ამის გაკეთება ნაწილობრივ აუცილებელია იმიტომაც, რომ ქრონიკული დაავადების სიმპტომები ყველაზე ნაკლებად ჰგვანან მწვავე დაავადებათა სიმპტომებს. ამიტომ, თუ გინდათ განკურნებას მიაღწიოთ, მათი შესწავლისას გულმოდგინება ზედმეტი არ შეიძლება აღმოჩნდეს. ნაწილობრივ ეს აუცილებელია იმის გამოც, რომ

ავადმყოფები თავის ხანგრძლივ ტანჯვას ეწვევიან და მეორეხარისხოვან სიმპტომებს ძალიან მცირე ყურადღებას უთმობენ, ან უბრალოდ ავიწყდებათ ისინი, იმ დროს, როცა ხშირად სწორედ მათ აქვთ დიდი მნიშვნელობა (ანუ დამახასიათებლები არიან) და არც ისე იშვიათად სასარგებლონი არიან სამკურნალო საშუალების შერჩევის დასასრულებლად. ავადმყოფები მათ თავისი მდგომარეობის თითქმის აუცილებელ ნაწილადაც კი თვლიან, ლამის ჯანმრთელი მდგომარეობის მახასიათებლად მიიჩნევენ და ძალისხმევა სჭირდებათ იმის დასაჯერებლად, რომ მეორეხარისხოვან სიმპტომებს, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან ამ დიდ თუ მცირე გადახრებს, რაიმე კავშირი აქვთ მათ მთავარ მტერთან (დაავადებასთან).

§ 96

ამის გარდა, თვითონ პაციენტები ძალიან განსხვავდებიან თავისი ხასიათით და ზოგიერთი, ეგრეთ წოდებული იპოქონდრიკი და ზედმეტად მოუთმენელი და ტკივილის მიმართ მგრძობიარე პირი, თავის სიმპტომებს ძალიან მკაფიო ფერებში აღწერენ და იმისათვის, რომ ექიმი აიძულონ, მისცეს მათ სწრაფი გაუმჯობესება, დაავადებას გადაჭარბებული სიმძიმით გადმოგვცემენ<sup>88</sup>.

88. ყველაზე უფრო მოუთმენელი იპოქონდრიკების შემთხვევებშიც კი, ვერასოდეს ვერ შეხვედებით გამოგონილ სიმპტომებს და ჩივილებს. ამაში თვალნათლავ დარწმუნდებით, როცა ექიმი ან საერთოდ არაფერს არ დაუნიშნავს, ან გამოუწერს რაიმე არასამკურნალო საშუალებას. გარკვეული დასკვნები უნდა გაეაკეთოთ პაციენტის გადაჭარბებული შეფასებიდანაც, ის ყოველთვის მომატებულ მგრძობიარეობაზე მიგვანიშნებს და მაშინ ჩივილების მოყოლისას გაზვიადებისკენ მიდრეკილება უკვე ყველაზე უფრო მთავარი ხდება იმ მახასიათებლების ჩამონათვალში, რომლებიც დაავადების მთლიან

სურათს ქმნიან. სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია გონებასლუნგ ავადმყოფებში და უსინდისო სიმულანტებში.

§ 97

განსხვავებული ხასიათის ადამიანები კი, ნაწილობრივ სიზარმაცით, ნაწილობრივ ცრუ სიმორცხვით, რბილი ხასიათის ან სუსტი მახსოვრობის გამო, ბევრი სიმპტომის ჩამოთვლისაგან თავს იკავებენ, ძუნწად აღწერენ მათ ან თვლიან, რომ ზოგიერთ მათგანს საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

§ 98

და ბოლოს, ზუსტად ისე, როგორც მოვალენი ვართ განსაკუთრებით გულისყურით მოვეუსმინოთ ავადმყოფის მონათხრობს მის ტანჯვასა და შეგრძნებებზე და ძირითადად მის პირად გამოთქმებს უნდა დავეყრდნოთ, რის საშუალებითაც ის ცდილობს თავისი დაავადება გაგვაგებინოს (რადგან მეგობრებისა და თანმხლები პირების მონათხრობში ისინი ჩვეულებრივ იცვლებიან და მახინჯდებიან), ზუსტად ასევე, ყოველთვის, განსაკუთრებით კი ქრონიკული დაავადებების დროს, მათი სრული და ჭეშმარიტი სურათის შესწავლა, გამოკითხვის დროს განსაკუთრებულ წინდახედულებას, ტაქტსა და ადამიანის ბუნების დიდ ცოდნას მოითხოვს.

§ 99

მთლიანობაში, მწვავე ან ახალად დაწყებული დაავადებების დროს პაციენტის გამოკვლევა ექიმისათვის გაცილებით იოლია, რადგანაც ჯანმრთელობის მდგომარეობიდან ყველა გადახრამ ახლახან იჩინა თავი და ავადმყოფისა

და მისი ახლობლების მახსოვრობაში მკაფიოდ და ნათლად აა აღბეჭდილი. ექიმმა, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევებშიც დაავადების სრული სურათი უნდა დაადგინოს, მაგრამ გაცილებით ნაკლები გამოკითხვა სჭირდება, რადგანაც ავადმყოფები თვითონ დაწვრილებით ყვებიან უმეტეს სიმპტომებზე.

## § 100

ექიდემიური და სპორადიული დაავადებების სიმპტომთა ერთობლიობის შესწავლისას სულაც არ არის მნიშვნელოვანი, შეგვხვედრია თუ არა ადრე რაიმე მსგავსი, ამავე თუ სხვა დასახელებით. ასეთი სახის დაავადების სიახლე ან სპეციფიკურობა არანაირად არ მოქმედებს მისი არც გამოკვლევის და არც მკურნალობის მეთოდზე, რამდენადაც ექიმი ნებისმიერ შემთხვევაში მოვალეა ყოველი გავრცელებადი დაავადება განიხილოს, ისე თითქოს ეს რაღაც ახალი და უცნობი შემთხვევა იყოს და თუ მას უნდა რეალური და რადიკალური საექიმო პრაქტიკით დაკავდეს, საგულდაგულოდ უნდა შეისწავლოს ის, ვარაუდებით არასოდეს არ შეცვალოს დაკვირვების ფაქტობრივი შედეგები, დანდობილად არ მიიღოს, თითქოს დაავადების მოცემული შემთხვევა მისთვის უკვე მთლიანად ან ნაწილობრივ ცნობილია, არამედ ყოველთვის გულდასმით გამოიკვლიოს ყველა სტადიაში; ასეთ შემთხვევებში მხოლოდ მსგავსი მოქმედება გეჭირდება, რადგანაც საგულდაგულო გამოკვლევა გვანჩვენებს, რომ თითოეული ასეთი დაავადება მრავალგამოვლინებაში უნიკალური და წინამორბედი ეპიდემიებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული მოვლენაა, რომელთა მიმართაც, გარდა იმ ეპიდემიებისა, რომელთა გამომწვევი წყაროც ყოველთვის უცვლელია, როგორც მაგალითად

ყვავილი, წითელა და ა.შ., შეცდომით იყენებდნენ ამა თუ იმ დასახელებას.

§ 101

იოლად შეიძლება მოხდეს, რომ ეპიდემიური დაავადების პირველ შემთხვევაში, რომელიც ექიმისათვის გახდა ცნობილი, დაავადების შესახებ სრული წარმოდგენის შექმნა მან მაშინვე ვერ შეძლოს, რამდენადაც მხოლოდ თითოეული ასეთი კოლექტიური დაავადების რამდენიმე შემთხვევაზე ყურადღებით დაკვირვების შემდეგ ხდება შესაძლებელი მისი ნიშნების და სიმპტომთა ერთობლიობის ამოცნობა. თუმცა გულმოდგინე გამოკვლევისას ექიმს შეუძლია უკვე პირველი ან მეორე პაციენტის გამოკვლევის შემდეგაც კი იმდენად კარგად გაიცნობიეროს ჭეშმარიტი მდგომარეობა, რომ დაავადების დამახასიათებელი სურათი ნათლად წარმოიდგინოს და შესაფერისი ჰომეოპათიური წამლის განსაზღვრაში წარმატებასაც მიაღწიოს.

§ 102

რამდენიმე შემთხვევის სიმპტომების აღწერასთან ერთად დაავადების სურათი სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება; აღწერა ხდება არა გაწელილი და მრავალსიტყვიანი, არამედ უფრო ფასეული (დამახასიათებელი), რომელიც ამ კოლექტიური დაავადებებისათვის დამახასიათებელ მეტ თავისებურებებს შეიცავს. ერთი მხრივ ზუსტად განისაზღვრება ზოგადი სიმპტომების თავისებურებები (რომლებსაც განეკუთვნებიან, მაგალითად, მადის დაკარგვა, უძილობა და ა.შ.), ხოლო მეორე მხრივ, აშკარა ხდება მხოლოდ რამდენიმე დაავადებისათვის დამახასიათებელი ყველაზე უფრო შესამჩნევი განსაკუთრებული სიმპტომები, რომლებიც იშვიათად

გვხვდება, უკიდურეს შემთხვევაში იმ შეხამებაში, რაც დამახასიათებელია მოცემული დაავადებისათვის<sup>89</sup>. მოცემულ მომენტში გავრცელებადი დაავადების დასნებოვნების წყარო ეჭვგარეშეა ყველა ავადმყოფისათვის ერთი და იგივეა, შესაბამისად – ყველა იმავე დაავადებით იტანჯება. თუმცა დაზიანების მოცულობა ასეთი ეპიდემიური დაავადებისას და ყველა მისი სიმპტომი (რისი ცოდნაც არსებითია ყველაზე უფრო შესაფერისი ჰომეოპათიური საშუალების შესარჩევად მოცემული სიმპტომების ერთობლიობისათვის, მიიღწევა დაავადების სრული სურათის შესწავლის შედეგად) არ შეიძლება ერთადერთი პაციენტის გამოკვლევის საფუძველზე გამოვავლინოთ. ამის შესახებ დასკვნის გაკეთება შესაძლოა მხოლოდ სხვადასხვა კონსტიტუციის მქონე რამდენიმე პაციენტის სიმპტომებზე დაყრდნობით.

*89. ექიმი, რომელსაც უკვე პირველივე შემთხვევისას შეუძლია ჰომეოპათიურს მიახლოებული საშუალების შერჩევა, მომდევნო შემთხვევებში შეძლებს დაადასტუროს შერჩეული წამლის ვარგისიანობა ან უფრო შესაფერისი, უფრო შესაბამისი საშუალება იპოვოს.*

## § 103

ისევე, როგორც ეპიდემიური დაავადებები, რომლებიც, როგორც წესი მწვავე ხასიათსაა, მიაზმური ქრონიკული დაავადებები, თავისი არსით ყოველთვის უცვლელი რჩება, განსაკუთრებით კი ფსორა, შესწავლილი უნდა იქნეს დაავადების ყველა სიმპტომის მიხედვით, გაცილებით უფრო გულმოდგინედ, ვიდრე ეს მანამდე კეთდებოდა, რადგანაც ამ დაავადებებისას ერთ პაციენტს მათი სიმპტომების მხოლოდ ნაწილი აღმოაჩნდება; მეორეს, მესამეს და სხვებს კი რომელიღაც სხვა სიმპტომები გამოუვლინდებათ. ისინი აგრეთვე ამ დაავადების მთლიანობაში წარმოქმნაზე სიმპტომთა ერ-



თობლიობის მხოლოდ რომელიდაც ცალკეულ ნაწილად გვევლინება. ასე რომ, სიმპტომი, რომელიც ქრონიკულ მი-  
აზმიურ დაავადებას, განსაკუთრებით კი ფსორას განეკუთ-  
ნება, შესაძლოა დადგენილ იქნეს ქრონიკული დაავადებით  
დასნებოვნებულ ძალიან ბევრ პაციენტზე დაკვირვებით. ამ  
სიმპტომების სრული განხილვისა და ზოგადი წარმოდგენის  
გარეშე დაავადების ჰომეოპათიურად განკურნების უნარის  
მქონე (ე.ი. ანტიფსორული პრეპარატები) სამკურნალო პრე-  
პარატების პოვნა შეუძლებელია; ამავ დროს ეს პრეპარატე-  
ბი ქრონიკული დაავადებით გატანჯული ყოველი პაციენტი-  
სათვის საუკეთესო საშუალებად გვევლინება.

### § 104

თუკი მოცემული დაავადებისათვის დამახასიათებელი  
ყველა სიმპტომი, ან სხვა სიტყვებით, დაავადების სურათი  
ზუსტად არის აღწერილი<sup>90</sup>, მაშინ ამოცანის ყველაზე რთული  
ნაწილი ამოხსნილია. ასეთ შემთხვევაში ექიმს დაავადების  
სურათი ყოველთვის თვალწინ აქვს, რათა მკურნალობისას  
იხელმძღვანელოს, განსაკუთრებით კი ქრონიკული დაავადე-  
ბების დროს. მას შეუძლია ყოველი მხრიდან შეისწავლოს  
და დამახასიათებელი სიმპტომები ამოირჩიოს, რათა მათ  
ანუ მთელ დაავადებას დაუპირისპიროს, ძალიან მსგავსი  
ხელოვნური პათოგენური ძალა, ჰომეოპათიურად შერჩეული  
სამკურნალო წამლო ნივთიერების სახით. ის ყველა იმ პრე-  
პარატის სიმპტომთა ჩამონათვალის საფუძველზე შეირჩე-  
ვა, რომელთა წმინდა მოქმედება უკვე დადგენილია. თუ  
მკურნალობის პროცესში ექიმს უნდა დაადგინოს, როგორი  
იყო წამლის მოქმედება და რა ცვლილებები მოხდა პაცი-  
ენტის ჯანმრთელობაში, მაშინ პაციენტის ხელმეორე გას-  
ინჯვისას აუცილებელია გადახედოს პირველი კონსულტა-  
ციის ჩანაწერებს, აღნიშნოს რა შემცირდა ან არ შეიცვალა

და დაუმატოს ახალი, ამ პერიოდში აღმოცენებული სიმპტომები.

90. ძველი სკოლის ექიმი თავისი მეთოდით მკურნალობისას ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. არ უხმენდა პაციენტის მდგომარეობის ყოველი უმნიშვნელო ცვლილების გარემოებებს. ხშირად აწვევდნენ თხრობას მისი ტანჯვის შესახებ, რათა არ დაყოვნებულიყო მრავალი ინგრედიენტისაგან შედგენილი და თავისი ჭეშმარიტი მოქმედების მხრივ მისთვის უცნობი რეცეპტის სწრაფ გამოწერაში. არც ერთი ექიმი-ალთოპათი, როგორც უკვე ითქვა, არ ისწრაფოდა გაეგო პაციენტის დაავადების ყველა დეტალი, მით უმეტეს, ჩაეწერა ისინი. რამდენიმე დღის შემდეგ, პაციენტის განმეორებითი ნახვისას არაფერს უმატებდა იმას, რაც პირველი ვიზიტისას შეიტყო (ამავე დროს ნახულობდა ბევრ სხვადასხვა დაავადებით შეპყრობილ პაციენტს); მას ყველაფერი ერთ ყურში შესდიოდა და მეორედან გამოსდიოდა. განმეორებითი ვიზიტისას ის მხოლოდ რამდენიმე სოგად შეკითხვას იძლეოდა, ასრულებდა პულსის შემოწმების რიტუალს, ნახულობდა ენას და გამოწერდა სხვა, ასეთივე უგუნურ პრინციპზე აგებულ რეცეპტს, ანდა პირველი დანიშნულების გაეგრძელებას ურჩევდა (მნიშვნელოვანი რაოდენობით დღეში რამდენჯერმე) და თავის გრაციოსული დაკვირვებით მიიჩქაროდა მეთხუთმეტე თუ მეთექვსმეტე პაციენტთან, რომელიც ასეთივე გულგრილობით უნდა ენახა დილის განმავლობაში. პროფესია, რომელიც მართლაც სხვებთან შედარებით ნებისმიერი პაციენტის, კეთილსინდისიერ, გულმოდგინე გამოკვლევას მოითხოვს და ამაზე დაძვარებული სპეციალური მკურნალობა, მახინჯდებოდა. მას იყენებდნენ ადამიანები, რომლებიც თავის თავს ექიმებს, გონიერ პრაქტიკოსებს უწოდებდნენ. შედეგი, რაც ბუნებრივია შეგვეძლო გვევარაუდა, ყოველთვის ცუდი იყო; მიუხედავად ამისა, პაციენტები იძულებული იყვნენ რსევისთვის მათთვის მიემართათ, ნაწილობრივ სხვა უკეთესის არქონის, ნაწილობრივ კი მოდის გამო.

## § 105

ტეშმარიტი ექიმის მუშაობის მეორე მახასიათებელი ბუნებრივი დაავადებების სამკურნალო საშუალებების შესახებ ცოდნის შექენასთან და სამკურნალო წამლო პრეპარატების პათოგენეტიკური ძალის შესწავლასთანაა დაკავშირებული, რათა ავადმყოფთან გამოძახებულმა შეძლოს ერთი პრეპარატის შეჩვენვა, რომლის სიმპტომთა ჩამონათვალიდან შესაძლებელია იმ დაავადების, რომლის მკურნალობასაც აპირებს, მაქსიმალურად მსგავსი ხელოვნური დაავადების შექენა.

## § 106

აუცილებელია ზედმიწევნით ვიცოდეთ თითოეული პრეპარატის პათოგენეტიკური ზემოქმედება, ანუ ყველა პათოლოგიური სიმპტომი და ცვლილება, რაც თითოეულ მათგანს შეუძლია გამოიწვიოს ჯანმრთელ ადამიანში და შეძლებისდაგვარად უკეთესად უნდა შევისწავლოთ ისინი, რათა შეგვეძლოს მათ შორის ვიპოვოთ და შევარჩიოთ ბუნებრივი დაავადებებისათვის შესაბამისი საუკეთესო ჰომეოპათიური საშუალება.

## § 107

თუკი ამის დასადგენად ვაძლევეთ თუნდაც ერთ წამალს, მაგრამ მხოლოდ ავადმყოფ ადამიანს, მაშინ მათი ტეშმარიტი ზემოქმედების შესახებ ან ვერაფერს, ან ძალიან უმნიშვნელო ცვლილებებს თუ აღმოვაჩინებთ, რადგანაც ჯანმრთელობის ცვლილება, რასაც შესაძლოა წამლის მიღების შემდეგ ველოდეთ, დაავადების სიმპტომებს შეეჩვენვა და იშვიათად იქნება ნათლად გამოხატული.

აქედან გამომდინარე, არ არსებობს ადამიანის ჯანმრთელობაზე წამლის სპეციფიკური ზემოქმედების ზუსტად დადგენის სხვა საშუალება, ამ პრობლემის გადასაჭრელი სხვა სანდო და ბუნებრივი გზა გარდა იმისა, რომ ჯანმრთელ ადამიანებში, ექსპერიმენტულად, ზომიერი დოზით დაენიშნოთ რომელიმე საშუალება, რათა დავადებინოთ ცვლილებები, სიმპტომები და მათი ზემოქმედების ნიშნები, რომლებსაც თითოეული მათგანი ცალ-ცალკე ახდენს სხეულისა და გონების მდგომარეობაზე ანუ დავადებინოთ, დაავადების რომელი ელემენტის გამოწვევის ტენდენცია აქვთ<sup>91</sup>, რადგანაც, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ (§§24-27), წამალთა მთელი სამკურნალო ძალა ჩაქსოვილია მათ მიერ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლის უნარში და მისი აღმოჩენა ამ უკანასკნელზე დაკვირვების გზით ხდება.

91. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არც ერთ ექიმს ბოლო 2500 წლის განმავლობაში წამალთა გამოცდის ასეთ ბუნებრივ, აბსოლუტურად აუცილებელ და ერთადერთ სწორ მეთოდზე არ უფიქრია, ადამიანის ჯანმრთელობის დარღვევაზე მათი ბუნებრივი და სპეციფიკური ზემოქმედების თვალსაზრისით, რათა გაეგო, რომელი პათოლოგიური მდგომარეობის მორჩენა შეუძლია თითოეულ წამალს, გარდა დიადი და უკედავი აღბრეხტ ფონ პალერისა. ჩემს გარდა, ის ერთი ხედავდა ამის აუცილებლობას (იხ.წინასიტყვაობა <<Pharmacopea Helvet.>> Basil 1771, fol., გვ.12): <<Nempe primum in corpore sano medela tentanda est, sine perigrina ulla miscella; odorque et sapore ejus exploratis, exigua illius dosis ingerenda et ad omnes, quae inde contringut, affectionis, quis pulsus, qui color, quae respiratio, quaenam excretions, attendendum. Inde ad ductum phaenomenorum, in sano obviorum, transeas ad experimenta, in corpore aegroto>>. [<<სინამდვილეში წამლები ყოველგვარი უცხო მინარეების გარეშე უნდა გამოიცადოს ჯანმრთელ სხეულზე. მისი სუნის და გემოს შესწავლის შემდეგ უნდა მივიღოთ მცირე დოზა და ყურადღება მივაქციოთ ნებისმიერ განვითარებულ ეფექტს: პულსის რიტმს, ტემპერ-

ატურას, სენტჯეის სიხშირეს, გამონაყოფებს. ჯანმრთელ სხეულზე წმინდა ზემოქმედების თანმიმდევრული დაკვირვების შემდეგ შესაძლებელია ავადმყოფებზე მათი მოსინჯვა...» და ა.შ. მაგრამ ექიმთაგან ვერც ერთმა ვერ შეიგნო, არ მისდია ამ უძვირფასეს რჩევას.

§ 109

მე ვიყავი პირველი, ვინც ეს გზა აღმოაჩინა. მივყვებოდი მას მხოლოდ უდიდესი რწმენით გამოწვეული სიჯიუტით, დარწმუნებული ადამიანთა მოდგმისათვის მისი სიკეთის ჭეშმარიტებაში, რომ წამლების<sup>92</sup> ჰომეოპათიური გამოყენება ადამიანთა დაავადებების მკურნალობის ერთადერთი შესაძლო და საიმედო მეთოდია<sup>93</sup>.

92. შეუძლებელია, არსებობდეს ღინამიკური დაავადებების მკურნალობის უფრო სანდო და უკეთესი მეთოდი (ქირურგიული ჩარევის აუცილებლობის გარდა) ვიდრე ჰომეოპათია, ზუსტად ისე, როგორც, შეუძლებელია ორ წერტილს შორის ერთზე მეტი სწორი ხაზის გაღება. ვისაც მიაჩნია, რომ არსებობს დაავადებათა მკურნალობის სხვა მეთოდები, მან ვერ შეძლო ჰომეოპათიაში ფუნდამენტურად გარკვევა, ვერც მისი გონივრული გამოყენება, არასოდეს არ უნახავს და არ წაუკითხავს სწორი ჰომეოპათიური განკურნების შემთხვევების შესახებ. მეორე მხრივ, მან ვერ შეძლო ყველა ალოპათიური მეთოდის დაუსაბუთებლობის, მათი ცუდი და საშინელი ეფექტების დანახვა, თუკი ასეთი დაუდევარი განურჩევლობით იგი მკურნალობის ერთადერთ ჭეშმარიტ ხელოვნებას ამ მანვე მეთოდების რიგში აყენებს ან ამტკიცებს, რომ ეს უკანასკნელი ჰომეოპათიის დამატებაა, რომელსაც არ შეუძლია მათ გარეშე არსებობა! ჩემი ერთგული, კეთილსინდისიერი მიმდევრები, ნამდვილი ჰომეოპათები, თითქმის ყოველთვის ეფექტური მკურნალობით წარმატებულნი, შეძლებენ ამ პირთა უკეთესად განსწავლას.

93. ამ შრომების პირველი შედეგები იმდენად სრულყოფილია, რამდენადაც ეს იმ დროს იყო შესაძლებელი, როცა მე ვწერდი <<Fragmenta de viribus medicamentorum positivis,

*sive in sano corpore humano observatis*>> Lipsiae ტომი 8, 1805 აპრილი. J.A.Barth; უფრო მწიფე ნაყოფები – <<Reine Arzncimittelhere, I Th., dritte Ausg.; II Th., dritte Ausg., 1833; III Th., zweite Ausg., 1825 IV Th./ zweite Ausg./ 1825; V Th., zweite Ausg., 1826; VI Th., zweite Ausg., 1827., [*<<Materia Medica Oura*>> I და II ტომის ინგლისური გამოცემა.] და <<Die chronischen Krankheiten>> 1828, 1830, Dresden bei Arnold [2<sup>nd</sup> edit., და Düsseldorf bei sSchaub, 1835, 1839 მეხუთე ნაწილში] მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებში.

## § 110

უფრო მეტიც, შევამჩნიე, რომ ადამიანის კუჭში სამკურნალწამლო ნივთიერების მოხედრის შემდეგ, როცა ისინი შეცდომით ეძლეოდა, თავის მოკვლის ან მკვლელობის მიზნით, ან სხვა გარემოებათა გამო განვითარებული დაზიანებები, რასაც წინამორბედი ავტორები ნახულობდნენ, ძალიან ჰგავდა იმავე ნივთიერებების საკუთარ თავზე ან სხვა ჯანმრთელ ადამიანებზე გამოცდისას ჩემ მიერ მიღებული დაკვირვებების შედეგებს. ეს ავტორები მსგავს შემთხვევებს დაწვრილებით აღწერდნენ, როგორც მოწამვლის ისტორიებსა და ძლიერი ნივთიერებების სავალალო მოქმედებას, ძირითადად იმისათვის, რათა სხეები მათი გამოყენებისაგან დაეცვათ. ნაწილობრივ, ამას საკუთარი ხელოვნების წარმოსაჩენად აკეთებდნენ, როცა ამ უბედურ შემთხვევებთან საბრძოლველად მათ მიერ დანიშნული წამლების მოქმედების შედეგად, ჯანმრთელობა თანდათან აღდგებოდა; ნაწილობრივ კი იმისათვის, რომ მკურნალობის პროცესში ასეთი დაზიანებების მქონე ადამიანების სიკვდილის შემთხვევაში, თავი გაეპართლებინათ ამ ნივთიერების საშიში ხასიათით, რომლებსაც ისინი ასეთ შემთხვევაში შხამებს უწოდებდნენ. არც ერთი ამ დამკვირვებელთაგანი არც კი ფიქრობდა, რომ სიმპტომები, რომლებსაც ისინი უბრალოდ როგორც ამ ნივთიერებათა მომწამლავი და დამღუპველი მახასიათებლების

დადასტურებად აფიქსირებდნენ, ამ წამლების მოქმედების ჭეშმარიტი აღმოჩენა იყო, რომლებსაც შეეძლოთ სამკურნალო მეთოდით დაეთრგუნათ ბუნებრივი დაავადებების დროს წარმოქმნილი მსგავსი სიმპტომები, რომ ეს პათოლოგიური ფენომენი მათი ჰომეოპათიური სამკურნალო მოქმედების მანვენებელი და ერთადერთი შესაძლო მეთოდი იყო, რითაც შესაძლებელი ხდებოდა მათი სამკურნალო ძალის დადგენა, ეს არის ჯანმრთელობის იმ ცვლილებებზე დაკვირვება, რისი გამოწვევაც წამლებს შეუძლია ჯანმრთელ ორგანიზმში, ისე, როგორც სამკურნალოდ ხელმისაწვდომი წამლების ჭეშმარიტი სპეციფიკური ძალა, შეუძლებელია დავადგინოთ a priori ორიგინალური განსჯით, სუნით, გემოთი, წამლის შესახედაობით, მათი ქიმიური ანალიზით ან დაავადებების დროს რამდენიმე მათგანის ნარევის ერთდროული გამოყენებით. ეჭვიც კი არასოდეს შეუტანიათ, რომ წამლისმიერ დაავადებათა ეს ისტორიები ერთხელ ჭეშმარიტ, წმინდა *Materia medica*-ს თავდაპირველ ელემენტარულ ცოდნის წყაროდ მოგვევლინებოდა, რომელიც უხსოვარი დროიდან დღემდე ყოველთვის მხოლოდ ცრუ ვარაუდებისა და გამონაგონებისაგან შედგებოდა, ანუ საერთოდ არ არსებობდა<sup>94</sup>.

94. იხილეთ, რა ვთქვი ამ საკითხის შესახებ <<Examination of the Sources of the ordinary *Materia Medica*>>-ში, მესამე ნაწილისთვის წამმღვარებულ ჩემი <<Arzneimittellehre>> [გადმოთარგმნილი <<*Materia Medica Pura*>>-ში, ტომი II].

## § 111

წამალთა ჭეშმარიტი ზემოქმედების ძველ მონაცემებთან ჩემი დაკვირვებების შესაბამისობა (თუმცა ყოველგვარი თერაპიული მიზნის გარეშე), აგრეთვე სხვადასხვა ავტორთა ჩატარებულ მსგავს აღწერებთან ამ აღწერათა შედეგების შესაბამისობამ, უდავოდ უნდა დაგვარწმუნოს, რომ

სამკურნალწამლო ნივთიერებები ჯანმრთელი ადამიანის სხეულში პათოლოგიურ ცვლილებებს ბუნების უცვლელი, მარადიული კანონის შესაბამისად იწვევენ, რომლის თანახმად, თითოეულ მათგანს თავისი საკუთარი სპეციფიკური თვისებების შესაბამისად, გარკვეული, ნათლად გამოხატული ავადმყოფური სიმპტომების გამოიწვევა შეუძლია.

## § 112

განსაკუთრებულად დიდი დოზით შიგნით მიღებულ წამალთა საშიში ეფექტების უფრო ადრეულ ჩანაწერებში აღწერილია გარკვეული მდგომარეობები, რომლებიც არა ამ სამწუხარო მოვლენების დასაწყისში, არამედ უფრო დასასრულისას აღინიშნებოდნენ და ისინი თავისი ბუნებით პირდაპირ იმათი საწინააღმდეგო იყო, რომლებიც თავიდან აღინიშნებოდა. ეს პირველადი, (§63) სასიცოცხლო ძალაზე ამ წამლების სათანადო მოქმედების პირდაპირ საწინააღმდეგო სიმპტომები, ორგანიზმის სასიცოცხლო ძალის რეაქციაა, მისი მეორეული მოქმედება (§§62-67), რომელიც იშვიათად გვხვდება ან ძნელად შესამჩნევია ჯანმრთელ ადამიანებზე ზომიერი და ყოველთვის შეუმჩნეველი, მცირე დოზების გამოყენებისას. ჰომეოპათიური სამკურნალო შემოქმედებისას ცოცხალი ორგანიზმი წამალზე მხოლოდ იმდენად რეაგირებს, რამდენიც აუცილებელია ნორმალური ჯანმრთელობის აღსადგენად (§ 67).

## § 113

ამ მოვლენიდან ერთადერთი გამონაკლისი ნარკოტიკული წამლებია. რამდენადაც ისინი თავისი პირველადი მოქმედებისას, ზოგჯერ თრგუნავენ მგრძნობელობას და შეგრძნებებს, ზოგჯერ გაღიზიანებადობასაც, ხშირად, მათი



მეორეული მოქმედებისას, ჯანმრთელ ადამიანებზე სოშიერი ექსპერიმენტული დოზის მიცემის დროსაც კი, მომატებული მგრძობელობა (და ძლიერი გაღიზიანებადობა) აღინიშნება.

§ 114

ჯანმრთელ ადამიანებზე სოშიერი დოზით ექსპერიმენტირებისას, ნარკოტიკული ნივთიერებების გარდა, მხოლოდ მათ პირველად მოქმედებას ანუ იმ სიმპტომებს ვხვდებით, რომლებსაც ეს წამლები იწვევს, არღვევს რა ადამიანის ჯანმრთელობას და მეტად ან ნაკლებად ხანგრძლივ ავადმყოფურ მდგომარეობას ანვითარებს.

§ 115

არცთუ ისე მცირე სახის წამალთა შემთხვევებში ამ სიმპტომთა შორის ისეთებიც გვხვდება, რომლებიც ნაწილობრივ, ან გარკვეულ ვითარებაში სრულად ეწინააღმდეგებიან სხვა, დასაწყისში ან შემდგომში გაჩენილ სიმპტომებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი არ უნდა განვიხილოთ როგორც ჭეშმარიტად მეორეული მოქმედება ან სასიცოცხლო ძალის უბრალო რეაქცია. ისინი მხოლოდ პირველადი მოქმედების სხვადასხვა პაროქსიზმების ცვლადი მდომარეობებია და მათ მონაცვლეობით მოქმედებებს უწოდებენ.

§ 116

სოგიერთი სიმპტომი წამალთა მიერ უფრო ხშირად, ანუ ბევრ ადამიანში გამოიწვევა, სხვები – უფრო იშვიათად, ანუ ცოტა ადამიანში, სოგიერთი კი – მხოლოდ ძალიან ცოტა ჯანმრთელ ადამიანში.

უკანასკნელ კატეგორიას ეგრეთ წოდებული იდიოსინკრაზიები მიეკუთვნება. ისინი განიხილება როგორც სხეულის განსაკუთრებული კონსტიტუციები, რომლებიც თუმცა სხვა მხრივ ჯანმრთელები არიან, მაგრამ გარკვეული ნივთიერებების შემოქმედებისას მეტად თუ ნაკლებად ავადმყოფურ მდგომარეობაში ჩავარდნისაკენ არიან მიდრეკილნი, მაშინ, როცა ისინი თითქოს ადამიანთა უმეტესობაში<sup>55</sup> არავითარ მოქმედებას არ იწვევს. მაგრამ ეს უუნარობა, რომ ყველა ადამიანზე იმოქმედოს, მხოლოდ მოჩვენებითია. მაშასადამე იმისათვის, რომ ისინი ისევე გამოვიწვიოთ, როგორც ყველა სხვა ავადმყოფური ცვლილება ჯანმრთელ ადამიანში, საჭიროა ორი რამ, კერძოდ, მოქმედი ნივთიერების მახასიათებელი ძალა და ორგანიზმის მაცოცხლებელი ძალის უნარი – გამოსცადოს მისი შემოქმედება. მაშინ, ჯანმრთელობის აშკარა მოშლა ეგრეთ წოდებული იდიოსინკრაზიის შემთხვევებში მხოლოდ კონსტიტუციის თავისებურებებს არ შეიძლება მიეკუთვნოს. ისინი ასევე უნდა მიეწეროს მათ გამომწვევ ნივთიერებებსაც, რომლებსაც უნარი უნდა ჰქონდეთ, ყველა ადამიანზე მოახდინონ ისეთივე შემოქმედება, მაგრამ ისე, რომ მხოლოდ ჯანმრთელი კონსტიტუციის მცირერიცხოვანი წარმომადგენლები, რომლებიც მათი შემოქმედებისას, ასეთივე აშკარად ავადმყოფურ მდგომარეობაში ჩავარდნისკენ არიან მიდრეკილნი. ეს ნივთიერებები სინამდვილეში მოქმედებენ ყოველ ჯანმრთელ ადამიანზე, რაც დასტურდება იმით, რომ მათი სამკურნალოდ გამოყენებისას, ეფექტურ ჰომეოპათიურ დახმარებას<sup>56</sup> უწევენ ყველა ავადმყოფ ადამიანს, ვისაც მსგავსი პათოლოგიური სიმპტომები აქვთ, რომელთა გამოწვევის უნარიც თითქოს მხოლოდ ეგრეთ წოდებულ იდიოსინკრაზულ ინდივიდუუმებში ჰქონდათ.

95. ადამიანთა უმნიშვნელო რიცხვია მიდრეკილი წაუვიდეს გული ან ნაევარდეს მრავალ სხვა აუადმიყოფურ, სოგჯერ საშიშ მდგომარეობაში ვარდის სუნზე, მიღიების, კიბორჩხალის ან წვერას ხიზილადის გახინჯვისას, თუთუბოს ზოგიერთი სახეობის ფოთოლთან შეხებისას და ა.შ.

96. პრინცესა მარია პორფიროგენიტამ ასე მოიყვანა გრძნობაზე თავისი ძმა, იმპერატორი ალექსი, რომელიც გულის წასვლისკენ იყო მიდრეკილი, მოასხურა მას ვარდის წყალი დეიდა ევდოკიას დასანახად (*Hyst. Byz. Alexias, lib.IV, გვ.503, cd. Possler*); და პორტიუსმა აღნიშნა, რომ გულისწასვლისას ვარდის ძმარი ძალიან სასარგებლოა.

### § 118

ყოველ წამალს ადამიანის სხეულზე თავისებური, განსაკუთრებული მოქმედება აქვს, რომლის ზუსტ ანალოგიასაც ვერც ერთი სხვა<sup>97</sup> სამკურნალწამლო საშუალება ვერ იწვევს.

97. ეს ასევე აფონ ჰალერსაც ესმოდა, რომელიც ამბობდა (შესავალი მისი <<*Hist.stirp.helv.*>>): <<*Latet immensa virium diversitas in iis ipsis plantis, quarum facies externas dudum novimus novimus, animas quasi et quodcunqueaclestius habent, nondum perspeximus*>>[<<წარ-მოუდგენელი რაოდენობის ძალებია დაფარული მცენარეებში, რომელთა გარეგნული ნიშნები ჩვენთვის დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ სულს და ყოველივეს, რაც მათში ღვთისურია, ვერ ნაეწვლით>>].

### § 119

მცენარეთა ყოველი სახეობა განსხვავდება როგორც გარეგნულად, ცხოვრების წესით ან ზრდით, თავისი გემოთი და სუნით ნებისმიერი სხვა სახეობის ან გვარის მცენარისაგან, ასევე თითოეული მინერალი და მარილი განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან, როგორც თავისი გარეგანი, ასევე შინაგანი

ფიზიკური და ქიმიური თვისებებით (რომელთა წყალობით ერთი ნივთიერება მეორეში არ აგვერევა), ასევე უდავოა, ყველა მათგანი სხვადასხვაა და ერთიმეორისაგან განსხვავდება თავისი პათოლოგიური და შესაბამისად, თავისი თერაპიული ზემოქმედებითაც<sup>98</sup>. თითოეული ეს ნივთიერება ადამიანთა ჯანმრთელობაში განსაკუთრებულ, განსხვავებულ, მაგრამ გარკვეული სახის ცვლილებებს იწვევს, რაც ერთმანეთში მათი არევის შესაძლებლობას გამოორიცხავს.

98. ნებისმიერი, ვინც ზედმიწევნით იცის სამკურნალ-წამლო საშუალებები და მათი საოცარი განსხვავებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება, იოლად გაიგებს, რომ მათ შორის სამედიცინო თვალსაზრისით ექვივალენტური საშუალებები, არანაირი შემცვლელები არ შეიძლება არსებობდეს. ისინი, ვინც სხვადასხვა წამლის ჭეშმარიტი, პოზიტიური ზემოქმედება არ იციან, შეიძლება იმდენად ბრყვები იყვნენ, რომ შეეცადონ დაგვარწმუნონ, თითქოს ერთი საშუალება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მეორის ნაცვლად და ერთი, იმავე დაავადებისას ისეთივე სასარგებლო იყოს, როგორც მეორე. ასე ერევათ მცირეწლოვან ბავშვებს ერთმანეთში არსებითად განსხვავებული ნივთები, რამდენადაც მათ მხოლოდ მიახლოებით იციან მათი გარეგნული სახე, გაცილებით ნაკლებად – მათი რეალური მნიშვნელობა, ჭეშმარიტი ღირებულება და მათთვის დამახასიათებელი ძალიან განსხვავებული თვისებები.

99. თუკი ეს სიმართლეა და ეს უცილობლად ასეა, მაშინ არც ერთი საღ აზრზე მეოფი ექიმი, არ დაიწყებს მოქმედებას თავისი სინდისის – ერთადერთი ჭეშმარიტი და ღირსეული არბიტრის წინააღმდეგ. იგი მკურნალობის დროს ვერავითარი სამკურნალწამლო ნივთიერების გამოყენებას ვერ შეძლებს გარდა იმისა, რომლის ჭეშმარიტი მნიშვნელობა მისთვის სუსტად და მთლიანად ცნობილია ანუ, რომლის პოზიტიური ზემოქმედება ჯანმრთელი ინდივიდუუმების მდგომარეობაზე ისე გულდასმით გამოიკვლია და გარკვევით იცის, რომ იმის ძალიან მსგავსი ავადმყოფური მდგომარეობა შეუძლია გამოიწვიოს (უფრო მსგავსი, ვიდრე მისთვის მშვენიერად ცნობილი ნებისმიერი სხვა წამალი), რომელიც წარმოდგენილია ავად-

მყოფობის ისტორიაში და რომლის მკერნალობასაც ის აპირებს ამ წამლის საშუალებით. როგორც ზემოდ იყო ნახევენები, არც ადამიანს და შესაძლოა, არც თვით ბუნებას, არ შეუძლია სხვა მეთოდით განკურნონ მთლიანად და სწრაფად, გარდა კომეოპათიური საშუალებებისა. შემდგომში არც ერთ ნამდვილ ექიმს არ შეუძლია არ ნაატაროს ყველაზე უფრო საჭირო ცოდნის მისაღებად ასეთი აუცილებელი ექსპერიმენტები, სამკურნალო საქმისათვის ყველაზე უფრო საჭირო წამლებზე, იმ ცოდნისთვის, რომელსაც აქამდე ყველა დროის ექიმი უგულვებელყოფდა. მთელი წარსული დროის განმავლობაში, მომდევნო თაობები ამას აღბათ არ დაიჯერებენ, ექიმები იმ წამლების ბრმად დანიშნებით კმაყოფილდებოდნენ, რომელთა მოქმედება ცნობილი არ იყო და რომლებიც არასოდეს არ ყოფილან შესწავლილი მათი ადამიანის ჯანმრთელობაზე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, ძლიერ განსხვავებული, ხშირად ღინამიკური ზემოქმედების თვალსაზრისით. უფრო მეტიც, ისინი ერთ დანიშნულებაში ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებულ რამდენიმე უცნობ წამალს ურევდნენ და შემთხვევას ანდობდნენ განესაზღვრათ, რა ზემოქმედებას მოახდენდა პაციენტზე. ეს იგივეა, რომ გიჟი შევარდეს სახელოსნოში, ხელი დაავლოს ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენება მან სრულიად არ იცის და მუშაობა დაიწყოს მხედველობის არეში მოხვედრილ პროდუქციის ნიმუშებზე ისე, როგორც ის წარმოიდგენს. თქმაც არ უნდა, რომ მის უაზრო მოქმედებას მხოლოდ მსხერვეა და განადგურება მოყვება.

## § 120

ამის გამო წამლები, რომელზეც ადამიანის სიცოცხლე და სიკვდილი, ჯანმრთელობა და ავადმყოფობაა დამოკიდებული, ერთმანეთისაგან მაქსიმალურად, საგულდაგულოდ და ზუსტად უნდა განვასხვავოთ. ამ მიზნით ისინი აუცილებლად უნდა გამოვცადოთ ჯანმრთელ სხეულზე ზუსტი, წმინდა ექსპერიმენტების გზით, დავადგინოთ მათი ძალა და რეალური ზემოქმედება, რათა მივიღოთ მათზე ზუსტი ცოდნა და შესაძლებლობა ავიცილოთ ნებისმიერი შეცდომა

დაავადებების დროს მათი გამოყენებისას, რადგანაც მხოლოდ სწორად შერჩეული წამლის საშუალებით შეიძლება ყველა ამქვეყნიურ სიკეთესთან შედარებით უდიდესი სიკეთის, ადამიანის სხეულის და გონების სწრაფი და საბოლოო აღდგენის მიღწევა.

### § 121

ჯანმრთელ სხეულზე წამალთა ზემოქმედების დასადგენად მათი გამოცდისას, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ძლიერ ან საშიშ ნივთიერებებს, როგორც მათ უწოდებენ, მცირე დოზებშიც შეუძლიათ ჯანმრთელობის ცვლილებების გამოწვევა ძლიერ ადამიანებშიც კი. ნაკლები ძალის წამლები ასეთი ექსპერიმენტების დროს უნდა მივცეთ უფრო მნიშვნელოვანი რაოდენობით; თუმცა, ყველაზე სუსტი ნივთიერებების მოქმედება რომ შევამჩნიოთ, გამოსაცდელი პირი ჯანმრთელი, ფაქიზი მგრძნობელობის, ადვილად აგზნებადი და მგრძნობიარე უნდა იყოს.

### § 122

ამ ექსპერიმენტებში, რომლებზეც დამოკიდებულია სამედიცინო ხელოვნების სიზუსტე მთლიანობაში და კაცობრიობის ყოველი მომავალი თაობის კეთილდღეობა, სხვა წამლების გამოყენება არ ღირს იმათ გარდა, რომლებიც სრულყოფილად არიან ცნობილი და რომელთა სიწმინდე, ჭეშმარიტება და ენერჯია საგულდაგულოდ არის დადგენილი.

## § 123

თითოეული საშუალება უნდა ავიღოთ სრულიად მარტივი და სუფთა სახით: ადგილობრივი მცენარეების მხოლოდ ახალგამწურული წვენი, შერეული მცირე რაოდენობის სპირტთან, რათა არ გაფუჭდეს; უცხო ქვეყნების მცენარეული ნივთიერებები – ფხვნილის ან სპირტზე დამზადებული ნაყენის სახით, რომელიც ნედლი მცენარეებისგან არის მიღებული, გარკვეული რაოდენობის წყლის დამატებით; მარილები და გუმფისი წყალში უშუალოდ მიღების წინ უნდა გაიხსნას. თუკი მცენარის შოვნა შესაძლოა მხოლოდ მშრალი სახით და მისი ძალა სუსტია, ამ შემთხვევაში ექსპერიმენტისათვის მისგან ნაყენი უნდა დავამზადოთ: მცენარე დავაქუცმაცოთ და დავასხათ მდუღარე, რათა გამოვყოთ მისი მკურნავი ნაწილი; ხსნარი მიმზადებისთანავე უნდა მივიღოთ, სანამ ჯერ კიდევ თბილია, რადგანაც ყველა გამომწურული წვენი და წყალში გახსნილი ხსნარი, სპირტის დამატების გარეშე სწრაფად იწყებენ დუღილსა და დაშლას, რის შედეგადაც მათი სამკურნალო თვისებები იკარგება.

## § 124

ამ ექსპერიმენტებისათვის ყოველი სამკურნალწამლო ნივთიერება მხოლოდ ცალკე და წმინდა, ყოველგვარი უცხო მინარეებისაგან თავისუფალი სახით უნდა გამოვიყენოთ. დაუშვებელია ნებისმიერი ისეთი ნივთიერების მიღება, რომელსაც წამლის თვისებები აქვს, არც იმ და არც შემდგომ დღეებში, როცა შესასწავლი ნივთიერების მოქმედებას ვაკვირდებით.

§ 125

დიეტა მთელი ექსპერიმენტის განმავლობაში უნდა რეგულირდებოდეს. საკვები შექმლებისდაგვარად მხოლოდ ნოიერი, მარტივი და სანელებლების გარეშე უნდა იყოს; ნედლ ბოსტნეულს,<sup>100</sup> ფესვებს, ყველა სალათს და მცენარეულ სუპებს (რომლებსაც ექსპერიმენტის სიწმინდის დარღვევის უნარის მქონე რაღაც წამლისმიერი თვისებები საგულდაგულოდ მომზადების დროსაც კი აქვთ) უნდა ვერიდოთ. სითხეები იგივე, რასაც ჩვეულებრივ იღებენ და შექმლებისდაგვარად ნაკლებად აღმზნები<sup>101</sup> უნდა იყოს.

*100. მწვანე ბარდა, მწვანე ლობიო, მოხარშული კარტოფილი და სტაფილო დასაშვებია ნებისმიერი სახით, როგორც ყველაზე ნაკლები სამკურნალო თვისებების მქონე ბოსტნეულები.*

*101. ადამიანს, რომელიც თავის თავზე წამლების გამოცდას ატარებს ღვინის, ბრენდის, ყავის, ჩაის სმის ნევეა არ უნდა ჰქონდეს, ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში უარი თქვას ამ მანე სასმელებზე, რომელთაგან ზოგი აღმზნებია, ზოგსაც კი მკურნავი თვისებები აქვს.*

§ 126

ადამიანი, რომელიც თავის თავზე წამალს ცდის, განსაკუთრებულად სანდო და კეთილსინდისიერი უნდა იყოს. ექსპერიმენტის მთელი დროის განმავლობაში გონებისა და სხეულის ყოველნაირ გადაძაბვას, ხელის შემშლელ და ყურადღების მიმქცევ ყველა სახის ენებას უნდა მოერიდოს; არ უნდა აკეთებდეს არანაირ სასწრაფო, ყურადღების გამფანტავ საქმეს და საგულდაგულო თვითდაკვირვებას ეძლეოდეს. მისთვის ხელის შეშლა არ შეიძლება, სანამ ამით არის დაკავებული; ის უნდა იყოს ჯანმრთელობის კარგ მდგომარეობაში და საკმარისი ინტელექტი უნდა ჰქონდეს,



რათა თავისი შეგრძნებები ზუსტი ტერმინებით აღწეროს და გადმოსცეს.

§ 127

წამლები უნდა გამოიცადოს როგორც ქალებზე, ასევე მამაკაცებზე, რათა აღმოვაჩინოთ ჯანმრთელობის ცვლილებები, რასაც ისინი სქესობრივ სფეროში იწვევენ.

§ 128

ბოლო დაკვირვებით დადგინდა, რომ ექსპერიმენტატორის მიერ მათი სპეციფიკური მოქმედების გამოსაცდელად დაუმუშავებული სახით გამოყენებული სამკურნალწამლო ნივთიერებები, მათში დაფარულ ძალებს სრულად თითქმის არასდროს ავლენენ. უკანასკნელნი გამოვლინდებიან ამ ნივთიერებების იმავე მიზნებით გამოყენებისას, როცა მათ ვაძლევეთ შესაბამისად სრესით გაძლიერებულებს მაღალ განზავეებში. ამ მარტივი ოპერაციის საშუალებით ძალები, რომლებიც დაუმუშავებელ მდგომარეობაში დაფარული იყო და თითქოს თვლემდა, ვითარდება და წარმოუდგენლად აქტიურდება. ახლა ვთვლით, რომ ამ მეთოდით ყველაზე უკეთესია გამოვიკელიოთ ისეთი ნივთიერებების სამკურნალო ძალაც კი, რომლებიც სუსტად ითვლებოდა. ჩვენს მიერ მიღებული გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ცდის პირს ყოველდღიურად უზმოზე მივცეთ მცირე რაოდენობით წყალში დასველებული ან წყალში საგულდაგულოდ გახსნილი ამ ნივთიერების ოცდამეათე ხარისხამდე პოტენცირებული ოთხი-ექვსი მარცვალი.

§ 129

თუკი ასეთი დოზა მხოლოდ სუსტ მოქმედებას ახდენს, მაშინ ბურთულების ყოველდღიური რაოდენობა შეიძლება რამდენადმე გაავზარდოთ, სანამ წამლის მოქმედება უფრო გამოხატული და ძლიერი, ხოლო ჯანმრთელობის ცვლილება უფრო შესამჩნევი არ გახდება. ეს საჭიროა იმიტომ, რომ წამლების მოქმედებას ყველა ადამიანი არათანაბრად ექვემდებარება და ამ მხრივ დიდი მრავალფეროვნება გვხვდება: ზოგჯერ სუსტ ინდივიდზე ძლიერად აღიარებული წამლის ზომიერმა დოზამ შესაძლოა საერთოდ არ იმოქმედოს, ხოლო სხვა, გაცილებით უფრო სუსტები საკმაოდ ძლიერ მოქმედებენ. მეორე მხრივ, არიან ძალიან ძლიერი ადამიანები, რომლებსაც მნიშვნელოვანი ავადმყოფური სიმპტომები უვითარდებათ აშკარად სუსტი წამლებისგან და მხოლოდ მსუბუქი სიმპტომები – უფრო ძლიერი საშუალებებისგან. რადგანაც ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, რეკომენდებულია ყოველი შემთხვევის მკურნალობა წამლის მცირე დოზით დავიწყოთ და საჭიროებისამებრ ყოველდღიურად გაავზარდოთ, თუკი აუცილებელია და მოცემულ შემთხვევას შეესაბამება.

§ 130

თუკი მიცემული დოზა დასაწყისშივე საკმარისად ძლიერია, მაშინ ექსპერიმენტატორი სიმპტომთა განვითარების თანამიმდევრობას დაადგენს და შეიძლება ზუსტად აღნიშნოს თითოეულის აღმოცენების დრო. ეს ძალიან სასარგებლოა, რადგანაც წამალთა თვისებების შეცნობამდე მივყავართ. ამ შემთხვევაში მისი პირველადი, აგრეთვე მონაცვლეობითი მოქმედებების თანამიმდევრობა ყველაზე უფრო ზუსტად გამოჩნდება. ექსპერიმენტისათვის ხშირად ძალიან ზომიერი დოზიც კი საკმარისია, თუკი ის ფაქიზი მგრძნო-

ბელობისა და თავისი შეგრძნებების მიმართ ძალიან ყურადღებიან პიროვნებაზე ტარდება. წამლის მოქმედების ხანგრძლიობის დადგენა მხოლოდ რამდენიმე ექსპერიმენტის მონაცემების შედარებით არის შესაძლებელი.

§ 131

მაგრამ თუ მიზანი ზოგადად წამლის რომელიმე ეფექტის გამოვლენაა, მაშინ იგივე წამალი ერთი და იმავე ადამიანს გამოსაცდელად ყოველი შემდგომი დღის განმავლობაში სულ უფრო მზარდი დოზებით უნდა მიეცეთ. ამ დროს ეჭვგარეშეა, განსხვავებულ ავადმყოფურ მდგომარეობებს დაუდგენო, რომლებიც ამ წამალს შეუძლია გამოიწვიოს, მაგრამ მათ თანამიმდევრობას ვერ განესაზღვრავთ: შემდგომი დოზა მკურნალობის გზით წინა დოზით გამოწვეულ ამ თუ იმ სიმპტომს ხშირად ხსნის ან საწინააღმდეგო მდგომარეობას იწვევს. ასეთი სიმპტომი ფრჩხილებში უნდა ჩავსვათ და ის რომ არაცალსახაა, მანამდე უნდა გექონდეს მხედველობაში, სანამ შემდგომი, უფრო წმინდა ექსპერიმენტები არ გვიჩვენებენ, რომ ეს ორგანიზმის რეაქცია და მეორეული მოქმედებაა თუ წამლის მონაცველობითი მოქმედება.

§ 132

მაგრამ, თუ მიზანი მოვლენათა თანამიმდევრობასთან და წამლის მოქმედების ხანგრძლიობასთან დამოუკიდებლად მხოლოდ საკუთრივ, განსაკუთრებით სუსტი წამლისმიერი საშუალებების სიმპტომების დადგენაა, მაშინ ასეთ შემთხვევაში უმჯობესია რამდენიმე დღე ყოველდღიურად მზარდი დოზა მიეცეს. ამ სახით შესაძლოა ყველაზე სუსტი უცნობი

საშუალების მოქმედებაც კი გამოვლინდეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის მგრძობიარე ადამიანებზე გამოიცდება.

§ 133

წამლის მიერ გამოწვეული ნებისმიერი ცვლილების შეგრძნებისას, სიმპტომთა ხასიათის ზუსტად განსაზღვრისთვის სასარგებლო და აუცილებელიც კია, სანამ წამლის მოქმედება გრძელდება, სხვადასხვა მდგომარეობა მივიღოთ და დავაკვირდეთ, ძლიერდება თუ არა სიმპტომი, სუსტდება ან ქრება სხეულის დაზიანებული ნაწილის მოძრაობისას, ოთახში ან სუფთა ჰაერზე სეირნობის დროს, დგომის, ჯდომის ან წოლის მდგომარეობაში და ხომ არ მეორდება, თუკი ისევ მივიღებთ იმ მდგომარეობას, რომელშიც პირველად გაჩნდა; იცვლება თუ არა სიმპტომი ჭამის ან სმის დროს, ნებისმიერ სხვა პირობებში: ლაპარაკის, ხველების, კითხვის თუ სხვა მოქმედებისას, აგრეთვე აღვნიშნოთ, დღე-ღამის რომელ პერიოდში გამოჩნდა ან დაიწყო ყველაზე უფრო შესამჩნევად. ყოველივე ამის შედეგად ნათელი გახდება, რა არის ყველაზე უფრო დამახასიათებელი და განსაკუთრებული თითოეული სიმპტომისათვის.

§ 134

ყოველგვარ გარეგან ზემოქმედებას, განსაკუთრებით კი წამლებს, ცოცხალი ორგანიზმის ჯანმრთელობაში ისეთი სახის ცვლილებების გამოიწვევის უნარი აქვთ, რაც მხოლოდ მათთვის არის დამახასიათებელი. მაგრამ, რომელიმე წამლისთვის დამახასიათებელი ყველა სიმპტომი ერთ ადამიანში არ გამოჩნდება, არც ყველა ერთდროულად, არც ერთი და იმავე ექსპერიმენტის დროს, არამედ ზოგიერთ ადამიანში უპირატესად ერთ ჯერზე, სხვები მეორე ან მესა-

მე ექსპერიმენტის დროს გამოვლინდება. სხვა ადამიანს კი სხვა სიმპტომი გამოუვლინდება. ამ დროს მეოთხეს, მერვეს ან მეთათეს შეიძლება მეორე, მეექვსე ან მეცხრე ადამიანში უკვე გამოვლენილი სიმპტომები განუვითარდეს და ა.შ.; უფრო მეტიც, ისინი, შესაძლოა, მაშინვე გამოვლინდნენ.

§ 135

დაავადების ყველა ელემენტი, რომელსაც მოცემული წამალი იწვევს, შესაძლოა მხოლოდ ამ მიზნისათვის გამოსადეგ სხვადასხვა კონსტიტუციის მქონე ორივე სქესის ადამიანებზე მრავალრიცხოვანი დაკვირვებების გზით გამოვლინდეს. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ წამალი საგულდაგულოდაა გამოცდილი ავადმყოფური მდგომარეობების შესწავლის თვალსაზრისით, რომელიც მას შეუძლია გამოიწვიოს, ე.ი., ადამიანის ჯანმრთელობის შეცვლის მისი ჭეშმარიტი შესაძლებლობების თვალსაზრისით, როცა შემდგომი ექსპერიმენტატორები მის მოქმედებაში მხოლოდ მცირე სიახლეებს აღმოაჩენენ და თითქმის ყოველთვის – მხოლოდ იგივე სიმპტომებს, რომელიც სხვებმა უკვე აღწერეს.

§ 136

თუმცა, როგორც უკვე ითქვა, მოცემული წამლის მოქმედების ჯანმრთელ ადამიანებზე გამოცდისას, შეუძლებელია ერთ ადამიანზე გამოვალინოთ ჯანმრთელობის ყველა ცვლილება, რომლის მიზეზიც ის შეიძლება იყოს და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბევრ, სხვადასხვა ფსიქიკური და ფიზიკური კონსტიტუციის მქონე ინდივიდუმს ეძლევა. მას ყოველ ადამიანში შეუძლია ყველა ეს სიმპტომი (§117)

გამოიწვიოს, ბუნების იმ უცვლელი და მოუშლელი კანონის თანახმად, რომლის ძალითაც წამლის ყველა ეფექტი, თვით ჯანმრთელ ადამიანში იშვიათად აღმოსაჩენიც კი, მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუ ეს წამალი მსგავსი სიმპტომების მქონე ავადმყოფურ მდგომარეობაში მყოფ ინდივიდუმს მიეცა. მაშინ, ჰომეოპათიური საშუალების ყველაზე უფრო მცირე დოზაც კი, პაციენტისათვის შეუმჩნევლად გამოიწვევს ბუნებრივი დაავადების ძალიან მსგავს ხელოვნურ მდგომარეობას, რომელსაც ის აუცილებლად სწრაფად მოარჩენს ჰომეოპათიურად.

§ 137

რაც უფრო ზომიერია (გარკვეულ ფარგლებში) ასეთ ექსპერიმენტებში გამოყენებულ წამალთა დოზები, მით უფრო მკაფიოდ ჩნდება პირველადი და მხოლოდ ეს მოქმედებები, რომელთა ცოდნაც ყველაზე უფრო საჭიროა. ისინი ყოველგვარი დამატებითი მეორეული მოქმედების ან სასიცოცხლო ძალის რეაქციის გარეშე აღმოცენდებიან. მსგავსი ექსპერიმენტებისთვის უნდა შევარსიოთ მართალი, ყოველგვარ ურთიერთობებში ზომიერი, თავის შეგრძნებებზე უდიდესი ყურადღების კონცენტრაციისა და ფაქიზი მგრძნობელობის მქონე ადამიანები. ზედმეტად დიდი დოზების მიღებისას კი, სიმპტომებს შორის ერთდროულად არამარტო არაერთი მეორეული მოქმედება იჩენს თავს, არამედ პირველადი მოქმედებები ისეთ უწესრიგობაში და თანაც ისეთი სისწრაფით ხვდებიან, რომ მათზე ზუსტი დაკვირვება შეუძლებელია, რომ არაფერი ვთქვათ თანამდევ საშიშროებაზე, რომელსაც ვერც ერთი, პაციენტის პატივისმცემი და ადამიანთა მოდგმიდან ყველაზე საცოდავის, თავის ძმად აღმქმელი პიროვნებაც კი, ვერ უზულვებელყოფს.

## § 138

წამლის გამოცდის დროს, ექსპერიმენტატორის ჯანმრთელობის ყოველ ცვლილებას, ჩივილს და გართულებას (თუკი ზემოთ დასახელებული პირობები [§§ 124 –127], რომლებიც არსებითია კარგი და წმინდა ექსპერიმენტისათვის, დაცულია) მხოლოდ ეს წამალი იწვევს და უნდა განიხილებოდეს და რეგისტრირდებოდეს, როგორც მხოლოდ მისი მახასიათებლები, მისი სიმპტომები. თუკი ექსპერიმენტატორს **გაცილებით ადრე** აღენიშნებოდა ასეთი მოვლენების სპონტანური გამოვლინებები, წამლის გამოცდის პროცესში მათი ხელმეორე აღმოცენება მხოლოდ იმას აჩვენებს, რომ ეს ინდივიდუმი თავისი კონსტიტუციის თავისებურებების გამო, ასეთი სიმპტომების მიმართ განსაკუთრებით მიდრეკილია. ამ შემთხვევაში ისინი წამლის მოქმედების შედეგს წარმოადგენენ; სიმპტომები არა სპონტანურად, არამედ იმ მიღებული წამლის მოქმედების შედეგად ჩნდება, რომელიც მთელი ორგანიზმის ჯანმრთელობაზე ახდენს ზემოქმედებას.

## § 139

თუ ექიმი წამალს თავის თავზე არ ცდის, არამედ მას სხვა ადამიანს აძლევს, ეს უკანასკნელი მოვალეა დააფიქსიროს შეგრძნებები, ჩივილები, ჯანმრთელობის დარღვევები და ცვლილებები, რასაც მათი აღმოცენების მომენტში განიცდის, აღნიშნავს წამლის მიღებიდან სიმპტომის გაჩენამდე გასულ დროს და თუ ის დიდხანს გრძელდება – მის ხანგრძლიობასაც. ექიმი ექსპერიმენტის დამთავრებისთანავე მისი თანხლებით გადახედავს ანგარიშს ან თუკი გამოცდა რამდენიმე დღე გრძელდება, ამას ყოველ დღე აკეთებს, რათა თითოეული ამ გარემოების შესახებ შეკითხვები დაუს-

ვას და უფრო ზუსტად აღწეროს ამ სახით გამოვლენილი წვრილმანები ან შეიტანოს შესწორებები, რომლებიც შესაძლოა დაკვირვების ქვეშ მყოფმა პირმა შემოგეთავაზოს<sup>102</sup>, სანამ მის მახსოვრობაში ყოველივე ახალია.

*102. ამგვარად ის, ვინც ასეთ შედეგებს სამედიცინო საზოგადოებას ატყობინებს, პასუხისმგებელი ხდება, ექსპერიმენტის სანდოობაზე და მის მტკიცებულებებზე; და ეს სამართლიანია, რადგანაც კაცობრიობის კეთილდღეობა საფრთხის ქვეშაა.*

## § 140

თუ პირმა, ვისზეც ექსპერიმენტი ტარდება, წერა არ იცის, ეჭიმმა მისგან მიღებული ინფორმაცია ყოველდღე უნდა ჩაიწეროს. თუმცა, რაც იწერება, იმ ადამიანის თავისუფალი მონათხრობი უნდა იყოს რომელზეც ექსპერიმენტი ტარდება. არაფერი სავარაუდო და ისეთი, რაც ძირითად შეკითხვებზე პასუხებიდან არ გამომდინარეობს არ უნდა იქნეს დაშვებული. ყველაფერი იმავე სიფრთხილით უნდა დადგინდეს, რასაც ზემოთ გირჩევდით (§§ 84 – 99), მოვლენის გამოკვლევისა და ბუნებრივი დაავადების ხასიათზე თვალყურის დევნებით.

## § 141

მაგრამ, ადამიანის ჯანმრთელობაში ცვლილებების გამომწვევი მარტივი წამლების, აგრეთვე მათ მიერ ჯანმრთელ ინდივიდუუმებში გამოწვეული ხელოვნური დაავადებებისა და სიმპტომების შესწავლის საუკეთესო საშუალებად ის ექსპერიმენტი გვევლინება, რომელსაც ჯანმრთელი, მიუკერძოებელი, ფაქიზი აღქმის უნარის მქონე ეჭიმი აუცილებელი



სიფრთხილითა და გულმოდგინებით თავის თავზე ატარებს. მან ყველაზე უკეთ იცის, რასაც თავითონ<sup>103</sup> განიცდის.

103. გამოცდას, რასაც ექიმი თავის თავზე ატარებს, სხვა შეუფასებელი უპირატესობებიც აქვს. უპირველეს ყოვლისა, უდიდესი ჭეშმარიტება იმაშია, რომ ყველა პრეპარატის ძალა, რაზეც მისი სამკურნალო თვისებებია დამოკიდებული, ჯანმრთელობის ცვლილებებში მდგომარეობს, რომელსაც ის თვითონ შეიგრძნობს გამოსაცდელი წამლების მიღებისას და მის მიერ ამ წამლებისგან განცდილი ავადმყოფური მდგომარეობა, მისთვის უცნობელი ფაქტი ხდება. გარდა ამისა, თავის თავზე ასეთი საყურადღებო დაკვირვებების შემდეგ ის საკუთარი შეგრძნებების, თავისი აზროვნების და ხასიათის (ჩვენი სიბრძნის საფუძველია – შეიცან თავი შენი) გაგებამდე მივა, ასევე შეიძენს ჩვევებს, რომ კარგი დამკვირვებელი დადგეს, როგორც უნდა გახდეს ნებისმიერი ექიმი. ყველა ჩვენი დაკვირვება სხვებზე, ვერ იქნება ისეთი საინტერესო, როგორც საკუთარ თავზე. სხვაზე დამკვირვებელს ყოველთვის უნდა ეშინოდეს, რომ ცდის პირი არ გრძნობს ზუსტად იმას, რასაც ამბობს, ან თავის შეგრძნებებს არ აგეიწერს ყველაზე შესაფერისი სიტყვებით. ის ყოველთვის უნდა ეჭვობდეს, ხომ არ შეჰყავთ შეცდომაში, უკიდურეს შემთხვევაში გარკვეულ წილად მაინც. ჭეშმარიტების შეცნობის გზაზე ეს წინააღმდეგობები, რომლებიც წამლების მიღებისას გამოწვეული ხელოვნური ავადმყოფური სიმპტომების გამოკვლევებისას არასოდეს არ შეიძლება სრულად გადაიღახოს სხვებში, მთლიანად აგვშორდება, თუკი გამოკვლევებს ჩვენს თავზე ჩავატარებთ. მან, ვინც გამოკვლევებს საკუთარ თავზე ატარებს, გარკვევით იცის, რას გრძნობდა და ყველა გამოცდა მისთვის ახალ, სხვა წამლების ძალის გამოკვლევისათვის სტიმულად გვევლინება. ამ გზით ის ექიმისათვის ამდენად მნიშვნელოვან დაკვირვების ხელოვნებაში გამოცდილებას იძენს და თავის თავზე დაკვირვებას აგრძელებს – მასზე ვისაც მთლიანად შეუძლია დაეყრდნოს და ვინც არასოდეს მოატყუებს. ამას გააკეთებს ყველაზე უფრო თავგამოდებით. რადგანაც თავის თავზე ჩატარებული ექსპერიმენტები შესაძლებლობას აძლევს სარწმუნო ცოდნა მიიღოს ახალი წამლების ჭეშმარიტი შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ კარგად არ არიან ცნობილნი.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ გამოსაცდელად წამალთა მიღებით გამოწვეული ასეთი მსუბუქი უქეიფობა, შესაძლოა ჯანმრთელობისათვის ძალიან მავნე იყოს. პირიქით, ცდა გეინფუნებს, რომ გამომცდელის სხეული ჯანმრთელობაზე ამ ხშირი შეტევების შემდეგ უკეთესად ეგუებოდა ყველა, მისი კონსტიტუციისათვის მტრულ გარეგან შემოქმედებას, ყველა ხელოვნურ და ბუნებრივ დამღუპველ ფაქტორს და თავის თავზე წამლების ზომიერი ექსპერიმენტების შედეგად უფრო ამტანი ხდება, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ყველაფერს, რაც მავნეა. როგორც ცდა გეინფუნებს, მისი ჯანმრთელობა უფრო მდგრადი, თვითონ კი – უფრო ძლიერი ხდება.

## § 142

მაგრამ, სამკურნალოდ გამოყენებული წამლის რომელიმე სიმპტომის<sup>104</sup> გამოყოფა საწყისი უქეიფობის სიმპტომებს შორის, განსაკუთრებით კი (ჩვეულებრივ) უცვლელი სიმპტომების მქონე ქრონიკული დაავადებების დროს, შეფასების უფრო მაღალი ხელოვნების საგანია და მხოლოდ და მხოლოდ დაკვირვების ოსტატებს უნდა დაეთმოს.

*104. სიმპტომები, რომლებიც აღინიშნებოდა დაავადების დროს წამლის გამოყენებამდე, დიდი ხნით ადრე ან საერთოდ არასოდეს არ გვექონია – არსებითად ახალი, ამ წამლის მახასიათებელი სიმპტომებია.*

## § 143

თუკი ამ სახით გამოვცადეთ ჯანმრთელ ადამიანებზე მარტივი წამლები და საგულდაგულოდ ჩავიწერეთ დაავადების ყველა ელემენტი და სიმპტომი, რომელთა გამოწვევა მათ როგორც ხელოვნური დაავადების გამომწვევეებს შეუძლიათ, მხოლოდ მაშინ გვექნება ჩვენ *Materia medica* – მარტივი სამკურნალო ნივთიერებების მოქმედების რეალ-

ური, ჭეშმარიტი, სანდო<sup>105</sup> აღწერა, ბუნების წიგნი, სადაც ყველა ძლიერი წამლის დამახასიათებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლის უნარი და სიმპტომების დიდი რაოდენობაა დარეგისტრირებული, ისე, როგორც ისინი დამკვირვებლის ყურადღებას ევლინებიან. ამ წამლებს მრავალი ბუნებრივი დაავადების მსგავსი ელემენტი ახასიათებთ, რომლებსაც მათი დახმარებით უნდა ვუმკურნალოთ, მოკლედ რომ ვთქვათ, მათ ისეთი ხელოვნური ავადმყოფური მდგომარეობის გამოწვევა შეუძლიათ, რომელიც მსგავსი ბუნებრივი დაავადებისათვის ერთადერთი სანდო, ასე ვთქვათ საიმედო და შეუქცევადი ჰომეოპათიური მკურნალობის ინსტრუმენტი.

*105. ჩვენს დროში ჩვეულებრივი გახდა წამლების გამოცდის ნდობა უცნობი ხალხისათვის, რომლებსაც მათი მუშაობისათვის ფულს უხდიან და ამ გზით მიღებული ინფორმაცია ქვეყნდება. მაგრამ ამ შემთხვევაში სამუშაო, რომელიც ყველაზე მთავარია და საექიმო ხელოვნების ერთადერთ საფუძველს უნდა შეადგენდეს და უდიდეს მორალურ რწმენას და სანდობას მოითხოვს, როგორც მე მჩვენება, სამწუხაროდ, თავისი შედეგებით საჭეო და გაურკვეველი ხდება და ყოველგვარ ღირებულებას კარგავს.*

## § 144

ასეთი Materia medica-დან, ყველაფერი, რაც სავარაუდო, უსაფუძვლო ან წარმოსახვითია, მკაცრად უნდა გამოირიცხოს; ყველაფერი ბუნების წმინდა ენით უნდა იყოს გადმოცემული, ყურადრებით და პატიოსნი გამოკითხვით შეგროვებული.

მართლაც, მხოლოდ წამალთა მნიშვნელოვანი მარაგის შექმნის, ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი ჭეშმარიტი მოქმედების უნარისა და მათ მიერ გამოწვეული ცვლილებების შესწავლის შემდეგ შეგვიძლია შევარჩიოთ ჰომეოპათიური საშუალება – რომელსაც ბუნებაში არსებული უსაზღვროდ მრავალრიცხოვანი ყველა ავადმყოფური მდგომარეობისთვის, ყველა დაავადებისთვის შესაბამისი, მსგავსი ავადმყოფური სიმპტომების ხელოვნურად (სამკურნალო) გამოწვევა<sup>106</sup> შეუძლია. სიმპტომთა ზუსტი ხასიათისა და დაავადების ელემენტების სიუხვის გამო, რომლებიც თითოეულმა ძლიერმა სამკურნალო წამლო ნივთიერებამ თავისი მოქმედებით ჯანმრთელ სხეულზე უკვე გამოავლინა, დღეისათვის მხოლოდ რამდენიმე დაავადება რჩება, რომელთათვის ზუსტად შესაბამისი ჰომეოპათიური საშუალება ნაპოვნი არ არის იმ წამალთა შორის, რომელთა მოქმედება უკვე შესწავლილია<sup>107</sup> და რომლებიც სერიოზული დარღვევების გარეშე აღადგენენ ჯანმრთელობას რბილი, საიმედო და შეუქცევადი გზით, გაცილებით უფრო საიმედოდ და უსაფრთხოდ, ვიდრე შესაძლოა ზემოქმედება ძველი ალოპათიური მკურნალობის ზოგადი და სპეციალური თერაპიით, მისი უცნობი რთული საშუალებებით, რომლებიც პაციენტის მდგომარეობას ცვლიან და ამძიმებენ, მაგრამ ქრონიკული დაავადებების განკურნება არ შეუძლიათ და ხშირად სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აყენებენ.

106. თავიდან, დაახლოებით 40 წლის წინ, ერთადერთი ადამიანი ვიყავი, რომელმაც თავის ყველაზე უფრო მთავარ საქმედ წამალთა ჭეშმარიტი ძალის შესწავლა გაიხადა. შემდეგ რამდენიმე ახალგაზრდა მეჩხმარებოდა, რომლებმაც ექსპერიმენტები თავის თავზე ჩაატარეს. მათ დაკვირვებებს კრიტიკულად ვიხილავდი. შემდგომში ასეთი სახის რამდენიმე ორიგინალური სამეუშაო ზოგიერთმა სხვამაც ჩაატარა. პათოლოგიის

უსასრულო სფეროში არაფერი არ დარჩება, რაზეც ზემოქმედებას ვერ შევძლებთ სრული განკურნების მიზნით, როცა მრავალი ზუსტი და ნლობის ღირსი დამკვირვებელი გაამდიდრებს ამ ერთადერთ ჭეშმარიტ *Materia medica*-ს თავის თავზე საგულდაგულოდ ჩატარებული ექსპერიმენტებით! მაშინ საექიმო ხელოვნება აშკარად მიუახლოვდება მათემატიკურ მეცნიერებებს.

107. იხილე § 109-ის მეორე შენიშვნა.

### § 146

ბუნებრივი დაავადებების ჰომეოპათიური მკურნალობისას, ჭეშმარიტი ექიმის მუშაობის მესამე მახასიათებელია მათი ჭეშმარიტი მოქმედების გამოვლენის მიზნით ჯანმრთელ ადამიანებზე შესწავლილი ავადმყოფობის ხელოვნურად გამომწვევი ნივთიერებების (წამლების) გონივრულად გამოყენება.

### § 147

თუკი ამ წამლებიდან ნებისმიერის, რომელიც უკვე შესწავლილია მათი გამოყენებისას ადამიანის ჯანმრთელობაზე ცვლილებების გამოწვევის უნარის მიხედვით, სიმპტომები, მოცემული ბუნებრივი დაავადების სიმპტომთა ჯამის ყველაზე უფრო მსგავსი აღმონდება, მაშინ, ამ დაავადებისათვის ეს წამალი იქნება და უნდა იყოს ყველაზე სათანადო, ყველაზე ზუსტი ჰომეოპათიური საშუალება; მასში აღმონილია დაავადების ამ შემთხვევისათვის აუცილებელი სპეციფიკური საშუალება.

ბუნებრივი დაავადება არასოდეს არ უნდა განიხილოთ როგორც ადამიანის სხეულის სიღრმეში ან გარეთ (§§ 11-13) არსებული მავნე მატერიალური ნივთიერება, არამედ – როგორც რომელიმე მავნე სულიერი ფაქტორით გამოწვეული, რომელიც გარკვეული სახის ინფექციასავეთ, თავისი ინსტიქტური არსებობით, ორგანიზმში სიცოცხლის სულიერ პრინციპს არღვევს, მავნე სულის მსგავსად ტანჯავს მას და სიცოცხლის ნორმალურ მიმდინარეობაში გარკვეულ დარღვევებსა და დაავადებებს იწვევს. ეს დაავადებები და დარღვევები ცნობილია როგორც სიმპტომები (დაავადების). თუკი ამ მავნე ფაქტორის ზემოქმედება, რომელიც არა მარტო განაპირობებს, არამედ ისწრაფვის გააგრძელოს ეს დარღვევები, იხსნება, როგორც ეს ხდება მაშინ, როცა ექიმი სასიცოცხლო პრინციპის ყველაზე უფრო მსგავსი სახით შეცვლის უნარის მქონე ხელოვნურ პოტენციას ნიშნავს (ჰომეოპათიური საშუალება), რომელიც თავისი ძალით მინიმალურ დოზებშიც კი სჭარბობს მსგავს ბუნებრივ დაავადებას (§§ 33,279), მაშინ საციცოცხლო პრინციპზე საწყისი მავნე ავადმყოფობის გამომწვევი ნივთიერების ზემოქმედება ქრება, ამ უფრო ძლიერი და მსგავსი ხელოვნური დაავადების მოქმედების განმავლობაში. ახლა უკვე ეს ბოროტება სასიცოცხლო პრინციპისათვის აღარ არსებობს – ის დაშლილია. როგორც ითქვა, თუკი შერჩეული ჰომეოპათიური საშუალება სწორად არის დანიშნული, მაშინ ახალდაწყებული მწვავე ბუნებრივი დაავადება, რომელიც უნდა დავთრგუნოთ, წამლის მიღებიდან რამდენიმე საათში შეუმჩნეველად გაქრება.

უფრო ძველი, ქრონიკული დაავადება მის მიერ გამოწვეულ დისკომფორტთან და ყველა ნაკვალევთან ერთად რამდენადმე უფრო გვიან დაიხვეს უკან. უფრო მაღალ-

განზავებული იმავე წამლის რამდენიმე მიღების ან უფრო მსგავსი ჰომეოპათიური წამლის საგულდაგულო შერჩევის<sup>108</sup> შედეგად, გაჯანსაღება შეუძინეველი, ხშირად სწრაფი გადასვლებით დგება. სასიცოცხლო პრინციპი გათავისუფლებულია, ძალები აღსდგა და უნარი აქვთ, ორგანიზმის სიცოცხლე, როგორც ადრე, კვლავ ჯანმრთელ მდგომარეობაში გააგრძელონ.

108. მაგრამ ყოველი ავადმყოფური მდგომარეობისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი ჰომეოპათიური წამლის ძიება და შერჩევა, ძნელი, ზოგჯერ ძალიან ძნელი პროცედურაა, რომელიც, მიუხედავად მისი შემამსუბუქებელი ყველა შესანიშნავი წიგნისა, ყველაზე უფრო ორიგინალური წყაროების შესწავლას, ამავე დროს დიდ სიფრთხილეს და სერიოზულ განსჯას მოითხოვს, რისი საუკეთესო ჯილდოც პატიოსნად შესრულებული მოვალეობის შეგრძნებაა. როგორ მოხდა, რომ ეს ძნელი, მოუსვენარი სამუშაო, რომელიც დაავადებათა მკურნალობის ერთადერთი საუკეთესო მეთოდია, ახალი შერეული სექტის ჯენტლმენებს მოეწონათ, რომლებმაც ჰომეოპათიის საპატიო სახელი მიითვისეს და თითქოს წამლებსაც კი იყენებენ ჰომეოპათიური ტიპის და გარეგნობის მიხედვით. მაგრამ მათ საზღვრავენ როგორც მოუხერხებლად (*quidquid in biccam venit* – რაც თავში მოგედის) და რომლებიც, როცა შესაფერისი წამალს არ მოაქვს დაუყოვნებელი შედეგები, ადამიანთა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და სერიოზულ საქმეში, მოუტყეველი დანაშაულებრივი უვიცობისა და უგულისყურობის აღიარების ნაცვლად, ამას ჰომეოპათიას მიაწერენ, რომელსაც ისინი არასრულყოფილებაში ადანაშაულებენ (სინამდვილეში კი მისი არასრულყოფილება იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ავადმყოფობისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი ჰომეოპათიური წამლები ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შემწვარი ქედნების მსგავსად თავისთავად პირში არ გვიცვივა). თუმცა დიდი პრაქტიკის გამო იციან, როგორ შეავსონ არასწორად

\* ეს სამუშაო პრაქტიკულად დღესაც ასეთივე მძიმეა, მიუხედავად მრავალრიცხოვანი ლიტერატურისა და კომპიუტერული პროგრამებისა, რომლებიც ექიმებს მხოლოდ ნაწილობრივ ეხმარებიან. (მთარგმნელის შენიშვნა)

შერწყული პომეოპათიური საშუალებების არაეფექტურობა ალოპათიური საშუალებების გამოყენებით, რომლებიც მათთვის გაცილებით უფრო მოხერხებულა. ერთი ან ორი დუეინი წურბლის დაზიანებულ ადგილას მიმაგრება ან 8 უნცია სისხლის არაუსაფრთხო გამოშვება და ა.შ. მნიშვნელოვან როლს თამაშობს; და თუ პაციენტი, მიხედავად ყოველივე ამისა, გამოჯანსაღდება, ისინი აღიდებენ წურბლებს, სისხლის გამოშვებას და ა.შ., ამტკიცებენ, ეს რომ არ გაგვეკეთებინებინა, პაციენტს ვერ გადავარჩენდით და არაორაზროვნად გვაგრძნობინებენ, რომ ძველი სკოლის მანე პრაქტიკიდან სერიოზული მომზადების გარეშე აღებული ეს პროცედურები, სინამდვილეში მკურნალობის საუკეთესო ნაწილია. მაგრამ, თუკი მკურნალობის შედეგად პაციენტი კვდება, რაც არც ისე იშვიათია, ისინი ცდილობენ ნუგეში სცენ მეგობრებს, ეუბნებიან რომ <<ისინი თვითონ არიან მოწმენი იმისა, რომ გამოსატირებელი გარდაცვლილისთვის ყველაფერი შესაძლებელი გაკეთდა>>. ვინ დასდებს პატივს ამ ცარიელ და მანე კლანს უწოდოს **ექიმო-პომეოპათები?** დაე, ეწით მათ სამართლიანი შურისგება: როცა ავად გახდებიან მათ იმავე მეთოდით უმკურნალონ!

§ 149

უფრო ხანგრძლივი დაავადებების სამკურნალოდ (და განსაკუთრებით გართულებული ხასიათის) პროპორციულად მეტი დროა საჭირო. გაცილებით მეტი დრო სჭირდება ცუდი ალოპათიური მკურნალობის შედეგად ხშირად განვითარებული ქრონიკული წამლისმიერი დისკრაზიის გამო მოურჩენლად დარჩენილი ბუნებრივი დაავადების მკურნალობას; სინამდვილეში ისინი მოურჩენლები ხდებიან პაციენტის სულიერი და ფიზიკური ძალების ურცხვი ძარცვის (სისხლის გამოშვება, სასაქმებლები და ა.შ.), ვითომდა მსგავსი დაავადებების დროს მოჩვენებითი სარგებლისათვის ცარიელი მცდარი თეორიების საფუძველზე დანიშნული ძლიერმოქმედი წამლების დიდი დოზების, აგრეთვე არასათანადო მინერალური აბაზანების და სხვა პროცედურების



და ა.შ. ხანგრძლივი გამოყენების გამო (ალოპათიის მიერ ეგრეთ წოდებული მკურნალობისას ჩატარებული ძირითადი მანიპულაციები).

§ 150

თუკი პაციენტს ახლახან გაჩენილი ერთი ან მეტი უმნიშვნელო სიმპტომი აწუხებს, ექიმმა ეს მთლიანად გამოვლენილ დაავადებად არ უნდა მიიჩნიოს, რომელსაც სერიოზული სამედიცინო დახმარება სჭირდება. რეუმიზმა და დიეტის უმნიშვნელო შეცვლა მათ მოსახსნელად საკმარისი იქნება.

§ 151

მაგრამ, თუკი პაციენტს ერთი ან რამდენიმე სიმპტომი ძალიან აწუხებს, ექიმმა, როგორც წესი, პაციენტის მდგომარეობის უკეთესად შესწავლის შემდეგ, შესაძლოა სხვა უფრო მსუბუქი სიმპტომებიც აღმოაჩინოს, რომლებიც დაავადების მთლიან სურათს ქმნიან.

§ 152

რაც უფრო მძიმეა მწვავე დაავადება, ის მით უფრო მრავალრიცხოვანი და მკაფიო სიმპტომებისაგან შედგება, შესაბამისად უფრო დამაჯერებლად შეიძლება იქნეს ნაპოვნი მისთვის შესაფერისი საშუალება, თუკი ცნობილია საკმარისი რაოდენობის წამლები მათი მოქმედების თვალსაზრისით, რომელთაგანაც შესაძლოა მისი შერჩევა. მრავალი წამლის სიმპტომების ჩამონათვალიდან რთული არ იქნება შევარჩიოთ ერთი, რომლის ცალკეული სიმპტომები-

დან შეიძლება შეიქმნას ბუნებრივი დაავადების სიმპტომთა ერთობლიობის ძალიან მსგავსი ხელოვნური დაავადების ანტიტიპი. სწორედ ეს წამალი იქნება საჭირო საშუალება.

§ 153

ჰომეოპათიური წამლის ასეთი შერჩევისას ანუ არსებული ბუნებრივი დაავადების სიმპტომთა ერთობლიობის ცნობილი წამლების სიმპტომთა ჩამონათვალთან შედარებისას, იმ მიზნით, რათა მათ შორის სამკურნალო დაავადებთან მსგავსების მიხედვით, შესაბამისი ხელოვნური დაავადების გამომწვევი ნივთიერება აღმოვაჩინოთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ყველაზე უფრო უცნაური, ერთადერთი, უჩვეულო და სპეციფიკური (დამახასიათებელი) ნიშნები და სიმპტომები<sup>109</sup>, რამდენადაც მათ განსაკუთრებულად უნდა შეესაბამებოდნენ ძალიან მსგავსი სიმპტომები არჩეული წამლის სიმპტომთა ჩამონათვალში, რათა ეს წამლები მკურნალობისათვის ყველაზე უფრო შესაბამისად ჩავთვალოთ. უფრო ზოგადი და გაურკვეველი სიმპტომები: მადის დაკარგვა, თავის ტკივილი, სისუსტე, მოუსვენარი ძილი, შეუძლოდ ყოფნა და ა.შ. მხოლოდ მცირეოდენ ყურადღებას იქცევს, თუკი აქვთ ბუნდოვანი, გაურკვეველი ხასიათი და არ შეიძლება მათი ზუსტად აღწერა, რადგანაც ასეთი ზოგადი ბუნების სიმპტომები აღინიშნება თითქმის ყველა დაავადების დროს და თითქმის ყოველი წამლისგან.

109. ექიმმა ფონ ბენინჰაუსენმა ჰომეოპათიური წამლების დამახასიათებელი სიმპტომები თავის რეპერტორიუმში გამოაქვეყნა, რითაც ჰომეოპათიას დიდი სამსახური გაუწია, ისევე როგორც ექიმმა ჯ.ხ.გ.იარმა თავისი ძირითადი სიმპტომების ცნობარით.

§ 154

თუ ყველაზე უფრო შესაფერისი წამლის სიმპტომთა ჩამონათვალთან შექმნილი ანტიტიპი იმ განსაკუთრებულ, არაჩვეულებრივ, ერთადერთ და განმასხვავებელ (დამახასიათებელ) სიმპტომებს შეიცავს, რომლებიც აღმოჩენილი უნდა იქნენ მკურნალობას დაქვემდებარებულ დაავადებაში, ყველაზე უფრო დიდი რაოდენობითა და ყველაზე უფრო მეტი მსგავსებით, მაშინ ეს წამალი ამ ავადმყოფური მდგომარეობის ყველაზე უფრო შესაფერისი სპეციფიკური ჰომეოპათიური საშუალებაა; დაავადება, თუ არც ისე ხანგრძლივად მიმდინარეა, აღმოიფხვრება და ქრება ამ წამლის პირველი დოზის მიღების შემდეგ ყოველგვარი სერიოზული დარღვევების გარეშე.

§ 155

მე ვთქვი <<რამე სერიოზული დარღვევის გარეშე>>. რამდენადაც ამ ყველაზე უფრო შესაფერისი ჰომეოპათიური საშუალების გამოყენებისას მოქმედებაში მხოლოდ მოცემული წამლის ის სიმპტომები შეგვეყავს, რომლებიც დაავადების სიმპტომებს შეესაბამებიან, პირველები ორგანიზმში, ე.ი. სასიცოცხლო პრინციპის შეგრძნებებში, უკანასკნელებს (უფრო სუსტებს) ცვლიან. ამიტომ, ამ გზით ისინი მათ გადასძალავენ და ანადგურებენ; მოცემული ჰომეოპათიური წამლის სხვა სიმპტომები კი (ხშირად ძალიან მრავალრიცხოვანიც), რომლებიც ამ დაავადებას არ შეესაბამებიან, მოქმედებაში საერთოდ არ შედიან. პაციენტი, რომლის მდგომარეობაც საათობრივად უმჯობესდება, მათ თითქმის არ შეიგრძნობს, იმიტომ, რომ ჰომეოპათიური მოხმარებისათვის საჭირო უაღრესად მცირე დოზა, ძალიან სუსტია, რათა სხვა წამლისმიერი სიმპტომები გამოიწვიოს, სხეულის დაავადებისგან თავისუფალ ნაწილებში, რომლებიც მოცემული

შემთხვევისათვის ჰომეოპათიური არ არიან და აქედან გამომდინარე, შეუძლიათ შესაძლო გახადონ მხოლოდ ჰომეოპათიური სიმპტომების ზემოქმედება სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც ყველაზე უფრო გაღიზიანებული და ადგზნებულია დაავადების მსგავსი სიმპტომებით, რათა დაავადებულ სასიცოცხლო პრინციპს მხოლოდ მსგავს, მაგრამ უფრო ძლიერ წამლისმიერ დაავადებაზე შეეძლოს რეაგირება, რისი საშუალებითაც საწყისი დაავადება ითრგუნება.

§ 156

თუმცა, თითქმის არ არსებობს არც ერთი ჰომეოპათიური წამალი, რაც არ უნდა კარგად შერჩეული იყოს ის, რომელიც, განსაკუთრებით მაშინ, როცა არც ისე მცირე დოზით ეძლევა და სანამ მისი მოქმედება გრძელდება, ძალიან გაღიზიანებად და მგრძნობიარე პაციენტებში უკიდურეს შემთხვევაში თუნდაც ერთი უმნიშვნელო, უჩვეულო დარღვევა, რადაც ახალი მსუბუქი სიმპტომი მაინც რომ არ გამოიწვიოს, ისევე, როგორც შეუძლებელია, რომ წამალმა და დაავადებამ სიმპტომებით სრულიად გადაფარონ ერთმანეთი, როგორც ტოლი კუთხეებისა და გვერდების მქონე ორმა სამკუთხედმა. მაგრამ ეს უმნიშვნელო (ჩვეულებრივ პირობებში) განსხვავება იოლად აღმოიფხვრება ცოცხალ ორგანიზმში დაფარული პოტენციური აქტივობით და მას პაციენტი ვერც კი აღიქვამს, თუკი ის ზედმეტად და ფაქიზად მგრძნობიარე არ არის; მიუხედავად ამისა, აღდგენა სრულ გაჯანსაღებამდე გრძელდება, თუ ამას პაციენტზე სხვადასხვაგვარი წამლების ზემოქმედება, რეჟიმის დარღვევა ან ნერვიულობა არ უშლის ხელს.

§ 157

მაგრამ, თუმცა ჰომეოპათიურად შერჩეული საშუალება თავის ძალის შესაბამისად უმნიშვნელო დოზით უდავოდ ნაზად აშორებს და ანადგურებს მის მსგავს მწვავე დაავადებას სხვა არაჰომეოპათიური სიმპტომების გამოვლენის გარეშე, ე.ი. ახალ, სერიოზულ დარღვევებს არ იწვევს, მით უფრო, ჩვეულებრივ, მიღებისთანავე (პირველი ან რამდენიმე საათის განმავლობაში), თუკი დოზა არ იყო საკმარისად მცირე (იმ შემთხვევაში, თუ დოზა იყო ძალიან დიდი, მრავალი საათის განმავლობაში), ის უმნიშვნელო გამწვაებას იწვევს, რომელიც საწყის დაავადებას ძალიან ჰგავს. მას პაციენტი შეიგრძნობს როგორც დაავადების გაძლიერებას. მაგრამ სინამდვილეში ეს სხვა არაფერია, თუ არა საწყის დაავადებაზე დართული, მცირეოდენ მასზე ძლიერი და ძალიან მსგავსი წამლისმიერი დაავადება.

§ 158

ეს მსუბუქი ჰომეოპათიური გამწვაება პირველი საათების განმავლობაში ძალიან კარგი ნიშანია, რომ მწვავე დაავადებამ, ყველაზე უფრო სავარაუდოა, უკან დაიხია პირველი დოზის შემდეგ; ზუსტად ისე, როგორც უნდა მომხდარიყო, რადგანაც წამლისმიერი დაავადება, ბუნებრივია, რამდენადმე ძლიერი უნდა იყოს იმ დაავადებასან შედარებით რომელსაც ვმკურნალობთ, რადგან მან ეს უკანასკნელი უნდა დაძლიოს და გაანადგუროს, ზუსტად ისე, როგორც ბუნებრივ დაავადებას შეუძლია მოაშოროს და გაანადგუროს სხვა, მისი მსგავსი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის უკანასკნელზე ძლიერია (§§ 43-48).

§ 159

მწვავე დაავადების მკურნალობისას რაც უფრო მცირეა ჰომეოპათიური საშუალების დოზა, მით უფრო სუსტი და ხანმოკლეა დაავადების ეს მოწვევებითი გაძლიერება პირველი საათების განმავლობაში.

§ 160

მაგრამ, რამდენადაც ნაკლებად შესაძლებელია მომზადდეს ჰომეოპათიური საშუალების იმდენად მცირე დოზა, რომ მას არ ექნეს უნარი მოიტანოს შემსუბუქება, დაძლიოს, ნამდვილად მთლიანად განკურნოს და მოსპოს მარტივი, მისი მსგავსი ხანმოკლე ბუნებრივი დაავადება (§ 249 შენიშვნა), იმდენად გასაგებია, ყოველთვის რატომ იწვევს შესაფერისი ჰომეოპათიური წამლის არც თუ ყველაზე მცირე დოზა ჰომეოპათიურ გამწვაებას<sup>110</sup> მიღებიდან რამდენიმე საათში.

110. დაავადების ანალოგიურ სიმპტომებზე წამლისმიერი სიმპტომების სიჭარბე, რაც გამოიხატება როგორც გამწვაება, სხვა ექიმებმაც შეამჩნიეს, როცა შემთხვევით ჰომეოპათიურ საშუალებას იყენებდნენ. როცა ქაეილით გატანჯული პაციენტი, გოგირდის მიღების შემდეგ ქაეილის გაძლიერებას უჩივის, მისი ექიმი, რომელმაც ამის მიზეზი არ იცის, პაციენტს ამშვიდებს, არწმუნებს მას, რომ სანამ მორჩება, თავიდან ქაეილი რაც შეიძლება მეტად უნდა გამოვლინდეს; თუმცა მან არ იცის, რომ ქაეილის გაძლიერება გოგირდის ბრალია, რომელიც მას იწვევს. <<სახის გამონაყარი, რასაც მკურნალობს *viola tricolor*, თავიდან გაძლიერდა მისი მოქმედების დასაწყისში>>, მაგრამ მან არ იცის, რომ აშკარა გაუარესება წამლის ძალიან მაღალი დოზით იყო გამოწვეული, რომელიც ამ შემთხვევაში გარკვეულად ჰომეოპათიური აღმოჩნდა. ლიზონსი ამბობს (*Med. Transact.*, ტომი II, ლონდონი, 1772): <<ქინაქინა ყველაზე საიმედოდ არჩენს იმ დაავადებებს, რომლებიც ძლიერდება მისი მოქმედების დასაწყისში>>. ექიმი რომ ქინაქინას არა უსარმაზარ (რაც ნევეულებრივია ალოპათიაში), არამედ

*მეტნაკლებად მცირე დოზაში აძლევენ, ისე, რომ წამალს მსგავსი სიმპტომების გამოჩენა შეძლებოდა, როგორც მისი პომეოპათიურად გამოყენებისას, მაშინ ის განკურნებას დაავადების ამ აშკარა გაუარესების გარეშე ან თითქმის უამისოდ (პომეოპათიური გამწვავება) შეძლებდა.*

§ 161

როცა აღენიშნავ ეგრეთ წოდებულ პომეოპათიურ გამწვავებას, ან უფრო სწორად, პომეოპათიური წამლის პირველად მოქმედებას, პირველ რამდენიმე საათში საწყისი დაავადების სიმპტომების თითქოსდა მეტნაკლებ გაძლიერებას, მაშინ ეს, მწვავე და ახლად წარმოქმნილი დაავადებების მიმართ უდავოდ უფრო სამართლიანია. მაგრამ, ხანგრძლივი მოქმედების წამლების დანიშვნისას, სერიოზული ან ძალიან ხანგრძლივი დაავადების დასაძლევად, მკურნალობის დროს საწყისი დაავადების არანაირი აშკარა გაუარესება არ უნდა აღმოცენდეს. ეს შესაძლებელია, თუკი ზუსტად შერჩეული წამალი სათანადოდ მცირე, თანდათან მზარდი დოზებით ინიშნება, რომელთაგან თითოეული მათგანი დინამიზაციის საშუალებით (§247) რამდენადმე შეცვლილია. საწყისი ქრონიკული დაავადების სიმპტომების ასეთი გაძლიერება შესაძლოა მხოლოდ მკურნალობის ბოლოს აღმოცენდეს, როცა მკურნალობა თითქმის ან სრულიად დამთავრებულია.

§ 162

იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არც ისე ბევრი წამალია ცნობილი მათი ტემპარტი, წმინდა მოქმედების თვალსაზრისით, სოფჯერ ყველაზე უფრო შესაფერისი წამლის სიმპტომების ჩამონათვალში, მკურნალობას დაქვემდებარებული დაავადების სიმპტომების მხოლოდ ნაწილის აღმოჩენაა

შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, უფრო სრულყოფილის არარსებობის გამო დაავადების გამომწვევი ეს არასრულყოფილი სამკურნალწამლო ნივთიერება უნდა გამოვიყენოთ.

### § 163

ამ შემთხვევაში ჩვენ ნამდვილად არ შეგვიძლია ამ წამლისგან სავსებით უვნებელ მკურნალობას ველოდეთ, რამდენადაც მისი გამოყენების დროს გარკვეული სიმპტომები ჩნდება, რომლებიც მოცემული დაავადების დროს მანამდე არ გექონია, ისინი ამ არცთუ სრულიად შესაფერისი წამლის თანასიმპტომებია. ეს არანაირად არ ეწინააღმდეგება ამ წამლით დაავადების მნიშვნელოვანი ნაწილის (იმ სიმპტომების, რომლებიც წამლის სიმპტომების მსგავსია) აღმოფხვრას, ე.ი. მკურნალობის საკმაოდ კარგ დასაწყისს, მაგრამ ის თანასიმპტომების გვერდის ავლის გარეშე მაინც არ მოხერხდება, თუმცა, ისინი ყოველთვის ზომიერია, თუ წამლის დოზა საკმარისად მცირეა.

### § 164

საუკეთესოდ შერჩეული წამლის ჰომეოპათიურ სიმპტომთა უმნიშვნელო რაოდენობა, მკურნალობისათვის წინააღმდეგჩვენებას არ წარმოადგენს იმ შემთხვევაში, როცა ეს არც ისე ბევრი სიმპტომი ამ დაავადებისათვის ძირითადად უჩვეულო ტიპისაა და განსაკუთრებით განმასხვავებელია (დამახასიათებელია); ამ გარემოებებში მკურნალობა განსაკუთრებული დარღვევების გარეშე მიმდინარეობს.



## § 165

თუ შერჩეული წამლის სიმპტომებში არ არის არც ერთი, რომელიც ამ დაავადების განმასხვავებელ (დამახასიათებელ), სპეციფიკურ და უჩვეულო სიმპტომებს ზუსტად ემთხვევა და ეს საშუალება დაავადებას მხოლოდ ზოგადად შეესაბამება, ბუნდოვნად აღწერილ, გაურკვეველ მდგომარეობებში (გულისრევა, სისუსტე, თავის ტკივილი და ა.შ.), თანაც ცნობილ წამლებს შორის არც ერთი არ არის კომეოპათიურად უფრო შესაფერისი, ამ შემთხვევაში ექიმს ამ არაკომეოპათიური (ცუდად შერჩეული) წამლის გამოყენების შედეგად დაუყოვნებელი კეთილსაიმედო შედეგის მიღების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

## § 166

ასეთი შემთხვევები, თუმცა ძალიან იშვიათია იმ წამალთა მზარდი რაოდენობის გამო, რომელთა მოქმედება ამჟამად ცნობილია, ხოლო მათი თანამდევნი ეფექტები, მაშინვე აღმოიფხვრებიან, როგორც კი შესაძლებელი ხდება შემდეგი, უფრო შესაფერისი წამლის ზუსტად შერჩევა.

## § 167

თუკი ამ არასწორად შერჩეული კომეოპათიური საშუალების გამოყენების დასაწყისში, გვერდითი სიმპტომები აღმოცენდება, მაშინ მწვავე დაავადების შემთხვევაში არ დაეუშვებთ, რომ ამ პირველმა დოზამ ამოწუროს თავისი მოქმედება და პაციენტს არ ვაძლევთ საშუალებას სრულად გამოსცადოს მოცემული საშუალების მოქმედება, არამედ ხელმეორედ, უკვე შეცვლილ პირობებში ვიკვლევთ

ავადმყოფურ მდგომარეობას და დაავადების ახალი სურათი რომ წარმოვიდგინოთ, ამისათვის საწყისი სიმპტომებიდან დარჩენილებს ახალგანვითარებულ სიმპტომებს ვუმატებთ.

### § 168

ამ სახით მოქმედებისას, ცნობილ წამლებს შორის გაცილებით იოლად შეგვიძლია აღმოვაჩინოთ იმ ავადმყოფური მდგომარეობის ანალოგი, რომელსაც შევეჩხეთ და რომლის ერთადერთი დოზა, თუ დაავადების სრულ ლიკვიდაციას ვერ მოახდენს, მნიშვნელოვნად მაინც წასწევს მას გაჯანსაღების გზაზე. მაშინაც კი, თუ ეს წამალი არც ისე შესაფერისია ჯანმრთელობის აღსადგენად, დარჩენილი ავადმყოფური მდგომარეობის ისევ და ისევ თავიდან კვლევას ვაგრძელებთ და მისთვის იმდენად შესაფერის ჰომეოპათიურ წამალს ვარჩევთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სანამ ჩვენი მიზანი, სახელდობრ – ადამიანის პირვანდელი ჯანმრთელობა, მიღწეული არ იქნება.

### § 169

იმ შემთხვევაში, თუ დაავადების პირველი გამოკვლევისა და პირველი წამლის შერჩევის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ მოცემული დაავადების ყველა სიმპტომი არ იქნება მთლიანად გადაფარული ერთი რომელიმე წამლისმიერი დაავადების ელემენტებით (იმის გამო, რომ არ არის ცნობილი საკმარის რაოდენობის წამლები) და ორი წამალი შესაბამისობის თვალსაზრისით მეტოქეობენ, რომელთაგან ერთი უფრო შეესაბამება დაავადების ერთ, ხოლო მეორე – სიმპტომთა სხვა ნაწილს, არ არის რეკომენდირებული ამ ორი წამლიდან უფრო შესაფერისის გამოყენების შემ-

დევ, მეორის დანიშვნა ახალი გამოკვლევის გარეშე და მით უმეტეს, ორივეს ერთდროულად (§272 შენიშვნა) მიცემა, რადგანაც წამალი, რომელიც შემდგომში დასანიშნად საუკეთესოდ მიგვანდა, შესაძლოა შეცვლილ პირობებში დარჩენილი სიმპტომებისათვის შესაფერისი არ აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში, ახალი გამოკვლევის დროს გამოჩენილი სიმპტომების შესაბამისად, მეორე წამლის მაგიერ შერჩეულ უნდა იქნეს სხვა, უფრო შესაფერისი ჰომეოპათიური საშუალება.

§ 170

ისევე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, როცა ავადმყოფური მდგომარეობის შეცვალა ხდება, ყველა დარჩენილი სიმპტომი უნდა შევისწავლოთ და ახალი მდგომარეობისთვის შეძლებისდაგვარად (არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ საშუალებას, რომელიც თავიდან მიგვანდა, რომ შესაბამისობის მიხედვით შემდეგი უნდა ყოფილიყო) უფრო შესაფერისი სხვა ჰომეოპათიური საშუალება უნდა შევარჩიოთ. თუკი მოხდება ისე (ასეთი შემთხვევები არც ისე ხშირია), რომ წამალი, რომელიც შემდგომი დანიშვნისათვის საუკეთესოდ მიგვანდა, დარჩენილი მდგომარეობისათვის ახლაც საუკეთესოა, ის მით უფრო იმსახურებს, რომ გამოყენებულ იქნეს და მისი დანიშვნა ნებისმიერ სხვასთან შედარებით ყველაზე უფრო სასურველია.

§ 171

ხშირად, ჩვეულებრივ ფსორით გამოწვეული არავენერული დაავადებების მკურნალობისას, ყოველი შემდგომის წინა საშუალების მოქმედების დასრულების შემდეგ დარჩენილი სიმპტომების ჯგუფის შესაბამისად საჭიროა თანმიმ-

დევრულად მივცეთ ჰომეოპათიურად შერჩეული რამდენიმე ანტიფსორული საშუალება.

§ 172

მკურნალობის დროს მსგავსი სიძნელე იმის გამო წარმოიშობა, რომ დაავადების სიმპტომები ძალიან ცოტაა — გარემოება, რომელიც ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგანაც თუ ის აღმოიფხვრება, თითქმის ყველა სიძნელე, რომლებიც მკურნალობის შესაძლო მეთოდებს შორის ამ, ყველაზე უფრო სრულყოფილის გზაზე (თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ცნობილი ჰომეოპათიური საშუალებების არსენალი ჯერ კიდევ არასრულია) შეიძლება არსებობდეს, აცილებული იქნება.

§ 173

დაავადებებს, რომლებსაც თითქოს ცოტა სიმპტომები აქვთ და ამიტომ მკურნალობას ნაკლებად ემორჩილებიან, შესაძლოა ცალმხრივი ვუწოდოთ, რადგანაც ერთ ან ორ ძირითად, თითქმის ყველა სხვის დამწრდილავ სიმპტომს ავლენენ. ისინი ძირითადად ქრონიკული დაავადებებია.

§ 174

მათი მთავარი სიმპტომი შესაძლოა შინაგანი (მაგალითად, მრავალწლიანი თავის ტკივილები, ხანგრძლივი ფაღარათი, ძველთაძველი კარდიალგია და ა.შ.), ან უფრო გარეგანი ხასიათის დაავადება იყოს. მეორე სახის დაავადებებს ჩვეულებრივ, ადგილობრივ დაავადებებს უწოდებენ.

## § 175

პირველი სახის ცალმხრივი დაავადებები, ხშირად ექიმი-დამკვირვებლის პაციენტის შესწავლის უნარის ნაკლებობითაა განპირობებული, როცა მას არ შეუძლია მთლიანად გახსნას რეალურად არსებული სიმპტომები, რაც მას დაავადების სურათის აღწერის დასრულების საშუალებას მისცემს.

## § 176

თუმცა, მითუმეტეს არსებობს რამდენიმე დაავადება, რომელიც ყველაზე უფრო საგულდაგულო საწყისი გამოკვლევის შემდეგ (§§ 84-98) მხოლოდ ერთ ან ორ მიხედვით, მწვავე სიმპტომს გამოავლენს, იმ დროს, როცა ყველა სხვა (სიმპტომი) მხოლოდ სუსტადაა გამოხატული.

## § 177

ასეთ შემთხვევებს, რომლებიც ძალიან იშვიათად გვხვდება, წარმატებით რომ გავუმკლავდეთ, უპირველეს ყოვლისა მოვალენი ვართ ამ მცირერიცხოვანი სიმპტომებით ვიხელმძღვანელოთ და ჩვენი შეფასებით ჰომეოპათიურად ყველაზე უფრო ნაწილები წამალი მათზე დაყრდნობით შევარჩიოთ.

## § 178

უეჭველად, ზოგჯერ შესაძლოა ისე მოხდეს, რომ ჰომეოპათიის კანონების დაცვით შერჩეულმა ამ წამალმა, არსებული დაავადების მოსპობის უნარის მქონე მსგავსი ხელოვნური დაავადება გამოიწვიოს. ყველაზე უფრო სა-

ვარაუდოა, რომ ეს მაშინ ხდება, როცა ეს მცირერიცხოვანი ავადმყოფური სიმპტომები ძალიან ძლიერი, გამოკვეთილი, უჩვეულო და განსაკუთრებით გამორჩეულია.

### § 179

თუმცა, ასეთ შემთხვევებში, პირველად შერჩეული წამალი შესაძლოა უფრო ხშირად მხოლოდ ნაწილობრივ მიესადაგოს, ე.ი. არაზუსტად იყოს შერჩეული, რადანაც არ გვქონდა სიმპტომთა საკმარისი რაოდენობა, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა, რომ წამლის ზუსტად შესარჩევად გვეხელმძღვანელა.

### § 180

ამ შემთხვევაში, საუკეთესოდ შერჩეული წამალი, რომელიც თუმცა, ზემოთ აღწერილი მიზეზების გამო მთლად ჰომეოპათიური საშუალება არ არის, დაავადებაზე ზემოქმედებისას გამოიწვევს მხოლოდ მის ნაწილობრივად მსგავს (ზუსტად ისე, როგორც ზემოთ ნახსენებ შემთხვევაში [§162 და შემდ.] ჰომეოპათიურ საშუალებათა სიმპტომების შეზღუდული რაოდენობა შერჩევას არასრულყოფილს ხდის) დამატებით სიმპტომებს და მისი ჩამონათვალიდან ზოგიერთი სიმპტომი პაციენტის ობიექტურ სიმპტომებს შეერევა. თუმცა იმავდროულად შესაძლოა, რომ ისინი აქამდე არასოდეს გამოვლენილ ან ძალიან იშვიათად გამოვლენილი დაავადების სიმპტომებადაც გვევლინებოდნენ; ჩნდება სიმპტომები, რომლებსაც პაციენტი ადრე არასოდეს უჩიოდა, ხოლო ისინი რომლებსაც მხოლოდ ბუნდოვნად შეიგრძნობდა, უფრო მეტად გამოიკვეთება.

§ 181

ნუ ვიქნებით იმის წინააღმდეგნი, რომ ამ დაავადების გვერდითი მოვლენები და ახალი სიმპტომები, რომლებიც ახლა გამოვლინდა, დანიშნულ სამკურნალწამლო საშუალებას უნდა მივაწეროთ. ეს პრეპარატი უეჭველად მათი წარმოშობის<sup>11</sup> მიზეზია, მაგრამ ისინი ყოველთვის მხოლოდ იმ ხასიათის სიმპტომებად გვევლინებიან, როგორც ამ დაავადებას თვითონ შეეძლო გამოეწვია ამ ორგანიზმში და რომლებიც გამოწვეულ და სტიმულირებულ იქნენ მსგავსი სიმპტომების გამოწვევის უნარის მქონე წამლით. მოკლედ რომ ვთქვათ, უნდა განვიხილოთ მოცემულ მომენტში შეგრძნებადი სიმპტომების ერთობლიობა, როგორც თვით დაავადების რეალურად არსებული პირობა და ჩვენს შემდგომ მკურნალობას შესაბამისი ორგანიზაცია გაუუკეთოთ.

*11. თუკი ისინი რეჟიმის სერიოზული დარღვევებით, ძლიერი განცდებით ან ორგანიზმის მკვეთრი ცვლილებებით, ისეთით, როგორიცაა მაგალითად, მენსტრუალური ციკლის დაწყება ან შეწყვეტა, ნასახვა, მშობიარობა და სხვ., არ იყო გამოწვეული.*

§ 182

ამგვარად, სამკურნალწამლო პრეპარატის არაზუსტი შერჩევა, რომელიც არსებულ სიმპტომთა ძლიერ შეზღუდული რაოდენობის თითქმის უცილობელი შედეგი იყო, დაავადების სიმპტომთა სრულ გამოვლენას უწყობს ხელს და მეორე, უფრო შესაფერისი ჰომეოპათიური წამლის შერჩევას აადვილებს.

§ 183

ამიტომ, როგორც კი პირველი წამლის პირველი დოზის მოქმედება (თუ ახლად წარმოქმნილი სიმპტომები თავისი სერიოზულობის გამო უფრო სწრაფ დახმარებას არ ითხოვენ, თუმცა, ეს ჰომეოპათიური წამლის დოზის სიმცირის გამო და ხანგრძლივი ქრონიკული დაავადების დროს ძალიან იშვიათია) შეწყდება, საჭიროა დაავადების ხელახალი გამოკვლევა, status morbi და ამის შესაბამისად მეორე ჰომეოპათიური საშუალების შერჩევა, რომელიც ზუსტად შეესაბამება მოცემულ მომენტში არსებულ მდგომარეობას და უფრო მეტად შესაფერისი იქნება, რადგანაც სიმპტომთა რაოდენობა გაიზარდა და უფრო სრული გახდა<sup>112</sup>.

*112. როცა პაციენტი (თუმცა რაც ძალიან იშვიათად ხდება ქრონიკული, მაგრამ ხშირია მწვავე დაავადებებისას) თავს ძალიან ცუდად გრძნობს, თუმცა მისი სიმპტომები მკაფიო არ არის, მისი მდგომარეობა ნერვული სისტემის მოდუნებას უნდა მივაკუთვნოთ, რომელიც პაციენტს საშუალებას არ აძლევს მკაფიოდ შეიგრძნოს თავისი ტკივილი და ტანჯვა, შინაგანი მგრძობელობის ასეთი დაქვეითება იხსნება ოპიუმით და მისი მეორეული მოქმედების დროს დაავადების სიმპტომები მკაფიოდ გასარჩევი ხდება.*

§ 184

მსგავსი სახით, მას შემდეგ რაც თითოეულმა ახალმა დოზამ თავისი მოქმედება ამოწურა, როცა ის უკვე აღარ მიესადაგება და არ შევლის, დაავადება, რომელიც ჯერ ისევ რჩება, ხელმეორედ უნდა იქნეს აღწერილი დარჩენილი სიმპტომების გათვალისწინებით და ნაპოვნი იქნას ამჟამად არსებული სიმპტომების მიმართ ყველაზე უფრო შესაფერისი სხვა ჰომეოპათიური საშუალება და ა.შ., სრულ გაჯანსაღებამდე.



§ 185

ცალმხრივ დაავადებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ეგრეთ წოდებული ადგილობრივ დაავადებებს. ამ ტერმინით ის ცვლილებები და დაავადებები აღინიშნება, რომლებიც სხეულის გარეთა ზედაპირზე ჩნდებიან. აქამდე სამედიცინო სკოლებში გაბატონებული იდუა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ შემთხვევებში ავადმყოფურად მხოლოდ სხეულის ეს ნაწილები ზიანდება, ხოლო დანარჩენი სხეული დაავადებაში არ მონაწილეობს. ეს თეორიული, აბსურდული დოქტრინაა, რომელმაც ყველაზე უფრო დამღუპველ წამლისმიერ მკურნალობამდე მიგვიყვანა.

§ 186

ეს, ეგრეთ წოდებული ადგილობრივი დაავადებები, რომლებიც ცოტა ხნის წინ, გარეგანი დაზიანებების შედეგად წარმოიშვა, თითქოს უფრო იმსახურებენ ადგილობრივი დაავადების სახელს. მაგრამ, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზიანება ძალიან მსუბუქია, რომელსაც არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ისე როგორც, თუ გარედან წარმოშობილი დაზიანება ასე თუ ისე სერიოზულია, მაშინ ეს მთელ ორგანიზმზე მოქმედებს: აღინიშნება ტემპერატურის მომატება და ა.შ. ასეთი დაავადებების მკურნალობა ქირურგიულია; მაგრამ ეს მხოლოდ იმდენადაა მართებული, რამდენადაც დაზიანებული ნაწილები მექანიკურ დახმარებას საჭიროებენ, როცა განკურნების, რომელსაც შესაძლოა მოველოდეთ მხოლოდ სასიცოცხლო ძალის მოქმედებით, გარეგანი დაბრკოლებები, შესაძლოა მექანიკური საშუალებებით აღმოიფხვრას, მაგალითად, ცდომის შემცირება, ჭრილობის კიდეების დაქაჩვა ნემსებითა და სახვევებით, არტერიებიდან სისხლდენის შეჩერება მექანიკური ზეწოლით, სხეულში მოხვედრილი უცხო სხეულების ამოღება, სხეულის ღრუების გახსნა გამაღიზ-

იანებელი ნივთიერებების ან ჩაღვრილი და დაგროვებული სითხეების მოშორების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, გადატეხილი ძვლების კიდეების ერთმანეთთან შეთანასწორება და სახვევების საშუალებით მათი სწორ პოზიციაში დაფიქსირება და ა.შ. მაგრამ, როცა ასეთი დაზიანებების დროს მთელი ორგანიზმი მოითხოვს იმას რასაც ის ყოველთვის აკეთებს, მკურნალობის დასასრულებლად აქტიურ დინამიკურ დახმარებას, მაგალითად: მრავლობითი დაუწყობლობების, კუნთების, მყესების, სისხლძარღვების გაგლეჯის შედეგად გამოწვეული მაღალი სიცხის დროს, რომელიც შინაგანი მოქმედების წამლის დანიშვნას მოითხოვს; ასევე სხეულის დამწვარი ან დამღუღრული ნაწილების გარეგანი ტკივილების ჩახშობა, აუცილებელია ჰომეოპათიურად. ამ დროს საჭიროა დაავადების დინამიკური არსის მომხრე ექიმის მომსახურება და მისი სასარგებლო ჰომეოპათია.

## § 187

მაგრამ სხეულის გარეგან ნაწილებზე წარმოქმნილი ასეთი დაზიანებები, ცვლილებები და დაავადებები, რომლებიც გამოწვეული არ არიან რაიმე გარეგნული დაზიანებებით, ან ისეთები, რომელთა უშუალო მიზეზი მხოლოდ უმნიშვნელო გარეგანი დაზიანებებაა, მთლიანად სხვანაირად აღმოცენდებიან: მათი წყარო რაღაც შინაგანი დაავადებაა. მათი განხილვა როგორც უბრალო გარეგანი დაზიანებისა და მათდამი როგორც ქირურგიული დაავადებებისადმი მიდგომა, ადგილობრივი საფენებით და სხვა მსგავსი საშუალებებით მკურნალობა, რასაც უხსოვარი დროიდან აკეთებდა ძველი სკოლა – თავისი შედეგებით ისეთივე აბსურდულია, როგორიც დამღუპველი.

§ 188

ეს დაზიანებები უბრალოდ ადგილობრივად მიაჩნდათ და ამიტომ ადგილობრივი დაავადებები დაარქვეს, თითქოს ისინი მხოლოდ და მხოლოდ სხეულის იმ ნაწილებით შემოიფარგლებოდა, სადაც ორგანიზმი მცირედ ან საერთოდ არ მონაწილეობდა, ან იმ ცალკეული ხილული ნაწილის დაზიანებად მიაჩნდათ, რომლის შესახებ დანარჩენმა ორგანიზმმა, ასე რომ ვთქვათ, არაფერი არ იცოდა<sup>113</sup>.

*113. ძველი სკოლის ერთ-ერთი უდიდესი და დამღუპველი შეცდომა.*

§ 189

მით უფრო, მხოლოდ მცირეოდენი დაფიქრებაა საჭირო, რათა დაკრწმუნდეთ, რომ არანაირი გარეგანი დაავადება (თუ რაიმე სერიოზული გარეგანი დაზიანებით არ არის გამოწვეული) არ შეიძლება წარმოიქმნას, გაგრძელდეს და გაძლიერდეს შინაგანი მიზეზის, ავადმყოფურ მდგომარეობაში მყოფი მთელი ორგანიზმის ხელშეწყობის გარეშე. ის არ შეიძლება მთელი დარჩენილი სამკურნალო ძალის ნებისა და ცოცხალი მთლიანობის ყველა დარჩენილი ნაწილის მონაწილეობის გარეშე (სასიცოცხლო ძალისა, რომელიც ორგანიზმის ყველა მგრძნობიარე და გაღიზიანებად ნაწილს ავსებს) გაჩენილიყო: სინამდვილეში შეუძლებელია მისი წარმოშობა მთელი (შერყეული) ცოცხალი ორგანიზმის ხელშეწყობის გარეშე წარმოვიდგინოთ – იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან ორგანიზმის ყველა ნაწილი, ერთი მთლიანობაა შეგრძნებებსა და ფუნქციებში. არც გამოჩინარი ტუჩებზე, არც პანარიციუმში არ შეიძლება წარმოიქმნას წინასწარი და ერთდროული შინაგანი დაავადების გარეშე.

§ 190

ამიტომ, უმნიშვნელო გარეგანი დაზიანებით ან მის გარეშე გამოვლენილი გარეგანი დაავადების, ნებისმიერი ჭეშმარიტი წამლისმიერი მკურნალობა, მთლიანის საწინააღმდეგოდ უნდა იყოს მიმართული, ხელს უნდა უწყობდეს ზოგადი დაავადების განადგურებას და მორჩენას შინაგანი საშუალებების დახმარებით, თუ გვინდა, რომ მკურნალობა გონიერი, სანდო, ქმედითი და რადიკალური იყოს.

§ 191

ისე, როგორც ყოველთვის, ცდით ცალსახად დასტურდება, რომ ნებისმიერ ძლიერი შინაგანი წამალი უშუალოდ მიღების შემდეგ პაციენტის ჯანმრთელობის მნიშვნელოვან ზოგად ცვლილებებს იწვევს, განსაკუთრებით კი დაზიანებულ გარეგან ნაწილებში (რომლებსაც ჩვეულებრივი სამედიცინო სკოლები განიხილავენ როგორც სრულიად იზოლირებულებს), მათი ეგრეთ წოდებული ადგილობრივი დაავადებების დროსაც კი და მათ მიერ გამოწვეული ეს ცვლილებები ყველაზე უფრო სასარგებლოა, რამდენადაც ჯანმრთელობის აღდგენისა და ერთდროულად გარეგანი დაზიანების აღმოფხვრის ნიშანია (გარეგანი საშუალების დახმარების გარეშე), თუკი მხოლოდ მთლიანობაში მოქმედი შინაგანი საშუალება ჰომეოპათიის თვალსაწიერიდან სწორად იქნა შერჩეული.

§ 192

ის ყველაზე უკეთესად მოქმედებს, თუკი დაავადების მოცემული შემთხვევის გამოკვლევისას ადგილობრივი დაზიანების ზუსტად აღწერასთან ერთად განიხილება ყველა

ცვლილება, ჩივილი და სიმპტომი, რაც პაციენტს აქვს და შესაძლოა, მანამდეა შემჩნეული, როცა ის არანაირ წამალს არ იღებდა. ისინი ერთად განიხილება, რათა დაავადების სრული სურათი წარმოვიდგინოთ, სანამ იმ წამლებს შორის, რომელთა სპეციფიკური პათოგენეტიკური ზემოქმედება ცნობილია, სიმპტომთა ერთობლიობის შესაფერის საშუალებას მოვძებნით, ჭეშმარიტად ჰომეოპათიური არჩევანის გასაკეთებლად.

§ 193

ამ მხოლოდ შინაგანად მისაღები წამლის საშუალებით, სხეულის ზოგადი ავადმყოფური მდგომარეობა აღმოიფხვრება ადგილობრივ დაზიანებასთან ერთად. ეს უკანასკნელი პირველთან ერთდროულად განიკურნება, რაც იმის დადასტურებაა, რომ ადგილობრივი დაავადება მხოლოდ სხეულის დაავადებაზე იყო დამოკიდებული და განხილული უნდა იქნეს, როგორც მთლიანის განუყოფელი ნაწილი, მთლიანობაში დაავადების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი სიმპტომი.

§ 194

არც ახლად აღმოცენებული მწვავე ადგილობრივი დაავადებების დროს და არც უკვე დიდხანს არსებული ადგილობრივი დაზიანებებისას, არ არის სასარგებლო ამ ადგილას გარეგანი საშუალების შეზედა ან დაფენა, მაშინაც კი, თუ ის თავისი ჰომეოპათიურობის გამო სასარგებლოა შინაგანი გამოყენებისას და ერთდროულად შინაგანადაც არის დანიშნული. მწვავე ადგილობრივი დაზიანებები (მაგალითად ცალკეული ნაწილების ანთება, წითელი ქარი და ა.შ.), რომლებიც გამოწვეულია არა პროპორციული ძა-

ლის გარეგანი ზემოქმედებით, არამედ დინამიკურად, შინაგანი მიზეზით, ყველაზე უფრო კარგად ექვემდებარებიან შინაგანი და გარეგანი ხილული მდგომარეობის ყველაზე უფრო ჰომეოპათიურად შესაბამისი შინაგანი საშუალებებით მკურნალობას, რომლებიც შერჩეულია შესწავლილი წამლებიდან და ჩვეულებრივ, სხვა საშუალებების დამატების გარეშე. მაგრამ თუ ეს დაავადება მთლიანად არ ექვემდებარება წამლების ზემოქმედებას დაზიანებულ არეში და მთლიანობაში, მიუხედავად სწორი მკურნალობისა, დაავადების კვალი კიდევ რჩება, თანაც ნორმალურ მდგომარეობამდე მისი აღდგენა სასიცოცხლო ძალას არ შეუძლია, მაშასადამე მწვავე დაავადება გამოწვეულია ფსორით (რაც ხშირად გვხვდება), რომელიც ამ დრომდე შიგნით დაფარული რჩებოდა, ახლა კი გამოვლინდა და რომელიმე აშკარა ქრონიკულ დაავადებად შეიძლება განვითარდეს.

## § 195

ასეთ შემთხვევებში, რომლებიც საკმაოდ ხშირია, მას შემდეგ, რაც მწვავე მდგომარეობა ჩაივლის, ჯერ კიდევ დარჩენილი სიმპტომების და იმ ავადმყოფური მდგომარეობის, რაც პაციენტს თავიდანვე ჰქონდა, რადიკალური მკურნალობისათვის შესაბამის ანტიფსორული მკურნალობას უნდა მივმართოთ (როგორც რეკომენდებულ იყო ჩემს ნაშრომში <<ქრონიკული დაავადებები>>). გარდა ამისა, აშკარად არავენერული ქრონიკული ადგილობრივი დაავადებებისას, მხოლოდ შინაგანი ანტიფსორული მკურნალობაა აუცილებელი.

§ 196

სინამდვილეში შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს ასეთი დაავადების მკურნალობა შესაძლებელია მისთვის კარგად შერჩეული ჭეშმარიტად ჰომეოპათიური სამკურნალწამლო საშუალებების არა მხოლოდ შინაგანად, არამედ გარეგანი გამოყენებით დაჩქარდეს, რამდენადაც დაზიანებულ ადგილზე გარეგანად გამოყენებული წამლის მოქმედებას, თითქოს მასში უფრო სწრაფი ცვლილებების გამოწვევა შეეძლოს.

§ 197

თუმცა ასეთი მკურნალობა, სრულიად დაუშვებელია არა მარტო ფსორით გამოწვეული ადგილობრივი სიმპტომების, არამედ განსაკუთრებით სიფილისის ან სიკოზის მიზმებში წარმოქმნილი სიმპტომებისათვის, რადგანაც იმ დაავადებების მკურნალობისას, რომელთა მთავარი სიმპტომი მდგრადი ადგილობრივი დაზიანებაა, წამლის შიგნით მიღებასთან ერთად მის ადგილობრივ გამოყენებას ის დიდი ნაკლი აქვს, რომ ასეთი ადგილობრივი გამოყენებით ეს მთავარი სიმპტომი (ადგილობრივი დაზიანება)<sup>114</sup> უფრო სწრაფად მოისპობა, ვიდრე შინაგანი დაავადება და ამიტომ შეცდომაში შეგვიყვანს სრულ მკურნალობასთან ასეთი მკურნალობის მსგავსების გამო; ანდა უკიდურეს შემთხვევაში, ადგილობრივი სიმპტომების ნაადრევი გაქრობის გამო, ძნელი, ზოგიერთ შემთხვევაში კი შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, მთლიანად განიკურნა თუ არა დაავადება, შინაგანი წამლის მიღებით.

114. ცოტა ხნის წინ წარმოქმნილი ქავილიანი გამონაყარი, მაგარი შანკრი, კონდილომა, როგორც მიეუთითებდი წიგნში <<ქრონიკული დაავადებები>>.

§ 198

იმ წამლის მხოლოდ ადგილობრივი გამოყენება, რომელიც ქრონიკული მიაზმური დაავადებების ადგილობრივი სიმპტომებისადმი ძლიერ ეფექტურია შიგნით მიღებისას, სრულიად დაუშვებელია იმავე მიზეზით, ისევე, თუკი ქრონიკული დაავადების დროს ადგილობრივ დაზიანებას მხოლოდ ლოკალურად და ცალმხრივად მოვაცილებთ, მაშინ ჯანმრთელობის სრულად აღსადგენად აუცილებელი შინაგანი მკურნალობის მეთოდი ბუნდოვანი რჩება; მთავარი სიმპტომი (ადგილობრივი დაზიანება) გაქრა, დარჩა მხოლოდ სხვა, ნაკლებად გასარჩევი სიმპტომები, რომლებიც ნაკლებად მუდმივი და მდგრადია, ვიდრე ადგილობრივი დაზიანება და ხშირად არასაკმარისად სპეციფიკური და ნაკლებად დამახასიათებელია, რათა დაავადების სურათი მკაფიოდ წარმოვიდგინოთ.

§ 199

თუკი მოცემული დაავადებისათვის მთლიანად კომოპათიური საშუალება ჯერ არაა შერჩეული<sup>15</sup> იმ დროისათვის, როცა ადგილობრივი სიმპტომები დაღვეული იქნა მწვავე ან გამომშრობი სითხეებით ან დანით, მაშინ ეს შემთხვევა გაცილებით გართულდება, დარჩენილი ზედმიწევნით გაურკვეველი (არადამახასიათებელი) და არამდგრადი სიმპტომების გამო; რამდენადაც ის, რაც ყველაზე უფრო შეუწყობდა ხელს საუკეთესო საშუალების სწორ შერჩევას და მის შიგნით მიღებას დაავადების სრულ მოსპობამდე, სახელდობრ, მთავარი გარეგანი სიმპტომი ჩვენი დაკვირვების მიღმაა დარჩენილი.



115. როგორც დღემდე კონდილომატოზური დაავადებების სამკურნალო საშუალებებზე (და ანტიფსორიულებზე).

§ 200

ეს სიმპტომი ჯერ კიდევ სახეზე რომ იყოს, შინაგანი მკურნალობისას მას დაეყრდნობოდი, შესაძლოა მთლიანობაში დაავადების ჰომეოპათიური წამალი აღმოგვჩენა და თუკი მას ვიპოვიდით, მაშინ ადგილობრივი დაზიანების უცვლელობა, ამ წამლის შინაგანი მიღების მთელი დროის განმავლობაში გვიჩვენებდა, რომ მკურნალობა ჯერ კიდევ არ დასრულებულა; მაგრამ, თუ გარეგანი დაზიანება განიკურნა, ეს დამაჯერებელი დასაბუთება იქნება იმისა, რომ დაავადება მთლიანად ამოიძირკვა და მისაგან სასურველი გაჯანსაღება, კარგი მკურნალობის ხელშემწყობი შეუფასებელი და აუცილებელი უპირატესობა, სრულად იქნა მიღწეული.

§ 201

აშკარაა, რომ ადამიანის სასიცოცხლო ძალა, ისეთი ქრონიკული დაავადება დროს, რომლის გადალახვაც მას ინსტიქტურად, საკუთარი ძალებით არ შეუძლია, სხეულის რომელიმე გარეგან ნაწილზე ადგილობრივი დაავადების განვითარების გზას ირჩევს ერთადერთი მიზნით, გამოიწვიოს და ხელი შეუწყოს ავადმყოფური მდგომარეობის შენარჩუნებას ამ ადგილას, რომელიც ადამიანის სიცოცხლისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია და ამ გზით დათრგუნოს შინაგანი დაავადება, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში შინაგან ორგანოებს განადგურებით ემუქრება (და პაციენტს – სიცოცხლის დაკარგვით) და ასე ვთქვათ, შეძლებისდაგვარად მიიზიდავს შინაგან დაავადებას, რომელსაც თუ

ეს შესაძლებელია, გადასცემს მის ჩამანაცვლებელ ადგილობრივ დაავადებას. ამ სახით, ადგილობრივი დაავადების არსებობა, რაღაც დროით თრგუნავს შინაგან დაავადებას, მაგრამ მისი არც მორჩენა, არც ფიზიკურად მოშორება<sup>116</sup> არ შეუძლია. თუმცა ადგილობრივი დაზიანება, სხვა არაფერია, თუ არა ზოგადი დაავადების ნაწილი, მაგრამ მხოლოდ ნაწილი, რომელიც ორგანიზმის სასიცოცხლო ძალის მიერ ერთი მიმართულებითაა გაძლიერებული და შინაგანი დაავადების შესასუსტებლად სხეულის ნაკლებად საშიშ (გარეგანი) ნაწილებშია გადაცემული. მაგრამ (როგორც ვთქვი) ეს ადგილობრივი სიმპტომი, რომელიც შინაგან დაავადებას თრგუნავს, სასიცოცხლო ძალას შესაძლებლობას არ აძლევს შესასუსტოს ან მთლიანად განკურნოს დაავადება. მიუხედავად ამისა, შინაგანი დაავადება, პირიქით, თანდათანობით ძლიერდება და **ბუნება** იძულებულია ადგილობრივი სიმპტომი სულ უფრო მეტად გააფართოვოს და გააძლიეროს, რათა ის, როგორც მზარდი შინაგანი დაავადების ჩამანაცვლებელი, საკმარისი იქნეს და მისი შეკავება შეძლოს. ძველი წყლულები ფეხებზე უარესდება, სანამ არ მორჩება შინაგანი ფსორა, მაგარი შანკრი ძლიერდება, სანამ შინაგანი სიფილისი მოურჩენელია, მახვილწვერიანი კონდილომა ფართოვდება და იზრდება, სანამ არ განიკურნება სიკოზი, ამავედროულად უკანასკნელი მოსარჩენად კიდევ უფრო ძნელი ხდება, რადგანაც დროთა განმავლობაში შინაგანი დაავადება მთლიანობაში გაძლიერებას აგრძელებს.

*116. ძველი სკოლის პრაქტიკოსი ექიმები აკეთებენ რაღაც მსგავსს; მაგ.: ხელოვნური წყლულები გარეგან ნაწილებზე სანამ ისინი ისეთ ავადმყოფურ გაღიზიანებას იწვევენ რომელსაც ავადმყოფი ორგანიზმი შეჩვეული არ არის, მხოლოდ მოკლე დროით თრგუნავენ ზოგიერთ შინაგან ქრონიკულ დაავადებას, მაგრამ არ შეუძლიათ მათი განკურნება; მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი უფრო მეტად ასუსტებენ და არღვევენ ზოგად ჯანმრთ-*

*ელობას, ვიდრე ეს სასიცოცხლო ძალის მიერ ინსტიქტურად გამოწვეული მეტასტაზებით ხდება.*

§ 202

თუკი ძველი სკოლის ექიმი ადგილობრივ სიმპტომს გარეგანი საშუალებების გამოყენებით მოსპობდა, დარწმუნებული იმაში, რომ ამგვარად დაავადებას მთლიანობაში მკურნალობს, **ბუნება** ამ დანაკარგს სხვა ადგილობრივ დაზიანებასთან ერთდროულად აღრე არსებულ, ფარულ ფორმაში მყოფი შინაგანი დაავადების და სხვა სიმპტომების გამოწვევით ანუ შინაგანი დაავადების გაღრმავებით აღიგნებდა. როცა ეს ხდება, ჩვეულებრივ ამბობენ (თუმცა ეს არასწორია), რომ ადგილობრივი დაავადება **შედენილი** იქნა ორგანიზმის შიგნით ან გარეგანი საშუალებების გამოყენების შედეგად გადატანილი იქნა ნერვულ სისტემაზე.

§ 203

ასეთი ადგილობრივი სიმპტომების გარეგანი მკურნალობის ყოველი პროცედურა, რომელთა მიზანია მათი სხეულის ზედაპირიდან მოცილება, იმ დროს, როცა შინაგანი მიაზმური დაავადება განუკურნებელი რჩება, მაგალითად, ყოველგვარი მალამოებით კანიდან მუნის გამონაყრის მოცილება, მაგარი შანკრის მოსპობა კაუსტიკით და კონდილომების მოცილება დანით, ლიგატურით ან მოწვიით, აქამდე პრაქტიკაში ასე ფართოდ გამოყენებულ და დამღუპველ გარეგანი მკურნალობის მეთოდს განეკუთვნება – ყველაზე უხვ წყაროს ურიცხვი ცნობილი თუ უსახელო ქრონიკული დაავადებებისა, რომელთაგანაც გმინავს კაცობრიობა, ეს ერთი ყველაზე უფრო კრიმინალური პროცედურაა, რაშიც შეიძლება სამედიცინო საზოგადოება დავადანაშაულოთ და

მიუხედავად ამისა, აქამდე ის ყველგან იყო მიღებული და საპროფესორო კათედრებზე ისწავლებოდა როგორც ერთადერთი შესაძლო<sup>17</sup>.

*117. შინაგანად მისაღები ნებისმიერი ნივთიერება იმადროულად დაავადებას მხოლოდ გააძლიერებს, რადგანაც ამ საშუალებებს მთლიანობაში დაავადების სამკურნალო სპეციფიკური ძალა არ გააჩნიათ, არამედ უტყვევენ ორგანიზმს, ასუსტებენ მას და ამის გარდა სხვა ქრონიკულ წამლისმიერ დაავადებებს იწვევენ.*

## § 204

თუ უკუვაგდებთ მუდმივი არაჯანსარი ცხოვრების წესით გამოწვეულ ქრონიკულ დაზიანებას, უქეიფობას და ავადობას (§ 77) ისე, როგორც იმ ურიცხვ წამლისმიერ დაავადებებს (§ 74), რომლებიც ხშირად ძველი სკოლის ექიმების მიერ უმნიშვნელო დაავადებების უგუნური, მუდმივი, გამომფიტავი და დამღუპველი მკურნალობითაა გამოწვეული, მაშინ დარჩენილი ქრონიკული დაავადებების უმეტესობა სამი ქრონიკული მიაზმის: შინაგანი სიფილისის, შინაგანი სიკოზის, მაგრამ ძირითადად შინაგანი ფსორის განვითარების შედეგი აღმოჩნდება. ყოველმა ამ ინფექციამ, თითოეულის ადგილობრივი სიმპტომის ჩამანაცვლებელი პირველადი სიმპტომის გამოჩენამდე უკვე დააზიანა მთელი ორგანიზმი და ყველა მიმართულებით შეაღწია მასში (ფსორის შემთხვევაში – მუნის გამონაყარი, სიფილისის დროს – მაგარი შანკრი ან ბუბონი, სიკოზის დროს – კონდილომები, რომლებიც ხელს უშლიდნენ დაავადების გავრცელებას). ეს ქრონიკული მიაზმური დაავადებები, თუკი მათ ადგილობრივ სიმპტომს გამოვრიცხავთ, როგორც ძლევამოსილი ბუნებით წინასწარ არის განსაზღვრული, ადრე თუ გვიან უნდა განვითარდეს, თავი იჩინოს და ამ სახით გამოიწვიოს

ყველა სახის ენით აუწერელი ტანჯვა, ქრონიკული დაავადებების წარმოდგენილი რაოდენობა, რომლებიც აწამებენ კაცობრიობას ასობით და ათასობით წელი. არც ერთი მათგანი არ აღმოცენდებოდა, თუკი ექიმები შეეცდებოდნენ ორგანიზმში ერთმანეთისაგან გაერჩიათ ეს სამი მიაზმი და გონიერი მეთოდებით, ანუ ადგილობრივ სიმპტომებზე გარეგანი საშუალებების გამოყენების გარეშე, მხოლოდ თითოეული მათგანისთვის შესაბამის ჰომეოპათიურ საშუალებაზე დაყრდნობით (იხ. შენიშვნა § 282) რადიკალურად ემკურნალათ.

§ 205

ექიმი-ჰომეოპათი ადგილობრივი საშუალებებით (არა იმ გარეგანი საშუალებებით, რომლებიც მოქმედებენ დინამიკურად<sup>118</sup> და არც იმით, რომლებიც მოქმედებენ მექანიკურად) არასოდეს არ მკურნალობს ქრონიკული მიაზმების არც ერთ პირველად სიმპტომს და არც ერთ მეორეულ დაზიანებას, რომლებიც მათი შემდგომი განვითარების შედეგია. ის ამა თუ იმ სიმპტომის გამოვლენისას მხოლოდ იმ ღრმა მიაზმს მკურნალობს, რომლითაც ისინია განპირობებული, რის შედეგადაც მისი როგორც პირველადი, ისე მეორეული სიმპტომები სპონტანურად ქრება. მაგრამ რამდენადაც ძველი სკოლის ექიმები ამ მეთოდს არ იყენებდნენ და რომლებიც მოცემული შემთხვევის მკურნალობაში წინ უსწრებდნენ მას (ჰომეოპათს), რის შემდეგაც, სამწუხაროდ ექიმი ჰომეოპათი ჩვეულებრივ აღმოაჩენდა, რომ მათ მიერ გარეგანი საშუალებების გამოყენებით პირველადი სიმპტომები<sup>119</sup> უკვე განადგურებულია და საქმე უკვე მეორეულ სიმპტომებთან აქვს, ე.ი. ამ დაფარული მიაზმების აფეთქებისა და განვითარების შედეგად წარმოქმნილ დაზიანებებთან, განსაკუთრებით შინაგანი ფსორისაგან გან-

ვითარებულ ქრონიკულ დაავადებებთან, რომელთა შინაგან მკურნალობას მრავალწლიანი განსჯის, დაკვირვებებისა და ცდების საფუძველზე ვცდილობდი. ეს აღეწერე ჩემს ნაშრომში <<ქრონიკული დაავადებები>>, რომლის წაკითხვაც უნდა გურჩიო მკითხველს.

118. ამის გამო მე არ შემძლია გურჩიო, მაგალითად, ეგრეთ წოდებული კიბოს მოსობა ტუნიდან და სახიდან (მაღალგანვითარებული ფსორის პროდუქტი, ხშირად სიფილისთან შერწყმული) არსენიკალური საშუალების Frere Cosme-ს დახმარებით, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ძალიან მტკივნეულია და ხშირად უსარგებლო, არამედ უფრო იმიტომ, რომ თუ ეს დინამიკური საშუალება სხეულის დაზიანებული ნაწილის ლოკალური ავთვისებიანი წყლულის მკურნალობაში წარმატებული იქნება, ძირითადი დაავადება არანაირად არ შემცირდება. აქედან გამომდინარე დამცველი სასიცოცხლო ძალა იძულებული იქნება სერიოზული შინაგანი დაავადების მოქმედება სხეულის რომელიმე, კიდევ უფრო მნიშვნელოვან ნაწილში (როგორც ამას მეტასტაზირების ყველა შემთხვევაში აკეთებს) გადაიტანოს და როგორც შედეგი, ვითარდება სიბრძავე, სიყრუე, სიგიჟე, მომახრჩობელი ასთმა, წყალმანიკი, აპოპლექსია და ა.შ. მოცემული ნაწილის ეს საეჭვო გაჯანსაღება ავთვისებიანი წყლულიდან ადგილობრივი არსენიკალური საშუალებით ბოლოს და ბოლოს წარმატებულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა წყლულს ჯერ კიდევ არ მიუღწევია დიდი ზომისთვის და სასიცოცხლო ძალა ჯერ კიდევ ძალიან აქტიური; მაგრამ სწორედ ასეთ შემთხვევაში ჯერ კიდევ რეალურად განხორციელებადია საწყისი დაავადების სრული შინაგანი მკურნალობა მთლიანობაში.

იგივე შედეგი მაშინაც მიიღება, როცა, მხოლოდ დანით ხდება კიბოს მოშორება სახიდან ან სარძევე ჯირკვლიდან, ან ინკაფსულირებული სიმსივნეების ამოკეცვა შინაგანი მიაზმის წინასწარი მკურნალობის გარეშე: შედეგად უკიდურესად ცუდი რამ ხდება, ანუ ნებისმიერ შემთხვევაში სიკვდილი ჩქარდება. ასეთი შემთხვევები უთვალავია, მაგრამ ძველი სკოლა, მიუხედავად ამისა, ბრძად აგრძელებს იგივეს, ყოველ ახალ შემთხვევაში, იმავე დამღუპველი შედეგებით.

119. ქავილიანი გამონაყარი, მაგარი შანკრი (ბუბონი), კონდილომები.

§ 206

ქრონიკული ინფექციური დაავადების მკურნალობის დაწყებამდე აუცილებელია საგულდაგულო გამოკვლევა<sup>129</sup> სავატაროთ, ხომ არ ჰქონდა პაციენტს რომელიმე ვენერული ინფექცია (ან კონდილომატოზური გონორეის ინფექცია), რამდენადაც მაშინ, თუკი სახეზეა მხოლოდ სიფილისის ნიშნები (ან რაც უფრო იშვიათია, კონდილომატოზური დაავადებები), მკურნალობა მხოლოდ მათკენ უნდა იყოს მიმართული, მაგრამ ეს დაავადება ჩვენს დროში ცალკე იშვიათად გვხვდება. თუკი აღრე ასეთი ინფექცია აღინიშნებოდა, ეს მხედველობაში უნდა გვქონდეს იმ შემთხვევათა მკურნალობაშიც, როცა სახეზეა ფსორა, რადგან მათში, როგორც ყოველთვის, ბოლო წინათია გართულებული, როცა სიმპტომები არ არის წმინდა სიფილისური; როცა ექიმში ფიქრობს, რომ მას საქმე აქვს ფესვგადგმულ ვენერულ დაავადებასთან, მან ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის უნდა ყოველთვის უნდა უმკურნალოს სიფილისურ დაზიანებას, რომელსაც ყველაზე ხსირად თან ერთვის ფსორა (გართულებული), რადგანაც შინაგანი ქავილიანი დისკრაზია (ფსორა) ქრონიკული დაავადების ყველაზე ხშირი ძირითადი მიზეზია. ქრონიკულად დაავადებულ ორგანიზმში ასევე შესაძლოა, რომ ორივე მიზეზში დროდადრო სიკოზით გართულდეს, ან რაც ყველაზე ხშირია, ერთადერთი ძირითადი მიზეზი ფსორა აღმოჩნდეს, ყველა სხვა ქრონიკული დაავადებებისა, რაც არ უნდა ერქვათ მათ, რომლებიც, უფრო მეტიც, ასე ხშირად უარესდებიან, ძლიერდებიან და მახინჯდებიან წარმოუდგენელი ალოპათიური უგერგილობისაგან.

120. ასეთი სახის გამოკვლევების დროს თაყი არაერთარ შემთხვევაში არ უნდა მოვიტყუოთ პაციენტის ან მისი მეგობრების მტკიცებით, რომლებიც ქრონიკული, ძალიან სერიოზული და ძველი დაავადებების მიზეზად მრავალი წლის წინ გადატანილ გაცივებას (როცა ძლიერ დასველდები, ახურებულზე დაღვე ციე წყალს) ან ძველ შეშინებას, მყესების დაჭიმებას, უსიამოვნებას (ზოგჯერ ჯადოქრობასაც კი) და ა.შ. თვლიან. ეს მიზეზები ძლიერ არაარსებითებია, რათა ჯანმრთელ სხეულში ქრონიკული დაავადება გამოიწვიოს, შეინარსუნოს რამდენიმე წლის განმავლობაში და წლიდან წლამდე გააძლიეროს, როგორც ეს ხდება ფსორის განვითარებით გამოწვეულ ყველა ქრონიკული დაავადების დროს. ამ სერიოზული, ძნელადგანკურნებადი, შეუპოვარი, ხანგრძლივი დაავადების წარმოშობის მიზეზები გაცილებით უფრო სერიოზული უნდა იყოს, ვიდრე ეს დამახსოვრებული მავნე ზემოქმედებები; დასახელებულ (პაციენტის ან მისი მეგობრების მიერ) მიზეზებს მხოლოდ ფარული ქრონიკული მიაზმის გააქტიურება შეეძლოთ.

## § 207

ზემოთ აღწერილი ინფორმაციის მიღების შემდეგ ექიმ-ჰომეოპათს კიდევ შეუძლია დაადგინოს, რა სახის ალოპათიური მკურნალობა იყო გამოყენებული დღემდე ამ ქრონიკული დაავადების დროს, რომელი ძლიერმოქმედი წამლები და მინერალური აბაზანები გამოიყენებოდა ყველაზე ხშირად და რა სახის ზემოქმედებას იწვევდა ყოველივე ეს, რათა დაავადების ხასიათის დამახინჯების ხარისხი საწყის მდგომარეობას შევადაროთ და სადაც ეს შესაძლებელია, ნაწილობრივ გამოვასწოროთ ამ დამღუპველი მავნე პროცედურების შედეგები ან უარი ვთქვათ იმ წამლების გამოყენებაზე, რომლებიც უკვე გამოიყენებოდნებ არასათანადო სახით.



§ 208

პაციენტის ასაკი, მისი ცხოვრების წესი და დიეტა, პროფესია, ოჯახური და საზოგადოებრივი მდგომარეობა და ა.შ., გათვალისწინებული ინდა იქნეს, რათა დაავადებით, შეუძლიათ თუ არა ამ ფაქტორებს დაავადების გაძლიერება ან რამდენად შეუძლიათ მკურნალობის ხელშეწყობა ან პირიქით. ამასთანავე უნდა გაითვალისწინოთ მისი სულისა და გონების მდგომარეობა, რათა გაეიგოთ, წარმოადგენს თუ არა ის მკურნალობისათვის რაიმე წინააღმდეგობას, ან საჭიროა თუ არა მისი სათანადოდ წარმართვა, წახალისება ან შეცვლა.

§ 209

მას შემდეგ, რაც ამას გავაკეთებთ, პაციენტთან განმეორებით საუბრებში ექიმი უნდა ეცადოს შეძლებისდაგვარად სრულად მიაღვენოს თვალი დაავადების სურათს, ზემოთ მოცემული მიმართულებების შესაბამისად, რათა ყველაზე უფრო შესაძინევი და სპეციფიკური (დამახასიათებელი) სიმპტომების გამოყოფა შეძლოს, რომელთა მკურნალობის დასაწყებად სიმპტომების მიხედვით ყველაზე უფრო მსგავს პირველ ანტიფსორულ ან სხვა საშუალებას ირჩევს; და ა.შ.

§ 210

ფსორული წარმოშობისაა თითქმის ყველა ის დაავადება, რომლებსაც ზემოთ ცალმხრივი ეუწოდებ. მათი მკურნალობა ყველაზე ძნელია ამ ცალმხრივობის გამო. მათი ყველა სხვა ავადმყოფური სიმპტომი ქრება, ასე ვთქვათ ამ ერთი, ყველაზე უფრო შესაძინევი სიმპტომის ფონზე.

ასეთ დაავადებებს განეკუთვნება ფსიქიკური დაავადებები. თუმცა ისინი არ არიან მკვეთრად გამიჯნული ყველა სხვა დაავადებებისაგან, რადგანაც ეგრეთ წოდებული სხეულის ნებისმიერი დაავადებისას სულისა და გონების მდგომარეობა აუცილებლად იცვლება<sup>121</sup>; დაავადების ყველა შემთხვევაში, რომელთა სამკურნალოდაც ჩვენ მოგემართავენ, სიმპტომებს შორის პაციენტის სულიერი მდგომარეობა განსაკუთრებით უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუკი გვინდა დაავადების ზუსტი სურათი წარმოვიდგინოთ, რათა წარმატებით ვუმკურნალოთ მას ჰომეოპათიურად.

121. რამდენად ხშირად ვხვდებით მაგ. უმძიმესი დაავადებებით წლების განმავლობაში გატანჯულ წყნარი, რბილი ხასიათის პაციენტს, ისეთს, რომლის მიმართაც ექიმი თავისდაუნებურად პატივისცემითა და თანაგრძნობით ივსება! მაგრამ თუკი დაავადება იხშობა და პაციენტის ჯანმრთელობა აღდგება, რაც ხშირია ჰომეოპათიურ პრაქტიკაში, ექიმი ხშირად გოცმებული და შეშინებულია პაციენტების ხასიათში მომხდარი საშინელი ცვლილებებით. ის ხშირად ხდება უმადურობის, უგულობის, დახვეწილი ღვარძლისა და პიროვნების ყველაზე უფრო სამარცხეინო და დამანგრეველი მიდრეკილებების მოწმე, რაც პაციენტს ავად გახდომამდე ახასიათებდა.

ისინი, ვინც ჯანმრთელობისას მომთმენნი იყვნენ, ავადმყოფობისას ხშირად ჯიუტები, მკვეთრი, ანქარებულნი ან მოუთმენლები და ჭირვეულები, ან გაღიზიანებადანი, ან უიმედონი ხდებიან; მანამდე უბიწო და თავშეკავებულნი, ხშირად ავხორცნი და ურცხვები ხდებიან. ნათელი გონების ადამიანები ხშირად – გონებასწინები, იმ დროს, როცა გონებასუსტები განსჯადი და დაფიქრებულნი აღმოჩნდებიან, გადაწყვეტილების ნულა მიმღები ადამიანი კი, სოფჯურ ძლიერ ნებისყოფას და გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების უნარს იძენს და ა.შ.

§ 211

ეს იმდენად ნათელია, რომ ხშირად კომოპათიური წამლის არჩევანს, ძირითადად პაციენტის სულიერი მდგომარობა განსაზღვრავს, რომელიც ისეთ უდავოდ დამახასიათებელ სიმპტომად გვევლინება, რომ თითქმის შეუძლებელია ყურადღებიანი და დაკვირვებული ექიმის ყურადღების მიღმა დარჩეს.

§ 212

სამკურნალწამლო ნივთიერებების შემქმნელი ასევე განაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ყველა დაავადების ამ ძირითად მახასიათებელს – სულის და გონების შეცვლილ მდგომარეობას, იმიტომ, რომ სამყაროში არ არსებობს ძლიერი სამკურნალწამლო საშუალება, რომელიც იმ ჯანმრთელი ინდივიდუუმის სულის და გონების მდგომარეობას ძლიერ შესამჩნევად არ ცვლიდეს, ვისზეც ის იცდებოდა და ყოველი მათგანი ამას სხვადასხვა გზით აკეთებს.

§ 213

ამიტომ ჩვენ ვერასოდეს ვერ შევძლებთ ბუნების შესაბამისად ანუ კომოპათიურად მკურნალობას, თუკი დაავადების ყოველ შემთხვევაში, მწვავე დაავადებების დროსაც კი, სხვა სიმპტომებთან ერთად იმ სიმპტომებს არ დავაკვირდებით, რომლებიც სულისა და გონების ცვლილებებს განეკუთვნებიან და პაციენტის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საშუალებებს იმ წამლებიდან არ შევარჩევთ, რომელთა ავადმყოფურ ძალას, გარდა დაავადების სიმპტომებთან მათი სხვა სიმპტომების მსგავსებისა, დამატე-

ბით აგრეთვე სულისა და გონების მსგავსი მდგომარეობის<sup>122</sup> გამოწვევა შეუძლიათ.

122. ამგვარად, აკონიტი იშვიათად ან არასოდეს არ უწყობს ხელს მშვიდი, წყნარი, გაწონასწორებული პაციენტის არც სწრაფ და არც სრულ განკურნებას; ზუსტად ისევე, როგორც ნუქს ვომიკა იქნება ნაკლებად გამოსადეგი, თუკი ხასიათი რბილი და ფლეგმატურია; პულსატილა – პაციენტებისთვის, რომლებიც ბედნიერი, მხიარული და ჯიუტები არიან, ან იგნაცია – აულელებელ, შიშისკენ და გაღიზიანებადობისკენ მიდრეკილების არმქონე პაციენტებში.

## § 214

რეკომენდაციები, რომელთა მიცემაც ფსიქიკური დაავადებების სამკურნალოდ მინდოდა, შესაძლოა ძალიან მცირერიცხოვანი შენიშვნებით შემოიფარგლოს, რადგანაც მათ ისევე უნდა ვუმკურნალოთ, როგორც ყველა სხვა დაავადებას, სახელდობრ, იმ საშუალების დახმარებით, რომელიც მის მიერ ჯანმრთელი ადამიანის სულსა და სხეულში გამოწვეულ სიმპტომებში ავლენს, რამდენადაც ეს შეუძლია, დაავადების მოცემული შემთხვევის მსგავს, ავადმყოფური მდგომარეობის გამომწვევ ძალას. სხვა არანაირი მეთოდით არ შეიძლება მათი მკურნალობა.

## § 215

თითქმის ყველა ეგრეთ წოდებული სულიერი და გონებრივი დაავადება, არსით სხვა არაფერია, თუ არა სხეულის დაავადება, რომლის დროსაც თითოეულისათვის დამახასიათებელი სულის და გონების მოშლის სიმპტომები ძლიერდება, იმ დროს, როცა სხეულის სიმპტომები მცირდება (მეტად თუ ნაკლებად სწრაფად), სანამ, საბოლოოდ,

დაავადება ყველაზე უფრო შესამჩნევ ცალმხრიობას არ მიაღწევს, თითქმის ისეთივეს, თითქოს ეს იყოს ადგილობრივი დაავადება გონების და სულის უხილავ საიდუმლო ორგანოში.

§ 216

ხშირია შემთხვევები, როცა ეგრეთ წოდებული სხეულის დაავადება, რომელიც შეიძლება სასიკედილო იყოს (ფილტვების დაჩირქება ან რომელიმე სხვა მნიშვნელოვანი ორგანოს დაზიანება) ან რომელიმე სხვა მწვავე დაავადება, მაგალითად, მშობიარობის შემდგომ პერიოდში და ა.შ., მელანქოლიის ან მანიის ტიპის ფსიქიურ დაავადებაში გადადის, ადრე არსებული ფსიქიკური სიმპტომების სწრაფი გაძლიერების ხარჯზე. ამის შედეგად სხეულის სიმპტომების საშიშროება ქრება. დაავადება თითქმის მთლიანად გაივლის, ან უფრო სწორად, მისი სხეულის სიმპტომები იმდენად მცირდება, რომ მათი მიჩქმალული არსებობა შესაძლოა მხოლოდ დაუინებელი და გამჭრიახი ექიმის დაკვირვებით იქნას აღმოჩენილი. ისინი ცალმხრივ და ასე ვთქვათ, ადგილობრივ დაავადებებად ტრანსფორმირდებიან. ასეთ შემთხვევაში ფსიქიკური მოშლილობის სიმპტომი, რომელიც თავიდან სუსტი იყო, ძლიერდება ისე, რომ მთავარ სიმპტომად იქცევა და მნიშვნელოვნად ცვლის სხვა (სხეულის) სიმპტომებს, რომელთა ინტენსიობას ასუსტებს. ასე რომ, მოკლედ, სხეულის ორგანოების უხეში დაზიანება, თითქოს სულიერ, გონებრივ და ემოციურ ორგანოებს გადაეცემა, რომლებისთვისაც ანატომს თავისი სკალპელით ჯერ არასოდეს მიუღწევია და ვერც ვერასოდეს მიაღწევს.

§ 217

ასეთი დაავადებების დროს, როცა მოვლენების მთელ ჯაჭვს ეეცნობით დიდი ყურადღებით უნდა ვიყოთ. ისინი სხეულის და განსაკუთრებით სულის სპეციფიკური და ყოველთვის დომინირებადი მდგომარეობის მთავარი სიმპტომების ჭეშმარიტ, მკაფიო გაგებას განეკუთვნებიან. ეს იმისათვისაა საჭირო, რომ დაავადების მთლიანად აღმოფხვრის მიზნით, იმ საშუალებებს შორის, რომელთა ჭეშმარიტი მოქმედება ცნობილია, ისეთი ჰომეოპათიური წამლისმიერი პათოგენეტიკური ძალა ანუ საშუალება აღმოვანიხნოთ, რომლის სიმპტომთა ჩამონათვალშიც ყველაზე უფრო შესაძლო მსგავსებით აღმოჩნდებიან არა მარტო ამ დაავადების დროს არსებული სხეულის ავადმყოფური სიმპტომები, რომელთანაც გვაქვს საქმე, არამედ განსაკუთრებით გონებრივი და ემოციური მდგომარეობის დამახასიათებელი სიმპტომები.

§ 218

სიმპტომთა ამ ერთობლიობას, უპირველეს ყოვლისა წინა, ეგრეთ წოდებული სხეულის დაავადების ყველა იმ გამოვლენის ზუსტი აღწერილობა განეკუთვნება, სანამ ის ფსიქიკური სიმპტომის ცალმხრივ გაძლიერებად არ ტრანსფორმირდა და გონებისა და სულის დაავადებად არ იქცა. ეს შესაძლოა პაციენტის მეგობრების მონათხრობიდან შევიტყოთ.

§ 219

მოცემული ეგრეთ წოდებული სხეულის დაავადების ადრინდელი სიმპტომების შედარება მათ კვალთან, რაც ჯერ კიდევ რჩება, თუმცა ნაკლებად შესაგრანობი გახდა

(მაგრამ რომლებიც ხანდახან ახლაც შესამჩნევია, თუკი დგება ნათელი გონებისა და ფსიქიკური დაავადების ხანმოკლე შემსუბუქების პერიოდი), შესაძლოა ადასტურებდეს, რომ ისინი ჯერ კიდევ არსებობენ, თუმცა ჩრდილში არიან მოქცეულნი.

§ 220

თუკი ამას მეგობრებისა და ექიმის მიერ ზუსტად აღწერილ გონების და სულის მდგომარეობას დაემატებთ, დაავადებაზე სრული წარმოდგენა შეგვექმნება. მისი სამკურნალო ჰომეოპათიური წამალი, რომელსაც შეუძლია საოცრად მსგავსი სიმპტომები, განსაკუთრებით კი გონების ანალოგიური მოშლილობა გამოიწვიოს, ანტიფსორულ საშუალებებში უნდა ვეძებოთ, თუკი მოცემული ფსიქიკური დაავადება რაღაც დროის განმავლობაში გრძელდება.

§ 221

თუმცა, თუ სიგიჟე ან მანია (გამოწვეული შიშით, გაღიზიანებით, სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებითა და ა.შ.) მოულოდნელად, ჩვეულებრივ ავადმყოფის მშვიდი მდგომარეობის დროს მწვავე დაავადების სახით გამოვლინდა, მიუხედავად იმისა, რომ ის ყოველთვის შინაგანი ფსორით არის გამოწვეული, აღის მსგავსად ამოიფრქვევა და მწვავედ მიმდინარეობს, მით უფრო, მათი მკურნალობა ანტიფსორული საშუალებებით მაშინვე არ უნდა დავიწყოთ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საშუალებებით, რომლებიც მათთვის ნაჩვენებია შესწავლილი წამლების სხვა ჯგუფებიდან (მაგალითად, აკონიტი, ბელადონა, სტრამონიუმი, ჰიოსცინამუსი, ვერცხლისწყალი და ა.შ.) მცირე ჰომეოპათიური დოზით, პოტენცირების მაღალ ხარისხში და იმდენად

ჩავახშოთ ისინი, რომ ფსორა თავის პირვანდელ, ფარულ მდგომარეობას დაუბრუნდეს, რომლის დროსაც პაციენტი სრულიად ჯანმრთელად გამოიყურება.

## § 222

მაგრამ ასეთი პაციენტი, რომელიც ამ ანტიფსორული საშუალებების გამოყენების შედეგად მწვავე გონებრივი ან სულიერი დაავადებისგან თავისუფლდება, განკურნებულად არასოდეს არ უნდა მივიჩნიოთ: პირიქით, დროის დაუკარგავად შევეცადოთ, რომ ხანგრძლივი ანტიფსორული მკურნალობით ის ბოლომდე განკურნოთ<sup>123</sup> ფსორის ქრონიკული მიაზმისაგან, რომელიც სინამდვილეში ახლა კიდევ ერთხელ ხდება ფარული, მაგრამ სრულ მზადყოფნაშია, რომ კვლავ აღმოცენდეს; თუკი ეს გაკეთდება, ავადმყოფს მისთვის დანიშნული დიეტის და რეჟიმის კეთილსინდისიერი დაცვისას სხვა მსგავსი შეტევის განმეორების არ უნდა ეშინოდეს.

123. იშვიათია, რომ ხანგრძლივი გონებრივი ან ემოციური დაავადება სპონტანურად შეწყდეს (რადგანაც შინაგანი დისკრასია კვლავ გადაიტანება სხეულის ორგანოებზე). დროდადრო არის შემთხვევები, როცა საგიჟეთის ყოფილ ბინადარს ერთი შეხედვით გაჯანსაღებულს გამოწერენ. თუმცა ღღემდე ყველა საგიჟეთი გადაესებული რჩება, ისე რომ, სხვა მრავალი სულით ავადმყოფი, ვინც ასეთ დაწესებულებაში მოსახვედრ გზებს ეძებს, იშვიათად თუ მოახერხებს ადგილის შოვნას, სანამ იქ რომელიმე პაციენტი არ მოკვდება. არავინ არ განკურნებულა მათში (საგიჟეთში) ჭეშმარიტად და სრულად! სხვა მრავალს შორის ერთ-ერთი დამაჯერებელი მტკიცებულება აქამდე პრაქტიკაში გამოყენებული არაგანმკურნავეი ხელობის სრული უსარგებლობისა, რომელსაც ალოპათიური ბაქიბუქობით, ჩვენდა გასაოცრად რაციონალური მედიცინის სახელი მიენიჭა. მეორე მხრივ, რა ხშირად შეეძლო ექიმობის სწორ ხელოვნებას, ჭეშმარიტად წმინდა პომეოპათიას, ეს საბრალო



არსებანი განეკურნა, აღედგინა მათი ფსიქიკური და სხეულის  
ჯანმრთელობა და ბედნიერებად დაებრუნებინა საზოგადოები-  
სათვის.

§ 223

მაგრამ, თუკი ანტიფსორული მკურნალობა არ ჩატა-  
რდა, მაში გაცილებით უფრო მსუბუქი მიზეზისგან, ვიდრე  
სიგიჟის პირველი შეტევის გამომწვევი მიზეზია, თითქმის  
უეჭველად შეგვიძლია მოველოდეთ მისი ახალი, გაცილე-  
ბით ხანგრძლივი და ძლერი შეტევის აღმოცენებას, რომლის  
დროსაც ფსორა სრულად ვითარდება, პერიოდულ ან გახან-  
გრძლივებულ ფსიქიკურ დარღვევებში გადადის, რომელიც  
კიდევ უფრო ძნელი მოსარჩენი იქნება ანტიფსორული საშუ-  
ალებებით.

§ 224

თუკი გონებრივი დაავადება სრულად არ ვლინდე-  
ბა და კიდევ გვაქვს ეჭვი, რომ ის მართლა სხეულის და-  
ზიანებით, განათლების უკმარისობის, ცუდი ჩვევების,  
გაფუჭებული ზნის, გონების ამღვრევის, ცრურწმენის ან  
უმეცრების შედეგია, მაშინ ამ ეჭვების გადაწყვეტა შეიძლება  
შემდგომში მდგომარეობდეს: თუკი ის გამოწვეულია ბოლო  
მიზეზებიდან რომელიმეთი, შემცირდება და უკან დაიხევს  
გონიერი მეგობრული შეგონებებით, დამამშვიდებელი არ-  
გუმენტებით, სერიოზული დასაბუთებითა და აზრიანი რჩე-  
ვებით; იმ დროს, როცა ფიზიკური დაავადებით გამოწვეული  
ჭეშმარიტი ზნეობრივი ან გონებრივი დაავადება სწრაფად  
გაძლიერდება მოვლენათა ასეთივე მსველელობის დროს; მე-  
ლანქოლიკი კიდევ უფრო დაითრგუნება, მარად მომჩივანი  
და უნუგეშო გახდება, ბოროტი მანიაკი ამის შედეგად

კიდევ უფრო გაღიზიანებადი, ხოლო სულელი მოღაყბე კი – აშკარად უფრო ბრიყვი<sup>124</sup>.

124. ასეთ შემთხვევებში ჭკუა თითქოს, განგაშით და სეველით ვრძნობდა ამ რაციონალური წარმოდგენების ჭემ-მარიტებას და მოქმედებდა სხეულზე, თითქოს უნდოდა დაკარგული პარმონიის აღდგენა, მაგრამ სხეული დაავადების გამო ვონებასა და ხასიათზე რეაგირებდა და ისინი კიდევ უფრო მეტ უწესრიგობამდე მიჰყავდა, კიდევ ერთხელ გადასცემდა მათ თავის სატანჯველს.

## § 225

თუმცა, როგორც ადრე ვამტკიცებდით, რამდენიმე ემოციური მოშლილობა არსებობს, რომლებიც არა უბრალოდ განვითარდა ამ ფორმით სხეულის დაავადებიდან, არამედ პირიქით, სხეულის უბრალო უქეიფობისას წარმოიშვა და შენარჩუნდა ემოციური მიზეზებით: გახანგრძლივებული აფორიაქება, განგაში, გაღიზიანება, უსამართლობა და ძლიერი შიშის და შეშინების ხშირი გამოვლინებები. ემოციური მოშლილობის ეს ფორმა დროთა განმავლობაში სხეულის ჯანმრთელობას ხშირად მნიშვნელოვნად არღვევს.

## § 226

მხოლოდ ასეთი ემოციური აშლილობების დროს, რომლებიც გამოწვეული და შენარჩუნებულია გონებით, სანამ ისინი ახალი წარმოქმნილია და სხეულის მდგომარეობაზე სერიოზულად ასახულან, ფსიქიკური შემოქმედების დახმარება, მაგალითად ისეთის, როგორიცაა ნდობა, მეგობრული შეგონება, გონიერი რჩევა და ხშირად კარგად შენიღბული ტყუილი, სწრაფად იწვევს ფსიქიკურ გაჯანსაღე-

ბას (და შესაბამისი დიეტის და რეჟიმისას, ასევე სხეულის გაჯანსაღებასაც).

§ 227

მაგრამ ამ შემთხვევებში მთავარი მიზეზი ასევე ფსორული მიაზმია, მხოლოდ ჯერ კიდევ არასრული განვითარების სტადიაში და თითქოსდა განკურნებული პაციენტი უსაფრთხოებისთვის რადიკალურ ანტიფსორულ მკურნალობას უნდა დაექვემდებაროს, რათა ის ხელახლა, რაც ადვილი შესაძლებელია, ფსიქიკური დაავადების მსგავს მდგომარეობაში არ ჩავარდეს.

§ 228

სხეულის დაავადების შედეგად წარმოქმნილი გონებრივი და ემოციური დარღვევებისას, რომლებსაც შესაძლოა მხოლოდ კომეოპათიური ანტიფსორული საშუალებებით ვუმკურნალოთ, საგულდაგულოდ კონტროლირებულ ცხოვრების წესთან შეხამებაში. დამატებითი ფსიქიკური რეჟიმისათვის აუცილებელია, ექიმის მიერ სკუპულოზური დაკვირვება პაციენტთან იმ პირთა შესაბამის ურთიერთობებზე, ვინც მის გვერდით იმყოფება. მძვინვარების მანიაკალურ სინდრომს უნდა დაეუპირისპიროთ მშვიდი უშიშრობა და გადამჭრელი სიმტკიცე; მგლოვიარეს საწყალობელ წუწუნს – ჟესტებითა და გამოხედვაში გამოხატული ჩუმი თანაგრძნობა; უაზრო ლაყბობას – სიჩუმე, მაგრამ არა სრული უყურადღებობა; საზიზღარ და საძაგელ ქცევასა და ამ სახის საუბრებს – სრულად უყურადღებობა. უბრალოდ უნდა ვეცადოთ, თავიდან ავიცილოთ გარშემო მყოფი საგნების დაზიანება და განადგურება, არ ვუსაყვედუროთ პაციენტს მისი ქმედებების გამო. ყველაფერი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ

თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი სახის ფიზიკური დასჯისა და წვადების<sup>125</sup> აუცილებლობა. ეს იოლი შესასრულებელია, რადგან წამლის მიღება არის ერთადერთი გარემოება, რომლის დროსაც იძულება შეიძლება გამართლებულ იქნეს, მაგრამ ის, რომ შესაბამისი ჰომეოპათიური წამლის მცირე დოზა გემოვნებით შეგრძნებებს არასოდეს არ იწვევს და აქედან გამომდინარე, შესაძლოა პაციენტს მიეცეს სასმელში ისე, რომ მან ეს არ იცოდეს და ამით ყოველგვარი იძულების საჭიროება იხსნება.

125. შეუძლებელია არ გაგვიკვირდეს ექიმთა უსულგულობა და გაუზრდევლობა ამ სახის მრავალ დაწესებულებაში, რომლებიც არ ცდილობენ ასეთი დაავადებების მკურნალობის ჭეშმარიტი და ერთადერთი ქმედითი მეთოდი მოძებნონ რადაც ჰომეოპათიური წამლისმიერი (ანტიფსორული) საშუალებებით მკურნალობა გვეულებს, ჯერდებიან იმას, რომ ცემით და სხვა სახის სასჯელით ტანჯავენ ამ, ყველაზე საცოდავ ადამიანებს. ასეთი უპატიოსნო და საზიზღარი პროცედურებით მათ თავის თავი ციხის ზედამხედველებზე დაბლა დაჰყავთ, ისინი ასეთ დასჯას თავისი მოვალეობის გამო, მათდამი რწმუნებულ დაწესებულებებში და მხოლოდ დამნაშავეების მიმართ იყენებენ, იმ დროს როცა პირველები – თავისი, როგორც ექიმების უსარგებლობის დამამცირებელი შეგნების გამო, მხოლოდ იმისათვის, რათა გამოსავალი მისცენ თავის გაბოროტებას ფსიქიკური დაავადებების საგარაუდო განუკურნებლობის გამო, უბედურ, უდანაშაულო ტანჯულთა მიმართ, რადგანაც ეს ექიმები ძლიერ უმეცარნი არიან, რათა თუნდაც ასე თუ ისე სასარგებლონი იყვნენ და ძლიერ ზარმაცები, რათა აღიარონ მკურნალობის გონივრული მეთოდი.

## § 229

მეორე მხრივ, შეკამათება, დაძაბული ახსნა-განმარტება, უხეში თავდასხმა და გამოხტომები, ისე როგორც სუს-

ტი, მორცხვი დამთმობლობა, ასეთ პაციენტებთან სრულიად უადგილოა; ეს გონებრივი და ემოციური დარღვევების მკურნალობის დამღუპველი მეთოდებია. პირიქით, შეურაცყოფა, თაღლითობა და ტყუილი, რომლებიც შესაძლოა ამოიცნონ, ყველაზე უფრო აღიზიანებს ასეთ პაციენტებს და ამით მათი დაავადება მძიმდება. ექიმში და სანიტარი ყოველთვის ისეთ სახეს უნდა იღებდნენ, თითქოს სჯერათ რომ პაციენტი არ არის გონებასუსტი.

მათ გრძნობებზე და განწყობილებაზე მოქმედი ყველა სახის გარეგანი გამაღიზიანებელი ზემოქმედება, თუკი ეს შესაძლებელია, მოცილებული უნდა იქნეს; მათი ნაღვლიანი სულისათვის არ არსებობს არანაირი გართობა, არანაირი სასარგებლო განრიდება, სწავლების არანაირი საშუალება, არც საუბრის, წიგნების ან სხვა ნივთების დამამშვიდებელი ეფექტი მათი სულისათვის, რომელიც ჭკნება და ღიზიანდება ავადმყოფი სხეულის მარწუხებში. მკურნალობის გარდა, მას ძალებს ვერაფერი ვერ მიანიჭებს; როცა სხეულის დაავადება უკეთესობისაკენ შეიცვლება, სიმშვიდე და ნუგეშისცემა მათ გონებას<sup>126</sup> კვლავ გაანათებს.

*126. სულიერად ავადმყოფი, ბობოქარი მანიაკის და მელანქოლიკის მკურნალობა შესაძლოა ჩატარდეს მხოლოდ სპეციალურად ამისათვის განკუთვნილ დაწესებულებაში და არა პაციენტის ოჯახურ გარემოში.*

## § 230

თუკი გონებრივი ან ემოციური დარღვევის თითოეული ცალკეული შემთხვევისთვის შერჩეული ანტიფსორული საშუალება (მათი წარმოუდგენლად მრავალრიცხოვანი სახესხვაობა არსებობს), მთლიანად შეესაბამება კეთილსიდიდისერად აღწერილი დაავადების სიმპტომატიკას და მათი ჭეშმარიტი ზემოქმედების თვალსაზრისით ცნობილი ამ წამლების

საკმარისი რაოდენობა გვაქვს, მაშინ მათ შორის ყველაზე უფრო შესაფერისი ჰომეოპათიური საშუალება დაუდალავი ძიებით. მაგრამ საკმაოდ მარტივად შეირჩევა, იმიტომ, რომ ემოციური და გონებრივი მდგომარეობა, რომელიც ასეთი პაციენტის მთავარი სიმპტომია, იოლად ამოიცნობა, რის შედეგად საკმარისად სწრაფად დგება საოცარი გაუმჯობესება, რაც შეუძლებელია პაციენტისათვის თუნდაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში უდიდესი რაოდენობის, ხშირად განმეორებითი სხვა არასათანადო (ალოპათიური) წამლების დანიშვნით მოხდეს. ჭეშმარიტად, დიდი გამოცდილების საფუძველზე, შემოძლია დარწმუნებით ვამტკიცო, რომ ჰომეოპათიური მეთოდის უდიდესი უპირატესობა მკურნალობის ყველა სხვა შესაძლო მეთოდთან არსად ისე აშკარად არ ვლინდება, როგორც იმ ხანგრძლივი გონებრივი და ემოციური დარღვევებისას, რომლებიც თავდაპირველად არსებული დაავადებების გამო, ე.ი. მათ შემდეგ ან მათთან ერთდროულად აღმოცენდნენ.

## § 231

**ხანგამოშვებითი დაავადებები** სპეციალურ განხილვას იმსახურებენ, როგორც ისინი, რომლებიც განსაზღვრულ პერიოდებში მეორდებიან, როგორც მრავალგვარი ხანგანელებითი ცხელებითი და ცხელების გარეშე მიმდინარე დაავადებები, რომლებიც ხანგანელებითი ცხელების მსგავსად, სხვა ავადმყოფური მდგომარეობის სახით გარკვეული ინტერვალის შემდეგ მეორდებიან, ისევე, როგორც ისინი, რომელთა დროს სხვადასხვა სახის ავადმყოფური გამოვლინებები ერთმანეთს გაურკვეველი დროის ინტერვალებით ენაცვლებიან.

§ 232

**მონაცვლეობითი** დაავადებები, ასევე ძალიან მრავალრიცხოვანია,<sup>127</sup> მაგრამ ყველა მათგანი ქრონიკული დაავადებების კლასს განეკუთვნება. ისინი ჩვეულებრივ, განვითარებული ფსორის გამოვლინებებია, იშვიათად სიფილისური მიაზმითაც რთულდება და ამიტომ პირველ შემთხვევაში მათი მკურნალობა შესაძლოა ანტიფსორული საშუალებებით; მეორეში – ანტისიფილისურ საშუალებებთან მონაცვლეობით, როგორც რეკომენდირებულია ჩემს ნაშრომში <<ქრონიკული დაავადებები>>.

127. შეიძლება ორი ან სამი მდგომარეობა მონაცვლეობდეს ერთმანეთთან. მაგალითად, ორმაგი მონაცვლეობით მიმდინარე დაავადების შემთხვევაში გარკვეული ტკივილები შესაძლოა მუდმივად ჩნდებოდეს ფეხებში და ა.შ. ერთ-ერთი სახის ოფთალმიის გაქრობისთანავე, ეს უკანასკნელი კვლავ ჩნდება, როგორც კი კილაურებში ტკივილი დროებით ქრება; კრუნჩხვები და სპაზმები შესაძლოა მონაცვლეობდეს მთელი ორგანიზმის ან მისი ცალკეული ნაწილის სხვა დაზიანებასთან. სამმაგი მონაცვლეობით მიმდინარე მდგომარეობაში ჩვეულებრივი უქეიფობისას შესაძლოა დადგეს მოსვენებითი გაუმჯობესების და სხეულისა და ფსიქიკური ძალების არანეველებრივი აღზნების პერიოდი (უზომო მხიარულება, სხეულის არანეველებრივი აქტიურობა, კომფორტის შეგრძნების სიჭარბე, უწვეულო მაღა და ა.შ.), რის შემდეგაც სრულიად მოულოდნელად, ჩნდება მელანქოლიური განწყობა, ხასიათის გაუსაძლისი იპოქონდრიული მოშლა რამდენიმე სასიცოცხლო ფუნქციის – საჭმლის მონელების, ძილის და სხე., მოშლით, რომლებიც ხელმეორედ და ასევე მოულოდნელად, პირველადი ზომიერი უქეიფობით იცვლება; და ასე აღინიშნება რამდენიმე და ძალიან განსხვავებული მონაცვლეობითი მდგომარეობა. როცა ეს ახალი მდგომარეობა იწყება, ხშირად წინა მდგომარეობის არანაირი შესაგრძნობი კვალი აღარ გვაქვს. სხვა შემთხვევებში მონაცვლეობითი მდგომარეობებიდან პირველის მხოლოდ კვალი რჩება, როცა აღმოცენდება მეორე; პირველი მდგომარეობის რამდენიმე სიმპტომი რჩება მეორის მიმდინარეობის დროსაც.

ზოგჯერ ავადმყოფური მონაცვლეობითი მდგომარეობები სრულიად საწინააღმდეგო მახასიათებლებით ვლინდება, მაგალითოდ, მელანქოლია მონაცვლეობს ფსიქიკურ დარღვევებთან დაკავშირებულ უდარდელ სიხარულთან ან სიგიჟესთან.

## § 233

ტიპური ხანგანელებითი დაავადებია ისინი, რომელთა დროს უცვლელი ავადმყოფური გამოვლინებები საკმაოდ გამოხატული ინტერვალებით ბრუნდება მაშინ, როცა პაციენტი ჯანმრთელად გამოიყურება და ასევე ფიქსირებულ პერიოდში წყდება; ეს გვხვდება იმ მოჩვენებით არაცხელებით მდგომარეობებში, რომლებიც იწყება და გრძელდება პერიოდულად (გარკვეული დროით) ისევე, როგორც ცხელებითი დაავადებებისას, ანუ უამრავი სახის ხანგანელებითი ცხელების დროს.

## § 234

ეს ავადმყოფური, თითქოსდა არაცხელებითი მდგომარეობანი ტიპურებია, პერიოდულად ბრუნდება გარკვეული დროით მხოლოდ ერთ პაციენტში გვხვდება (ისინი, ჩვეულებრივ, სპორადულად ან ეპიდემიურად არ წარმოიშობიან), ყოველთვის ქრონიკულ დაავადებებს განეკუთვნებიან, ძირითადად მათ, რომლებიც წმინდა ფსორულია და მხოლოდ იშვიათად – სიფილისით გართულებული და წარმატებით ინკურნებიან იმავე საშუალებებით; მიუხედავად ამისა, ზოგჯერ აუცილებელი ხდება პოტენცირებული ქინაქინას ქერქის მცირე დოზის გამოყენება შუალედური საშუალების სახით, რათა მათი პერიოდული ხასიათი მთლიანად მოვიშორიოთ.



## § 235

რაც შეეხება ხანგანელებით ცხელებებს<sup>128</sup>, რომლებიც სპორადულად ან ეპიდემიურად ვრცელდებიან (არა ისინი, რომლებიც ეპიდემიურად არიან გავრცელებული ჭაობიან ადგილებში), ხშირად აღმოვაჩინო, რომ ყოველი შეტევა ასევე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცვლეობითი მდგომარეობისაგან შედგება (შემცივნება, სიცხე – სიცხე, შემცივნება), თუმცა უფრო ხშირად კი სამისაგან (შემცივნება, სიცხე და ოფლი). ამიტომ, ყველა გამოცდილი (ჩვეულებრივ არაანტიფსორული) წამლის ჯგუფიდან მათთვის შერჩეულ საშუალებას (ამ სახის საშუალება ყველაზე სანდოა) უნდა ჰქონდეს უნარი ჯანმრთელ სხეულში ამავე სახით გამოიწვიოს ორი (ან სამივე) მსგავსი შეაღედური მდგომარეობა ან გარდა ამისა, სიმპტომთა მსგავსებით შესაძლოა უფრო ჰომეოპათიურად შეესაბამებოდნენ ყველაზე ძლიერ, ყველაზე აშკარა, ყველაზე შესამჩნევ და განსაკუთრებულ შუაღედურ მდგომარეობას (ან შემცივნების, ცხელების, ოფლიანობის სტადიას, თითოეულს – დამატებითი სიმპტომებით, დამოკიდებულს იმასთან, რომელი შუაღედური მდგომარეობა გვევლინება ყველაზე ძლიერად და სპეციფიკურად); მაგრამ პაციენტის სიმპტომები იმ ინტერვალებში, როცა მას ცხელება არა აქვს, ყველაზე მთავარი უნდა იყოს სათანადო წამლის შესარჩევად<sup>129</sup>.

128. პათოლოგია, რომელიც აქამდე მოლაში და ჯერ კიდევ ირაციონალური განვითარების ადრეულ სტადიაშია, მხოლოდ ერთ ხანგანელებით ცხელებას აღიარებს, რომელსაც ასევე მაღარია ჰქვია და არანაირ სახესხვაობას არ ცნობს იმათ გარდა, რომლებიც შეტევების განვითარების სხვადასხვა ინტერვალთ: ყოველდღიური, სამღლიანი, ოთხდღიანი და ა.შ. ხასიათდებიან. მაგრამ მათ შორის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი განსხვავებებია. ასეთი ცხელებების უთვალავი სახესხვაობა არსებობს. მათაგან ზოგიერთს არც კი შეიძლება მაღარია ეწოდოს, რადგან მათი შეტევები მხოლოდ ცხე-

ლების სტადიისგან შედგება; სხეები ხასიათდებიან მხოლოდ შემცვივნების სტადიით, შემდგომი ოფლიანობის სტადიით ან მის გარეშე; ზოგი ცხელების შეგრძნებას იწვევს მაშინ, როცა სხეულის ზედაპირი ცივია ან შემცვივნების შეგრძნებას, როცა სხეულის ზედაპირი ცხელია; არსებობს ცხელების სახეები, რომელთა დროს ერთი შეტევა მთლიანად შემცვივნებისაგან ან უბრალოდ სივრილის შეგრძნებისაგან შედგება. მას ჯანმრთელი მდგომარეობა მოჰყვება, შემდგომი კი მხოლოდ ცხელების სტადიისაგან შედგება, რომელსაც მოსდევს ან არ მოსდევს ოფლი; სხეების დროს ჯერ იწყება სიცხის სტადია და შემცვივნების სტადია აღარ მოჰყვება, სანამ პირველი არ გაივლის; ან შემცვივნების ან ცხელების შემდეგ უსიცხო პერიოდი დგება, შემდეგ ოფლიანობა იწყება, მეორე შეტევის მსგავსად, ხშირად მრავალი საათის შემდეგ; სხვა შემთხვევაში – ოფლის სტადია საერთოდ არ დგება; ზოგი კი იმით ხასიათდება, რომ მთელი შეტევა მხოლოდ ოფლის სტადიისაგან შედგება, შემცვივნების ან ცხელების სტადიის გარეშე ან მათ დროს ოფლიანობა მხოლოდ ცხელებისას აღინიშნება. არსებობს უთვალავი განსხვავება, განსაკუთრებით კი დამატებითი სიმპტომების მიხედვით, ისეთები როგორებიცაა: განსაკუთრებული სახის თავის ტკივილი, ცუდი გემო პირში, გულისრევა, ღებინება, დიარეა, უზომო წყურვილი, სპეციფიკური ტკივილი სხეულში ან კიდურებში, მოუსვენარი ძილი, დელირიუმი, ცვლილებები ხასიათში, სპაზმები და ა.შ., შემცვივნების სტადიაში, მის დროს ან შემდეგ; ისინი ყველა სხვადასხვა ტიპის აშკარად ძლიერი ხანგანელებითი ცხელებებია, რომელთაგანაც თითოეული, როგორც ბუნებრივი იქნებოდა გვექვარაუდა, სპეციალურ (პრომოპათიურ) მკურნალობას ითხოვს. უნდა ეაღიაროთ, რომ ყველა მათგანი შესაძლოა ქინაქინის ქერქის უდიდესი დოზებით ან მისი ფარმაცევტული პრეპარატით – ქინინის სულფატით ჩავახშოთ (როგორც ეს ხშირად კეთდება), ანუ მათი პერიოდული განმეორება (მათი დამახასიათებელი ნიშანი) განეკუთროს, მაგრამ ხანგანელებითი ცხელებით გატანჯული პაციენტები, რომელთათვისაც ქინაქინის ქერქი შესაფერის საშუალებად არ გვევლინება, როგორც ყველა იმ სხვა ხანგანელებითი ცხელების ეპიდემიებისას, რომლებიც მთელ ქვეყნებს და ზოგჯერ მთიან ადგილებსაც კი გადაჰკვეთენ, დამახასიათებელი სიმპტომების ნახშობის შემდეგ სრულად არ გაჯანსაღდებიან; პირიქით, ისინი წინასთან შედარებით უკვე

სხვა, უფრო ძლიერი, ხშირად გაცილებით უფრო ძლიერი დაავადებისაგან იტანჯებიან; ისინი უკვე ქინაქინის სპეციფიკური დისკრასიით არიან დაავადებულნი და გაჯანსღება ჭეშმარიტ მეთოდზე დაფუძნებული ხანგრძლივი მკურნალობის დროსაც კი უჭირთ – და ამას მკურნალობას უწოდებენ!

129. დოქტორმა ფონ ბებინაუზენმა, მკურნალობის ჩვენულ სასარგებლო მეთოდს უფრო ღიდი სამსახური გაუწია, ვიდრე ნებისმიერმა სხვა ჩემმა მიმდევარმა. დაამუშავა ეს თემა, რომელიც ამდენად ღიდი ყურადღებას და ზრუნვას მოითხოვს, გააიოლა სხვადასხვა ცხელებითი ეპიდემიისას მოქმედი საშუალების შერჩევა და თავის ნაშრომში „*Versuch einer homöopathischen Therapie der Wechselfieber, 1833, Münster bei Reginsberg*“. აღწერა.

## § 236

ასეთ შემთხვევებში წამლის მიღება ყველაზე კარგია შეტევის შეწყვეტისთანავე ან ძალიან მალე, როგორც კი პაციენტი მისგან ასე თუ ისე გამოვა; ამ შემთხვევაში დრო საკმარისია რათა წამალმა ორგანიზმში ჯანმრთელობის აღსადგენად აუცილებელი ყველა საჭირო ცვლილება გამოიწვიოს, ყოველგვარი სერიოზული დარღვევების ან აღელვების გარეშე; მაშინ, როცა უშუალოდ შეტევის წინ მიღებული წამლის მოქმედება, თუკი ის განსაკუთრებით მსგავსია, დაავადების ბუნებრივ განმეორებას თანხედება, ორგანიზმში ისეთ რეაქციას, ისეთ მწვავე წინააღმდეგობებს იწვევს, რომ სიკვდილს თუ არა, ძალების მნიშვნელოვან დანაკარგს მაინც<sup>130</sup> განაპირობებს. მაგრამ, თუ წამალი შეტევის დამთავრებისთანავე ეძლევა, ე.ი. როცა უსიცხო ინტერვალი დაიწყო და შემდგომი შეტევის მოსამზადებლად ღიდი დროა დარჩენილი, ორგანიზმის სასიცოცხლო ძალა საუკეთესო მდგომარეობაშია, რათა მშვიდად შეიცვალოს

წამლის ზემოქმედების ქვეშ და ჯანმრთელ მდგომარეობა-  
დე აღდგეს.

*130. ეს ხშირად გვხვდება იმ სასიკედილო შემთხვევებ-  
ში, როცა შემცივნების სტადიაში მიცემულ ოპიუმის ზომიერ  
დოზას სწრაფად მიეყავლით ლეტალურ გამოსავლამდე.*

### § 237

მაგრამ, თუ უსიცხო სტადია ძალიან მოკლეა, რო-  
გორც ეს ზოგიერთი ძალიან მძიმედ მიმდინარე ცხელებები-  
სას ხდება, ან ის რომელიმე წინა შეტევის შედეგადაა დარ-  
ღვეული, ჰომეოპათიური წამლის დოზა უნდა მიეცეს მაშინ,  
როცა ოფლდენა ან შეტევის მიერ გამოწვეული სხვა მოვ-  
ლენები შემცირებას და გაქრობას დაიწყებენ.

### § 238

ხშირად, შესაფერისი წამლის ერთი დოზა რამდენიმე  
შეტევას აიცილებს და გაჯანსაღებამდე მიეყავართ, მაგრამ  
უმეტეს შემთხვევაში ყოველი შეტევის შემდეგ კიდევ ერთი  
დოზის დანიშვნა გვჭირდება. თუმცა უკეთესია თუ სიმპ-  
ტომთა ხასიათი არ შეიცვალა. მაშინ, ახლად აღმოჩენილი  
დოზების (იხილე § 270-ის შენიშვნა) განმეორების პრინ-  
ციპის შესაბამისად, იგივე წამალი უნდა გავიმეოროთ ყოვე-  
ლი წინა დოზის შემცველი ფლაკონის 10-12 შენჯღრევით  
დინამიზაციის შემდეგ. მაგრამ ზოგჯერ, თუმცა იშვიათად,  
გვხვდება შემთხვევები როცა ხანგანელებითი ცხელება რამ-  
დენიმე დღის კარგად ყოფნის შემდეგ ბრუნდება. ჯანმრ-  
თელობის პერიოდის შემდეგ იმავე ცხელების დაბრუნება  
მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ცხელების გა-  
მომწვევი თავდაპირველი მანე ფაქტორი ჯერ კიდევ მო-

ქმედებს გაჯანაღებად პაციენტზე, როგორც ეს გეხვდება ჭაობიანი ადგილების შემთხვევაში. მაშინ სრული აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ დაავადების გამომწვევი ფაქტორის აღმოფხვრის შემდეგ, მაგალითად, მთიან ადგილას გადასვლისას, თუკი დაავადების გამომწვევი ჭაობის ცხელება იყო.

§ 239

ისე, როგორც თავისი წმინდა მოქმედებისას თითქმის ყველა წამალი ცხელების სპეციფიკურ, განსაკუთრებულ სახეს და სხვა წამლებით გამოწვეული მისი ცვალებადი მდგომარეობით განსხვავებული ხანგანელებითი ცხელების ტიპსაც კი იწვევს, მაშინ ბუნებრივი ხანგანელებითი ცხელების მრავალრიცხოვანი ვარიანტებისთვის არსებულ უამრავ წამალთაგან შესაძლოა ჰომეოპათიური საშუალების შერჩევა, ხოლო ძალიან ბევრი ასეთი ცხელებისთვის – ჯანმრთელ ინდივიდუუმებზე დღეისათვის უკვე შესწავლილ (გამოცდილ) წამალთა მცირე რიცხვიდანაც კი.

§ 240

მაგრამ თუ ხანგანელებითი ცხელების დომინირებადი ეპიდემიისათვის შერჩეული ჰომეოპათიური წამალით ამა თუ იმ პაციენტის სრულ გაჯანსაღებას ვერ ვაღწევთ და ეს მკურნალობისთვის ხელის შემშლელი ჭაობიანი ადგილის ზემოქმედების შედეგი არ არის, მაშინ ასეთი შემთხვევის საფუძველი ყოველთვის ფსორული მიაზმია. ამ დროს აუცილებელია ანტიფსორული საშუალებების გამოყენება სრულ გაჯანსაღებამდე.

§ 241

არაენდემური ეპიდემიური ხანგანელებითი ცხელებები თავისი ბუნებით ცალკეული მწვავე შეტევებისაგან შედგენილი ქრონიკული დაავადებებია; თითოეულ ცალკეულ ეპიდემიას ყველა დაავადებული ინდივიდუუმისათვის საერთო, განსაკუთრებული, სტანდარტული ხასიათი აქვს და იგი ყველასათვის საერთო სიმპტომთა ერთობლიობით ვლინდება, რამაც შეიძლება სამსახური გაგვიწიოს ყველა ამ შემთხვევებისთვის გამოსადეგი ჰომეოპათიური (სპეციფიკური) საშუალების აღმოჩენაში, რომელიც თითქმის გამონაკლისის გარეშე სასარგებლოა ყველა პაციენტისთვის, ვისაც ეპიდემიის განენამდე კარგი ჯანმრთელობა ჰქონდა, ანუ განვითარებული ფსორისგან ქრონიკულად არ იტანჯებოდა.

§ 242

თუ ასეთი ეპიდემიური ხანგანელებითი ცხელების დროს პირველი შეტევები განუკურნებელი დარჩა, ან პაციენტი არასწორი ალოპათიური მკურნალობის შედეგად დასუსტდა, მაშინ შინაგანი ფსორა, რომელიც ფარულად ბევრ ადამიანს აღენიშნება, ვითარდება, ხანგანელებითი ცხელების ფორმას იღებს და როგორც ჩანს, ეპიდემიური ხანგანელებითი ცხელების როლის თამაშს აგრძელებს. ასე რომ, წამალი რომელიც პირველი შეტევების დროს სასარგებლო იქნებოდა (იშვიათად ანტიფსორული), დაავადებას უკვე აღარ მიესადაგება და არავითარი სარგებლის მოტანა არ შეუძლია. ახლა საქმე მხოლოდ ფსორულ ხანგანელებით ცხელებასთან გვაქვს და როგორც წესი ის მაღალპოტენციურებული გოგირდის მცირე დოზის იშვიათი მიღებით აღმოიფხვრება.

## § 243

ამ, ხშირად ძალიან მძიმე, დამღუპველი, ხანგანელებითი ცხელებისას, რომელიც არაჭაობიან ადგილზე ცალკეულ პაციენტებში გვხვდება, როგორც საერთოდ მწვავე დაავადებების დროს, რომლებსაც ისინი თავისი ფსორული წარმოშობით ძალიან ჰგვანან, შესწავლილი წამლებიდან თავიდანვე უნდა გამოვიყენოთ წამალთა სხვა კლასიდან (არაანტიფსორული), ამისათვის სპეციალურად შერჩეული ჰომეოპათიური საშუალება, რამდენიმე დღის განმავლობაში, რათა დავადგინოთ, რამდენად სასარგებლო შეიძლება იყოს იგი; მაგრამ, მიუხედავად ამ პროცედურისა, თუ გაჯანსაღება შენელებს, ვხვდებით, რომ საქმე ფსორასთან უნდა გექონდეს (მისი განვითარების მომენტში) და ამ შემთხვევაში მხოლოდ ანტიქსორულ საშუალებებს შეუძლია ხელი შეუწყოს რადიკალურ გაჯანსაღებას.

## § 244

ჭაობიან ადგილებში და ტერიტორიებზე, სადაც ხშირია წყალდიდობა, ენდემური ხასიათის ხანგანელებითი ცხელება ძველი სკოლის ექიმს მრავალ გასაჭირს უჩენს. მიუხედავად ამისა, ჯანმრთელ ადამიანს სიჭაბუკეში შეუძლია ჭაობიან ადგილსაც კი შეეგუოს და ჯანმრთელობა შეინარჩუნოს, თუკი ის ჯანსაღი რეჟიმით ცხოვრობს და ქანცგამწყვეტი მუშაობით და ვნებებით არ სუსტდება. ასეთ ადგილებში ენდემურ ხანგანელებით ცხელებით იგი მხოლოდ პირველი ჩასვლისას შეიძლება დაავადდეს; მაგრამ ქინაქინის ქერქის ერთ ან ორ ძლიერ მცირე დოზას მაღალ პოტენციაში, ცხოვრების ჯანსაღ წესთან ერთად მისი დაავადებისაგან სწრაფი გათავისუფლება შეუძლია. მაგრამ თუ პაციენტი, მიუხედავად ცხოვრების ჯანსაღი წესისა (ფიზიკურ ასპექტში და ინტელექტუალურ საქმიანობაში), ჭაობის

ხანგანელებითი ცხელებისაგან ქინაქინის ერთი ან რამდენიმე მცირე დოზით ვერ განიკურნა, ეს გვიჩვენებს, რომ მის დაავადებას სწრაფად განვითარებადი ფსორა უდევს საფუძვლად და მისი ხანგანელებითი ცხელება ჭაობიან ადგილას ანტიფსორული მკურნალობის გარეშე<sup>11</sup> არ შეიძლება განიკურნოს. ხანდახან, როცა პაციენტი დაუყოვნებლივ ტოვებს ჭაობიან ტერიტორიას და მშრალ და მთიან ადგილზე გადადის, ის გაჯანსაღდება (ცხელება ტოვებს მას), თუკი დაავადება ჯერ არც ისე ძლიერია, ანუ ფსორა არ იყო მთლიანად განვითარებული და აქედან გამომდინარე თავის ფარულ მდგომარეობაში დაბრუნება შეეძლო; მაგრამ ისინი ვერასოდეს ვერ შეძლებენ სრულად აღადგინონ ჯანმრთელობა ანტიფსორული მკურნალობის გარეშე.

*131. ქინაქინის ქერქის, ისევე როგორც მისი წარმოებულების, მაგალითად, ქინინის სულფატის დიდ, ხშირად განმეორებად დოზებს, რა თქმა უნდა ავადმყოფის ჭაობის ცხელების პერიოდული შეტევებისაგან განკურნება შეეძლია; მაგრამ პაციენტები, რომლებიც თვლიან, რომ განიკურნენ, ცდებიან, რადგანაც სხვა, ხშირად განუკურნებელი დაავადებით – ქინაქინის ინტოქსიკაციით (იხ. § 276, შენიშვნა) ავადდებიან.*

## § 245

ამგვარად, მას შემდეგ რაც გასაგებია თუ რა ყურადღება უნდა დაუთმოს ჰომეოპათიური მკურნალობისას დაავადებათა ძირითად ტიპებსა და მათთან დაკავშირებულ სპეციფიკურ გარემოებებს, გადავდივართ წამალთა და მათი გამოყენების მეთოდებზე, აგრეთვე რეკიმზე, რომელიც მისი გამოყენების დროს უნდა დავიცვათ.



## § 246

მკურნალობის დროს ყოველი შესამჩნევად პროგრესირებადი და მკვეთრი საფუძვლიანი გაუმჯობესება არის პირობა, რომლის დროსაც ნებისმიერი წამლის განმეორებითი დანიშვნის აუცილებლობა იხსნება, იმიტომ, რომ ყველა მიღებული სასარგებლო წამალი მოქმედებას აგრძელებს და მკურნალობის დასრულებას აჩქარებს. არც ისე იშვიათად მწვავე, უფრო ხშირად კი ქრონიკული დაავადებების მკურნალობის დროს, სწორად შერჩეული ჰომეოპათიური წამლის ერთადერთი დოზის მიღებამ შეიძლება მკურნალობის დასრულებამდე მიგვიყვანოს, თუმცა ნელა პროგრესირებადი გაუმჯობესებით და ისეთი შედეგი მოგვცეს, როგორც ამ წამალმა შესაძლოა ჩვეულებრივ 40, 50, 60, 100 დღის განმავლობაში გამოავლინოს. თუმცა ეს საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა; გარდა ამისა, ექიმისთვის, ისევე, როგორც პაციენტისათვის, ამ პერიოდის შემცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ეს შესაძლებელია, ნახევრამდე, მეოთხედამდე და უფრო მეტადაც კი, რათა გაჯანსაღებას გაცილებით უფრო ადრე მიაღწიოს. როგორც ბოლო და ხშირად გამეორებული დაკვირვებებიდან ჩანს, ეს შესაძლოა წარმატებით განხორციელდეს შემდეგი პირობების დროს: ჯერ ერთი, თუკი უკიდურესი ყურადღებით შერჩეული წამალი სრულიად ჰომეოპათიურია; მეორე, თუკი ის მაღალპოტენციურებულია, იხსნება წყალში და სათანადოდ მცირე დოზებში და როგორც ცდა გვიჩვენებს, დროის ყველაზე უფრო სათანადო ინტერვალში ეძლევა, მაგრამ აუცილებელი პირობით, რომ თითოეული დოზის პოტენციურების ხარისხი რამდენამდე განსხვავდებოდეს წინა და შემდგომისაგან, რათა სასიცოცხლო პრინციპი, რომელიც მსგავს წამლისმიერ დაავადებად უნდა გადაიქცეს, უცვლელი და განსაკუთრებით, სწრაფად განმეორებადი დოზით არასასურველ რეაქციამდე და წინააღმდეგობამდე

არ აღიგზნოს, როგორც ასეთ შემთხვევაში<sup>132</sup> უცვლელი პოტენციების ხშირი გამოყენების დროს ყოველთვის ხდება.

132. ის რაც <<ორგანონის>> მეხუთე გამოცემაში, ამ პარაგრაფის გრძელ შენიშვნაში სასიცოცხლო ენერჯის არასასურველი რეაქციის თავიდან აცილების შესახებ ვთქვი, მხოლოდ ცდის ახსნა იყო. მაგრამ ბოლო ოთხი თუ ხუთი წლის განმავლობაში, ყველა ეს სიძნელე მთლიანადაა გადაწყვეტილი ჩემი ახალი, შეცვლილი, მაგრამ ჭეშმარიტი მეთოდის დახმარებით. იგივე საგულდაგულოდ შერჩეული წამალი ახლა შესაძლოა დაენიშნოს ყოველდღიურად და თვეების განმავლობაში, თუკი ეს აუცილებელია, შემდეგი სახით: ქრონიკული დაავადების მკურნალობის დროს ერთი ან ორი კვირის განმავლობაში უფრო დაბალი პოტენციების შემდეგ, ასევე ანალოგიურად გადავდივართ უფრო მაღალ ხარისხებზე (დაწყებული დინამიზაციის ახალი მეთოდის შესაბამისად ყველაზე დაბალი ხარისხიდან).

## § 247

არამიზანშეწონილია რომელიმე საშუალების უცვლელი დოზის მაშინვე მიცემა, რომ არაფერი ვთქვათ მის ხშირ გამეორებაზე (ხანმოკლე ინტერვალში, რათა მკურნალობა არ შეეანელოთ). სასიცოცხლო პრინციპი ასეთ უცვლელ დოზებს წინააღმდეგობის გარეშე, ე.ი. წამლის სხვა სიმპტომების გამოჩენის გარეშე არ იღებს, გარდა მსგავსი დაავადებებისა, რომელსაც ვმკურნალობთ, იმიტომ, რომ პირველმა დოზამ სასიცოცხლო პრინციპში მოსალოდნელ ცვლილებებამდე უკვე მიგვიყვანა და იმავე წამლის მეორე, დინამიკურად სრულიად მსგავსი, უცვლელი დოზა სასიცოცხლო ძალის იმავე მდგომარეობას უკვე ველარ აღმოაჩენს. პაციენტი ასეთი უცვლელი დოზის მიღების შედეგად სინამდვილეში შესაძლოა სხვა უფრო ძლიერი დაავადებითაც კი

დაავადდეს, რადაგანაც ახლა აქტიური რჩება მოცემული საშუალების მხოლოდ ის სიმპტომები, რომლებიც საწყისი დაავადებისათვის არაპრომიოპათიური იყო, აქედან გამომდინარე, გაჯანსაღებისკენ შეიძლება არც ერთი ნაბიჯი არ გადაიდგას და მხოლოდ პაციენტის მდგომარეობის რეალური გაუარესება მივიღოთ. მაგრამ თუ შემდგომი დოზები ყველა შემთხვევაში თუნდაც მცირედ იცვლება და კერძოდ რამდენადმე მეტად პოტენცირდება (§269-270), მაშინ ეს წამალი თავისუფლად მოქმედებს სასიცოცხლო პრინციპზე (ბუნებრივი დაავადების შეგრძნება მცირდება) და განკურნება ახლოვდება<sup>133</sup>.

133. საუკეთესოდ შერჩეული პრომიოპათიური წამლის გამოყენების დროსაც კი, რომელიც თავიდან სასარგებლო იყო, ერთი დოზის მიცემის შემდეგ პაციენტს არ უნდა დაეუნიშნოთ იმავე პოტენციის მეორე ან მესამე დოზა ფხვნილი სახით. ზუსტად ასევე, თუკი წამალი გახსნილი იქნა წყალში და პირველი დოზა სასარგებლო აღმოჩნდა, მეორე და მესამე დოზა უძრავად მდგარი ფლაკონიდან, რამდენიმე დღეშიც კი, უკვე სასარგებლო აღარ აღმოჩნდება, მიუხედავად იმისა, პირველი პრეპარატი ათჯერ შენჯღღევით იყო პოტენცირებული. თუ მხოლოდ ორჯერ შენჯღღრევით. როგორც ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად მოგვიანებით შემოვთავაზეთ, ზემოთ მოყვანილი მიზეზების შესაბამისად. მაგრამ თითოეული დოზის დინამიზაციის ხარისხის მოდიფიკაციის წყალობით, როგორც ვასწავლიდი, არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობს, თუნდაც დოზები უფრო ხშირად მეორედბოდეს და წამალი ძალიან გაძლიერდეს ბევრჯერ შენჯღღრევით. როგორც ნანს, ეს საუკეთესოდ შერჩეული პრომიოპათიური წამალი შეძლებს უკეთესად გამოათავისუფლოს დაავადების სიმპტომატიკა სასიცოცხლო ძალიდან და ქრონიკული დაავადებების დროს მოსპოს ის, თუკი მხოლოდ რამდენადმე განსხვავებულ ფორმებში იქნება გამოყენებული.

ამავე მიზნით კვლავ ვაპოტენცირებთ წამლის ხსნარს<sup>134</sup> (8, 10, 12 შენჯღრევით) და პაციენტს ვაძლევთ ერთ ან (მზარდი დოზებით) რამდენიმე ჩაის კოვზს, ხანგრძლივი დაავადებებისას – ყოველდღე ან ყოველ მეორე დღეს, მწვავე დაავადებებისას ორ-ექვს საათში ერთხელ, ხოლო ძალიან მწვავე შემთხვევებისას – ყოველ საათში ან უფრო ხშირად. ქრონიკული დაავადებებისას ყოველი სწორად შერჩეული, ხანგრძლივი მოქმედების ჰომეოპათიური წამალიც კი, ამ სახით შესაძლოა დაინიშნოს ყოველდღიურად, თვეების განმავლობაში, მზარდი ეფექტით. თუკი ხსნარი გამოყენებულია (შეიდი – თხუთმეტი დღე) და თუ ეს წამალი ჯერ კიდევ ნაჩვენებია, შემდეგ ხსნარში აუცილებლად ემატება იმავე წამლის უფრო მეტი პოტენციის ერთი ან (თუმცა იშვიათად) რამდენიმე ბურთულა და ვაგრძელებთ მის მიცემას, სანამ პაციენტი გაუმჯობესებას გრძნობს რაიმე ჩივილის გარეშე, რაც მას ადრე არ ჰქონია. თუ დაავადების ნარჩენი მოვლენები შეცვლილი სიმპტომებით ვლინდება, ამ წამლის მაგივრად სხვა, ჰომეოპათიურად უფრო შესაფერისი წამალი უნდა შევარჩიოთ და ისეთივე განმეორებითი დოზებით დავნიშნოთ, თუმცა ამავე დროს აუცილებელია გვახსოვდეს ხსნარის ყოველი დოზის შეცვლა ძლიერი შენჯღრევით, მისი პოტენცირების ხარისხის შესაცვლელად. მეორე მხრივ, კარგად შერჩეული ჰომეოპათიური საშუალების თითქმის ყოველდღიური მიღების დროს ქრონიკული დაავადების მკურნალობის ბოლოს შესაძლოა ეგრეთ წოდებული (§161) ჰომეოპათიური გამწვაებები აღმოცენდნენ, რის შედეგადაც ავადმყოფური სიმპტომების ნარჩენები, როგორც ჩანს, ცოტათი ისევ ძლიერდება (ახლა მხოლოდ წამლისმიერი, საწყისის მსგავსი დაავადება ვლინდება). ასეთ შემთხვევაში დოზა უნდა შევამციროთ და გავიმეოროთ უფრო მეტი ინტერვალებით, ის

კი არა, შევანეროთ რამდენიმე დღე რათა ენახოთ, საჭიროა თუ არა გასაჯანსაღებლად შემდგომი სამედიცინო დახმარება. ჰომეოპათიური წამლის სიჭარბით გამოწვეული აშკარა სიმპტომები (Schein-Symptome) სწრაფად გაქრება და ჯანმრთელობა დაუზიანებელი დარჩება. თუ მკურნალობის დროს მხოლოდ პატარა ფლაკონი გამოიყენება, მაგ. განზავებული სპირტის დრაქმა, რომელშიც შენჯღრევის საშუალებით გახსნილია წამლის ერთი ბურთულა, რომელიც უნდა ჩავეისუნთქოთ ყოველ ორ, სამ ან ოთხ დღეში, ყოველი ჩასუნთქვის წინ ისიც რეა-ათჯერ საგულდაგულოდ უნდა შევანჯღრიოთ.

134. მომზადებული 40, 30, 20, 15 ან 8 სუფრის კოვზ წყალში გარკვეული რაოდენობის სპირტის ან ხის ნახშირის ნატეხის დამატებით, რათა უკეთესად შევინახოთ იგი. თუ გამოიყენებულია ხის ნახშირი, ის ფლაკონში ეშვება ძაფით და ამოვიღებთ როცა ფლაკონს ვანჯღრევთ. საგულდაგულოდ პორტენცირებული წამლის ბურთულის (ერთსე მეტი ბურთულის გამოყენება იშვიათად არის საჭირო) დიდი რაოდენობით წყალში გახსნა შესაძლოა აეცილოთ, თუ ხსნარს მოვამზადებთ მხოლოდ 7-8 სუფრის კოვზი წყლით. ფლაკონის საგულდაგულოდ შენჯღრევის შემდეგ მისგან ერთი სუფრის კოვზი ხსნარი ჩავეასხათ ჭიქა წყალში (7-8 კოვზი) საგულდაგულოდ შევეურიოთ და პაციენტს მიეცეთ ერთი დოზა. თუ ის აღვიღად აღუზნებადი და მგრძნობიარეა. შესაძლოა ამ ხსნარიდან ერთი ჩაის კოვზი ჩავეასხათ მეორე ჭიქაში, საგულდაგულოდ მოვეურიოთ და მიეცეთ ერთი ან მეტი ჩაის კოვზი. არსებობენ იმდენად მგრძნობიარე პაციენტები, რომ შესაძლოა დაგვეჭირდეს ასეთი წესით მომზადებული მესამე ან მეოთხე ჭიქა. ყოველი ასეთი ჭიქა უნდა იყოს ახალი ანუ მომზადდეს ყოველდღე. მაღალპორტენცირებული ბურთულები უნჯობესია დაეაქვეცმაცოთ რამდენიმე ნამკვეც რძის შაქართან ერთად, რომელიც შემდგომ პაციენტს შეუძლია მოათავსოს ფლაკონში და საჭირო რაოდენობის წყალში გახსნას.

დაავადების რომელიმე შემთხვევის სამკურნალოდ დანიშნული ყოველი წამალი, რომელიც თავისი მოქმედებით ამ დაავადებისათვის არადაამახასიათებელ ახალ შემაწახებელ სიმპტომებს იწვევს, არ შეიძლება რეალურ გაუმჯობესებას<sup>135</sup> უწყობდეს ხელს და არ შეიძლება ჰომეოპათიურად შერჩეულად ჩაითვალოს; ამიტომ თუ გაუარესება მნიშვნელოვანია, ის თავიდან შეძლებისდაგვარად სწრაფად, ანტიდოტის საშუალებით ნაწილობრივ უნდა განეიტრალოს, შემდეგი, მსგავსების პრინციპის მიხედვით უფრო საგულდაგულოდ შერჩეული საშუალების მიღებამდე, ხოლო თუ მოუსვენრობის გამომწვევი სიმპტომები არც ისე ძლიერია, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს შემდეგი საშუალება, რათა არასათანადოდ შერჩეული<sup>136</sup> შეცვალოს.

135. რამდენადაც, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ყველაზე უფრო შესაფერისი ჰომეოპათიური წამლის დოზა თითქმის შეუძლებელია ისე მცირე მოძადადეს, რომ შესაძინევი გაუმჯობესება არ გამოიწვიოს დაავადების დროს. რომელსაც ის შეესაბამება (§§275-278). ჩვენი მოქმედება უგუნური და დამლუპველი იქნებოდა, თუკი გაუმჯობესების გარეშე ან თუნდაც ძალიან მცირე გაუარესებისას გაემეორებდით ან გაუადიდებდით იმავე წამლის დოზას, როგორც ეს ძველ სისტემაში კეთდება და შეცდომით ვიფიქრებდით, რომ ის არ იყო ეფექტური მისი ძალიან მცირე რაოდენობის (მისი ძალიან მცირე დოზის) გამო. ახალი სიმპტომების გაჩენის შედეგად წარმოქმნილი ყოველი გამწვავება, თუკი ფსიქიკური ან ფიზიკური რაჟიმის არანაირი დარღვევა არ გვექონია, უცილობლად ამტკიცებს დაავადების მოცემული შემთხვევისას ადრე დანიშნული წამლის უსარგებლობას, მაგრამ არასოდეს არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ დოზა ძალიან მცირე იყო.

136. კარგად გაცნობიერებული და კეთილსინდისიერი ექიმი არასოდეს არ აღმოჩნდება ისეთ მდგომარეობაში, რომ ანტიდოტი დასჭირდეს, თუკი შერჩეული წამლის გამოყენებას შეძლებისდაგვარად უმცირესი დოზით დაიწყებს. საუკეთესო

სოდ შერჩეული საშუალების ასეთი უმცირესი ღირებულება წესრიგს მთელს ორგანიზმში ადადგენს.

§ 250

ყურადღებიანი პრაქტიკოსი ექიმისათვის, რომელიც დაავადებულის მდგომარეობას საგულდაგულოდ იკვლევს, თუ მწვავე შემთხვევაში მხოლოდ ექვსი, რვა, თორმეტი საათის შემდეგ გახდება ცხადი, რომ ბოლოს მიცემული წამალი მან ცუდად შეარჩია, რის შედეგად ავადმყოფის მდგომარეობა, მცირედ, თუმცა თანდათან (საათობრივად) შესამჩნევად უარესდება ახალი სიმპტომების და ტანჯვის გაჩენის გამო, მაშინ არა მარტო უფლება აქვს, არამედ მოვალეცაა თავისი შეცდომა გამოასწოროს არა მხოლოდ მეტად თუ ნაკლებად შესაბამისი, არამედ დაავადების (§167) არსებული მდგომარეობისათვის, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ყველაზე უფრო შესაფერისი ჰომეოპათიური წამლის შერჩევით.

§ 251

რამდენიმე საშუალების (მაგ. იგნაციას, აგრეთვე ბრიონიას და რუსის, ზოგჯერ ბელადონასაც), აღამიანთა ჯანმრთელობის შეცვლის უნარი, ძირითადად მონაცვლეობითი მოქმედებით ვლინდება – პირველადი მოქმედების სიმპტომების გარკვეული ტიპი, რომლებიც ნაწილობრივ ერთმანეთის საწინააღმდეგოა. თუ პრაქტიკოსი ექიმი, ერთ-ერთი ასეთი, ჰომეოპათიური პრინციპებით კარგად შერჩეული საშუალების გამოყენებისას აღმოაჩენს, რომ არანაირი გაუმჯობესება არ დგება, მიზანს უმეტეს შემთხვევაში (მწვავე შემთხვევებისას რამდენიმე საათშიც კი) იმავე წამლის ახალი და ასევე მცირე დოზის<sup>17</sup> დანიშვნით მიაღწევს.

137. უფრო დაწერილებით აღეწერე <<Ignatia>>-ს წინას-  
იტყუობაში (<<Materia Medica Pura>> პირველ ტომში).

§ 252

მაგრამ, თუ აღმოვაჩინებთ, რომ ქრონიკული (ფსორული) დაავადებების მკურნალობისას სხვა წამლების გამოყენების დროს საუკეთესოდ შერჩეული ჰომეოპათიური (ანტიფსო-რული) წამლის შესაბამი (უმცირესი) დოზა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას არ იწვევს, ეს იმის **უტყუარი** საბუთია, რომ მიზეზი, რომლის გამოც დაავადება არ წყდება, ჯერ კიდევ არსებობს და ავადმყოფის ცხოვრების წესში ან სიტუაცია-ში, რომელშიც ის აღმოჩნდა, არსებობს ისეთი გარემოება, რომლის მოცილებაც სრული გაჯანსაღებისთვის აუცილე-ბელია.

§ 253

სიმპტომებს შორის, რომლებიც ყოველთვის, განსა-კუთრებით კი მწვავე დაავადებების დროს, მცირედ შესამჩნე-ვი გაუმჯობესების ან გაუარესების დასაწყისზე მიგვანიშ-ნებენ და ეს სიმპტომები ყველასთვის შესამჩნევი არ არის, პაციენტის გონების მდგომარეობა და ქცევა ყველაზე ყუ-რადსაღები და მიმანიშნებელია. უმნიშვნელო გაუმჯობე-სების შემთხვევებშიც კი მნიშვნელოვან სიმშვიდეს, უფრო მომატებულ გუნებაგანწყობას – რაღაც ბუნებრივი მდგო-მარეობის დაბრუნების მსგავსს ვხედავთ. გაუარესების თუნ-დაც შეუმჩნეველი დასაწყისისას, პირიქით, ზუსტად ამის საწინააღმდეგო გვაქვს: დათრგუნვა, უმწეობა, სულის, გონების, ქცევის და ყველა უესტების, პოზების და გამომ-ეტყველების საწყალი მდგომარეობა, რაც ყურადღებით დაკ-



ვირეების დროს ადვილი შესამჩნევია, მაგრამ შეუძლებელია მისი სიტყვებით<sup>138</sup> აღწერა.

138. თუმცა სულისა და გონების მდგომარეობის გაუმჯობესების სწრაფ ცვლილებებს შესაძლოა მხოლოდ წამლის მიღების შემდეგ ველოდეთ, თუკი დოზა საკმარისად მცირე (ანუ იმდენად მცირე, რამდენადაც ეს შესაძლებელია) იყო; ყველაზე უფრო შესაფერისი ჰომეოპათიური წამლის დიდი დოზა, რომლის გამოყენებაც აუცილებლობით არ არის გამოწვეული, ძალიან ძლიერად მოქმედებს და თავიდან სულისა და გონების იმდენად ძლიერ და ხანგრძლივ დარღვევას იწვევს, რომ გეიჭირს მათში გაუმჯობესების სწრაფად აღმოჩენა. აქ უნდა შეენიშნო, რომ ეს, ასეთი არსებითი წესი, ირღვევა ძირითადად ძველი საექიმო სკოლის რიგებში გაერთიანებული, ჰომეოპათიას მიკედლებული ძალიან თვითდაჯერებული ახალბედა ექიმების მიერ. ძველი ცრურწმენების გამო ეს პირები ვერ იტანენ წამალთა უმცირეს დოზას ყველაზე დაბალ განზავებებშიც კი. ამიტომ მათ არ შეუძლიათ მეშაობის ამ მეთოდის ის უდიდესი უპირატესობა და სიკეთე შეიგრძნონ, რაც ყველაზე უფრო სასარგებლოა და ათასჯერადმა გამოცდილებამაც აჩვენა; მათ არ ძალუძთ მიაღწიონ ყოველივე იმას, რაც ჰომეოპათიას შეუძლია გააკეთოს, ამიტომ არ უნდა აცხადებდნენ პრეტენზიას, რომ მისი მიმდევრები არიან.

## § 254

სხვა ახალი ან მზარდი სიმპტომები, ან პირიქით საწყისი სიმპტომების შესუსტება რამე ახლის დამატების გარეშე, მალე გაფანტავს იმ ექიმის ყველა ეჭვს, რომელიც ყურადღებით აკვირდება და შეისწავლის ამ გაუმჯობესებას ან გაუარესებას; თუმცა პაციენტებს შორის ისეთებიც არიან, ვისაც ამ გაუმჯობესების ან გაუარესების მიზეზების ახსნა არ შეუძლიათ, ან არ სურთ მათი აღიარება.

§ 255

მაგრამ ასეთი ინდივიდუუმებიც კი შეგვიძლია დავარწმუნოთ ამაში, თუკი მათთან ერთად თანამიმდევრობით გადავხედავთ ჩვენს შენიშვნებში ჩამოთვლილ დაავადების ყველა სიმპტომს და აღმოვაჩინოთ, რომ ისინი ახალ, უჩვეულო დამატებით სიმპტომებს არ უჩივიან, ამასთან, არც ერთი ძველი სიმპტომი არ გაძლიერდა. ეს რომ ასეთი შემთხვევა ყოფილიყო და სულისა და გონების მდგომარეობის გაუმჯობესება უკვე სახეზე გექონდეს, მიაშნებდა, რომ წამალმა ხელი შეუწყო დაავადების შესუსტებას ან თუკი ამისათვის საკმარისი დრო ჯერ კიდევ არ გასულა, ის მალე იმოქმედებს. თუ გაუმჯობესება ძალიან გვიანდება, ეს პაციენტის მხრივ რაიმე შეცდომით ან სხვა ხელშემშლელი გარემოებებითაა განპირობებული.

§ 256

მეორე მხრივ, თუკი პაციენტი ახალ მნიშვნელოვან უსიამოვნებებს ან სიმპტომებს აღნიშნავს – ეს იმის ნიშანია, რომ შერჩეული წამალი მკაცრად ჰომეოპათიური არ არის – მაშინაც კი, თუ პაციენტი კეთილგანწყობილად გვარწმუნებს, რომ თავს უკეთესად გრძნობს, რაც ხშირია ფილტვის აბსცესიან და ტუბერკულოზიან პაციენტებში, ამ რწმუნებებს არ უნდა ვენდოთ და მდგომარეობა უნდა განვიხილოთ როგორც გაუარესებული, რაც მალე სრულიად აშკარა გახდება.

§ 257

ჭეშმარიტი ექიმი იზრუნებს იმაზე, რომ უპირატესობა არ მიანიჭოს წამლისმიერ საშუალებებს, რომელთა გამო-

ყენებას, შესაძლოა შემთხვევით, ხშირად სასარგებლოდ მიიჩნეეს და ჰქონდა შემთხვევები, როცა მათმა გამოყენებამ კარგი შედეგები გამოიღო. ასე რომ მოიქცეს, მაშინ ის ჰომეოპათიური წამლები, რომლებიც შედარებით იშვიათად გამოიყენება, მაშინაც კი, როცა ჰომეოპათიურად უფრო შესაბამისი, ე.ი. უფრო სასარგებლოა, ხშირ შემთხვევაში გამოიყენებული არ იქნებოდა.

### § 258

ტემპარიტი პრაქტიკოსი ექიმი მით უფრო არ უგულველყოფს საეჭვო გადაუწყვეტელობით იმ საშუალებებს, რომლებიც შესაძლოა დროდადრო ცუდ შედეგებს იძლეოდნენ მცდარი შერჩევის (ანუ თავად ექიმის მიზეზით) გამო, არც სხვა (ცრუ) მიზეზებით თავს აარიდებს, თითქოსდა ისინი დაავადების მოცემული შემთხვევისათვის არაჰომეოპათიურები იყვნენ; მას უნდა ახსოვდეს ტემპარიტება, რომ დაავადების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უპირატესობა აქვს მხოლოდ ერთ წამლისმიერ საშუალებას, რომელიც ყველაზე უფრო ზუსტად შეესაბამება დამახასიათებელი სიმპტომების ერთობლიობას და არანაირი ცრურწმენა არ უნდა უშლიდეს ხელს ამ სერიოზულ არჩევანს.

### § 259

ჰომეოპათიური მკურნალობის დროს აუცილებელი და საკმარისი დოზების სიმცირის განხილვისას, იოლად მიეხვედებით, რომ მკურნალობის დროს დიეტიდან და რეჟიმიდან უნდა ამოვიღოთ ყველაფერი, რასაც რაიმენაირი წამლისმიერი მოქმედება გააჩნია, რათა წამლის ეს მცირე დოზა არ დაითრგუნოს და ნებისმიერი სხვა წამლისმიერი გამლიზინანებლით<sup>139</sup> მოსპოს.

139. შუალამის სიწყნარეში შორიდან მოსული ფლეიტის უნაზესი პანგები, რომლებსაც ნაზი გულების ამადლებული გრძნობებით ავსება და რელიგიურ ექსტაზში შეყვანა შეუძლიათ, სუსტდება და არ ისმის დისონირებად ყვირილსა და დღის ხმაურში.

§ 260

აქედან გამომდინარე, მკურნალობის ასეთი ხელშემშლელი მიზეზების საგულდაგულო გამოკვლევა ქრონიკული დაავადებების დროს გაცილებით უფრო აუცილებელია, რადგანაც ეს დაავადებები ჩვეულებრივ ისეთი დამღუპველი ზემოქმედებების და დაავადების გამომწვევი რეჟიმის და დიეტის სხვა დარღვევების გამო მწვავედაა, რომლებიც ხშირად შეუმჩნეველი რჩება<sup>140</sup>.

140. არ არის რეკომენდებული ყავა; მაგარი ჩინური და სხვა ბალახოვანი ჩაი; სამკურნალო მცენარეული ნივთიერებებისაგან მომზადებული ლუდი; წამლისმიერი დამატებებით მომზადებული ვერეთ წოდებული აღმზნები სასმელები; პინშის ყველა სახეობა; სანელებლებიანი შოკოლადი; არომატული წყლები და მრავალი სახის სუნები; სათავსოებში ძლიერსუნიანი ყვავილები; სამკურნალწამლო საშუალებებიდან მომზადებული კბილის პასტები, ესენციები და არომატული ნივთიერებები. ძალიან ცხარე საჭმელები და საწებლები; სანელებლებიანი ნამცხვრები და ნაყინები; ნედლი სახის სამკურნალწამლო მცენარეები სუპებისათვის; სამკურნალო თვისებების მქონე მცენარეებისაგან მომზადებული საკვები; სატაცური გრძელი, მწვანე დაბოლოებებით, სვია და წამლისმიერი თვისებების მქონე ყველა ბოსტნეული, ნიახური, ხახვი; ცხარე ყველი და დაშლის სტადიაში მყოფი ან წამლისმიერი თვისებების მქონე ხორცი (ღორის ხორცი და ქონი, იხვი და ბატი, ძალიან პატარა ხბოს ხორცი, მუავე პროდუქტები) პაციენტებისათვის უბრალოდ არარეკომენდირებულია, რადგანაც მათ კვებაში ყოველგვარ ზედმეტობას, შაქარსა და მარილს, ასევე განუზავებელი სპირტიანი სასმელების გამოყენებას თავი უნდა აარიდონ. არასასიკეთოდ

მოქმედებს ცხელ ოთახში ყოფნა, შაღის ქსოვილის ტარება უშუალოდ სხეულზე, ნაკლებადმოძრავი ცხოვრების წესი (დახურულ სათავსოებში) და ხშირი პასიური ვარჯიშები (ცხენით სიარული, ეტლის მართვა და საქანელაზე ქანაობა), ძუძუს ხანგრძლივი წოვა, სადილის შემდეგ ხანგრძლივი დასვენება წოდლის სახით, დამე ხანგრძლივი ჯდომა, უსუფთაობა, არაბუნებრივი ღორმუცელობა, უხამსი წიგნების კითხვით გამოწვეული მოღუენება დაწოლილი კითხვის დროს, ონანიზმი ან დაუსრულებელი ან ჩასახვის თავიდან აცილების მიზნით შეკავებული სექსუალური აქტი, ყველაფერი რაც რისხვას, დარდს ან გაღიზიანებას იწვევს, აზარტული თამაშით გატაცება, გონების ან სხეულის გადაძაბვა, განსაკუთრებით ჭამის შემდეგ, ჭაობიან ადგილებში ცხოვრება, ნესტიანი ოთახები, არსებობისათვის მწირი საშუალებები და ა.შ. რამდენადაც შესაძლებელია ყოველივე ამას უნდა თავი აეარიდოთ, რათა მკურნალობა არ გაძივდეს ან შეუძლებელი არ გახდეს. ზოგიერთი ჩემი მიმდევარი, მე მგონი, საჭიროების გარეშე უდმეტად ზღუდავს პაციენტების დიეტას, უშლის რა ბევრი საკმაოდ ნეიტრალური საკვების მიღებას, რაც რეკომენდებული არ არის.

§ 261

ქრონიკული დაავადებების დროს წამლების გამოყენებისას ყველაზე მისაღები რეჟიმი გაჯანსაღებისკენ ასეთი წინააღმდეგობების მოცილებას და როცა ეს საჭიროა საწინააღმდეგოს უზრუნველყოფას: უწყინარ სულიერ და ინტელექტურ გართობას, აქტიურ ვარჯიშებ სუფთა ჰაერზე, ყოველდღიური გასეირნებას ნებისმიერ ამინდში, მსუბუქ ფიზიკურ შრომას, შესაფერის, ნოყიერ, არაწამლისმიერ საკვებს და სასმელს და ა.შ. გულისხმობს.

§ 262

მეორე მხრივ, მწვავე დაავადებებისას (ფსიქიკური დაღვევების შემთხვევების გამოკლებით) სიცოცხლის

შენარჩუნების უნარის გამოღვიძებული, გამახვილებული, უშეცდომო შინაგანი გრძნობა ნათლად და ზუსტად განსაზღვრავს რაც მას სჭირდება, ამიტომ ექიმმა მის მეგობრებსა და მომვლელებს მხოლოდ უნდა ურჩიოს, არ შეეწინააღმდეგონ ბუნების ამ ხმას, თავისი უარით იმ საკვებზე, რაც პაციენტს ძალიან უნდა ან რაიმე მისთვის მავნე საკვების მიღების დაყოლიების მცდელობაზე.

## § 263

მწვავე დაავადებით შეპყრობილი პაციენტის სურვილი საკვების და სასმელის მიმართ უდავოდ იმისკენაა მიმართული, რასაც მდგომარეობის შემსუბუქება მოაქვს; თუმცა, მკაცრად რომ ვიმსჯელოთ, საკვებ პროდუქტებს სამკურნალო თვისებები არა აქვთ და უბრალოდ ავსებენ იმას, რაც პაციენტს აკლია. ამ სურვილების გონიერების საზღვრებში შესრულების შედეგად წარმოქმნილი დაავადების რადიკალური მოსპობის მსუბუქი წინააღმდეგობები<sup>141</sup>, სრულიად დაითრგუნება და განეიტრალდება ჰომეოპათიურად შესაფერისი წამლისა და მის მიერ გათავისუფლებული სასიცოცხლო ძალის მიერ, ასევე ძალების აღდგენის შედეგად, რაც იმის მიღებას მოჰყვება რისკენაც პაციენტი ასე დაჟინებით ისწრაფვის. ასევე, მწვავე დაავადებების დროს ოთახის ტემპერატურა და ქვეშაგების თვისებები ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს პაციენტის სურვილს. ის თავისუფალი უნდა იყოს გონების ყოველნაირი გადაძაბვისა და აღმგზნები ემოციებისაგან.

141. თუმცა ეს იშვიათია. მაგ. ანთებითი დაავადებებისას, როცა აკონიტი ასე აუცილებელია, მისი მოქმედება შესაძლოა დაირღვეს საკვებში არსებული მცენარეული მკვებებით, ავადმყოფის სურვილი ყოველთვის უნდა შემოვფარგლოთ მხოლოდ ცივი სასმელი წყლით.

## § 264

ჭეშმარიტი ექიმი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეუსუსტებელი ძალის ჭეშმარიტად მაღალხარისხიანი წამლებით, რათა მათ თერაპიულ ძალას დაეყრდნოს; ის მათ ხარისხში სრულიად დარწმუნებული უნდა იყოს.

## § 265

მისთვის სინდისის საქმეა, ყოველთვის სრულიად დარწმუნებული იყოს, რომ პაციენტი მაღალხარისხიან წამალს იღებს და ამიტომ მოვალეა პაციენტს სწორად შერჩეული და მომზადებული წამალი მისცეს, უფრო მეტიც, წამალი თავად მან უნდა მოამზადოს.

## § 266

ცხოველური და მცენარეული ნივთიერებები, თავის თვისებებს ყველაზე უკეთესად ნედლი სახით ავლენენ<sup>142</sup>.

142. ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ყოველ ნივთიერებას ნედლი სახით მეტად თუ ნაკლებად წამლის თვისებები აქვს და ადამიანის ჯანმრთელობაზე თითოეულს თავისებურად შეუძლია იმოქმედოს. ყველაზე უფრო განათლებული ხალხების მიერ საკვებად გამოყენებულ მცენარეულ და ცხოველურ ნივთიერებებს სხვებთან შედარებით ის უპირატესობა აქვთ, რომ დიდი რაოდენობით ყუათიან შემადგენლებს შეიცავენ და სხვებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ნედლ მდგომარეობაში მათი სამკურნალწამლო ძალა ან არც ისე ძლიერია, ან მცირდება კულინარიული დამუშავებისას, რომელსაც ისინი ექვემდებარებიან სახლში, გამოყენების წინ მომზადებისას: მანვე წველების გამოწურვა (როგორც სამხრეთამერიკული მანიოკის ფესვი), დუღილი (ჭვავის ფქვილი პურის ცომში, ძმრის გარეშე დამზადებული კომბოსტოს მწნილი და პიკულის მარინადი), შებოლება და თერმული დამუშავება (დუ-

დული, მოხარშვა, ჩაშუშვა, პურის გახუხვა, შეწვა, გამოცხო-  
ბა) რის შედეგად ამ ნივთიერების მკურნავი შემადგენლები  
ნაწილობრივ იშლება და იკარგება. მარილის (მარინირება)  
და ძმრის (სოუსები, სალათები) დამატებისას ცხოველური და  
მცენარეული პროდუქტები მრავალ სამკურნალო თვისებას  
კარგავენ, მაგრამ, მეორე მხრივ, სხვა ნაკლოვანებები უნდუ-  
ბათ.

მაგრამ ის მცენარეებიც კი, რომლებსაც სამკურნა-  
ლო თვისებები აქვთ, ასეთი პროცესების შემოქმედებთ მათ  
ნაწილობრივ ან მთლიანად კარგავენ. სხვადასხვა სახეობის  
ზამბახი, პირშუშხა, აგრეთვე ნიუკასა და იორდასალამის ფეს-  
ვები გამოშრობის შედეგად თითქმის ყველა სამკურნალწამ-  
ლო თვისებას კარგავენ. ყველაზე საშიში მცენარეების წვენი  
ხშირად ინერტულ ფისისმაგვარი მასად იქცევა ჩვეულებრივი  
ექსტრაქტების მოსამზადებლად გამოყენებული სითბოს შე-  
მოქმედებით. ყველაზე უფრო სასიკედილო მცენარეებიდან  
გამოწურული წვენიც კი ძალიან სუსტდება, თუკი მას ღიდი  
ხნის განმავლობაში შეეინახავთ; ზომიერი ტემპერატურის  
დროსაც კი, მასში დუღილი იწყება და ამიტომ, მისი წამლის-  
მიერი თვისებები იკარგება, რის შემდეგ დაუყოვნებლივ იწყება  
ძმრის და ლპობითი დუღილი, რომლის შედეგად ის ყველა  
თავის სპეციფიკურ წამლისმიერ თვისებას მთლიანად კარგავენ;  
წარმოქმნილი ნალექი, თუკი მცენარე კარგად იყო გარეცხილი,  
სრულიად უსაფრთხოა, როგორც ჩვეულებრივი სახამებელი.  
გარკვეული რაოდენობის ერთმანეთზე დაწყობილი მწვანე  
მცენარეების წვის (ჩახურება-ჩახუთვა) შედეგად, მათი სამკურ-  
ნალწამლო თვისებები მნიშვნელოვნად მცირდება.

§ 267

ყველაზე სრულყოფილი და სანდო მეთოდით ადგილ-  
ობრივი და ისეთი მცენარების წამლისმიერ ძალას ვეუფლე-  
ბით, რომელთა შოვნაც ნედლი სახით შეგვიძლია: ახალ-  
გამოწურული წვენი დაუყოვნებლივ ერევა იმავე რაოდენო-  
ბის ისეთ ღვინის სპირტში, რომელსაც შეუძლია ლამპაში  
დაიწვას. როცა კარგად დახურულ ბოთლში, ერთი დღე



ღამის დაყოვნების შემდეგ, წებოვანი და ცილოვანი ნივთიერებებისაგან ნალექი წარმოიშობა, გამჭვირვალე სითხე წამლად გამოსაყენებლად ნალექიდან უნდა გავაცალკევოთ (გადმოვღვაროთ)<sup>143</sup>. ღვინის სპირტი თავიდან გვაცილებს მცენარეული წვენი ყოველგვარ დუღილს და ამგვარად მცენარეული წვენი მთელი სამკურნალწამლო ძალა სამუდამოდ შენარსუნდება (როცა კარგადაა მომზადებული და გაფუჭებული არ არის), თუკი პრეპარატს საცობით კარგად დახურულ და სურგუნდასხმულ ბოთლებში შევინახავთ, რათა თავიდან ავიცილოთ აორთქლება; და მოვარიდოთ მზის შუქს<sup>144</sup>.

143. ბუხჰოლცი (*Taschenb. f. Scheidek. da Apoth. a.d.J. Weimar. 1815, vols.I.VI*), თავის მკითხველებს არწმუნებს (და მისი ინტერვიუერი <<Leipziger Literaturzeitung-Si, 1816, N 82 ეთანხმება მას), რომ ამ საუკუნო მეთოდისთვის რუსეთის კამპანიის მადლიერნი უნდა ვიყოთ, საიდანაც ის (1812 წელს) გერმანიაში იქნა იმპორტირებული. მრავალი გერმანელის „კუთილშობილი“ სვეულებისამებრ, რომ უსამართლონი იყვნენ თავისი თანამემამულეების მიმართ, ის მაღავეს ფაქტს, რომ ეს აღმოჩენა და რეკომენდაციები, რომელსაც ციტირებას ზუსტად თითქოს ჩემი სიტყვებით უკეთებს <<Organon of Rational Medicine>> (§ 230 და შენიშვნა) პირველი გამოცემიდან და რომ საზოგადოებისათვის პირველმა მე გამოვაქვეყნე ის რუსეთში კამპანიაზე ორი წლით ადრე (<<Organon>> გამოქვეყნდა 1810 წელს). O tempora! o mores! ზოგიერთი ადამიანი ამ აღმოჩენას აზიის უდაბნოს მკვიდრს, უფრო ადრე მიაწერდა ვიდრე გერმანელს, რომელსაც ეს პატივი ეკუთვნის. სპირტს რა თქმა უნდა ზოგჯერ მანამდეც ურეკდნენ მცენარეულ წვენებს, მაგ. რაღაც დროით მათ შესანახად, სანამ მათგან ექსტრაქტებს მოამზადებდნენ, მაგრამ პაციენტებისათვის ასეთი სახით დასანიშნად – არასოდეს.

144. თუმცა სპირტისა და ახალგამოწურული წვენი თანაბარი რაოდენობა სვეულებრივ ეველაზე მისაღები პროპორციაა, რათა ხელი შეუწყოს წებოვანი და ცილოვანი ნივთიერებების დაღეჭვას, მიუხედავად ამისა, სქელი მცენარეული ლორწოს შემცველი მცენარეები (მაგალითად, *Symphytum officinale*, *Viola tricolor* და ა.შ.) ან ჭარბი ცილების შემცველი მცენარეები (მაგ.

*acthusa synapium, solanum nigrum* და ა.შ.) ჩვეულებრივ სპირტის ორმაგ ულუფას მოითხოვენ.

მცენარეები, რომლებიც წვენების სახით ძალიან სასარგებლოა, როგორცაა *oleander, buxus, taxus, ledum, sabina* და ა.შ., ჯერ უნდა დაეაქუცმაცოთ და ნელ ერთგეაროვან მასად ვაქციოთ და შემდეგ შევურიოთ ორმაგი რაოდენობის სპირტს, რათა წენი შეუერთდეს მას და იმის შემდეგ, რაც ამგვარად სპირტით ექსტრაგირდება, ის შესაძლოა გამოვწუროთ; დარჩენილი მასა გაშრობის შემდეგ შეიძლება სრესით რძის შაქართან ერთად ფხენილად ვაქციოთ, ხოლო შემდგომ გაეხსნათ და დაეაპოტენციროთ (§ 271).

## § 268

სხვა, უცხო ქვეყნების მცენარეებს (ქერქი, თესლი და ფესვები), რომელთა შოვნა ნელლი სახით შეუძლებელია, საღად მოაზროვნე ექიმი არასოდეს არ აიღებს მინდობილად ფხენილის სახით, არამედ სანამ მათ სამკურნალო საშუალებად<sup>145</sup> გამოიყენებს, ჯერ მათი მიღების წყაროებში დარწმუნდება, რომ ისინი ჭეშმარიტად გადაუმუშავებელ და სრულყოფილ მდგომარეობაშია.

145. მათი ფხენილის სახით შესანახად აუცილებელია სიფრთხილე, რასაც ფარმაცევტები აქამდე, ჩვეულებრივ, ყურადღებას არ აქცევდნენ და ამიტომ ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ფხენილები დაუზიანებლად კარგად დახურულ ბოთლებშიც კი არ ინახებოდა. დაუმუშავებელი მცენარეული ნივთიერებები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სრულიად მშრალია, როგორც მათი ტექსტურის შეჭიდების აუცილებელ პირობას, წელის გარკვეულ რაოდენობას მაინც შეიცავს, რომლის გამოც წამალი რომელიც ფხენილად ჯერ არ გადაქცეულა, არ შეიძლება იმდენად მშრალი იყოს, რაც მის გაფუჭებას თავიდან აგვაცილებს, მაგრამ რომელიც ძალიან ბევრია ფხენილის მდგომარეობისათვის. მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნივთიერება, რომელიც მის ბუნებრივ მდგომარეობაში სრულად იქნა გამომშრალი, თუკი მას წმინ-

დად გაეხეხავთ, ნესტიან ფხენილად გადაიქცევა, რომელიც გაუფუჭებლად და დაუობებლად დახურულ ბოთლებში ჯერ კიდევ ვერ შეინახება, თუკი ჭარბი ნესტისაგან წინასწარ არ იქნა განთავისუფლებული. ეს ყველაზე უკეთესად შესაძლოა გაეაკეთოს, თუკი ფხენილს გადაწეულ კიდებიან თხელი თუნუქის თევშზე დავერით, რომელიც მლუღარე წყლით საესე ჭურჭელში (ანუ წელის აბა'ხანაში) ცურავს და მორევით იმ დონემდე გაეაშრობთ, რომ მისი ყველა ნაწილაკი (ერთმანეთზე გუნდად არ უნდა იყვნენ შეწყებულნი) წერილი ქვიშასაგით ერთმანეთს იოლად შორდებოდეს და სწრაფად გადაიქცეს წმინდა ფხენილად. ასეთ მშრალ მდგომარეობაში წმინდა ფხენილები შესაძლოა განუსაზღვრელი დროით შევიჩახოთ დაუზიანებლად, კარგად დახურულ და დაბეჭდილ ბოთლებში. ყველა თავისი საწყისი სამკურნალო თვისების შენარჩუნებით და არ გექონდეს შიში, რომ ისინი მწერების ან ობისგან დაზიანდება; ისინი ყველაზე უკეთესად ინახება დღის სინათლისაგან დაცულ ადგილას (დახურულ კონტეინერებში, ყუთებში, კოლოფებში). ყველა მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნივთიერება, თუ მათ არაპერმეტულ ჭურჭელში შევიჩახოთ და დღის სინათლისაგან არ დავიცავთ, დროთა განმავლობაში თავის წამლისმიერ თვისებებს თანდათან სულ უფრო კარგავს, საწყის მდგომარეობაშიც კი და უფრო მეტად, როცა ის ფხენილის სახითაა.

## § 269

სპეციალური გამოყენებისათვის ჰომეოპათიამ თავისი მეთოდის საშუალებით, რომელიც ჯერ გამოყენებული არასოდეს არ ყოფილა, დაუმუშავებელი ნივთიერებების შინაგანი წამლისმიერი ძალა აქამდე გაუგონარ დონემდე განავითარა, რის შედეგაც ყველა მათგანი ძლიერმოქმედი სამკურნალო თვისებების ხდება<sup>146</sup>, ისინიც კი, რომლებიც დაუმუშავებელი სახით ადამიანის სხეულზე წამლის მსგავს მსუბუქ ზემოქმედების ნიშნებსაც კი არ ავლენენ.

ბუნებრივი ნივთიერებების თვისებათა ამ შესანიშნავმა ცვლილებებმა ფარული, აქამდე უჩინარი, თითქოს მთვ-

ლემარე<sup>147</sup>. დაფარული დინამიკური (§11) ძალა განავითარა, რომელიც სასიცოცხლო პრინციპზე მოქმედებს და ცოცხალი არსების არსებობას<sup>148</sup> ცვლის. ეს უმცირეს ნაწილაკებზე მექანიკური ზემოქმედებით, ხასუნით, ნჯღრევით მიიღწევა, რომლებიც შემდგომში რომელიმე ნეიტრალური ნივთიერების დამატებით, მშრალი ან თხიერი სახით, ერთმანეთისაგან განცალკევდებიან. ამ პროცესს დინამიზაცია, პოტენცირება (წამლისმიერი ძალის განვითარება) ეწოდება, ხოლო პროდუქტებს – დინამიზაციები<sup>149</sup> ან სხვადასხვა ხარისხის პოტენციები.

146. *ნემს აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე, ცდამ გეაჩვენა, რომ სხვადასხვა ბუნებრივ ნივთიერებაში ხახუნმა შესაძლოა გარკვეული ცვლილებები, მაგალითად, ცეცხლის მოპოვება, სითბოს, სიცხის, სუნის გამოყოფა იმ ნივთიერებებიდან, რომლებსაც ჩვეულებრივ, სუნი არა აქვთ, ფოლადის დამაგნიტება და ა.შ. გამოიწვიოს. მაგრამ ხახუნით გამოწვეული ყველა თვისება, მხოლოდ ფიზიკურ უსულო საგნებს მიეკუთვნებოდა, მაშინ როცა ეს ბუნების კანონია, რომლის შესაბამისად სხეულში ამ ძალებით გამოწვეული ფიზიოლოგიური და პათოგენური ცვლილებები ხდება, რომლებსაც წამლის უხეში ნივთიერების, ისეთებისაც კი, რომლებიც ადრე არანაირ წამლისმიერ თვისებებს არ ავლენდნენ, შეცვლის უნარი აქვთ. ეს ფხენილად ქცევის, სრესისა და შენჯღრევის გზით მიიღწევა, მაგრამ ნეიტრალური ნივთიერების გარკვეული შეფარდების პირობში. ბუნების ეს საკვირველი ფიზიკური და განსაკუთრებით ფიზიოლოგიური და პათოგენური კანონი ჩემამდე აღმოჩენილი არ ყოფილა. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ თანამედროვე სტუდენტები – ბუნებისმეტყველნი და ექიმები (აქამდე გაუთვითცნობიერებელნი) ვერ იჯერებენ პომეოპათიის წესების (დინამიზირებული) შესაბამისად მომზადებულ წამალთა მცირე დოზების მაგიურ სამკურნალო ძალას.*

147. *იმავეს ვნახულობთ რკინის ან ფოლადის ნაჭერში, რომლებშიც დაფარული მაგნიტური ძალის ნიშნების ამოცნობა თითქმის შეუძლებელია. სიმაღლეზე დაყენებული ორივე ნაჭერი ქვედა ბოლოთი განიზიდავს მაგნიტური ისრის ჩრდილოეთ და იზიდავს სამხრეთ პოლუსს, იმ დროს, როცა ზემო ნაწილი*

თავს ავლენს როგორც მაგნიტური ისრის სამხრეთი პოლუსი. მაგრამ ეს მხოლოდ დაფარული ძალაა: თუჯის უმცირესი ნაწილაკებიც კი არ შეიძლება მიზიდული იქნეს მაგნიტის საშუალებით და მიმაგრდეს ღეროს ნებისმიერ ბოლოზე.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ღერო დინამიზდება ბლაგვი ქლიბის ერთი მიმართულებით ხახუნის საშუალებით, ის მართლაც აქტიურ, ძლიერ მაგნიტად იქცევა, რკინის და ფოლადის მიზიდვის, აგრეთვე უბრალო შესვრებით ან გარკვეულ მანძილზეც კი სხვა ფოლადის ღეროზე მაგნიტური თვისებების გადაცემის მით უფრო მეტი უნარით, რაც უფრო ხანგრძლივი იქნება ხახუნი. ზუსტად ასე, სამკურნალწამლო ნივთიერების სრესით და მისი ხსნარის შენჯღრევით (დინამიზაცია, პოტენცირება) მასში დაფარული წამლისმიერი ძალა ვითარდება და უფრო მეტად და მეტად ელინდება, ან თუ შეიძლება ითქვას, გაასულიერებს თვით მატერიალურ ნივთიერებას.

148. რაც შეეხება ამას, ეს მხოლოდ მათი ადამიანებისა და ცხოველების ჯანმრთელობაში ცვლილებების გამოწვევის უნარის ინტენსიურ განვითარებას შეეხება, თუკი ეს ბუნებრივი ნივთიერებები ასეთი გაუმჯობესებული სახით ძალიან ახლოს მიგვაქვს (ვოცხად, მგრძობიარე ქსოვილთან ან ეხება მათ (შიგნით მიღების ან ჩასუნთქვის შედეგად). ზუსტად ისე, როგორც მაგნიტის ღეროს, განსაკუთრებით თუ მისი მაგნიტური თვისებები გაზრდილია (დინამიზირებულია), მაგნიტური ძალის გამოვლენა მხოლოდ ფოლადის ისრის მიმართ შეუძლია, რომლის პოლუსიც ახლოსაა ან ეხება მას. თვითონ ფოლადი თავისი დანარჩენი ქიმიური და ფიზიკური თვისებებით უცვლელი რჩება და სხვა ლითონებში (მაგალითად თითბურში) არანაირ ცვლილებებს არ იწვევს, ზუსტად ისე, როგორც დინამიზებულ წამლებს არ შეუძლიათ იმოქმედონ უსულო საგნებზე.

149. ყოველდღე ვეხსმის, როგორ უწოდებენ პოპოლათიურ წამლისმიერ პოტენციებს უბრალო ხსნარებს, იმ დროს, როცა ისინი სრულიად საწინააღმდეგოდ, სახელდობრ, ბუნებრივ ნივთიერებებში დამალული და ხახუნითა და შენჯღრევით გამოწვეული წამლისმიერი ძალის გამოვლენ და მანუენებელ ჭეშმარიტ აღმოსუნად გვევლინებიან. არსებული არაწამლისმიერი მეთოდისადმი დახმარება - განზავება - მხოლოდ მეორეული პირობაა.

ჩვეულებრივი ხსნარი, მაგალითად, მარილის ნამცეცის ხსნარი წყლად იქცევა, ნამცეცი მარილი დიდი რაოდენობის

წყალში გაქრება და წამლისმიერ (პომეოპათიურ) მარილად არასოდეს არ გადაიქცევა, მაშინ როცა კარგად სატარებელი დინამიზაციის საშუალებით შეუძლია გასაოცარ ძალას მიაღწიოს.

§ 270

იმისათვის, რომ ძალის ამ განვითარებას ადვილად მივალწიოთ, ნივთიერების მცირე რაოდენობა დინამიზირებული უნდა იქნეს. მაგალითად მისი ერთი გრანი სამჯერ იხრისება სამი საათის განმავლობაში ას გრან რძის შაქარში ქვემოთ აღწერილი მეთოდის მიხედვით<sup>150</sup>. ვიდრე არ მიაღწევს ფხვნილის ერთ მემილიონედ ნაწილს. ქვემოთ მოყვანილი მიზეზების გამო, ფხვნილის ერთი გრანი იხსნება 500 წვეთ ნარევში, რომელშიც ერთი წილი სპირტი და ოთხი წილი გამოხდილი წყალია, რომლის ერთი წვეთი თავსდება ფლაკონში, მას ემატება სუფთა სპირტის 100 წვეთი<sup>151</sup> და ფლაკონს ხელით ასჯერ მაგრად შევანჯღრევთ მაგარ, მაგრამ ელასტიკურ ზედაპირზე<sup>152</sup> დარტყმით. ეს არის წამალი დინამიზაციის პირველი ხარისხით. შემდეგ შაქრის<sup>153</sup> პატარა მარცვლები ამ ხსნარით უნდა დაეასველოთ<sup>154</sup> და გასაშრობად სწრაფად განვათავსოთ საშრობ ქაღალდზე, ვინახავთ კარგად დახშულ ფლაკონში, რომელსაც ექნება წარწერა (I) – პირველი ხარისხის პოტენცირება. შემდგომი დინამიზაციისათვის აქედან ვიღებთ მხოლოდ ერთ ბურთულას<sup>155</sup>, ვათავსებთ მეორე ახალ ფლაკონში (ერთ წვეთ წყალთან რათა გავხსნათ ის) და ის იმავენაირად დინამიზირდება 100 წვეთ მაგარ სპირტთან ერთად 100 ძლიერი შემჯღრევით.

ამ წამლის სპირტხსნარით ბურთულებს კვლავ ვასველებთ, ვათავსებთ საშრობ ქაღალდზე და სწრაფად ვაშრობთ, ვათავსებთ კარგად დახშულ და სითბოსა და მზის სინათლისგან დაცულ ფლაკონში აღნიშვნით (II) – მეორე ხარისხის პოტენცირება. ასე ვაგრძელებთ სანამ არ

მივადწევთ ოცდამეცხრე ხარისხის პოტენცირებას. შემდგომ 100 წვეთ სპირტთან 100-ჯერ შენჯღრევით ვამზადებთ წამლის სპირტგხსნარს, რითაც შესაბამისი სახით დასველებულ და გამშრალ შაქრის ბურთულებს ოცდამეათე ხარისხის დინამიზაციას ვანიჭებთ.

დაუმუშავებელი წამლებიდან, ასეთი პროცედურების საშუალებით იქმნება პრეპარატები, რომლებიც მხოლოდ ამ სახით აღწევენ ავადმყოფი ორგანიზმის დაზიანებულ ნაწილებზე ძლიერი ზემოქმედების უნარს. ამავგარად ხელოვნური მსგავსი დაზიანების გზით სასიცოცხლო პროცესზე ბუნებრივი დაავადების ზემოქმედება ნეიტრალიზდება. ეს მექანიკური პროცედურა, თუ ის ზემოთ აღწერილი რეკომენდაციების მიხედვით რეგულარულად მეორდება, დასანიშნ წამალში, რომელიც დაუმუშავებელი სახით მხოლოდ მასალა, დროდადრო კი საერთოდ არაწამლისმიერი ნივთიერებაა, მის (დასანიშნი წამლის) ცვლილებებს იწვევს. ასეთი, სულ უფრო და უფრო მაღალი ხარისხის დინამიზაციის მეშვეობით ის იწმინდება და საბოლოოდ სულიერ<sup>156</sup> წამლისმიერ ძალას იძენს, რომელსაც, მართალია თავისთავად გრძნობათა ორგანოებით ვერ აღვიქვამთ, მაგრამ რომლისთვისაც წამლად მომზადებული ბურთულა, მშრალად და მით უფრო წყალში განზავებული, ავადმყოფ ორგანიზმზე მოქმედი ამ უხილავი ძალის მატარებელი ხდება და სამკურნალო თვისებებს ავლენს.

150. ასი გრანი რძის შაქრის ერთი მესამედი მოვათავსოთ მოჭიქურეებელ ფაიფურის როდინში, რომლის ძირიც წინასწარ გაეხეხოს წვრილი ნესტიანი ქვიშით. ამ ფხენილის ზემოდან მოვათავსოთ დაქუცმაცებული წამლის ერთი გრანი ფხენილი (ერთი წვეთი ვერცხლისწყალი, ნავთობი და ა.შ.). დინამიზაციისათვის საჭიროა განსაკუთრებით მაღალხარისხიანი, გრძელი ღეროების ფორმის მქონე რძის შაქარი, რომელსაც არა ექნება კრისტალიზაციის უნარი. წამალს და ფხენილს სწრაფად ვურევთ ფაიფურის პატარა ნიჩბით-ფილთაქვით და საკმაოდ

კლიერ ვსრესავთ ბლაგვი მხრიდან 6-7 წუთი, შემდეგ მიღებულ მასას ვფხეკავთ როდინის ძირიდან 3-4 წუთის განმავლობაში, რათა ის ერთგეაროვნად ვაქციოთ. შემდეგ ამ მასას ვსრესავთ 6-7 წუთი იმავენაირად, ახალი მასის დამატების გარეშე და ხელმეორედ ვფხეკავთ 3-4 წუთი იმას, რაც შერსა როდინს და ფილთაქვას. ახლა საჭიროა დავემატოთ რძის შაქრის მეორე მესამედი, მოუურიოთ პატარა ნინბით და ხელმეორედ ვსრისოთ 6-7 წუთი, შემდგომ ჩამოფხიკოთ 3-4 წუთი და ვსრისოთ, ისე რომ არაფერი არ დაემატოთ 6-7 წუთი. შემდეგ დაემატოთ რძის შაქრის ბოლო მესამედი, მოუურიოთ პატარა ნინბით და ვსრისოთ როგორც ადრე 6-7 წუთი, შემდეგ ყველაფერი საგულდაგულოდ ჩამოფხიკოთ. ამ სახით მომზადებული ფხენილი თავსდება კარგად დახურულ საცობიან ფლაკონში, პირდაპირი მზის სხივებისაგან დაცულ ადგილას პირველი პროდუქტის სახელით და აღნიშვნით 1/100. 1/100 00 პროდუქტის მისაღებად 1/100 ფხენილის ერთი გრანი უნდა შევეურიოთ რძის შაქრის 100 გრანის ერთ მესამედში და ყველაფერი გავიმეოროთ ისევე ისე, როგორც ადრე, ყოველი მესამედი უნდა საგულდაგულოდ მოუურიოთ ორჯერ, თითოეულს 6-7 წუთი და ვფხიკოთ 3-4 წუთი, სანამ დაემატებთ რძის შაქრის მეორე და მესამე მესამედს. ყოველი მესამედის დამატების შემდგომ იგივე პროცედურა ტარდება. როცა ეს ყველაფერი დამთავრდება, ფხენილი თავსდება კარგად დახურულ ფლაკონში და უკეთდება წარწერა 1/10 00. ამ ბოლო ფხენილიდან იგივე წესით (იხ. ზემოთ) შეგვიძლია საწყისი ნივთიერების 1/1000000 განზავების მომზადება. შესაბამისად, ამ სამი ხარისხის ნასრესის მისაღებად საჭიროა ექვსჯერ 6-7 წუთი სრესვისათვის და ექვსჯერ 3-4 წუთი ჩამოფხეკისთვის, ანუ ერთი საათი თითოეული ხარისხისთვის. ერთი ასეთი პირველი ხარისხის ნასრესის მიღების შემდეგ თითოეული გრანი შეიცავს საწყისი ნივთიერების 1/100; მეორე ხარისხის - 1/100 00; მესამე ხარისხის - 1/100 00 00. როდინი, ქვიშა და პატარა ნინაბი უნდა გაიწმინდოს მათ გამოყენებამდე სხვა წამლის მომზადების წინ. ჯერ ფინჯანი, ქვიშა და პატარა ნინაბი თბილი წყლით უნდა გაერეცხოთ და გაეაშროთ, შემდეგ ვადულოთ ნახევარი საათი. ჭურჭელი იმდენად სუფთა

\* მშრალი ფხენილის ეს სამი ხარისხის ნასრესი, თუკი ის სწორად იქნება შესრულებული, სამკურნალწამლო პრეპარატის შემდგომი დინამიზაციისათვის კარგი დასაწყისი იქნება. (მთარგმნელის შენიშვნა)



უნდა იყოს, რომ რეკომენდებულია მათი ცეცხლზე გამოწვა.

151. პოტენციურებისათვის გამოყენებული ფლაკონი უნდა შეივსოს ორ მესამედზე.

152. შესაძლოა ტყავისუდიან წიგნზე.

153. ისინი მზადდებიან კონდიტურის მეთვალყურეობით სახამებლისგან და შაქრისგან, რათა საცრიდან ჩამოცვენილი მტერის ნაწილაკები ავიცილოთ. შემდგომ ისინი ფილტრში ტარდება, რომელიც ისეთ მარცვლებს ატარებს, რომელთა 100 მარცვლის წონა ერთი გრანია - ექიმი ჰომეოპათისათვის ყველაზე მისაღები ზომა.

154. მცირე ზომის სათითის ფორმის, ცილინდრული, მინის, ფაიფურის ან ვერცხლის ჯურჯელი, ფსკერზე პატარა ნახვრეტებით, რომლებშიც წამლის მოსამზადებელი ბურთულები თავსდება. ისინი სველდება წამლის დინამიზებული სპირტსნარის მცირე რაოდენობაში, აირევა და გადმოიყრება საშრობ ქაღალდზე რათა მათი გაშრობა რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს.

155. აღრეული რეკომენდაციების მიხედვით პოტენციურების უფრო მაღალი ხარისხის მისაღებად სითხის ერთი წვეთი უნდა აგველო. მაგრამ, გასახსნელი საშუალებისა და იმ ნივთიერების, რომელიც უნდა იქნეს პოტენციურებული, ეს შეფარდება (100:1), როგორც დადგინდა, სპეციალურად გამოყენებული დიდი ძალის გარეშე ასეთი შენჯღღრევების გზით, წამლის ძალის მაღალი ხარისხის განსავეითარებლად არასაკმარისი აღმოჩნდა, რაშიც მომქანცველმა ექსპერიმენტებმა დამარწმუნა.

მაგრამ თუ ერთი გრანის საერთო წონის 100 ბურთულიდან, ავიღებთ მხოლოდ ერთს და 100 წვეთ სპირტთან ჩავეტარებთ დინამიზაციას, შესაძლოა მივიღოთ 1:50 000-თან და მეტი შეფარდება, თუმცა 500 ასეთ ბურთულას გაუჭირდება მათ გასაჯერებლად ერთი წვეთის აბსორბირება. წამლის და გამხსნელის ამ არაპროპორციულად მაღალი შეფარდებისას, ორ მესამედამდე სპირტით შევსებული ფლაკონის მრავალჯერადი თანამიმდევრული დარტყმის საშუალებით, შესაძლოა წამლისმიერი ძალის ძლიერი ზრდა გამოვიწვიოთ. ხოლო გამხსნელის და წამლის ისეთი მცირე შეფარდებისას, როგორც 100:1, თუკი მათ მძლავრი მანქანით მრავალჯერადად შევანჯღღრევთ, მივიღებთ წამალს, რომელიც განსაკუთრებით კი მაღალგანზავებული, თითქმის დაუყოვნებლივ მოქმედებს, მაგრამ უდიდესი, თითქმის საშიში ძალით, განსაკუთრებით კი

დასუსტებულ პაციენტებზე, რადგან არ იწვევს სასიცოცხლო პრინციპის ნაზ და ხანგრძლივ რეაქციას. ჩემს მიერ აღწერილი მეთოდი კი პირიქით, საშუალებას გვაძლევს მივიღოთ უაღრესად განვითარებული ძაღლის, მაგრამ ძალიან ნაზად მოქმედი წამლები, რომლებიც, სწორი შერჩევისას განმკურნავად მოქმედებენ ორგანიზმის ყველა დაზიანებულ ნაწილზე. ამ გაუმჯობესებული გზით მომზადებული პრეპარატების (ხანგრძლივი მოქმედების პრეპარატებიც, მაგალითად ბელადონა) ყველაზე დაბალი ხარისხის დინამიზაციის მცირე დოზები, მწვევე ცხელების დროს შესაძლოა განმეორებით დაინიშნოს ხანმოკლე ინტერვალებითაც კი. ქრონიკული დაავადებების მკურნალობის დროს უმჯობესია დაეიწყოთ დინამიზაციის ყველაზე დაბალი ხარისხებიდან და თუ აუცილებელია, უფრო მაღალ, მაგრამ ნაზად მოქმედ ხარისხებზე გადავიდეთ.

156. ეს მტკიცებულებები დაუჯერებლად არ მოგვეჩვენება, თუ გაითვალისწინებთ, რომ დინამიზაციის ამ მეთოდის საშუალებით (ამ მეთოდით მომზადებული პრეპარატები, როგორც აღმოვაჩინე მრავალრიცხოვანი მომქანცველი ექსპერიმენტების და გამოცდების შედეგად, ძალიან ძლიერი და ამავე დროს ძალიან ნაზი მოქმედებისა) წამლის მატერიალური ნაწილი თითოეული ხარისხით დინამიზაციის შემდეგ 50 000ჯერ მცირდება და მაინც მისი ძალა განუზომლად იზრდება, ისე რომ შემდგომი  $125 \times 10^2$  განზავებისას დინამიზაციის მხოლოდ მესამე ხარისხი მიიღწევა. ასეთი პროგრესირებადი მეთოდით მომზადებული დინამიზაციის ოცდამეტაე ხარისხი იქნება ციფრი, რომლის გამოხატეაც თითქმის შეუძლებელია. სრულიად ნათელია ხდება, რომ ასეთი დინამიზაციით (შინაგანი არსის ჭეშმარიტი განვითარება) მატერიალური ნაწილი მის ინდივიდუალურ, სულიერ (გონებაჭვრეტით) არსში სრულიად იხსნება. ამიტომ თავისი დაუმუშავებელი სახით წამლის ნივთიერება

\* ძალიან იშვიად ჯანმრთელობის თითქმის მთლიანად აღდგენის მიუხედავად და სასიცოცხლო ძაღლის კარგი მდგომარეობის დროს, თუკი ძველი შემაწუხებელი ადგილობრივი დარღვევები რჩება, არამარტო ნებადართული, არამედ გადაჭრით რეკომენდებულიც კია ხელით მრავალი შენჯღრევით ძალიან მაღალ ხარისხში პოტენცირებული კომეოპათიური საშუალების, რომელიც სასარგებლო აღმოჩნდა, მსარდი დოზებით დანიშნა. ამას შესაძლოა ასეთი ადგილობრივი დაავადებების გასაოცარი გაქრობა მოჰყვეს.

*შესაძლოა განვიხილოთ ისე, რომ ის მხოლოდ ამ განუვითარებელი სულიერი არსისგან შედგება.*

§ 271

თუკი ექიმი თავის ჰომეოპათიურ წამლებს თვითონ ამზადებს, რისი გაკეთებაც გონივრული იქნებოდა, რათა ადამიანები დაავადებებისაგან<sup>157</sup> გაათავისუფლოს, მას შეუძლია გამოიყენოს უშუალოდ მცენარები ნედლი სახით, რადგანაც საჭიროა დაუმუშავებელი ნივთიერების მხოლოდ მცირე რაოდენობა და მას გამოწურული წვენი სამკურნალო მიზნებისათვის არ სჭირდება. ის დებს რამდენიმე გრანს როდინში და 100 გრან რძის შაქართან ერთად სამ მომენტად მიჰყავს 1:1 000 000 განზავებამდე (§ 270), რომლის მცირე ულუფისგან შენჯღრევის გზით ვაგრძელებთ შემდგომ პოტენცირებას. პროცედურა ასევე შესაძლოა ჩატარდეს როგორც მშრალი, ისე ზეთოვანი ბუნების დაუმუშავებელი წამლების ნარჩენებითაც.

*157. ხანამ სახელმწიფო მომავალში არ შეიგნებს კარგად მომზადებული ჰომეოპათიური წამლების აუცილებლობას, არ ექნება კომპეტენტური, უანგარო ადამიანების მიერ წარმოებაში დამზადებული წამლები, რათა უფასოდ აძლიოს ის ჰომეოპათიურ კლინიკებში მომზადებულ ექიმ-ჰომეოპათებს, რომლებმაც გაუძღეს თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდებს და აქედან გამომდინარე კანონიერად ფლობენ კვალიფიკაციას. ექიმები მაშინ შეძლებენ ირწმუნონ ეს ღვთიური სამკურნალო ინსტრუმენტი, თანაც უფასოდ აძლიონ წამლები მდიდარ თუ ღარიბ პაციენტებს.*

§ 272

მშრალი სახით ენაზე მოთავსებული ასეთი ბურთულა<sup>158</sup>, ერთ-ერთ ყველაზე მცირე დოზად გვევლინება ახლად

დაწყებული ზომიერი სიმძიმის დაავადებისას. ამ შემთხვევაში წამალის მოქმედება ნერვული სისტემის მხოლოდ მცირე ნაწილს ეხება. მცირე რაოდენობის რძის შაქართან ერთად დაქუცმაცებული, საკმარისი რაოდენობის წყალში გახსნილი (§247) და მიღების წინ კარგად მორეული ასეთივე ბურთულა, გაცილებით უფრო ძლიერი წამალი აღმოჩნდება რამდენიმე დღის განმავლობაში მისაღებად. თითოეული დოზა, რამდენადაც მცირე არ უნდა იყოს ის, ნერვული სისტემის დიდ ნაწილზე მოქმედებს.

158. თუ ეს ბურთულები (§270) სითბოსაგან და მზის სინათლისაგან დაცულია, თავის წამლისმიერ ძალას მრავალი წლის განმავლობაში ინარჩუნებენ.

## § 273

მკურნლობის დროს არასოდეს არ არის აუცილებელი და ამიტომ დაუშვებელია, პაციენტს ერთ ჯერზე ერთ მარტივ წამლისმიერ ნივთიერებაზე მეტი დაენიშნოს. გაუგებარია თვით მცირე ეჭვიც კი იმის შესახებ, რომ ბუნებასთან გაცილებით მსგავსია და უფრო გონივრულია დაავადების დროს ერთ ჯერზე დაინიშნოს ერთადერთი მარტივი<sup>159</sup> წამალი და არა რამდენიმე სხვადასხვანაირად მოქმედი წამლის ნარევი. ჰომეოპათიაში, მკურნალობის ერთადერთ ჭეშმარიტ, უბრალო და ბუნებრივ ხელოვნებაში, აბსოლუტურად დაუშვებელია მივცეთ პაციენტს ერთ ჯერზე ორი განსხვავებული სამკურნალწამლო ნივთიერება.

159. ნეიტრალურ ნაერთებად გაერთიანებული ორი ერთ-ერთსაწინააღმდეგო ნივთიერება და საშუალო მარილები მათი ქიმიური მსგავსების გამო უცვლელ პროპორციებში, ისევე როგორც მიწიდან ამოღებული სულფინირებული ლითონები, გოგირდისა და ტუტე მარილების (მაგალითად, ნატრიუმის სულფატი, კალციუმის სულფატი და ა.შ.) მუდმივი შეფარდების მქონე

მექანიკური მეთოდებით მიღებული შეტალები, ისევე როგორც სპირტისა და მჟავების გამოხდით მიღებული ეთერები, როგორც ფოსფორი, ექიმის პომეოპათების მიერ შესაძლოა განხილულნი იქნენ როგორც მარტივი სამკურნალწამლო ნივთიერებები და დაენიშნათ აკციენტებს. მეორე მხრივ, ის ექსტრაქტები, რომლებიც მცენარეთა ევრეთ წოდებული ალკალოიდებისაგან მჟავების დახმარებითაა მიღებული, პრეპარატების ძალიან დიდი მრავალფეროვნებით წარმოგვიდგება (მაგალითად, ქინინი, სტრიქინინი, მორფინი) და ამიტომ ექიმის პომეოპათების მიერ არ შეიძლება განხილულნი იქნენ როგორც მარტივი წამლები, ყოველთვის იგივენი არიან. განსაკუთრებით მცენარეები, რომლებიც თავის ბუნებრივ მდგომარეობაში (ქინაქინის ხის ქერქი, ნუქს ვომიკა, ოპიუმი) მკურნალობისათვის აუცილებელი ყველა თვისება აქვთ. უფრო მეტიც, ალკალოიდები არ გვევლინებიან მცენარეთა ერთადერთ შემადგენელ ნაწილად.

§ 274

რამდენადაც ჭეშმარიტი ექიმი მარტივ, ცალკე დასანიშნ წამლებში ნახულობს ყველაფერს, რაც მან შესაძლოა ისურვოს (ხელოვნური ავადმყოფური ძალა, რომელსაც უნარი აქვს პომეოპათიური ძალით გადალახოს, გაანადგუროს და სრულიად განკურნოს ბუნებრივი დაავადება), ახსოვს რა ბრძნული აფორიზმი: <<არასწორია რთული საშუალებების გამოყენების მცდელობა, როცა მარტივებიც საკმარისადაა>>, არასოდეს არ იფიქრებს მისცეს სამკურნალო საშუალებად არაფერი, გარდა ერთი მარტივი წამლისმიერი ნივთიერებისა. ეს შემდეგი მიზეზებით განისაზღვრება: თუნდაც მარტივი წამლები საგულდაგულოდ იყოს გამოცდილი თავისი წმინდა სპეციფიკური მოქმედების თვალსაზრისით ჯამრთელ, დაუსუსტებელ ადამიანზე, მაინც შეუძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ, ორი ან მეტი სამკურნალწამლო ნივთიერება, თუკი მათ გავაერთიანებთ, როგორ დათრგუნავს და შეცვლის ერთმანეთის ზემოქმედებას ადამიანის

სხეულზე. მეორე მხრივ, მარტივი სამკურნალწამლო ნივთიერება, რომლის ყველა სიმპტომი ზუსტად არის ცნობილი, დაავადების დროს გამოყენებისას ეფექტურ შედეგს მხოლოდ მარტო მისი (ცალკე) დანიშვნისას იძლევა, თუ ის ჰომეოპათიურად სწორად არის შერჩეული; და რაც ყველაზე უფრო ცუდია, წამალი შესაძლოა არ იყოს შერჩეული სიმპტომთა მიმართ მკაცრი შესაბამისობით (ე.ი. შერჩევა მოხდეს ცუდად) და ამიტომ შეუსაბამო აღმოჩნდეს; მიუხედავად ამისა, ეს სასარგებლოა, რადგაც აფართოებს თერაპიულ ნივთიერებებზე ჩვენს თეორიულ ცოდნას. ამ შემთხვევაში მის მიერ გამოწვეული ახალი სიმპტომებით ის სიმპტომები დასტურდება, რომლებიც ამ წამლის ჯანმრთელ ადამიანზე გამოცდისას უკვე გამოვლინდა – უპირატესობა, რომელიც იკარგება კომბინირებული საშუალებების მიღებისას<sup>160</sup>.

*160. თუკი გონიერი ექიმი დაავადების კარგად განხილული შემთხვევის სამკურნალოდ სრულიად ჰომეოპათიურ საშუალებას შეარჩევს და მას შინაგანად მისაღებად დანიშნავს, ირაციონალური ალოპათიური პრაქტიკისათვის დარჩება მხოლოდ სხვადასხვა მცენარეული საშუალებები, ცხელი საფენები, წამლისმიერი ოყენები და სხვადასხვა მალამოები.*

## § 275

დაავადების ნებისმიერი მოცემული შემთხვევისთვის წამლის ვარგისიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ამ წამლის ზუსტ ჰომეოპათიურ შერჩევაზე, არამედ მის რაოდენობაზე (დოზის სიმცირეზეც კი). თუ მოცემული ავადმყოფური მდგომარეობისათვის ჰომეოპათიურად თუნდაც მთლიანად შესაბამისი წამლის ძალიან ძლიერ დოზას მივცემთ, იგი მიუხედავად სასარგებლო თვისებებისა, შესაძლოა მანვე აღმოჩნდეს უბრალოდ დოზის სიდიდით გამოწვეული ზედმეტად ძლიერი მოქმედების გამო, რომელსაც ჰომეოპა-

თიური მსგავსების წყალობით იწვევს მოქმედ სასიცოცხლო ძალაზე და მისი გავლით ორგანიზმის იმ ნაწილებზე, რომლებიც ყველაზე უფრო მგრძობიარენი და ბუნებრივი დაავადებებისაგან უკვე ძლიერ დაზიანებულნი არიან.

§ 276

ამიტომ წამლის თითოეული დოზა, თუნდაც ის ჰომეოპათიურად ზუსტად ესადაგებოდეს დაავადების მოცემულ შემთხვევას, მავნეა თუ ის ძალიან დიდი და ძლიერი დოზებისას წამალი მით უფრო დიდ ზიანს აყენებს, რაც მეტია მისი ჰომეოპათიურობის ხარისხი და პოტენცირება<sup>161</sup>. ამ შემთხვევაში ზიანი გაცილებით მეტია, ვიდრე ნებისმიერი წამლის ასეთივე დიდი დოზის გამოყენებისას, რომელიც ჰომეოპათიური არ არის და ავადმყოფურ მდგომარეობასთან არავითარი კავშირი არა აქვს (ალოპათიური).

ზუსტად შერჩეული ჰომეოპათიური წამლის ძალიან დიდი და განსაკუთრებით ხშირად განმეორებული დოზები, როგორც წესი ბევრ უსიამოვნებას იწვევენ. ხშირად ისინი პაციენტს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში აყენებენ და დაავადებას თითქმის მოურჩენლად აქცევენ. მართლაც, ბუნებრივი დაავადების მთლიანად განადგურების შემდეგ, დიდი დოზის გამო წამლის მოქმედება გრძელდება და ხდება სასიცოცხლო პრინციპის შეგრძნებებზე შეხება. პაციენტი უკვე აღარ იტანჯება საწყისი დაავადებით მასზე ჰომეოპათიური წამლის ძალიან ძლიერი დოზის მოქმედების მომენტიდან, მაგრამ ასეთი მკურნალობის შედეგად, მსგავსი, მაგრამ უფრო მძიმე წამლისმიერი დაავადებით აავადდება, რომლის მორჩენაც გაცილებით უფრო ძნელია<sup>162</sup>.

161. ბოლო წლებში ზოგი (მცირერიცხოვანი) ჰომეოპათის მიერ დიდი დოზების გამოყენების მიმართ უხვად გაფლანგული ქება, იმით აიხსნება, რომ ისინი ან დაბალი ხარისხის დინამ-

იზაციის (როგორც მე ვაძლევდი ოცი წლის წინ სხვა უკეთესის არცოდნის გამო) წამლებს იყენებდნენ, ან მათი შერჩეული წამლები არაჰომეოპათიური და ცუდად მომზადებული იყო.

162. მაგალითად, სიფილისის დროს ვერცხლისწყლის ძლიერი ალოპათიური პრეპარატების ხანგრძლივი გამოყენება თითქმის მოუჩინებელ ვერცხლისწყლოვან დაავადებებს იწვევს. რბილად, მაგრამ რეალურად მოქმედი პრეპარატის ერთი ან რამდენიმე დოზა კი, უდავოდ, რადიკალურად განკურნავდა რამდენიმე დღის განმავლობაში ვენერულ დაავადებას მთლიანად რბილ შანკრთან ერთად, იმ პირობით, რომ ისინი დარღვეული არ იქნებოდა გარეგანი საშუალებებით (როგორც ყოველთვის აკეთებს ალოპათი). ზუსტად ასე, ალოპათი აძლევს ქინაქინის ქერქს და ქინინს ხანგანელებითი ცხელების დროს ძალიან დიდ დოზებში იმ შემთხვევებში, როცა ეს პრეპარატები ნაჩვენებია. ამ დროს მაღალპოტენციურებული ქინაქინის ერთი ძალიან პატარა დოზა სრულიად საკმარისია (ხანგანელებითი ცხელებისას, სახელდობრ ადამიანებში, რომლებიც არ იყენენ დაავადებული რომელიმე ფსორული დაავადებით). ასეთ შემთხვევებში ვითარდება ქრონიკული ქინაქინას დაავადება (ამავე დროს ფსორის განვითარებასთან შერწყმული), რომელიც, თუკი ის სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი შინაგან ორგანოების, განსაკუთრებით ელენთისა და ღვიძლის რღვევით პაციენტს თანდათანობით არ მოკლავს, წლობით შეაწუხებს და სავალალო მდგომარეობაში ჩააგდებს. ასეთი უბედურების, ჰომეოპათიური საშუალებების დიდი დოზების ბოროტად გამოყენების ჰომეოპათიური ანტიდოტი შესაძლოა არც კი მოიძებნოს.

## § 277

იმავე მიზეზით და იმიტომ, რომ წამალი, თუკი მისი დოზა საკმარისად მცირე იყო, მით უფრო სასარგებლო და თითქმის საოცრად ქმედითია, რაც უფრო ჰომეოპათიურად ზუსტად არის შერჩეული. ზუსტად შერჩეული ჰომეოპათიური წამალი, უფრო სასარგებლო იქნება, თუ მის დოზას იმ მინიმუმამდე შევამცირებთ, რომ ნაზი წამლისმიერი ზემოქმედებისთვის საკმარისი აღმოჩნდეს.



## § 278

ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, წამლის რამდენად მცირე რაოდენობაა საკმარისი სანდო და ნაზი წამლისმიერი ზემოქმედებისათვის; სხვა სიტყვებით, რამდენად მცირე უნდა იყოს ჰომეოპათიურად შერჩეული თითოეული წამლის დოზა დაავადების მოცემული შემთხვევის ოპტიმალური მკურნალობისათვის? ამ პრობლემის გადაწყვეტა ჰომეოპათიური თერაპიული მიზნისათვის საჭირო თითოეული წამლისათვის იმ მინიმალური დოზის განსაზღვრა, რომელიც საკმარისია განკურნების ყველაზე უფრო რბილად და სწრაფად მისაღწევად, თეორიული განსჯის საქმე არ არის, რაშიც იოლად შეიძლება დაერწმუნდეთ; ამ პრობლემის გადაჭრა არც ჭკვიანური არგუმენტებით, არც ცრუ სოფისტიკით არ შეიძლება. ეს თითქმის ისევე შეუძლებელია, როგორც წინასწარ სავარაუდო შემთხვევების ცხრილში შეკრება. ეს თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში მხოლოდ წმინდა ექსპერიმენტს, თითოეული პაციენტის მგრძობელობაზე ყურადღებით დაკვირვებას და სწორ გამოცდილებას შეუძლია განსაზღვროს. დამამტკიცებელ საბუთად აბსურდული იქნებოდა ძველი სკოლის არასათანადო (ალოპათიური) წამლების დიდი დოზების მოყვანა, რომლებიც ორგანიზმის ავადმყოფურ მხარეს ჰომეოპათიურად არ ეხებიან, არამედ მხოლოდ დაავადებისაგან დაუზიანებელ ნაწილებს უტევენ, იმის საწინააღმდეგოდ რასაც წმინდა გამოცდილება ჰომეოპათიური მკურნალობისათვის საჭირო მცირე დოზების შესახებ გვიჩვენებს.

## § 279

წმინდა ექსპერიმენტი ყოველთვის აჩვენებს, რომ თუ დაავადება მნიშვნელოვანი შინაგანი ორგანოს ძლიერი

დაზიანებით (თუნდაც ეს ქრონიკული და გართულებული დაავადება იყოს) არ არის გამოწვეული და თუ მისი მიმდინარეობისას ყველა სხვა უცხო, წამლისმიერი ზემოქმედება მოცილებულია, რომელიმე სეროზული, განსაკუთრებით ქრონიკული დაავადების მკურნალობის დასაწყებად, **ჰომეოპათიურად შერჩეული და მადალპოტენცირებული საშუალების დოზა** არასოდეს არ შეიძლება იმდენად მცირე მომზადდეს, რომ ბუნებრივ დაავადებაზე ძლიერი არ იყოს და მისი გადაღახვა ნაწილობრივ მაინც, მისი სასიცოცხლო პრინციპების შეგრძნებებიდან მოშორება და ამგვარად განკურნების დაწყება არ შეეძლოს.

§ 280

თუ წამლის მოცემული დოზა ახალი ავადმყოფური სიმპტომების გამოწვევის გარეშე სასარგებლო მოქმედებას აგრძელებს, მაშინ ამ წამლის დანიშვნა უნდა გაგრძელდეს დოზების თანდათანობით ზრდით, სანამ პაციენტი **ზოგადი გაუმჯობესების ფონზე** არ იგრძნობს მსუბუქ ფორმებში ერთი ან რამდენიმე ძველი სიმპტომის დაბრუნებას, რაც ზომიერი დოზების შენჯღრევის (§ 247) გზით თანდათან შეცვლილი პოტენციებით გამოწვეულ, მოახლოებულ განკურნებაზე მიუთითებს. ეს ნიშნავს, რომ სასიცოცხლო პრინციპის დაზიანება მსგავსი დაავადებით, რათა მან ბუნებრივი დაავადების სიმპტომები მოიცილოს (§ 148) საჭირო აღარ არის. ეს ნიშნავს, რომ ბუნებრივი დაავადებისაგან განთავისუფლებული სასიცოცხლო პრინციპი, ავად ხდება რაღაც წამლისმიერი დაავადების მსგავსით, რაც ცნობილია როგორც **ჰომეოპათიური გამწვავება**.

## § 281

ამაში დასარწმუნებლად პაციენტს ვტოვებთ ყოველგვარი წამლის გარეშე რვა, ათი ან თხუთმეტი დღე, რომლის განმავლობაში მას მხოლოდ რძის შაქრის რამდენიმე ფხვნილი ეძლევა. თუკი წამლით გამოწვეული ბოლო მცირე რაოდენობის წივილები საწყისი დაავადების ძველ სიმპტომებს ჰგავს, მაშინ ეს წივილები რამდენიმე დღეში ან საათში გაქრება. თუკი ამ დღეების განმავლობაში წამლების გარეშე აუცილებელი პიჯიენური წესების დაცვის პირობებში, საწყისი დაავადებიდან მეტი არაფერი ჩანს, სავარაუდოა, რომ პაციენტი განიკურნა. მაგრამ შემდგომ დღეებში ძველი ავადმყოფური სიმპტომების კვალის გამოჩენისას, ისინი, ბოლომდე გაუნადგურებელი საწყისი დაავადების ნაკვალევი, რომელსაც როგორც ადრე, ამავე წამლის უფრო მაღალი ხარისხის პოტენციებით უნდა ვუმკურნალოთ. მკურნალობის დასასრულებლად პირველი მცირე დოზები (პოტენცია) ასევე თანდათან უნდა ავწიოთ, მაგრამ ნაკლებად და უფრო ნელა გაღიზიანებად პაციენტებში, ვიდრე ნაკლებად მგრძნობიარეებში, რომლებთანაც უფრო მაღალი დოზებისკენ (პოტენცია) წინსვლა უფრო სწრაფადაც შეიძლება. არიან პაციენტები, რომელთა მგრძნობელობის შეფარდება ნაკლებად მგრძნობიარეებთან არის როგორც 1:1000.

## § 282

იმის განსაზღვრული ნიშანი, რომ დოზები მთლიანობაში მაინც ძალიან დიდია, არის ეგრეთ წოდებული **პომეოპათიური გამწვავება**, ანუ საწყისი დაავადების (თავიდან აღმოჩენილი) ავადმყოფური სიმპტომების შესამჩნევი გაძლიერება, რომელიც მკურნალობის პროცესში, განსაკუთრებით ქრონიკული დაავადებებისას, შესაძლოა პირველმა, ისევე როგორც ყოველმა განმეორებითმა, მაგრამ მიღების

წინ შენჯღრევის საშუალებით შეცვლილმა (ანუ უფრო მაღალი დინამიზაციის ხარისხის)<sup>163</sup> თითოეულმა დოზამ (§ 247) გამოიწვიოს, რაღაც სახით.

163. წესს, რომლის შესაბამისად ქრონიკული დაავადების კომპოპათიური მკურნალობა შეძლებისდაგვარად უმცირესი დოზებით უნდა დაეიწყოთ და თანდათანობით ვზარდოთ, მნიშვნელოვანი გამოჩაქისი აქვს სამი ძლიერი მიაზმის მკურნალობის დროს, სანამ ისინი მხოლოდ კანზე ელინდებიან, სახელოდ ახლად განვითარებული მუნი, არავერცხლისწყლოვანი მაგარი შანკრი<sup>o</sup> (სასქესო ორგანოებზე, სასქესო ბაგეებზე, პირში ან ტუჩებზე და ა.შ.) და მახვილწვერიანი კონდილომები. ასეთი დაავადებების დროს არა მხოლოდ დასაშვებია არამედ აუცილებელია მკურნალობის დაწყებისთანავე დაენიშნოს მათი სპეციფიკური საშუალებების დიდი დოზები ყოველდღიურად სულ უფრო მზარდი დინამიზაციის ხარისხით (შესაძლოა ასევე დღეში რამდენჯერმეც). თუ ამ კურსს გაეყეობით, შეასაძლოა არ შეგეშინდეს, როგორც შიგნით დაფარული დაავადებების მკურნალობისას, რომ ძლიერ დიდმა დოზამ, სანამ ის ხანგრძლივად გამოეყენების შედეგად დაავადებას ანადგურებს, შესაძლოა ქრონიკული წამლისმიერი დაავადება გამოიწვიოს. ეს არ მოხდება ამ სამი მიაზმის გარეგანი გამოვლინებებისას, რამდენადაც შესაძლოა ყოველდღიურად დაეკვირდეთ მკურნალობის მიმდინარეობას და შევაფასოთ, თუ რამდენად ამცირებენ ეს დიდი დოზები დღითიდღე სასიცოცხლო პრინციპის მიერ დაავადების შეგრძნებას; რამდენადაც ამ სამი მიაზმიდან არც ერთი არ შეიძლება მორჩეს მათი გაქრობის გარეშე, რითაც ექიმს შეუძლია დარწმუნდეს, რომ უკვე აღარ არის ამ წამლების არავითარი აუცილებლობა.

რამდენადაც დაავადებები სხვა არაფერია თუ არა სასიცოცხლო პრინციპზე დინამიკური შეტევები და მის საფუძველში არაფერი მატერიალური, არავითარი *materia peccans* – არ არის (როგორც ძველი სკოლა თავისი შეცდომებით ათასობით წლები იგონებდა ზღაპრებს და ავადმყოფებს მათ შესაბამისად, ბუნებრივია დაღუპვამდე მკურნალობდა), ამ შემთხვევებში ასევე არ არის არავითარი მატერიალური, რის ალებაც, მიერთებაც (გადატეხილი ძელების ან სხვა ნაწილების), მოწვა,

\* სიფილისი (მთარგმნელის შენიშვნა)

გადახევეა ან მოკვეთაც შეიძლება იმის გარეშე, რომ პაციენტი გაცილებით უფრო ავადმყოფად და ძნელად მოსარჩენად არ ეაქციოთ (<<ქრონიკული დაავადებები>> ნაწილი I), ვიდრე ის ნებისმიერი ამ სამი მიაზმის ადგილობრივი მკურნალობის დაწყებამდე იყო. თავისი ზეგავლენის სასიცოცხლო ენერგიაზე გამაურცვლებელი დინამიკური მტრული პრინციპი, შინაგანი დამღეუპეელი მიაზმების ამ გარეგანი ნიშნების არსია, რომლებიც შესაძლოა განადგურდეს სასიცოცხლო პრინციპზე მხოლოდ რომელიმე კომეოპათიური წამლის ზემოქმედებით, რომელიც აზიანებს მას მსგავსად, მაგრამ უფრო ძლიერად და ამ მეთოდით აშორებს ავადმყოფობის გამომწვევი მტრის შინაგან და გარეგან სულიერ შეგრძნებებს, ისე რომ სასიცოცხლო პრინციპისთვის (ორგანიზმისათვის) ის უკვე აღარ არსებობს, ათავისუფლებს რა ამ სახით პაციენტს დაავადებისაგან და ის იკურნება.

თუმცა გამოცდილება გეაჩვენებს, რომ მუნი, პლუს მისი გარეგანი გამოვლინებები, ისევე როგორც მაგარი შანკრი თავის შინაგან ვენერულ მიაზმთან ერთად, შესაძლოა და უნდა იქნეს ნამკურნალევი მხოლოდ შიგნით მისაღები სპეციფიკური წამლებით. მაგრამ წვეტიანი კონდილომების სრულად განსაკურნად, თუ ისინი გარკვეული დროის განმავლობაში ნამკურნალევი არ იყო, შიგნით მიღებასთან ერთად ასევე აუცილებელია მათთვის სპეციფიური საშუალებების გარეგანი გამოყენება.

## § 283

იმისათვის, რომ ბუნებასთან სრულ თანხმობაში იმუშაოს, ჭეშმარიტი ექიმი ზუსტად შერჩეულ, ყოველმხრივ ყველაზე უფრო შესაფერის კომეოპათიურ წამალს ასეთ მცირე დოზებში მხოლოდ იმიტომ დანიშნავს, რომ ადამიანური სისუსტის გამო თუ ის შეცდება და შეუფერებელ წამალს გამოიყენებს, დაავადებასთან მისი არასწორი შეფარდების გამო, დიდი ვნება არ მიაყენოს პაციენტს, რომელიც თავისი საკუთარი სასიცოცხლო ძალით და სიმპტომთა მსგავსების (და ასევე მცირე დოზებში) შესაბამისობით შერ-

ჩვეული ახალი საშუალებების დროული დანიშვნის (§ 249) შედეგად, სწრაფად დათრგუნავს და მოიცილებს მას.

§ 284

ენის, პირისა და კუჭის გარდა, რომელთა გზითაც წამალი განსაკუთრებით ხშირად მოქმედებს, ცხვირი და სუნთქვის ორგანოები მგრძობიარენი არიან წამლათა ზემოქმედებისადმი თხევადი სახით შესუნთქვისას და პირიდან ინჰალაციისას. კანის საფარველი ეპიდერმისით აღიქვამს ხსნარების ზემოქმედებას, განსაკუთრებით, თუკი შეხელვა შერწყმულია ერთდროულ შიგნით მიღებასთან<sup>164</sup>.

164 დედის ან ძიძის რძესთან ერთად ბავშვზე წამლის ზემოქმედება ხაოცრად სასარგებლოა. ბავშვთა ნებისმიერი დაავადება უკან იხევს მეტუქური დედისათვის ზომიერი დოზით მიცემული სწორად შერჩეული კომეოპათიური წამლის წინაშე. ამ გზით მიღებული წამალი უფრო ადვილად და უცილობლად გამოიყენება სამყაროს ამ ახალი მოქალაქის მიერ, ვიდრე შემდგომ წლებში (შიგნით მიღებისას). თუშცა ახალშობილთა უმრავლესობა ძიძის რძის გზით, ჩვეულებრივ, ფსორითაც “სახუქრდება”, თუკი უკვე ის დედისგან მემკვიდრეობით არ მიუღია, ამავე დროს ისინი შესაძლოა დაცული იქნენ ფსორისაგან, შესაბამის წამლისმიერ ზემოქმედებას დაქვემდებარებული ძიძის რძით. რაც შეეხება დედებს, აუცილებელია, რომ ისინი (პირველი) ორსულობის დროს ნაზ ანტიფსორულ მკურნალობას დაეუქვემდებარონ, განსაკუთრებით კი ამ გამოცემაში (§270) მოცემული მეთოდის შესაბამისად მომზადებული დინამიზირებული გოგირდით, რათა გავანადგუროთ ფსორა (ქრონიკული დაავადებების უმეტესობის გამომწვევი) რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემათ ბავშვებს; გავანადგუროთ ის როგორც თვითონ დედაში, ასევე ნაყოფში და წინასწარ დაეცვათ მთამომავლობა. ეს ჭეშმარიტებაა ორსული ქალების მიმართ. ვისაც ამგვარად მკურნალობენ: ისინი, ჩვეულებრივ, ყველასგან გასაკვირად უფრო ჯანმრთელ და ძლიერ ბავშვებს აჩენენ. ეს ნემს მიერ აღმოსენილი ფსორის თეორიის ახალი დადასტურებაა.

§ 285

ამ გზით ნებისმიერი ძველი დაავადების მკურნალობა შეიძლება დავანქაროთ ექიმის მიერ შიგნით მისაღებად კარგად შერჩეული წამლის გარეგანი გამოყენებით, მისი ზურგში, ხელებში, კიდურებში შეზღუდვით. ამ დროს ექიმმა არ უნდა იმოქმედოს კანის მტკივნეულ, სპაზმურ ან გამონაყარიან ნაწილებზე<sup>165</sup>.

165. ამ ფაქტით უნდა აეხსნათ არცთუ ისე ხშირი, მაგრამ საოცარი განკურნებები, როცა ქრონიკული დაავადებებით შეკერობილი პაციენტები, რომელთა კანი ჯანმრთელი და სუფთა არასოდეს ყოფილა, რამდენიმე აბაზანის შემდეგ სწრაფად და სრულად განიკურნებოდნენ, როცა მათი წამლისმიერი შემადგენლები (შემთხვევით) პომეოპათიურთან ახლოს აღმოჩნდებოდა. მეორე მხრივ. მინერალურ აბაზანებს ძალიან ხშირად დაავადების გაძლიერებამდე მიეყავართ პაციენტებში, რომლებსაც კანის გაღიზიანება მოცილებული ჰქონდათ. ჯანმრთელობის მდგომარეობის ხანმოკლე პერიოდის შემდეგ, სასიცოცხლო პრინციპი შინაგან განუკურნებელ დაავადებას წინააღმდეგობას ვერ უწევს, რათა რომელიმე სხვა, სიცოცხლის და ჯანმრთელობისათვის უფრო მნიშვნელოვან ადგილზე არ გამოეღიზინდეს.

ზოგჯერ, გამოჯანმრთელების მაგიერ სიბრძავის გამომწვევი მხედველობის ნერვის დამბლა იწყება, ბროლი შეიძლება შეიმღვრეს, იკარგება სმენა, შესაძლოა განვითარდეს მანიაკური სინდრომი, მომხრჩობი ასთმა ან მოტყეუბული პაციენტის ტანჯვა აპოპლექსიამ შეწყვიტოს.

ექიმი-პომეოპათის ფუნდამენტური პრინციპი (რაც მას განასხეავენ ძველი სკოლის ნებისმიერი ექიმისგან) იმაში მდგომარეობს, რომ ის არასოდეს არ დაუნიშნავს არც ერთ პაციენტს წამალს, რომლის მოქმედებაც ჯანმრთელ ადამიანებზე მანამდე საგულდაგულოდ არ არის შესწავლილი და რომელიც მისთვის ცნობილი არ არის (§§ 20,21). ავადმყოფისთვის წამლის მხოლოდ იმ ეარაუდით დაიშენა, რომ ის შესაძლოა სასარგებლო იყო რომელიღაც მსგავსი დაავადებების დროს, ან იმ ხმების საფუძველზე, <<რომ მოცემული წამალი ეხმარება ამა და ამ დაავადებების დროს>> – ასეთ უსინდისო წამოწ-

ეებას ჰომეოპათი-ფილანტროპი ალოპათს დაუთმობს. ჰემოპათი ექიმი და ექიმი, ვინც ჩვენს სფეროში პრაქტიკას ეწევა, ავადმყოფს არასოდეს დაუნიშნავს არც ერთს იმ უამრავი აბაზანიდან, იმიტომ რომ თითქმის არც ერთი მათგანი არ არის ცნობილი ჯანმრთელ ორგანიზმზე მათი ზუსტი პოზიტიური ზემოქმედების მხრივ და თუ ისინი არასწორად გამოიყენება, ყველაზე ძლიერი და საშიში სამკურნალო პრეპარატების რიგში უნდა განიხილებოდეს. უეცი ექიმების მიერ ალოპათიურად მოურჩენელი და ყველაზე უფრო ცნობილ აბაზანებზე ბრძად გაგზავნილი ათასებიდან, შესაძლოა შემთხვევით ერთი ან ორი განიკურნოს, ნაწილი მხოლოდ გარეგნულად განკურნებული დაბრუნდეს და ეს სასწაული საყოველთაო გავრცელებას კოვებს. ამავე დროს ასეულობით ადამიანი, მეტად თუ ნაკლებად თავს უფრო ცუდად გრძობს და შეუმჩნეველად მიიპარება, ხოლო სხვები რჩებიან, რათა მარადიული სიმშვიდისთვის მოემზადონ: ამ ფაქტს ყველაზე უფრო ცნობილ კურორტებთან მრავალრიცხოვანი შევსებული სასაფლაოების არსებობაც ადასტურებს\*

§ 286

ჩვენს სასიცოცხლო პრინციპზე არანაკლებად მოქმედებს მინერალური მაგნიტების, ელექტროობის და გალვანიზმის დინამიკური ძალა. ისინი არანაკლებ ჰომეოპათიურია, ვიდრე მკაცრად რომ ვთქვათ ეგრეთ წოდებული წამლები, რომლებიც ანეიტრალებენ დაავადებებს პირიდან მიღების,

\* ჰემოპათი ექიმი-ჰომეოპათი ერთ-ერთი იმათაგანია, რომელიც არასოდეს არ მოქმედებს რეალური ფუნდამენტური პრინციპების გარეშე, არასოდეს არ რისკავს მასზე მინდობილი ავადმყოფების სიცოცხლით, როგორც ლატარეაში, სადაც 500-დან ან 1000-დან ერთი იგებს (ყველა დანარჩენი დაავადების გაძლიერებით ან სიკვდილით მთავრდება), თავის პაციენტებს არასოდეს არ შეუქმნის ასეთ საშიშროებას და არ გააგზავნის საბედისწერო მინერალურ აბაზანებზე, რასაც ალოპათები აკეთებენ, რათა მისაღები მეთოდებით თავიდან მოიცილონ ავადმყოფი, რომელსაც მან ან სხვებმა ზიანი მიაყენეს.



კანზე შეზღვევის ან ინჰალაციური გზით მიღებისას. შესაძლოა არსებობდეს განსაკუთრებით კი მგრძობელობის და გაღიზიანებადობის ფუნქციებზე მოქმედი, ანომალური შეგრძობების და კუნთების უნებლიე მოძრაობის გამომწვევი დაავადებები, რომლებსაც შესაძლოა აღნიშნული საშუალებებით ვუმკურნალოთ. მაგრამ ბოლო ორის გამოყენების უფრო საიმედო მეთოდი, ისე როგორც ეგრეთ წოდებული ელექტრომაგნიტური მანქანისა ჯერ კიდევ იმდენად ნათელი არ არის, რომ ჰომეოპათიაში გამოვიყენოთ. აქამდე როგორც ელექტროობა ისე გალვანიზმი მძიმე დაზიანებების დროს შემსუბუქების მისაღწევად გამოიყენებოდა. ორივე ამ საშუალების პოზიტიური, წმინდა მოქმედება ჯანმრთელ სხეულზე დღემდე საკმარისად არ არის გამოცდილი.

§ 287

სამკურნალო მიზნით მაგნიტის ძალა შესაძლოა დარწმუნებით გამოვიყენოთ მძლავრი მაგნიტური ღეროს ჩრდილოეთი და სამხრეთი პოლუსის განსაზღვრული მოქმედების თანახმად, რაც დაწვრილებითაა აღწერილი <<Materia Medica Pura>>-ში. თუმცა ორივე პოლუსის ძალა ერთნაირია, ისინი, მით უმეტეს, თავისი მოქმედების მიხედვით ურთიერთსაწინააღმდეგოა, დოზები შესაძლოა შეიცვალოს ერთ ან მეორე პოლუსთან კონტაქტის ხანგრძლიობის მიხედვით, იმის შესაბამისად, ჩრდილოეთი თუ სამხრეთი პოლუსის სიმპტომებია ნაჩვენები. ძალიან ძლიერი ზემოქმედების დროს გამანეიტრალებელ საშუალებად საკმარისია პოლირებული თუთიის ფირფიტის მიღება.

აუცილებლად ვთვლი შევეხო ცხოველურ მაგნეტიზმსაც, როგორც მას უწოდებენ, ან უფრო ზუსტად, მესმერიზმს (როგორც უკეთესი იქნებოდა მისთვის გვეწოდებინა მისი პირველადმოძინი მესმერის პატივსაცემად), რომელიც თავისი ბუნებით ძალიან განსხვავდება ყველა სხვა თერაპიული საშუალებებისგან. საუკუნეების განმავლობაში ხშირად ასე ბრყვეულად უარყოფილი და უგულვებელყოფილი ეს სამკურნალო ძალა, სხვადასხვა გზებით მოქმედებს. კაცობრიობისადმი ამ საოცარ, შეუფასებელ ღეთიურ საჩუქარს, რომლის დახმარებითაც ადამიანის ძლიერი ნება ყველაზე უკეთესად მოქმედებს ავადმყოფზე კონტაქტითაც და მის გარეშეც, გარკვეული მანძილზეც კი და შეუძლია ამ ძალის მქონე ჯანმრთელი მაგნეტიზიორის სასიცოცხლო ენერჯის დინამიკური გადაცემა სხვა ადამიანზე (ზუსტად ისე, როგორც მაგნიტის ერთ-ერთი პოლუსი მოქმედებს ფოლადის ნაჭერზე).

მაგნეტიზიორის ძალა ნაწილობრივ მოქმედებს ავადმყოფის არასაკმარისი სიმძლავრის სასიცოცხლო ძალაზე მისი შევსების გზით, ნაწილობრივ კი – ზემოქმედებს ორგანიზმის იმ ნაწილებზე სადაც სასიცოცხლო ძალები ჭარბად კონცენტრირდება, რაც ხელს უწყობს გამაღიზიანებელ ნერვულ მოშლილობებს, ის უკუაგდება სასიცოცხლო ძალას, ასუსტებს და თანაბრად ანაწილებს მას და საერთოდ თავიდან იცილებს პაციენტის სასიცოცხლო ძალის ავადმყოფურ მდგომარეობას და მას პაციენტზე ძლიერმოქმედი მაგნეტიზიორის ნორმალური ძალით ჩაანაცვლებს, მაგალითად, ძველი წყლულების, სიბრმავის, ცალკეულ ორგანოთა დამბლებისა და ა.შ. დროს. დიდი ბუნებრივი ძალით დაჯილდოებული მაგნეტიზიორების მიერ ყველა დროში განხორციელებული ბევრი აშკარა და სწრაფი განკურნება ამ კლასს განეკუთვნება. ორგანიზმზე გადაცემული ადამიანის

ძალის ზემოქმედება მთლიანობაში ყველაზე ბრწყინვალედ დემონსტრირებული იყო ყველაზე ძლიერი, ძალებით და სასიცოცხლო ენერგიით სავსე ადამიანების თანაგრძნობით განმსჭვალული ნებით გამოწვეული<sup>166</sup> იმ ადამიანთა გაცოცხლების შემთხვევებში, რომლებიც რაღაც დროის განმავლობაში გარეგნულად გარდაცვლილად გვეჩვენებოდნენ. ისტორიამ ასეთი სახის გაცოცხლებების ბევრი უდავო ფაქტი დააფიქსირა.

თუკი, ენთუზიაზმით გამსჭვალული ნებისმიერი სქესის კეთილგანწყობილი მაგნიტიზიორი (თუნდაც მის ბრმა მიმდევრობაში, ფანატიზმში, მისტიციზმში ან ფილანტროპულ ფანტაზირებაში გადაზრდისას) შესაძლებლობას მიიღებს რეციპიენტზე, რომელსაც მისი დახმარება სჭირდება კაცთმოყვარული თავგანწირვით მხოლოდ თავისი კეთილი ნების ძალა მიმართოს, დროდადრო სასწაულების მოხდენას შეძლებს.

166. მათ უმეტესობას, ღიდ გულკეთილობასა და სხეულის სრულყოფილ ძალასთან ერთად სქესობრივი აქტის მხოლოდ ძალიან ზომიერი სურვილი აქვთ, რაც მათ ძალიან მცირედ შეაწუხებდა, მაშინაც კი, თუ მისი სრული დათრგუნვა გახდებოდა საჭირო. აქედან გამომდინარე, მათი ყველა ფაქიზი სულიერი ძალა, რომელიც სხვა შემთხვევაში შესაძლოა სპერმის გამოსამუშავებლად ყოფილიყო გამოყენებული, მზადაა სხვებზე გადასაცემად, მათი შეხების და ნებისყოფის ძლიერი აგზნების გზით, პაციენტებისთვის სასიკეთოდ. ზოგიერთი ძლიერი მაგნეტიზიორი, რომლებსაც მე ვიცნობდი, ასეთი განსაკუთრებული ბუნების ადამიანები იყვნენ.

## § 289

მესმერიზმის გამოყენების ყველა ზემოხსენებული მეთოდი პაციენტთან ღიდი ან ნაკლები სასიცოცხლო ძალის მიდინებაზეა დამოკიდებული და შესაბამისად დადები-

თი მესმერიზმი<sup>167</sup> ეწოდება. მესმერიზმის გამოყენების საწინააღმდეგო მეთოდს, რადგანაც ის პირდაპირ საწინააღმდეგო ზემოქმედებას იწვევს, უარყოფითი მესმერიზმი უნდა ეწოდოს. მას განეკუთვნება სომნაბულური ძილიდან გასაღვიძებელი, აგრეთვე დამამშვიდებლისა და განმტკირთავის სახელით ცნობილი ყველა მანუალური პროცედურა. განტვირთვა დაუსუსტებელი ადამიანების ცალკეულ ნაწილებში ზედმეტად კონცენტრირებული სასიცოცხლო ძალის უარყოფითი მესმერიზმის საშუალებით, ყველაზე უფრო სანდოდ და მარტივად სრულდება გაჭიმული ხელების სხეულიდან დაახლოებით ერთ დიუმზე პარალელურად განლაგებული თხემიდან ფეხის თითებისკენ მიმართული ხელისგულებით<sup>168</sup>. რაც უფრო სწრაფია ეს მოძრაობა, მით უფრო ეფექტურია ზემოქმედება. ასე მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა მანამდე ჯანმრთელი ქალი, ფსიქიკური შოკის შედეგად მენსტრუაციის შეწყვეტის გამო, ისეთ მდგომარეობაში ვარდება, რომ სრულიად უსიცოცხლო შესახედავია და მკვდარს ჰგავს<sup>169</sup>, სასიცოცხლო ძალა ასეთი სწრაფი უარყოფითი პასებით, რომელიც სავარაუდოდ წინაგულთა არეში კონცენტრირდება, შესაძლოა განიმუხტოს და მისი წონასწორობა მთელ ორგანიზმში აღდგება, რის შედეგად ჩვეულებრივ, გაცოცხლება დაუყოვნებლივ ხდება<sup>170</sup>. მსგავსი სახით მსუბუქი, ნაკლებად სწრაფი უარყოფითი პასები მოუსვენრობის თანმხლებ ზედმეტ მოდუნებასა და უძილობას ამცირებენ, რაც ზოგჯერ ძალიან გაღიზიანებად ადამიანებში ძალიან ძლიერი დადებითი პასებითაა გამოწვეული.

167. როცა აქ დადებითი მესმერიზმის უდავო და გარკვეულ ან განსაზღვრული ძალაზე ვსაუბრობ, მხედველობაში არ მაქვს ის, რაც მას სახელს უტეხს. როცა ასეთი სახის განმეორებითი პასები, რომლებიც ნახევარი საათის ან ზოგჯერ ერთი საათის განმავლობაში და დღიდან დღემდეც კი გრძელდება, სუსტ, ნერვულ პაციენტებში და სომნაბულიზმად წოდებული, ადამიანის მთელი ორგანიზმის უდიდეს რღვევას იწვევს, რომლის

დროსაც ჯანსაღი აზრი სტოეებს ადამიანს და ის თითქოს მოხვეწებათა სამეაროში გადადის, რაც ძალიან არაბუნებრივი და საშიში მდგომარეობაა, რისი საშუალებითაც არაიშვიათად ცდილობდნენ ქრონიკული დაავადებების მკურნალობას.

168. ეს კარგად ცნობილი წესი იმაში მდგომარეობს, რომ დადებითად ან უარყოფითად მაგნეტიზირებულმა ადამიანმა აბრეშუმის ტანსაცმელი არ უნდა ატაროს.

169. რამდენადაც უარყოფითი პასუბი, განსაკუთრებით, მაშინ როცა ისინი ძალიან სწრაფია, ქრონიკული დაავადებებით დასიანებული და სუსტი სასიცოცხლო ძალის მქონე, მგრძნობიარე ადამიანებისათვის ძალზე მავნეა.

170. ათი წლის ძლიერი სოფლელი ბიჭი დილას მსუბუქი უქეიფობის გამო დაუქვემდებარა რამდენიმე ძალიან ძლიერი პასის ზემოქმედებას, პროფესიონალი მაგნეტიზორი ქალის მიერ კუჭისთავიდან ნეკნების ქვემო კიდის გასწვრივ. ის მომენტალურად მკვდარივით გათეთრდა, გონება დაკარგა და უძრობის ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ არანაირ ძალისხმევას არ შეუძლო მისი გამოსყიხილება, ის თითქმის სიკვდილის პირას იყო. მე მისი უფროსი ძმა ვაიძულე გაეკეთებინა მისთვის ნეგატიური პასი ძალიან სწრაფი მოძრობით თხემიდან სხეულის გავლით ფეხებისკენ, რის შედეგსაც ის მყისიერად გონს მოვიდა და ცოცხალი და მხიარული მოგვევლინა.

## § 290

მსგავს მეთოდებს განეკუთვნება აგრეთვე ეგრეთ წოდებული მასაჟი, რომელსაც ძლიერ კეთილგანწყობილი ადამიანი უკეთებს გატანჯულ ქრონიკულ ავადმყოფს, რომელიც მკურნალობის მიუხედავად წონის დაკარგვით, სუსტი საჭმლისმონელებით ან ძილის უკმარისობით იტანჯება ნელა მიმდინარე გაჯანსაღების გამო. კიდურების, მკერდის და ზურგის კუნთების ხელებით შეკუმშვა, ზომიერი ზეწოლა და დაზელა, წააქეზებს სასიცოცხლო პრინციპს აღადგინოს კუნთების, სისხლძარღვებისა და ლიმფური სადინარების ტონუსი. ამ პროცედურის მესემერი'ზმული ზემოქმედება მის

ძირითად მახასიათებლად გვევლინება, მაგრამ ბოროტად არ უნდა გამოვიყენოთ ზემოქმედობიარე პაციენტების მიმართ.

§ 291

სეფთა წყლის აბაზანები ნაწილობრივ პალიატიურ, ნაწილობრივ კი ჰომეოპათიურ სასარგებლო საშუალებად გვევლინება მწვავე დაავადებების დროს ჯანმრთელობის აღსადგენად, აგრეთვე გაჯანსაღების პერიოდში ქრონიკულ ავადმყოფებში, აბაზანაში წყლის ტემპერატურაზე, პროცედურების ხანგრძლიობასა და სიხშირეზე სათანადო ყურადღების პირობებში. სწორად გამოყენების დროს ისინი ავადმყოფ სხეულზე მხოლოდ სასარგებლო ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენენ, მაგრამ თავისთავად ჭეშმარიტ წამლად არ გვევლინებიან. რეომიურის შკალით\* 25-27 გრადუსიანი თბილი აბაზანები სუსტი მგრძობელობის ადამიანის ნერვული სისტემის აღზნებას იწვევს, იმ მდგომარეობაში, როცა იგი მკვდარს ჰგავს (გაყინული, დამხრჩვალი, მოხრჩობილი) ნერვების დაჩლუნგებული მგრძობელობით. თუმცა ეს აბაზანები მხოლოდ პალიატიურია, მიუხედავად ამისა, ხშირად საკმაოდ ქმედითია, განსაკუთრებით ყავასთან და დაზელასთან ერთად. ისინი შესაძლოა ჰომეოპათიურად სასარგებლონი აღმოჩნდენ იმ შემთხვევაში, როცა გაღიზიანებადობა ძალიან არათანაბრადაა განაწილებული და ზოგიერთ ორგანოში ძალიან არაერთგვაროვნად კონცენტრირდება, როგორც ზოგიერთ ისტერიული სპაზმისა

\* რეომიურის შკალა - 1730 წელს შემოიღო რ. რეომიურმა. რომლის მიხედვითაც 0° - წყლის გაყინვის ტემპერატურა, 80° - წყლის დუდილის ტემპერატურა. შესაბამისად - 1° R = 1,25°C. (მთარგმნელის შენიშვნა)

და ბავშვთა კრუნჩხვების დროს. რეომიურის შკალით 10-6 გრადუსიანი ცივი აბაზანა, სასიცოცხლო სითბოს უკმარისობით მიმდინარე ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანების მკურნალობისას უსუსტად ისე მოქმედებს, როგორც ჰომეოპათიური საშუალება. **მომენტალური, მყისიერი და განმეორებითი** ნაძირვისას ის მოქმედებს, როგორც გამოფიტული ნერვული სისტემის გამამაგრებელი პალიატიური საშუალება. ამ მიზნით აბაზანები ხანმოკლე უნდა იყოს, მცირე (წუთების) ხანგრძლიობის, ტემპერატურის თანდათანობით შემცირებით. ასეთი აბაზანები პალიატიურია და რამდენადაც ის მხოლოდ ფიზიკურად მოქმედებს, ამიტომ არ ახასიათებს უარყოფითი თვისება რომელიც შემდგომში საწინააღმდეგო მოქმედების საშიშროებაში მდგომარეობს, რაც ახასიათებს დინამიკური წამლისმიერი პალიატიური საშუალების გამოყენებას.

## ს ა რ ჩ ე ბ ა

|           |     |           |     |           |     |
|-----------|-----|-----------|-----|-----------|-----|
| § 1.....  | 118 | § 27..... | 139 | § 53..... | 163 |
| § 2.....  | 119 | § 28..... | 140 | § 54..... | 164 |
| § 3.....  | 119 | § 29..... | 140 | § 55..... | 165 |
| § 4.....  | 120 | § 30..... | 141 | § 56..... | 166 |
| § 5.....  | 120 | § 31..... | 141 | § 57..... | 167 |
| § 6.....  | 120 | § 32..... | 142 | § 58..... | 168 |
| § 7.....  | 122 | § 33..... | 142 | § 59..... | 170 |
| § 8.....  | 123 | § 34..... | 143 | § 60..... | 173 |
| § 9.....  | 124 | § 35..... | 144 | § 61..... | 176 |
| § 10..... | 124 | § 36..... | 144 | § 62..... | 177 |
| § 11..... | 125 | § 37..... | 145 | § 63..... | 177 |
| § 12..... | 128 | § 38..... | 146 | § 64..... | 178 |
| § 13..... | 129 | § 39..... | 149 | § 65..... | 179 |
| § 14..... | 129 | § 40..... | 151 | § 66..... | 180 |
| § 15..... | 130 | § 41..... | 152 | § 67..... | 180 |
| § 16..... | 130 | § 42..... | 154 | § 68..... | 182 |
| § 17..... | 131 | § 43..... | 154 | § 69..... | 183 |
| § 18..... | 132 | § 44..... | 154 | § 70..... | 186 |
| § 19..... | 133 | § 45..... | 155 | § 71..... | 188 |
| § 20..... | 133 | § 46..... | 156 | § 72..... | 188 |
| § 21..... | 133 | § 47..... | 160 | § 73..... | 189 |
| § 22..... | 134 | § 48..... | 160 | § 74..... | 191 |
| § 23..... | 136 | § 49..... | 160 | § 75..... | 193 |
| § 24..... | 137 | § 50..... | 161 | § 76..... | 194 |
| § 25..... | 137 | § 51..... | 162 | § 77..... | 195 |
| § 26..... | 138 | § 52..... | 163 | § 78..... | 196 |



|            |     |            |     |            |     |
|------------|-----|------------|-----|------------|-----|
| § 79.....  | 196 | § 114..... | 225 | § 150..... | 249 |
| § 80.....  | 197 | § 115..... | 225 | § 151..... | 249 |
| § 81.....  | 199 | § 116..... | 225 | § 152..... | 249 |
| § 82.....  | 202 | § 117..... | 226 | § 153..... | 250 |
| § 83.....  | 203 | § 118..... | 227 | § 154..... | 251 |
| § 84.....  | 204 | § 119..... | 227 | § 155..... | 251 |
| § 85.....  | 204 | § 120..... | 229 | § 156..... | 252 |
| § 86.....  | 204 | § 121..... | 230 | § 157..... | 253 |
| § 87.....  | 205 | § 122..... | 230 | § 158..... | 253 |
| § 88.....  | 206 | § 123..... | 231 | § 159..... | 254 |
| § 89.....  | 206 | § 124..... | 231 | § 160..... | 254 |
| § 90.....  | 208 | § 125..... | 232 | § 161..... | 255 |
| § 91.....  | 209 | § 126..... | 232 | § 162..... | 255 |
| § 92.....  | 209 | § 127..... | 233 | § 163..... | 256 |
| § 93.....  | 210 | § 128..... | 233 | § 164..... | 256 |
| § 94.....  | 210 | § 129..... | 234 | § 165..... | 257 |
| § 95.....  | 211 | § 130..... | 234 | § 166..... | 257 |
| § 96.....  | 212 | § 131..... | 235 | § 167..... | 257 |
| § 97.....  | 213 | § 132..... | 235 | § 168..... | 258 |
| § 98.....  | 213 | § 133..... | 236 | § 169..... | 258 |
| § 99.....  | 213 | § 134..... | 236 | § 170..... | 259 |
| § 100..... | 214 | § 135..... | 237 | § 171..... | 259 |
| § 101..... | 215 | § 136..... | 237 | § 172..... | 260 |
| § 102..... | 215 | § 137..... | 238 | § 173..... | 260 |
| § 103..... | 216 | § 138..... | 239 | § 174..... | 260 |
| § 104..... | 217 | § 139..... | 239 | § 175..... | 261 |
| § 105..... | 219 | § 140..... | 240 | § 176..... | 261 |
| § 106..... | 219 | § 141..... | 240 | § 177..... | 261 |
| § 107..... | 219 | § 142..... | 242 | § 178..... | 261 |
| § 108..... | 220 | § 143..... | 242 | § 179..... | 262 |
| § 109..... | 221 | § 144..... | 243 | § 180..... | 262 |
| § 110..... | 222 | § 146..... | 245 | § 181..... | 263 |
| § 111..... | 223 | § 147..... | 245 | § 182..... | 263 |
| § 112..... | 224 | § 148..... | 246 | § 183..... | 264 |
| § 113..... | 224 | § 149..... | 248 | § 184..... | 264 |

|            |     |            |     |            |     |
|------------|-----|------------|-----|------------|-----|
| § 185..... | 265 | § 221..... | 287 | § 257..... | 314 |
| § 186..... | 265 | § 222..... | 288 | § 258..... | 315 |
| § 187..... | 266 | § 223..... | 289 | § 259..... | 315 |
| § 188..... | 267 | § 224..... | 289 | § 260..... | 316 |
| § 189..... | 267 | § 225..... | 290 | § 261..... | 317 |
| § 190..... | 268 | § 226..... | 290 | § 262..... | 317 |
| § 191..... | 268 | § 227..... | 291 | § 263..... | 318 |
| § 192..... | 268 | § 228..... | 291 | § 264..... | 319 |
| § 193..... | 269 | § 229..... | 292 | § 265..... | 319 |
| § 194..... | 269 | § 230..... | 293 | § 266..... | 319 |
| § 195..... | 270 | § 231..... | 294 | § 267..... | 320 |
| § 196..... | 271 | § 232..... | 295 | § 268..... | 322 |
| § 197..... | 271 | § 233..... | 296 | § 269..... | 323 |
| § 198..... | 272 | § 234..... | 296 | § 270..... | 326 |
| § 199..... | 272 | § 235..... | 297 | § 271..... | 331 |
| § 200..... | 273 | § 236..... | 299 | § 272..... | 331 |
| § 201..... | 273 | § 237..... | 300 | § 273..... | 332 |
| § 202..... | 275 | § 238..... | 300 | § 274..... | 333 |
| § 203..... | 275 | § 239..... | 301 | § 275..... | 334 |
| § 204..... | 276 | § 240..... | 301 | § 276..... | 335 |
| § 205..... | 277 | § 241..... | 302 | § 277..... | 336 |
| § 206..... | 279 | § 242..... | 302 | § 278..... | 337 |
| § 207..... | 280 | § 243..... | 303 | § 279..... | 337 |
| § 208..... | 281 | § 244..... | 303 | § 280..... | 338 |
| § 209..... | 281 | § 245..... | 304 | § 281..... | 339 |
| § 210..... | 281 | § 246..... | 305 | § 282..... | 339 |
| § 211..... | 283 | § 247..... | 306 | § 283..... | 341 |
| § 212..... | 283 | § 248..... | 308 | § 284..... | 342 |
| § 213..... | 283 | § 249..... | 310 | § 285..... | 343 |
| § 214..... | 284 | § 250..... | 311 | § 286..... | 344 |
| § 215..... | 284 | § 251..... | 311 | § 287..... | 345 |
| § 216..... | 285 | § 252..... | 312 | § 288..... | 346 |
| § 217..... | 286 | § 253..... | 312 | § 289..... | 347 |
| § 218..... | 286 | § 254..... | 313 | § 290..... | 349 |
| § 219..... | 286 | § 255..... | 314 | § 291..... | 350 |
| § 220..... | 287 | § 256..... | 314 |            |     |

## ველედა ჯგუფი

სს ველედა დაარსდა 1922 წელს შეიქცარიაში, ქ. არლესპაიმში დღეს, მისი პროდუქცია მსოფლიოს 30 ქვეყანაშია ხელმისაწვდომი. 14 წამყვანი ქვეყნის ველედას ფილიალში 1200 თანამშრომელია დაკავებული. 2003 წლისთვის ველედა ჯგუფის შემოსავალმა 180 მლნ ევრო შეადგინა. საქართველო ველედას ლიცენზიის მფლობელია 1990 წლიდან.

ადამიანის, მიწისა და კოსმოსის ერთიანობის შემეცნების საფუძველზე, ველედა ქმნის, აწარმოებს და აერცვლებს ისეთ წამლებს, დიეტურ და სხეულის მოსაველელ პრეპარატებს, რომლებიც ღრვის მოთხოვნის შესატყვისად - თვითრეგულაციის ძალების გააქტიურებით, ხელს უწყობენ ადამიანის გამოჯანმრთელებას და ჯანმრთელობის შენარჩუნებას. ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელი დინამიკა ანთროპოსოფიაში მოიაზრება, როგორც ურთიერთქმედება სამი სისტემისა: ნერვეულ-მგრძობელობითი, ნივთიერებათა ცვლის და რითმული (სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის). თუ ერთ-ერთი სისტემა ზედმეტად გააქტიურდა ან პირიქით დასუსტდა, ადამიანი ავადდება.

ველედას “კოერენც-კონცეფციაში” თავმოყრილია პრეპარატები და თერაპიული კონცეფციები, რომლებიც ხელს უწყობენ გულ-სისხლძარღვთა, ნივთიერებათა ცვლის და კუჭ-ნაწლავის დარღვეული რითმული ფუნქციების გაწონასწორებას.

ონკოლოგიური პაციენტებისათვის კი ველედამ განავითარა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი თერაპიის თანმხლები პროგრამა, რომელიც პაციენს ეხმარება თვითრეგულაციის ძალების ტრენინგში და ამით თერაპიის ხელშეწყობაში.

ველედა ნედლეულად იყენებს უმაღლესი ხარისხის მცენარეულ, მინერალურ და ცხოველური წარმოშობის სუბსტანციებს და უარს ამბობს ყოველგვარ სინთეზურ კონსერვანტზე, სუნისა და ფერის მიმცემ ქიმიურ საშუალებებზე.

2005 წლის თებერვალში, ნიურნბერგის “ბიოფახი 2005”-მა ველედას ცელულიტის ზეთი წლის პროდუქტად აღიარა.

2005 წლის 24 მაისს, კონკურსში “ წარმატების ფაქტორი ოჯახი 2005 ” სს ველედა შეებიშ გმუნდი დაჯილდოვდა პრიზით ინოვაციაში – მომავლისკენ განსაკუთრებულად ორიენტირებული, ოჯახისადმი მეგობრულად განწყობილი ღონისძიებების გატარებისთვის.

ველედას წამლებისა და კოსმეტიკის იმპორტისა და გავრცელების ექსკლუზიური ლიცენზიის მფლობელი საქართველოში არის შპს ნატურაფარმი.



# ჰომეოპათიისა და ქართული ტრადიციული მედიცინის ლიგა

ჰომეოპათიის და ქართული ტრადიციული მედიცინის ლიგა საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომლის მთავარი ამოცანა საქართველოში ჰომეოპათიური მკურნალობისა და ტრადიციული მედიცინის ფართოდ დანერგვა-განვითარება გახლავთ. ლიგა მიზნად ისახავს აგრეთვე მსოფლიოში ეროვნული ტრადიციული მედიცინის პოპულარიზაციას.

ჰომეოპათიისა და ქართული ტრადიციული მედიცინის ლიგაში გაერთიანებულია ცნობილი ექიმი-ჰომეოპათები, ქართული ტრადიციული მედიცინის მკურნალები, თვალსაჩინო ექიმი-სპეციალისტები, კულტურის მოღვაწენი, ჟურნალისტები.

ლიგის პრეზიდენტია საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, თბილისის №13 პოლიკლინიკის ჰომეოპათიისა და ქართული ტრადიციული მედიცინის განყოფილების გამგე - თორნიკე ალაშვილი.

მისამართი: რუსთაველის გამზ. №28; ალ. ჭავჭავაძის ქ. №2-ა. ტ. 98-64-86, (899) 55-99-61



[www.curamediana.ge](http://www.curamediana.ge) [www.alashvili.com](http://www.alashvili.com)

## ათთიაქი ნატუროპათი

ალ. ყაზბეგის გამზ. 33, ალ.: 394-987, ფაქსი 399-377;

ელ.ფოსტა: [naturo@geo.net.ge](mailto:naturo@geo.net.ge)

ჰომეოპათიური ნესით მომზადებული  
საკუთესო ბიოლოგიური პრეპარატები



მკურნალობა  
ბიოლოგიური მეთოდებით  
სამედიცინო ცენტრი **ბიოპალი**  
ალ. ყაზბეგის გამზ. 24ა, ალ. 311-911

## **ანთროპოსოფიული მედიცინის ცენტრი შპს „თერაპიის სახლი“**

შპს „თერაპიის სახლი“-ში პოლიკლინიკურ და დღის სტაციონარულ განყოფილებებს ემსახურებთან ექიმები სოგადი თერაპიის, პედიატრიის, გინეკოლოგიისა და ნევროლოგიის პროფილით.

ხორციელდება მწვავე და ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობა და რეაბილიტაცია. საჭიროების შემთხვევაში ექიმი, ექთანი და ლაბორანტი ბინაზეც ემსახურება პაციენტს. „თერაპიის სახლი“ ემსახურება პაციენტთა ფართო წრეს - ბავშვებს, მოზრდილებს და ხანდასმულებს.

დიაგნოსტიკური საშუალებებიდან „თერაპიის სახლში“ არსებობს: კლინიკური და ბიოქიმიური ექსპრეს-ლაბორატორია, საშილონოსის ყელის ციტოლოგია (Pap-ნაცხი). ულტრაბგერითი გამოკვლევა, ელექტროკარდიოგრაფია, სპიროგრაფია.

„თერაპიის სახლს“ აქვს I ჯგუფის აფთიაქი, სადაც გერმანული და შვეიცარიული ფირმების „Welceda“ და „Wala“-ს მედიკამენტებისა და კოსმეტიკური საშუალებების შექმნა შესაძლებელია.

ყველა სამკურნალო და მოსაელელი საშუალება (აგრეთვე კოსმეტიკა) ბუნებრივ - მინერალურ, მკენარეულ და ორგანულ ნედლეულზეა დამსადებული.

მკურნალობა კლასიკურ საშუალებებთან ერთად მოიცავს განსაკუთრებულ მეთოდებს (სამკურნალო ვერითმია, ხელოვნებითი თერაპია, რიტმული მასაჟი, რიტმული შეხედვა, ლიმფის მანუალური დრენაჟი)

„თერაპიის სახლში“ მკურნალობის პროცესს წარმართავენ წლების მანძილზე გერმანისა და შვეიცარიაში განსწავლული და კვალიფიცირებული ექიმები, ექთნები და სხვა სპეციალისტები.

1998 წლიდან შპს „თერაპიის სახლი“-ში ფუნქციონირებს ხანდაზმულთა და ავადმყოფთა (ასაკის შეესწავლად) სახლში სამედიცინო მოვლის სამსახური.

მისამართი: თბილისი. გურამიშვილის გამზირი 72. 0141.

ტელ.: 60 88 25, ტელ/ფაქსი: 6084 69